მაია ნადარეიშვილი

მედია და პოლიტიკური იმიჯი

(მეორე გადამუშავებული გამოცემა)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2011

UDC (უაკ) 070
ნ – 153

ჟურნალისტიკა და პოლიტიკა თანამედროვე მსოფლიოში ერთმანეთის გარეშე ძნელი წარმოსადგენია. ამ ორი სფეროს თანამოღვაწეობას უამრავი შიდა დინება ახლავს. მედია უყვართ და მედია სძულთ პოლიტიკოსებს. მედიასაც გაორებული დამოკიდებულება უჩნდება ხოლმე. ამოსავალი წერტილი ორივეგან პიროვნულ ღირსებებზე გადის.

მაია ნადარეიშვილის ინიციატივით თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შემოიღეს და 2001-2005 წლებში, სხვა დისციპლინებთან ერთად, ბაკალავრიატის სტუდენტებს ეკითხებოდათ ახალი, უაღრესად აქტუალური საგანი — პრესა და პოლიტიკოსთა იმიჯი. 2001-2004 წლებში აღნიშნული საგანი ასევე შედიოდა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (სდასუ) სასწავლო პროგრამაში. წინამდებარე მონოგრაფიაში ჩამოყალიბებულია ავტორის ორიგინალური მოსაზრებები, რომლებიც სალექციო კურსის ფარგლებში შესთავაზა სტუდენტებს. წიგნის მასალები განახლებული და შევსებულია ავტორის მიერ.

„ჟურნალისტის ბიბლიოთეკის“ სარედაქციო კოლეგია:

აკად. რევაზ ბალანჩივაძე, აკად. ნოდარ ტაბიძე, პროფ. როსტომ ჩხეიძე, პროფ. დიანა ტყებუჩავა (მთ. რედაქტორი), **პროფ. ზურღან გემაზაშვილი, პროფ. გივი კაპანაძე, პროფ. ლიანა ფერაძე, პროფ. მანანა დათუკიშვილი, პროფ. ნანა ტალახაძე, პროფ. ხათუნა კაჭარავა, პროფ. მაია ნადარეიშვილი, პროფ. მარი წერეთელი, პროფ. მანანა შამილიშვილი, გოჩა ხუნდაძე, ნაზი აროშიძე, ნუგზარ ნაცვლიშვილი.**

© მ. ნადარეიშვილი, 2011

Front cover photo ©Frozen Vanity Photography (frozen-vanity@hotmail.com): Sarah Foryame Lawler, 2008

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-228-1

წიგნი 2 – ISBN 978-9941-17-341-7

დემოკრატია „აქ, იქ და ყველგან...“

(პირველი გამოცემის რედაქტორის წინათქმა)

მაია ნადარეიშვილი – არც თუ ისე დიდი ხანია ისმის ეს სახელი და გვარი ქართულ ჟურნალისტიკაში (ცხადია, მისი ასაკის გამო), მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მან უკვე შეძლო თავისი წონადი ადგილის გამოკვეთა და საზოგადოების ყურადღებისა და პატივისცემის დამსახურება. გარდა იმ მრავალრიცხოვანი სტატიებისა, რომლებიც მისი სახელით ქვეყნდება ჩვენი პრესის ფურცლებზე, იგი ექვსი სოლიდური წიგნის ავტორიცაა (წინამდებარე მონოგრაფია რიგით მეშვიდეა). ამ უკანასკნელი ნაშრომის რედაქტორობა რომ შემომთავაზა, სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან ჩემთვის საპატიოდ და საამაყოდ მივიჩნიე ამ „ციცქნა გოგონას“ (კვლავ ასაკი მაქვს მხედველობაში) გამოკვლევის რედაქტორობა (მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ მისი წინა წიგნების რედაქტორები იყვნენ ისეთი თვალსაჩინო ჟურნალისტები, როგორებიც არიან: მელორ სტურუა, ნოდარ ტაბიძე, პაატა ნაცვლიშვილი...).

მონოგრაფიის შინაარსის გაცნობამ დამარწმუნა, რომ ჩემს სიამაყეს ჰქონდა მყარი საფუძველი. წიგნი ერთი ამოსუნთქვით იკითხება, მასში ჩანს ავტორის მაღალი პროფესიონალიზმი და თანამედროვე მსოფლიო ჟურნალისტიკის სიღრმისეული ცოდნა, ფართო ერუდიცია, სერიოზული განსწავლულობა, მოვლენების საფუძვლიანი ანალიზის უნარი, მაღალი მხატვრული გემოვნება, წერის კულტურა, აზრის გამოხატვის სისხარტე და სისადავე, ჰერმენევტიკული ანალიზისა და ლოგიკური განსჯის უნარი...

წინამდებარე ნაშრომი ერთი შეხედვით, სულ სხვადასხვა თემაზე დაწერილი წერილების კრებულია, მაგრამ ყველა ეს წერილი ისეთი საოცარი ოსტატობითაა გაერთიანებული ერთი ძირითადი ხაზის (ფაბულის, სიუჟეტის) გარშემო, როგორც მაიას საყვარელი ავტორის, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები „სიბრძნე სიცრუისაში“. ეს საერთო ხაზი კი არის მედიის როლი და მნიშვნელობა პოლიტიკური იმიჯის გამოკვეთის საქმეში.

წიგნიდან კარგად იკითხება, რომ ქალბატონი მაია ზედმიწევნით იცნობს ამერიკის პოლიტიკურ ისტორიასა და თანამედროვე რეალობას, აშშ პრეზიდენტების ცხოვრების წესს, მედიისადმი მათ დამოკიდებულებას და პირიქით.

ჩვეულებრივ, უცხო ენების სრულყოფილ ცოდნას ერთი ასეთი საცდური ახლავს (მით უმეტეს, ახალგაზრდისათვის): უცხოურით მეტისმეტი გატაცება და მისადმი პროვინციული ქედმოხრა, უცხოური ცხოვრების ლამაზ ფერებში წარმოჩენა და საკუთარის, მშობლიურის დამცრობა. ქალბატონ მაიას სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი ისე ლაპარაკობს ევროპულ თუ ამერიკულ კულტურაზე, ტრადიციებზე, ადათ-წესებზე და ა.შ., რომ ქართულს არათუ არ ამცრობს მათთან შედარებით, არამედ საკმარისად ხშირად ჩვენს ეროვნულ პრიორიტეტებსაც კი უსვამს ხაზს („ჩვენ წინაპრების სიყვარულსა და პატივისცემაზე აღზრდილი ერი ვართ", ან: „იქ, დასავლეთში, იქითკენ მიდიან, ჩვენ რომ უკვე კარგა ხნის წინ გამოვიარეთ"), თუმცა არც ის ნაკლოვანებები ავიწყდება, რაც დღემდე ვერ მოუგვარებია ჩვენს ქვეყანას და ხალხს.

ასეთი ეროვნული პოზიცია კი, რასაკვირველია, დიდად ამშვენებს მას და ზრდის მისდამი მკითხველის პატივისცემასა და სიმპათიას.

ვუსურვებ ახალგაზრდა, ნიჭიერ მკვლევარს შემდგომ წარმატებებსა და გამარჯვებებს.

პროფ. რევაზ ბალანჩივაძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
საქართველოს პოლიტოლოგიის აკადემიის აკადემიკოსი
საქართველოს პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პრეზიდიუმის წევრი
საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი

თბილისი, 2008.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ავტორისგან 7

ეფემერულობის დიდებულება 9

მედია სძულთ და მედია უყვართ 17

ორი საუკუნის ორი პარასკევი 26

პრესის თავისუფლების ამერიკული ხარისხი 41

პოლიტიკური მიმიკრია 51

ჟურნალისტი „ცრუთა ქვეყნიდან“ 68

სირაქლემას სინდრომი 78

პოლიტიკური „ფრანკენშტეინები“ 90

პრეზიდენტები და დოლარის დიქტატურა 95

კედლის სარკეში არეკლილი იმიჯი 109

სიმბოლოთა ხელისუფლება და ხელისუფლების სიმბოლოები ... 119

დაბრუნება მომავალში 125

არადანი ხალხს 144

კრავთა დუმილი ველიკორუსულად 162

თეთრი სახლის ქალბატონები 175

ქალი, როგორც ჩაის ფერი 183

ძუ ლომის მისტერია 196

კონკია არგენტინულად 213

ლეკვი ლომისა 223

„ოცდამერვე“ შესწორების პერსპექტივა 238

ლედი მაკბეტი ლითლ-როკიდან 266

რომაული პიარის მითი და რეალობა 276

იმიჯის ტუსაღი 299

ინფორმაციული ომის სტრატეგია შუა საუკუნეებში 310
ფიქრიანი ალსასრულის ფენომენი 330
სფინქსი მეწამულ მანტიაში 351
ტრიანონის საიდუმლოებანი 365
დასავლური ინდივიდუალიზმი: დღე ხვალის შემდეგ 375
ჰალმა რომ მაღალი გაიზარდოს 381
ბოლოთქმა 387
კომენტარები 391
ლიტერატურა 444
ფილმოგრაფია 463

„ყოველთვის არ თქვა რაც იცი,
მაგრამ მუდამ იცოდე რას ამბობ"
– *იმპერატორი კლავდიუსი*

ავტორისგან

ამერიკული მედიის ისტორიაში პოლიტიკოსთა და „მელთხე ხელისუფლების" წარმომადგენელთა ურთიერთობა მრავალფეროვანი, მდიდარი გამოცდილებით ხასიათდება. დამოუკიდებელი პოლიტიკა და პრესა ერთდროულად აღმოცენდა აშშ-ში და მათი განვითარებაც პარალელურად მიმდინარეობდა. ეს ორი ფენომენი პარადოქსულ ტყუპებს გვანან: მუდმივი ქიშპობითა და თანამშრომლობით ნასაზრდოები ერთიანი სისტემის დამოუკიდებელ მხარეებს, რომლებიც მუდამ ყველას წინააღმდეგ ერთიანდებიან, თუმცა ვერასდროს შეკავშირდებიან.

მედია წყალივით მოქნილია. შეუძლია ტემპი დაავდოს და მდორედ მიჰყვეს მოვლენათა განვითარებას. როცა საჭიროა, მთის გადარეული მდინარის მსგავსად, თავპირისმტვრევით გაიჭრება წინ და ჩანჩქერივით დაუფიქრებლად გადაეშვება ხრამში. გარემოებათა შესაბამისად, მედიას ტრანსფორმირების უიშვიათესი ნიჭი დაჰყვა: ხან წყალია, ხან ყინული, ხანაც – აირი. პოლიტიკა თამაშის განსხვავებულ, „ზეთოვან" წესებს ამკვიდრებს. რამდენიც უნდა ატრიალოს იგი მედიის მორევმა, არასდროს შეერევა და არც შეირევს.

ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების ურთიერთობას უდიდესი ზეგავლენა აქვს ჩვეულებრივ მოქალაქეთა ცხოვრებაზე, მაშინაც კი, როცა უბრალო მოკვდავები ამ ორის ქმედებათა პასიური მაყურებლები არიან. უდიდესი სიბეცე ან სხვებისთვის თვალში ნაცრის შეყრის უნიჭო მცდელობაა იმ კატეგორიის ადამიანთა განცხადება, ვინც თურმე პოლიტიკაში არ ერევა, მხოლოდ პროფესიული საქმიანობით კმაყოფილდება და, შესაბამისად, პილატესავით „სუფთა ხელებით" ამაყობს. მოსახლეობის აქტიურად მოაზროვნე ნაწილმა იცის, რომ ლოკალურ თუ გლობალურ პოლიტიკაზე დიდ ზეგავლენას ვერასდროს მოახდენს მათი აშკარა ან ფარული პროტესტი, მაგრამ რადგანაც ისინი Homo Sapiens-ებად დაიბადნენ, აზროვნება ისევე ესაჭიროებათ, როგორც

სუნთქვა. ხოლო იმისათვის, რომ იაზროვნო, აუცილებელია ინფორმირებულობა და ფიქრის უნარი.

პოლიტიკური „თეატრისთვისაც" ისევე ნიშანდობლივია დენი დიდროს „მეოთხე კედელი", როგორც დრამატულისთვის. სახელისუფლებო პიესის მსახიობთა და მოქალაქე-მაყურებელთა შორის არსებული წარმოსახვითი ბარიერის დანგრევა უაღრესად აქტუალურია თანამედროვე სამყაროში. პარლამენტსა თუ სენატში გამოსვლები წარმომადგენლობითი, საკმაოდ კარიერისტული და ნაკლებად სახელმწიფოებრივი ორიენტაციისაა. ტელეეკრანიდან შემოთავაზებული სიუჟეტები, პირდაპირ ეთერში გამოსვლები თუ თოქ-შოუები ბევრად უფრო ახლოსაა ანტიკური პერიოდის მმართველის მიერ დისტანციურ ზრუნვასა და სიყვარულთან, ვიდრე XXI საუკუნისთვის შესაფერის დემოკრატიულ მმართველობასთან. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და პოლიტიკური ტენდენციების შესაბამისად, შეიმჩნევა „მეოთხე კედლის" ნგრევის ნამდვილი თუ „ნათამაშევი" მცდელობები. წინამდებარე ნაშრომი ჩემი მოკრძალებული ცდაა საკუთარი წილი ვირტუალური აგურის ამოსაძრობად.

სამშობლო ზედმეტად მტკივნეული განცდაა. ხშირად ძნელია რეალობისთვის თვალის გასწორება. სხვა ქვეყნის მაგალითზე ზოგჯერ უფრო იოლად გაიაზრება ჩვენი ქვეყნის პრობლემათა ბუნება და გამოსავლის უგზოუკვლოდ ძებნის ნაცვლად, მსოფლიო პოლიტიკური რეცეპტების ქართულ ქურაზე მორგებაც საკმარისი იქნება ოპტიმალური შედეგისათვის. თანაც, ბორბლის თავიდან გამოგონება ბევრად უფრო დიდი სისულელე და სირცხვილია, ვიდრე სხვათა ღირებული გამოცდილების შესწავლა და გამოყენება.

საქართველოს მარადიული პრობლემა ისაა, რომ პოლიტიკოსთა უმრავლესობას „საკუთარი თავი უყვარს საქართველოში და არა — საქართველო საკუთარ თავში". ხალხის უდიდესი პრობლემა კი ისაა, რომ ქვეყნის ოფიციალური ხელმძღვანელობა მუდამ სადღაც ინტეგრირებას ცდილობს და ამ მიზანს იოლად ეწირება საუკეთესო, რაც ქართველ ერს გააჩნია. ცოდნა, სიბრძნე, პოლიტიკური აზროვნების უნარი და „საკუთარი ტყავით" შეძენილი პრაქტიკული გამოცდილება არ აკლიათ ქართველებს. საქართველოსთვის არსებითი პრობლემაა სწორი არჩევანის გაკეთების უფლება. ამგვარი პრივილეგია ამ მველისძველ, პატარა ქვეყანას ძალზე იშვიათად ჰქონია ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე.

ეფემერულობის დიდებულება

მითი, რომ დასავლეთში ჟურნალისტებს ყველაფრის უფლება აქვთ და, თუ არა — მაინც გამონახავენ ხოლმე თავისის გატანის საშუალებას, თანდათან ზებუნებრივ ელემენტებს იშორებს და რეალურ სახეს იძენს. სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ისინიც ადამიანები არიან და მათაც ისევე უწევთ ყოველდღიურობასთან გამკლავება, როგორც საქართველოში. ზოგი პრობლემა საერთო გვაქვს, ზოგიც — ლოკალური. ჩვენთან თუ ყოფითია გამწვავებული, დასავლელი ჟურნალისტები საქართველოში ისტორიულად მოგვარებულ სირთულეებს აწყდებიან. განსხვავებული მენტალიტეტის, გემოვნების, აზროვნების, განვითარების, ცხოვრების წესისა და ყოველდღიურობის მქონე საზოგადოებებს დღეს მართვისა და ზემოქმედების იდენტურ მოდელს არგებენ — დემოკრატიის სახელით, გლობალიზაციის მიზნით. თანამედროვე სამყაროსთვის კვლავ აქტუალურია 1980-იანი წლების ბრიტანულ სერიალში „დიახ, მინისტრო“ (პირველი სეზონის მეხუთე ეპიზოდი „კედელზე წერა“) ერთ-ერთი დიალოგის პათოსი:

„*ჯეიმს ჰაკერი*: რა საშინელი ცინიზმია.

სერ ჰემფრი ეფლბი: ჰო... ამას დიპლომატიას ვუწოდებთ, მინისტრო.“

მეოთხე ხელისუფლება, როგორც მმართველობის განუყოფელი ნაწილი, ოფიციალური თუ სასურველი კურსიდან ნაირგვარი გადახვევებისგან თავს ყოველთვის ვერ იზღვევს. ჟურნალისტიც ჩვეულებრივი მოკვდავია: ზოგს შინაგანი თავისუფლება არ ასვენებს, ზოგს სახელი და კარიერის კიბეზე სხვაზე მაღლა არბენა ხიბლავს, ზოგი ყველაფერს ანაზღაურების ხარისხით ზომავს და საბანკო ანგარიშ(ებ)ზე ნულების გამრავლებითაა დაკავებული.

ჟურნალისტს მხოლოდ პატარა დეტალი განასხვავებს კარის მეზობლისგან — სამყაროს მართვის, საზოგადოებაზე ზემოქმედების, ერთი-ორი სიტყვით უზარმაზარი ცვლილებების გამოწვევის ამბი-

ცია. არცთუ იშვიათად, იგი რესპონდენტის ჩრდილქვეშ ექცევა, მაგრამ შესანიშნავად იცის, რომ ეს მხოლოდ აუდიტორიაზე გათვლილი ფანდია. საკუთარი როლის ამგვარ პირობითობასაც მიზნის განხორციელებისთვის იყენებს ჟურნალისტი.

„ნიუ-იორკ თაიმსის" სახედ ქცეული, ლეგენდარული ჯეიმს ბარეტ რესტონი, მეტსახელად – „სკოტი", XX საუკუნის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ლამის ყველაზე გავლენიანი ამერიკელი ჟურნალისტი იყო. მის სიტყვას იმხელა ძალა ჰქონდა, რომ ხალხი მასობრივად და რეგულარულად კითხულობდა რესტონის პუბლიკაციებს, ხოლო ხელისუფლება ანგარიშს უწევდა მის აზრსა და პოზიციას. კოლეგები ამბობდნენ, ჯეიმს რესტონს ისეთივე პოლიტიკური წონა აქვს, როგორიც აშშ-ის სამ სენატორს ერთად აღებულსო. სცენარისტმა კარლ მეიერმა ერთხელ იუმორით შენიშნა: რესტონის დონის პუბლიცისტს აშკარა უპირატესობა აქვს სენატორებთან შედარებით – კონგრესის წევრს ირჩევენ, ჟურნალისტი კი ბრიტანეთის ლორდთა პალატის წარმომადგენელივით მარადიულიაო.

ჯეიმს რესტონის ხანგრძლივი და უშრეტი წარმატების საიდუმლო მარტივია: პროფესიონალიზმი და ეთიკის ნორმების ერთგულება. თუმცა ჩავარდნაც ჰქონდა დიდ ჟურნალისტს, სწორედ იმ მიზეზით, რასაც სკოტის პრივილეგიას უწოდებდნენ და ფარულად საყვედურობდნენ კონკურენტები „ვაშინგტონ პოსტიდან": რესტონმა არაერთ მნიშვნელოვან პოლიტიკოსთან მოახერხა დაახლოება და მერე თავის საინფორმაციო წყაროდ აქცია ისინი.

პატიოსნად ლავირებდა ხელისუფლების მაღალ ეშელონებსა და მედიის მოთხოვნებს შორის. ამიტომ სხვაზე მეტად ენდობოდნენ მმართველებიც და მართულებიც. თუმცა, ერთხელ თავად რესტონიც დაალალატეს. ეს მის მიერ გულიანად ნაქებმა ჰენრი ალფრედ კისინჯერმა ჩაიდინა. ნიქსონის ადმინისტრაციაში აშშ სახელმწიფო მდივნის პოსტზე მყოფმა კისინჯერმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდა ჟურნალისტს 1972 წელს ვიეტნამის დაბომბვის თაობაზე. მოგვიანებით, პოლიტიკოსმა თეთრი სახლი შეიყვანა შეცდომაში, როცა რესტონთან საუბრისას გაკეთებული კომენტარი შეცვალა. სიმართლის გასარკვევად კისინჯერის სატელეფონო საუბრების ჩანაწერების გამოყენება გახდა საჭირო. ახლა უკვე ზედ-

მიწევნით ცნობილია კისინჯერის უპატიოსნო თამაშის პერიპეტიები, მაგრამ რესტონის კარიერაში მაინც შავ ლაქად დარჩა აღნიშნული ინციდენტი.

ჟურნალისტმა ქრისტოფერ ჰიჩინსმა 2002 წელს გამოცემულ წიგნში „ჰენრი კისინჯერის სამსჯავრო" დაუნდობლად გააკრიტიკა პოლიტიკოსის დანაშაულებრივი მოღვაწეობა. მოგვიანებით დოკუმენტური ფილმიც გადაიღეს ამავე წიგნის მიხედვით. რესტონი ვერ მოესწრო XXI საუკუნეს, ვერ იხილა, როგორ უწია მხცოვან პოლიტიკოსს ძველმა ცოდვებმა ახალგაზრდა ჟურნალისტის კალმით.

რადიკალი ეკონომისტი და მედიაანალიტიკოსი ედუარდ ჰერმანი „შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის აპოლოგეტს" უწოდებს ჯეიმს რესტონს და თანამოაზრეებს იმოწმებს. „ნიუიორკ თაიმსის" ჟურნალისტი რ. უ. ეფლი გაზეთის ფურცლიდან გამოექომაგა კოლეგას და მის ოპონენტთა გასაგონად განმარტა: „ბატონი რესტონი ჯარისკაცებს, პოლიტიკოსებსა და პარტიებს სისუსტეებს პატიობდა. როგორც მისი ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებს, იგი გადამეტებულ მიმტევებლობას იჩენდა ხოლმე, მაგრამ ეს იმიტომ მოსდიოდა, რომ ზედმეტად ახლოს იყო იმ ხალხთან".

გონებადაბინდულ ნერონს არასდროს ავიწყდებოდა საკუთარი სიგიჟეების მოდიფიცირება. თუ რომი ისე გადაწვა, რომ ხელი არ აკანკალებია, დანაშაულის სიმძიმე მაინც ვერ იტვირთა და ქრისტიანებს გადააბრალა. ისტორიულად ჩამოყალიბდა გაგება, რომ იმიჯი უმნიშვნელოვანესია. მედიამ აიტაცა ეს დამოკიდებულება თუ წინა სამი ხელისუფლებისგან ერგო მემკვიდრეობით, საკმაოდ საკამათო საკითხია. ფაქტია, რომ მედიის გავლენა ყოველთვის დიდი იყო ამერიკაში და თვით ქვეყნის პირველი პირები ცდილობდნენ პრესის კეთილგანწყობის მოპოვებასა და შენარჩუნებას.

„ფიქრთა მპყრობელნი" საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე განსაკუთრებით მძლავრად ახდენენ ზემოქმედებას. ამავე დროს, არც თავად არიან დაცულნი გარეშე ძალების გავლენისგან.

სულით ხორცამდე ჟურნალისტი უოლტერ ლიპმანი არასოდეს აიგივებდა მედიით გავრცელებულ ინფორმაციას სიმართლესთან. მისი აზრით, „ნიუსის ფუნქციაა მოვლენის შეტყობინება, სი-

მართლის დანიშნულება კი – დაფარული ფაქტების გამომზეურება, მათი ერთმანეთთან დაკავშირება და რეალური სურათის წარმოჩენა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია სწორად ქმედება“. ლიპმანი თვლიდა, რომ სიმართლის ჟურნალისტური ვერსია პირადული შეხედულებებითაა ნასაზრდოები. ამიტომ იგი გარკვეულწილად შეზღუდულია, რადგან ერთი ადამიანის თვალით დანახულ რეალობას გამოსახავს. ვერასდროს მოხერხდება ინფორმაციის სრულყოფილად გადაცემა და სწორედ ამიტომ, მედია არ შეიძლება იყოს „დირექტიული დემოკრატიის ორგანო“.

ჟურნალისტიკის დანიშნულებას „ინტელექტუალურ საქმიანობაში“ ხედავდა ამერიკის ერთ-ერთი გავლენიანი პუბლიცისტი, ჟურნალისტი და პოლიტიკური კომენტატორი. მისი რწმენით, ჟურნალისტები პოლიტიკოსთა და ხალხის მეკავშირის ფუნქციას უნდა ასრულებდნენ. ლიპმანის მოდელით, ჟურნალისტი პოლიტიკოსისგან მოიპოვებს ინფორმაციას და აწვდის მოქალაქეებს, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს ქმნიან.

ბრწყინვალე ჟურნალისტური ოსტატობის შეთავაზების დროსაც, „მკითხველ საზოგადოებას, რომელიც საკუთარი ცხვირის იქით არ იხედება, არ აინტერესებს რაიმეს შესწავლა, გაანალიზება ან გაგება“. უოლტ ლიპმანი პირველი იყო, ვინც დაადგინა, რომ ჟურნალისტს ახასიათებს მოვლენების განზოგადებულად შეფასება და პიროვნებებზე გარკვეული იდეაფიქსების შესაბამისად მსჯელობა. ამავე დროს, ლიპმანი ამტკიცებდა, რომ ზოგადად ადამიანი (აგრეთვე, ჟურნალისტი) მიდრეკილია ირწმუნოს „მის გონებაში არსებული ხატება“ იმის ნაცვლად, რომ კრიტიკული აზროვნების საშუალებით გარკვეულ დასკვნამდე მივიდეს. უოლტ ლიპმანმა შექმნა ტერმინი „სტერეოტიპი“ და ადამიანის თვისებას – იდეების სიმბოლოებად დაკონდენსირებას, სტერეოტიპული აზროვნება უწოდა. მანიპულირება ორმხრივად შეიძლება. სტერეოტიპული აზროვნება ზემოქმედებს კონკრეტული პოლიტიკოსის იმიჯზე და პირიქით – მისი იმიჯი გარკვეულწილად განსაზღვრავს, თუ რომელ სტერეოტიპს მოარგებენ მის პოლიტიკურ პორტრეტს. დემოკრატიის ძირეულ პრობლემად ლიპმანი ინფორმაციის უზუსტობასა და წყაროს დაუცველობას მიიჩნევდა.

უოლტერ ლიპმანი მოაზროვნე ანუ საშიში ჟურნალისტის

ტიპს განეკუთვნებოდა. საგაზეთო სვეტმა რუბრიკით „დღეს და ხვალ“ პულიტსერის პრემია მოაპოვებინა. იგი კვირაში სამჯერ ერთდროულად 200-ზე მეტ გაზეთში იბეჭდებოდა და ბევრ პოლიტიკოსს აატკივა თავი. ლიპმანის სტატიებს უშრეტი ინტერესით კითხულობდა და აანალიზებდა ამერიკის ელიტა, მისი თანამედროვე ყველა პრეზიდენტი. ლიპმანი არ იყო მხოლოდ პოლიტიკური მიმომხილველი. ზოგჯერ მრჩევლის როლშიც უწევდა ყოფნა. მას ეკუთვნის ტერმინის „ცივი ომი“ პოპულარიზაცია, რომელიც 1947 წელს გამოცემული მისივე წიგნის სათაურია. თერთმეტი წლის შემდეგ უოლტერ და ელენ ლიპმანები ურალში, თავის მონადირის სახლში მიიწვია ნიკიტა ხრუშჩოვმა. საბჭოთა ლიდერისა და ამერიკელი ჟურნალისტის არაოფიციალური შეხვედრისას მათი საუბრის მთავარი თემა „ცივი ომი“ და ამ გაჭიანურებული კრიზისიდან გამოსვლის გზები იყო.

1964 წელს თეთრ სახლში პრესკონფერენცია გაიმართა. რეპორტიორთა შორის პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა ლიპმანს მოჰკრა თვალი, მივიდა, ხელი მაგრად ჩამოართვა და საჯაროდ განაცხადა: „აი, მსოფლიოს უდიდესი ჟურნალისტი. იგი ჩემი მეგობარია“. ჯეიმს რესტონისგან განსხვავებით, უოლტერ ლიპმანი უკომპრომისო პიროვნება აღმოჩნდა. მან დაუნდობლად გააკრიტიკა პრეზიდენტ ჯონსონის აკვიატებული იდეა „მსოფლიო წესრიგის დამყარების“ თაობაზე. როცა კონსერვატიული შეხედულებების ჟურნალისტმა თეთრი სახლის არასწორი პოლიტიკა ამხილა ვიეტნამის საკითხთან დაკავშირებით, საზეიმოდ გაცხადებული „მეგობრობა“ დასრულდა. ამერიკამ ვერ დაიტია ორივე — პრეზიდენტიც და ჟურნალისტიც. საბოლოოდ, ლიპმანს ქვეყნის დატოვება მოუხდა. ძვირად დაუჯდა უოლტერ ლიპმანს საკუთარი აზრის დაცვა. მძიმე აღმოჩნდა „პოლიტიკურ მიმომხილველთა იერარქიაში რომის პაპის“ ქუდის ტარება.

ლიპმანის წასვლის შემდეგ ამერიკის პოლიტიკური ჟურნალისტიკის ლამის ერთპიროვნული ლიდერი გახდა მისი ძველი კონკურენტი ჯოზეფ ოლსოპი. ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ოლსოპმა თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ რეპორტიორობიდან ჯორჯთაუნის ჯგუფის აქტიურ წევრობამდე. ჯეიმს რესტონის თანა-

გუნდელი და თანამოაზრე სრულიად განსხვავებული ტაქტიკით მოქმედებდა. ძალიან ხშირად ოლსოპი ინფორმაციას კი არ იღებდა, არამედ თავს ახვევდა პოლიტიკოსებს. რადგან ინდოჩინეთში საომარი მოქმედებების მომხრე იყო, ჯო განუწყვეტლივ ჩასჩიჩინებდა ამერიკის პრეზიდენტებს, მსოფლიო წესრიგის დამცველთა როლი ეკისრათ. ვიეტნამში 50 ათასი ჯარისკაცის გაგზავნის შემდეგ ლინდონ ჯონსონის მიერ გაკეთებული არაოფიციალური კომენტარი მოარულ ფრაზად იქცა: იმედია, ეს ცოტა ხნით მაინც დააშოშმინებს ჯო ოლსოპსო.

ურთიერთსიმპათიით განმსჭვალული ჟურნალისტი და ჯონ კენედი საინტერესო ტანდემს წარმოადგენდნენ. ავტობიოგრაფიულ წიგნში „პერსონალური ისტორია“, რომლისთვისაც 1998 წელს პულიტსერის პრემია მიენიჭა, „ვაშინგტონ პოსტის“ გამომცემელი კეტრინ გრეჰი მნიშვნელოვან მოგონებებს აწვდის მკითხველს კენედისა და ოლსოპის ურთიერთობის შესახებ. იგი წერს: „ოლსოპის მეოხებით, სენატორ კენედის იმაზე ბევრად უკეთ ვიცნობდი, ვიდრე ეს თავისთავად მოხდებოდა. ჯომ რატომღაც მაშინვე მხარი დაუჭირა მას. დიდ წვეულებებზე ხშირად ვხედავდი კენედების მომხიბლავ და ლამაზ წყვილს, მაგრამ სერიოზულ პოლიტიკოსად ჯონი არასდროს აღმიქვამს. კარგად მახსოვს ოლსოპის მიერ 1958 წელს ნათქვამი ფრაზა: ერთ დღეს კენედი ამერიკის პრეზიდენტად მოგვევლინებაო. მაშინ შევეპასუხე, ალბათ, მეხუმრები, შენ ამას სერიოზულად როგორ იფიქრებ-მეთქი. ჯომ მიპასუხა: ჩემო კარგო, დარწმუნებული ვარ, რომ მის კანდიდატურას წამოაყენებენ და არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსიც ექნებაო“. ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, პიროვნული თვისებებით მოხიბლა ჯონ კენედიმ ჟურნალისტი, თუ გამოცდილმა ოლსოპმა იოლად სამართავი კანდიდატურის მხარდაჭერა საკუთარი სამომავლო მიზნების განხორციელებისთვის განიზრახა. ფაქტია, რომ კენედისთან მეგობრობის შედეგად, ჯო შეერთებული შტატების ადმინისტრაციის კულისებში შინაურ კაცად მიიღეს.

გაქნილი, კარიერისტი ოლსოპი ხშირად მანიპულირებდა JFK-ით. დიპლომატი მამის მკაცრ მარწუხებს შეჩვეული კენედი, შესაძლოა, ვერც ხვდებოდა, როგორ იყენებდა ერთი შეხედვით ფანატიკურად მისი ერთგული ჟურნალისტი. სწორედ ოლსოპმა და-

არწმუნა სენატორი კენედი, თითქოს, აშშ ძალზე ჩამორჩებოდა საბჭოთა კავშირს ბალისტიკური რაკეტების წარმოებაში და ეს საბედისწერო საფრთხეს უქმნიდა ამერიკას. უშედეგოდ აპროტესტებდა წარსულში გამოცდილი გენერალი, იმ დროს — ამერიკის პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი ჟურნალისტის მტკიცებულების უაზრობას, ოლსოპის აზრმა გაიმარჯვა. დაიწყო გამალებული შეიარაღება, რაც მალე მთელ მსოფლიოს მოედო. მხოლოდ 1961 წელს მიხვდა კენედი წინამორბედი პრეზიდენტის პროტესტის მართებულობას, მაგრამ აგორებული სამხედრო შეიარაღების შეჩერება უკვე შეუძლებელი გამხდარიყო.

მბრძანებლური ხასიათის მქონე ოლსოპის კარიერაც ვერ გადაურჩა შავ ლაქას. მოსკოვში პირველი და უკანასკნელი ვიზიტისას ჟურნალისტს სუკ-ის ფოტოგრაფმა სკანდალური სურათები გადაუღო, თუმცა საბოლოოდ ისინი არ გამომზეურებულა. ათიოდე წლის შემდეგ მოსკოვმა მაინც გადაუგზავნა ფოტოები ვაშინგტონს, მაგრამ ეს ქმედება უკვე დაგვიანებული და არაეფექტური გამოდგა. სამაგიეროდ, ჯოზეფის შესახებ ლამის არ დაწერილა სტატია და გამოკვლევა, მისი მაკომპრომეტირებელი სურათები მსჯელობის საგანი რომ არ ყოფილიყო.

ამერიკული მედიის სამასწლიანი გამოცდილება თვალნათლივ წარმოაჩენს გრძელ და ურთულეს გზას, რომელიც მხარდამხარ გამოიარეს პოლიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა. ბუნებრივია, მათ მომავალშიც მოუწევთ მჭიდრო თანამშრომლობა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ არამხოლოდ პრესა ქმნის პოლიტიკოსის იმიჯს ან სტერეოტიპს არგებს ამა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწეს. ჟურნალისტებიც იმიჯის „ტყვეობაში“ ვარდებიან. მათაც სტანჯავთ აუდიტორიის სტერეოტიპული აზროვნება. ფრთხილი რესტონისა და თავნება ოლსოპის გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ჟურნალისტიკა რისკიანი პროფესიაა და მშვიდად ცხოვრების მსურველებმა არ უნდა აირჩიონ ასეთი ასპარეზი. აქ ყოველი დღე ჭიდილით იწყება. ყოველღამ თავიდან გაეცემა პასუხი კითხვას „ვინ ვის?“ რადგან პოლიტიკური ჟურნალისტის ცხოვრება მუდმივი „ცივი ომის“ მინიატურული განსახიერებაა.

მედიის წარმომადგენლები განსხვავებულად მოქმედებენ. ზოგი ჟურნალისტი პოლიტიკოსებთან თანამშრომლობის ტაქტიკას

იყენებს ექსკლუზიური ინფორმაციის მოსაპოვებლად. ზოგი მუდმივად ჩასაფრებულის პოზიციას იკავებს და უკომპრომისო ოპოზიციონერად გვევლინება. მცირე ნაწილი მეგობრობის სახელით იმდენად დაუახლოვდება რომელიმე მაღალჩინოსანს, თავადაც რომ აღარ სურდეს, მაინც ახდენს გარკვეულ ზეგავლენას მასზე.

კარლ მეიერი საგაზეთო სვეტს ადარებს სამრეკლოს, ისეთს, რომლიდანაც 30 წელი ქადაგებდა სირიელი წმინდანი სვიმეონ მესვეტე. უწყინარი თეთრი თაბახი ფართო ასპარეზად გადაიქცევა პუბლიცისტის ოსტატობის შესაბამისად. ამიტომ დასანანია, როცა დილეტანტი ჩაიგდებს ხელში ასეთ მძლავრ იარაღს. დემოკრატიის პირობებში აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება მართლაც ყველას შეიძლება ჰქონდეს, თუნდაც გონებასუსტს. მთავარია, ვის მიმართავს და რამდენად ეძლევა აუდიტორიის მანიპულირების უფლება. გიჟისთვის ეს სამედიცინო დაწესებულების მედპერსონალი უნდა იყოს, გონიერი ადამიანისთვის — მედიაუდიტორია.

ჟურნალისტები ვარსკვლავები არ არიან, ჰოლივუდის მსახიობებისგან განსხვავებით. არც იმგვარი სიძლიერით კაშკაშებენ, არც მათსავით ხანგრძლივად ბრწყინავენ დიდებითმოსილნი. თანამედროვე სამყაროს თავზე კომეტასავით გაიელვებენ და მედიალეგენდად შემორჩებიან ხოლმე. ისიც, ასი ათასიდან ერთი ან ორი მათგანის სახელს თუ შემოინახავს საზოგადოება მეხსიერების ბნელ ხვეულებში. სამაგიეროდ, პუბლიცისტის სიტყვით გამოწვეული რეზონანსი ამახსოვრდებათ ხანგრძლივად. ასეთია ჟურნალისტის პროფესიის ეფემერულობის დიდებულება.

მედია სძულთ და მედია უყვართ

სკამი „ამომავალი მზის“ გამოსახულებით, რომელზეც ჯორჯ ვაშინგტონი იჯდა 1787 წელს კონსტიტუციის კონვენტის დროს, ბენჯამინ ფრანკლინის საზეიმო სიტყვებმა აშშ-ის მომავალი დიდების სიმბოლოდ აქცია. ბოლო დღეს, როდესაც უკანასკნელი დელეგატები ხელს აწერდნენ დოკუმენტს, მხცოვანმა ფრანკლინმა საზეიმოდ განაცხადა: „სხდომის მსვლელობისას, მრავალჯერ შემიხედავს ამ მზისთვის პრეზიდენტის ზურგს უკან ისე, რომ ვერ გამერკვია ამომავალი იყო ის თუ ჩამავალი. მაგრამ საბედნიეროდ, ახლა, ბოლოს და ბოლოს ვიცი, რომ ის ამომავალი მზეა და არა – ჩამავალი“.

პოლიტიკაში სიმბოლოები და კერპები ყოველთვის ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული, რაც ქმნიდა იმ საოცარ ძალას, ერთი ფიგურის, ერთი მოვლენის ნებას რომ უქვემდებარებდა მასებს.

დრო გადის და მით უფრო იხვეწება რთული მექანიზმი, თამაშის ახალი წესები ემატება. ზოგი პროცესი მარტივდება, ზოგი მეტად იხლართება, ზოგიც უცვლელად გადაეცემა ეპოქიდან ეპოქას. იცვლება პოლიტიკური თაობა, იცვლებიან კერპები და სიმბოლოებიც. კვლავ რიტორიკულ კითხვად რჩება – სურს ხალხს არჩევანის თავისუფლება ჰქონდეს? ორიგინალური ფორმულირება მოუძებნეს ამ საკითხს დამფუძნებელმა მამებმა, როდესაც „მართულთა მმართველობა“ დასახეს ახალი სამყაროს ფუნდამენტად. ეს თუ მართლაც ასეა, სად მოვათავსოთ თანამედროვე პოლიტიკური ფიგურები XXI საუკუნის სათამაშო დაფაზე, ანდა როგორ სტილში გავაწყოთ პოლიტიკური სიმბოლოებით „ზეიმი, რომელიც მუდამ ჩვენთან არის“...

პოლიტიკას და ჟურნალისტიკას საუკუნეთა მტერის სუნი ერთნაირად უდის. ისინი, ალბათ, ერთ დღეს ჩაისახნენ და სიამის ტყუპებად ჩამოყალიბდნენ. შეუძლებელია თანამედროვე სამყაროს წარმოდგენა მშფოთვარე პოლიტიკური ამბიციების გარეშე, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს მძლავრი ინფორმაციული ნაკადი.

მაშინაც კი, როდესაც არ არსებობდა სიტყვა „მედია“, იყო ის, რაც მას ცვლიდა და არც თუ ურიგოდ.

ძველ ეგვიპტეში ფარაონი ნამდვილი კერპი იყო. მას ეთაყვანებოდნენ როგორც უზენაეს სუვერენს. თავისთავად, რა თქმა უნდა, კერპად არავინ დაისვამდა ერთ კაცს. ამისთვის გულმოდგინედ მუშაობდა დაინტერესებულ პირთა ჯგუფი. მათთვის სასურველი ფიგურის გაიდეალებას ხელს უწყობდა როგორც ქურუმთა დასი, ასევე სამეფო კარი და არისტოკრატია. სარგებელს ბევრი მათგანი მიიღებდა, მაგრამ ესმოდათ, რომ საჭირო იყო ერთი, პოლიტიკურად ძლიერი ფიგურის წინ წამოწევა და ყველანაირად დაცვა. მის წინაშე ყველანი ქედს იხრიდნენ პატივისცემისა და ერთგულების ნიშნად (ნომინალურად მაინც).

ელ-ამარნის გაშიფრული თიხის ფირფიტების გაცნობა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ფარაონზე, როგორც იმდროინდელ ადამიან-სიმბოლოზე. ამ დიპლომატიურ მიმოწერაში შემონახულია წერილები, სადაც ეგვიპტის მბრძანებლის ადამიანური ბუნება ღვთიურობის ხელშეუხებელ ბურუსშია გახვეული და, ხშირად, პოლიტიკური ზემოქმედების იარაღს ჰგავს. მაგალითად, ქალაქ იაფოს ბუნტის დროს თავისი სისასტიკით ცნობილი სარდალი ჯეჰუტი, რომელმაც ჭურჭელში დამალული ჯარისკაცები ფარულად შეაპარა ქალაქში, თუტმოს III-ის რკინის დიდ კვერთხს ჰაერში მრისხანედ იქნევდა და ამ სიმბოლოს საშუალებით თვალნათლივ წარმოაჩენდა საკუთარ პრივილეგირებულ მდგომარეობას. იგი მეფესა და ქალაქს შორის შუამავალს, ეგვიპტელი მაცნის ლეგენდარულ პირველსახეს განასახიერებდა. სწორედ ფარაონის სიმბოლური გამოხატულება — მისი რკინის კვერთხი მატებდა წონას ჯეჰუტის ბრძანებებს.

ელ-ამარნის დიპლომატიურ მიმოწერებში შემონახულია წერილები, სადაც შუამავალი ფარაონს როგორც ადამიან-სიმბოლოს იმოწმებს თავისი სიტყვების სისწორის დასადასტურებლად. სხვაგან თავად რამზეს II ან ამენჰოტეპ IV იმოწმებენ ღმერთებს საკუთარი თვალსაზრისისთვის მეტი წონის, ან თავიანთი ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად. ასე რომ, არა მხოლოდ ნივთები, არამედ ადამიანებიცა და თვით ღმერთებიც ხშირად გადა-

იქცეოდნენ გარკვეული დატვირთვის მქონე სიმბოლოებად, რომელთაც მნიშვნელოვანი ფუნქციები ენიჭებოდა იმ პერიოდის პოლიტიკური თამაშის მსვლელობაში.

ყოველთვის რთული იყო რაიმე სიახლის ხალხისთვის შეთავაზება და ცხოვრებაში დანერგვა. სკეპტიკურად განწყობილთა რაოდენობა მუდამ ჭარბობდა მომხრეებს რიცხობრივად. სტერეოტიპების მექანიზმი ჯერ კიდევ პირველყოფილ თემურ წყობილებას ახასიათებდა. როდესაც უმიდან შემწვარი ხორცის ჭამაზე გადავიდნენ, ამასაც ეყოლებოდა მოწინააღმდეგეები. ფაქტია, რომ რუსეთში კარტოფილს კარგა ხანს ეჭვის თვალით უყურებდნენ და მეფის ბრძანების მიუხედავადაც არ სურდათ მისი მირთმევა. და მაინც, თაობები იცვლებოდა და თავის კვალს ტოვებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ცნობილია, რომ თვით საფრანგეთის ხელმწიფეს ქვეყნის სიძლიერისა და როიალიზმის აყვავების პერიოდშიც არ შეეძლო უბრალოდ ბრძანებით შემოეღო რაიმე სიახლე. ამას თან ახლდა საზოგადოების, საზოგადოებრივი აზრის, ხალხის შემზადება მოსალოდნელი თუ მიმდინარე ღონისძიების „რევოლუციური" შედეგისათვის. რიშელიეს, როგორც სახელმწიფოს მმართველის გენიალურობა სწორედ ისაა, რომ მან მოძებნა საკუთარი ნებისმიერი იდეის განხორციელებისთვის ხელშემწყობი საშუალება – მასაზე პრესით ზემოქმედება, ფარულ აგენტთა სისტემით ხალხის ჭეშმარიტი გულისთქმის გაგება და მისთვის სასურველი აზრის გავრცელება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამართლების მოძებნა იმ სიახლეების ცხოვრებაში გატარებისათვის, მისი შორსმჭვრეტელი გონება რომ შეიმუშავებდა. ზოგჯერ იგი თავად წერდა პამფლეტებს საკუთარ თავზე, რითიც მასაზე მანიპულირებდა. მთელი აქტიური პოლიტიკური ცხოვრების განმავლობაში, არმან ჟან დიუ პლესი კარდინალი რიშელიე უზენაესი მმართველის, საფრანგეთის ხელმწიფის ვასალად წარმოაჩენდა თავს, მის ჩრდილქვეშ კი თავის პროგრესულ იდეებს ახორციელებდა. ლუდოვიკო XIII პოლიტიკური სიმბოლო და ნომინალური ხელისუფალი იყო მხოლოდ ამ ენერგიული, გონიერი ადამიანის ხელში. ახალ მონარქს კი ისეთი პოლიტიკური

მემკვიდრეობა დაუტოვა პრემიერ-მინისტრმა, რომ მეფე-მზის კერპი წარმოქმნა ლუი XIV-ის სახით.

კარდინალ რიშელიესა და ბისმარკს საერთო ისა აქვთ, რომ ორივე ეკუთვნის უცხოელ სახელმწიფო მოღვაწეთა იმ ვიწრო ჯგუფს, მათი ქვეყნის ფარგლებს იქით საშუალო განათლების მქონე ადამიანებიც რომ იცნობენ. მიზეზი დამაფიქრებელია.

რიშელიემ თავად საკმაოდ იზრუნა სიკვდილის შემდეგ საკუთარი რეპუტაციის უკვდავსაყოფად. მან ყველაფერი მოიმოქმედა, რათა შემდგომ თაობებს მისი სახელი და მიღწევები სცოდნოდათ. და მაინც, დღემდე მისი პიროვნება ბოროტმოქმედის იმიჯს უფრო ირგებს, ვიდრე გმირისას. მაკიაველთან სულიერი ნათესაობა აკავშირებს: სატანა და ღვთისმსახური ერთ სხეულში. ამ პარადოქსის მიზეზი ისაა, რომ რიშელიეს დღევანდელი პოპულარობა მხატვრულ ლიტერატურას უკავშირდება და არა – ისტორიას. თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, ალექსანდრე დიუმას „შავ პიარს“ ემსხვერპლა კარდინალის პოლიტიკური დამსახურებები.

ისტორიის გაკვეთილებს თუ გადავხედავთ, მარტივ კანონზომიერებას აღმოვაჩენთ – ცუდი სიახლე ყოველთვის ჯაბნიდა ნაცად, თუნდაც აშკარად კარგ ძველს. ისიც ფაქტია, რომ უმეტეს შემთხვევაში ამას არ მოჰქონდა სასურველი შედეგი, ნოვატორები რომ წინასწარ სახავდნენ, მაგრამ „ეს განწირული სულისკვეთება“ პროგრესს ნამდვილად ხელს უწყობდა. საბოლოო ჯამში, ამ ყველაფერს ღირებული შედეგიც მოსდევდა, როდესაც რომელიმე გენიალური, პოლიტიკური ძალაუფლების მქონე პიროვნებისთვის ობიექტური სინამდვილე დაემთხვეოდა მის სუბიექტურ მიზნებს სამშობლოსა თუ კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

დროთა განმავლობაში გამორჩენილ ადამიანთა ხატებანი იდეალიზირდება. დესპოტისგან, არც თუ იშვიათად, გამოიძერწება „პროგრესისა და ცივილიზაციის მმართველი ძალა“: პეტრე I, რობესპიერი, ბისმარკი, ნაპოლეონი, ფრანკო – ეს სია, რა თქმა უნდა, მეტად ვრცელია.

ისტორიას საოცარი ძალა შესწევს. მას ერთადერთს შეუძლია სტერეოტიპის დანგრევა და პიროვნებისთვის ახალი იმიჯის შექმნა მისი ღვაწლის გადაფასების საფუძველზე.

დღეს დავით IV-ს აღმაშენებელი ეწოდება და ყოველი ქართველის პატივისცემას იმსახურებს იმ ღვაწლის გამო, ქვეყნის წინაშე რომ გასწია, თანამედროვეებში კი ბევრი ჰყავდა უკმაყოფილო. ისტორიკოსთა შორის არსებობს სადაო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მეფე სულაც არ იყო პოპულარული ხალხის მასებშიც. დღეს კარგად ვიცით რის გამოა დავით აღმაშენებელი ერთ-ერთი უდიდესი ქართველი მეფე და მისი ეპოქის უძლიერესი, პროგრესულად მოაზროვნე პოლიტიკური ფიგურა.

არც მთა ცივზე მოწყობილი ურჩი დიდებულების ხოცვა-ჟლეტის ფაქტი მოსავს შარავანდედით გიორგი ბრწყინვალის პიროვნებას; მაგრამ ასეთი თვალთახედვა პრიმიტიულია. დრომ ყველაფერი თავის ადგილას დაალაგა, ყველას დამსახურების მიხედვით მიეზღო. ქართლის მეფის ლუარსაბის შემყურე გიორგი სააკაძე, ალბათ, არაერთხელ ინატრებდა აღმაშენებელს თავის ერთპიროვნულ ხელმწიფე-მბრძანებლად. დავით აღმაშენებელი საქართველოს ზეობის ადამიან-სიმბოლოდ გადაიქცა.

ძველად ამ პროცესს ისტორიის სამსჯავრო წარმართავდა. დღევანდელ ტემპებს ფინიშამდე, ალბათ, მხოლოდ მობილიზებული, კარგად გამოწვრთნილი, უნარიანი და განათლებული ჟურნალისტური ელიტა გაუძლებს.

გიორგი სააკაძემ ხელმწიფე-სიმბოლოს შექმნა სცადა თეიმურაზისგან, მაგრამ მირონცხებულმა ვერ გამოავლინა სათანადო პოლიტიკური გამჭრიახობა და ყველაფერი საქართველოს მორიგი ისტორიულ-პოლიტიკური სირცხვილით — ბაზალეთის ბრძოლით დასრულდა. სააკაძეს ჰქონდა სამხედრო ძალაუფლება და პოლიტიკური ამბიციებიც საკმაოდ გააჩნდა; მაგრამ მან იცოდა, რომ უბრალო აზნაურს ხელმწიფედ ვერ იგუებდა ვერც თავადაზნაურობა და, საბოლოო ჯამში, არც საქართველო. ამ გენიალურ პოლიტიკურ გონებას ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ესმოდა პოლიტიკური სიმბოლოს აუცილებლობა ქვეყნისთვის. სამწუხაროდ, თეიმურაზი არ გამოდგა არც დავით აღმაშენებელი, არც ქეთევან დედოფალი. მისი მხრიდან პოლიტიკური ორჭოფობა და სიმხდალე გახდა ერთ-ერთი გადამწყვეტი მიზეზი საქართველოს შემდგომი ბედისა.

სამაგიეროდ, გიორგი სააკაძე პოლიტიკურ სიმბოლოდ საუკუნეთა შემდგომ, მეორე მსოფლიო ომის მძიმე წლებშიც ახალი ძალით ამობრწყინდა. ამჯერად, იმდროინდელმა ხელისუფლებამ გამოიყენა ისტორიული ფიგურა, რომელიც კინოგმირის სახით ხალხის მასებში იმედსა და შემართებას ნერგავდა. 1942 წელი კრიტიკული გახლდათ. თუნდაც ის ხმები, რომ ფილმ „გიორგი სააკაძეს" მტრის ზურგში აგზავნიდნენ, რათა გერმანელებს საკუთარი თვალით ენახათ როგორი მეომრები იყვნენ ქართველები უწინ და როგორ გაუმკლავდებოდნენ მომხდურთ დღეს, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებრივი აზრის იმგვარი კუთხით ფორმირებისთვის, როგორც ეს იმ დროს, იმ პერიოდს ესაჭიროებოდა.

ასე რომ, ადამიანი-სიმბოლო არამხოლოდ ისტორიას შემორჩება, არამედ ზოგჯერ ხელახლა გამოდის პოლიტიკურ დაფაზე და დედოფლად ქცეული პაიკის მსგავსად, ხელმეორედ იძენს აქტუალურობას გარკვეული დროის განმავლობაში.

ადამიანი-სიმბოლოები მედიასაც ეცვლება. ადრე თუ მარკ ტვენი, ჰემინგუეი, ჯორჯ ორუელი და მსგავსი „სისხლით ჟურნალისტები" გვესახებოდნენ ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პროფესიის წარმომადგენლებად, მოგვიანებით ეს ფუნქცია ჟურნალისტიკის ისეთ მაგნატებს გადაეცათ, როგორიცაა რუპერტ მერდოკი, რობერტ მაქსველი, ტედ ტერნერი, რიჩარდ დესმონდი და მათი მსგავსნი. სასურველია ეს თუ არა, განსხვავებული ტენდენცია მჟღავნდება ამ მოვლენის მიღმა. ბუნებრივია, ცვლილებები გავლენას ახდენს მედიისა და პოლიტიკური სამყაროს ურთიერთობაზე.

ზოგჯერ აკვირდები აშშ-ში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს და ძნელია დანამდვილებით თქვა, ვინ ვის მართავს, ვინ ვის იყენებს და ათამაშებს თავის ნებაზე – მედია პოლიტიკოსებს თუ პირიქით. იქნებ, ეს ორი ხელისუფლება ფარულად გაერთიანდა ერთმანეთის ხელშესაწყობად მეტი ძალაუფლების მოპოვების მიზნით?

აშშ-ის „კოლონიურ" ბუნებას ბოლო მოეღო იმ დღეს, როდესაც „ბოსტონ ნიუსლეთერმა" დღის სინათლე იხილა. მრავალი ნაკლოვანი მხარისა და სირთულის მიუხედავად, სწორედ მაშინ დაიბადა ამერიკული დემოკრატია და საფუძველი ჩაეყარა მის სა-

ხელმწიფოებრიობას. დამფუძნებელი მამები პრესას კეთილი თვალით უყურებდნენ და მათი უმეტესობა აქტიურადაც თანამშრომლობდა პერიოდულ გამოცემებთან.

„ფედერალისტური ჩანაწერები“ დღემდე წარმოადგენს ყველაზე ავტორიტეტულ კომენტარს ამერიკის კონსტიტუციის შესახებ. თომას ჯეფერსონის თქმით, ეს ნაშრომი „საუკეთესოა მმართველობის პრინციპების შესახებ შექმნილ კომენტარებს შორის“. იგი ისეთ დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს, მეცნიერებასა და მმართველობაში დაგროვილი მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად შეიქმნა. სინამდვილეში, ეს ნაშრომი ორი ახალგაზრდა კაცის ქმნილებაა: 32 წლის ნიუ-იორკელი ალექსანდრე ჰამილტონისა და 36 წლის ვირჯინიელი ჯეიმს მედისონის. ისინი ძალიან სწრაფად წერდნენ, ხანდახან კვირაში ოთხ ნარკვევსაც კი. ჯონ ჯეიმ, რომელიც ასაკით მათზე ბევრად უფროსი იყო, ხუთი წერილი შემატა კრებულს.

ჰამილტონმა, რომელიც რევოლუციის დროს ვაშინგტონის ადიუტანტი იყო, მედისონს და ჯეის თანადგომა სთხოვა ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში. მათი მიზანი იყო ნიუ-იორკის კონვენტის დარწმუნება კონსტიტუციის პროექტის რატიფიკაციის აუცილებლობაში. ეს მეტად აქტუალური გახლდათ, რადგან თუ ნიუ-იორკი, როგორც მთავარი შტატი, უარს იტყოდა რატიფიკაციაზე, კონსტიტუციის ძალაში შესვლა შეფერხდებოდა და უმნიშვნელოვანესი წამოწყება ჩაიშლებოდა. ნიუ-იორკის გუბერნატორმა ჯორჯ ქლინთონმა უფრო ადრეც გამოხატა თავისი ოპოზიციური დამოკიდებულება. საჭირო იყო ქმედება.

კონსტიტუციის პროექტის მხარდასაჭერად, ჰამილტონმა, მედისონმა და ჯეიმ ცალ-ცალკე შექმნეს წერილების სერია ნიუ-იორკის გაზეთებისთვის საერთო ფსევდონიმით „პუბლიუსი“. ამ წერილებში მათ განმარტეს და დაიცვეს აშშ-ის კონსტიტუცია.

იდეის ავტორმა ჰამილტონმა დასახა განსახილველი თემების თანმიმდევრობა და ენერგიულად გაშალა ისინი თავის 51 წერილში. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი გამოდგა მედისონის 29 წერილი – გამორჩეული თავისი პირდაპირობით, ზომიერებითა და დამაჯერებლობით. არავინ იცის დანამდვილებით, მართლა ითამაშა

თუ არა გადამწყვეტი როლი „ფედერალისტურმა ჩანაწერებმა“ იმაში, რომ ნიუ-იორკმა ბოლოს და ბოლოს თანხმობა განაცხადა კონსტიტუციის რატიფიკაციაზე. თუმცა ეს იყო ერთ-ერთი პირველი მძლავრი თანამშრომლობა პრესისა და პოლიტიკისა ამერიკის ისტორიაში. დღეს „ფედერალისტურ ჩანაწერებს“ ადარებენ პლატონის „რესპუბლიკას“, არისტოტელეს „პოლიტიკას“ და ჰობსის „ლევიათანს“. ამ დოკუმენტში ჯეიმს მედისონმა რიტორიკული კითხვა დასვა: „განა თვით მთავრობა არ არის უდიდესი ჩრდილი ადამიანის ბუნებაზე? ადამიანები რომ ანგელოზები ყოფილიყვნენ, მთავრობა აღარ დასჭირდებოდათ. ანგელოზებისთვის რომ მიენდოთ ადამიანთა მართვა, მთავრობაზე გარე და შიდა კონტროლის აუცილებლობაც აღარ იარსებებდა“.

მედიისა და პოლიტიკოსის წარმატებული თანამშრომლობის შედეგად იქმნება ადამიანი-სიმბოლო, რომელიც კონკრეტულ იდეას გამოხატავს მასის ცნობიერებაში და უკავშირდება საზოგადოების ამა თუ იმ მწვავე პრობლემას, ინტერესს. ამავე დროს, კონკრეტული იდეა ბოლომდე გაშიფრული არ უნდა იყოს და, გარკვეულწილად, ბუნდოვანიც დარჩეს. ეს პოლიტიკოსს და, მასთან ერთად, მისი ხატის, სიმბოლოს შემქმნელებს იდეის ფარგლებში მანევრირების საშუალებას უტოვებს.

პოლიტიკური ფიგურის პოპულარობას ფაქტებითა და მოვლენებით ძირგამაგრებული მომხიბლავი იდეა განსაზღვრავს. მის მხარდასაჭერად, „თავისუფლების“, „ჰუმანურობის“, „კეთილდღეობისა“ თუ მისთ. დროშით ხალხის დარაზმვას ჟურნალისტური კორპუსი წარმართავს.

მედიისადმი პირადი დამოკიდებულების მიუხედავად, ნებისმიერი პოლიტიკოსი გრძნობს, რომ მისი ხანგრძლივი პოლიტიკური არსებობა სწორედ მეოთხე ხელისუფლებად მონათლულ სტრუქტურაზეა დამოკიდებული. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ პოლიტიკოსები თანახმანი არიან ყველა ხერხითა თუ საშუალებით უფრო მეტი საეთერო დრო და საგაზეთო სივრცე მოიპოვონ, თუნდაც ზოგჯერ „არასახარბიელო“ კუთხითაც კი გამოჩნდნენ.

როცა მედია გივიწყებს, ხალხის მეხსიერებასაც ბინდი ედება. მოსახლეობის – პოტენციური ელექტორატის გონებაში პოლი-

ტიკური სიმბოლოს ჩანერგვა და შემდგომ მისი საფუძვლის გამყარება სწორედ ტელევიზიის, რადიოსა და პრესის ექსკლუზიური შესაძლებლობაა. ამიტომ, „მედია სძულთ და, მედია უყვართ" პოლიტიკოსებს.

მედიის ეფექტურობა, გარკვეული აზრით, ამოუცნობ ფაქტორებზეა დამყარებული. დღეს საქართველოს მთელი მოსახლეობა, დიდი თუ პატარა პოლიტიზირებულია, საკმაოდ კარგად ერკვევა მიმდინარე პროცესებში; ხვდება, ვინ ატყუებს და სიმართლეს უმალავს, ვინ – გულწრფელია და პირუთვნელი. და მაინც, ტელევიზიას მაყურებელი არ აკლდება, გაზეთს კი – მკითხველი.

მედია იყენებს ხელოვნების ყველა დარგს (კინოს, მხატვრობას, არქიტექტურას, მუსიკას, ლიტერატურას, სხვ.) და მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი უნივერსალური საშუალებებით ქმნის პოლიტიკურ დაფაზე მოთამაშე ფიგურებს – თვალისმომჭრელი იდეის არეალში გახვეულ ადამიან-სიმბოლოებს.

ორი საუკუნის ორი პარასკევი

ცნობილი პოლიტიკური ცრურწმენის მიხედვით, ამერიკელ პრეზიდენტთა გრძელ რიგს ოც წელიწადში ერთხელ ვადაზე ადრე აკლდება წევრები. უილიამ ჰენრი ჰარისონი, ზაქარი ტეილორი, აბრაამ ლინკოლნი, ჯეიმს გარფილდი, უილიამ მაკ-კინლი, უორენ გ. ჰარდინგი, ფრანკლინ დ. რუზველტი, ჯონ ფ. კენედი მიზეზთა გამო ჯერ კიდევ თანამდებობაზე ყოფნისას გარდაიცვალნენ (გასათვალისწინებელია, რომ ზაქარი ტეილორი „დაწყევლილ წელს" არ აურჩევიათ პრეზიდენტად და მკვლელობის მცდელობა სხვა პრეზიდენტებზეც არაერთხელ განხორციელებულა, თუმცა უშედეგოდ). წინამორბედთა ბედი უნდა გაეზიარებინა, მაგრამ სასწაულით შეინარჩუნა სიცოცხლე რონალდ რეიგანმა. ბნელ სიაში შემდეგი ჯორჯ ბუში-უმცროსი იყო, თუმცა ხუყველა თავდასხმას უბრალო ნაკაწრის გარეშე გადაურჩა.

როცა „ნულიანი წელიწადის წყევლამ" ბოლო ორ პოტენციურ მსხვერპლზე არ გაჭრა, ხალხის ცნობისმოყვარეობა შედარებით მინელდა 1931 წლიდან აგორებული ლეგენდისადმი. ზოგმა გადაწყვიტა, რომ ინდიელის წყევლა მხოლოდ შვიდ თაობაზე გადადიოდა. შესაბამისად, ჰარისონის, ლინკოლნის, გარფილდის, მაკკინლის, ჰარდინგის, რუზველტისა და კენედის სიკვდილით უნდა დასრულებულიყო. სხვებმა ჩათვალეს, რომ XIX საუკუნეში სასიკვდილოდ მიჩნეული ჭრილობისგან XX საუკუნის ექიმების მიერ რეიგანის გამოჯანმრთელებამ წყევლის ძალა შეასუსტა ან გააუვნებელყო მომდევნო პრეზიდენტებისთვის. ამ უკანასკნელი ვერსიის დასტურად მიიჩნიეს უმცროსი ბუშის მიერ ორივე საპრეზიდენტო ვადის ლეტალური შედეგის გარეშე დასრულება. ბოროტი ბედისწერის ნამდვილად არ გვჯერა, მაგრამ ეს ოდნავაც არ ანელებს ინტერესს ისტორიული ფაქტებისადმი.

პრეზიდენტთა წყევლა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები ტეკუმსეს („კომეტის" ან „ზეციური პანტერის") სახელს უკავშირდება, თუმცა გაზეთ „ბალტიმორ სანის" 1980

წლის 2 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაციის მიხედვით, შეერთებული შტატების მხედართმთავართა სიკვდილის მსურველი უშუალოდ მისი უმცროსი ძმა, შამანი ტენსკვატავა („ღია კარი“ ან „პირღია“) იყო. მდინარე ოჰაიოს ჩრდილოეთით მცხოვრები შაუნის ტომის ბელადი ტეკუმსე მათი მიწების მიმტაცებელი ამერიკელი კოლონისტებისგან ცდილობდა საკუთარი ხალხის უფლებების დაცვას. ამ მიზნის მისაღწევად ბოლოს იგი ბრიტანელებთან გარიგებასა და მოკავშირეობაზეც კი წავიდა.

1811 წელს ამერიკულმა სამხედრო ექსპედიციამ ინდიანის ტერიტორიის გუბერნატორ ჰარისონის მეთაურობით ინდიელთა საომარი ძალები გაანადგურა სოფელ ტიპეკანუში („წინასწარმეტყველის ქალაქში“, როგორც მას თეთრკანიანები ეძახდნენ) მომხდარი შეტაკებისას. ტეკუმსე ამ დროს მოლაპარაკებებს აწარმოებდა სამხრეთის ტომებთან დიდი გაერთიანების თაობაზე. უფროსი ძმისგან ფარულად პროვოცირებულ ბრძოლას ტენსკვატავა მეთაურობდა. ორსაათიანმა შერკინებამ სამუდამოდ დაასამარა ტეკუმსეს ოცნება ინდიელთა ტომების ალიანსზე მომხდურთა წინააღმდეგ. ლეგენდის მიხედვით, სწორედ ტიპეკანუს ბრძოლის გმირმა, უილიამ ჰენრი ჰარისონმა დაუდო სათავე საბედისწერო მსხვერპლთა რიგს. ასე გახდა იგი პირველი პრეზიდენტი ამერიკის ისტორიაში, ვინც პოსტზე ყოფნისას გარდაიცვალა.

რეიგანამდე ჰარისონი ითვლებოდა ყველაზე ხნიერ პრეზიდენტად თანამდებობის დაკავების მომენტში. იგი ფილტვების ანთებამ იმსხვერპლა ინაუგურაციიდან ოცდამეთორმეტე დღეს. ასე მოიპოვა „ერთი თვით პრეზიდენტის“ ტიტული. თავსხმა წვიმაში თავდაუფარავად რამდენიმესაათიანი, აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, საეჭვოა, მხოლოდ შამანის წყევლის გამო დამართოდა პნევმონია მხცოვან ადამიანს. ბაბუის მწარე გამოცდილება ამერიკის 23-ე პრეზიდენტმა გაითვალისწინა. ბენჯამინ ჰარისონს მის უკან მდგარი ქოლგიანი გროვერ კლივლენდი იცავდა ავდრისგან, ხოლო საინაუგურაციო სიტყვა წინაპარზე გაცილებით მოკლე მოამზადა.

ზაქარი ტეილორი პირველი პროფესიონალი სამხედროა, რომელიც თეთრ სახლში მოხვდა. 1847 წელს ბუენო-ვისტასთან მოპოვებულმა გამარჯვებამ იგი ჯერ ეროვნულ გმირად აქცია, მოგვი-

ანებით კი პრეზიდენტის სკამის მოპოვებაში შეუწყო ხელი. მის გარდაცვალებას წინ უსწრებდა ცხარე დებატები მონათმფლობელურ და თავისუფალ შტატებს შორის. ტეილორის მოულოდნელი სიკვდილი იმდენად ხელსაყრელი იყო ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ერთობის მომხრეთათვის, რომ მაშინვე აგორდა ჭორი პრეზიდენტის მოწამვლის შესახებ. ხმები არ ცხრებოდა და ამიტომ 1891 წელს იძულებულნი გახდნენ გვამის ექსჰუმაცია მოეხდინათ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ სიკვდილის მიზეზი ნამდვილად ნაწლავების ანთება გახდა.

ბედისწერამ ამერიკის მეოცე პრეზიდენტს ტრაგიკული აღსასრული არგუნა. 1881 წლის ცხელი ზაფხულის 2 ივლისს ჯეიმს გარფილდი თავის ორ ვაჟიშვილსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ჯეიმს ბლეინთან ერთად ვაშინგტონიდან პენსილვანიაში მიმავალი მატარებლის ბაქანზე იმყოფებოდა, როდესაც სასიკვდილოდ დაჭრა ფსიქიურად გაუწონასწორებელმა ჩარლზ გიტომ. თუმცა დაჭრილ პრეზიდენტს ექიმების დაუდევრობამ მოუღო ბოლო. ადამიანის ამერიკული იდეალის განსახიერება, ჯეიმს გარფილდი ენერგიული, ინტელექტუალური პიროვნება იყო, რომელმაც ობლობასა და სიღარიბეს განათლების წყალობით დააღწია თავი. მისი უკომპრომისო პრინციპულობა, როგორც ჩანს, ბევრს არ ეხატებოდა გულზე. რეფორმატორმა პრეზიდენტმა ვერცერთი თავისი კეთილშობილური ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოასწრო, რადგან ინაუგურაციიდან რამდენიმე თვეში გარდაიცვალა.

ოცი წლის თავზე ახალი ტრაგედია დატრიალდა. პანამერიკულ გამოფენასთან დაკავშირებით ბუფალოს მოოქროვილ მუსიკის ტაძარში გამართულ მიღებაზე სტუმრებს შორის მიმალულმა ანარქისტმა ალფრედ ნიმანმა (ნამდვილი სახელი — ლეონ ფრანკ ჩოლგოში) რევოლვერით მძიმედ დაჭრა პრეზიდენტი უილიამ მაკ-კინლი, რომელიც ცხრა დღის შემდეგ განგრენით გარდაიცვალა. ასე დასრულდა ულიმღამო პრეზიდენტების ეპოქა ამერიკულ „ოქროს საუკუნეში".

ფერმერისა და ჰომეოპათის ვაჟიშვილი, უორენ ჰარდინგი სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, ერთხანს ოჰაიოს შტატში ერთ-ერთი პოპულარული გაზეთის „მარიონ სთარის" გამომცემელი და თანამფლობელი იყო. იგი 57 წლის ასაკში გარდაიცვალა სან-ფრანცის-

კოში, როგორც ვარაუდობენ, აპოპლექსური შეტევით. მისი სახელი ამერიკის ისტორიაში მომხდარ ერთ-ერთ უდიდეს – თიფოთ-დოუმის სკანდალს უკავშირდება. საინაუგურაციო სიტყვაში ჰარდინგი ამერიკელ ხალხს „რეკონსტრუქციას, რეადაპტაციასა და რესტავრაციას" დაჰპირდა, ორი წლის შემდეგ კი მთავრობაში ღრმად ფესვგადგმული კორუფცია დაუტოვა.

პოლიომიელიტის შედეგად ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვული ფრანკლინ დელანო რუზველტი, უმრავლესობის აღიარებით, მეოცე საუკუნის ამერიკის ყველაზე გამოჩენილი პოლიტიკოსია. იგი ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა ჯერ კიდევ თანამდებობაზე ყოფნისას, მაგრამ ყველა პრეზიდენტზე დიდხანს დაჰყო თეთრ სახლში. მის მიერ პრეზიდენტის სავარძელში გატარებული 12 წელიწადი ნაყოფიერი და უმნიშვნელოვანესი იყო როგორც აშშ-ის, ასევე მსოფლიოს ისტორიისთვის.

განსაკუთრებულია აბრაამ ლინკოლნისა და ჯონ ფიცჯერალდ კენედის ბედი. მათი სიკვდილის ისტორიები დღესაც ისეთივე ყურადღების საგანია, როგორც ტრაგედიების პირველ დღეებში. დაიწერა უამრავი წიგნი და გამოკვლევა, ჩატარდა ოფიციალური და კერძო გამოძიებები, გადაიღეს არაერთი დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმი. ყველაფრის მიუხედავად, სიმართლე ჯერაც საიდუმლოებითაა მოცული.

ეს ორი ადამიანი ერთმანეთს არაფრით ჰგავდა. მით უფრო საყურადღებოა მათი ცხოვრებისა და გარდაცვალების ფაქტებს შორის არსებული პარალელები.

აბრაამ ლინკოლნი 1861 წელს შევიდა თეთრ სახლში, ჯონ კენედი – 1961 წელს.

ორივე პრეზიდენტი პარასკევ დღეს მოკლეს.

მათ შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტები ავტომატურად გახდნენ ვიცე-პრეზიდენტები: ერთმანეთის მოგვარე ენდრიუ ჯონსონი და ლინდონ ჯონსონი.

კიდევ ერთი უცნაური ფაქტი: აბრაამ ლინკოლნის მდივანი ქალი გვარად კენედი იყო, ჯონ კენედის მდივანი კი – ლინკოლნი.

ორივე პრეზიდენტი გრძნობდა მოსალოდნელ აღსასრულს. ამის თაობაზე სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე მათ წინასწარმეტყველურად აღნიშნეს კიდეც კერძო საუბარში.

თეთრი სახლის ერთ-ერთი მცველის, უილიამ კრუკის ცნობას თუ ვენდობით, 14 აპრილს დღისით, როცა სამხედრო სამინისტროში მიდიოდნენ, ლინკოლნმა უთხრა: „კრუკ, როგორც იცით, ჩემი სიკვდილის მოსურნეები არსებობენ და ისინი, ეჭვიც არ მეპარება, თავისას მიაღწევენ". სამხედრო სამინისტროში პრეზიდენტი სწორედ იმ მიზნით მივიდა, რომ საიმედო მეგზური შეერჩია იმ საღამოს თეატრ „ფორდში" კომედიაზე დასასწრებად. მაიორი ტომას ეკერტი, ლინკოლნის უდიდესი სურვილის მიუხედავად, სამხედრო მინისტრმა, ედვინ სტენტონმა არ გააყოლა. შეიძლება ითქვას, ეს საბედისწერო უარი აღმოჩნდა.

22 ნოემბრის დილას, დალასში გაფრენამდე, ჯონ კენედიმ მეუღლესთან და თავის თანაშემწე კენეტ ო'დონელთან ერთად ისაუზმა. ამ დროს ისინი საუბრობდნენ იმ საფრთხის თაობაზე, რომელიც პრეზიდენტს ემუქრებოდა საჯარო გამოსვლების დროს. საუბრისას კენედის უთქვამს: „ვინმეს მართლა რომ მოუნდეს ამერიკის პრეზიდენტის მოკვლა, არ გაუჭირდება. აძვრება მაღალ შენობაზე, თან წაიღებს ოპტიკურ შაშხანას და მამაზეციერი ველარ შეუშლის ხელს ჩანაფიქრის აღსრულებაში". პრეზიდენტი ვერ წარმოიდგენდა, რა ახლოს იყო სიმართლესთან. დღესაც უცნობია, რატომ დართო აშშ-ის საიდუმლო სამსახურმა ნება კენედის თავლია მანქანით წამოსულიყო აეროპორტიდან მისდამი აგრესიულად განწყობილ ქალაქში.

ლინკოლნი ამერიკის პირველი პრეზიდენტია, რომელზეც თავდასხმა განხორციელდა. კენედი ჯერჯერობით უკანასკნელია, მკვლელის ხელმა რომ იმსხვერპლა.

1865 წლის 14 აპრილი.

1963 წლის 22 ნოემბერი.

ორი პარასკევი, რომელთაც საუკუნე აშორებს.

ორი იდუმალებით მოცული ტრაგედია.

სასიკვდილოდ დაჭრილი პრეზიდენტების სიცოცხლის გადასარჩენად ჯერ კიდევ იბრძოდნენ ექიმები, როცა პირველი მოკვლევები და მკვლელთა დაკავებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება დაიწყო. არც მაშინ და არც მოგვიანებით წარმოებულმა სპეციალურმა გამოძიებებმა, მოწმეთა დაკითხვებმა მოჰფინა ნათელი მომხდარს. პირიქით, თითქოს, ყოველი ქმედება სულ უფრო

ბუნდოვანს ხდიდა ისედაც ბურუსით მოცულ შემთხვევას.

დოკუმენტებში შემონახულია არაერთი საინტერესო ცნობა საინფორმაციო საშუალებების აქტიურობისა თუ პასიურობის შესახებ მკვლელობათა განხორციელებამდე და შემდგომ. დღეს მედიას გაცილებით მეტი შესაძლებლობა, უფლება-მოვალეობა და უნარი გააჩნია ვიდრე ნახევარი საუკუნის თუ საუკუნენახევრის წინათ. ძნელი წარმოსადგენია, როგორ გააშუქებს ანდა — რა როლს შეასრულებს თანამედროვე მედია მსგავსი პოლიტიკური მკვლელობის შემთხვევაში. გარკვეული ვარაუდის საშუალებას გვაძლევს პრინცესა დაიანას ტრაგიკული დაღუპვის ფაქტზე დაფიქრება. ბევრი ისაუბრეს, წერეს, იკითხეს, თითქოს საჭირო დოკუმენტებიც ამოქექეს; ხან პაპარაცები დაადანაშაულეს, ხან ჟურნალისტებმა თავად დასდეს ბრალი. შედეგად კი უპასუხოდ დარჩენილი კითხვები შეგვრჩა ხელთ. ახლა უკვე სულერთია შეკვეთილი ტრაგედია იყო თუ შემთხვევითი. თუმცა, ამასაც ვერასდროს გავიგებთ ალბათ.

დღევანდელი გადასახედიდან, თითქოს, დაკარგულია ყოველგვარი იმედი, რომ ოდესმე სიმართლეს დავადგენთ ლინკოლნისა და კენედის მკვლელობებთან დაკავშირებით. დრო გადის და სამხილებს ისეთი სქელი მტვერი ედება, ექსპერტიც ველარაფერს გაარკვევს. ამ ფონზე ყველაზე მეტად ისევ ისტორიული გამოცდილების იმედად თუ ვიქნებით.

ლინკოლნის ეპოქაში პრესა და ტელეგრაფი არსებობდა, კენედის დროს — მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა უფრო ფართო არსენალი. მიუხედავად ამისა, დღემდე აუხსნელია მკვლელობებთან დაკავშირებული რიგი უზუსტობები ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით.

1865 წლის 9 მაისს ვაშინგტონში მუშაობა დაიწყო სამხედრო ტრიბუნალმა. არსენალის ციხის ძველ შენობაში დაკითხულ მოწმეთა შორის აღსანიშნავია სენფორდ კონოვერის ჩვენება. ეს კაცი ჯერ კონფედერაციის ჯარში მსახურობდა, მერე ჩრდილოეთში გაიქცა. მისი მტკიცებით, გაზეთ „ნიუ-იორკ ტრიბუნის“ კორესპონდენტის სტატუსით, იგი შეხვდა რამდენიმე აგენტსა და დივერსანტს სამხრეთიდან. დაკითხვისას კონოვერმა აღნიშნა, რომ 1865 წლის თებერვალში მან შეიტყო პრეზიდენტის მოკვლის გეგმის შესახებ და მაშინვე თავის გაზეთს აცნობა. ამ შემთხვევაში, დაუ-

ჯერებელია გაზეთის რედაქციას არ გაეგზავნა ხელისუფლებისათვის მის ხელთ არსებული ინფორმაცია. ასეთ დეტალებს კომისია არ ჩასძიებია. სამხედრო ტრიბუნალი დაკმაყოფილდა რვა მსჯავრდებულისთვის განაჩენის გამოტანით.

მალე პრესის ფურცლებზე გაჩნდა ვარაუდი, რომ დაისაჯნენ მხოლოდ აღმსრულებლები, ხოლო ორგანიზატორებს მართლმსაჯულების ხელი არ შეეხოთ. ამის თაობაზე კონგრესშიც ალაპარაკდნენ და ხალხშიც.

ჯვარედინი დაკითხვებისას ახალი ფაქტები გამომზეურდა. ბრალდების მოწმეები მეტად საეჭვო წარსულის პიროვნებები აღმოჩნდნენ, რომელთა სიტყვასაც ფასი არ ჰქონდა. სენფორდ კონოვერი არამარტო ცრუჩვენებათა მიცემაში ამხილეს, არამედ სხვების შეგულიანებაშიც — მისთვის მიებაძათ. საბოლოოდ, ჩარლზ დენჰემს (რაც კონოვერის ნამდვილი სახელი აღმოჩნდა) ათი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა ამერიკის ხელისუფლებამ. ძნელი სათქმელია სამართლიანობის სახელით თუ ყბედი კორესპონდენტის დროებით გაჩუმების მიზნით მოხდა ასე. კონოვერის უპატიოსნობა ნებისმიერ შემთხვევაში იძლეოდა მისი დასჯის კანონიერ საფუძველს.

ბევრად უფრო საინტერესოა XIX საუკუნის ამერიკულ პრესასთან დაკავშირებით არსებული ზოგიერთი ფაქტი. ქვეყნის რამდენიმე რეგიონში ლინკოლნის მკვლელობის შესახებ ბევრად უფრო ადრე შეიტყვეს, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო ვაშინგტონიდან გავრცელებული ინფორმაციის წყალობით.

მინესოტას შტატის ერთ-ერთ პატარა ქალაქ სენტ-ჯოზეფში ტელეგრაფიც კი არ არსებობდა, მაგრამ ამის მიუხედავად, უკვე 14 აპრილს გავრცელდა ცნობა პრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ.

მსგავსი სიტუაცია განმეორდა ქალაქ მანჩესტერშიც (ნიუჰემპშირის შტატი).

მიდლტაუნში (ნიუ-იორკის შტატი) გამომავალმა გაზეთმა „ვიგმა“ კი ყველას დაასწრო და 14 აპრილს დღის მეორე ნახევარში უკვე დაბეჭდა სენსაციური ამბავი, ლინკოლნი მკვლელის ხელმა სიცოცხლეს გამოასალმაო. თეატრ „ფორდში“ საბედისწერო გასროლა მხოლოდ იმავე დღის საღამოს თერთმეტის ნახევრის-

თვის გაისმა. არქივებში არ მოიპოვება არანაირი დოკუმენტი, რომელიც ნათელს მოჰფენდა ამ ფანტასტიკურ ოპერატიულობას. როგორც ჩანს, ხელისუფლების წარმომადგენლებიდან არავის მოაფიქრდა გაზეთ „ვიგის" რედაქტორისთვის ეკითხა, ეს როგორ მოახერხეთო; ან თუ ჰკითხეს – ჯონ ჰეზბრუკის პასუხი ისტორიას არ შემოუნახავს.

მრავლისმეტყველი ფაქტია ისიც, რომ პრეზიდენტი თავისი სამუშაო მაგიდის უჯრაში 80-ზე მეტ მუქარის წერილს ინახავდა. ყველა ანონიმი ავტორი მისი მოკვლის განზრახვას ამცნობდა. სამხედრო მინისტრი სტენტონი ინფორმირებული იყო არა მხოლოდ ამგვარი კორესპონდენციების შესახებ, არამედ 1861 წლის ბალტიმორისა და 1862 წლის რიჩმონდის შეთქმულებათა თაობაზეც უტყუარი ცნობები მოეპოვებოდა. შეთქმულთა ნაწილი „სპილენძისთავიანების" ჯგუფიდან პრეზიდენტის მოკვლის ფიცს სისხლით რომ აწერდა ხელს, ხოლო 1865 წლის 20 მარტს ლინკოლნი მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადაურჩა საფრთხეს, ესეც მშვენივრად მოეხსენებოდა. სამხედრო სამინისტროში არც ის ფაქტი გამოჰპარვიათ მხედველობიდან, იმ დროის ცნობილი მსახიობი ჯონ უილკს ბუთი პრეზიდენტზე დაგეგმილ თავდასხმაში რომ მონაწილეობდა.

სავარაუდოდ, ტრაგედიის განხორციელების ერთგვარ კატალიზატორად იქცა ამერიკულ გაზეთებში წინასწარ გავრცელებული ცნობა, რომ პრეზიდენტი 14 აპრილს თეატრ „ფორდში" ნახავდა კომედიას „ჩემი ამერიკელი ბიძაშვილი". ლინკოლნმა გენერალი გრანტი დაპატიჟა. გაზეთებმა დაუყოვნებლივ გაავრცელეს ინფორმაცია ამის თაობაზეც. სპექტაკლამდე რამდენიმე დღით ადრე ჭირვეული ხასიათის პირველმა ლედიმ გენერლის მეუღლეს შეურაცხმყოფელი სცენა მოუწყო. ბოლო მომენტში გრანტმა პრეზიდენტს შეუარა, მოუბოდიშა და შვილების სასწრაფოდ ნახვის აუცილებლობის მომიზეზებით, იმ საღამოსვე ვაშინგტონი დატოვა.

ცნობილია, რომ ედვინ სტენტონი თავიდანვე წინააღმდეგი იყო ლინკოლნის თეატრში წასვლისა, რადგან ეს საფრთხეში აგდებდა პრეზიდენტის სიცოცხლეს. გენერალ გრანტის უარის შემდეგ, ლინკოლნმა გადაჭრით განაცხადა, რომ ხალხს კიდევ უფრო ვერ დაწყვეტდა გულს და სპექტაკლს აუცილებლად დაესწრებოდა.

მაყურებელთა უმეტესობამ ბილეთები იმ მიზნით შეიძინა, რომ გმირი გენერალი ენახა პრეზიდენტთან ერთად. საგაზეთო შეტყობინება რომ არა, იქნებ ლინკოლნსაც გადაეფიქრებინა იმ საღამოს თეატრში მისვლა. მით უფრო, რომ მაიორი ეკერტი, რომელიც გულით უნდოდა პირად მცველად, ვერ წაჰყვებოდა. რა თქმა უნდა, ყოვლად დაუშვებელია ვარაუდი, რომ პრესა დამნაშავე იყო მომხდარში. პირიქით, ლამის ბოლო ადგილზეა იმ გრძელ სიაში, ვინც არაერთი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, პირდაპირ თუ ირიბად ხელი შეუწყო ტრაგედიის აღსრულებას.

ასეთია ზოგადი სურათი ლინკოლნზე თავდასხმამდე. ამის შემდეგ არანაკლებ უცნაურ გაუგებრობებს ჰქონდა ადგილი საინფორმაციო საშუალებებთან დაკავშირებით. თუმცა, 15 აპრილიდან მოყოლებული, დანამდვილებითაა ცნობილი ის პიროვნება, ვის ხელშიც იყო კონტროლი პრესაზე – სამხედრო მინისტრი ედვინ სტენტონი.

მომაკვდავი ლინკოლნის საწოლთან მდგარი სამხედრო მინისტრი ბრძანებებს გასცემდა და იმ მომენტში ქვეყანაში მასზე დიდი ძალაუფლებით აღჭურვილი კაცი არ მოიძებნებოდა. მას ემორჩილებოდა ჯარი, დაზვერვა, საიდუმლო პოლიცია და სამხედრო ცენზურა. სტენტონი აკონტროლებდა ტელეგრაფს.

დამნაშავეთა დასაჭერად უმნიშვნელოვანესი იყო ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის სათანადოდ და დროულად ინფორმირება. ოტო ეიზენშიმლმა და სხვა მკვლევრებმა ყურადღებით შეისწავლეს სამხედრო მინისტრის მიერ ტრაგედიის შემდეგ გაგზავნილი ყველა ტელეგრამა.

პირველი დეპეშა სტენტონმა ღამის ორის ნახევრისთვის დაწერა, როცა მკვლელობიდან სამი საათი იყო გასული, და 2:15-ზე გააგზავნა ვაშინგტონიდან. ასეთი დაყოვნება გახდა იმის მიზეზი, რომ 15 აპრილის დილის გაზეთებში ვერ მოხვდა ცნობა ტრაგედიის შესახებ, რადგან ეს გამოცემები სწორედ ღამის ორი საათისთვის იბეჭდებოდა სტამბაში. გაზეთების უმეტესობას საკუთარი კორესპონდენტები არ ჰყავდა დედაქალაქში. ისინი კი, ვისაც ჰყავდა, ოფიციალური დადასტურების გარეშე ვერ გარისკავდნენ ასეთი სენსაციური ცნობის – პრეზიდენტის სასიკვდილოდ დაჭრის, გამოქვეყნებას. სტენტონის საქციელი გაუგებარი და გაუმართლებე-

ლია, სამაგიეროდ XIX საუკუნის ამერიკული პრესის ეთიკის დონე – შესაშური და სანატრელი, თანამედროვე ქართულ მედიასთან შედარებით.

დაყოვნების გარდა, სამხედრო მინისტრმა „დაუშვა" მეორე დაუდევრობა. ტელეგრამაში არც მკვლელის გვარი, არც მისი აღწერილობა მოცემული არ იყო, თუმცა სტენტონს უტყუარი ცნობები პირველწყაროდან ჰქონდა. ბუთის გვარი მხოლოდ პირველი შეტყობინებიდან 2 საათის შემდეგ გავრცელებულ დეპეშაში მოიხსენიებოდა.

საყურადღებო ფაქტია, რომ ასოშიეიტიდ-პრესის კორესპონდენტი ლ.ა.ჰობრაითიც არ ასახელებს მკვლელის გვარს მის მიერ საღამოს 11 საათზე გაგზავნილ ტელეგრამაში. კიდევ უფრო გაურკვეველია ჰობრაითის მეორე შეტყობინება, რომელიც 15 აპრილის გაზეთის დილის გამოცემაში გამოქვეყნდა: „ჩვენი წარმომადგენელი ვაშინგტონში მოითხოვს „შევაჩეროთ" ცნობა პრეზიდენტის თაობაზე. ტელეგრამაში არაფერია იმის შესახებ, ნამდვილია თუ ყალბი აღნიშნული ინფორმაცია". 1868 წელს ჰობრაითმა დაწერა მოგონებები, რომელიც ერთი წლის შემდეგ წიგნად გამოიცა. ავტორმა ყველაფერზე ისაუბრა თავის მემუარებში, აღნიშნული მეორე ტელეგრამის გარდა. მიზეზი დღემდე უცნობია.

14-15 აპრილის ღამეს კიდევ ერთ იდუმალებით მოცულ ფაქტს ჰქონდა ადგილი ვაშინგტონში. ორი საათით შეწყვიტა ფუნქციონირება სამხედრო ტელეგრაფმა. პრესაში გაჟონა ცნობამ, რომ შეთქმულებმა ხაზი გადაჭრეს. თუ ეს მართალია, მაშინ შეთქმულთა რიცხვი იმაზე დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე სასამართლო ოქმშია დაფიქსირებული. აღსანიშნავია, რომ კავშირი თავისით აღდგა, თითქოს, 2 საათის შემდეგ დივერსანტებმა თავად გადააბეს გადაჭრილი კაბელი. არავითარი ოფიციალური ცნობა კავშირის გაწყვეტის თაობაზე არ გავრცელებულა. ეს ფაქტი მოგვიანებით გამომზეურდა და მაიორ ეკერტის განმარტებით, რაღაც დაზიანების გამო ტელეგრაფის მხოლოდ რამდენიმე ხაზი შეჩერებულა დროებით.

გამოძიების არქივი ინახავს კიდევ ერთ უცნაურ დოკუმენტს ორ ეგზემპლარად. ეს არის 20 აპრილს დაბეჭდილი პლაკატი მკვლელისა და თანამონაწილეთა პორტრეტებით, რომლის საშუალებითაც მოსახლეობას ხელი უნდა შეეწყო გაქცეულთა დაკავე-

ბისთვის. ერთ-ერთი თანამზრახველის სურათი ბავშვობისდროინდელია, მეორის სახელს კი სრულიად სხვა ადამიანის ფოტო ახლავს. გასაკვირი არაა, რომ დიდ დახმარებას ვერ გასწევდა ასეთი პლაკატი. თუმცა მთავარი გაუგებრობა ეს კი არა, საკმაოდ მოგვიანებით დამზადებული მეორე პლაკატია, რომელიც პირველს ძალიან წააგავს, მაგრამ ერთი შეხედვითაც აშკარაა განსხვავება მათ შორის. აქ ბევრად უკეთესი სურათებია მოთავსებული. თუმცა ამჯერად ბავშვობისდროინდელის ნაცვლად დაპატიმრების შემდგომი პერიოდის ფოტოა მოცემული, ხოლო მესამე თანამზრახველის სურათი ტრაგედიიდან დაახლოებით ორი წლის მერეა გადაღებული.

დამკრძალავი პროცესია, რომელიც რამდენიმე შტატზე გადიოდა, ამერიკული „სამოქალაქო რელიგიის“ მანიფესტად გადაიქცა ლინკოლნის მშობლიური ქალაქის — სპრინგფილდისკენ მიმავალ გზაზე. მას მილიონობით ადამიანი ადევნებდა თვალ-ყურს. მსხვერპლად შეწირვის იდეა, რომელიც თითოეულმა ცალ-ცალკე და მთლიანად ამერიკელმა ხალხმა დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების შენარჩუნებისათვის უნდა განახორციელოს ლინკოლნის მსგავსად, ამ „სამოქალაქო რელიგიის“ უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი გახდა. სწორედ სამოქალაქო რელიგიურობისკენ მოუწოდებდა პრეზიდენტი ასე ხშირად თავის გამოსვლებში. შემთხვევითი არ იყო, რომ გეტისბერგის შემდეგ იგი ხშირად ჩაანაცვლებდა „კავშირის“ ცნებას სიტყვით „ერი“ (nation). ლინკოლნი თავად იყო ამ ერთიანობის განსახიერება: წარმოშობით დასავლეთიდან, დაიბადა სამხრეთში და მაინც, ტიპური იანკი გახლდათ.

ჯონ კენედის დალასში ვიზიტის დეტალები, ისევე, როგორც ლინკოლნის თეატრში წასვლის ცნობა იმ საბედისწერო აპრილის საღამოს, პრესის საშუალებით წინასწარ გავრცელდა ხალხის ფართო მასებში. ლინკოლნის შემთხვევაში რაღაც საბაბი, თითქოს, არსებობდა იმის სავარაუდოდ, რომ პრესის აქტიურობამ გარკვეულწილად განაპირობა ტრაგიკული დასასრული. კენედის მკვლელობასთან დაკავშირებით ასეთი ვერსია უსაფუძვლოა. ვფიქრობ, უფრო მეტიც, პრესა გამოიყენეს კვალის დასაფარავად. თუ ვიზიტის დეტალები გასაიდუმლოებული დარჩებოდა, მაშინ გაიზრდებოდა ეჭვის საფუძველი, ცენტრალური დაზვერვის სამმართველოსა თუ სხვა სამთავრობო სტრუქტურებში ეძებნათ ორგანიზატორი.

რადგან თითქმის ყველა საყურადღებო ინფორმაცია საჯარო გახადეს დალასში პრეზიდენტის ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, ვერსია, რომ მარტოხელა მკვლელი ხალხის მასიდან მოვიდა, უფრო ავთენტიკური გახდა.

1963 წლის 19 ნოემბერს დალასის გაზეთებში გამოქვეყნდა საპრეზიდენტო კორტეჟის მარშრუტი ლავ-ფილდის აეროპორტიდან ტეხასის დედაქალაქის სავაჭრო ცენტრისკენ, სადაც პრეზიდენტი სიტყვით უნდა გამოსულიყო. ერთ-ერთ მონაკვეთზე კენედის ავტომანქანას ელმ-სტრიტზე უნდა გაევლო, სადაც ტერიტორიის თავისებურების გამო, მძღოლი იძულებული გახდებოდა სიჩქარე დაეგდო. აშშ-ის საიდუმლო სამსახურს ამ დეტალზე ყურადღება არ გაუმახვილებია. სამაგიეროდ, თავდასხმის ორგანიზატორ(ებ)ს არ გამოჰპარვიათ ხელსაყრელი გარემოება.

შემდეგ ყველაფერი რეპორტაჟული სტილით განვითარდა. მილიონობით ამერიკელი თვალყურს ადევნებდა მიმდინარე მოვლენებს. საინფორმაციო წყაროები შესაბამისი ოპერატიულობით აშუქებდნენ მნიშვნელოვან პროცესს:

„11:35 ადგილობრივი დროით – დალასის აეროდრომზე აშშ-ის საჰაერო-სამხედრო ძალების თვითმფრინავი №2 დაეშვა. მის ბორტზე იმყოფება ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი.

11:40 – პრეზიდენტის თვითმფრინავი დასაფრენ ბილიკზე გასრიალდა და 45 წლის ჯონ კენედი ჩამოიყვანა.

11:50 – პრეზიდენტის კორტეჟი აეროპორტიდან ქალაქისკენ დაიძრა. პირველ მანქანაში კენედი ჩაჯდა მეუღლესთან ერთად. იქვე არიან ტეხასის გუბერნატორი ჯონ კონელი მეუღლითა და პრეზიდენტის დაცვის ორი აგენტი. პირველს კუდში მისდევს მეორე ავტომობილი დაცვის რვა წევრით. მესამეში ვიცე-პრეზიდენტი იმყოფება და მის უკანაც დაცვით გადატვირთული მანქანა მოდის. კორტეჟს მიჰყვება ავტოთა რიგი, რომლებშიც სხვა მასპინძლები და პრესის წარმომადგენლები სხედან.

12:30 – მეინ-სტრიტის ბოლოში ავტოკოლონამ მარჯვნივ გაუხვია, ჰიუსტონ-სტრიტზე. წინ მოჩანს შვიდსართულიანი აგურის შენობა. ეს წიგნის საწყობია ჰიუსტონ-სტრიტისა და ელმ-სტრიტის გადაკვეთაზე. პრეზიდენტის მანქანამ ნელი სვლით მარცხნივ შეუხვია ელმ-სტრიტზე“.

წამის შემდეგ რამდენიმე გასროლა გაისმა. ეს კადრები სამოყვარულო კამერით დააფიქსირა აბრაამ ზაპრუდერმა, თუმცა ფართო საზოგადოებამ მხოლოდ 1975 წელს იხილა. მას მერე მოყოლებული, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს არაერთხელ უნახავთ ზაპრუდერის გადაღებული ტელეარხებისა თუ ვებპორტალების საშუალებით. თვითმხილველები ამტკიცებდნენ, ორი მხრიდან ისროდნენო. ოფიციალური გამოძიება კატეგორიულად უარყოფდა ამას. დღეს უკვე საშუალება გვაქვს კომპიუტერულად აღვადგინოთ მომხდარი და უფრო ზუსტი ვარაუდები გამოვთქვათ, როგორც ეს ნაჩვენებია ბი-ბი-სის ერთ-ერთ დოკუმენტურ ფილმში, სადაც გასროლის მომენტები აღდგენილია ნანოწამის სიზუსტით. ბევრი რამ კვლავ ბუნდოვანი რჩება. ფაქტი ერთია – ჯ.ფ.კენედი სასიკვდილოდ დაიჭრა თავსა და კისერში.

ამერიკის სატელეგრაფო სააგენტოთა მოკლე შეტყობინებები ქრონიკის სახით გადმოსცემდნენ კალეიდოსკოპური სისწრაფით განვითარებულ ტრაგედიას. პოლ ლესურის წიგნში „ვინ ხართ თქვენ, ბატონო ჯონსონ?" სკრუპულოზური სიზუსტითაა მოცემული ყოველწუთიერი შეტყობინებები, რომლებსაც სააგენტოები ავრცელებდნენ. ლინკოლნის მკვლელობისგან განსხვავებით, კენედის შემთხვევაში ყოველი დეტალი საზოგადოებას ეცნობებოდა, ფორმალურად მაინც. რეალურად, ორივე ტრაგედიის სცენარი დაუჯერებლად ჰგავდა ერთმანეთს.

მკვლელობის ბრალდებით დაკავებული ლი ჰარვი ოსვალდი პოლიციის განყოფილებაშივე მოკლა ერთ-ერთი დალასური ღამის კლუბის მფლობელმა ჯეკ რუბიმ. მასზე ამბობდნენ, იტალიურ მაფიასთან იყო შეკრულიო. სკანდალურად ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის, ჯერალდ პოზნერის ვარაუდით, ყოფილი ჯეიკობ რუბინშტეინი თანამოგვარეში, ჩიკაგოელ სისხლის სამართლის დამნაშავეში, ჰარი რუბინშტეინში აერიათ. ჯეკის ახლო ნაცნობი, ამერიკელი რეპორტიორი ტონი ძოპი კატეგორიულად უარყოფდა შურისმაძიებელი მეგობრის კავშირს შავ სამყაროსთან. თავად ჯეკი რუბი ამტკიცებდა, რომ ოსვალდი აფექტის მდგომარეობაში შემოაკვდა.

უკვე მსჯავრდებული და სააპელაციო სასამართლოში საკუთარი საქმის გადასინჯვასთან დაკავშირებით პირველი მოსმენის მომლოდინე ჯეკი რუბი 1967 წლის 3 იანვარს ფილტვის სიმსივ-

ნით გარდაიცვალა იმავე პარკლენდის საავადმყოფოში, სადაც სასიკვდილოდ დაჭრილი ჯონ კენედი, ხოლო ორი დღის შემდეგ — ლი ჰარვი ოსვალდი. შეთქმულების თეორიის მომხრეთა ვარაუდით, ჯეკი ციხეში მოწამლეს. ლინკოლნის მკვლელობის ერთ-ერთი ვერსიით, უშუალო აღმსრულებელი — მსახიობი ჯონ უილკს ბუთიც დავალების შესრულების შემდეგ თანამზრახველმა მოწამლა ორგანიზატორთა მითითებით და იმ იმედით, გადამარჩენენო. ამიტომ თავად დუმდა. მხოლოდ სახრჩობელაზე მიხვდა, როგორ მოატყუეს. თუმცა ეს მხოლოდ ერთი ვერსიაა რამდენიმედან. ძირითადი მსგავსება ისაა, რომ ორივე შემთხვევაში გაუგებარია იმ ადამიანების დაუდევრობა თუ გულგრილობა, ვინც უამრავი უყურადღებობა გამოიჩინა პრეზიდენტების უსაფრთხოების ორგანიზებისას. მათ საქციელს ორივეჯერ ტრაგიკული შედეგი მოჰყვა.

რა უნდოდა განგსტერებთან კავშირში ეჭვმიტანილ, შეიარაღებულ ბარმენს პოლიციის უბანში ოსვალდთან იმდენად ახლოს, რომ მისი მოკვლა რეპორტიორთა კამერების წინ, პირდაპირ ეთერში შეძლო? ამერიკული პრესა სავსე იყო პუბლიკაციებით, მაგრამ არცერთი მათგანი პასუხობდა უმთავრეს კითხვას: ვინ იყო ნამდვილი მკვლელი. ასეთ დროს, თავად ფაქტები მეტყველებდნენ ბევრ რამეზე.

25 ნოემბერს ჯონ კენედის კუბო იმავე კატაფალკზე დაასვენეს, რომელზეც თითქმის ასი წლის წინათ აბრაამ ლინკოლნისა. საპარადო ფორმაში გამოწყობილმა რვა სამხედრომ დინჯად ასწია ვარსკვლავებიანი სახელმწიფო დროშაგადაფარებული სასახლე და კიბეზე დაეშვა. სამგლოვიარო პროცესია ნელა გაუყვა პენსილვანიაავენიუს წმინდა მათეს ტაძრისკენ. პარაკლისის შემდეგ ყველანი შავი ლიმუზინებით არლინგტონის სასაფლაოსკენ დაიძრნენ. გზად ლინკოლნის მემორიალს ჩაუარეს. ესეც სიმბოლური გამოვიდა.

პიროვნების გაიდეალებას განსაკუთრებით უწყობს ხელს მისი სიკვდილი. მით უფრო, ტრაგიკულ ან იდუმალებით მოცულ სიტუაციაში. როგორც ჟურნალისტმა წარმოსახვით ინტერვიუში ათქმევინა ჯიმ მორისონს, არაფერი ზრდის ადამიანის პოპულარობას ისე, როგორც საჭირო მომენტში გარდაცვალების უნარი. ამავე მიზეზით იქცა რომეო და ჯულიეტას სიყვარული მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმულ ამბად. მათი ბედნიერი თანაცხოვრებისა და

ყოველდღიური იდილიის თუ კინკლაობის გარჩევა მსგავს ეფექტს ვერ მოახდენდა. შექსპირმა თავად დაამტკიცა ეს კანონზომიერება კომედიით „ჭირვეულის მორჯულება“.

ჰეროსტრატემ იცოდა რას აკეთებდა. მსხვერპლის სწორად შერჩევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაკ-კინლიც მოკლეს, მაგრამ დღეს, შესაძლოა, ბევრმა ისიც არ იცოდეს, ასეთი პრეზიდენტი რომ არსებობდა აშშ-ში. საუკუნეები გავა. ამერიკელ პრეზიდენტთა რიგებს არაერთი ღირსეული თუ ულიმღამო პოლიტიკოსი შეემატება. ლინკოლნისა და კენედის სახელები კი ისტორიასა და ადამიანთა მეხსიერებას დიდხანს გაჰყვება. არა მხოლოდ მათი იმიჯის და მიღწევების გამო, არამედ თავიანთი დროის ადამიან-სიმბოლოებად გადაქცევის უნარის წყალობით.

ამერიკის მეთექვსმეტე და ოცდამეთხუთმეტე პრეზიდენტები არაფრით ჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათ გარდაცვალებაში ბევრი რამ აღმოჩნდა სიმბოლური და საერთო.

პრესის თავისუფლების ამერიკული ხარისხი

ამერიკელთა უმრავლესობას სწამს, რომ აშშ-ში პრესა ჭეშმარიტად მეოთხე ხელისუფლებაა და არა მარტო იმიტომ, რომ მთავრობა მას ამის უფლებას აძლევს, არამედ იმიტომაც, რომ მედიამ ეს უფლება საკუთარი ძალებით მოიპოვა. პატრიოტული სიამაყითაა ნათქვამი „ნიუ-იორკ თაიმსის" ყოფილი კორესპონდენტის, ბარბარა ქროსეთის ფრაზა: „შეერთებული შტატები ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მთავრობა პრესასთან მეგობრულ დამოკიდებულებას თავის მოვალეობად თვლის".

1784 წლის 8 ივნისს ჯეიმს მედისონმა წარმომადგენელთა პალატაში შეიტანა პირველი შესწორების თავდაპირველი ვერსია, სადაც მკაფიოდ იყო ნათქვამი, რომ კონგრესს არ უნდა მიეღო არანაირი კანონი, „რომელიც შეზღუდავს სიტყვის ან პრესის თავისუფლებას". როგორც ცნობილია, აბსოლუტური თავისუფლება არ შეიძლება არსებობდეს. ამიტომაც მეცნიერები დიდი ხანია კამათობენ იმ საკითხზე, თუ რას გულისხმობდნენ კონსტიტუციის ავტორები „თავისუფლებაში", როცა თავისუფალი გამოხატვის პუნქტებს ადგენდნენ. არსებობს განსხვავებული მოსაზრებები ამასთან დაკავშირებით.

ყველაზე მისაღებად მიმაჩნია ის აზრი, რომ პრესის პუნქტი კრძალავდა მხოლოდ წინასწარ შეზღუდვას — პუბლიკაციამდელ ცენზურას. ამჟამად ითვლება, რომ ეს პუნქტები პიროვნებას პუბლიკაციის შემდგომი სასამართლო დევნისგანაც იცავს, იქნება ეს პოლიტიკური თუ სხვა საბაბით.

აშშ უზენაესმა სასამართლომ ამ მოთხოვნის შეფასების ორი კრიტერიუმი შეიმუშავა: ხელისუფლებას შეუძლია პროპაგანდის რეგულირება, მოწესრიგება ან ადამიანის დასჯა იდეების პროპაგანდისათვის იმ შემთხვევაში, თუკი დაამტკიცებს, რომ პროპაგანდის მიზანია უკანონო ქმედებების გამოწვევა; და მეორე — ხელისუფლებას უფლება აქვს დაუწესოს ზომიერი შეზღუდვა ინფორმაციის გადაცემის იმ საშუალებებს, რომლებსაც შეუძლიათ ხელი

შეუშალონ აზრის თავისუფალ გამოხატვას.

თუ ამერიკის ისტორიულ გამოცდილებას გადავხედავთ, უფრო მეტ ნიმუშს ვიპოვით იმისას, როცა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება პრესას უჭერდა მხარს, ვიდრე ზღუდავდა. უზენაესი სასამართლოს წევრებს ყოველთვის სწამდათ, რომ წინასწარი შეზღუდვა მძიმედ დააწვებოდა თავისუფალ პრესას. ფხიზელი და შეუზღუდავი პრესის საჭიროება კარგად ჩამოაყალიბა აშშ-ის ყოფილმა მთავარმა მოსამართლემ ჩარლზ ევანს ჰიუზმა: „ფაქტია, რომ პრესის თავისუფლება შეიძლება ბოროტად გამოიყენოს ვინმე გარეწარმა, სკანდალის მოსურნემ. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პრესის თავისუფლების შეზღუდვა უნდა ვიჩქაროთ მაშინ, როცა ჟურნალისტი რომელიმე მაღალჩინოსნის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ამხელს“.

ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორებით, ხალხის უფლებაა ჰქონდეს თავისუფალი პრესა. საზოგადოებას, შესაძლოა, ჰგონია, რომ თავისუფალი პრესის უფლებები მხოლოდ პრესას ეკუთვნის, მაგრამ სინამდვილეში იგი მთელი ხალხის საკუთრებას უნდა წარმოადგენდეს. სხვაგვარად, პრესა ვერ შეძლებს „მეოთხე ხელისუფლების“ სტატუსით დაკისრებული ვალდებულებების სრულფასოვნად აღსრულებას.

„თავისუფალი პრესა არსებითია დემოკრატიული პროცესებისთვის. თუ პრესას არა აქვს საშუალება, ინფორმაცია შეაგროვოს ისე, რომ სამუდამო პატიმრობით არ დაემუქრონ, იგი სრულმნიშვნელოვნად ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას. ამ შემთხვევაში, წაგებული დარჩება ხალხი, რომელსაც ინფორმაცია სჭირდება აზრიანი და ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად... პრესის მოვალეობაა უზრუნველგვყოს განსხვავებული მოსაზრებებით, თვალთახედვებით და ჩვენი, როგორც მოქალაქეთა მოვალეობაა, არ დავეთანხმოთ მთავრობის იმ ქმედებებს, რომლებიც ხელს უშლიან პრესას მისი კონსტიტუციური როლის აღსრულებაში“. ეს შესანიშნავი განცხადება, რომელიც თავისუფალი პრესის მოვალეობებს შეეხება ხალხისადმი და პირიქით, ჩრდილოეთ კაროლინის სენატორმა სემუელ ჯეიმს ერვინ-უმცროსმა გააკეთა ჩრდილოეთ კაროლინის პრესის ასოციაციის ზამთრის სემინარზე 1973 წელს. სემ ერვინი განიხილავდა საკითხს — „უჭირს თუ არა პრე-

სას?“ სენატორმა საფუძვლიანად იმსჯელა როგორც პრესის, ასევე საზოგადოების უფლება-მოვალეობათა შესახებ. მის გამოსვლას ლაიტმოტივად გასდევდა მოსაზრება: ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ თავისუფალი პრესის უფლებების დაცვა საკუთარი თავის დაცვას უფრო ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ პრესის მხარდაჭერას.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ფეთქებადმა განვითარებამ წარმოშვა ჩახლართული და თანადროული სისტემა, რომელიც ქმნის ამერიკული საზოგადოების ღირებულებებსა და კულტურას. მიუხედავად იმისა, მოსწონთ თუ არა იგი, ამერიკელები აღიარებენ მედიის სიძლიერესა და მნიშვნელობას. ინფორმაცია და გასართობი პროგრამები გადაიცემა ამერიკის კონტინენტის ერთი ბოლოდან მეორეში. სწორედ ამ უნარის გამო, მედია დაეხმარა აშშ-ს რეგიონალური განსხვავებებისა და ჩვეულებათა შემცირებაში. შტატები კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს: ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ხალხი ერთსა და იმავე გადაცემებს უყურებს და ხშირად, ერთდროულად. მედიას ამერიკელებისთვის მოაქვს იაფი და ხელმისაწვდომი ცოდნა — ერთი და იგივე ინფორმაცია, გართობა და რეკლამები.

რეალურ ცხოვრებაში ამერიკელები გარემოცულნი არიან ინფორმაციით გაღვიძებიდან დაძინებამდე. წარმოვიდგინოთ ჩვეულებრივი მოქალაქის ერთი რიგითი დღე და გავაანალიზოთ მედიის წილი მასში. „მისტერ ამერიკას“ დილაადრიან აღვიძებს მუსიკა რადიოს მაღვიძარადან. საუზმის დროს იგი ადგილობრივ გაზეთს კითხულობს და ტელევიზორით უყურებს დილის პირველ საინფორმაციო გამოშვებას. თუ სამსახურში მანქანით მიდის, იგი უსმენს ახალ ამბებს, მუსიკას და საგზაო ცნობებს თავისი მანქანის რადიოთი. თუ მეტროთი მიემგზავრება, შესაძლოა, კვლავ პრესას გადახედოს ან ნოუთბუქით მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია. სრული უმოქმედობის შემთხვევაშიც ვერ მოახერხებს საინფორმაციო ნაკადის „ძალადობისგან“ თავის დაღწევას — ან სარეკლამო სტიკერები მიიქცევს მის ყურადღებას, ან ჭერში დამონტაჟებული ეკრანისკენ გაექცევა თვალი და გამორიცხული არ არის, რომ დღის ბოლოს სწორედ ასე უნებურად ნანახი პროდუქცია შეიძინოს. სამსახურში იგი რეგულარულად ღებულობს საკუთარ ბიზნესთან დაკავშირებულ ჟურნალ-გაზეთებს, რათა თვალყური ადევ-

ნოს ინდუსტრიის განვითარებას. ამავე მიზნით იყენებს ტელევიზორს ან პერსონალურ კომპიუტერს. პერიოდულად, თავისი საწარმოს პროდუქციისთვის სარეკლამო კამპანიის წარმართვაში მონაწილეობს. დღის ნებისმიერ მონაკვეთში მყისიერად ერთვება მსოფლიო ქსელში პირდაპირ თავისი მობილურიდან გარკვეული სახის ინფორმაციის მოძიება-გავრცელების მიზნით. შინ დაბრუნებული, ნავახშმევს, კვლავ ტელევიზორთან ჯდება საღამოს საინფორმაციო გამოშვების სანახავად. მერე კი რამდენიმე ასეულ არხს შორის (რითიც მას საკაბელო ტელევიზია უზრუნველყოფს) იგი თავისი საყვარელი პროგრამის, ბეისბოლის მატჩის, დოკუმენტური ან მხატვრული ფილმის ძებნას იწყებს. თუ დრო დარჩა, ისევ კომპიუტერს მიუჯდება, გამოცემათა ელექტრონულ ვერსიებში უახლეს ამბებს დაძებნის, ფორუმზე შეიხედავს და მისთვის საინტერესო თემებს გადაიკითხავს, ზოგჯერ ზოგიერთს გამოეხმაურება ან ვრცელ კომენტარს გაუკეთებს. თუ საკუთარი ბლოგი აქვს, სათქმელის დაგროვების შემთხვევაში, მორიგ ჩანაწერს დატოვებს. ინტერნეტის წყალობით საშუალება აქვს ფიზიკურად შორს მყოფ ათობით ნათესავს, ახლობელსა თუ მეგობარს დაეკონტაქტოს დროის უკიდურესად მცირე პერიოდში, თანაც რამდენიმეს ერთდროულად ანდა — სუყველას ერთად. შინიდან გაუსვლელად შეუძლია შეიძინოს ახალი ნაცნობები პროფესიული თუ პირადი მოსაზრების შესაბამისად; აღადგინოს წლების წინათ დაკარგული კავშირები სასურველ ადამიანებთან. უკვე დასაძინებლად დაწოლილი „მისტერ ამერიკა" აუცილებლად კითხულობს ჟურნალის ან წიგნის თუნდაც ნახევარ გვერდს.

ამგვარი ურთიერთობა აქვს ამერიკელთა უმრავლესობას მედიასთან. არჩევანის თავბრუდამხვევი სიმრავლე თითქმის 300 წლის განმავლობაში ამერიკაში მიმდინარე საინფორმაციო რევოლუციის ნაყოფია. მეცნიერულ წრეებში განიხილავენ საკითხს — რამდენად სასარგებლოა ეს პროცესი ანდა რამდენად მავნე; ამ დროს კი მედიის წარმომადგენლები ცდილობენ კიდევ უფრო ფართო აუდიტორია მიიზიდონ, უფრო მეტად დაიპყრონ ხალხის ყურადღება. ამ მცდელობათა შედეგად, ამერიკელებს ვერ წარმოუდგენიათ თავიანთი არსებობა ინფორმაციის ქსელის გარეშე. ეს ნებაყოფლობითი „ტყვეობა" მათ სიამოვნებას ანიჭებს. ვინმემ რომ ინფორმაციის მიწოდების

შეზღუდვა დააპიროს, ისინი ამას საკუთარი თავისუფლების შეზღუდვად აღიქვამენ და საშინლად აღშფოთდებიან.

სულ სხვა საკითხია, რამდენად კმაყოფილია ხალხი ამერიკული მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ფუნქციონირებით. „ამერიკელების მედიასთან ურთიერთობა განსხვავებული ემოციებისგან შემდგარი რთული ნაზავია: მას აფასებენ და მასზე ბრაზდებიან, მთლიანად დამოკიდებულნი არიან მასზე და თან არ ენდობიან. ეროვნული მასშტაბით ჩატარებული ერთ-ერთი გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ მოქალაქეებს უნდათ და სჭირდებათ ჟურნალისტები, მაგრამ გაცილებით მეტ პროფესიონალიზმს ელიან მათგან". მავანს რომ ეგონა, მთავარია მედიაზე კონტროლის მოპოვება, ხალხს რასაც ჩავძახებ, იმასვე ამომძახებსო, როგორც ჩანს, მას ყველაზე მეტად საკუთარი თავი მოუტყუებია. მისურის ჟურნალისტიკის სკოლის პროფესორების ჯორჯ კენედისა და გლენ კამერონის ციტატით თუ ვიხელმძღვანელებთ, გამოდის, იმ ვიღაცის ბრმა ვარაუდი არ გამართლებულა. ამერიკელები ამაყად აცხადებენ, რომ თანამედროვე ჟურნალისტიკას „აფასებენ, მაგრამ აკრიტიკებენ".

მისურის უნივერსიტეტის განვითარებული სოციალური კვლევების ცენტრის (CASR) თანამშრომლებმა ამერიკულ მედიასთან დაკავშირებით ორმოცდაათზე მეტი კითხვა ჩამოაყალიბეს და 2004 წლის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ტელეფონით ჩატარებული გამოკითხვისას დაუსვეს ალალბედზე/ შერჩეულ 495 შუახნის ამერიკელს. მიღებული პასუხების შეჯამება-დამუშავების შედეგად, „ამერიკული ჟურნალისტიკის მომხმარებლების" აზრი შემდეგნაირად განზოგადდა: მედიას „ისინი აშკარად ატყობენ მიკერძოებულობას. არ მოსწონთ პირადულში ქექვისადმი მისი მიდრეკილება. მათი აზრით, ზედმეტად ბევრ უარყოფით ინფორმაციას აშუქებს, დადებითს კი – არასაკმარისად. ეჭვობენ, რომ ჟურნალისტები იოლად ექცევიან ხელისუფლების წარმომადგენელთა გავლენის ქვეშ. თუმცა ღრმად სწამთ, რომ ჟურნალისტიკა ნათელი ძალაა, სიკეთის საკეთებლად მოვლენილი. იგი ეხმარება მათ მიმდინარე მოვლენების გაგებასა და საზოგადოებრივ საკითხებზე დაფიქრებაში. მათი აზრით, როცა მთავრობა რაიმე ინფორმაციის დამალვას ცდილობს, ჟურნალისტებმა ხელისუფლებაზე ზეწოლა უნდა განახორციელონ და სასურველი მასალა მოიპოვონ. მყარად სწამთ, რომ პრესის თავისუფ-

ლება ამერიკული ხელისუფლებო სისტემის მნიშვნელოვანი ასპექტია. ჩვეულებრივ, მათ სჯერათ რასაც ჟურნალ-გაზეთებში კითხულობენ და ტელერადიოეთერით ისმენენ. ამერიკული ჟურნალისტიკის შეფასებისას, საერთო ჯამში, ისინი მას „კარგს" უწერენ". ასეთია 47-67 წლის ასაკის 500-მდე გამოკითხულიდან 80-85%-ის, ლამის, სიტყვა-სიტყვით გამეორებული აზრი.

აღნიშნული ორი მკვლევარი ამერიკელთა მიერ პრესის „კრიტიკისა და მხარდაჭერის ნაზავს" დამაინტრიგებლად მიიჩნევს. ვფიქრობ, აქ უფრო პრაქტიკულ აზროვნებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ერთი მხრივ, პოლიტიკის ინტრიგებით გაურყვნელ, ჩვეულებრივ ადამიანებს არ აინტერესებთ პრობლემურ საკითხთა სიღრმისეული ანალიზი. გულწრფელად რომ ვთქვათ, რადგან ბიუჯეტს რეგულარულად ავსებენ და საკუთარ მთავრობას არჩენენ, კიდევაც აქვთ უფლება, რომ პრობლემებზე ზრუნვა მთლიანად ხელისუფლებას გადააბარონ. მეორე მხრივ, აშკარაა ხალხის გააზრებული პროტესტი ჟურნალისტიკის ისეთი ნაკლოვანი მხარეების გამო, რაც მედიას უკარგავს „მეოთხე ხელისუფლების" სტატუსს. სამართლიანია ლაფსუსების აღმოფხვრისკენ მოწოდებაც, რომ მასობრივი კომუნიკაციების დონე შეესაბამებოდეს მაღალ სტანდარტებს და სრულფასოვნად ასრულებდეს საკუთარ უფლება-მოვალეობებს ხალხის წინაშე. ალბათ, ამერიკული ოცნების ნაწილია აუდიტორიის სურვილი, უფრო სანდო გახდეს საკუთარ მედიასთან თვალდახუჭული ურთიერთობა. გამოკითხულთა მოსაზრებებიდან გამომდინარე, ისინი უკმაყოფილონი არიან არა უშუალოდ ჟურნალისტების პროფესიონალიზმის დონით, არამედ მედიის არაეთიკური ფუნქციონირებით, ტრადიციული ღირებულებებისა და ფასეულობების იგნორირებით, არასანდოობით.

ერთადერთი დამაინტრიგებელი საკითხი, რომელსაც გამოკვლევის ავტორები არ განმარტავენ, გამოკითხულთა მიერ მეტი დადებითი ნიუსის მოთხოვნაა. გაუგებარია, ამერიკელები მედიის მიერ მოსახლეობის გამიზნულად შოკირებას აპროტესტებენ (რაც, ცხადია, დასაგმობია) თუ უბრალოდ ურჩევნიათ, რომ სამყარო უფრო დალაგებული და უპრობლემო ეგონოთ, რომ ვიღაც გამუდმებით უღიმოდეს და დათაფლული ხმით უმეორებდეს, საამურია ცხოვრებაო. მათთვის, ვისაც არ მოსწონს მთავრობის მიერ მედიის

კონტროლი, შეუძლებელია, ამერიკული პრესის იდეალურობაზე ოცნება მსგავსი ეგოისტური მოტივით ნაკარნახევი სურვილი იყოს. ვფიქრობ, ამერიკელებს დღემდე აღელვებთ კონსტიტუციის პირველი შესწორებით მოპოვებული უფლებები და სოციალურ ქსელებში პარალელურ თუ ძირითად რეჟიმში ცხოვრების გიჟური რიტმი ჰარმონიულად აქვთ შერწყმული დამფუძნებელი მამების მიერ საფუძველჩაყრილ ტრადიციებთან. მათი ასეთი დამოკიდებულება კი არა მხოლოდ კენედის და კამერონისთვის იყო მოულოდნელი.

მასსაზოგადოების გეგმაზომიერად ჩამოყალიბების მიუხედავად, ამ უკიდეგანო ამერიკაში მაინც რჩება ადგილი მცირერიცხოვანი, დამოუკიდებელი ჯგუფისთვისაც, რომელსაც მოაზროვნე, განათლებული, ფიქრისმოყვარული წევრები ჰყავს. ისინი სისტემის კონტროლს მიღმა დარჩენილი პროფესიონალი ჟურნალისტები, პოლიტოლოგები, ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, ფილოსოფოსები და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები არიან. მათ უყვართ ამერიკა... თავისი ამერიკა. პატივს სცემენ კანონს. ინდივიდის თავისუფლებას მიიჩნევენ უზენაეს მადლად და ყოველი ადამიანის უპირობო უფლებად. აქ თუ არ მოგწონს, მაშინ სხვაგან წადის პლებეურ წესს არ ემორჩილებიან. არ მოსწონთ, მაგრამ ფეხს არ იცვლიან. სხვა თუ არაფერი, საკუთარ „სალ კლდეებს" ერთგულობენ. რაც მეტი მორალური ფასეულობა და სიღრმისეული განათლება აქვს ინდივიდს, უფრო დიდი რისკია ამ გარიყულთა რიგებში აღმოჩნდეს. თუმცა, იმ აფროამერიკელ მძღოლს რა ვუყოთ, რომელიც მისურის უნივერსიტეტის პროფესორებმა, აშკარად, ალტერნატიული პასუხების მიღების იმედით გამოკითხეს, მაგრამ ამჯერადაც პროგრესული აზროვნება და შეერთებული შტატებისადმი ტკივილიანი სიყვარული შერჩათ ხელთ. იქ, ატლანტისა და წყნარი ოკეანის სანაპიროებს შორის, ნამდვილად გადასახედი აქვთ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებში შემორჩენილი მუტაციური რასიზმი.

როცა ჯონი დეპი ევროპას სიღრმისეულად გაეცნო, თავისი სამშობლო დიდკბილება, უტყვ ლეკვს მიამსგავსა, „რომელსაც კბენა და ტკენა შეუძლია". მსახიობი საკუთარი შვილების მომავალზეც რომ დაფიქრდა, გულწრფელობამ „პოლიტიკური არაკორექტულობის" ხელოვნური საზღვრები გადაალახინა: „მინდა მათ ამე-

რიკა გატეხილ სათამაშოდ აღიქვან. გამოიკვლიონ, შეისწავლონ, შეიგრძნონ და ამოთქვან". სვავებივით ჩაეჭიდნენ „მეორე უძველესი პროფესიის" წარმომადგენლები ასეთ გემრიელ საკენკს და სანამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაუმკვიდრებდნენ ჯონი დეპს „ანტიამერიკელის" ყალბ იმიჯს, მსახიობმა საკუთარი მეტაფორის ახსნა მოასწრო: „კონტექსტურად, მხოლოდ ის ვთქვი, რომ ევროპასთან შედარებით, ამერიკა ძალიან ახალგაზრდა ქვეყანაა. ჯერაც ჩამოყალიბების პროცესში ვართ, როგორც ერი... მიყვარს ჩემი ქვეყანა და მეიმედება მისი მომავალი. სწორედ ამიტომ ვლაპარაკობ ასე გულწრფელად მის შესახებ და ზოგჯერ კრიტიკულიც ვარ". ეჭვი მეპარება, თუნდაც ამ დონის მსახიობისთვის ეპატიებინა ერს რაიმე გადამეტება ან სულ მცირე სიყალბე. მისი პიროვნებისადმი უცვლელი პატივისცემა და მაყურებლის ერთგულება უკვე თავისთავად, უკომენტაროდ ადასტურებს დეპის პოზიციის სიმართლესა და ხალხთან თანაზიარობას.

ფიქრობ, ლაპარაკობ, წერ და მერე მოულოდნელად გული გეკუმშება — იქნებ არ ღირდა? სულიერებაგამქრალ სამყაროში განა რამდენი დარჩა შიშველი სულით მოხიბვლის უნარის მქონე. იქნებ, მოლა ნასრედინივით დუმილი ჯობდა — ვინც იცის, იმას რად უნდა თქმა და ვინც ჯერაც ვერ გარკვეულა, მისთვის ახსნას რა აზრი აქვს? ან სულაც მაკარ ჩუდრას პრიმიტიული სიბრძნე ხომ არ გაგვეთვალისწინებინა: „როგორც დღე და ღამე დასდევს ერთმანეთს დედამიწის გარშემო, ასე უნდა გავექცეთ ცხოვრებაზე ფიქრს, რომ არ გადაგვიყვარდეს"? რთულია ჭეშმარიტი Homo sapiens-ის ბედი. ფიქრს ხან ვერ ელევა, ხანაც — ვერ ერევა. „საფრანგეთს და მთელ ევროპას უზარმაზარი კულტურა და გასაოცარი ისტორია აქვს. თუმცა უმნიშვნელოვანესი ისაა, რომ ხალხმა იქ ცხოვრება იცის, რაც ამერიკაში სრულიად დაივიწყეს. ვშიშობ, რომ ამერიკული კულტურა კატასტროფაა", ვერ მოისვენა ჯონი დეპმა და ხმამაღლა ფიქრი განაგრძო. მის მსგავსებს სწორედ ცხოვრების უსაზღვრო სიყვარული ალაპარაკებს. შეიძლება დატკბე, ისიამოვნო, მაგრამ დაუფიქრებლად ვერ გეყვარება. არა და, ზოგს ჯერ კიდევ უყვარს ცხოვრებაც, სამშობლოც, შვილებიც... ქრისტეს გამოცხადებაზე ნაკლებ საოცრებას არ ჰგავს გათითოკაცებულ ეგოისტთა გლობალურ სოფელში ჩვეულებრივი ადამიანის პოვნა.

როცა 1929 წლის ივნისში ამერიკული განათლების შესახებ პუბლიცისტური წერილი „ყოფნა თუ ქმედება?“ გამოქვეყნდა, ჯეიმს ადამსის განწირული ძახილი უიმედოდ შეასკდა ხელისუფლებასა და ხალხს შორის ვირტუალურად ატუზულ ყრუ კედელს. მაშინ რომ გაეთვალისწინებინათ პულიტსერის პრემიის მფლობელის მოსაზრებები, ახალ ათასწლეულში ჯონი დეპისეული სადარდებელი არც მსახიობს, არც მის თანამოაზრეებს აღარ შეაწუხებდათ. კრიტიკულ სტატიაში ადამსი დაწვრილებით განიხილავს ამერიკული სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების ნაკლოვან ასპექტებს და გამოყოფს უმთავრესს: „აშკარად ორგვარი განათლება არსებობს. ერთი თავის გატანის საშუალებებს გვასწავლის, მეორე კი ცხოვრებას. რა თქმა უნდა, გამორიცხულია, რომ კულტურის ოდნავ აზრზე მაინც მყოფ ადამიანს ეს ორი ერთმანეთში აერიოს. უმეტესობას თავის გატანის საჭიროება გვაღელვებს... თანამედროვე ცხოვრების მრავალწახნაგოვნებისა და უსაზღვროდ გაზრდილი საბაზისო ცოდნის გამო, ცხადია, უაღრესად მოსახერხებელია მრავალწლიანი გამოცდილების ისე შეკუმშვა, რომ სულ რამდენიმე სასწავლო წელიწადში ხელობის ან პროფესიის ათვისება შევძლოთ; მაგრამ ამან არ უნდა დაგვაბრმავოს. ინსტიტუტში მხოლოდ ხელობას ან პროფესიას ვეუფლებით და ვერ ვიძენთ ადამიანისთვის აუცილებელ ლიბერალურ განათლებას“. ჯეიმს ადამსი ზუსტად იმას მიიჩნევდა მისი თანამედროვე ამერიკული განათლების სისტემის უმთავრეს ნაკლად, რაც ამერიკაში აღზრდილმა ჯონი დეპმა სამშობლოს გარეთ, „ბებერი ევროპის“ წიაღში აღმოაჩინა. იმის ცოდნა, თუ „როგორ უნდა იცხოვრო“ უშუალო კავშირშია „ინდივიდის ზოგადი განათლებისა და გამოცდილების გაფართოების აუცილებლობასთან“ ანუ იმასთან, რაც ლიბერალურ განათლებაში იგულისხმება.

ასაკმცირობის, არასწორი განათლების (ან უფრო უარესი — გაუნათლებლობის), უკულტურობის, ადამიანის დანიშნულების უგულებელყოფის, საკუთარი თავისთვის ყველაფრის უფლების მიცემის, მიზეზთა გამო პირადი დაუსჯელობის რწმენის და მისთ. შედეგია ყოველი წარუმატებელი ხელისუფალი, მთავრობა ან პოლიტიკოსი. ზოგიერთს ცინიკურად ჩაეცინება: ასეთ მწვავე საკითხებზე ვიღა დაწერს და იმსჯელებს „მეოთხე ხელისუფლების“

ლიკვიდირების შემდეგო. საბედნიეროდ, მედიავირუსები მხოლოდ დროებით აფერხებს კაცობრიობის ჯანსაღ განვითარებას. სანამ აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება ძალაშია, მუდამ იარსებებს პრესის თავისუფლების დაცვის კანონიერი საფუძველი. მთავარია, „მეოთხე ხელისუფლების“ რიდი და შიში შერჩეს დანარჩენ სამს. წარმატებული პოლიტიკა ვერასდროს გახდება ბოლომდე ღია და გამჭვირვალე. „არავინ იცის, ეს რომ სიმართლე არაა. პრესისთვის განცხადებებს ფიცის ქვეშ არ დებენ“, — თუ ხელისუფლების წარმომადგენლებს ასეთ დეტალებზე ზრუნვა ჯეიმს ჰაკერივით უწევთ, ხალხს შეუძლია საკუთარი ჩასაფრებული მედიის იმედი ჰქონდეს. ვიდრე „ადამიანთა სევდის“ შემგროვებლის ფუნქციას სინდისიერად ასრულებს თუნდაც უკანასკნელი მედიამოჰიკანი, პრესა ჭეშმარიტად თავისუფალი დარჩება. სწორედ ესაა ჟურნალისტიკის სული, მასაც და ჩვენც რომ გადაგვარჩენს.

ამერიკელთათვის ცარიელი სიტყვები არ არის — „ხალხის უფლებაა იყოს ინფორმირებული“. ისინი მოითხოვენ ამ უფლების გამოყენებას და ამით, გარკვეულწილად, მხარს უჭერენ პრესის თავისუფლების დაცვასაც. უბრალოდ, ყველას თავისებურად ესმის როგორც მედიის თავისუფლება, ისე — ზოგადად თავისუფლება.

პოლიტიკური მიმიკრია

პოლიტიკა ვერასდროს იქნება წმინდანთა მოღვაწეობასავით სუფთა სფერო, რის გამოც მუდამ იარსებებს საფრთხე, რომ უფრო დიდი პოლიტიკური დამნაშავეები პასუხისმგებლობას იოლად აირიდებენ ნაკლებად მნიშვნელოვანი შეცოდებების მქონე სახელმწიფო მოხელეთა გამომზეურების ხარჯზე. სწორედ ამიტომ შეადარა მონტესკიემ კანონი ობობას ქსელს, რომელსაც მსხვილი მწერი იოლად დაუსხლტება, წვრილი კი გაიხლართება. დღევანდელი დღე დაუსრულებელი ისტორიაა, რომლის სალი თვალით შემყურეებს მიკერძოებულობას სწამებენ. გაცილებით ნაყოფიერია ამერიკის უახლესი წარსულიდან მოხმობილი დეტალების ფონზე სავარაუდო მომავლის განჭვრეტა. ფაქტები, ფაქტები, ფაქტები და არაფერი სხვა ფაქტების გარდა.

ამერიკული ჟურნალისტიკა თავიდანვე პოლიტიკური ელიტის მიერ ლობირების პირობებში ვითარდებოდა მაშინ, როცა ქართულ ან თუნდაც რუსულ პრესას ლიტერატორების ძალისხმევა წარმართავდა სახელისუფლებო ცენზურის კლანჭებში ნიჭიერად ლავირების წყალობით. მწერალი-ჟურნალისტები უფრო განათლებული, ეროვნულ მიზნებზე ორიენტირებული, პატრიოტული და იდეალისტური თვალთახედვებით ასაზრდოებდნენ პერიოდიკის პროგრესს. პოლიტიკოსი-ჟურნალისტები ნაკლებად სინდისიერი, მაგრამ მასშტაბური და მიზანსწრაფული პროპაგანდის საშუალებით სასურველი შედეგების გამოწვევას ისახავდნენ მიზნად. „ვაშინგტონ პოსტის" გამომცემელი ფილიპ გრემი „პრესის როლს ხედავდა თავისი ვაშინგტონელი მეზობლების პოლიტიკისათვის საზოგადოების თანხმობის მოპოვებაში; ხალხს მხოლოდ ის უნდა სცოდნოდა, რასაც საჭიროდ ჩათვლიდა შიდა წრე".

დასავლური და ყოფილი საბჭოთა სამყაროს მედიები, მათ წარმომავლობაში არსებითი განსხვავების გამო, თავისებური, ინდივიდუალური ლოგიკით ვითარდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში მთავრობებს პრესისა და მკითხველის აზროვ-

ნების კონტროლი ჰქონდა განზრახული. შედეგად, დასავლური მედია ბევრად ადრე მიიყვანეს იმ დასკვნამდე, რომ „თანამედროვე ჟურნალისტების ამოცანაა მკითხველის გართობა და მობეზრებული პრობლემებიდან ყურადღების სხვა რამეზე გადატანა“. ოპერაცია Mockingbird სწორედ „მეოთხე ხელისუფლების“ მიზანმიმართულ კრიზისში ჩახრჩობას გულისხმობდა, რომ მორჩილი კარის მასხარის როლი გამხდარიყო მისი სიმბოლო, როგორც ამ პროფესიის წარმომადგენლების, ასევე ფართო აუდიტორიის თვალში. ცინიკურია თავად ოპერაციის სახელწოდება – პატარა ჩიტი, რომელიც გაგონილს იმეორებს ხმის მიბაძვით. სიმბოლური მნიშვნელობის მქონე სახელი საწყისი ეტაპიდანვე განსაზღვრავდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) საბოლოო მიზანდასახულობას ამერიკულ და მსოფლიო ჟურნალისტიკასთან დაკავშირებით.

ამერიკელთა ნაწილს ჯერაც მყარად სწამს, რომ სი-აი-ეი „ცივი ომის“ პერიოდში ხალხის სამსახურში ათენ-ღამებდა და მის უმთავრეს დანიშნულებას – „კომუნიზმის შეფერხებას“ პირნათლად ემსახურებოდა. თუმცა ნახევარი საუკუნის წინათაც არსებობდნენ სახელისუფლო სიცრუის კორიანტელში სტრიქონებს შორის სიმართლის სწორად წამკითხავი ადამიანები. მასაჩუსეტსის ტექნიკური ინსტიტუტის (MIT) ლინგვისტიკის პროფესორ-ემერიტუსის ნოუმ ჩომსკის პიროვნება ერთ-ერთი მეტყველი ნიმუშია პოლიტიკურ სიბინძურეზე უკურეაქციის ავტომატურად წარმოქმნის ბუნებრიობისა რიგით მოქალაქეში.

ჩომსკის შემთხვევაში, მთავრობის მცდარი ქმედებებისადმი პიროვნების შეურიგებლობის პირველი ნიშნები ვიეტნამის ომს უკავშირდება. არგუმენტირებულმა, მაგრამ მიუღებლად თამამმა პოსტულატებმა „ზედმეტად კირკიტა“ მეცნიერს 1960-იანი წლებიდანვე არგუნა პოლიტიკური დისიდენტისა და ანარქისტის ეპითეტები. დისიდენტი, ჩვეულებრივ, აუტორიტარული სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პიროვნებაა. ანარქიას შორეული აზიის ქვეყანაში ამერიკელი ბიჭების საზარბაზნე ხორცად გამეტება იწვევდა და ვიეტნამის საომარი კამპანიის დასრულების სურვილი თუ მოთხოვნა, პირიქით, აშშ-ის შინაარეულობის დალაგებას, დარეგულირებას გულისხმობდა. იმიჯის სიტყვით დამახინჯების გარდა სხვა იარაღი ვერ იპოვა აშშ-

ის პოლიტიკურმა მანქანამ იმ მოაზროვნის წინააღმდეგ, რომელმაც ამოიცნო, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ნამდვილი მისია „დემოკრატიის შეფერხებას“ გულისხმობდა. ჩომსკის სამშობლოს დემოკრატიულობის შემთხვევაში, ბუნებრივია, მას ანარქისტად არ მონათლავდნენ ფაქტების ლოგიკით საკუთარი, ოფიციოზისგან რადიკალურად განსხვავებული აზრის გამოთქმისათვის. საყოველთაოდ ცნობილ პოლიტიკურ აქტივისტს არც ტერაქტები დაუგეგმავს ოდესმე და არც ხელისუფლების წინააღმდეგ რაიმე ძალადობრივი დაპირისპირების წარმოქმნის სურვილი ჰქონია. პირიქით, დანარჩენი ამერიკელი ანარქისტებისა თუ დისიდენტებისგან განსხვავებით, საარჩევნო სისტემის კრიტიკის პარალელურად, იგი რამდენიმე კანდიდატს მხარსაც კი უჭერდა და ამგვარად გახაზავდა მისწრაფებას, შეძლებისდაგვარად ეთანამშრომლა სახელმწიფოსთან. ნოუმ ჩომსკი თავის თავს „თანამგზავრს“ (fellow traveler) უწოდებს და ამ მახვილგონივრული ეპითეტით ნათელს ფენს საკუთარ პიროვნულ პრინციპებსა და მოქალაქეობრივ დანიშნულებას. მისი ექსკლუზიური იარაღებია – სადი აზრი, მსჯელობის ლოგიკურობა და სიტყვის თავისუფლება. ვფიქრობ, პრობლემა თავად სისტემაშია, რომლის ალოგიკურ მარწუხებშიც უწევს არსებობა თანამედროვეობის ამ ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ პოლიტიკურ ფილოსოფოსსა და პუბლიცისტს. მოსაზრებათა შეჯახების ნორმად მიჩნევა სახელმწიფოში დემოკრატიის არსებობაზე მიუთითებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ სხვა წყობასთან გვაქვს საქმე.

ჩომსკისა და მისი მსგავსი „მარტოხელა სიტყვით მებრძოლების“ ნააზრევი საშიშ გონებრივ საკვებს წარმოადგენს ყოველი მომდევნო ახალგაზრდა თაობისთვის. აწ გარდაცვლილი ჟურნალისტისა და პოლიტიკური აქტივისტის, სტივ კანგასის ნაშრომი „ზეკლასის წარმომავლობა“ (1998) ჩომსკის პოლიტიკური ფილოსოფიის აშკარა გავლენის შედეგია. ისეთი ფაქტების საფუძველზე, როგორიცაა: არჩევნების გაყალბება, დემოკრატიული მთავრობების დამხობა, ხალხის მიერ არჩეული ლიდერების მკვლელობები, პირსისხლიანი დიქტატორების ქვეყნის სათავეში მოყვანა და მსგავსი საქმიანობა, კანგასი ლოგიკურად ასკვნის: „სი-აი-ეი თითქმის ყოველთვის ჩაანაცვლებს დემოკრატიას დიქტატურით“. ვფიქრობ, ეს

უკვე სითამამის საზღვრებს სცილდება და პოლიტიკურ ერესს წარმოადგენს „დიდი ძმის“ თვალში. ალბათ, ლოგიკური იყო 1999 წლის 8 თებერვალს დღემდე გაურკვეველ ვითარებაში ცეცხლსასროლი იარაღით გარდაცვლილი ჟურნალისტის პოვნის ფაქტი. პოლიციის ოფიციალურ განაცხადში სტივ კანგასის სიკვდილის მიზეზად თვითმკვლელობა დასახელდა. ყველა არ დაეთანხმა ამ ვერსიას. რუსეთოლოგიაში მაგისტრის ხარისხის მქონე სოციალისტმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დოქტორანტურაში ჩააბარა აშშ-ის პოლიტიკურ მეცნიერებათა სპეციალობით. სავარაუდოდ, მას არაერთი საინტერესო, ორიგინალური და სკანდალური თეზისის გამოქვეყნება არ დასცალდა. ძნელი დასაჯერებელია ისეთი ჟურნალისტის თვითმკვლელობა, ვისაც ძალზე ბევრი აქვს სათქმელი. კანგასის ნება რომ ყოფილიყო, ალბათ, ცოტა ხნით მაინც გადადებდა იმ ქვეყნად გამგზავრებას და ჯერ ყველაფერს იტყოდა, რაც თავში ჰქონდა. სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს დღევანდელ მკითხველზე მისი ბლოგის გაცნობა, რადგან ყოველ ფრაზაში აშკარაა ხვალინდელი დღისკენ სტივის სულსწრაფი ლტოლვა.

ნოამ ჩომსკის მსგავს, „ძველი გვარდიის“ წარმომადგენელთაგან განსხვავებით, ინტერნეტის თაობის ჟურნალისტებს ინდივიდუალური აზრის ფართო მასებთან სწრაფად მიტანის იოლი და მძლავრი იარაღი ჩაუვარდათ ხელში. უკიდურესად პოლიტიზირებული სილაღე ბეჭდურ მედიას გასცდა, როცა სტივ კანგასმა აქტიური ბლოგერობა დაიწყო იუზნეტის საშუალებით. კანგასი თანამოძმეთა ბუნებას კარგად იცნობდა, რაც მის აზროვნებას გამორჩეულ სიმახვილეს სძენდა ამერიკულ მედიაზე საუბრისას: „ჟურნალისტიკა საუცხოო საფარია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებისთვის. ჩვეულებრივ, ადამიანები გულღიაობას იჩენენ ჟურნალისტებთან და ძალიან ცოტას უჩნდება ეჭვი ინფორმაციაზე აგრესიულად მონადირეთა მიმართ. თანაც, ჟურნალისტებს ძალაუფლება, ზეგავლენა და ექსკლუზივის უფლებაც გააჩნიათ. რა გასაკვირია, რომ 1940-იანი წლების ბოლოს სი-აი-ეიმ ამერიკელი ჟურნალისტების გადაბირების მისია დაიწყო“.

აშშ-ის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მიაჩნდათ, რომ „ერთი ჟურნალისტი ოც აგენტს უდრის“. თავისუფალი გამომძიე-

ბელი ჟურნალისტის დევიდ გაიატის ცნობით, რომლის პოლიტიკური პუბლიცისტიკა თავისუფლად ვრცელდება ინტერნეტში, სი-აი-ეის პროექტი ორი გზით ვითარდებოდა. ერთი მხრივ, ჯაშუშებს ჟურნალისტებად წვრთნიდნენ და წამყვან ამერიკულ გამოცემებში, მათ შორის, გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსსა" და ჟურნალ „თაიმში", რეპორტიორის სტატუსით ნერგავდნენ. მეორე მხრივ, საზოგადოებაში კარგი რეპუტაციისა და მაღალი რეიტინგის ჟურნალისტებს ნებით თუ იძულებით ითრევდნენ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოზე სამუშაოდ, რისთვისაც ჯაშუშობის მრავალგვარ უნარ-ჩვევას უვითარებდნენ სპეციალური სწავლებების დროს. პრაქტიკაში სწორედ ეს იყო ოპერაცია კოდური სახელწოდებით Mockingbird.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვაშინგტონში რეგულარულად იკრიბებოდა რამდენიმე ადამიანი. მათ ჯორჯთაუნის ჯგუფის (Georgetown set) სახელით იცნობდნენ, თუმცა არაოფიციალურად ვისნერის ბანდასაც ეძახდნენ. ჯგუფის ბირთვს ქმნიდნენ სტრატეგიული სამსახურების სამმართველოს (OSS) ყოფილი წარმომადგენლები: ფრენკ ვისნერი, ფილიპ გრემი, დევიდ ბრუსი, ტომ ბრეიდენი, სტიუარტ ოლსოპი და უოლტ უიტმენ როსტოუ. თანდათანობით მათ სხვებიც დაემატნენ. ჯორჯთაუნის ჯგუფი ჟურნალისტების, პოლიტიკოსებისა და დიპლომატებისგან შედგებოდა. მათ რიგებს ამდიდრებდნენ სი-აი-ეის მაღალჩინოსნებიც. მამაკაცთა უმეტესობას შეკრებებზე ცოლებიც მიჰყავდა. მოგვიანებით ამ ქალთა დიდი ნაწილი ჯორჯთაუნის ქალბატონების სოციალურ კლუბში გაერთიანდა.

ჯორჯ კინანის დახმარებით 1948 წელს შეიქმნა განსაკუთრებული პროექტების სამსახური, რომლის ხელმძღვანელად ფრენკ ვისნერი აირჩიეს. მალე ორგანიზაციას სახელი გადაერქვა და პოლიტიკის კოორდინირების სამსახური (OPC) ეწოდა. მოგვიანებით იგი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ჯაშუშობისა და კონტრდაზვერვის განყოფილება გახდა. ორგანიზაციის მიზანმიმართულ ქმედებებში შედიოდა „პროპაგანდა, ეკონომიკური ომი, პროფილაქტიკური მიზნებით უშუალო მოქმედება, მათ შორის საბოტაჟი, ანტისაბოტაჟი, განადგურება და საევაკუაციო ზომები; მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა ხელისუფლების დამხობის მცდელობა,

რაც მოიცავდა იატაკქვეშა წინააღმდეგობის ჯგუფებისთვის დახმარების გაწევას და ადგილობრივი ანტიკომუნისტური ელემენტების დახმარებას თავისუფალი სამყაროს ქვეყნების დაშინების მიზნით".

ჯორჯთაუნის ჯგუფის მამაკაცებს საერთო პოლიტიკური თვალთახედვა აერთიანებდა: საშინაო საკითხებისადმი ლიბერალური დამოკიდებულება და მძაფრი ანტიკომუნისტური სულისკვეთება. მათი რადიკალურობის საბაბი გახდა მეორე მსოფლიო ომი და 1945 წელს ნაცისტური გერმანიის ორად გაყოფა. ჯგუფის უმრავლესობას დემოკრატიული პარტიის წევრები წარმოადგენდნენ. მხოლოდ ჯონ შერმან კუპერი და დესმონდ ფიცჯერალდი იყვნენ მემარცხენე რესპუბლიკელები. სალი რესტონის თქმით: „ჩვენ ლიბერალი ანტიკომუნისტები ვიყავით, ინტელექტუალები, სწორედ იმ კლასისა და ჯილაგის წარმომადგენლები, ჯო მაკკარტის რომ ეჯავრებოდა და რომელთა კარიერის დანგრევაც სურდა. ეს იყო სამყაროსავით ძველი ომი მემარჯვენე რესპუბლიკელებსა და მემარცხენე დემოკრატებს შორის".

უშუალოდ ვისნერის პირმშო იყო ოპერაცია Mockingbird – ამერიკული მედიით მანიპულირების პროგრამა. მას დახმარებას უწევდა „ვაშინგტონ პოსტის" გამომცემელი ფილიპ გრემი. ვისნერი და გრემი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სამხედრო დაზვერვაში მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტების გადაბირებას ცდილობდნენ. ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ადამიანი (სტიუარტ ოლსოპი, ჯოზეფ ოლსოპი და ჯეიმს რესტონი) ჯორჯთაუნის ჯგუფში მოიძიეს და მიიმხრეს. დებორა დევისი თავის წიგნში „ეკატერინე დიდი" წერს: „1950-იანი წლების დასაწყისისთვის ვისნერს „ეკუთვნოდნენ" „ნიუ-იორკ თაიმსის", „ნიუსუიქის", CBS-ისა და მედიის სხვა საშუალებების პატივცემული წარმომადგენლები". „ეკატერინე დიდის" ეპითეტით ავტორი „ვაშინგტონ პოსტის" დამაარსებლის ქალიშვილს, ამავე გაზეთის თანამფლობელსა და უშუალო ხელმძღვანელს, ფილიპ გრემის მეუღლეს – კეტრინს მოიხსენიებს.

გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი ჯონ ედგარ ჰუვერი OPC-ს „ვისნერის გადარეულთა ბანდას" უწოდებდა და ჯგუფის წევრთა წარსულის გამოსაკვლევად გამოძიებას აწარმოებდა. ძალიან მალე დაადგინა, რომ რამდენიმე მათგანი მემარცხენეე-

ბის პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერი იყო 1930-იან წლებში. ეს ინფორმაცია რესპუბლიკელი სენატორის ჯოზეფ მაკკარტის ყურამდეც მივიდა და, თავის მხრივ, მანაც შეუტია OPC-ის წევრებს. ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს მაკკარტი „კომუნისტების საძრომ ღრიჭოს" უწოდებდა და ასობით მათგანისთვის ძირის გამოთხრა ჰქონდა განზრახული. როგორც ჩანს, ჯოზეფ მაკკარტიმ სათანადოდ ვერ შეაფასა, თუ რა ბნელ ძალასთან ჰქონდა საქმე. ვისნერმა კონტრშეტევა განახორციელა მის წინააღმდეგ. დრიუ პირსონი, ჯო ოლსოპი, ჯეკ ანდერსონი, უოლტ ლიპმანი და, განსაკუთრებით, ედ მეროუ – ყველანი მაკკარტის დაუპირისპირდნენ და ნამდვილი მედიაომი გამართეს ვისნერის სარდლობით. შედეგად, სენატორის იმიჯი გაანადგურეს და 1954 წლის 2 დეკემბერს სენატიც იძულებული გახდა დაეგმო მაკკარტის მიერ გამოყენებული ბრძოლის უღირსი მეთოდები. ასე უსურვა პოლიტიკური „ღამე მშვიდობისა და იღბალი" დანავსულ რესპუბლიკელს ვისნერის კარგად გამოწვრთნილმა ბანდამ.

ჯორჯთაუნის ჯგუფი, ტრადიციულად, მხარს უჭერდა დემოკრატიული პარტიის კანდიდატებს: ჰარი თრუმენს (1948) და ედლაი სტივენსონს (1952 და 1956 წლებში). 1960 წელს ჯგუფის რჩეული ლინდონ ბ. ჯონსონი იყო, მაგრამ პრეზიდენტობის კანდიდატად ჯონ ფ. კენედი წარადგინეს. უდიდესი ძალისხმევის შედეგად, ფილიპ გრეჰმა და ჯოზეფ ოლსოპმა კენედი დაიყოლიეს, რომ ჯონსონი დაესახელებინა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად.

როდესაც ჯონ კენედი აშშ-ის პრეზიდენტი გახდა, ფილიპ გრეჰმა კიდევ არაერთხელ შეძლო მოქმედი პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა: თავისი მეგობარი დაგლას დილონი ფინანსთა მინისტრად დაასმევინა, არტურ შლეზინგერი (გრეჰის კოლეგა OSS-დან) პრეზიდენტის მრჩევლად დაანიშნინა, დევიდ ბრუსი კი ლონდონში ელჩად გააგზავნინა.

ლინდონ ჯონსონმა უორენის შვიდკაციანი კომისიისთვის (Warren Commission), რომელიც ჯონ კენედის მკვლელობის საქმეს იძიებდა, სამი წევრი ჯორჯთაუნის ჯგუფიდან წამოაყენა: ალენ უ. დალესი, ჯონ ჯ. მაკკლოი და ჯონ შ. კუპერი. მიუხედავად იმისა, რომ კუპერი რესპუბლიკური პარტიის წევრი იყო, მას განსაკუთრებული ახლობლობა აკავშირებდა კენედების ოჯახთან.

საინტერესოა, რომ კუპერი არ ეთანხმებოდა უორენის კომისიის მოკვლევის შედეგებს. როგორც ჯეკი კენედისთან კერძო საუბარში განაცხადა, მისი აზრით, ლი ჰარვი ოსვალდი მარტო არ მოქმედებდა. ჟაკლინმა უპასუხა: „განა ეგ რამეს ცვლის? მკვლელის ვინაობის დადგენა ჯეკს ველარ გააცოცხლებს“. „ჰო, ვერ გააცოცხლებს,“ უპასუხა კუპერმა, „მაგრამ მისი ერისთვის მნიშვნელოვანია ნამდვილი მკვლელების გასამართლება“. რაოდენ მძიმეა დუმილის ჯვარი პატიოსნებაშერჩენილი და პრინციპების ერთგული პროფესიონალისთვის, რომელსაც სანდო წყაროზე მიუწვდება ხელი და ფაქტების ნამდვილი სახის დანახვის შესაძლებლობა აქვს, თუმცა რეალურ პოლიტიკაზე დადებითი გავლენის მოხდენას ვერ ახერხებს.

ჯონ კუპერისგან განსხვავებით, მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა სი-ბი-ესის პოპულარული ტელეწამყვანი დენ რაზერი. დღეს ნებისმიერ ადამიანს ან ნანახი აქვს, ან იოლად შეუძლია მოიძიოს ჯონ კენედის მკვლელობის დოკუმენტური კადრები. ყოველთვის ასე არ ყოფილა. გადაღებიდან მთელი დეკადის განმავლობაში ძალიან ცოტა ადამიანს მიუწვდებოდა ხელი თუ თვალი ამ ფილმზე. პრივილეგირებულ უმცირესობაში აღმოჩნდა და დოკუმენტური მასალა იხილა დენ რაზერმა. დევიდ გაიატის სტატიაში „მედიის დამხობა“ მოთხრობილია, თუ როგორ მოატყუა ამ ჟურნალისტმა მაყურებელი ზაპრუდერის ფილმში ასახული მკვლელობის დეტალების თაობაზე. ფილმისუნახავ და დაინტერესებულ საზოგადოებას რაზერმა ამცნო, რომ დაჭრილი ჯონ კენედი წინ გადავარდა და ამგვარად დაადასტურა ოფიციალური ვერსია პრეზიდენტზე უკნიდან თავდასხმის შესახებ. სინამდვილეში, მოყვარულის კამერამ აშკარად დააფიქსირა მსხვერპლის სხეულის ვარდნა მანქანის უკანა ნაწილისკენ, რაც ნიშნავს იმას, რომ კენედის წინიდან ესროლეს, ანუ ოსვალდის ადგილმდებარეობის მოპირდაპირე მხრიდან.

ამავე სიყალბეს იმეორებს უორენის კომისიის მიერ გავრცელებული ორი კადრი ზაპრუდერის ფილმიდან, რომლებიც სარკისებურად არის ამობეჭდილი. ასეთ არსებით შეცდომას გამოძიების ფედერალურმა ბიურომ „კორექტურა“ უწოდა.

18-წამიანი ფილმი, რომელზეც ამერიკის 36-ე პრეზიდენტის მკვლელობაა დოკუმენტირებული, ჟურნალმა „ლაიფმა“ მაშინვე

იყიდა 250 ათას დოლარად და ფოტოკადრები მანაც შებრუნებულად დაბეჭდა. აღსანიშნავია ორი მეტყველი ფაქტი: „ლაიფისა" და „თაიმის" დამაარსებელი ჰენრი ლუსი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მაშინდელი დირექტორის ალენ დალესის უახლოესი მეგობარი იყო, ხოლო პიროვნება, ვინც ჟურნალისთვის ზაპრუდერის ფილმი შეიძინა – პრეზიდენტის ყოფილი „ფსიქოლოგიური ომის" კონსულტანტი სიჯეი ჯექსონი.

1975 წელს, როგორც იქნა, ამერიკულმა საზოგადოებამაც იხილა ფილმი. ოფიციალური ჩვენებისთანავე გაჩნდნენ შეთქმულების თეორიის მომხრენი, რომელთა ვარაუდით მკვლელობის ორგანიზებაში სი-აი-ეის თანამშრომლები და ამერიკის სამხედრო მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ. სადაც კი სი-აი-ეისთან დაახლოებული ჟურნალისტი გაიელვებდა, იქ ფაქტების გამომზეურების ნაცვლად, ყველაფერი იდუმალებითა და სამარადჟამო დუმილის საბურველით იფარებოდა. ლამის ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ ჯონ კენედის მკვლელობის მისტერია ძველებურად აუხსნელია.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ ამერიკელი ჟურნალისტების აქტიურად გამოყენების პროცესი, ფაქტობრივად, უპრობლემოდ მიმდინარეობდა 1973 წლამდე. განსაკუთრებული მითქმა-მოთქმის საბაბად იქცა ოპერაცია Mockingbird-თან დაკავშირებული დეტალების შესახებ ინფორმაციის გაჟონვა. ფართო საზოგადოება აღაშფოთა სი-აი-ეისა და რეპორტიორების ფარულად თანამშრომლობის ფაქტმა. საპასუხოდ, უილიამ კოლბიმ პროგრამის მასშტაბის ეტაპობრივი შემცირება დაიწყო. ამას გარდა, მას მოუწია საჯარო განცხადების გაკეთება მოქალაქეების დასარწმუნებლად, რომ „სამმართველოს მიერ ჟურნალისტების გამოყენება მინიმალური და ლიმიტირებული იყო". არაერთი ნაბიჯი გადადგა ბიუროს შეფმა პრესის, კონგრესისა და ხალხის დასარწმუნებლად, რომ სი-აი-ეიმ თავი დაანება ჟურნალისტიკას, მაგრამ თვით სამმართველოს თანამშრომელთა ნაწილი თვლიდა, რომ კოლბიმ „დამცავი ბადე გადააფარა ჟურნალისტურ წრეში შემორჩენილ თავის ყველაზე ღირებულ სადაზვერვო აქტივებს". შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აღნიშნული ოპერაციის შესახებ დეტალური გამოძიების ჩატარება.

1975 წელს ჩარჩის კომისიამ გამოავლინა ოპერაცია Mockingbird-თან დაკავშირებული მონაცემების ნაწილი, რამაც შემაშფოთებელი შთაბეჭდილება დატოვა იმ, სავარაუდოდ, არასრული სახითაც, როგორიც კომისიის წევრების ხელში აღმოჩნდა. ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილი მსხვილი ამერიკული მედიაკონგლომერაციების სიაში სხვადასხვა წყარო ასახელებს ისეთ ცნობილ ორგანიზაციებს, როგორიცაა გაზეთები „ნიუ-იორკ თაიმსი", „ვაშინგტონ პოსტი", „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი", „მაიამი ჰერალდი", ჟურნალები „ნიუსუიქი", „ლაიფი", „თაიმი", საინფორმაციო სააგენტოები ასოშიეიტიდ-პრესი და როიტერზი, ტელეკომპანიები სი-ბი-ესი და ეიბი-სი და სხვა მრავალი.

ჟურნალ „როლინგ სთოუნზის" 1977 წლის 20 ოქტომბრის ნომერში სკანდალურად ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი კარლ ბერნსტაინი წერდა: ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ უმოკლეს ვადაში განახორციელა მინიმუმ 25 მედიაორგანიზაციის რეკრუტირება, რომელთაც დაევალათ სი-აი-ეის პროპაგანდის ფართო მასებში გავრცელება. ამ სამსახურის სახელფასო სიაში 400-მდე ჟურნალისტის სახელი ამოტივტივდა. წარმატებული მედიამუშაკების გადაბირებისა და მიმხრობის გარდა, სი-აი-ეი ყიდულობდა ან ქმნიდა მედიაკომპანიებს როგორც საზღვარგარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით. ამ მხრივ ერთ-ერთ უდიდეს წარმატებულ პროექტად ითვლება „ქეფითალ სითიზის" მიერ 1985 წელს ტელეკომპანია ეიბი-სის მთლიანად შესყიდვის ფაქტი. კომპანია „ქეფითალ სითიზ" დააარსეს სი-აი-ეის ბიზნესმენებმა – ტომას დიუიმ, უილიამ კეისმა (რონალდ რეიგანის პრეზიდენტობისას სი-აი-ეის დირექტორმა) და ლოუელ ტომასმა (სი-აი-ეის დირექტორის ალენ დალესის ახლო მეგობარმა და ბიზნესპარტნიორმა).

1976 წლის 28 იანვარს უილიამ კოლბიმ სი-აი-ეის დირექტორის პოსტი დატოვა. ორ დღეში მისი ადგილი უფროსმა ჯორჯ ბუშმა დაიკავა, რომელმაც ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ოფიციალური პოლიტიკური კურსი რადიკალურად შეცვალა. ამიერიდან, „სი-აი-ეი ანაზღაურებად ან საკონტრაქტო ურთიერთობას აღარ დაამყარებდა აშშ-ის ნებისმიერი საინფორმაციო სამსახურის, გაზეთის, პერიოდული გამოცემის, ტელე-რადიო არხისა თუ სად-

გურის არცერთ შტატიან თუ უშტატო კორესპონდენტთან“. როგორც კარლ ბერნსტაინმა ირონიულად თქვა, „აღნიშნული განცხადების ტექსტში ისიც იყო დაზუსტებული, რომ სი-აი-ეი კვლავაც „მიესალმებოდა“ ნებაყოფლობითი, უსასყიდლო თანამშრომლობის მსურველ ჟურნალისტებს“.

1990 წლის დასაწყისში გამოცემულ წიგნში „ვაშინგტონ პოსტი: ისთებლიშმენტის გაზეთი“ დაგ ჰენვუდი წერს: „აგრესიული რეპორტაჟის ეტალონი – „უოთერგეითის საქმის“ გაშუქება „ვაშინგტონ პოსტის“ ექსკლუზივია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი გრემის გაზეთი ისთებლიშმენტის საქმეს ემსახურებოდა. თავად კეტრინ გრემის აღიარებით, ეს გამოძიება წარმატებული ვერ გახდებოდა, მთავრობის წარმომადგენელთა მხრიდან თანამშრომლობისა და ჟურნალისტებთან – ბობ ვუდვორდთან და კარლ ბერნსტაინთან საუბრის სურვილის გარეშე. ეს ლაპარაკის მოსურნენი, სრულიად შესაძლებელია, რომ სი-აი-ეის შიდა წრიდანაც იყვნენ... ნებისმიერ შემთხვევაში, ნათელია, რომ ისთებლიშმენტს ნიქსონის პოლიტიკიდან მოშორება სურდა“.

ათწლეულების განმავლობაში წარმატებით მიმდინარე ოპერაცია Mockingbird-ის ფონზე უკიდურესად რთული ხდებოდა მართალი სიტყვის ხალხთან მიტანა ჟურნალისტის პროფესიისა და პიროვნული პრინციპების ღალატის გარეშე. თავისუფლების გაგება მოდიფიცირდებოდა, აზრის სილაღეს კი გამუდმებული კონტროლისა და დევნის პირობებთან იძულებით შეგუება უწევდა. ერთი მხრივ, სახიფათოა დემოკრატიისთვის არსებითი უფლება – ჭეშმარიტი თავისუფლება მიანიჭო ამისთვის შეუმზადებელ საზოგადოებას. მეორე მხრივ, თავისუფლების წინასწარი შეზღუდვა და ფარული პროპაგანდის საშუალებით მასებზე ზემოქმედება გზას უკეტავს ქვეყანაში დემოკრატიის ბუნებრივად ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ლოგიკურად იწვევს მოაზროვნე ინდივიდების უკმაყოფილებასა და პროტესტს მათ გონზე კონტროლის დამყარების მცდელობა გარეშე ძალის (ამ შემთხვევაში, სი-აი-ეის აგენტი ჟურნალისტების) მიერ.

„კამელოტის“ პირველ წელს (ანუ 1961-ში, როცა პრეზიდენტი ჯონ კენედი თეთრ სახლში გადაბარგდა) დაბადებულ სტივენ კანგასს ჟურნალისტიკის გარდა სხვა თავშესაფარი არ გააჩ-

ნდა. დანარჩენი ან არ აინტერესებდა, ან მისთვის მხოლოდ ჰობი იყო. მიუხედავად მისი სახიფათო რადიკალიზმისა, ნოამ ჩომსკისთვის ლინგვისტიკა, გარკვეული თვალსაზრისით, დამცავ ფარს წარმოადგენდა და, იქნებ, ამის წყალობით გადარჩა. ათწლეულებია, რაც იგი თანამედროვე მედიის როლსა და მმართველი ელიტის მიერ რჩეულ ჟურნალისტთა ხელით გეგმაზომიერად წარმოებულ შენიღბულ პროპაგანდას შეისწავლის. ვფიქრობ, ეს ჭიდილი ხელისუფლების მხრიდან აზროვნების კონტროლის სურვილსა და მოაზროვნე ინდივიდთა ბუნებითი უნარის – თავისუფლების გამოვლენას შორის კიდევ ძალიან დიდ ხანს იარსებებს, იქნებ, არც არასდროს შენელდეს.

პროპაგანდა ყოველთვის იყო და დარჩება ფართო მასების უსისხლოდ კონტროლის იარაღად მმართველი ძალის ხელში. გამოჩენილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა და კომუნიკაციის თეორეტიკოსმა, ჰაროლდ ლესველმა 1928 წელს განმარტა, რომ ტერმინის „საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR)“ გაჩენის მიზეზი გახდა პროფესიის იმიჯის დაცვის სურვილი სიტყვა „პროპაგანდის“ ნეგატიური მნიშვნელობის დამღუპველი ზეგავლენისგან: „პროპაგანდა ზიზღისა და სიძულვილის ეპითეტად იქცა, რის გამოც პროპაგანდისტებმა თავშესაფარი პოვეს ისეთ სახელწოდებებში, როგორიცაა „საზოგადოებასთან ურთიერთობის საბჭო“, „საზოგადოებრივი განათლების სპეციალისტი“, „საზოგადოებასთან ურთიერთობის მრჩეველი“.

ევროპელი მკვლევრების ნაწილი მხარს უჭერს დოქტორ კევინ მოლონის მოსაზრებას, რომ პირველ პრაქტიკოს პიარსპეციალისტად უნდა ჩაითვალოს ჯორჯიანა კავენდიში, დევონშირის ჰერცოგინია. პიარტექნოლოგიების გამოყენების კვალი აშკარაა რომის იმპერიის პერიოდში, ძველი და ახალი ათასწლეულების მიჯნაზე მცხოვრები რომაელი ისტორიკოსის ტიტუს ლივიუსის მონუმენტურ ნაშრომში „ამბავი რომის დაარსებიდან“ («Ab urbe condita»), რომელსაც თანამედროვე მეცნიერები „პრორომაული პროპაგანდის შედევრად“ მიიჩნევენ. თუმცა ბევრად უფრო ადრეულ ცივილიზაციებშიც შესამჩნევია პროპაგანდის ხერხების გამოყენება ჩანასახობრივი სახით. ასეთი ნიმუშია ქრისტემდე დაახლოებით 515 წელს ბეჰისტუნის („ღვთის სამყოფელი“) კლდეზე ნაკვეთი მონუმენტი სამენოვანი წარწერით, რომელიც დარიოს I-ის ბრძანებით

შეიქმნა ძვ. წ. აღ-ით 521-520 წლებში და ასახავს ძვ. წ. აღ-ით 523-521 წლების ამბებს – სპარსეთის სამეფო კარზე მომხდარი სისხლიანი გადატრიალებისა და 28 წლის დარიოსის ტახტზე ასვლის დეტალებს.

ჰეროდოტე, ესქილე, ჰეკატე მილეთელი, ქტესიოს კნიდოსელი, ჰელანიკე მიტილენელი და სხვა ძველი ბერძენი ავტორებიც აღწერენ დარიოსის გამეფების ისტორიას, მაგრამ მათი ვერსია განსხვავდება ბეჰისტუნის ლურსმულ ტექსტში მოცემული ოფიციალური ვარიანტისგან. საყურადღებოა სპარსული ხალხური ტრადიციის რადიკალური წინააღმდეგობა კლდეზე ნაკვეთი წარწერის შინაარსთან. სწორედ აღნიშნული დეტალები აფიქრებინებს თანამედროვე მეცნიერებს, რომ საქმე გვაქვს პროპაგანდისტულ ქმედებასთან, რომლის მიზანი იყო დარიოსის მიერ ტახტის მიტაცების წარმოჩენა სამართლებრივად ნებადართულ ქმედებად. ამ ვარაუდს ამყარებს ის ფაქტიც, რომ მეფეთ მეფის ტექსტი შესრულებულია ძველ სპარსულ (ანუ დარიოსის მშობლიურ), გვიან აქადურ (ბაბილონელთა და ასურელთა) და ელამიტურ (ელამიტელთა) ენებზე. მ.ა.დანდამაევის ვარაუდის თანახმად, დარიოსის ბრძანებით იგივე ტექსტი ბერძნულადაც უნდა ეთარგმნათ მცირე აზიის ქალაქებში ბერძნულენოვანი მოსახლეობისთვის. ცხადია, ენობრივი მრავალფეროვნება ხელს უწყობდა ინფორმაციის ხელისუფლებისთვის სასურველი ინტერპრეტაციით გავრცელებას გაცილებით ფართო მასებში სპარსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე.

ერთ-ერთ სტაჟიან პროპაგანდისტულ თხზულებად ითვლება დალ გაშთა კლანის „ირლანდიელთა ომი უცხოელების წინააღმდეგ“ («Cogad Gáedel re Gallaib»), რომელიც XII საუკუნის დასაწყისით თარიღდება და მიზნად ისახავს ამ დინასტიის წარმომადგენელთა, როგორც ირლანდიის მმართველთა, ლეგიტიმურობის დადასტურებას. ნაწარმოებში გადმოცემულია 967-1014 წლებში ირლანდიის მეფის ბრიან ბორუს მიერ საკუთარი ქვეყნის ვიკინგთა შემოტევებისგან დაცვის ამბავი. ქრონიკებში, რომელიც აღწერილი ბრძოლებიდან საუკუნის შემდეგ შეიქმნა, მეფე ბრიანი იმპერატორ ავგუსტუსსა და ალექსანდრე მაკედონელთან არის შედარებული, მისი ვაჟიშვილი მერკა კი – მითოლოგიურ ჰერაკლესა და ბიბლიურ სამსონთან. ირლანდიურ ტექსტში დელ გაშები წარმოჩე-

ნილნი არიან მამაც, ღირსეულ მეომრებად და ღვთისმოსავ ქრისტიანებად. თანამედროვე ირლანდიელი მკვლევრები XII საუკუნის ნაწარმოებს „პროპაგანდის ბრწყინვალე ნიმუშს“ უწოდებენ, რომელიც დაწერილია „მაღალფარდოვანი სტილით და სავსეა პატრიოტული ჰიპერბოლებით“. კორკის საუნივერსიტეტო კოლეჯის (UCC) პროფესორ-ემერიტუსი დონკა ო'კურაინი თხზულებას ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევს, თუმცა მის ისტორიულ სიზუსტეში ეჭვი შეაქვს. ვფიქრობ, ფაქტების პროპაგანდისტული მიზნებით დეფორმირების შემთხვევაში კიდევ უფრო იზრდება აღნიშნული ნაწარმოების დანიშნულებისამებრ გამოყენების კოეფიციენტი, რადგან საქმე გვაქვს დავით აღმაშენებლის თანამედროვე ავტორთან (მეცნიერების ვარაუდით, ქრონიკები შეიქმნა 1103-1111 წლებს შორის პერიოდში). ის, რაც ისტორიოგრაფიის გადასახედიდან თხზულების ნაკლს წარმოადგენს, მედიალოგიის პოზიციიდან გაცილებით ღირებულ საკვლევ მასალას იძლევა პიარის თეორიის რაკურსით.

ცნობილია, რომ შოთა რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“, მხატვრულ-ფილოსოფიური ღირსებების პარალელურად, ფარული პოლიტიკური დანიშნულებაც გააჩნდა. გადაჭარბებად ნამდვილად არ უნდა ჩაითვალოს, თუ „ქართველთა ბიბლიას“ იმ უძველეს ნაწარმოებთა სიაშიც შევიტანთ, რომლებიც პიარტექნოლოგიების ელემენტთა გამოყენებას ამჟღავნებენ. მეფის ასულის მემკვიდრული კანონიერებისა და უფლისწულთან გათანასწორებულ უფლებათა იდეის ქვეტექსტური გამოყენება ქართულ პოემას პროპაგანდისტულ ელფერს ნამდვილად სძენს.

დღეს უკიდურესად პოპულარული ტერმინი — პიარი, თანამედროვე გაგებით, 1919 წელს გამოჩნდა და სულაც არ არის შემთხვევითი, რომ მისი ავტორი „კამასუტრასავით“ სახელგანთქმული ზიგმუნდ ფროიდის დისწული ედუარდ ბერნეისია. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ქვეცნობიერ გრძნობებსა და იმპულსებზე მანიპულირებით მასის დარწმუნების თანამედროვე თეორიის ჩამოყალიბებაში. ბერნეისმა წარმატებით გამოიყენა ცნობილი ბიძის თეორიები ფსიქოანალიზთან დაკავშირებით და ისინი საფუძვლად დაუდო პროპაგანდის როლის გამოკვეთას საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების პროცესში, რაც სრულიად ახალი სიტყვა იყო როგორც კო-

მერციული, ასევე – პოლიტიკური რეკლამის ისტორიაში.

კარიერა ედუარდმა პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყო საზოგადოებრივი ინფორმაციის კომიტეტში – ეს იყო პროპაგანდის უზარმაზარი მანქანა, რომელიც ვუდრო უილსონის ხელდასხმით ფუნქციონირებდა. პიარის მამამთავარი პრაქტიკულ გამოცდილებას აგროვებდა ისეთ ცნობილ ბრენდებთან და პიროვნებებთან თანამშრომლობისას, როგორიცაა სერგეი დიაგილევის საბალეტო დასი, „პროქტერ ენდ გემბლი“, „ჯენერალ მოტორზი“, „ამერიკენ ტობაკო კომპანი“, „ჯენერალ ელექტრიკი“, ელეონორა რუზველტი, კალვინ კულიჯი.

1928 წელს თავის წიგნში „პროპაგანდა“ ბერნეისი წერდა: „ფართო მასების ჩვევათა და მოსაზრებათა გაცნობიერებული და მეცნიერული მანიპულირება დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვანი ელემენტია. ვინც ამ ფარულ საზოგადოებრივ მექანიზმს მართავს, სწორედ ის არის ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი ხელისუფალი... ადამიანები, რომელთა არსებობაც კი არ გაგვიგონია, გვმართავენ, თავს გვახვევენ აზროვნების ფორმებს, გვიყალიბებენ გემოვნებას და გვაწვდიან იდეებს. ეს კი დემოკრატიული საზოგადოების განვითარების სრულიად ლოგიკური გზაა“.

ფსიქოანალიზის მეთოდთა რეალურ ცხოვრებაში მასიურად გამოყენებაზე ფილოსოფიური უზრუნველობით საჯაროდ მოსაუბრე ედუარდ ბერნეისი 1933 წელს გააოგნა გაზეთ „ჰერსტის“ კორესპონდენტის კარლ ფონ ვიგანდის ნაამბობმა იმის შესახებ, რომ ბერნეისის ათი წლის წინათ გამოცემულ მონოგრაფიას „საზოგადოებრივი აზრის კრისტალიზაცია“ გერმანიის პროპაგანდის მინისტრი იოზეფ გებელსი ძირითად სახელმძღვანელოდ იყენებდა გერმანელი ებრაელების წინააღმდეგ მიმართულ სისხლიან კამპანიაში. თუნდაც ამ ერთადერთი მაგალითის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ პიარი ატომური ბომბივით მძლავრი იარაღია და არსებითი მნიშვნელობა აქვს, თუ ვის ხელში აღმოჩნდება ან ერთი, ან მეორე. ბი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში ედუარდის ქალიშვილმა, ენ ბერნეისმა განაცხადა, რომ ედუარდი შიშობდა, ამერიკულმა საზოგადოებამ „შესაძლოა ძალზე იოლად აირჩიოს უვარგისი ადამიანი ან ისურვოს უვარგისი ნივთი, ამიტომაც ხალხი უნდა იმართებოდეს ზემოდან“. როგორც ანამ განმარტა, მამამისი იმედს

ამყარებდა „განათლებული დესპოტიზმის“ იდეოლოგიაზე. მმართველი ელიტის იდეა, არისტოტელედან მოყოლებული, არაერთ თაობას მიუჩნევია მართებულ გზად, მაგრამ რეალიზებული სახით, რატომღაც, ყოველთვის იკარგებოდა განათლებულობის პუნქტი და ხალხი უხეში, უვიცი დესპოტიზმის უღელში ამოჰყოფდა ხოლმე თავს. უკვე 1947 წელს ედუარდ ბერნეისი გამოსავალს „ერთსულოვნების ინჟინერიაში“ ხედავდა. იგი თვლიდა, რომ „ერთსულოვნების მიღწევა წარმოადგენს დემოკრატიული პროცესის არსს, დარწმუნებისა და შეთავაზების თავისუფლებას“.

თანამედროვე მედიისადმი ხალხის მხრიდან ბრმა ნდობის ან სრული უნდობლობის არსებითი მიზეზია დღევანდელი პოლიტიკური მიმიკრია. თუმცა ტერმინი „მიმიკრია“ ცხოველთა და მცენარეთა სამყაროში არსებულ მიმბაძველობას ნიშნავს, ვფიქრობ, დასაშვებია მისი გამოყენება ადამიანთა საზოგადოებებში დაფიქსირებული ანალოგიური მოვლენის დასახასიათებლად. არსებობისთვის ბრძოლაში ყველა ორგანიზმი ამჟღავნებს თავდაცვის ინსტინქტს და ინდივიდთა გარკვეული ნაწილი ზოგჯერ გამიზნულად ემსგავსება სხვას. ცხოვრება, პოლიტიკურიც და ე.წ. აპოლიტიკურიც, თამაშია, მხოლოდ მოთამაშენი განსხვავდებიან დონით, ნიჭითა და უნარ-ჩვევებით. იშვიათ გამონაკლის შემთხვევაში, ძალა აღმართს ხნავს. ასეთ დროს მოულოდნელად გამოხტება ერთი დაუმორჩილებელი, უსამართლობით გონდაბინდული და ჩაწყობილ კარტებს აურევს ყველას. ამგვარად იბადებიან მედიალეგენდები. ძალას, რომელიც ამ ინდივიდებს აიძულებს სიმართლისათვის თავის გაწირვას, რიგოლეტოს სინდრომს ვუწოდებდი: თუმცა იციან, რომ სიცოცხლის ფასად დაუჯდებათ მათზე ძლიერის წინააღმდეგ წასვლა, სიმართლისადმი ხელისუფალთა მხრიდან განხორციელებული უსამართლობის ატანა სიკვდილზე მტკივნეული გამხდარა. ადამიანს დასაკარგი უნდა დაუტოვო, თორემ ისეთს ჩაიდენს, საკუთარ თავსაც გააოგნებს, მაგრამ, როგორც წესი, რიგოლეტოს სინდრომით ამოქმედებული წარმატებას ვერ აღწევს. მისი მცდელობა უშედეგოდ მთავრდება ანდა უდანაშაულო (თავისი, ნათესავის, ახლობლის, ვინმეს) მსხვერპლს იწვევს. ინდივიდი ველარ აკონტროლებს საკუთარ ნებას, მასხარის ამპლუადან დროებით გამოდის და რადიკალურად განსხვავებულ, მისგან მოულოდნელ ქმედებას განახორ-

ცილებს სიმართლისა და სამართლიანობის სახელით.

პოლიტიკური მიმიკრია ხელისუფლების სამივე შტოს, მედიისა და დანარჩენების ჰარმონიული თანაარსებობისთვის შექმნილი თამაშია. სულ უფრო ნაკლებ ხალხს ეიმედება დემოკრატია, როგორც არსებობისთვის სასურველი გარემო. კახურ ანეკდოტში გათამაშებული სიტუაცია დიდ პოლიტიკაში არსებული რეალობის ანალოგიურია: დემოკრატია მიხოსთვის ნიშნავს ქალებში თავისუფლად გართობას, მაროს შემთხვევაში – დაუშვებელი უზნეობაა. თანამედროვე დემოკრატიაში რაც ხელისუფლებისთვის ნებადართულია, ხალხისთვის აკრძალულია. ჭეშმარიტი დემოკრატია ლამაზი ოცნებაა, რომელიც იქნებ ოდესმე კიდეც აგვიხდეს. ეს თუ რეალურ სამყაროში სათანადოდ განხორციელდა, მაშინ მართლა აღარ ელირსებათ ჯადვარები ჯორჯ ბუშ-უმცროსსა და მისი ყაიდის სხვა ეგოცენტრულ პოლიტიკოსებს.

დამოუკიდებლობა ერთადერთი საშუალებაა, რომ საზოგადოებამ და ხელისუფლების ყველა ლეგალურმა შტომ სათანადოდ ფუნქციონირება შეძლოს. სახელმწიფო მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დემოკრატიის გზაზე მდგომად, როცა კონსტიტუციური უფლებები და შეზღუდვები ზოგადად ადამიანის საკეთილდღეოდ იქნება მიმართული და ყველას, შეძლებისდაგვარად, ერთნაირად უზრუნველყოფს თავისუფლებათა იმ პაკეტით, რაც ჰუმანური პოლიტიკოსებისა და ანტიკური ფილოსოფოსების ნააზრევის შეჯერების შედეგად ჩამოყალიბდა.

თანამედროვე მედიას ჯერაც კარის მასხარის ზანზალაკებიანი ქუდი ახურავს. ალბათ, იმიტომ, რომ მისი მიახლოვება ისევე შორიდან და დროულად შეიტყოს „ვინაც ჯერ არს", როგორც კაპიტანი კაუჭა იგებდა მაღვიძარაგადაყლაპული ნიანგის მოახლოვებას. რაოდენ დიდია „მეოთხე ხელისუფლებისადმი" პოლიტიკური ელიტის სიმხდალე, თუ ამ სფეროს ხუნდებდადებული წარმომადგენლებისაც ეშინია.

ჟურნალისტი „ცრუთა ქვეყნიდან“

ჯანი როდარის თავისუფლების რეცეპტი მარტივი და იოლადხელმისაწვდომია: „ფიქრიც სასარგებლო საქმეა, იქნებ, ყველაზე საჭიროც. ჩემი აზრით, თითოეული ადამიანი დღეში ნახევარი საათი აუცილებლად უნდა ფიქრობდეს“. როდარის ყოველ ნააზრევსა თუ ნაწერს უცნაური ტონალობა აქვს: ერთდროულად სერიოზულიც და მსუბუქიც. როგორღაც ახერხებს განცდათა სიღრმის, დებულების ფილოსოფიური გააზრებისა და გასაგებად მარტივი ფრაზეოლოგიის ნაზავის იმგვარად მოწოდებას, რომ ვერასდროს იტყვი დარწმუნებით, რომელ აუდიტორიაზეა გათვლილი ავტორის ნაწერი: მცირეწლოვანებსა თუ ზრდასრულებზე. უცნაური, ყოვლად გაუმართლებელი სტერეოტიპის მიხედვით, ნაწარმოები ან დიდებისთვის უნდა დაიწეროს, ან პატარებისთვის. აუდიტორიის ასაკის შეუზღუდაობის აღმნიშვნელი U ნიშნის მქონე ფილმებსა და წიგნებს გასართობის სტატუსს ანიჭებენ და ყველას ერთ – არასერიოზულობის კატეგორიაში ერეკებიან. არადა არსებობს დროისგასაყვანი შეუზღუდაობაც და სერიოზული, მაგალითად, ბიბლიური სიბრძნის საყოველთაობაც.

1969 წელს იუმორითა და რაციონალურობით სავსე წიგნის – „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრების“ შესავალში ჯანი როდარი პირდაპირ, თუმცა სტრიქონებს შორის გაფანტულად განმარტავს თუ რატომ ირჩევს წერის თავისებურ (იგულისხმება, პოლიტიკური ზღაპრის ჟანრი) მანერას: „მწერალი, ლამის, შემთხვევით გავხდი... თუმცა, ჩემდაუნებურად, დიდ ხანს ვემზადებოდი სამწერლო მოღვაწეობისთვის, მაგალითად, როცა სკოლაში ვმასწავლებლობდი... იმედია, ეს წიგნი სათამაშოსავით მხიარული აღმოჩნდება. სხვათა შორის, ბავშვობაში, მევიოლინეობის და მხატვრობის გარდა, სათამაშოების კეთებაზეც ვოცნებობდი. ყოველთვის მინდოდა, სათამაშო მოულოდნელი, აზრიანი გამოსულიყო, რომ მისი გამოყენება ყველას შესძლებოდა. ასეთი სათამაშოები ხანგრძლივად არსებობენ და არასოდეს იქცევიან მოსაბეზრებელ ნივთებად. რადგან არც ხესთან,

არც ლითონთან მუშაობის უნარი არ მქონდა, ვცადე სათამაშოების სიტყვებიდან კეთება. სათამაშოები, ჩემი აზრით, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც წიგნები... ვისურვებდი, რომ სათამაშოები დიდებსაც და ბავშვებსაც ერთნაირად გამოდგომოდეთ, ერთად ეთამაშოს მთელ ოჯახს, მთელ კლასს, მასწავლებლის ჩათვლით. მინდა, ჩემი წიგნები სწორედ ასეთი სათამაშოები აღმოჩნდეს". ფიქრს, სურვილის მეტი, მართლა არაფერი უნდა.

ფიქრს შეუძლია ძალზე შორს წაიყვანოს ადამიანი, გაუგონარი გააგონოს, დაუნახავი დაანახოს. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ ჯანი როდარის წიგნებზე გაზრდილმა, უკვე ზრდასრულმა ერთმა მკითხველმა „ტელეფონით მოყოლილ ზღაპრებზე" გაკეთებულ კომენტარში აქტუალური პრობლემის გადასაჭრელად ირონიული იდეა წამოაყენა: „იქნებ ვინმეს ზედმეტად თავხედური მოეჩვენოს, მაგრამ ზღაპრის „უკუთხო და უკუნჭულო ქვეყანა" ტექსტი ტატუს სახით ზურგზე უნდა გაუკეთდეს ყველა ქვეყნის ყოველ ხელახლა არჩეულ პრეზიდენტს (ან სხვა სახის ხელისუფალს). თითოეული ინაუგურაციის წინ პრეზიდენტი ხალხისკენ ზურგით უნდა დგებოდეს, მასა კი ერთხმად უკითხავდეს ამ ზღაპარს. გარანტიას ვიძლევი, სამყარო უკეთესი გახდება". ვფიქრობ, მკითხველში სწორედ ამგვარი – ფიქრიანი, ინტერაქტიული რეაქციის გამოწვევის სურვილით წერდა ჯანი როდარი. სხვა საკითხია, როგორ უნდა გავდოთ ხიდი ჩვენს დღევანდელ ცხოვრებასა და იდეალურ უკუთხო ქვეყანას შორის. იქ ხომ შენი დანაშაულისთვის პოლიციელს, ჯარიმის სახით, სილა უნდა გააწნა. განსაკუთრებული მორალური აღზრდაა საჭირო, რომ ამის გაკეთება იმდენად არ გინდოდეს, დანაშაული არასოდეს ჩაიდინო. ჯანი როდარის წიგნებზე უნდა იზრდებოდეს თაობები მანამ, სანამ მთელი საზოგადოების შეგნება ჯოვანინო ჩიტირეკიას დონეზე მაინც არ ავა: საოცრად მოეწონა ჯოვანინოს უკუთხო და უკუნჭულო ქვეყანა, მაგრამ პოლიციელს ხელი ვერ გაარტყა, ამიტომ საზღვრების დატოვება მოუწია „ჯარიმის" გადაუხდელობის გამო.

აშშ-ის მივარდნილ ადგილებში პირველი ქრისტიანების დარად შეყუჟულან დამოუკიდებელ მოაზროვნეთა მცირე ჯგუფები და XVIII-XIX საუკუნის პარიზული სალონების სტილში თეორიული მჭევრმეტყველებით განიხილავენ ანტიინტელექტუალური პოლიტი-

კის შედეგებს აწმყოსა და მყოფადის რაკურსში. ქვეყანას მათი ხმა არ სწვდება, რადგან უმეტესობა ან ჩურჩულებს, ან საკუთარ გონებაში გადაუტანია დისპუტის მთელი სიმწვავე.

თუ ამერიკის ანტიინტელექტუალური პოლიტიკით უკმაყოფილო უმცირესობა თუნდაც მხოლოდ „ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში“ წაუკითხავს, აუცილებლად შეაშფოთებს ერთი მრავლისმეტყველი ფაქტი: ჯანი როდარის ე.წ. საბავშვო ნაწარმოებები ძალზე იშვიათად ითარგმნება ინგლისურ ენაზე და, შესაბამისად, ამერიკელი და ბრიტანელი ბავშვები მოკლებულნი არიან არაჩვეულებრივ სატირულ-იუმორისტულ თხზულებათა თავშესაქცევი ფაბულის კითხვის სიამოვნებას. ჰოლივუდი არ იყენებს ჯანი როდარის ნაწარმოებებს მხატვრული ან ანიმაციური ფილმების სცენარებისთვის. ამერიკული მედია მორიგი პრეზიდენტის ძაღლსა თუ კატაზე უფრო მეტს საუბრობს, ვიდრე მის ურთიერთობაზე კოლეჯის მეგობრებსა და კარის მეზობლებთან. რეალური ადამიანი თანდათანობით იდევნება ყოველდღიური თემატიკიდან.

რჩება შთაბეჭდილება, რომ მითი „მეოთხე ხელისუფლების“ შესახებ „პირველის“ ოსტატური გამოგონებაა და მმართველმა ელიტამ მანამ უნარჩუნა ჟურნალისტიკას თავსმოხვეული იმიჯი, სანამ თავად აწყობდა. დღეს ეს ეტაპი არათუ კარგა ხნის დასრულებულია, არამედ ხელისუფლებას, ხალხსა და ხელოსნებად ქცეულ მედიამუშაკებსაც აღარ ახსოვთ ოდესმე რეალობას თუ წარმოადგენდა. უმეტესობას არც სურს ასეთ წარსულთან მიბრუნება. ყველა კმაყოფილების ნიღაბს ამოფარებია და თანამედროვე ტექნოლოგიების მაქსიმალურად გამოყენებას უშუალოდ გართობისა და ფინანსური მოგების თვალსაზრისით ცდილობს. ფიქრის და კითხვის დრო ნაკლებად რჩებათ.

XXI საუკუნეში თავისუფლება ის კატეგორიაა, რომელიც ინფორმირებულობით მიიღწევა და ამ უცილობელი ფაქტორის გათვალისწინებით, თავისუფლება და ძალაუფლება სინონიმები თუ არა, ერთმანეთის კონკურენტები მაინც გამოდიან. როგორ მოვიქცეთ, თუ ადამიანს არც თავისუფლება სურს, არც ინფორმირებულობა აინტერესებს და მატრიცის ტყვეობაში ყოფნა ურჩევნია – სძინავს, მაგრამ ჰგონია, რომ ცხოვრობს? ზღაპარივით ვუამბოთ

ერთი უნცია (30 გრამამდე) სიმართლე, ისე, როგორც წამალს აპარებენ მურაბის მოყვარულ პატარას.

ჯანი როდარი საკუთარ თავს ყოველთვის ჟურნალისტად მიიჩნევდა. ზღაპრების თხზვას იგი თავის მორიგ დავალებას უწოდებდა და, ალბათ, ზესაიდუმლო მისიას გულისხმობდა. „მეჩვენება, რომ კაცობრიობის ყველაზე სახიფათო მტრები ცრუპენტელები არიან. ამქვეყნად ასობით ათასი მატყუარაა. ჟურნალისტი, რომელიც თავისუფლებაზე წერს და სინამდვილეში დამქირავებლის მიერ დაქირავებული ადამიანის ექსპლუატაციის თავისუფლებას გულისხმობს, მატყუარაა. ცრუობს ისიც, ვინც მშვიდობაზე ქადაგებს იმ დროს, როცა რეალურად ომს აჩაღებს... ნურავის გააღიზიანებს ჩემი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მატყუარები სამყაროს ყველა კუთხეში მოიძებნებიან. თითოეულ ქვეყანას საკუთარი ცრუპენტელები ჰყავს ან ჰყავდა. კარგია, თუ რომელიმე სახელმწიფომ სიცრუის დაძლევა მოახერხა. მე გულწრფელად მჯერა სიმართლის ძალის“, სწერდა 1957 წელს ჯანი როდარი თავის ნამდვილ მკითხველს იმ იმედით, რომ იქნებ შვილებთან ერთად მშობლებსაც მოეკრათ თვალი ამ სიტყვებისთვის და აზრიც მიეყოლებინათ.

რატომღაც ნაკლებად დაინტერესდნენ იტალიელები „საბავშვო თხზულებებით“ და 1970 წელს ძალიან ბევრი მათგანი გაოცდა, როცა გაიგო, რომ „მცირე ნობელად“ წოდებული ჰანს კრისტიან ანდერსენის სახელობის ჯილდო მათმა თანამემამულემ, „ვინმე“ სინიორ როდარიმ მიიღო. სიმბოლური იყო „მეფის ახალი სამოსის“ ავტორის სახელობის პრემიის მინიჭება „ცრუთა ქვეყნის“ მემატიანისთვის. ძნელი სათქმელია, მეზღაპრის მიერ სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების ორიგინალურად გააზრებისთვის გამოარჩია იტალიელი ავტორი საყმაწვილო წიგნების საერთაშორისო საბჭომ (ისე, ეს IBBY არასამთავრობო ორგანიზაციაა) თუ „ტელეფონზე მოყოლილი ზღაპრების“ სიუჟეტებმა მოხიბლა. ფაქტია, კომისიას რეიტინგებსა და გამოკითხვებზე დაყრდნობით არ მიუღია გადაწყვეტილება. პოპ-მომღერალმა მადონამაც სცადა ბედი მეზღაპრეობაში და კიდევ ერთხელ დაამტკიცა ძველი ჭეშმარიტება: ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს...

ნახევარი საუკუნე ისე გალია ჯანი როდარიმ, რომ მისი ერთ-ერთი პერსონაჟის დარად, ხალხისთვის უჩინარი რჩებოდა

თვითონაც და მისი უმდიდრესი შემოქმედებაც. არ სწყინდა. ამბობ-და, კარლო კოლოდის უკვდავი პინოქიოს აღიარებას ლამის საუ-კუნე მოანდომესო. საკუთარ თავზე დუმდა. უკიდურესად თავმდაბა-ლი პიროვნება იყო. ამავე დროს, ზედმეტად კარგად იცნობდა ადა-მიანებს და რეალისტურად აფასებდა მათ გონებრივ შესაძლებლო-ბებს. ერთ-ერთ ინტერვიუში განმარტა: „საბავშვო ლიტერატურას ჩვენში დიდ ლიტერატურად არ თვლიან“. ამას მხოლოდ და მხო-ლოდ იტალიელი მკითხველის ინდიფერენტულობის გასამართლებ-ლად თუ იტყოდა, თორემ მისივე ნაწერები ამჟღავნებს, რომ საკუ-თარი სიტყვის ფასი ზუსტად იცოდა. თუმცა უნიჭიერესი მწერალი იყო, ვფიქრობ, იგი ბოლომდე ჟურნალისტად დარჩა, სულით ხორ-ცამდე. მისი უკვდავი ზღაპრების ღირსებათა წყაროც ესაა.

პრაქტიკოსმა ჟურნალისტმა კარგად იცის ნიჭიერ და უნიჭო რედაქტორს შორის განსხვავება. ნიჭიერთან ურთიერთობა ჭიდილს წააგავს, მაგრამ საოცარ შემოქმედებით თავისუფლებასა და საკუ-თარი ნაწერის წარმოჩენის საშუალებასაც გაძლევს. ჯანი როდა-რის ნაირგვარ ადამიანებთან უწევდა საქმიანი ურთიერთობა. ალ-ბათ, განსაკუთრებით მძიმე იყო სწორედ კოლეგების მიუხვედრე-ლობა და არაპროფესიონალიზმი მისი ნაწერის შეფასებისას. „შენი ზღაპრები ზედმეტად აბსტრაქტულია. მაგას ბავშვები ვერ გაიგე-ბენ“, უბოდიშოდ მიახალა ერთ-ერთი თხზულების დაბეჭდვაზე უა-რის მიზეზი რედაქტორმა. ექსპერიმენტის სახით, ჯანი როდარიმ მას შესთავაზა საკუთარი შვილისთვის მიეცა წასაკითხად ეს „გა-უგებარი მოთხრობა“. რედაქტორი დათანხმდა. მალე გაკვირვებული დაბრუნდა და აღიარა: „იცი, ბიჭმა ყველაფერიც გაიგო“. ის ზღა-პარი — „საკალა, პაკალა“ გაზეთის პირველივე ნომერში დაიბეჭდა.

სიცოცხლის უკანასკნელ ათწლეულში ჯანი როდარის თხზულებებისადმი მკითხველის მხრიდან საგრძნობლად გაზრდილი ინტერესი მწერალს უსაზღვროდ ახარებდა, ახალისებდა. უთუოდ „ბებერი მეგაზეთის“ პროფესიული რეაქცია იყო უშუალოდ უფრო-სი თაობისთვის დაწერილი ერთადერთი წიგნი „ფანტაზიის გრამა-ტიკა. ამბების შეთხზვის ხელოვნების შესავალი“. ავტორი ხუმ-რობდა, დიდებისგან განსხვავებით, „შეცდომით“ პატარებმაც წაი-კითხეს ეს სამეცნიერო ფანტასტიკაო. როდარის ყოველი ფრაზის ქვეტექსტში ჩანს, როგორ მაღლა აყენებს ბავშვის გონებას, თავი-

სუფლად და ფერადად აზროვნების უნარს, მიუკერძოებლობას, სტერეოტიპებისგან დაუმახინჯებელ ხედვას. იქნებ გონივრულ ზღაპრებს პატარების პოლიტიკურ-სოციალური კუთხით აღზრდის სურვილით კი არ წერდა, არამედ მხოლოდ ისინი მიაჩნდა ღირსეულ მკითხველად, ისეთად, ვისაც მნიშვნელოვანი თემების სწორად გაგების უნარი დაბადებიდან დაჰყვა და შეინარჩუნა.

თუმცა ითვლება, რომ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ, სინამდვილეში, ზოგი საერთოდ ახტება ცხოვრების ამ პერიოდს (უნებურად ამოტივტივდება ბენიტო მუსოლინის კუშტი ლანდი და მისი თინეიჯერი ქალიშვილის ღრმა მოხუცივით უსიცოცხლო სახე), ნაწილი კი ცალი ფეხით ბოლომდე ბავშვობაში რჩება. ეს უკანასკნელნი ყველაზე სერიოზული და ამავდროულად, ხალისიანი, სევდანარევი იუმორითა და უპრეტენზიო კეთილშობილებით აღსავსე პიროვნებები არიან. სწორედ ასეთი იყო სამართლიანი, შრომისმოყვარე და გულკეთილი მეფუნთუშე ჩრდილოეთ იტალიის პატარა ქალაქ ომენიადან. არავის გაკვირვებია, როცა იგი ერთ თავსხმა წვიმაში ფეხების ზედმეტად დასველებას არ მოერიდა და უზარმაზარ გუბეში ჩავარდნილი კნუტი გადაარჩინა. ათის ჯერ არ იყო ჯანი, როცა მამა ფილტვების ანთებით გარდაეცვალა. პროფესიის მიუხედავად, დიდი მწერლები გამოვლენ, სახელგანთქმული მსახიობები თუ გემრიელი ფუნთუშების მცხობელები, ბავშვობასთან კავშირშენარჩუნებულ ადამიანებს რაღაც კლანური აერთიანებს, რაღაც საოცრად მძლავრი, იდუმალი, მიმზიდველი და მარადიული. იქნებ სწორედ ეს არის ადამიანის ღმერთთან წილნაყარობის გამოვლინება.

როცა მუსოლინი იტალიის მეორმოცე პრემიერ-მინისტრი გახდა, ჯანი როდარი ორი წლის იყო. ხუთისამ, ალბათ, სიტყვა *Il Duce*-ც იცოდა, მაგრამ შორეული ბელადის საქმიანობისა ჯერ ბევრი არაფერი გაეგებოდა. თუმცა მისი „საბავშვო" ნაწარმოებების მუდმივი პოლიტიკური ქვეტექსტი მაფიქრებინებს, რომ ეს სწორედ ჯანი როდარის ყრმობაში ფაშისტური რეალობიდან შეჭრილი პოლიტიკური თამაშების ქვეცნობიერი გამოძახილია.

1944 წლიდან წინააღმდეგობის მოძრაობას შეუერთდა 23 წლის ახალგაზრდა. თინეიჯერობის ასაკში ყველას არ უნდა მოეთხოვოს ზოია კოსმოდემიანსკობა. არიან მოზარდები, რომელთა

დანიშნულებაც სულ სხვა ასაკისთვის არის განკუთვნილი და მანამდე სავალ გზასაც იმ ერთი, დიდი მისიისთვის შესამზადებლად იყენებენ. ჯანი როდარი, სუსტი ჯანმრთელობის გამო, ნაცისტებმაც კი ვერ გაამწესეს ჯარში. რისკი ყოველ წუთს რეალური იყო, რომ ნიჭიერი ყმაწვილი ვერ მოასწრებდა საკუთარი უმდიდრესი ლიტერატურული ბუნებისა და ორიგინალური პოლიტიკური აზროვნების წარმოჩენას. მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, მაგრამ რაც შემდეგ დაიწყო, სწორედ ის აღწერა ბავშვებისთვის და დიდებისგან „საიდუმლოდ".

როდარისეული სამყარო ზღაპრულ ქარგაში გახვეული რეალობაა. აშკარად იგრძნობა ლიტერატურაში ჟურნალისტური ხერხების ოსტატური, სრულიად ორიგინალური გამოყენება. მისი ზოგიერთი „ზღაპარი" წმინდა წყლის ფელეტონია. 15 წელიწადი მოანდომა სამოციოდე სატელეფონო ზღაპრის შეთხზვას. როგორც თავად ამბობს ავტორის შესავალში, ყოველ დღე თითო გვერდი რომ ეწერა, ბევრად ვრცელი წიგნი გამოუვიდოდა, მაგრამ დრო არ ყოფნიდა: „საქმე ისაა, რომ ამ წლებში ვმუშაობდი როგორც ჟურნალისტი და თან კიდევ ბევრ სხვა რამესაც ვაკეთებდი. მაგალითად, ჟურნალ-გაზეთებისთვის სტატიებს ვწერდი, სასკოლო პრობლემებით ვიყავი დაკავებული, ჩემს ქალიშვილს ვეთამაშებოდი, მუსიკას ვუსმენდი, სასეირნოდ დავდიოდი, ვფიქრობდი". ვინც კარგად იცნობს ჯანი როდარის ზღაპრებს, იოლად მიხვდება, რომ ამ ყველაფერს მწერლის შემოქმედებითი სამზარეულოს ფუნქცია ჰქონდა. სწორედ ასეთ „ფონზე", ცხოვრების ამგვარი წესის შედეგად, ფაქტისა და პუბლიცისტური გამონაგონის მიჯნაზე იქმნებოდა მინიატურული სიუჟეტები, სავსე ადამიანისადმი სიყვარულით და უკეთესი საზოგადოების ჩამოყალიბების შესაძლებლობის რწმენით. მწვავე სოციალური გააზრების უკან მწერლის სამართლიანობისადმი ლტოლვა და სისხლადქცეული სიკეთე იგრძნობა:

„– რამდენს იწონის ცრემლი?

– გააჩნია, ხან როგორ და ხან როგორ. ჭირვეული ბიჭის ცრემლი ქარზე ნაკლებს იწონის. მშიერი ბიჭუნასი კი დედამიწაზე უფრო მძიმეა".

ეს პუბლიცისტიკაა, ვინც რა უნდა თქვას. თუმცა, ვინ რა უნდა თქვას, თუკი სიტყვა „პუბლიცისტი" თანამედროვე ამერიკაში

იმ პიროვნებას ჰქვია, ვინც რაიმე საგანს ან რომელიმე ადამიანს ფართო მასებს გააცნობს გონივრულად დაგეგმილი სარეკლამო სტრატეგიის საშუალებით. როგორ გინდა ამერიკელს ჯანი როდარის პუბლიცისტური ნააზრევის სწორად აღქმა მოსთხოვო, როცა „პუბლიცისტიკის" რეალური მნიშვნელობა დღეს იქ დაკარგულია, მხოლოდ ლექსიკონს შემორჩენია და ჭეშმარიტი გაგებით „პუბლიცისტიკა" აშშ-ში მწერლობისგან არ განირჩევა, მისი ნაწილია, დაკონკრეტების გარეშე. არადა, სწორედ კონკრეტიზაცია თუ მიგვაახლოვებს უკუთხო და უკუნჭულო ქვეყნის იდეალთან. საზოგადოებებს შორის გაგებას ის ართულებს, რომ ყველას თავის ენაზე უნდა აუხსნა და ელაპარაკო, მოსმენით კი ცოტა მოისმენს. ამათგან, გონებას კიდევ უფრო ნაკლები მიატანს გაგონილს.

არსებობს „ეზოპეს ენა"... დღეს ძნელად თუ ვინმე იკადრებს ისეთ შეზღუდულ შეფასებას, რომ ძველი ბერძენი მეიგავე მხოლოდ მცირეწლოვანთა გასართობად თხზავდა თავის უკვდავ მინიატურულ არაკებს.

არსებობს პუბლიცისტური გამონაგონი... სიმართლეს დაავადებას ემახიან ცრუთა ქვეყანაში. სიმართლის მთქმელებს იქ საგიჟეთში ათავსებენ. ამ წიგნის შესავალში ავტორი განმარტავს: „ზღაპრის დაწერა მომინდა სიმართლეზე... ნუ იტყვით, რომ ზღაპრები ტყუიან. ზღაპრების საშუალებითაც შეიძლება სიმართლის თქმა... ღრმად მწამს ისეთი ზღაპრების, სიმართლეს რომ ამბობენ. მჯერა, რომ ასეთი ზღაპრების საშუალებით სიცრუის დამარცხება შეიძლება". ამაზეა ნათქვამი, გამგონმა გაიგოსო. წარმოუდგენელია, ჯერაც რამდენს აწყობს საკუთარი სურვილით თავის დაყრუება ან დაბრმავება. ხშირ შემთხვევაში, რეჟიმის ხერხიანი პოლიტიკაც ხელს უწყობს „ქათმის სიბრმავის" მასებში გავრცელებას.

თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაწარმოებში „იყო და არა იყო რა, კვლავ იყო ბარონი ლამბერტო ანუ კუნძულ სან-ჯულიოს საოცრებანი" ჯანი როდარი მაქსიმალურად შეეცადა თავისი შემოქმედების არსი და დანიშნულება წარმოეჩინა, ყველაზე მიუხვედრელი მკითხველისთვისაც აეხსნა, რატომ აირჩია პროფესიონალმა ჟურნალისტმა ზღაპრის ჟანრი საზოგადოებისთვის სიმართლის სათქმელად, ნებაყოფლობით დაბრმავებულთათვის რეალობაზე თვალის ასახელად. დაუჯერებელია, რომ ჯორჯ ორუელის რომანი „1984"

გამოცემისთანავე (ჯერ კიდევ 1948-49 წლებში) აღიქვეს ზედმეტად სერიოზულად და ყოველი ათწლეული უფრო გასაგებს, ახლობელს ხდის პუბლიცისტის ჩანაფიქრს. იგივე აუდიტორია დღემდე ჯიუტად მიიჩნევს ჯანი როდარის „ფილოსოფიურ ქარაგმას" ბავშვების საკითხავ, გასართობ წიგნად. რუსი რეცენზენტი ანდრეი სტეპანოვი 2008 წლის მიწურულს რუსულ ენაზე პირველად გამოცემულ ბარონი ლამბერტოს ამბავს ნამდვილი ლაკონიელივით, კონკრეტულად და მოკლედ შეაფასებს: ეს წიგნი ზედმეტად ზრდასრულებისთვის (*«для слишком взрослых»*) არისო. ფიქრის მოყვარულ მკითხველთაგან სხვა არაერთმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ ჯანი როდარის იტალიური ზღაპრების ნაწილი წმინდა „ფილოსოფიური ნოველებია, თანაც იმგვარი პარადოქსული კვანძის გახსნებით, რაც მის მთელ შემოქმედებას ახასიათებს".

იქნებ ჯანი როდარის დაბადებიდან ასი წლისთავისთვის მაინც მოხერხდეს ნიადაგის შემზადება და იმის საჯაროდ აღიარება, რომ იტალიელი მწერალი მსოფლიო დონის ბელეტრისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწეა. სასურველი იქნებოდა მისი ზღაპრების მოინგლისურება და ნამდვილი ამერიკული პიარკამპანიის აგორება, მკითხველი მასის ყურადღების მისაპყრობად. მხოლოდ ის მიზეზი, რომ ჯანი როდარის ლიტერატურული ხმა უსამართლოდ რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", ვერ აკნინებს მისი შემოქმედების ღირსებებსა და დანიშნულებას. ჯელსომინოს ხმაც ხომ საბოლოოდ ისე მძლავრად გაისმა, ყოფილი მეკობრის გამოგონილი, ტყუილებზე დაყრდნობილი სისტემა ერთ დღეში დაანგრია. აშკარაა ანდერსენისეულ „ზღაპართან" კავშირი. ერთგან „მეფე შიშველია" და ყრმის უმანკოებაში დარწმუნებული მასა საკუთარი თვალით ნანახის დაჯერებას ბედავს. მეორეგან ოდნავ ხანგრძლივი (შესაბამისად, უფრო თანამედროვედ რეალისტური) ქმედებაა აღწერილი: ჯერ პატარა კატა ფარულად წერს სიმართლეს უზურპატორის შესახებ – „ჯაკომო მეფე პარიკს ატარებს". მერე ბანანიტოს რეალისტურმა ნახატებმა „გაცოცხლება" დაიწყეს და დიქტატორის კანონები დაარღვიეს. ბოლოს ყოფილმა მეკობრემაც შეიგნო, რომ მისი სასახლის ფანჯრებთან შეკრებილი ხალხი ცრუპენტელას გამოსვლის მოსასმენად არ იყო მისული. ასე დასრულდა ცრუთა ქვეყნის არსებობა. სამთავრობო გაზეთის არცერთი

ნომერი აღარ გაიყიდა იმ დღეს. მოქალაქეების მასას შერეულ, გადაცმულ ჯაკომო მეფედყოფილსაც აეხილა თვალი და ისე მწარედ განიცადა ტყუილების საბურველში გახვეული საკუთარი ცხოვრების უაზროდ გაფლანგვა, რომ თავის მოკვლა დააპირა.

მასკულტურა თუ მასლიტერატურა იმავე ხელისუფლების გამოგონილია, რომელსაც მორჩილი და კმაყოფილი ქვეშევრდომები აწყობს. ფორმულა – რაც ნაკლები იცი, უფრო ბედნიერი ხარ – უკვე კოლეჯის და სკოლის პარალელურად ბაგა-ბაღებშიც აქტიურად ინერგება. ყველაფერი მასობრივი ნებადართულია, რადგან მასას ინდივიდუალობა არ გააჩნია, ამიტომ საშიშიც არ არის. „ნახევარი დასტა კარტით თამაშს ჰგავს ჩვენი საქციელი მანამ, სანამ სამთავრობო კარდინალებისა და მეცნიერების დირექტივებს – საით აქვს ადამიანურ ცნობისმოყვარეობას გახედვის კანონიერი უფლება და საით ეკრძალება – ლოიალურად ვემორჩილებით“, თვლიდა ტერენს მაკ-კენა. სამყარო ისე გაირყვნა, რომ თითო-ოროლა შემორჩენილი „დონ კიხოტის“ გულწრფელობაშიც კი ეჭვი შეგეპარება, რაიმე გამორჩენა ხომ არ ამოძრავებსო. ამგვარი აზროვნებაც „ხელისუფლების კარდინალთა“ გავლენა მგონია.

ცრუთა ქვეყნის ავტორის ფილოსოფია, ცხადია, ბევრს დღესაც არ ეხატება გულზე, ისევე როგორც თანამედროვე მედიის კვლავ „მეოთხე ხელისუფლებად“ გადაქცევის შესაძლებლობა. ამიტომაც ყველაფერზე უკუღმა ლაპარაკია დაკანონებული. ალბათ, ოდესმე დადგება დრო, როცა ჟურნალისტები როდარისეულ თეორიულ ტაქტიკას რეალურად გამოიყენებენ...

სირაქლემას სინდრომი

მართულთა მმართველობის განხორციელება რეალურ ცხოვრებაში იმდენად რთულია, რომ ჟან-ჟაკ რუსოს მოსაზრებით, დემოკრატია „სრულიად მიუწვდომელი იდეალია, რომელიც მხოლოდ ღმერთებს ხელეწიფებათ“. ამერიკული დემოკრატიის პრაქტიკულ-თეორიული შესწავლა ცხადყოფს, რომ მოქალაქეთა ღირსება უაღრესად ზარალდება, ხოლო ხალხის პოლიტიკური თვითგანვითარება საგრძნობლად ფერხდება, როდესაც მმართველი ელიტა ამომრჩევლებს განიხილავს „აპოლიტიკური მომხმარებლის“ სტატუსის ფარგლებში. მეორე მხრივ, ხალხის დიდ ნაწილს აშკარად ამძიმებს იმხელა პასუხისმგებლობა, როგორსაც მისგან დემოკრატიული მოდელი მოითხოვს. ასეთებს ურჩევნიათ კერძო პრობლემათა მოგვარებით შემოფარგლონ საკუთარი ყოველდღიურობა.

სკრუპულოზურად აღწერს ბარაკ ობამა სენატორობის კანდიდატის ამპლუაში ხანგრძლივი მოგზაურობისას ჩვეულებრივ ადამიანებთან მჭიდრო პირადი ურთიერთობის პროცესს: „ყველაზე მეტად ხალხს სამსახური და შვილები აინტერესებდა და არა – პოლიტიკა. ისინი მესაუბრებოდნენ უმთავრეს საკითხებზე: ქარხანა დაიხურა, ვიღაცა დააწინაურეს, გათბობაზე დიდი გადასახადი მოვიდა, მშობლები მოხუცებულთა თავშესაფარში გააგზავნეს, შვილმა ფეხი აიდგა“. ობამა მოთმინებით უსმენდა ყველა პოტენციურ ამომრჩეველს და შემდეგ უხსნიდა, რომ მთავრობას არ შეეძლო ყველა პრობლემის მოგვარება, მაგრამ თუ პრიორიტეტების შეცვლა მოხერხდებოდა, მაშინ ჩვეულებრივ ადამიანთა ცხოვრების პირობები გაცილებით უკეთესი გახდებოდა. კანდიდატის მჭევრმეტყველების საპასუხოდ, „ადამიანები უმეტესად მხოლოდ თავს მიქნევდნენ თანაგრძნობის ნიშნად და მეკითხებოდნენ, როგორ ან რით შეეძლოთ ჩემი დახმარება“. ასე ამთავრებს საარჩევნო აგიტაციის პერიპეტიებზე საუბარს ახლად გამოცხვარი პოლიტიკოსი და გაურკვეველია, უნებურად თუ მიზანდასახულად ისხლეტს ხალხის სიბრძნიდან წამოსულ ორლესულ ირონიას.

„აუტოკრატიული“ დემოკრატიის პირობებში, უმრავლესობა მალე „იღლება“ მიუწვდომელი იდეალებისთვის დაუსრულებელი ბრძოლით. პესიმისტური მინიმალიზმი კიდევ უფრო აღრმავებს თანამედროვე დემოკრატიულ ინსტიტუტებში გაბატონებულ პრობლემებს. პოლიტიკური სიმბოლოს შარავანდედში გახვეულ პრაქტიკოსებს არასწორად ესმით ხალხის ე.წ. „აპოლიტიკურობა“, თუმცა თეორეტიკოსები შესანიშნავად ხსნიან საზოგადოების აპათიურობის მიზეზს: „მოქალაქეთა პოლიტიკური აქტიურობის შემცირება მიუთითებს არა მათ კმაყოფილებაზე, არამედ – გაუცხოებაზე“.

ხელისუფლების სტერეოტიპულ აზროვნებას მხედველობიდან გამორჩენია ხალხის სიჭრელის საკმაოდ ძლიერი ფაქტორი. საზოგადოება, რომელსაც დღევანდელი კვერცხი ურჩევნია, არასდროს ფიქრობს იდეებსა და იდეალებზე. საზოგადოება, რომელსაც ჩათრევას ჩაყოლა ურჩევნია, ვერასდროს დაამყარებს ჭეშმარიტ დემოკრატიას საკუთარ ქვეყანაში. საზოგადოების გონიერ, მოაზროვნე უმცირესობას, რომელსაც დემოკრატიის პირობებში უფლება არა აქვს, ხოლო ნოოკრატიის დამყარების შემთხვევაში, ხმის უფლებას მასზე ბევრად დაბალი ინტელექტის „გონიერი“ ელიტა ჩამოართმევს, პოლიტიკური გასაქანი არ ეძლევა მმართველთა და მართულთა დამახინჯებული პოლიტიკური აზროვნებისა თუ აქტივობის პირობებში. ვფიქრობ, სწორედ ასეთია მკაცრი რეალობა და კიდევ უფრო ულმობელი – პოლიტიკური პროგნოზი. კომუნიზმის იდეაზე არანაკლებ უტოპიურია ამერიკულ დემოკრატიად მონათლული სისტემა, რომელიც მშიერი ვირის ცხვირწინ აფრიალებულ სურნელოვანი თივის ულუფას წააგავს.

საინტერესოა, რას იტყოდა აპოლიტიკურობის სიოოლეს დახარბებული სამოქალაქო საზოგადოება, საქმეში უკეთ ჩახედულ პოლიტიკურ ელიტას მისთვის რომ გაემხილა არისტოტელეს ფრიად სკანდალური თვალსაზრისი: დემოკრატია სახელმწიფოს არასწორი ფორმაა, თუმცა შესაძლო გადახრათაგან, ეს ყველაზე ასატანიაო. ვშიშობ, ინერტულთა რეაქცია ძველი ანეკდოტის პათოსით განმსჭვალული გახდებოდა: „ჰოდა, მითუმეტეს“. მართლაც და, რატომ ვიმტვრევთ ცხვირ-პირს ისეთი წყობის პრაქტიკაში დასანერგად, რომელიც თეორიულ ეტაპზევე „გადახრად“ მიიჩნევა?

ლამის საუკუნეა გასული მას შემდეგ, რაც უოლტ ლიპმანმა სტერეოტიპული აზროვნებით ახსნა უმრავლესობის მოქალაქეობრივი ინერტულობა. რადგან ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებას „სტერეოტიპების პრიზმაში განიხილავენ", პოლიტიკურ მოვლენათა გამარტივებული აღქმა უყალიბდებათ. ეს ერთგვარი თვითდაცვაა, რომელსაც შეუძლია რეალობის სირთულეთა მისაღებ ფორმებში მოთარგმნა. სწორედ ამგვარ პოლიტიკურ ასპექტში ენკაფსულირებულთა გამრავლების გამოა ჩვენი ცხოვრება იმაზე უფრო ბანალური, ვიდრე თვით ეს სიტყვა.

თანამედროვე ამერიკული დემოკრატიის ტენდენციები ფალსიფიცირებული პოლიტიის ნიშნებისა და ფარული ნოოკრატიისკენ ჩანასახობრივი ლტოლვის ნაზავია. საშუალო კლასის ბატონობაზე ოფიციალურად ორიენტირებული აშშ-ის სახელმწიფოებრივი აზროვნება, ამავდროულად, საგრძნობლად ავლენს თეორიული ნოოკრატიისთვის ნიშანდობლივ „ელიტურობას". „ამერიკული სულის აღორძინება" ის ძველი მიმია, რომელსაც ახლებური ინტერპრეტაციით სთავაზობენ სხვადასხვა თაობის პოლიტიკოსები ამერიკულ საზოგადოებას. 2006 წელს ბარაკ ობამამაც ჩამოქნა თავისებური ვარიანტი, რომელსაც მივიწყებულ ამერიკულ ოცნებაზე „იმედის კადნიერება" უწოდა.

ასოციაციური აზროვნება ძლიერი იარაღია იმიჯის შექმნის ხელოვნებაში, მაგრამ ყავლგასული ლოზუნგების შეცვლა ჰაერივით სჭირდება მსოფლიო პოლიტიკას. იდეების კრიზისია არა მარტო ჰოლივუდში, არამედ ვაშინგტონშიც. მარტინ ლუთერ კინგის „მე მაქვს ოცნება" დიდებული ეტაპია აშშ-ის პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში. თუმცა მისი დაუსრულებელი გადამღერება უკვე პოლიტიკურ პარაზიტოლოგიას ემსგავსება. სიახლეზე ყოველი პრეტენზია აშკარად ყარს და, ბუნებრივია, ხალხის ცხვირაბზუებას იწვევს. როცა პოლიტიკურ თოქ-შოუებსა და დებატებში ღია საუბარია ახალი სისხლის საჭიროებაზე, იგულისხმება ჭეშმარიტად ახალი სისხლი და არა – ახალი ზღაპარი ძველი იმიჯისთვის პლასტიკური ოპერაციის ჩატარების მიზნით.

ძირფესვიანად შეიცვალა ახალი სამყარო დამფუძნებელი მამების შემდეგ. ადრე პოლიტიკოსები საკუთარი მოღვაწეობის შეფასებას სხვებისგან ელოდნენ (თუნდაც აბრაამ ლინკოლნის მოთქმა

რად ღირს მაღალი დონის დამფასებელთა ნაკლებობის გამო). მოგვიანებით, მემუარული სტილის ნაწარმოებით აგვირგვინებდნენ პოლიტიკური კარიერის დასრულებას, გამოცდილებათა გაზიარებისა და გადადგმულ ნაბიჯთა გამართლების მიზნით (აქ უკვე ბილ ქლინთონის მაგალითი გამოდგება). თანამედროვე ლიდერი კი წინასწარ გვთავაზობს წიგნს, რომელშიც კადნიერად განაცხადებს: „მე — ახალი სახე ვარ პოლიტიკურ სცენაზე". ამავე დროს, ობამას პრეტენზია აქვს ლინკოლნთან მსგავსებაზე. ავტორიტეტების სათავისოდ გამოყენება დემოკრატიის მშენებლობასა თუ გამყარებას ხელს ვერ შეუწყობს.

თუ ქვეყანაში დემოკრატია მართლაც არსებობს, ლიდერი კერპად არ უნდა იქცეს. მეორე მხრივ, შესაძლოა, პოლიტიკურ ლიდერთა კრიზისის შედეგია, რომ ხალხი მათ სერიოზულად აღარ აღიქვამს და უფრო ისე ექცევა, როგორც პოპ-ვარსკვლავს, ვიდრე ერის წინამძღოლს. ჯონ ადამსის სიტყვები: ადამიანებს „უნდა ვასწავლოთ საკუთარი თავის პატივისცემა, საკუთარ მსახურთა გაღმერთების ნაცვლად" — ზუსტად ისე უნდა გავიგოთ, როგორც ითქვა და არა რომელიმე პოლიტიკოსის თუ პოლიტიკური ანალიტიკოსის სუბიექტური ინტერპრეტირებით. როდესაც სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ადამსისეული თვალთახედვის შესაბამისად წარიმართება, იქნება მართლაც მოხერხდეს მართულთა მმართველობის სწორი ფორმით განხორციელება.

თვითმმართველობის ამერიკული ექსპერიმენტი ჯერჯერობით ისევ განვითარების სტადიაზეა. სამთავრობო რეპრესიათა ერთ-ერთი უკვდავი სიმბოლოს, იუჯინ დებსის ლანდი ვერ მოისვენებს, სანამ აშშ-ში ლიდერომანია იბატონებს. სოციალისტურ საბურველში გახვეული ჭეშმარიტი დემოკრატიის იდეები ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში დაუსამარეს პოლიტიკურმა ოპონენტებმა და დღემდე აქტიურად იჩქმალება ისტორიულ ასპექტშიც. რა თქმა უნდა, მმართველ ელიტას არცერთ ეპოქაში არ აწყობს უმრავლესობის დემოკრატიული ფორმით ბატონობა „კაპიტალიზმის სულზე". ამიტომ დებსს დღემდე მიიჩნევენ „პოლიტიკურ მეოცნებედ", იმის ნაცვლად, რომ სერიოზულად გაითვალისწინონ და გაითავისონ ამერიკელი განმანათლებლის იდეალისტური, თუმცა სამართლიანი მოსაზრებები: „მზად ვარ დამაბრალონ რაც სურთ, მხოლოდ ლი-

დერობას ნუ დამაბრალებენ. არ ვენდობი ლიდერებს, განსაკუთრებით — ინტელექტუალური დასიდან. ყოველდღიური სამუშაოს შესასრულებლად რიგითები მირჩევნია". იქნებ კიდევ ათწლეულები დასჭირდეს ამერიკულ საზოგადოებას ამ თავმდაბალი პატრიოტის ჭეშმარიტი სულისკვეთების სათანადოდ დასაფასებლად, მაგრამ ქართულ საზოგადოებას ყოველთვის ჰყავდა და იმედია, მომავალშიც საკმარისად ეყოლება „ჯარისკაცები თავისი ერისა".

პარადოქსია, რომ „ამერიკელ მეოცნებეს" კნინობითი მნიშვნელობით იყენებენ „ამერიკული ოცნების" მადევარი მოღვაწეები. თვით იუჯინ დებსისადმი კეთილად განწყობილი ისტორიკოსები თუ პოლიტიკური ანალიტიკოსებიც ვერ გამოდიან უსამართლო სტერეოტიპის საზღვრებიდან, როდესაც ამ დიდებულ პიროვნებას პოლიტიკურ სისუსტედ უთვლიან თავმდაბლობას. სანამ ღირსებას ნაკლის სტატუსი აქვს მინიჭებული, თანამედროვე მსოფლიო წინსვლას ვერ შეძლებს. სულიერი და მორალური კრიზისი უფრო სწრაფად ვლინდება, ვიდრე ეკონომიკური, მაგრამ სამივე ერთი პროცესის შემადგენელი ნაწილებია. ანტიკური პერიოდის ფილოსოფოსები, შუა საუკუნის მორალისტები, განმანათლებლები, უახლესი ისტორიის ჰუმანისტები და თანამედროვე რეალისტები ერთხმად ადასტურებენ ამ კანონზომიერებას. ყბადაღებული რეცესია სწორედ ეს არის და სხვა არაფერი.

ამგვარი პოლიტიკური რეალობის პირობებში ძალიან რთულია მედიის როლის სათანადოდ გამოკვეთა. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, ფაქტობრივად, კარგა ხანია რაც ხელისუფლების დანამატის პოზიციაში გადაიყვანეს და მისი ფუნქციების პოლიტიკური ელიტის მიზნებთან ადაპტირება განახორციელეს. ტოტალური სკლეროზის თუ უვიცობის ბრალია, მაგრამ სხვადასხვა პროფესიებიდან ჟურნალისტიკაში თავშეფარებულებს დღეს ნაკლებად ახსენდებათ XIX საუკუნის ამერიკელი ჟურნალისტის, „ნიუიორკ ივნინგ პოსტის" მთავარი რედაქტორის უილიამ ბრაიანტის სიტყვები: „პრესა წისქვილივითაა — ყველაფერს ფქვავს, რასაც ჩაყრი. დოლაბი მოწამლულ მარცვლებსაც წმინდად დაფქვავს, მაგრამ ასეთი ფქვილით გამომცხვარ პურში სიკვდილი ბუდობს". არაკომპეტენტურობის ტყუპისცალია არაპროფესიონალიზმი, რომლის სტიმულირებაც ათწლეულებია რაც მსოფლიო მასშტაბით წარმო-

ებს. საუნივერსიტეტო განათლება ხელოვნურად ჩაანაცვლეს ტრენინგებით. შედეგად, მკს-მ თანდათან დაკარგა მეოთხე ხელისუფლების პოზიცია მხოლოდ იმიტომ, რომ იოლად გაჟურნალისტებულებმა, ელემენტარულად, არ იცოდნენ, მათ ახალ პროფესიას ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქცია თუ ჰქონდა მათ გამოჩენა-გამოჩეკვამდე. თანამედროვე მედია საყოველთაო მანიპულაციის იარაღად გადაიქცა თვით დემოკრატიულ მთავრობათა ხელშიც.

ფრანკფურტის სკოლის წამომადგენლებმა, პირველებმა დასავლურ ფილოსოფიაში, თანამედროვე მედიის, როგორც საზოგადოების მანიპულატორისა და ინდივიდებში პიროვნების დათრგუნვის მექანიზმის შესწავლა დაიწყეს. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ამ კუთხით ანალიზისთვის მათ შეისწავლეს ისეთი საკითხები, როგორიცაა მოხმარების იდეოლოგია, სასაქონლე ფეტიშიზმი, კულტურის ინდუსტრია. სცადეს მანიპულაციის ზონების დადგენა და მანიპულაციის ხერხების გაანალიზება ჩატარებული თეორიული კვლევის საფუძველზე.

მათი აზრით, თანამედროვე რეალობაში მასებზე ბატონობისათვის ტერორი საჭირო აღარ არის. დღეს მმართველობის მოპოვების სრულყოფილი საშუალებაა მედიატექნოლოგიების უნარიანად, სათანადოდ გამოყენება. პროცესის მასშტაბურობას ნათელს ხდის ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი: საზოგადოების კეთილდღეობის დონესა და ინდივიდთა ტოტალური კონტროლის ხარისხს შორის უშუალო, პირდაპირი დამოკიდებულება არსებობს. პროტესტის დათრგუნვა ხორციელდება მატერიალურ და ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა მანიპულირებით.

კულტურის ინდუსტრია აქტიურად აწარმოებს კულტურის საგანთა სასაქონლო პროდუქტად გარდაქმნას და ამ პროცესთან დაკავშირებულ სტანდარტიზაციას, მასობრივიზაციასა და სტერეოტიპიზაციას. XX საუკუნეში გააქტიურებული პროგრამა დღეს უკვე ნებისმიერ სფეროში აჩვენებს შესაბამის შედეგებს, სპორტი იქნება ეს, ხელოვნება თუ მეცნიერება. ის რაც აშშ-მა განახორციელა საკუთარი ქვეყნის მასშტაბით, 3 ათას კვადრატულ კილომეტრზე გადაჭიმული ტერიტორიის შიგნით, გლობალური ტელეტრანსლაციებისა და ინტერნეტის ეპოქაში უკვე დედამიწის მასშტაბებს ეჭიდება პირდაპირ ეთერში. ამის ერთ-ერთი მეტყველი ნიმუშია ევ-

როვიზიის კონკურსი, რომელშიც ხმის მიცემის პროცესი გაცილებით მეტ პოლიტიკურ ასპექტს შეიცავს, ვიდრე მუსიკალურს.

სტერეოტიპიზაცია რეალობის ადეკვატურად აღქმის უნარს აქრობს. კულტურის ინდუსტრიის ქმედებათა შედეგად სულ უფრო სუსტდება პიროვნებათშორისი კომუნიკაცია, რასაც მივყავართ გაუცხოებასთან. მელორ სტურუას პუბლიცისტური წერილი «Одиночество» გენიალური ნიმუშია იმ მონსტრული შედეგის გასიგრძეგანებისათვის, რაც თითოეულ ადამიანს ელის პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში. ეს არის მარტოსულობის სწორედ იმგვარი გამოვლინება, ტატო რომ საუბრობს მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში: როცა უამრავი, ერთი შეხედვით, დადებითი ადამიანის გარემოცვაში უსაშველო მიუსაფრობა სტანჯავს პიროვნებას. ბუნებრივია, ბარათაშვილის განცდათა დონემდე ასვლას ჩვეულებრივი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ვერასდროს შეძლებს, რაც კიდევ უფრო გაამძაფრებს თითოეულის შინაგან ტრაგიზმს. საზოგადოება თანდათან გადაიქცევა მატერიალურად უზრუნველყოფილი, მაგრამ მაინც უბედური ინდივიდების არითმეტიკულ ჯამად. მათი მუდმივი დაუკმაყოფილებლობა გამოწვეული იქნება სულიერების გაქრობით. რადგან მიზეზი არ ეცოდინებათ, ისინი უფრო მეტი ქონების მოხვეჭით ეცდებიან სიმშვიდის მოპოვებას და კიდევ უფრო გაიუბედურებენ თავს, თუმცა თავიანთი ქცევით ხელს შეუწყობენ კულტურის ინდუსტრიის მზარდ, წარმატებულ ფუნქციონირებას. არქიფო სეთურის აუტოკრატიული პრაგმატიზმი სწორედ ამგვარი „გაუბედურებისგან" იცავდა მის დაქვემდებარებაში მყოფი სოფლის მოსახლეობას. მნიშვნელოვანი ფილოსოფიური განსჯის თემაა, რამდენად გამართლებულია XXI საუკუნეში „დათიშე და იბატონეს" პრინციპის გამოყენება დემოკრატიის ბალავრად.

ამერიკის, დასავლეთ ევროპისა და მათი შემყურე საქართველოს რეალობაში ძალზე გახშირდა საინფორმაციო ნაკადში გართობის ფუნქციის მოჭარბება ჟურნალისტიკის სხვა ფუნქციათა დათრგუნვის ხარჯზე. ფართო მასების გამრთობი თანამედროვე მედიის როლი იმგვარადაა დეფორმირებული, რომ გამორიცხავს აუდიტორიის დამოუკიდებელ აზროვნებასა და წარმოსახვის უნარს. გლობალური პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე ამას შე-

უძლია სერიოზული უარყოფითი შედეგების გამოწვევა. რობერტ რედფორდის ფილმის „ლომები კრავთათვის“ ფინალი შემაძრწუნებელი რეალიზმით გადმოსცემს სწორედ იმას, რასაც ლამის ყოველ დღე უჩვენებენ ადგილობრივი ტელეარხებით მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. პრობლემის მასშტაბურობაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ასეთ თემაზე გადაღებულ ფილმში რეჟისორს მთავარ როლებში მოწვეული ჰყავს მეგავარსკვლავები – მერილ სტრიპი და ტომ კრუზი. ეს უკანასკნელი ახალგაზრდობაში სამთავრობო პროპაგანდისტულ „საუკეთესო მსროლელში“ გადაღებაზე დათანხმდა, მაგრამ „ოთხ ივლისს დაბადებულში“ განსახიერებული ვეტერანის ტყავში ყოფნის შემდეგ, როგორც ჩანს, თანდათან ჩამოუყალიბდა განსხვავებული პოლიტიკური თვალსაზრისი.

საეჭვოა, ვინმეს ილუზია შერჩეს რედფორდის განაცხადის აპოლიტიკურობაზე. ფილმი არც ეკონომიკურ წარმატებაზეა ორიენტირებული, არც პოპულარობაზე. დამაფიქრებელია ისიც, რომ ოსკაროსანი მეტ დეიმონი 2010 წელს „მწვანე ზონაშიც“ თამაშობს და ახმოვანებს დოკუმენტურ ფილმს „შინაური საქმე“. ვფიქრობ, მსოფლიო პოლიტიკური კრიზისისა და სირაქლემას სინდრომის გაძლიერების ფონზე ცალკეული პიროვნებები, პროფესიათა მიუხედავად, პოლიტიკური იმპულსების გაშვებას ცდილობენ მასების დაბინდულ გონებაში.

ხელოვანთა პოლიტიკური კუთხით გააქტიურება მაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ტრანსდისციპლინარულ სწავლებაზე გადასვლა გახდეს გამოსავალი და სამომავლო გზა ჭეშმარიტი დემოკრატიისა თუ ნოოკრატიისკენ. იქნებ სამყაროს მართლაც ეშველოს თუ ყველანი ცოტათი გავპოლიტიკოსდებით, გავმენეჯერდებით, გავეკონომისტდებით და გავიურისტდებით ჩვენ-ჩვენი ძირითადი პროფესიების შენარჩუნების პარალელურად. ასე თუ მოხდა, რას მოიტანს ინტელექტის ზეობის ლოზუნგით მოსული მმართველობის ახალი ფორმა, რომელიც ბოთლიდან გამოშვებული, თავდახსნილი ჯინივით „აიშვებს“? საფრთხილოა, პოლიტიკურ პანოფტიკონად არ გადააქციოს სამყარო მმართველმა ელიტამ. ნოოკრატიის საბოლოო მიზანი ხომ ღმერთთან ერთობაა, რისთვისაც კაცობრიობა კიდევ დიდ ხანს ვერ იქნება მზად.

სირაქლემას სინდრომით თანამედროვე საზოგადოების უმრავლესობაა შეპყრობილი. როგორც ჩანს, თავის მოტყუებისა და ეგოიზმის საზღვართა დადგენა ძალიან ძნელია. როდესაც ტყეში ჩასაფრებულებმა მტრის რაოდენობა ჰკითხეს ლიდერს, კევინ კოსტნერის პერსონაჟმა ოცის მაგივრად, ხუთნი არიანო, უპასუხა. დაბნეულ არაბ მეგობარს კი აუხსნა: მათ თვლა არ იციან, ოცი რომ მეთქვა, შეეშინდებოდათ, ხუთი რადგან ჰგონიათ, უფრო მედგრად დახვდებიან მომხდურსო. ვინც ტყუვდება, იმათი გაგება კიდევ შესაძლებელია, მაგრამ კარგად დანახულ საფრთხეს რომ ნებაყოფლობით აიგნორებს, ასეთების მოტივაცია სრულიად გაუგებარია, თავისმართლებას კი დემაგოგიის სუნი უდის. ძირითადად, ხმას არც იღებენ და სახეზე შეყინული თანაგრძნობის ღიმილით თვალს არიდებენ აღმოსავლეთ ევროპულ აგონიას.

პოლიტიკური რეალობა იმდენად დაძაბულია, რომ თავის მოტყუება გაუმართლებელი ფუფუნებაა ნებისმიერი მოქალაქის, განსაკუთრებით კი – განვითარებული სახელმწიფოს წარმომადგენლის მხრიდან. სათავისოდ მაინც რატომ არ ინტერესდება ამერიკელი ამომრჩეველი, რაში უხდის მისი ხელისუფლება ასობით მილიონ დოლარს განვითარებადი ქვეყნების აუტოკრატებსა და დიქტატორებს? ბევრი რიგითი ამერიკელისთვის ცნობილია, რომ არა მხოლოდ ჩაუშესკუს რეჟიმს აფინანსებდა მისი მთავრობა ბოლო წუთამდე, არამედ ინდონეზიურ ტოტალიტარულ რეჟიმსაც გულუხვად უწყობდა ხელს საკუთარი ხალხის განადგურებაში. ერთადერთი, ვისაც იურიდიული უფლება აქვს პასუხი მოსთხოვოს შეერთებული შტატების ხელისუფლებას, ამერიკელი გადასახადების გადამხდელია, რომელიც ჯერჯერობით დუმს, რადგან საკითხის ამგვარად დასმა, თურმე, „პოლიტიკურად არაკორექტული იქნებოდა“. სადამ ჰუსეინის ჩამოხრჩობის ფაქტი აშშ-ს არ ათავისუფლებს პოლიტიკური პასუხისმგებლობისგან მის მიერ წარმოებული დანარჩენი ექსპერიმენტებით გამოწვეული ლოკალური კატასტროფების შედეგებზე.

როდესაც ამერიკის სენატორისა და შეერთებული შტატების მომავალი პრეზიდენტის ბარაკ ობამას „ფერადი“ ოცნება წიგნის სახით გავრცელდა და ფართო საზოგადოების საკუთრებად იქცა, ერთ-ერთი ყველაზე ტვინის საჭყლეტი კითხვა გამიჩნდა: ნუთუ

ასეთ ამერიკას უყრიდნენ საფუძველს დამფუძნებელი მამები? ზუსტი პასუხი, მხოლოდ წლების შემდეგ მექნება. ვისურვებდი, რომ ვცდებოდე საკუთარ პესიმისტურ ვარაუდებში. თუმცა ციებცხელებიანივით ჯერ ლიბიაში აგორებული სამხედრო ინტერვენცია, იქ ჩიხში მოქცევის (რაც გარდუვალი იყო წინასწარი თეორიული გათვლებითაც) შემდეგ კი ავღანეთში თათარიახნად ჩატარებული სპეცოპერაცია ნაკლებად ტოვებს იმედის საბაბს. თუ ქვეყანა, რომელსაც მორგან ფრიმანის დონის პიროვნება ჰყავს, საკუთარი ბედის განკარგვას „იმედის კადნიერების" ავტორს მიანდობს, უნდა ახსოვდეს, რომ იმედს ლოგიკური საფუძველი სჭირდება და ამერიკის შეერთებული შტატები ცარიელი კადნიერებით არ შექმნილა. ძნელი სავარაუდოა, რამდენად სურს ამგვარ ასპექტებზე ყურადღების გამახვილება მოქალაქეთა იმ კატეგორიას, რომლის ყურადღების ცენტრშიც ობამასა და კამერონის ბარბექიუა.

ცნობილია, რომ ფრანგმა განმანათლებელმა მონტესკიემ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა აშშ-ის დამფუძნებელი მამების უმეტესობაზე, მათ შორის, „ამერიკის კონსტიტუციის მამაზე" ჯეიმს მედისონზე. მონტესკიეს ფილოსოფიურმა თვალთახედვამ, რომ „მთავრობა ისე უნდა იყოს ფორმირებული, არცერთ ადამიანს მეორის შიშის საფუძველი არ ჰქონდეს", მედისონსა და მის კოლეგებს ნათლად დაანახა, რომ თავისუფალი და სტაბილური სახელმწიფოს შესაქმნელად მათ სჭირდებოდათ ძალაუფლების განსაზღვრული და დაბალანსებული გადანაწილება. წინაპრებთან ანკეტური მსგავსების მიუხედავად, აშშ-ის თანამედროვე პრეზიდენტებს აზროვნების, მისწრაფებებისა და მორალური ფასეულობების ძირეულად განსხვავებული საფუძველი ამოძრავებთ.

პერიფრაზს თუ გავაკეთებთ, როგორიც ბერიო, ისეთი ერიო — აღარც საზოგადოებაა იგივე. შესაბამისად ვითარდება ამერიკული მედიაც, რომელიც სინქრონულად ჟონგლირებს მართულისა და მმართველის თვისებებით. იცვლება მასის მართვის ხერხები, იხვეწება ილუზორული ბედნიერების მიწოდების ხელოვნება. ამის პარალელურად, სულ უფრო მძაფრდება სირაქლემას სინდრომის ფიზიკური განცდა. შემაშფოთებელია იმ რიგითი ამერიკელების პოზიცია, რომლებიც საერთაშორისო მოვლენებისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იმიტომ ავლენენ, რომ არ ენდობიან მსხვილ

ამერიკულ მედიაორგანიზაციებს და ამგვარად ცდილობენ თავის დაცვას სამთავრობო პროპაგანდის ზეგავლენისგან.

ადამიანის აგებულებაში სულის მოცულობას თანდათან სხეულის წილი ამეტებს. დღეს კიდევ უფრო აქტუალურია ჯიდუ კრიშნამურტის მოსაზრება: „ხარივით ჯანმრთელიც რომ იყო, მაინც ძნელად თუ მოერგები უკიდურესად ავადმყოფ საზოგადოებას". მართულთა მმართველობა იმ მარტივ მექანიზმს ემსგავსება, თოკებით ამოძრავებულ მარიონეტებს მაყურებელზე ემოციური და გონებრივი ზემოქმედების საშუალებას რომ ანიჭებს. დარბაზი ვერ ხედავს სიბნელით მოცულ ხელს. თუმცა იცის, რომ ეს მხოლოდ თამაშია და არა სინამდვილე, ურჩევნია დაივიწყოს რეალობა. თანამედროვე პოლიტიკაშიც ძალიან ცოტა ამჯობინებს ჭეშმარიტების სისასტიკისთვის თვალის გასწორებას ვირტუალური ბედნიერებით ტკბობის სანაცვლოდ. ბრძოლის ერთადერთი, დემოკრატიული ხერხია ინფორმაციისთვის საჯაროობის მინიჭება, მაგრამ რა აზრი აქვს მცდელობას, თუ უმრავლესობას არ სურს, უმცირესობას კი არ აწყობს სიმართლის ცოდნა? სად არის მეოთხე ხელისუფლების ადგილი თანამედროვე ქაოსში თუკი ხალხის არჩევანია არასასურველის დავიწყება-დაიგნორება? „ქართველი სოკრატეს" შეგონება – «Дьявол играет нами, когда мы не мыслим точно», ჯერაც რჩება „ხმად მღაღადებლისა".

არსებული კომუნიკაციური ტექნოლოგიები ადამიანის პირად, შინაგან სივრცეს იპყრობს. შეუძლებელი ხდება შემოქმედებითი მარტოობა, დამოუკიდებლობა, რაც განსჯისა და ინდივიდის საზოგადოებასთან დაპირისპირების წინაპირობაა. თანამედროვე შემოქმედები სირაქლემას სინდრომის წინაშე ფარ-ხმალს არ ყრიან. ზოგჯერ პირდაპირ ამბობენ სათქმელს მათთვის, ვინც მოწადინებულია, რომ გაერკვეს გონთამფლობელობის მსოფლიო სისტემაში. უფრო ხშირად კი „ეზოპეს ენას" მიმართავენ და კოდირებულ მთავარ სათქმელს მასკულტურისთვის დამახასიათებელი ხერხებით, მარტივი სიმსუბუქით აწვდიან ხალხს. სხვა რითი შეიძლება აიხსნას, რომ „მატრიცას" (1999) და „ვ ნიშნავს ვენდეტას" (2005) სცენარებს ერთიდაიგივე ავტორი ჰყავს? ორივე ფილმი ძმები ვაჩოვსკების აშკარად პოლიტიკური განაცხადია. სამწუხაროდ, ნეომ, ძირითადად, კომპიუტერული სპეცეფექტებითა და კიანუ რივზის მომ-

ხიბვლელობით მიიზიდა მაყურებელი, ჰიუგო ვივერის პერსონაჟის თავისუფლებისადმი ლტოლვა კი ტერორისტის ყალბ სტერეოტიპში ჩაახრჩეს კრიტიკოსებმა.

ვინც სადაოს ხდის მოსაზრებას, რომ ვაჟა-ფშაველას დაჭრილ არწივში საქართველო არ უგულისხმია, სახიფათო პრიმიტივიზმის გზას ადგება. ასეთებს ან ავიწყდებათ, ან არ სურთ იმ ფაქტის აღიარება, რომ გენიის გამოვლინებაც სწორედ ისაა, ასობით თუ ათასობით ადამიანის მიერ ნანახს და მოყოლილს განსაკუთრებულ ძალას რომ ანიჭებს ერთი. კიდევ უფრო მეტი ექსპრესიულობით ცხადდება ვაჟას ფენომენი, თუ მან მართლაც მხოლოდ დაკოდილი ფრინველი აღწერა, მაგრამ ხალხმა სამშობლოსთან გაავლო პარალელი. სწორედ ეს არის პუბლიცისტური აზროვნება, რისიც ფარულად თუ აშკარად ეშინიათ ყოველი ეპოქის მმართველთ. ზუსტად ამას ავიწყებენ, ამის უნარს უქვეითებენ და უკარგავენ თანამედროვე მედიას. შედეგად, ძალას აცლიან „მეოთხე ხელისუფლებას". არა და, „ვინ არის მართალი? — მხოლოდ ძალა და ძალა, რომელიც ალმართსა ხნავს... ბორკილი, დიდი მძიმე ბორკილი, რომელიც უნდა დაედვას ადამიანის ბაგეს, მის ენას, რათა არ გამოაცხადოს თავისი უკმაყოფილება, არა სთქვას ის, რაც უჭირს, რაცა სტკივა, არამედ იყოს ჩუმად, მოკრძალებით, მოწიწებით, მუნჯად, ცოცხალ-მკვდრად — ჩუუუ! სსსუუუ! სსუუ გრძელი და პრტყელი". ვაჟა-ფშაველას მიერ 1905 წელს ნათქვამი სიმართლე მსოფლიო ისტორიის არაერთ ფურცელზე შეიძლება ჩაემატოს კომენტარის სახით და ეს სიტყვები ორგანულად შეერწყმება სხვადასხვა ქვეყნის ბობოქარ პერიოდს — როცა ხალხს მხოლოდ დუმილის უფლებას უტოვებენ, ჟურნალისტიკაში კი გრძელცხვირა პულჩინელები აქტიურდებიან. გასული საუკუნის 60-იანი წლების კერპთაყვანისმცემლობა დღეს ახალ ფაზაში შედის და ასე თუ გაგრძელდა, ისღა დაგვრჩება, გულში ვიღიღინოთ: "Let it be, let it be, let it be, let it be". ესეც იმის იმედად, რომ სიმღერაში პოლიტიკურ ასპექტს არ დაინახავს „დიდი ძმის" მუდმივად ფხიზელი, მოდარაჯე თვალი.

პოლიტიკური „ფრანკენშტეინები"

დემოკრატიული სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, როგორ მოიპოვებს პოლიტიკოსი ამა თუ იმ იდეისა და მასის განწყობის პერსონიფიცირების უფლებას. როგორ ახერხებს იგი ხალხის პატივისცემის ან სიყვარულის მოპოვებას. საინტერესო ფაქტია, რომ სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერი ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი საშუალებებისა და ხერხების წყალობით აღწევს ერთსადაიმავე მიზანს. ამ მოვლენის ახსნა სტერეოტიპების არსებობით ხდება შესაძლებელი: რაც ორგანულია ერთი ფიგურის საზოგადოებრივი ხატისთვის, მიუღებელია მეორისთვის მისი იმიჯიდან გამომდინარე. პოლიტიკური ღირებულებები საკმაოდ ხშირად ლიდერების მიერ პერსონიფიცირდება აშშ-ში.

თანამედროვე მედია უზარმაზარ როლს ასრულებს სტერეოტიპების შექმნისა და შენარჩუნების საქმეში. იგი წინასწარ შეიმუშავებს გარკვეულ თვალსაზრისს კონკრეტული ლიდერის შესახებ, რომლის გამყარებასაც ყველანაირად ცდილობს — დასაშვებისა და დაუშვებლის ფარგლებშიც კი. განსხვავებული აზრი ხშირად აღიქმება, როგორც დეზინფორმაცია, ცილისწამება ან რაიმე ყოვლად მიუღებელი მოვლენა. ზოგჯერ აბსურდამდე მისული მცდელობა სტერეოტიპის ტყვეობაში აქცევს არამხოლოდ პოლიტიკურ ლიდერს, არამედ მედიას, რომელმაც ჩამოაყალიბა მასისთვის სასურველი სახე, ხატი პიროვნებისა. ამიტომაც, ხშირად, მოწოდებული ინფორმაცია სულაც არ ასახავს რეალობას. ლოგიკის კანონების მიხედვით, საზოგადოების ბუნებრივი რეაქცია ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს აღშფოთება და ჭეშმარიტების ცოდნის სურვილი. თუმცა რეალობა გვიჩვენებს, რომ მასა სწორედ სტერეოტიპის ფარგლებში მოთავსებულ სიმართლეს ელოდება და ყველაფერი, რაც სტანდარტს მიღმა აღმოჩნდება, ან არ აინტერესებს, ანდა — აღიზიანებს. ასე იყო, დღესაც ამგვარად ხდება.

აბრაამ ლინკოლნმა აჩვენა, როგორ შეიძლება ლიდერის ავტორიტეტის დაკავშირება დემოკრატიულ იდეალებთან. მან დაამტკიცა, რომ ერის პოლიტიკური აღზრდა საჭიროებს ლიდერისა და ხალხის ერთობლივ მონდომებას მათი საერთო ცხოვრებისეუ-

ლი, უმნიშვნელოვანესი პრობლემების მოგვარებისას.

წერო ლინკოლნზე, ნიშნავს იყო ძალზე თამამი; ხოლო არ წერო მასზე, როცა პოლიტიკურ ლიდერთა ამერიკულ სტერეოტიპებს შეისწავლი, შეუძლებელია. უკიდურესად დემოკრატიული ლიდერის სტერეოტიპისათვის ძნელად მოიძებნება (და, ამერიკელების აზრით, საერთოდ შეუძლებელია) ისეთი სრულყოფილი კანდიდატურა, როგორიც აბრაამ ლინკოლნია. მას ეკუთვნის პირველობა დემოკრატიული ლიდერის სტერეოტიპის შექმნისა. ეს იყო სრულიად ახალი, რევოლუციური იმიჯი. ლინკოლნმა გადააფასა მანამდე არსებული არაერთი ამერიკული ტრადიციული გაგება, შეცვალა დემოკრატიული ლიდერობის შესახებ არსებული წარმოდგენა. მაკიაველი თვლიდა, წარმატებული პოლიტიკოსი ერთდროულად ლომიც უნდა იყოს და მელაცო. ლინკოლნი, წინამორბედებისგან განსხვავებით, ტრადიციულ და ნოვატორულ თვისებებს აერთიანებდა, რაც ჰარმონიულად ერწყმოდა მის პიროვნებას და ბუნებრივად აახლოვებდა დემოკრატიული ლიდერის არქეტიპთან.

ლინკოლნის სტერეოტიპში უმნიშვნელოვანესია მისი მეტყველების მანერა. ხალხისა თუ კონგრესისადმი მიმართვებში მისი საუბრის სტილი სერიოზული, საზეიმო და უკიდურესად მეტაფორული იყო. თუ მისი ორი ყველაზე ცნობილი გამოსვლის ტექსტებს გადავხედავთ (გეტისბერგის მიმართვა და მეორე საინაუგურაციო სიტყვა), ეფექტს ახდენს არა იმდენად შინაარსი, რამდენადაც ემოციური რეზონანსი.

„იმისთვის, რომ საგანი წარმოდგენად იქცეს, კი არ უნდა გავაშუქოთ საგანი, არამედ, პირიქით, უნდა ჩავაბნელოთ მისი ზოგიერთი მხარე. და მისივე უმეტესი ნაწილისგან განვძარცვოთ, რათა ნაშთი, ნაცვლად იმისა, რომ გარემომცველ სინამდვილეში ექცეოდეს, როგორც საგანი, პირიქით, გამოიყოს მისგან, როგორც სურათი“. თეოდორ რუზველტმა საკუთარ თავს ახალი საუკუნის უპირველესი ამერიკელი გმირის იმიჯი შეუქმნა. ეს იყო მკს საუკუნე და ამ კაცმა ყველაფერი გააკეთა, რათა მაქსიმალურად გამოეყენებინა ახალი საშუალებები საკუთარი თაყვანისმცემლების მთელი თაობების შესაქმნელად. მას დაავიწყდა, თუკი ოდესმე იცოდა, რომ ძველი ათენის ეპოქის დემოკრატებიდან მოყოლებული, თეოდორ რუზველტის მსგავსი გმირები პრობლემურ ფიგურებად იყვნენ ცნობილი, რომლებიც ხალხის ძალაუფლებასა და ღირსებას

პოტენციურ საფრთხეს უქმნიდნენ. თ. რუზველტის ეროვნულ გმირად ქცევას მარკ ტვენი ადამიანთა მოდგმის არანორმალურობის შესახებ თავისი თეზისის მტკიცებულებად მიიჩნევდა: „მისტერ რუზველტი – ეს არის XX საუკუნის ტომ სოიერი".

ჯონ კენედიმ უფრო თანამედროვე გზა იპოვა პოლიტიკური ზეაღსვლისთვის – ტელევიზია. ლინკოლნისგან განსხვავებით, მას არც საზოგადოების სამსახურისთვის გადაუდია თავი წინასწარ და არც დემოკრატიის რომელიმე იდეალის გაიგივება უცდია საკუთარ პერსონასთან. მისი სტერეოტიპი საკმაოდ მარტივმა სტრატეგიამ შექმნა: კენედი პოპულარული გახდა და, პირადი მომხიბვლელობის წყალობით, ერი მიიმხრო. მისი იმიჯი მთლიანად ეყრდნობოდა მამაკაცური ღირსებების იდეალურობას, რაც ძალიან ბევრს ჰოლივუდის კინოვარსკვლავთა მარტივ, საკმაოდ ბანალურად შეთითხნილ იმიჯს აგონებდა. JFK-ის ძირითად მიზანს წარმოადგენდა რეალობის მიახლოება სასურველ იმიჯთან. კენედი საუკეთესოა მათ შორის, ვინც „პოლიტიკოსი-მსახიობის" ყალიბი მოირგო. მან იცოდა თავის ეფექტურად წარმოჩენა; კრიტიკის ქარცეცხლშიც კი ახერხებდა საკუთარი პიროვნებისადმი სიმპათიის გამოწვევას.

კენედი პირველი პრეზიდენტი იყო, ვინც ჟურნალისტებთან შეხვედრების პირდაპირ ეთერში ჩვენებას დათანხმდა. ყოველი ასეთი გამოსვლის წინ ეწყობოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი ბრიფინგები, რაც ჯონს საშუალებას აძლევდა პასუხების სპონტანურად გაცემის ილუზია შეექმნა. იგი მედიასა და აუდიტორიას ხიბლავდა ფაქტებით ოპერირების ოსტატობით, გონიერებითა და იუმორის საუცხოო გრძნობით. პრესკონფერენციის დროს კენედის სრულყოფილი ქცევა რეპორტიორებს აჯადოებდა, თუმცა ეს ყველაფერი ბუტაფორიულ რეკვიზიტს წარმოადგენდა იმ სპექტაკლში, რომელიც ფართო აუდიტორიაზე ზემოქმედებისთვის გამიზნულ კარგად დაგეგმილ და დადგმულ სატელევიზიო შოუს წარმოადგენდა. ჟურნალისტები პრეზიდენტს ნაკლებად უსვამდნენ ჩამჭრელ კითხვებს, ნებას აძლევდნენ თავი აერიდებინა მისთვის არასასურველი პასუხის გაცემისგან. შედეგად კი მაყურებელი აღფრთოვანებული, თუმცა არასაკმარისად ინფორმირებული რჩებოდა. კენედის სტერეოტიპს გამოკვეთილად ეტყობოდა მასის რჩეულის, ფავორიტის ნიშნები.

კენედის პრესკონფერენციებს ახასიათებდა მასასთან დემოკრატიული სიახლოვისა და არისტოკრატიული დისტანციურობის

ერთგვარი ნაზავი. სწორედ სატელევიზიო საშუალებათა ოსტატურად, მომგებიანად გამოყენება უმყარებდა საფუძველს ჯონ კენედის სტერეოტიპს, რაც მდგომარეობდა პირადულის პოლიტიკურ ასპექტში გადაყვანასა და – პირიქით.

კენედის კაშკაშა სტერეოტიპის ფონზე ძალიან გაუჭირდათ მის მემკვიდრეებს. უფერული სახეების წყებას მხოლოდ ოთხმოციან წლებში გამოეყო ნათელი ფიგურა. კენედის შემდეგ „პოლიტიკოსი-მსახიობის" სტერეოტიპს არავინ მორგებია ისე საუცხოოდ, როგორც რონალდ რეიგანი. თუმცა ჰოლივუდიდან მოსული ვარსკვლავი პრეზიდენტობის სიმბოლო-ბუფერს ნამდვილად არ წარმოადგენდა, როგორც ეს შესაძლოა მოეჩვენოს კალიფორნიის 38-ე გუბერნატორს, რომლის ამბიციები პრეზიდენტობაზე ოცნებისკენაც იხრება. პოლიტიკურ ბუფერებს არ ესვრიან და ისინი არ უყვართ. რეიგანის სტერეოტიპს ბევრად მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. მისი პოლიტიკური ამბიციები (კარგი ანუ ამერიკული გაგებით) თანაბარი ძალით მოიცავდა როგორც საშინაო, ისე საგარეო მოღვაწეობას. საკმარისია ირან-კონტრას გახსენება. ამასთან, რეიგანი პოლიტიკოსობისას არანაკლებად იყო ხალხის ფავორიტი, ვიდრე მსახიობობისას. მისი იმიჯის სიძლიერეზე მეტყველებს თუნდაც ის ბულვარული ფაქტი, რომ დღემდე ერთადერთი პრეზიდენტია, რომელიც თეთრ სახლში მეორე მეუღლესთან ერთად შევიდა და ამის გამო ამერიკელი ერის კრიტიკა არ გამოუწვევია. როდესაც ხალხი საკუთარი პრინციპის დარღვევაზე თვალს ხუჭავს, ეს იმის მანიშნებელია, რომ მას რაღაც ამაზე მნიშვნელოვანს სთავაზობენ.

სტერეოტიპი მასას ეხმარება პოლიტიკური ლიდერის რთული სახე გამარტივებული ვარიანტით აღიქვას. იგი ასეთი უფრო გასაგები და ახლობელია აუდიტორიისთვის, შესაბამისად, უფრო მისაღებიც. ძნელია თვალყური ვადევნოთ იმას, თუ სადაა ამ დროს სალი აზრი. რიტორიკულ კითხვად რჩება: აინტერესებს კი იგი ხალხს, როცა სთავაზობენ სასურველი მოდელის ილუზორულ ლიდერს?

თანამედროვე მედიამ გამოააშკარავა კენედის პოლიტიკის არაერთი ხარვეზი, მისი პირადი ცხოვრების ბნელი მხარეები. პოლიტოლოგები დასაბუთებულად აკრიტიკებენ მის შეცდომებს. ყველაფრის მიუხედავად, დღესაც გაუნელებელია აუდიტორიის ინტერესი და აღფრთოვანება მარადისობაში გადასული ახალგაზრდა ლიდერის პიროვნებით. მისი იმიჯი იოტის ოდენადაც არ დაზარა-

ლებულა. ამაში ტრაგიკულად დაღუპვის ფაქტიც ასრულებს დიდ როლს. ბევრი ამერიკელის თვალში 1963 წლის 22 ნოემბრის მისტიკური საიდუმლო კენედის პიროვნებისადმი დაუშრეტელი ინტერესის წყაროდაა მიჩნეული. თუმცა, ესეც მისი სტერეოტიპის შემადგენელი ნაწილია. საინტერესოა, დაეცემოდა თუ არა კენედის რეიტინგი, თუკი ოდესმე მის სიკვდილთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი გამოაშკარავდებოდა? პოლიტიკური გამოცდილებისა და ისტორიული ანალოგების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს დაანგრევდა ფართო მასებში მყარად დამკვიდრებულ სტერეოტიპს, რაც კარგს არაფერს ნიშნავს ვინმესთვის, თუნდაც კენედისათვის. თანაც ამას დაემატებოდა ახალი თაობის ფაქტორი, რომელიც წარსულის გმირებს დიდ პატივს სულაც არ სცემს და თუ კენედის პიროვნება იმ მცირე მისტიკურობასაც დაკარგავდა, რაც მას დღემდე შემორჩა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯასტინ თიმბერლეიკის თაობას ან მის შემდგომს დიდი ინტერესი გამოეხატა გასული საუკუნის პოლიტიკური ვარსკვლავისადმი.

რობერტ შმალი ნოტრ-დამის უნივერსიტეტიდან ამგვარ სიტუაციას „პარადოქსის მთავრული ასო „პ"-თი უწოდებს. იგი სტერეოტიპების არსებობას შემდეგნაირად ხსნის: „პოლიტიკური ფიგურები საზოგადოების გონებაში მკვიდრდებიან გარკვეული საშუალებებით. ჩვენთან ასეთი ტრადიციაა, დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ ისეთ ინფორმაციას, რომელიც წინააღმდეგობაშია კონკრეტული პიროვნების იმიჯთან". სტერეოტიპებს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. განსაკუთრებით, თავად პოლიტიკური ლიდერები აპროტესტებენ, თუკი მათი მიზნები გათვალისწინებულ ჩარჩოებს სცილდება. ტრადიციად იქცა, ასეთ შემთხვევაში პრესის გამოყენება განტევების ვაცის როლში. მედიას გაუჭირდა იპოვოს შემდეგი რგოლი, რომ ბრალდება „გადააბაროს". თუმცა, რაც დათესა, ის მოიმკო. ყველა საკუთარ „ფრანკენშტეინზე" აგებს პასუხს. წინასწარ შექმნილი აზრი საკმაოდ მყარია იმისათვის, რომ მათი შეცვლა მოხერხდეს. ამერიკული სტერეოტიპები კი უკვდავია, რადგან ხშირად ისინი რეალობის ხარისხს გამოსახავენ.

პრეზიდენტები და დოლარის დიქტატურა

თანამედროვე ამერიკაში, სადაც დღევანდელი კვერცხის დაგემოვნებისა და ხვალინდელი ქათმის მოგების სურვილი ერთდროულად აქვს უმრავლესობას, სადაც ყოველდღიური კომფორტი მასის მატერიალისტური ფანატიზმის ოფიციალურად მასაზრდოებელი რელიგიაა და სადაც ერთ-ერთი კოლორიტული ამერიკელი თვითდაჯერებულად აცხადებს, რომ მისი საყვარელი ბრაუზერია იაჰუ, ჟურნალისტი ჰორას გრილი, სავარაუდოდ, ძალზე ცოტას თუ გაუგონია. გამოკითხულთა დიდ ნაწილს არა მხოლოდ გულწრფელად გაუკვირდებოდა, არამედ ფარულ კამერასაც დაუწყებდა ძებნას, თუ ვინმე გაუმხელდა, რომ 50-დოლარიან კუპიურაზე გამოსახული პროფილი შეიძლებოდა გენერალი გრანტის ნაცვლად სწორედ ამ მივიწყებული გვარის მფლობელისა აღმოჩენილიყო, საპრეზიდენტო არჩევნებში გრილის გამარჯვების შემთხვევაში.

ლამის მეცხრამეტე საუკუნის თანატოლი ჟურნალისტის ცხოვრება პარადოქსებით სავსე ვესტერნის სიუჟეტს წააგავს. არანაკლებ პარადოქსულია ერთდოლარიანზე გამოსახული დაუმთავრებელი პირამიდა. ამერიკელი ხალხის ცნობიერებასა თუ ისტორიასთან პირამიდის აზრობრივი კავშირი იმდენად ბუნდოვანია, რომ კუპიურის დიზაინერთა არჩევანი მათი ლოგიკის მისტერიულ ისტერიად ცხადდება. თავდაპირველად ეს სიმბოლო უშუალოდ აშშ-ის სახელმწიფო ბეჭდისთვის შეიქმნა, ხოლო 1957 წლიდან ბანკნოტსაც ამშვენებს.

ეგვიპტური პირამიდის გამოყენების იდეა ეკუთვნის ჩარლზ ტომსონს, რომელსაც კონტინენტური კონგრესის მდივნის თანამდებობა ეკავა კონგრესის არსებობის პერიოდში (1774-1789). მან კონგრესს განუმარტა, რომ პირამიდა „ძლიერებისა და მარადიულობის“ საუკეთესო განსახიერებას წარმოადგენდა და სწორედ ამ ნიშნით შეარჩია.

ჰაერში გამოკიდული პირამიდის სამკუთხა წვერიდან ზეციური იდუმალებით მზირალი განგების თვალი სახელმწიფო ბეჭდის

დიზაინზე მომუშავე პირველი კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ღვთიური სიმბოლოს ერთ-ერთი ვერსია იყო. მართალია პირველი ჯგუფის სამი წევრიდან (ჯონ ადამსი, ბენჯამინ ფრანკლინი და თომას ჯეფერსონი) პირამიდის იდეა არცერთს გასჩენია, მაგრამ მესამე კომიტეტის ხელმძღვანელ ტომსონზე არანაკლებ უცნაური მოსაზრებები მათაც ჰქონდათ. მაგალითად, ჯეფერსონის ერთ-ერთი მასშტაბური ჩანაფიქრი ამგვარი იყო: „ღია ეტლში მჯდომი ფარაონი თავზე გვირგვინითა და ხელში ხმლით ებრაელ ხალხს მისდევს, ისინი კი წითელი ზღვის გაყოფილ წყლებს შორის გარბიან თავის გადასარჩენად. ღრუბლები ცეცხლის ალშია გახვეული, ღმერთის დასწრებისა და დასტურის მაჩვენებლად. ცეცხლიდან წამოსული ანარეკლი მოსეს ასხივოსნებს. მას ხელი ფარაონისკენ გაუშვერია იმის ნიშნად, რომ მისგან განთავისუფლდა“. ამ უაღრესად ალეგორიული სიმბოლოსთვის განკუთვნილი იყო დევიზი: „ტირანიის წინააღმდეგ აღდგომა ღვთის ნება-სურვილია“.

ერთი შეხედვით უცნაური ანალოგიები, შესაძლოა, საკმაოდ მარტივი მიზეზით იყო განპირობებული. დამოუკიდებელი ამერიკის სათავეებთან განსწავლული ადამიანები იდგნენ. ისინი ციდან არ ჩამოცვენილან; ევროპული ცოდნის საგანძურზე დაყრდნობილი, ტრადიციული განათლება მიიღეს, რომელსაც უკომპლექსოდ და აქტიურად იყენებდნენ პოლიტიკურ პრაქტიკაში. ახალდაარსებული რესპუბლიკის წარმომადგენლები ცდილობდნენ ანტიკური ისტორიის გათვალისწინებით ჩამოეყალიბებინათ საკუთარი ქვეყნის სიმბოლოები. ამით აიხსნება პირველ და მესამე კომისიათა აზროვნების გარკვეული თანხვედრა ერთი და იმავე საკითხზე დამოუკიდებლად მუშაობის პროცესში. თუმცა მათ სიმბოლოთა ზედმეტად ქარაგმული ვარიანტები შეიმუშავეს, თავად მისწრაფება, რომ ახალი სამყარო ბებერი ევროპის ტრადიციათა მემკვიდრე და გამგრძელებელი ყოფილიყო, თვალნათლივ ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებელი მამებისა და მათი გარემოცვის ტენდენციას – სახელმწიფოებრიობა სოლიდურ ნიადაგზე დამყნობით შეექმნათ და ცარიელი ფურცლიდან არ დაეწყოთ ქვეყნის შენება.

ფულად ნიშნებზე, როგორც წესი, აისახება იმ ქვეყნის პოლიტიკური კულტურა, რომლის ოფიციალურ ვალუტასაც იგი წარმოადგენს. USD-ზე ფართო არჩევანია: დამფუძნებელი-მამებისა და პრე-

ზიდენტების გამოსახულებები, აშშ გერბის ელემენტები, დიდი ბეჭდის წინა და უკანა მხარე, ცნობილი შენობები (თეთრი სახლი, აშშ ხაზინა, კაპიტოლიუმი, ლინკოლნის მემორიალი და ა.შ.). ბანკნოტების ვიზუალური გაფორმება იმის ნათელი დადასტურებაა, თუ როგორ ეამაყებათ ამერიკელებს თავიანთი ხანმოკლე ისტორია.

აშშ დოლარის წარმოშობის ამბავი შტატების დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაიწყო. თუმცა იმ პერიოდის ამერიკაში ფულის რამდენიმე სისტემა არსებობდა, ჯერ კიდევ ამერიკული რევოლუციის პერიოდში კონტინენტურმა კონგრესმა დოლარი აირჩია და სანქცია გასცა ამ სახელწოდებით მონეტებისა და ქაღალდის ფულის წარმოებაზე. 1776 წლის 4 ივლისის სასიხარულო ეიფორიისა და აშშ-ის კონსტიტუციის რატიფიკაციის შემდეგ, ალექსანდრე ჰამილტონის რეკომენდაციათა გათვალისწინებით, კონგრესმა მიიღო 1792 წლის აქტი ფულის მოჭრის თაობაზე, რომლის თანახმადაც დოლარი ახალგაზრდა რესპუბლიკის ოფიციალურ ვალუტად გამოცხადდა.

ამერიკის სამოქალაქო ომის პერიოდში (1861-1865) ყალბი ფულის მჭრელებისგან ვალუტის დაცვის მიზნით ფედერალურმა მთავრობამ გადაწყვიტა კუპიურების უკანა მხარე ფერადი საღებავით დაებეჭდა, რადგან იმ ეპოქის ფოტოტექნოლოგიით მხოლოდ შავად კოპირება შეიძლებოდა. ამ მიზნით შეირჩა მწვანე ფერი, რომელიც სტაბილურობის სიმბოლოს წარმოადგენდა. ბევრი სხვა ქვეყნის ფულის ერთეულისგან განსხვავებით, ნებისმიერი ღირებულების ყველა თანამედროვე USD ბანკნოტი ერთნაირი ზომის (1929 წელს დადგინდა სტანდარტი: 66.3 მმ სიგანე, 156 მმ სიგრძე, 0.109 მმ სისქე), წონისა (დაახლოებით 1 გრამი) და ფერისაა (წინა მხარე შავია და მომწვანო ელფერი დაკრავს, უკანა კი მწვანეა).

მსოფლიოს რიგ სახელმწიფოებში (ლიბანში, კამბოჯაში, 2008 წლის ივლისიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში) აშშ დოლარი დე ფაქტო ფულის ერთეულია. ამას გარდა, სპარსეთის ყურის ნავთობმწარმოებელ რამდენიმე არაბულ ქვეყანაში (მათ შორის, საუდის არაბეთშიც) ეროვნული ვალუტის არსებობის პარალელურად დოლარი მსხვილ ფინანსურ გარიგებებში გამოიყენება. მსგავსი სიტუაციაა პერუსა და ურუგვაიში, სადაც ნებისმიერი ფინანსური ოპერაციის წარმოება თავისუფლად შეიძლება დოლარებ-

ში, თუმცა ეს ოფიციალურად ნებადართული არ არის. მექსიკის სასაზღვრო ზოლსა და ტურისტულ ადგილებში ამერიკული „მწვანეები“ ისეთი სილაღით გამოიყენება, თითქოს, დოლარი მექსიკის მეორე ეროვნული ფულის ერთეული ყოფილიყოს. ბერმუდისა და ბაჰამის კუნძულებზე ადგილობრივი ვალუტა დოლარზეა მიბმული გადაცვლის მყარი კურსით. ასე იყო არგენტინული პესოც 1991-2002 წლებში. „დოლარიზაციის“ (Dollarization) პროცესში სხვადასხვა დონეზე აქტიურად ჩართული ქვეყნებია: პანამა (1904 წლიდან), ეკვადორი (2000 წლიდან), აღმოსავლეთ ტიმორი (2000) და ელ-სალვადორი (2001).

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პატარა საქართველოც მალე შეუერთდა „დოლარიზებულთა“ ვრცელ სიას. სხვადასხვა პერიოდში აქ განსხვავებულ ეტაპზე იმყოფებოდა დოლარისა და მანეთის, დოლარისა და კუპონის, დოლარისა და ლარის ენერგიული ურთიერთმიმართება. დღევანდელი კანონმდებლობით ეროვნულის გარდა სხვა ვალუტის გამოყენება ოფიციალურად აკრძალულია, მაგრამ მსხვილი გარიგებების შემთხვევაში მყარად ფიგურირებენ „მკვდარი პრეზიდენტები“.

კარგა ხანია რაც აშშ დოლარმა ფულადი ნიშნისთვის დამახასიათებელი მსყიდველობითი უნარის გარდა პოლიტიკურ-ეკონომიკური სიმბოლოს მნიშვნელობაც შეიძინა. ფულისადმი რაციონალური დამოკიდებულება მისი პოლიტიკური სტატუსის თავისებურებას განაპირობებს. დღეს არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფინანსური საკითხები აშშ დოლართან მიმართებაში განიხილება. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში გირვანქა სტერლინგსა და ევროსთან შედარებით დოლარის კურსი საგრძნობლად დაბალია, აშშ-ის რუხი ფოთლისფერი ბანკნოტების ჰეგემონია ძველებურად გრძელდება. ეს ფაქტი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივ სიძლიერესა და კვლავაც დომინანტურ პოზიციაზე მიუთითებს. შესაბამისად, ამერიკული ვალუტა არა მხოლოდ ეკონომიკურ წარმატებასთან ასოცირდება, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია. თუ „სიმბოლო ის ფილოსოფიური ქვაა, რომელსაც შუასაუკუნეების ალქიმიკოსები ეძებდნენ ნებისმიერი ნივთის ოქროდ გადასაქცევად“, აშშ დოლარის სიმბოლიზმი „პოლიტიკის

მძლავრი ფაქტორია“. რაც უფრო დიდი რაოდენობით ფლობს ადამიანი ამ ჯადო-თილისმას, მით უფრო კაშკაშად ელვარებს მოცემული ინდივიდის იმიჯი თანამედროვე მერკანტილური საზოგადოების თვალში.

მსოფლიო პოლიტიკური ბატონობის სიმბოლოდ ქცეული ამერიკული ფულადი ნიშანი „დოლარის დიქტატურის“ იდეოლოგიის საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნულ რეალობაში გასაკვირი არ უნდა იყოს ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები, რომლის მიხედვითაც თანამედროვე აშშ-ში ორი მილიონი მილიონერი ცხოვრობს. ერთ-ერთი მათგანია უმცროსი ჯორჯ ბუში. 1999 წელს ბილ ქლინთონისა და ამერიკის კონგრესის მიერ მიღებული დადგენილებით საპრეზიდენტო ხელფასი გაორმაგდა. ახალი კანონი 2001 წლიდან შევიდა ძალაში, რის შედეგად, დღეს ამერიკის პრეზიდენტის ოფიციალური ხელფასი ბონუსებთან ერთად 596 ათასი დოლარია წელიწადში. ტრადიციულად, პრეზიდენტის თეთრ სახლში ცხოვრების ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

აშშ-ის პირველმა კონგრესმა კენჭისყრის საფუძველზე დაადგინა ჯორჯ ვაშინგტონის წლიური ხელფასის ოდენობა – 25 ათასი დოლარი, რაც 2008 წლისთვის 566 ათასის ეკვივალენტური გამოდის. პირველმა პრეზიდენტმა, რომელიც შეძლებული ადამიანი იყო, ხელფასის აღებაზე უარი განაცხადა და მხოლოდ მისი საცხოვრებელი ხარჯების დაფარვა ითხოვა პრეზიდენტობის პერიოდში. ამბობდნენ, ჯორჯ ვაშინგტონი ერთი ჩემოდნით შევიდა თეთრ სახლში და იმავე ერთი ჩემოდნით გამოვიდა იქიდან რვა წლის შემდეგო. ფაქტია თუ გამონაგონი, დადებითი იმიჯი უკვე წარმოაჩენს ხალხის ტენდენციას მისი პიროვნებისადმი. ამავე დროს, პრეზიდენტ ვაშინგტონის სტერეოტიპი ქვეყნის პოლიტიკური სიმბოლოს მორალური ასპექტის ეტალონს სახავს.

ქვეყნისა და ხალხისადმი უანგარო მსახურებით ამერიკის შემდგომი პრეზიდენტების უმეტესობა ნაკლებად ხასიათდებოდა. თეოდორ რუზველტი მთელ თავის ხელფასს, რაც წელიწადში 50 ათას დოლარს შეადგენდა, თეთრ სახლში სტუმრების გართობაზე ხარჯავდა. ჯონ კენედი, რომელიც ტრადიციულად მდიდარ ოჯახს ეკუთვნოდა, საკუთარ საპრეზიდენტო თანხას საქველმოქმედო საქმიანობისთვის რიცხავდა.

ვიცე-პრეზიდენტობის პერიოდში დიკ ჩეინიმ მეუღლესთან ერთად 1.3 მლნ დოლარი გამოიმუშავა 2003 წელს. ამ თანხის 80% მან მიიღო მსხვილ კერძო კომპანიაში Halliburton საინვესტიციო ოპერაციების განხორციელების შედეგად. მიუხედავად დიდი შემოსავლისა, ჩეინიმ უარი მაინც არ თქვა ვიცე-პრეზიდენტის ოფიციალურ ხელფასზე, რაც წელიწადში 203 ათას დოლარს შეადგენს. ფედერალური გადასახადების დაფარვის შემდეგ, ჩეინების წყვილს ლამის ერთ მილიონ დოლარამდე დარჩა.

1958 წელს ამერიკის კონგრესმა მიიღო აქტი ყოფილი პრეზიდენტების შესახებ (Former Presidents Act). ამ კანონის მიღებამდე ექსპრეზიდენტებს პენსია არ ენიშნებოდათ. 1959 წლიდან აშშ-ის ყველა ცოცხალი პრეზიდენტი პენსიას იღებდა წელიწადში 25 ათასი დოლარის ოდენობით. 2008 წლისთვის საპენსიო თანხამ 191 ათას 300 დოლარი შეადგინა. ფულთან ერთად ყოფილი პრეზიდენტები გარკვეული პრივილეგიებითა და დამატებითი შეღავათებითაც სარგებლობენ.

მედიასაშუალებები პოლიტიკოსთა ყოველ ეკონომიკურ ცვლილებას საჯაროს ხდიან. ამერიკული დემოკრატიის პირობებში არა მხოლოდ პრეზიდენტის მთელი შემოსავალი რეგისტრირდება დეკლარაციაში, არამედ მცირე თუ დიდი საჩუქრების აღრიცხვაც წარმოებს ღირებულების მითითებით. გამჭვირვალეობის ილუზორულობა ზოგჯერ ეთიკურ საზღვრებს უხეშად არღვევს. ვფიქრობ, რიგითი ამერიკელების მოქალაქეობრივი უფლებების დაცვისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმ საჩუქართა ფასის ცოდნას, რომელიც პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა საშობაოდ ერთმანეთს მიართვეს. ბევრად უფრო არსებითია ყურადღების გამახვილება საშემოსავლო დიფერენციაციისთვის ნიშანდობლივ კონტრასტულობაზე. ამომრჩეველს გაცილებით მეტად უნდა აინტერესებდეს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით გაშუქებული ის პრაქტიკული ქმედებები, რომელიც მიზნად ისახავს მათი და მთავრობის წარმომადგენელთა სახელფასო ნიშნულებს შორის რადიკალურობის აღმოფხვრას.

ამერიკული საკონსულტაციო კომპანიის Hay Group-ის 2007 წლის მონაცემებით, თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოს მეთაურთა შორის ყველაზე მაღალი ხელფასები აქვთ სინგაპურის

რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრსა (დამატებითი ხარჯების ჩათვლით 2 მლნ-დან 2.5 მლნ დოლარამდე) და პრეზიდენტს (მისი ოფიციალური შემოსავალი პრემიერ-მინისტრისაზე ნახევარი მილიონი დოლარით ნაკლებია). სიაში შემდეგი აშშ პრეზიდენტია, რომელსაც იაპონიის პრემიერ-მინისტრი მოსდევს წლიური 400 ათას დოლარამდე ხელფასით.

ევროპელ პოლიტიკურ ლიდერებს შორის ყველაზე დიდი ხელფასები აქვთ ირლანდიის პრეზიდენტსა (წელიწადში 350 ათასი დოლარი) და პრემიერ-მინისტრს (წელიწადში 326 ათასი დოლარი). ოდნავ ნაკლებია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ანაზღაურება – გადასახადების ჩამოჭრის შემდეგ მას წელიწადში 241 ათასი ევრო რჩება (დაახლოებით 289 ათასი დოლარი). ანგელა მერკელს მოსდევს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, რომელსაც წლიურად 231 ათასი ევრო მიაქვს შინ. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი თავის კონტინენტელ კოლეგებზე მცირე ჯამაგირს ჯერდება (187 ათასი გირვანქა სტერლინგი, რაც გამოკითხვის ჩატარებისას 216 ათას ევროს ან 252 ათას დოლარს უტოლდებოდა).

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ზოგიერთი ქვეყნის მეთაურთა ოფიციალურ შემოსავალსაც დაეტყო. იტალიის პრეზიდენტის ხელფასი (156 ათასი დოლარი წელიწადში) ისედაც ნაკლები იყო ევროპის სხვა ლიდერების ჯამაგირთან შედარებით, 2007 წლიდან კი თანხა 47 ათასი დოლარით შემცირდა. აზერბაიჯანის პარლამენტმაც რამდენჯერმე განახორციელა ქვეყნის პრეზიდენტის ხელფასის სეკვესტრი და ჯერჯერობით 16500 დოლარზე შეჩერდა. ბოლივიის ლიდერმა ევო მორალესმა თავად შეამცირა ანაზღაურება და ახლა თვეში 1800 დოლარზე ოდნავ მეტს იღებს სახელმწიფო სამსახურისათვის.

ოფიციალური ხელფასი, რიგ შემთხვევაში, ქვეყნის მეთაურთა რეალურ შემოსავალს არ ასახავს. რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს თვეში 7800 დოლარი აქვს გადასახადების დაფარვის შემდეგ, პრემიერ-მინისტრს ვლადიმერ პუტინს კი 6200 დოლარი რჩება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მათი ოჯახები საჯარო სამსახურიდან მიღებული თანხის იმედად არ არიან. ზიმბაბვეს პრეზიდენტის რობერტ მუგაბეს ოფიციალური შემოსავალი

დღეში 83 დოლარს შეადგენს, რაც რიგითი ბელორუსის ერთი თვის მინიმალური გამომუშავების ტოლფასია. თუმცა საეჭვოა, რომ ხელგაშლილი ცხოვრების მოტრფიალე მუგაბეს წელიწადში 20800 დოლარიანი საპრეზიდენტო ანაზღაურება ყოფნიდეს. ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ხელფასი ჰქონდა თურქმენეთის პრეზიდენტს საპარმურატ ნიაზოვს – თვეში მხოლოდ 900 დოლარი. მიუხედავად ამისა, მას ღარიბს ვერავინ დაარქმევდა. თურქმენბაშის პირად საბანკო ანგარიშზე 65 მლნ დოლარი იდო. ამასთან, ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის Global Witness-ის ლონდონის ოფისის მონაცემებით, ნიაზოვი საზღვარგარეთ 3 მლრდ დოლარის ქონებას ფლობდა, აქედან 2 მლრდ დოლარი გერმანიაში დოიჩე ბანკის საზღვარგარეთის გადაცვლის სარეზერვო ფონდში ინახებოდა.

კონტრასტულია საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელმძღვანელის ნოე ჟორდანიას ცხოვრება, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალურ ჯამაგირს ჯერდებოდა, ხოლო ოჯახში მატერიალურ დანაკლისს საკუთარი დედის გამოგზავნილი სანოვაგით ივსებდა. „ნოე ჟორდანია, ჩვეულებრივ, ტლანქი ქსოვილის ნაცრისფერ შალის ტანისამოსს იცვამდა და ყველასთვის ადვილად მისაწვდომი იყო თავის უბრალოდ მოწყობილ ბინაში შიო ჩიტაძის ქუჩაზე“. იმ პერიოდის საქართველოში ცხოვრების ალოგიკური წესი ჩამოყალიბდა: მაშინ როცა ხალხი და ქვეყნის მეთაური უკიდურესად გაჭირვებულ ყოფას უდრტვინველად იტანდა, ხელისუფლებაში შემთხვევით მოხვედრილი არაერთი ოდიოზური სუბიექტი განცხრომით ატარებდა დროს. რამდენიმე მათგანი მეტყველად ჰყავს აღწერილი გერონტი ქიქოძეს – 1919 წლის დამფუძნებელი კრების დეპუტატს.

სამხედრო უწყების მეთაურობა წილად ერგო ქალურ სნეულებათა ექიმს პარმენ ჭიჭინაძეს, რომელსაც არც საკუთარ სპეციალობაში, არც პოლიტიკაში სათანადო ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნდა. ქვეყნისა და ხალხის ქონების უთავბოლო, პირადულ ინტერესებზე დაყრდნობით განკარგვის შედეგი მალე გამოჩნდა: „დამფუძნებელი კრება ულუფას იძლეოდა ორმოცდაათი ათასი ჯარისკაცისათვის, მაგრამ წითელი არმიის წინააღმდეგ 1921 წელს მთავრობამ ამის ნახევარიც ვერ გამოიყვანა. როდესაც თბილისში

წითელი არმია შემოვიდა, აღმოჩნდა, რომ საწყობები სავსე იყო ამუნიციით და სანოვაგით, ქართველ ჯარს კი ბრძოლის ველზე ბევრი რამ აკლდა“.

მიწათმოქმედების მინისტრმა ნოე ხომერიკმა წარმატებით წამოიწყო აგრარული რეფორმა, მაგრამ მის ბოლომდე მიყვანას თავი ველარ მოაბა, რადგან „ერთი სანდომიანი ქალით გატაცებამ მას დაავიწყა აგრარული რეფორმაც და საკუთარი ოჯახის ინტერესებიც“.

ერევანში დიპლომატიურ წარმომადგენლად გაგზავნილ სიმონ მდივანს „ყველა დაშნაკელი და არადაშნაკელი სომეხი მოღვაწის საფლავზე“ გრძელ, სამგლოვიარო სიტყვათა წარმოთქმაში გაჰყავდა დრო. მისი პოლიტიკური უმოქმედობის შედეგად, საქართველოს მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ დაგვიანებით შეიტყო სომეხთა ჯარის მიერ ომის გამოუცხადებლად საქართველოს საზღვრების გადმოლახვისა და იქ მდგომი ქართული რაზმების გაჟლეტის ფაქტი. ქართულმა ჯარმა მალევე უკუაგდო მომხდური, მაგრამ დიდი ბრიტანეთის მისიის ახლადჩამოსულ მეთაურთან სომხებს უკვე მოესწროთ გარიგება. ბრიტანელი გენერლის მოთხოვნით ჟორდანიას საკუთარი სამხედრო შენაერთების წინსვლის შეჩერება მოუხდა, სადაო ტერიტორია ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი ლორეს პროვინცია, ახტალასა და ალავერდის სპილენძის საბადოებთან ერთად, სომხეთმა წაიღო.

საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი „ჭკვიანი და დარბაისელი კაცი იყო, მაგრამ მისი სამინისტრო სავსე იყო ფრანგულად და ინგლისურად მოლაპარაკე მოხელეებით, რომელთაც დაუსრულებელი ბანკეტები დროს არ უტოვებდა თუნდ „ტანი“ ან „ტაიმსი“ ეკითხათ. ამიტომ საქართველოს დიპლომატებს, სხვათა შორის, არ გაუგიათ, რომ დიდი ბრიტანეთის კოალიციური სამინისტროს მეთაური ლოიდ ჯორჯი ლენინის მთავრობას შეუთანხმდა, რომ მისი მთავრობა არ ჩაერეოდა რუსეთის და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ურთიერთობაში“. ისედაც ურთულეს პოლიტიკურ პირობებში მთავრობა, თითქოს, გამიზნულად უშლიდა ხელს ახალგაზრდა სახელმწიფოს სათანადოდ მართვას, როცა საქმეს თავისი უდარდელობისა თუ უვიცობის გამო აფუჭებდა.

საწინააღმდეგოდ, ჟორდანიას მიერ დანიშნულმა გენერალმა

კვინიტაძემ არა მხოლოდ ქართველი ხალხის იმედი გაამართლა თავისი ვაჟკაცური საბრძოლო ქმედებებით, არამედ შთამომავლობასაც ღირსეული მამულიშვილის ეტალონად შემორჩა. ერთმა ახალგაზრდა წითელარმიელმა ოფიცერმა აღნიშნა, რომ ქართულ ჯარს „ძალიან კარგი მეთაური ჰყავს, მაგრამ ჯარისკაცთა შემადგენლობა არ უვარგა. ვფიქრობ, ქართველ ხალხს არ სურს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაო“.

პირველი რესპუბლიკის წლებში „ნახევრად დამშეული ხალხის დიდი ნაწილი მზად იყო უდრტვინველად აეტანა ყოველივე გაჭირვება, ოღონდ კი ეროვნული სახელმწიფოს საძირკველი განემტკიცებინა“. სავარაუდოდ, ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებასა და განწყობილებაზე მტკივნეულად იმოქმედა საკუთარი მთავრობის მიერ სწორედ გადამწყვეტ მომენტში მომავლისადმი უიმედობის დაუფარავად გამოხატვამ, დედაქალაქის პანიკურად მიტოვებამ და ქვეყნის ალალბედზე მიგდებამ.

პასუხი კითხვაზე „როგორია კარგი მთავრობა?“ ლიბიის რევოლუციის ლიდერმა თავისებურად გასცა, როდესაც ზემოდან მმართველობის ყველანაირი ფორმა უარყო და მთელი ხელისუფლება ოფიციალურად ხალხს გადასცა. დასავლეთში მას დიქტატორს უწოდებენ, თვითონ კი თავს ჭეშმარიტი დემოკრატიის ფუძემდებლად მიიჩნევს. მუამარ კადაფის შემოსავლის არაერთი წყარო აქვს: ნავთობი, უძრავი ქონება დიდ ბრიტანეთსა და იტალიაში, საბანკო აქციები და სასტუმრო ბიზნესი დასავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში. ზუსტი მონაცემები მის პირად ქონებასთან დაკავშირებით არ არსებობს, ისევე როგორც დანამდვილებით არავინ იცის მისი დაბადების წელი, თვე და რიცხვი. კონკრეტულ ციფრებზე უკეთ კადაფის ბატონკაცურ გულუხვობაზე თავად ფაქტები მეტყველებენ.

თუმცა შინ და გარეთ „ლიბიელი ერის მამას“ კრეზივით მდიდარი კაცის მყარი იმიჯი აქვს, ეროვნული ნავთობიდან მიღებული მოგება (დაახლოებით 10 მილიარდი დოლარი წელიწადში) მთლიანად მის ჯიბეში ნამდვილად არ მიდის და გარკვეულ წილს საკუთარ ხალხს აძლევს. შედეგად, ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავლით ლიბია დიდი ბრიტანეთის სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელს ემეტოქება: მართალია, უბრალო მუშის

მინიმალური ხელფასი ხუთჯერ ნაკლებია საწარმოს ხელმძღვანელისაზე, მაგრამ იგი 6 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენს. უკანასკნელ პერიოდში კადაფიმ თანხის გადანაწილებაში კორექტივები შეიტანა – ნახევარი სახელმწიფო ხარჯებს ხმარდება, მეორე ნახევარს ლიბიელები იღებენ. კადაფის აზრით, ამგვარად რეალიზდება ჯამაჰირიას ლოზუნგის ერთ-ერთი ნაწილი „სიმდიდრე – ხალხს!" თანაც, ღარიბ და შეძლებულ მოქალაქეთა შემოსავლებს შორის დისბალანსიც მცირდება.

დასავლელი ანალიტიკოსების მსჯელობა მუამარ კადაფის დიქტატორობაზე, იმ გაგებით, როგორსაც ისინი ამ სიტყვაში დებენ, საგრძნობლად გაბუქულია. ლიბიელი აუტოკრატი ბევრად უფრო ახლოს დგას რომაელი დიქტატორის მმართველობის სტილთან, ვიდრე ამერიკული დემოკრატია „ხალხის მმართველობასთან". სტატისტიკის მიხედვით, ყოველი ლიბიელის ოჯახში შვიდი-რვა რადიომიმღებია, ორი ტელევიზორი და ერთი ავტომობილი, რომელსაც ორ წელიწადში ერთხელ ახლით ცვლიან. თითოეული ოჯახი თანამედროვე, კეთილმოწყობილ, საკუთარ სახლში ცხოვრობს უდაბნოს ხვატში გაშლილი კარვის ნაცვლად. ქვეყნის მასშტაბით დაიგო გზები. სამედიცინო მომსახურება და განათლების სისტემა მოსახლეობისთვის უფასოა, მათ ხარჯებს ბიუჯეტი ფარავს. ბევრი ლიბიელი ახალგაზრდა სწავლას საზღვარგარეთ აგრძელებს, რომლის დასრულების შემდეგ უკან ბრუნდება, რადგან სამშობლო კვლავაც განვითარების გზაზეა. ლიბიაში ლამის აღარ არსებობენ აფრიკის ლანდშაფტისთვის ასე ორგანულად ბუნებრივი არსებები – მათხოვრები. ოფიციალური სტატისტიკა ნახევრად სიმართლეს მაინც თუ შეიცავს, ლიბიას ნამდვილად დადებითად დასტყობია ჯამაჰირია.

კადაფი „ერის მამის" ამპლუას მხოლოდ გაზრდილი ხელფასებითა და გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობებით არ ამოწურავს. მისი პოლიტიკისთვის ასევე ნიშანდობლივია საკუთარი ხალხისთვის სიურპრიზების მოწყობა. მორიგი აქციის დროს მან სამხრეთ კორეაში ძვირფასი ავტომობილები შეიძინა, რომლებიც მეოთხედ ფასში მიჰყიდა ლიბიელებს.

სასიამოვნო მოულოდნელობებით „მსოფლიო რევოლუციის ბედუინი" არამხოლოდ თანამემამულეებს ანებივრებს. 2001 წლის

ზაფხულში მან ტრანსაფრიკული ტურნე მოაწყო დურბანიდან ტრიპოლიმდე, რომლის დროსაც მისი კორტეჟის მადევარ ბრბოს დოლარებს გულუხვად უყრიდნენ კადაფის ჯავშანავტომობილიდან. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოლიციის ცნობით, საქველმოქმედო თანხამ 6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ეტყობა, პოლიტიკოსს ასე ძვირად უღირდა აფრიკელების ნდობის აღდგენა წარსულში დაშვებული უხეში შეცდომების შემდეგ. ალბათ, დოლარებით მოფენილმა გზამ შავი კონტინენტის მცხოვრებლებზე გარკვეული დადებითი შთაბეჭდილება მართლაც დატოვა.

ახალ ათასწლეულს კადაფი შეცვლილი იმიჯით შეხვდა – მან ფულის საშუალებით არა მხოლოდ ზანგების ხოცვის ფაქტის ამოშლა სცადა მსოფლიოს მოსახლეობის მეხსიერებიდან, არამედ მის მიერ ტერორისტების დაფინანსება-ხელშეწყობისაც. 2003 წლის 15 აგვისტოს ლიბიამ არა მარტო პასუხისმგებლობა აიღო თხუთმეტი წლის წინათ მომხდარ ტერორისტულ აქტზე, რომლის დროსაც შოტლანდიის ქალაქ ლოკერბის თავზე ამერიკული სამგზავრო თვითმფრინავი აფეთქდა, არამედ დაღუპულთა ნათესავებს კომპენსაციის სახით 2.7 მილიარდი აშშ დოლარის გადახდას დაპირდა. მოგვიანებით კადაფი დასავლეთთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობასაც დათანხმდა განიარაღებასა და ტერორიზმთან ბრძოლაში.

2007 წელს აფრიკული კავშირის სამიტზე კადაფიმ თხუთმეტი ავტომანქანა და ოქროთი სავსე ორი ჩემოდანი ჩაიტანა. სახტად დარჩენილი სამიტის წევრებისთვის ლიბიელმა დიპლომატებმა ოფიციალური განმარტება გააკეთეს აღნიშნულ ნივთებთან დაკავშირებით: „ეს არის ჩვენი ლიდერის ნობათი აფრიკული სახელმწიფოების მეთაურთათვის“.

დამაინტრიგებელია კადაფის გულუხვობის არაორდინალური გამოვლინებები, მაგრამ ევროპასა და ამერიკაში რატომღაც ყურადღებას ნაკლებად ამახვილებენ მსგავსი ფაქტების არარსებობაზე დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების ლიდერთა პოლიტიკურ ბიოგრაფიებში. იმ დროს, როცა პიარკამპანიებსა და მხარდამჭერთა ატრიბუტიკის წარმოებაზე ათობით თუ ასობით მილიონი იხარჯება, პრეზიდენტობის, პრემიერ-მინისტრობისა და კანცლერობის არცერთ კანდიდატს რაიმე ორიგინალური, ამავდროულად, პრაგმატული იდეა თავში არ მოსდის. ხალხის სასიკეთოდ სიტყვათა კორი-

ანტელი ემეტებათ მხოლოდ.

ელექტორატი, თითქოს, ხელისუფლების „ნასუფრალით" იკვებება. მოსახლეობის დიდ ნაწილს მათთვის რეალურად სასარგებლო ეკონომიკურ ცვლილებებს ურჩევნია პოლიტიკოსების შესახებ ტაბლოიდებითა და იაფფასიან სენსაციურობაზე გათვლილი ტელეგადაცემებით გავრცელებული ჭორები, რითიც უპრინციპო ჯოგი პირადი ცხოვრების სიცარიელეს ივსებს. მოქალაქეთა „გაყვითლებულ" გემოვნებას საუცხოოდ ეხამება მეოთხე ხელისუფლებადაკარგული თანამედროვე „ქარვისფერი" მედია.

პოლიტიკოსთა უკიდურესი ეგოიზმი ზოგჯერ იმგვარ სიმაღლეებს აღწევს, რომ ჩვეულებრივ მოქალაქეებს თავად უჩნდებათ მათთვის დახმარების შეთავაზების სურვილი. კარიერისტთა ამბიციურობა მასის გულუბრყვილობითა და სიკეთით საზრდოობს. იოლია შეშლილი უწოდო აფრიკის უდაბნოში პოლიტიკურ სილაღეს შეჩვეულ ადამიანს. რთულია მიბაძო და აჯობო გულუხვობაში ან თუნდაც ექსტრავაგანტურ იმიჯმეიკერობაში. ბილ კლინთონმა პრეზიდენტის ხელფასის გაზრდა მხოლოდ იმ საბაბით განახორციელა, რომ კანონის თანახმად, აშშ-ში ყველაზე დიდი ხელფასი ქვეყნის მეთაურს უნდა ჰქონოდა, უკანასკნელ პერიოდში კი ზოგიერთი თანამდებობის პირის შემოსავალი „სახიფათოდ" მიუახლოვდა პრეზიდენტის ოფიციალურ ანაზღაურებას.

პოლიტიკოსებს ფულთან დაკავშირებით ზომიერების უბადლო მაგალითს აძლევს Apple Computers-ის მფლობელი სტივ ჯობსი, რომლის ოფიციალური ხელფასი წელიწადში ერთი დოლარია. სამწუხაროდ, ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი საკუთარ ქვეყანას „დროებით" პირად ქონებად აღიქვამს, რომლის განკარგვის თავისუფლებისთვის თავს არ ზოგავს თანამდებობის დატოვების ან დაკარგვის უკანასკნელ მომენტამდე. ასეთებს ავიწყდებათ, რომ ოფიციალურად ისინი საკუთარი ხალხის სამსახურში იმყოფებიან დემოკრატიის კანონებიდან გამომდინარე.

2007 წლის სექტემბერში საინფორმაციო სააგენტო როიტერზმა ფედერალური რეზერვის ყოფილი თავმჯდომარის ალან გრინსპანის ფინანსური პროგნოზი გაავრცელა: „სრულიად ნათელია, რომ სარეზერვო ვალუტის რანგში ევრო დოლარს ჩაანაცვლებს, ანდა გაუთანაბრდება". 2020 წლისთვის ევროს დომინან-

ტურ პოზიციაზე გადასვლის ალბათობისათვის ჯეფრი ფრანკელმა და მენზი ჩინმა ორი წინაპირობა ჩამოაყალიბეს: 1. ევროკავშირის ყველა ქვეყანამ და დიდმა ბრიტანეთმა ევრო უნდა ოფიციალურად აქციოს თავიანთ ერთადერთ სახელმწიფო ფულის ერთეულად; ანდა – 2. დოლარის გაუფასურების პროცესი არ უნდა შეწყდეს და მომავალშიც გაგრძელდეს. სპეციალისტების მოსაზრებებიდან გამომდინარე, ევროს რეალური შანსები არც ისე დიდია. თუ გრინსპანის წინასწარჭვრეტა მაინც გამართლდა, „დოლარის დიქტატურის" პოლიტიკური ასპექტები საგრძნობლად შესუსტდება, მაგრამ ამგვარი გლობალური ეკონომიკური ცვლილებაც კი ვერ შეამცირებს სახელმწიფოთა მეთაურების სიხარბესა და გაუმაძღრობას.

აშშ-ის წარსულს ჩაბარდა ენდრიუ ჯექსონისეული „სიგიჟე", როცა უბრალო ხალხს თეთრი სახლის კარი გაუღეს მატერიალური ზარალის ფასად. როგორც ჩანს, ამერიკული დემოკრატიის „რაინდული სულისკვეთებით აღსავსე შუა საუკუნეები" დასრულდა. დროა, პოლიტიკური ელიტა დაფიქრდეს – იქნებ, ეს ნიშანი არის მმართველობის ახალი ერის მოახლოებისა...

კედლის სარკეში არეკლილი იმიჯი

ამერიკის შეერთებული შტატების 42-ე პრეზიდენტის უილიამ ჯეფერსონ ქლინთონის საჯარო გამოსვლის ტექსტები აუდიტორიაზე ყოველთვის ახდენდა შთაბეჭდილებას. ამის მიზეზი არამხოლოდ მისი პოლიტიკური იმიჯისთვის დამახასიათებელი გარეგნული მომხიბვლელობა: „ჰოლივუდური ღიმილი" თუ პოლიტიკური შარმი იყო. არც მხოლოდ საუცხოო ინგლისური და კარგი დიქცია შეიძლება იყოს საკმარისი ორი ვადით თეთრ სახლში დასარჩენად.

ბილ ქლინთონის ეფექტურობის საიდუმლოს სიტყვის ძალისა და ადამიანისადმი ბუნებითი, არაყალბი თანადგომის ნაზავი ქმნიდა. რა თქმა უნდა, როგორც ნებისმიერს თანამედროვე პოლიტიკის უმაღლეს ფენებში, მას ჰყავდა დიდი გუნდი, ვინც საჯარო გამოსვლებისთვის ამზადებდა. თუმცა მისი speechwriter-ების აღიარებით, თავად ქლინთონიც უდიდეს მონაწილეობას იღებდა ყოველ ტექსტზე მუშაობისას და საბოლოო ვარიანტს ყოველთვის თვითონ წერდა. ვფიქრობ, სწორედ ამის წყალობით, ბილ ქლინთონის მიმართვა ხალხისადმი არასოდეს იძენდა ყალბ, თეატრალურ ჟღერადობას.

ჯო კლაინი თავის მონოგრაფიას „ბუნებრივი: არასწორად გაგებული ბილ ქლინთონის პრეზიდენტობა" საკუთარი შვილებისადმი მიძღვნით იწყებს. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, პატარებისადმი სიყვარულისა და მადლიერების გამოსახატავად ავტორის მიერ მოთხრობილი მრავლისმეტყველი ეპიზოდი სწორედ პრეზიდენტ ქლინთონის ქარიზმას ხსნის: „1992 წლის გაზაფხულზე, გაგანია ნიუ-იორკული პრაიმერის დროს, ჩემი ხუთი წლის ქალიშვილი სოფი წავაჩაქჩაქე ბილ ქლინთონის სანახავად ბრონქსში მისი სიტყვით გამოსვლისას. პენსიონერი პროფკავშირელებისა და სხვა მრავალგვარი სკეპტიკოსის ბრაზით სავსე, კირკიტა კითხვების ზალპის გამო ეს შეხვედრა ხრინწიანი გუგუნის ფონზე მიმდინარეობდა. ქლინთონისთვის განსაკუთრებით მძიმე პერიოდი იდგა ნიუ-იორკული ბულვარული პრესისა და ლიბერალური ინტელიგენციის (რომლის საპროტესტო რუპორადაც იმ მომენტისთვის კალი-

ფორნიის ყოფილი გუბერნატორი, ჯერი ბრაუნი გვევლინებოდა) მხრიდან მის წინააღმდეგ წარმოებული იერიშის გამო. ეფექტის მოხდენის მიზნით, მეც გვარიანად გადავამლაშე მისი საარჩევნო კამპანიის სიყალბეებსა და შეუთავსებლობებზე საუბრისას ჟურნალ „ნიუ-იორკის" საავტორო სვეტში. ამის მიუხედავად, როცა პოლიდან გამოსულმა ქლინთონმა ჩემს გვერდით მდგარი სოფი დაინახა, ჩვენთან მოვიდა, ჩაიმუხლა, თავისი ტორი ჩემს გოგონას მხარზე დაადო და უთხრა: „სოფი, ვიცი, მამაშენს შინ იშვიათად ხედავდი ბოლო თვეების განმავლობაში. ის ჩემთან ერთად იყო... თუმცა განუწყვეტლივ შენზე ლაპარაკობდა". წიგნი ეძღვნებათ სოფი და ტედი კლაინებს. ესაა განმარტება და მობოდიშება იმ თვეებისა და წლების გამო, როცა მათ გვერდით არ ვიყავი". ვერანაირი სხვა მოტივაციით აიხსნება ბილ ქლინთონის მცირე, მაგრამ ექსკლუზიური ყურადღება, გარდა ბუნებრივი, გულწრფელი ზრუნვისა იმ პატარისადმი, რომლის მამიკოც არცთუ მთლად სამართლიანად მოექცა პოლიტიკოსს მისთვის ურთულეს სიტუაციაში. ჯო კლაინმა სათანადოდ დააფასა პრეზიდენტის ჟესტი, რომელსაც ვერცერთი იმიჯმეიკერი ვერ გათვლიდა წინდაწინ. სწორედ ამიტომ, ჟურნალისტის ტენდენციის გამჟღავნება წიგნის სათაურიდანვე იწყება, როდესაც ბილ ქლინთონის პიროვნებას ამომწურავად ახასიათებს ერთადერთი სიტყვით — ბუნებრივი.

2004 წლის 22 ივნისს ბილ ქლინთონმა ფართო აუდიტორიას მონოგრაფია „ჩემი ცხოვრება" შესთავაზა. წიგნი 1008 გვერდისგან შედგება და დაწვრილებით ინფორმაციას შეიცავს პოლიტიკოსის პიროვნების შესახებ. დროდადრო, შესაძლოა, გაწელილი, ზოგისთვის მოსაწყენიც კი იყოს მონოგრაფიის სკრუპულოზურობა, მაგრამ ყოველი წინადადებიდან ქლინთონის ხმა ისმის, რაც ბოლო გვერდამდე წაგაკითხებთ მის მონათხრობს. ტექსტი ამბებისა და შეფასებების ნაზავია, რომელიც 1990-იანი წლების აშშ-ისა და მსოფლიოს პოლიტიკური ელიტის პორტრეტს გამოკვეთს. მცირე ექსკურსები, რომლის დროსაც ავტორი დროში უკან ბრუნდება, მიზნად ისახავს ჩვენი რეალობის ახსნას უახლესი წარსულიდან მოხმობილი დეტალების საშუალებით. თხრობის მთლიან ქარგაში ამერიკის 42-ე პრეზიდენტის ხასიათის პიროვნული და პოლიტიკური შტრიხებია ერთმანეთში გადაჯაჭვული. არის რაღაც ოცნება-

სავით ხელშეუხები, თანაც საკრალური ფაქტების გადმოცემის მარტივ, დეტალურ, გულიან თანაგანცდაში. დორიან გრეის სურათისგან განსხვავებით, წიგნი-ავტოპორტრეტი არ მალავს ქლინთონის არცერთ ადამიანურ ნაკლს, მაგრამ სწორედ მსგავსი „შოკისმომგვრელი" გულწრფელი უბრალოების გამო ძალდაუტანებლად აახლოვებს მკითხველს ავტორის შინაგან სამყაროსთან და მისი ჰუმანურობით ხიბლავს.

კომპოზიციური თვალსაზრისით, მონოგრაფია საკმაოდ მარტივ სქემას მისდევს — პროლოგი, ავტორის ცხოვრების დეტალური ისტორია მისი დაბადების წინარე პერიოდიდან თეთრი სახლის დატოვებამდე, ეპილოგი.

პროლოგი შესაშურად ლაკონიურია, ერთ გვერდს ძლივს ავსებს. ავტორი სადად იწყებს საუბარს და გასაკვირი არაა, რომ თხრობით ლიდს იყენებს. იგი მკითხველს უყვება ეპიზოდს იმ პერიოდიდან, როდესაც იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და ზრდასრული ადამიანის ცხოვრების პირველ ნაბიჯებს დგამდა. ქლინთონს ტაბლოიდის სტილის ერთი წიგნი შეუძენია და იქ მოცემული რჩევის შესაბამისად, სამომავლო გეგმები ჩამოუწერია. არცთუ გრძელი სია საკმაოდ შთამბეჭდავი გამოვიდა: „მსურდა კარგი კაცი დავმდგარიყავი, ღირსეული ოჯახი და შვილები მყოლოდა, ერთგული მეგობრები შემეძინა, წარმატებული პოლიტიკური კარიერა გამეკეთებინა და დამეწერა დიდებული წიგნი". პროლოგში ავტორი მოკლედ აჯამებს თავისი ახალგაზრდული მიზნების რეალიზების ხარისხს დღევანდელობის გადასახედიდან და ღია დაბოლოებით ამთავრებს: „რაც შეეხება დიდებულ წიგნს, ვინ იცის? თუმცა ჩემი ამბავი მოსაყოლად ნამდვილად ღირს".

პროლოგის ენა სადა, მარტივია და ისეთი უბრალოებით გამოირჩევა, თითქოს, ავტორი ახლო მეგობრების წრეში განვლილი ცხოვრების შეფასებას ცდილობს. „აღსარების მოთხოვნილების" სულისკვეთებითაა სავსე სამი საწყისი აბზაცი. შინაარსობრივ-ენობრივი თვალსაზრისით, პროლოგი ზუსტ შთაბეჭდილებას უქმნის მკითხველს იმის შესახებ, თუ როგორი სტილით, რა მანერით, რაგვარი ინტონაციით იქნება გადმოცემული წარმატებული ამერიკელი პოლიტიკოსის ცხოვრების დეტალები.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ პროლოგს მთლიანად განვიხილავთ

როგორც წიგნის შესავალს კომპოზიციური თვალსაზრისით, ეს წმინდაწყლის შემაჯამებელი ლიდია, თანაც საკმაოდ ეფექტური. ავტორი თავიდანვე გვაგრძნობინებს, ზედმეტ შელამაზებას, ეპითეტებს, ინტრიგებს ნუ ელით, მე მხოლოდ ჩემს ცხოვრებაზე საუბარს ვაპირებო. ამ მისწრაფებას იგი არსად ღალატობს ათასგვერდიან წიგნში. საკუთარი პიროვნების დანიშნულების აღქმა ფართო საზოგადოების პრიზმაში იმპრესიონისტული ბუნებისაა. ამავე დროს, შუა საუკუნეების იდეალიზებული რაინდული დიდსულოვნებისა და ანტიკური ხანის ავტორთათვის დამახასიათებელი თავმდაბლური უკანდახევის, საკუთარი ქმნილებისთვის ეფექტური ფონის შექმნის სურვილითაა ნასაზრდოები ბილ ქლინთონის თხზულება.

„ჩემი ცხოვრება" ორმოცდათხუთმეტი თავისგან შედგება. ისინი უბრალოდ დანომრილია, განსხვავებით ჰილარი როდემ ქლინთონის წიგნისა „ცოცხალი ისტორია", რომელიც წინა წელს გამოიცა. ერთი მხრივ, ეს საგრძნობლად ართულებს ამ უზარმაზარ მონოგრაფიაში ორიენტირებას. გაიძულებს მთლიანად წაიკითხო, რომ თავად გაერკვე სად რაზეა საუბარი. მეორე მხრივ, 55-ს სიმბოლური დატვირთვა აქვს მინიჭებული. სწორედ ამ ასაკში დატოვა ბილ ქლინთონმა ოვალური კაბინეტი რვაწლიანი საპრეზიდენტო მოღვაწეობის შემდეგ. თუმცა 55 მხოლოდ ზოგადად თუ ჩაითვლება სიმბოლურ რიცხვად ავტორისათვის, რადგან ქრონოლოგიურ დაყოფას თავები არ ემორჩილება და ხშირად მოიცავს რამდენიმე წლის მიმოხილვას, ერთის მაგივრად. შესაძლოა, სწორედ წერის „კოქტეილურმა" მანერამ გაართულა თავების დასათაურება.

თხრობის სისადავე, მარტივი ფრაზეოლოგია იოლად გასაგებს ხდის პოლიტიკოსის ცხოვრების იმ დეტალებს, რომელზეც საუბრობს. ქლინთონის წიგნში „მარტივად მეტყველება", თითქოს, განსაკუთრებულ პუბლიცისტურ ხერხს ემსგავსება იმ მიზნით, რომ ავტორის პირუთვნელობა გახაზოს. საოცრად კარგი მთხრობელია და მისი ეს მანერა საბავშვო გადაცემაში ზღაპრის მთყოლისთვის საუცხოო ვარიანტი იქნებოდა. სხვა საკითხია, რომ თავად წიგნის შინაარსია არასაბავშვო.

ქლინთონს ახასიათებს ამერიკული სამყაროსთვის ორგანული „გულწრფელი პირდაპირობა", რაც ზოგჯერ მსუბუქ ირონიაში, თვითკრიტიკასა თუ მოხდენილ იუმორში გადაიზრდება. იგი უკვე

პროლოგში ავლენს უშუალობას, რითიც ნებისმიერ საჩოთირო საკითხს ღირსების შენარჩუნებით წარმოაჩენს. ავტორი საუბრობს თავის ოჯახზე და მომხიბლავი სისადავით, თითქოს სხვათა შორის, შეეხება ბინძურ სკანდალს, მის ქორწინებას ჩრდილი რომ მიაყენა: „როგორც ნებისმიერი ოჯახი, არც ჩვენია სრულყოფილი, მაგრამ იგი შესანიშნავია ამავე დროს. მისი ნაკლოვანი მხარე, როგორც მთელმა მსოფლიომ იცის, ძირითადად, ჩემს ანგარიშზე მოდის, თუმცა სამომავლო იმედები სწორედ სიყვარულს ემყარება“. ვფიქრობ, პროლოგში ოსტატური ხერხი გამოიყენა ავტორმა, როცა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. სამყარო არ არის სრულყოფილი და სწორედ ამიტომ, ბუნებრივია, რომ მკითხველთა დიდი უმეტესობა იმედგაცრუებული დარჩებოდა, თუ ქლინთონი საერთოდ აუვლიდა გვერდს ქალებთან დაკავშირებულ სკანდალებს. მშვენიერი გამოსავალიც მოძებნა, რომ წიგნი ბულვარული რომანის მსგავსი არ გამოსვლოდა: სანამ რაიმე საჩოთირო ამბის შესახებ შეეკითხებიან, თავად ყვება „გულწრფელი პირდაპირობით“ და მისთვის სახარბიელო კუთხით. ნაკლებ სავარაუდოა, ვინმე ჩაგეძიოს, თუ ისედაც ყველაფერი ნათქვამი გაქვს. ამ ხერხის მომხიბვლელობა ისაა, რომ როგორც გინდა, ისე წარმოაჩენ სიტუაციას. მსგავსი სურვილი ნაკლად არ უნდა ჩაეთვალოს პოლიტიკოს-ავტორს თუნდაც მხოლოდ ჯო კლაინის მსგავსი კალმოსნის არსებობის გამო. სწორედ კლაინის ჯიშის კარიერისტების კვალდაკვალ „ისწავლა“ წერის მომგებიანი ხერხები ყოფილმა პრეზიდენტმა.

ბილ ქლინთონი პირველივე გვერდზე გახაზავს, რომ მისთვის სკანდალმა აქტუალობა დაკარგა, რადგან მან გადალახა ეს პრობლემა. დღეს მის ოჯახში კვლავ სჯერათ სიყვარულის და მიცემული პირობების. თუ უტაქტო არ ხარ, „ზედმეტ“ კითხვას აღარ დასვამ ამგვარი შესავლის შემდეგ. ავტორი ამ ხერხს ხშირად მიმართავს. არ გაემტყუნება, რადგან წიგნიც სწორედ იმიტომ დაწერა, რომ საკუთარი ცხოვრება იმგვარად წარმოეჩინა, როგორადაც თავად აღიქვამს. ჟურნალისტების აზრი ხომ უკვე ცნობილია.

წლების განმავლობაში ბილ ქლინთონის პოლიტიკური ფიგურის თვისებათა შესწავლამ ამგვარ დასკვნამდე მიმიყვანა: ნებისმიერ სიტუაციაში იგი ცდილობს და ხშირად ახერხებს, დარჩეს ღირსეული, მომხიბლავი, მართალი, საკუთარ თავთან მაინც. ამას

არა მხოლოდ ეშმაკური ტაქტიკით, არამედ ბუნებრივი გულწრფელობისთვის ასპარეზის მიცემით აკეთებს. ასეთი პიროვნება წარმოგვიდგება მის ავტობიოგრაფიულ წიგნშიც. რა თქმა უნდა, ეჭვის შეტანა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ ნაკლებად რეალური მგონია, რომ ყველაფერი მხოლოდ მკითხველ აუდიტორიაზე სათანადო ზემოქმედებისთვის გაკეთდა ამ მონოგრაფიაში. წიგნის პათოსი უფრო „თავდაცვითია“, ვიდრე „შეტევითი“.

ბილ ქლინთონის წერის მანერა ფრაზის სისადავითა და დეტალიზირების ხერხებით ხშირად ჰემინგუეის მოგვაგონებს. თუმცა თხრობის საერთო, ზოგადი ხასიათი უფრო მოდერნიზებულია. ეს არის რაღაც შუალედური მეცხრამეტე საუკუნის რომანებისთვის დამახასიათებელ იდილიურ და ოცდამეერთე საუკუნის დინამიკურ ენობრივ სტრუქტურებს შორის.

„ჩემი ცხოვრების“ პირველი სამი თავი ოდნავ თეატრალიზებულია, თუმცა წერის მემატიანისეული მანერა, მთლიანად თხზულების განსხვავებულ აღქმას განაპირობებს. და მაინც, ზოგადი კომპოზიციით ეს თავები დიკენსის „დევიდ კოპერფილდისეულ“ სამყაროში გვაბრუნებს. ამ გრძნობას ამძაფრებს შინაარსის საოცარი მსგავსებაც ავტობიოგრაფიასა და რომანს შორის. ამგვარი დასაწყისის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომი თავები სულ უფრო უახლოვდება ქრონიკისთვის დამახასიათებელ მშრალ სტილს. ფაქტი ფაქტს მისდევს, დეტალები მხოლოდ აზუსტებს მომხდარს. ამგვარ სქემაში შევებასავით შემოიჭრება ხოლმე ავტორისეული განცდები, რომელთაც იგი განდობასავით აწვდის მკითხველს.

ეფექტურია მერვე თავის დასაწყისი. 1963 წლის 28 აგვისტოს მარტინ ლუთერ კინგი-უმცროსი ლინკოლნის მემორიალის წინ იდგა და ამერიკაზე საკუთარ ოცნებას განუმარტავდა თანამოქალაქეებს. ბილი, ემოციური და გონიერი თინეიჯერი, კინგის ნათქვამის არსს ჩასწვდა: „ოდესმე ჩემი ოთხი პატარა შვილი ისეთი ერის წიაღში იცხოვრებს, სადაც მათ არა კანის ფერის, არამედ — გონებრივ და მორალურ ღირსებათა მიხედვით შეაფასებენ“. ისტორიული გამოსვლა კარგა ხნის დამთავრებული იყო, როცა ახალგაზრდა ბილ ქლინთონი ჯერაც იცრემლებოდა, რადგან საჯაროდ გაცხადებული მოისმინა ყოველივე, რაც კარგა ხანია ღრმად სწამდა ფარულად. ჩვიდმეტი წლის ყმაწვილზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა

სიტყვის ძალამ და მთელი მისი შემდგომი პოლიტიკური კურსი განსაზღვრა. სწორედ იმ დღეს გადაწყვიტა ბილ ქლინთონმა, რომ თავისი დარჩენილი ცხოვრება კინგის ოცნებისთვის მიეძღვნა და მისი ასრულებისთვის საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გაეკეთებინა. მნიშვნელოვანია, რომ ამას ყოფილი პრეზიდენტი წერს და არა — ოვალური კაბინეტის სავარძელზე მონადირე.

ახალგაზრდობაში მიღებული არაერთი ცხოვრებისეული გამოცდილება იქცა ბილ ქლინთონის შემდგომი მოღვაწეობის კრედოდ. აღსანიშნავია იუმორით სავსე ეპიზოდი მათემატიკის გამოცდასთან დაკავშირებით. სკოლაში ახალი სასწავლო კურსი — აღრიცხვა (კალკულუსი) შემოიღეს, რომელსაც სულ შვიდი მოსწავლე ესწრებოდა. ერთხელაც პედაგოგმა ყველა პასუხის სისწორის მიუხედავად, ბილს ქულა დააკლო. მისტერ კოს აზრით, მოსწავლემ სწორი პასუხი შემთხვევით გამოიცნო, რადგან სახელმძღვანელოში მითითებული ამოხსნის ვერსია სრულად არ გამოიყენა და რამდენიმე მოქმედება გამოტოვა. კლასში ერთი აღიარებული მათემატიკური გენია, ჯიმ დუგალი ჰყავდათ, რომელიც ქლინთონის ამოხსნით დაინტერესდა, შეისწავლა და მერე მთელი ჯგუფის წინაშე დაფაზე სცადა დაემტკიცებინა მასწავლებლისთვის თანაკლასელის სისწორე. ჩვეული იუმორით აღწერს კვანძის გახსნას ავტორი: „წარმოდგენა არ მქონდა, რას ამბობდა ჯიმი და დარწმუნებული არ ვარ, რომ მისტერ კო მაინც იყო აზრზე, მაგრამ ამ ეფექტური პრეზენტაციის დასასრულს ჩემი ქულა გადამიკეთა. მაშინ ორ რამეს მივხვდი: პრობლემის გადაწყვეტისას ზოგჯერ სწორი ინსტინქტები ჯაბნის ინტელექტუალურ არაადეკვატურობას და რომ უმაღლეს მათემატიკას არ უნდა გავყოლოდი". აქ სამი კოლორიტული პორტრეტი დახატა ქლინთონმა ჩვეული კაცთმოყვარეობის განცდით, რომელთა ფონზეც 1960-იანი წლების რიგითი ამერიკელების ყოველდღიურობის ერთი მცირე ასპექტი წარმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ წიგნში ბილ ქლინთონი განსხვავებულ პიროვნებათა ფრაზით ხატვის ოსტატად წარმოგვიდგება. ავტობიოგრაფიაში უხვადაა სხვადასხვა ცნობილ თუ უცნობ ადამიანთა ლაკონიურად ჩამოძერწილი პორტრეტები.

ბოსნიის ომის დასრულებასთან დაკავშირებით ხელმოწერილი სამშვიდობო შეთანხმების მიღების შემდეგ ელისეს მინდვრებზე

წვეულება გაიმართა: „სლობოდან მილოშევიჩი ჩემს პირდაპირ მაგიდასთან იჯდა, ჩვენ საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ. იგი ჭკვიანი, კარგი მოსაუბრე და გულღია კაცი გამოდგა, მაგრამ მას ყველაზე ცივი მზერა ჰქონდა მათ შორის, რაც ოდესმე მინახავს“. დასანანია, რომ ამ „ცივი მზერის“ გამომწვევი პოლიტიკური ანდა პიროვნული მიზეზები აღარაა განვრცობილი ამერიკის 42-ე პრეზიდენტის მონოგრაფიაში. ეჭვგარეშეა, ბილ ქლინთონი ბევრი ჟურნალისტისა თუ პოლიტიკური ანალიტიკოსისთვის მიუღწეველი გულწრფელობითა და პირუთვნელობით შეაფასებდა ამ „უკანასკნელი ჯვაროსნის“ ოდიოზურ ფიგურას.

ბორის ელცინთან შეხვედრებისა და მოლაპარაკებათა პერიპეტიების აღწერის შემდეგ, ბილ ქლინთონი წერს: „მე ის მომეწონა. ეს იყო აშკარა წინააღმდეგობებით აღსავსე, დიდი ადამიანი-დათუნია... წუთის წინ რომ შეგიტევდა, მერე იქვე გულში ჩაგიკრავდა“. რა თქმა უნდა, შეფასებები სუბიექტურია და ზოგჯერ მკითხველმა შეიძლება სკეპტიკურად შეხედოს ავტორის მოსაზრებებს ამა თუ იმ პიროვნების შესახებ. თუმცა ეს წიგნი სწორედ იმითაა საინტერესო, რომ ბილ ქლინთონისეული აზრებითაა სავსე. განსხვავებულ პოლიტიკოსთა ორიგინალური ხედვის, მათი შინაგანი სამყაროსა თუ ვიზუალური ეფექტის აღწერის სიფაქიზე ისევ და ისევ ავტორის ღირსებას გახაზავს. პასტელური ტონების მიუხედავად, გონიერი მკითხველი იოლად შეძლებს ქლინთონის პოზიციის სწორად დანახვას.

იგი წერს საოცარი სითბოთი, სიყვარულითა და მიტევების უნარით ყველას მიმართ. შეფასებებში მკვეთრად რადიკალურია და ამავე დროს, ფრაზებს იმგვარად აგებს, რომ მკითხველი შეიგრძნობს ავტორის მზრუნველ და ფრთხილ დამოკიდებულებას იმ ადამიანებისადმი, ვისზეც მოგვითხრობს. მიუხედავად იმისა, რომ ქლინთონი რეალურ პიროვნებებზე გვიამბობს, მას ისინი ისეთივე სინაზით უყვარს, როგორც მწერალს მის მიერ გამოგონილი პერსონაჟები. მაშინაც კი, როდესაც ბებიამისის ხასიათის ბნელ მხარეზე ყვება, იქვე გვთავაზობს გამამართლებელ არგუმენტს და ამ ქალბატონს ცუდი თვალით ველარ შეხედავ. იგივე მეორდება მამინაცვალზე საუბრისას. ეფექტურადაა დაწერილი ეპიზოდი, რომელშიც ეს კაცი იარაღს გაისვრის ცოლ-შვილის მიმართულებით

ერთ-ერთი ოჯახური სკანდალის დროს. ავტორი იმხელა სიყვარულს ამჟღავნებს მამინაცვლის მიმართ, ისეთი არგუმენტირებული მსჯელობით ცდილობს შეამსუბუქოს მისი უმსგავსი საქციელით გამოწვეული მძიმე ეფექტი, რომ მკითხველი, მიუხედავად ყველაფრისა, არც მამინაცვალს აღიქვამს მაინც და მაინც ცუდ ადამიანად.

ასეთ ჰუმანურობას ქლინთონი არა მხოლოდ შინაურების მიმართ ამჟღავნებს. შთამბეჭდავია ეპიზოდი, როდესაც იგი საოცარი გულითადობით აკეთებს კომენტარს ბორის ელცინის ლოთობისადმი მიდრეკილების თაობაზე: „ყოველთვის, როცა ვინმე ირონიულ რეპლიკას წამოისროდა ელცინის სმის შესახებ, მახსენდებოდა ის სიტყვები, რომელთაც ლინკოლნს მიაწერენ. ვაშინგტონელმა სნობებმა გენერალ გრანტის მისამართით რომ კრიტიკის ქარცეცხლი დაატრიალეს იგივე მიზეზით, სამოქალაქო ომში თავისი ყველაზე ენერგიული და წარმატებული მხედართმთავრის დასაცავად ლინკოლნს თურმე უთქვამს: გამიგეთ, რას სვამს და სხვა გენერლებსაც იგივე დაუსხითო“. ვფიქრობ, მსგავსი პარალელი გენერალ გრანტსა და ბორის ელცინს შორის ცოტა გადაჭარბებულია. თუმცა არსებითი ეს არ არის. აღნიშნული ეპიზოდი თავად ქლინთონს წარმოაჩენს, როგორც ჯენტლმენს. აღორძინების პერიოდის ხელოვანთა მსგავსად, იგი ცდილობს პერსონაჟის პორტრეტი შეგვიქმნას და, ამავე დროს, საკუთარ პიროვნებასაც გამოკვეთს. თითქოს, შემთხვევით ირეკლება კედლის სარკეში.

უბოროტო ხუმრობა ჰარი თრუმენის მისამართით კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ქლინთონს სიტყვის ოსტატის ამპლუაში: „ჰარი თრუმენი — ერთადერთი აზარტული მოთამაშე, ყოველ შემთხვევაში, ერთადერთი, ვინც ამას არ მალავდა“. მარტივი ფრაზეოლოგია იუმორს მსუბუქს ხდის და ვფიქრობ, სწორედ ამის გამო არ გადადის ცინიზმსა თუ დაცინვაში. პირიქით, აშკარად იგრძნობა თრუმენის პიროვნული ღირსების რეაბილიტაციის სურვილი ქვეცნობიერი თუ გააზრებული ბიბლიური ანალოგიის მოშველიებით: ჩაქოლვის მორალური უფლება მხოლოდ იმას თუ ექნება, ვისაც თავად არ შეუცოდავს. ბილი შეფარვით მიანიშნებს, რომ ვაშინგტონში ასეთების პოვნა ძნელიაო. ანგელოზობა საჭირო არ არის. ნამდვილი ადამიანი უთუოდ შეძლებს სხვისი დაცემის წინაშე იმგვარად ამაღლებას, რომ არც მიტევებით დაამციროს და არც ქვის მოსაძებნად

გაექცეს თვალი.

ქლინთონის ყოველი მსგავსი პასაჟი, განმსჭვალულია ზოგადად კაცთმოყვარეობის უნარით. ავტორის ეს თვისება მონოგრაფიაში სადად და ბუნებრივად აისახება. არ მგონია, რომ მსგავსი სიმაღლეები მხოლოდ პიარის ხელოვნების შედეგია. ბილ ქლინთონი არა მხოლოდ პოლიტიკოსი, არამედ ადამიანიც არის. როგორც წიგნის დასასრულს თავად წერს: „რვაწლიანი პრეზიდენტობისა და პოლიტიკაში გატარებული ნახევარი ცხოვრების შემდეგ, მე ისევ რიგითი მოქალაქე ვიყავი, თუმცა ძალზე მადლიერი მოქალაქე, რომელიც კვლავაც ქვეყნისთვის ეწეოდა ჭაპანს და ისევ ისე ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე“. ამგვარი დამოკიდებულება პოლიტიკისა და, ზოგადად, ადამიანური ყოფისადმი, ქლინთონს აახლოვებს აშშ-ის პირველი პრეზიდენტების მენტალიტეტთან.

ასეთია ის ძირითადი შტრიხები, რომელიც ბილ ქლინთონის ავტობიოგრაფიულ ნაშრომს გასდევს. ეპილოგი პროლოგის თემატიკას უბრუნდება და განავრცობს მას იმის გათვალისწინებით, რომ ავტორი მთლიანად დაიხარჯა და თავის მკითხველს ერთი სავსე, ცოცხალი, საინტერესოდ რთული ამბავი მოუთხრო წარმატებული პოლიტიკოსის ცხოვრების შესახებ.

მონოგრაფიას წრიული კომპოზიცია აქვს, რომელიც ეპილოგით იკვრება. მისთვის ჩვეული უბრალოებით აჯამებს ავტორი განვლილ გზას, შეცდომების მიტევებისთვის მადლობას უხდის როგორც მეუღლეს, შვილსა და მეგობრებს, ასევე – მსოფლიოს, ზოგადად. ცოტა პათეტიკურად, მაგრამ დამაჯერებლად ჟღერს ერთ-ერთი საფინალო ფრაზა: „ჩვენ ყველანი შინ ვბრუნდებით და მინდა მზად ვიყო“. აქ პოლიტიკოსი იმქვეყნად გამგზავრებას გულისხმობს. ამ სტრიქონების წერისას იგი ჯერ სამოცი წლისაც არ არის, მაგრამ მისი პოზიცია გასაგებია. ბილ ქლინთონმა უკვე მოასწრო ისეთი შინაარსიანი ცხოვრება ჰქონოდა, სხვებს საერთოდ რომ არ ეღირსებათ. წმინდა პავლეს სიტყვებიც რწმენაზე, იმედსა და სიყვარულზე უფრო აკონკრეტებს, რომ ეს მხოლოდ ერთი ეტაპის დასასრულია და ავტორი ისევ აგრძელებს ახალგაზრდობაში ჩამოწერილი სიიდან ცხოვრებისეული მიზნების განხორციელებაზე ზრუნვას. სადა და ეფექტურია დაბოლოებაც: „როგორც გითხარით, ჩემი ცხოვრება საინტერესო ამბავი მგონია და მისი მოყოლით ვისიამოვნე“.

სიმბოლოთა ხელისუფლება და ხელისუფლების სიმბოლოები

1990-იანი წლებიდან მოყოლებული უახლოეს პერიოდამდე საქართველოში საზოგადოებრივი აზრის ფორმირება უოლტ ლიპმანის მოდელის მსგავსი სქემით ვითარდებოდა. ამ მოდელის მიხედვით, ჟურნალისტი პოლიტიკოსისგან მოიპოვებს ინფორმაციას და აწვდის მოქალაქეებს, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს ქმნიან. გრაფიკული სახით თუ გამოვსახავთ, დაღმავალი მიმართულებით განვითარებულ კომუნიკაციას მივიღებთ:

ხელისუფლება

↓

მედია

↓

მოსახლეობა

↓

საზოგადოებრივი აზრი

როცა ჟურნალისტიკა მაკავშირებელ ფუნქციას ასრულებს ხალხსა და მმართველ ძალას შორის, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედება შესუსტებულია. რადგან გავლენა არაპირდაპირი გზით ხორციელდება, პლურალიზმს მეტი გასაქანი ეძლევა. შედეგად, დემოკრატიის ჭეშმარიტი პრინციპების დაცვაც უფრო რეალური ხდება იმ პირობით, რომ ჟურნალისტიკა ხელისუფლების სამი შტოსგან დამოუკიდებელია.

საუკეთესო შემთხვევაში, რეალობა ამგვარია: მთავრობა ახორციელებს გარკვეული სახის ქმედებას, რომელსაც საჯაროს ხდის მედიასაშუალებები. ხალხი აანალიზებს მომხდარს მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად (როგორც პირადი საუბრისას, ასევე პოლიტიკური და ანალიტური თოქ-შოუების დროს, ანუ ისევ მედიის ხელშეწყობით) ჩამოაყალიბებს მოსაზრებას, რომელიც საზოგადოების უმეტესი ნაწი-

ლის პოზიციას გამოხატავს. ის ინსტიტუტები, რომელთა ფუნქციაა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, შესწავლა და პროგნოზირება, მის მიერ მოპოვებულ-გადამუშავებულ ინფორმაციას ხელისუფლებას აწვდის. გამოკვლევის შედეგები მედიის საშუალებით ხშირად საჯარო ხდება. იმის მიხედვით, თუ ვისი დაკვეთით ან სურვილით ჩატარდა კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევა, ადრესატზე გათვლა განსხვავებულია. როგორც წესი, ხელისუფლებას ბევრად უფრო რეალური სურათი ეცნობება, ვიდრე მოსახლეობას. საბოლოო ეტაპზე საზოგადოებრივი აზრის დანიშნულებაა, ხელისუფლებას აუწყოს ხალხის დამოკიდებულება მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, მთავრობა შემდეგ ნაბიჯებს დგამს. ასე ხორციელდება მართულთა მმართველობა.

აღწერილი სქემა იდეალური იქნებოდა, რეალურად მისი განხორციელება შესაძლებელი რომ იყოს. დასავლეთის რიგ ქვეყნებში ეს მოდელი შეძლებისდაგვარად უახლოვდება თეორიულ სრულყოფილებას და, დემოკრატიული მმართველობის პირობებში, ვერტიკალურობიდან სულ უფრო მეტად იძენს წრიულ სტრუქტურას:



რაც უფრო იზრდება ქვეყნის მოსახლეობის სამოქალაქო საზოგადოებად ფორმირების პროცენტული მაჩვენებელი, მით უფრო ძლიერია ინფორმაციის გადაცემისა და ხელისუფლების უკუქმედების კოეფიციენტი. შესაბამისად, ამგვარი წრებრუნვა რეალურ პოლიტიკურ ცვლილებებს წარმოშობს. ხელისუფლების, ხალხისა და მათი მაკავშირებელი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების სათანადოდ ფუნქციონირებისათვის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა ამ სამის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება.

რიგ შემთხვევაში, ხელისუფლება მედიასაშუალებებს მოსახლეობის მანიპულირებისთვის იყენებს. ისეთ ინფორმაციას აწვდის

და იმგვარად, რომ გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. ხალხის გონების დაბინდვის ეფექტურობა იმაში მდგომარეობს, რომ მასას ჰგონია, დასკვნა თავად გააკეთა, მაშინ როცა იგი გამიზნულად მიიყვანეს მთავრობისთვის სასურველ მოსაზრებამდე. პროცესის ამგვარად განვითარების შემთხვევაში საზოგადოებრივი აზრით ხელისუფლების ქმედებათა კონტროლი კი აღარ ხორციელდება, არამედ — მოსახლეობის აზროვნების.

ლიპმანის მოდელის ფუნქციონირების დროს სტერეოტიპების აქტუალობა განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, რადგან საზოგადოების ცალკეული წევრი დასკვნას ერთპიროვნულად აკეთებს. მოგვიანებით ამგვარ დასკვნათა გაცვლა ხდება, რომელთა ურთიერთზემოქმედების შედეგად თანდათან გამოიკვეთება და საბოლოო სახით ჩამოყალიბდება უმრავლესობის პოზიცია, რომელიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების აზრის სტატუსს იძენს. პოლიტიკოსი გარკვეულ იმიჯს სწორედ იმ მიზნით იქმნის, რომ ამ პროცესში ჩარევის საშუალება ჰქონდეს. გონივრულად გათვლილ იმიჯს შეუძლია საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპის დამსხვრევა, მაშინ როცა სუსტ ან შეუფერებელ იმიჯს ამოფარებულ სახელმწიფო მოღვაწეს სტერეოტიპი გასაქანს არ მისცემს და არასასურველ ჩარჩოებში მოაქცევს. ამგვარ მახეში მომწყვდეულ პოლიტიკოსს მისმა იმიჯმეიკერმა აუცილებლად უნდა შეუქმნას სათანადო პირობები, რომ როგორმე შეძლოს არასახარბიელო სტერეოტიპის გამოყენება სასურველი მიზნის მისაღწევად.

ჟიულ მიშლეს ისტორიული პროცესის გმირად მიაჩნია ხალხი (კლასებად დაყოფის გარეშე), დიდი პიროვნებები კი — მხოლოდ „სიმბოლოებად", რომლებიც გამოხატავენ ცივილიზაციის საზოგადოებრივ იდეებს. ტედ რუზველტის პოლიტიკურ პლატფორმას ქმნიდა მისი წრესგადასული ამბიციურობა და თვითრეკლამისადმი პლებეური მიდრეკილება. 1904 წელს თეთრ სახლში გამართული სადილიდან დაბრუნებული ჰენრი ადამსი პირად წერილში მძაფრი რეალიზმით აღწერს პრეზიდენტის ქცევას მაგიდასთან: „ჩვენ შეგვაცბუნა დაუოკებელი ორატორობის მგზნებარე კორიანტელმა, რომლის დროსაც გამუდმებით ისმოდა ერთიმეორეზე უფრო კადნიერ განცხადებებზე მორგებული უცვლელი რეფრენი —

„მე, მე, მე“. ასეთი უთავბოლო ყბედობა ყველაფერზე... სულით ავადმყოფთა სამკურნალო დაწესებულების კედლებს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე წესიერ საზოგადოებას“.

1918 წლის იანვარში თეოდორ რუზველტზე დაწერილ ნარკვევში მეტაფორების მთელი კასკადი ჩამოაყალიბა იუჯინ დებსმა: „ეს ყალბი რეფორმატორი, ეს გაწიწმატებული თაღლითი, ეს უგუნური ექიმბაში, ეს შეშლილი ოისტერ-ბეიდან, ეს სისხლისმსმელი და ცოდვიანი წინასწარმეტყველი, ეს მოცეკვავე ლანდი, ეს როხროხა გმირ-მკურნალი, ეს პირზე დუჟმომდგარი ცრუპენტელა, ეს გულისამრევი მორალისტი-ჭკუისდამრიგებელი, ეს მლანძღველ-მაგინებელი, რომელსაც ასევე წარმატებით შეგვიძლია ვუწოდოთ ყბედი ბებიაქალი, ენაგრძელი გაიძვერა და ოდიოზური საყოველთაო დაბრკოლება, საკმარისად დიდხანს ატყუებდა ხალხს და აი, როგორც იქნა ამოიცნეს. ყოველ შემთხვევაში მათ მაინც, ვისაც მოლუსკზე ოდნავ მეტი ტვინი გააჩნია და შეუძლია დაინახოს ბილწი სიცრუე მას მერე, რაც იგი წლების განმავლობაში ყოველდღიურადააშკარავებდა საკუთარ თავს საქვეყნოდ“. თავისი გულკეთილობით ცნობილმა დებსმა ამაზე რბილად ვერ აღწერა თეთრ სახლში მოდრეიფე პრეზიდენტი.

XX საუკუნის აშშ-ში ბევრს აშფოთებდა ლიდერის არაადეკვატურობა. მარკ ტვენი საკუთარ პრეზიდენტს ფიზიკურად ზრდასრულ, მაგრამ გონებრივად უმწიფარ ადამიანად თვლიდა: რუზველტი „განუწყვეტლივ ყოყოჩობს, საბაბს ხელიდან არ უშვებს, რომ თავი მოიწონოს. მის ველურ ფანტაზიებში დიდი რესპუბლიკა დიდი ზომის ცირკია, სადაც თვითონ კლოუნია, მაყურებელი კი – მთელი მსოფლიო. იგი ცხრა მთას იქითაც წავა, თუკი გაბღენძის სულ მცირე შანსი მაინც ეგულება. თვით ჯოჯოხეთშიც ჩავა ამისთვის“. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ამერიკელი სატირიკოსის მიერ ხატოვნად აღწერილი მანკიერების – ყოყოჩობის წყალობით მოახერხა რუზველტმა პოპულარობის მოპოვება საზოგადოებაში.

მისი პოლიტიკისადმი, ზოგადად, კრიტიკულად განწყობილი ისტორიკოსი თომას ბეილი ქვეცნობიერ აღტაცებას განიცდიდა ამ „დიდი შოუმენისადმი“, რომლის ქარიზმატულობაც ლამის აჰიპნოზებდა ამერიკელების უმრავლესობას: „იგი ისეთივე წარმატებით ბატონობდა საკუთარ ეპოქაზე, როგორც დომინირებდა საუბრების

დროს... მასებს უყვარდათ. მან დაამტკიცა, რომ უაღრესად პოპულარული კერპი და ამომრჩეველთა ხმების დიდი მომპოვებელი იყო“. არც არაფერს აშავებდა: ბიბლიურ სიბრძნეს საკუთარი მიზნებისთვის იყენებდა — მოითხოვდა და მიეცემოდა, პოლიტიკის ფარგლებში რაც უნდოდა. 1905 წლის პორტსმუტის ზავისთვის თეოდორ რუზველტმა, ამერიკელთა შორის პირველმა, ნობელის პრემია მიიღო მშვიდობის დარგში.

განსაკუთრებული ექსპრესიულობით, თუმცა რეალისტურად დაახასიათა საკუთარი მამა რუზველტის უფროსმა ქალიშვილმა ელისმა: მას „სურს იყოს პატარძალი ყველა ქორწილში, გვამი ყველა დაკრძალვაზე და ჩვილი ყოველ ნათლობაში“. ამგვარი უკიდეგანო ლტოლვა საყოველთაო აღიარებისა და ყურადღების ცენტრში ყოფნის მიზნით უთუოდ საინტერესო მასალა იქნებოდა მისივე თანამედროვე ფროიდისთვის.

ბუნებრივია, რომ ასეთი კაცის ეროვნულ სიმბოლოდ აღიარების გამო მარკ ტვენს გულისტკივილით უწევდა „ადამიანთა მოდგმის არანორმალურობაზე“ დაფიქრება. მინდა მჯეროდეს, რომ მსგავს პოლიტიკურ კურიოზებს მხოლოდ ხალხის გონებრივი სნეულება არ უდევს საფუძვლად. თუკი მარიონეტის თამაშით ან სპექტაკლის სიუჟეტით უკმაყოფილო მაყურებელი თეატრის დარბაზს ტოვებს და ზოგჯერ ბილეთის ფულსაც უკან იბრუნებს, ჩვენს რეალობაში რა უნდა ქნას სალი თვალით მზირალმა მოქალაქემ — „დედამიწა გააჩერეთ, ჩავდივარო“ დაიძახოს? ფაქტია, რომ ასეთი განცხადების გაკეთების სურვილი საკმაოდ ბევრს უჩნდება, მაგრამ რეალობის აღქმის უნარიდან გამომდინარე, ხელ-ფეხი აქვს შეკრული. თეოდორ რუზველტის მსგავსი „გმირები“ ყოველთვის „პრობლემურ ფიგურებად“ ჩაითვლებიან დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მიუხედავად მთელი თავისი გენიალურობისა, ალექსანდრე ჰამილტონს პოლიტიკური სიმბოლოების გამოყენების უნარი არ გააჩნდა მაშინ, როცა თეოდორ რუზველტი სრულყოფილად ფლობდა ამ ხელოვნებას. საუკუნის შემდეგ ისტორიის სამსჯავრომ შესაბამისი ადგილები მიაკუთვნა ორივე პოლიტიკოსის თავგამოდებას: ჰამილტონის პორტრეტი 10-დოლარიანზე აღმოჩნდა, რუზველტის სახე კი რაშმორის მთის ფერდობზეა გამოკვეთილი. ბე-

დის ირონიით, მონუმენტის შექმნა ტედისთვის სახარბიელო პერიოდს დაემთხვა, თორემ უფრო მართებული იქნებოდა (დარწმუნებული ვარ, თანამედროვე ამერიკელების უმეტესობა დამეთანხმება) ფრანკლინ დელანო რუზველტის უკვდავყოფა ისეთი დიდებული პრეზიდენტების გვერდით, როგორებიც არიან – ჯორჯ ვაშინგტონი, აბრაამ ლინკოლნი და თომას ჯეფერსონი.

დროთა განმავლობაში ამერიკის ოცდამეექვსე პრეზიდენტის ენერგიული და ბობოქარი პოლიტიკური ამბიციები ფუმფულა დათუნიამ (Teddy Bear) დაიტია. XX საუკუნის დასაწყისში ტედ რუზველტის მიერ უხვად შემოთავაზებული საკუთარი სიმბოლოებიდან თანამედროვეობას ყველაზე აქტიურად სწორედ ბავშვების სათამაშო შემორჩა. ეს ფაქტი ბედის ირონიაც არის და მრავლისმეტყველი ქვეტექსტიც რუზველტის, როგორც პოლიტიკური სიმბოლოსი.

დაბრუნება მომავალში

ისტორია მეორდება – სული იქაური, „ხორცი კი ქართული“. კვლავ უნებლიედ მოპოვებული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უმძიმესი ჯვარი, გადაქანცულ მხრებზე რომ მოუკიდია მუჭანახევარ ქართველობას. ჯერ ჰორიზონტს მიღმაც კი არ მოჩანს ივერიის სანუკვარი გამობრწყინება. ჩვენი ბედ-იღბალი ქრისტეს კვართივით ჩაუბღუჯავთ მსოფლიოს ზესახელმწიფოებს მძლავრი, ბალნიანი ტორებით და სანამ გაიყოფენ, დროს იმით იგებენ, რომ დემოკრატიის მშენებლობას გვიკიჟინებენ. ჩვეულებრივ, გასაჭირში გამოჩნდება ხოლმე, ვინ მტერია და ვინ მოყვარე. ნუთუ ამაზე მეტია საჭირო, რომ გამოჩნდეს და დავინახოთ? „ჩვენი საგარეო პოლიტიკა მოემწყვდა ობიექტურ, ჩვენს სამტროდ მიმართულ პირობებში, რომლის გარღვევა პატარა ერის ძალღონეს აღემატება“ – საუკუნის შემდეგაც ისევ აქტუალური და მართებულია ნოე ჟორდანიას შეფასება.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ურყეობის ხანაში, მეზობელი თურქეთის სკოლის სახელმძღვანელოებში საქართველო მოხსენიებული იყო, როგორც თურქეთის შემადგენლობაში შემავალი ქვეყანა, რომლის ჩრდილოეთ ნაწილიც დროებით რუსეთს ჰქონდა ოკუპირებული (*პროფ. მიხეილ კეკელიას ცნობით*). 1990-იანი წლების დასაწყისში, როცა ჩვენ დამოუკიდებლობანას თამაშის წესებს ქვეყნის შიგნით ვადგენდით, ანკარაში დაიბეჭდა პლაკატი დიდი თურქეთის რეგიონებით. მასზე საკუთარი დროშებით აფხაზეთი და საქართველოც მოხვდნენ სახელმწიფოების იმ ჯგუფში, რომელთაც თურქული ავტონომიები და მონათესავე ხალხები ეწოდებოდა. პროფ. მერაბ ჯიბლაძე თავის სტატიაში აღნიშნავს: როგორც ჩანს „საქართველოს „დიდი გაერთიანების“ დრო დადგა და, ალბათ, ბედკრულ ტაო-კლარჯეთსაც შემოვიერთებთ, აფხაზეთსაც, ზემო ქართლსა და საინგილოსაც, მაგრამ ეტყობა დიდი თურქეთის დროშის ქვეშ და მოლას ლოცვა-კურთხევით“.

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ საქართველოს სიყვარული მოულოდნელად მოვარდნილი ტკივილით შეიგრძნო მოსახლეობის

პატრიოტულმა ნაწილმა. დღემდე მახსოვს გამხმარი იის სურნელი ბლოკნოტში სათუთად გამოყვანილ ასოებს შორის მიმჭკნარ ყვავილს რომ ასდიოდა დიდხანს და მეამაყებოდა იმ სტუდენტი გოგონასი, შორენა ჯორჯიკიასი, შესაშური ლაკონიურობით რომ გადმოსცა ჩემი სათქმელი:

„რარიგ მცირე ხარ, სამშობლოვ ჩემო,
რომ ამ პატარა გულში ეტევი"...

მახსოვს ნაცნობი, რომელიც სწორედ იმ დღეებში რაღაც საოჯახო წვეულებისთვის გოჭს ეძებდა თონეში შესაწვავად. გაღიზიანებული იყო, მოგუდულში როგორ ვიმღეროთ კაცებმა ერთიორი ჭიქის შემდეგო. პირველად მაშინ მივხვდი, რომ არც სიყვარული და არც ტკივილი საზოგადო, საყოველთაო მოვლენად არ გადაიქცა. თანაზიარობა ნიჭი აღმოჩნდა, რომელიც ისეთივე იშვიათია, როგორც პოეტური სული ან მხატვრული ხედვა.

„ყველა ადამიანი არის ღვთის ნაპერწკალი, საჭიროა მისი აღმოჩენა ან სურვილი მისი აღმოჩენისა. ადამიანს მე ვუცქერი წინასწარი თანაგრძნობით; მისი ავი მაწუხებს, კარგი მახარებს. ამიტომ სრულიად მიუღებელია მისი ჩაქოლვა, მისი დამცირება, წაქცევა. მიყვარს დამარცხება, წაქცევა გლახა აზრის, გლახა მიმართულების. არ მიყვარს წაქცევა თვით ადამიანის", წერდა თავის დღიურებში დამოუკიდებელი საქართველოს უპირველესი ხელისუფალი. შეუძლებელია დიდი ტკივილი და სინანული არ აღძრას ამ სიტყვებმა ყოველ პატიოსან მამულიშვილში, რადგან იშვიათია პოლიტიკური მოღვაწე, ამგვარი კეთილშობილური მრწამსით გადაურჩეს რთულ, ვერაგობით, სიყალბით, ბოროტებით, სიძულვილის აღზევებით, უმდაბლეს ადამიანურ ვნებათა ბობოქრობით აღსავსე ეპოქას.

პატარა ქვეყნის მეთაურის მრწამსს, რაც მის დღიურებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში ირეკლება, არ ეწერა განხორციელება, რეალობად ქცევა. ზედმეტად ბინძური აღმოჩნდა პოლიტიკური რეალობა და გაუმართლებლად სუსტი — ჟორდანია-პოლიტიკოსი. პოლიტიკაში არსებობენ პრაქტიკოსები და თეორეტიკოსები, გონიერი კომპრომისის მომხრენი და ეგოისტურად უკომპრომისონი, ცივი გონების მქონე რეალისტები, ინფანტილურად „ურაპატრიოტი" ოპტიმისტები და მომგებიანი შანსის უარგუმენტოდ ხელიდან გამშვები პესიმისტები. ამათგან ზოგი იმ ტოტს ჭრის, რომელზეც თავად ზის და ზოგიც — მეზობლისას. ჯერ კიდევ კახეთის მეფის

თეიმურაზ I-ის მაგალითზე დადასტურდა, როგორი უადგილოა პოეტური სული პოლიტიკაში. მას მემკვიდრეობის უფლებით ერგო ტახტი და ქვეყნის ბედზე ზრუნვა, მგონი, საკუთარ თავზე ძალადობად მიაჩნდა. ნოე ჟორდანიამ რა მოსაზრებით წამოიკიდა საქართველოს ჯვარი სუსტ მხრებზე, დღემდე გაუგებარია. ვფიქრობ, მისი ადამიანური დანიშნულება პუბლიცისტობა იყო და არა – პოლიტიკოსობა.

ხანმოკლე გამოდგა და ტრაგიკული მოვლენებით აღსავსე „ხონჩით მორთმეული თავისუფლება“. მოგვიანებით თვით ნოე ჟორდანია დეტალურად აანალიზებდა პოლიტიკური კრახის გამომწვევ მიზეზებს: „ყველა არსებული პატარა სახელმწიფოები არსებობენ რომელიმე დიდი სახელმწიფოს თუ სახელმწიფოთა შემწეობით, ე.ი. ყველა ისინი წარმოადგენენ მიუცილებელ ღერძს საერთაშორისო წონასწორობისა...

არცერთი პატარა ერი არ არის გაშვებული ეულათ, ბაწარწაძრობილი, გინდ იყავი და გინდ არაო. ერი, რომლის თავისუფლება არავის არ ესაჭიროება, სხვის უღელშია. ვერც ერთი პატარა ერი თავს ვერ გაინთავისუფლებს დიდისაგან მხოლოდ საკუთარი ძალღონით. სუსტის და მძლავრის კანონი მუდამ ძალაშია“. აშკარაა, თავს იმართლებს ფურცელთან მარტო დარჩენილი პატარა საქართველოს ლტოლვილი მეთაური. როგორც ჩანს, გულწრფელად განიცდის ისტორიის სამსჯავროს წინაშე პირადი შეცდომების შედეგთა სიმძიმეს. საკუთარი პოლიტიკური მარცხის განზოგადებას მიელტვის: ეტყობა, არავის სჭირდებოდა ჩვენი ქვეყნის თავისუფლება ქართველების გარდა და როგორც კი „დიდმა მხეცებმა“ ურთიერთობა გაარკვიეს, გემრიელ ლუკმასავით გაიყვეს ღვთისმშობლის წილხვედრი.

ტკბილ-მწარე სიზმარს ჰგავს 1918-1921 წლები – ილუზორული იმედი საქართველოს საბოლოო თავდახსნაზე. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწერა პუბლიცისტურ-პოლიტიკური შინაარსის მინიატურა, რომელიც უსათაუროდ შემორჩა თანამედროვეობას და დაგვიტოვა 16 წლის მარო მაყაშვილის მამულიშვილური სულის ამონარიდი: „ოჰ, მონობა, რა ცუდი ყოფილა. შენ გინდა და სხვა გიშლის. რუსეთმა, რაც კი კარგი გვქონდა კულტურა, სულ გასცა და ახალიც არაფერი შემოიტანა ენის გარდა. ამისთანა მფარველი რომ ღმერთს არ გაეჩი-

ნა, უფრო კარგი იქნებოდა... საზღვარი არ არის, ადამიანი დაიღუპა, გაფუჭდა. აი, რუსობამ რა შედეგი მოუტანა ჩვენს ერს. ნუთუ დადგება ის დრო, როდესაც ძველებურად უძგერდეს ყველას გული. ღმერთო, მალე, მალე მოვიდეს ის დღე და ქედმოხრილნი მარტო შენი მონები ვიქნებით!“

ყოველივე კი ასე დაიწყო:

დადგა 1917 წელი.

პეტერბურგში აგორებული თებერვლის რევოლუციის შესახებ ცნობა კავკასიის მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ რამდენიმე დღე არ გაამხილა, არ გამოაქვეყნა. როგორც ჩანს, ზეპირი გაზეთის ფენომენი მისი კეთილშობილებისთვის უცნობი მოვლენა იყო. ინფორმაციის ამგვარად გადინების ალბათობა არ გაუთვალისწინებია და მწარედაც შეცდა.

გოგიტა ფაღავამ და ვიქტორ ნოზაძემ მოსკოვიდან საქართველოში გამოგზავნეს დაშიფრული დეპეშა: „მთავრობაძე პეტერბურგში გარდაიცვალა“. ეს ცნობა ელვისებურად მოედო საქართველოს მთასა და ბარს, „გამგებმა გაიგო“...

მხოლოდ სამი დღის შემდეგ აუწყეს მოსახლეობას დროებითი მთავრობის მიერ პეტერბურგიდან გამოგზავნილი დეპეშების შესახებ.

რუსეთის მონარქია დაემხო.

დროებითმა მთავრობამ მეფისნაცვლის მაგივრად ამიერკავკასიაში დანიშნა ადგილობრივი მთავრობა „ოზაკომი“ («Областной Закавказский Комитет»), რომლის წევრი და ფაქტობრივი მეთაური იყო აკაკი ჩხენკელი. თუმცა, თავიდანვე მთელი ძალაუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადავიდა.

პეტერბურგში შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომლის პირველ თავმჯდომარედ კარლო ჩხეიძე აირჩიეს. თბილისშიც გადაწყვიტეს მუშათა საბჭოს დაარსება. ჯარისკაცების საკითხი ღიად დატოვეს, ვინაიდან მათი პოზიცია ბოლომდე უნდა გარკვეულიყო.

თბილისში მართლაც შეიქმნა რევოლუციური ორგანო — მუშათა დეპუტატების პირველი საბჭო (მის უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ), რომლის ალმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანია. მალე მას შეუერთდა ჯარისკაცთა საბჭო.

ჩატარდა ქალაქის მმართველობის არჩევნებიც, რომელშიც მეთაურებად შევიდნენ სამი ეროვნების წარმომადგენლები — ქართველი ჟორდანია, სომეხი ხატისოვი და რუსი პოპოვი.

1917 წლის ზაფხულში რეალური ხელისუფლება ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით მოქმედი მუშათა საბჭოს აღმასკომის განკარგულებაში აღმოჩნდა. მენშევიკური პარტიის მუშაობას სათავეში ედგა ნოე რამიშვილი, რომელიც ჟორდანიას მოადგილედ ითვლებოდა.

პეტერბურგის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო თანდათან ბოლშევიკების ხელში გადადიოდა. ამიტომ რუსი მენშევიკების ლიდერებმა კარლო ჩხეიძემ და ირაკლი წერეთელმა, რომელთა იდეალი ერთიანი დემოკრატიული რუსეთი იყო, საქართველოსკენაც მოიხედეს. ირაკლი წერეთელი დროებითი კოალიციური მთავრობის წევრი გახდა.

1917 წლის ოქტომბერში რევოლუციამ დროებითი მთავრობა დაამხო. ბოლშევიკურმა ახალმა მთავრობამ ჯარს დაშლისა და შინ უიარაღოდ დაბრუნებისკენ მოუწოდა. ამავე მიზეზით დაიშალა რუსის ჯარი საქართველოშიც. საჭირო გახდა ახალი სამხედრო შეიარაღებული ორგანიზაციის შექმნა. ასე იშვა ქართული სახალხო გვარდია, რომელსაც სათავეში ვალიკო ჯუღელი ჩაუდგა. თბილისში გვარდიამ აიღო არსენალი და ამგვარად დაეპატრონა ამიერკავკასიის საომარი იარაღების მთავარ საწყობს.

სახალხო გვარდიის გარდა შეიქმნა რეგულარული ჯარიც, მაგრამ საქართველოს მთავრობამ არ გაითვალისწინა ნაპოლეონის გონივრული მოსაზრება: „ხალხს, რომელსაც თავის არმიაზე ზრუნვა არ უნდა, მომავალში სხვისი არმიის გამოკვება მოუწევს". ახალგაზრდა რესპუბლიკის სათავეში მდგომთ ეშინოდათ ხელისუფლებით უკმაყოფილო ჯარის და მისი თავიდან მოშორების გარდა, მგონი, სხვა არაფერზე ფიქრობდნენ. ასეთმა ვიწრო თვალთახედვამ საბედისწერო შედეგამდე მიიყვანა ქვეყანა. 1921 წლის თებერვლის ბრძოლებში ქართულ არმიას ტყვია-წამალიც აკლდა და საკვებიც, ხოლო გენერალ გიორგი კვინიტაძესაც კი არ ჰყავდა ცხენი უკიდურესი საჭიროების ჟამს დედაქალაქთან დროული კავშირის დასამყარებლად, დანარჩენ ქართველ მეომრებზე რომ არაფერი ვთქვათ. თუმცა გვარდიას ჰყავდა ცხენები, მაგრამ არა ქართული ჯარის დასახმარებლად. თბილისში შემოსულ ფილიპე მახარა-

ძის რაზმებს ჩვენი არმიის საცავები გადატენილი დახვდა. ეს ფაქტი უთუოდ იყო ტრაგიკული ბედოვლათობა და საქართველოს კიდევ ერთი ისტორიული სირცხვილი.

1918 წლის 2 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ზავით საბჭოთა რუსეთმა საბოლოოდ მოაგვარა ურთიერთობა ოსმალეთთან. საქართველომ ამ ზავის შედეგად თავისი ისტორიული პროვინციები დაკარგა.

ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველოც, რუსეთისგან ჩამოშორებული აღმოჩნდა, რამაც შექმნა პირობა ამიერკავკასიის თვითმმართველობის შესაქმნელად ჯერ დროებითი მთავრობის კომისარიატის სახით (1917 წლის ნოემბერში), შემდეგ — პარლამენტით თბილისში.

1918 წლის 22 აპრილს შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა. ამ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ აკაკი ჩხენკელი დაინიშნა. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის (მაშასადამე, რუსეთისგან ჩამოშორების) გამოცხადებით მყისვე ისარგებლა ოსმალეთმა და ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ნაბოძებ მიწებს აღარ დასჯერდა. აზერბაიჯანსაც თვალი მონათესავე თურქეთისკენ ეჭირა.

პოლიტიკური მოვლენები საქართველოსთვის მოულოდნელი მიმართულებით განვითარდა.

აუცილებელი გახდა ამიერკავკასიის თვითმმართველობის დაშლა. სამივე სახელმწიფოს — საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს თვითონ უნდა მიეხედა თავისთვის. ეს იმას ნიშნავდა, რომ ისტორიულმა ვითარებამ თავისთავად მოუტანა ქართველებს ნანატრი თავისუფლება. ასე იოლად სანუკვარი მიზნის მიღწევა მხოლოდ კეთილ და ლამაზ ზღაპრებში ხდება.

1918 წლის 26 მაისს დილით გაუქმდა ამიერკავკასიის რესპუბლიკა, ნაშუადღევს ხუთ საათსა და ათ წუთზე კი გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეროვნული მთავრობის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე რამიშვილი.

სასოწარკვეთილი იმედგაცრუებით აღწერს ამავე წლის 12 ივნისის სიტუაციას თავის დღიურში მაყაშვილის ასული: „დღეს დაგვიდგა უბედური დღე. დღეს შემოვიდა გერმანელის ჯარი და ქართველები ე.ი. ჯარი სიმღერით დაუხვდა... ჩასუქებული, ჩასხმული, მხარბეჭიანი გერმანელები ხიშტებით ხელში შუა ქუჩაში იდ-

გნენ რიგრიგად და ხალხი მათ გარს შემოხვეოდა. მათ ისეთი შეხედულება ჰქონდათ, თითქოს, უნდა ადამიანი შუაზე გაეგლიჯათ... პარადი იყო: მე ისეთი გრძნობა მქონდა, ვითომ ვიღაც მახლობელს ასაფლავებდნენ. მღეროდნენ ქართველები, მაგრამ გულში რა ჰქონდათ? – სევდა და დაღონება; მოვიშორეთ ერთი ბატონი, მონობისგან გავნთავისუფლდით, ეხლა კი ახალი უღელი დავიდგით... ხალხი ბუზებივით ირეოდა. ზოგი იცინოდა, მხიარულობდა, ზოგი კი სდუმდა და სევდას ეძლეოდა. ჩემზედ ამან ისე იმოქმედა, რომ ტირილიც კი მინდოდა. აი, რისთვის ვიბრძოდით. აი, ნაყოფი წარმოუდგა ეხლა ყველას. რა საზარელი შეხედულება აქვთ. ჩასხმულეები, მხარბეჭიანები, გოჭივით ჩასუქებული ცხვირ-პირი და სასტიკი გამომეტყველება. ჩემს უკან მოდიოდა ორი რუსი. ერთმა მათგანმა სთქვა, როცა ქართული სიმღერა გაიგეს: «Пой, ласточка, пой и могилу себе рой». აი, რუსეთის უკანასკნელი გამომშვიდობება. ამ სიტყვით მოგვეგებნენ. ეს აზრი დაგვილოცეს მათ". სემინარიელი გოგონას გულისთქმა ცოცხლად გადმოსცემს სამშობლოში გაბატონებულ სიტუაციას. არ არის ქვეყანა მზად დამოუკიდებლობისთვის. ყველა გრძნობს რეალობას, მაგრამ შეუპოვრად მიჰყვება პოლიტიკურ დინებას. იმის იმედით, რომ იქნებ გადარჩნენ, ხელის მოსმას არ უკადრისობენ. ჰორიზონტს მიღმა სანუკვარი თავისუფლების ნაპირის დალანდვას ელიან. უმძიმესი პოლიტიკური კრიზისია, როდესაც ხალხს სურს, მაგრამ მის მთავრობას არ უნდა დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

უჭირდა საქართველოს, განსაკუთრებით – ეკონომიკურად, მაგრამ ეს გასაჭირი ყველასთვის საერთო იყო – ქვეყნის მეთაურით დაწყებული და უბრალო მუშით დამთავრებული. ნოე ჟორდანია მოგვიანებით წერდა: „მეც სანოვაგეს ჩემი სახლიდან (ლანჩხუთიდან) ვიღებდი ხშირად. ერთხელ ჩამოვიდა დედაჩემი მრავალნაირი სანოვაგით, გაგვიხარდა, რასაკვირველია. დედა მეუბნება: მითხრეს, შენ მინისტრი ხარ, რავა დავიჯერო, ჩემი სარჩენი მინისტრი ვის გაუგონიაო! მართლაც, გამოდიოდა, რომ მე მას კი არ ვარჩენდი, არამედ ის მე. ერთი სიტყვით, ყველა გაჭირვებული ვიყავით, დაწყებული მაღალი სფეროებიდან. ეს გათანასწორება გაჭირვებაში მოქმედებდა მუშებზედაც და მას იტანდნენ მოთმინებით.

ყველაზე უფრო კურიოზული იყო მთავრობის მდგომარეობა. ყველა ქვეყანაში მთავრობის წევრობას სანთლით ეძებენ. ეს უმაღ-

ლესი თანამდებობა ყველგან სანატრელი და საბრძოლველია, ჩვენში კი მთავრობაში შესვლა მიჩნეული იყო დიდ უბედურებად. ყველა მას გაურბოდა, როგორც ჭირს. რამდენი ხვეწნა მჭირდებოდა, რამდენი კალთის გლეჯა, პირდაპირ წარმოუდგენელია. ძლივს ვახერხებდი შემადგენლობის მოკრებას ან მასში ახალი პირის შემოყვანას. მიზეზი იყო ერთადერთი — გაურბოდნენ პასუხისმგებლობას. მხოლოდ ორ პირს არ სჭირდებოდა ხვეწნა — ნოე რამიშვილს და ევგენი გეგეჭკორს. სხვები კი ყველა ძალით შემოთრეულია მთავრობაში..." მათ შორისაა პოეტი და საზოგადო მოღვაწე კოტე მაყაშვილი, რომლის თაოსნობითაც ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბდა ქართველ მწერალთა ასოციაცია.

ნაადრევად დაბრძენებული, სამშობლოს ბედზე დაფიქრებული მაყაშვილის ქალის დღიურში ახალი ჩანაწერი ჩნდება 1918 წლის 1 დეკემბერს: „გერმანიაში რევოლუცია დაიწყო. ვილჰელმი გადადგა. თავისი მანიფესტი გამოაცხადა. თბილისიდანაც მიდიან გერმანელი ჯარისკაცები. მათ სამაგიეროთ ინგლისელებისა და ფრანგების მისია ჩამოვიდა. საქართველოს დამოუკიდებლობა, პრინციპში, მიიღეს". მარო არა მხოლოდ ფრაზით ხატვის ოსტატია, პოლიტიკური აზროვნების სიღრმითაც გამოირჩევა. მისი დღიურების დიდი ნაწილი დაიკარგა, მაგრამ რაც შემორჩა, ისიც საკმარისია მომავალი ქართველი გმირი ასულის გონის სიმწიფის წარმოსაჩენად.

არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია მხოლოდ საქართველოს ბედისწერა არ იყო იმ პერიოდში. ევროპასა და რუსეთში დაძაბულობა დროდადრო ისევ იჩენდა თავს. იქნებ გუმანით გრძნობდა პატრიოტული სულით ანთებული ქართველობა, დიდი დღე რომ არ ეწერა გრიგალივით მოვარდნილ თავისუფლებას. ყველა, დიდი და პატარა, ცდილობდა მაქსიმალურად შეეგრძნო და დამტკბარიყო ამ სასწაულით. 1 დეკემბერს პარადით, სპეციალური კრებით, ერთმანეთის მილოცვით ოფიციალურად აღნიშნეს დამოუკიდებლობის ნახევარი წელიწადი თბილისში. გულმა არ მოუთმინათ წლის დადგომამდე. არ მეგულება ისტორიული ანალოგი. „გველირსა, გველირსა! არა, ნუ ვჩქარობთ. მტერი გარშემო გვყავს და გვითვალთვალებს." — განაგრძობს მტანჯველ ფიქრს სამშობლოზე და სიხარულნარევი შიშით ადევნებს თვალ-ყურს მოვლენების ამღვრეულ მდინარებას ალმასისჯვრიანი ასული.

პარლამენტის კანონის თანახმად, საყოველთაო კენჭისყრით

მოეწყო პროპორციულ სისტემაზე აგებული საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. 1919 წლის 12 მარტს გაიხსნა მისი პირველი სხდომა.

საქართველოს პარლამენტში სულ 130 დეპუტატი აირჩიეს, ამათგან 102 სოციალ-დემოკრატი იყო. „ყველა სოციალ-დემოკრატები გადიან. ოჰ, ეგ პარტია ცრუ გზაზე აყენებს. ეგ სოციალისტები კი არ არიან, არამედ ბურჟუები, მარტო სახელი აქვთ სოციალისტებისა და მის ენით ლაპარაკობენ. მთელი ერი მგონი 15 პარტიად გაიყო. აბა აქ რა იქნება, რა გამოვა." – დარდობს მარო მაყაშვილი, რომლის თვალსა და ყურს არცერთი პოლიტიკური სიახლე არ გამოეპარება თუკი მიმდინარე მოვლენას ოდნავი მნიშვნელობა აქვს მისი საყვარელი ქვეყნისთვის. სამშობლოზე გულმტკივნეული ასული, ალბათ, ფოტოზეც ამიტომ არ გამოვიდა ღიმილიანი.

დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კონსტიტუცია.

შეიქმნა ეროვნული პარლამენტი – დამფუძნებელი კრება თავისი ფრაქციებით.

სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში პირველი დიდი დავა რესპუბლიკის ემბლემის გამო ატყდა. ირ. წერეთელმა შესთავაზა მიჯაჭვული პრომეთეს ნაციონალურ ემბლემად გამოცხადება. ნოე ჟორდანიას ეს იდეა არ მოეწონა და შეედავა. მისი მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ტყვე, შებოჭილი პრომეთე არანაირად არ შეესაბამებოდა აშვებულ, განთავისუფლებულ ერს. სანაცვლოდ ჟორდანიამ წამოაყენა „ამ აზრის გამომხატველი თეთრი გიორგი, ცხენზე კოხტად შემჯდარი და ცის სივრცეში თავისუფლად მარდათ მფრინავი. ბევრი კამათის შემდეგ გავიდა ეს წინადადება. მისი მოწინაამდეგენი ასაბუთებდნენ თავის აზრს იმით, რომ თეთრი გიორგი იგივე წმინდა გიორგია. ეს კლერიკალიზმია, უკან დაბრუნებაა, საეკლესიო ემბლემის რესპუბლიკის ემბლემათ გამოცხადებაა და სხვ. ამათი აზრიც მივიღეთ სახეში და თეთრ გიორგის წმ. გიორგის ყველა ნიშანი ჩამოვაშორეთ". კოტე მაყაშვილიც მხარს უჭერდა თეთრი გიორგის გერბზე გამოსახვის იდეას. ქართულ ჰერალდიკაზე წარმოთქმულ სიტყვაში პოეტმა დანარჩენებს მოუწოდა: „ჩვენ აღვადგინეთ საქართველო. მაშ, აღვადგინოთ მისი სიმბოლური სახე – თეთრი გიორგი!"

1919 წლის 21 მარტს დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის თავმჯდომარედ აირჩია ნოე ჟორდანია, რომელიც ამავე დროს იყო

„უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოს რესპუბლიკისა", რაც თანამედროვე რეალობაში პრეზიდენტის პოსტს უტოლდება. რადგან მის მიერ დაკავებულ თანამდებობას ოფიციალურად ასე არ ერქვა, საზოგადოების და მეცნიერთა გარკვეული ნაწილი დღემდე წინააღმდეგია, რომ ნოე ჟორდანიას საქართველოს ისტორიაში პირველი პრეზიდენტი ეწოდოს. თუ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობიდან ამოვალთ, პრეზიდენტი ნიშნავს „თავში მჯდომს, ყველა სხვა ოფიციალურ პირზე წინ მდგომს". პოლიტიკური სტატუსით, ეს არის რესპუბლიკური სახელმწიფოს არჩეული მეთაური. აქედან გამომდინარე, ფაქტია, რომ პრეზიდენტი სწორედ იდენტური მნიშვნელობისაა ნოე ჟორდანიას მიერ დაკავებული თანამდებობისა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი გერონტი ქიქოძე პრეზიდენტს უწოდებს ნოე ჟორდანიას („თანამედროვის ჩანაწერები", გვ. 42, 45). ჩემი ვარაუდით, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ სწორედ პრეზიდენტად აირჩია ჟორდანია, მაგრამ არაქართული სიტყვის ოფიციალურად დამკვიდრებას მოერიდა და შინაარსობრივად გადმოთარგმნა.

24 მაისს მარო მაყაშვილმა ახალ რვეულში განაგრძო სამშობლოზე დარდის ფურცელთან გაზიარება: „წინა რვეულებში ვწერდი, მოვიდნენ-მეთქი გერმანელები, მერე ინგლისელები, ეხლა კი იტალიელები არიან ჩვენთან. ამერიკელებით აივსო თბილისი, ინტერნაციონალურ ქალაქად შეიქმნა... ბოლოს და ბოლოს, ვის ჩაუვარდებით ხელში, არ ვიცი. ჯერ მგონი კიდევ ბევრნი გვესტუმრებიან". პოლიტიკური საზრუნავის პარალელურად, ამჯერად იგი ეკონომიკურ პრობლემებსაც აანალიზებს. წუხს, რომ ყველაფერს ცეცხლი უკიდია, პურსა თუ ტანსაცმელს. ასეთ სიტუაციაში, მოსახლეობას დროშების ყიდვას აძალებენ 26 მაისის „სათანადოდ" აღსანიშნავად. ჭორები დადის, ვინც ამ განკარგულებას წინ აღუდგება, დიდ ჯარიმას გადაახდევინებენო. „ძალადობა შეიძლება? ვისაც შეუძლიან, იყიდოს, ვისაც არა, კეტით არ აყიდინებენ. გულში მწამს სამშობლოს თავისუფლება, უსათუოდ წითელი ბაირაღი გამოვკიდო?" – ლოგიკური პროტესტი უჩნდება საღად მოაზროვნე ახალგაზრდას.

ორი დღის შემდეგ დარდი დროებით უკუაგდო თავადის ასულმა, მთელი გულით შეისუნთქა გაზაფხულის დამათრობელი სურნელი, რომელიც ნანატრი თავისუფლების არომატს შეიცავდა და ყველაფერში სამშობლოს ბედნიერი მომავლის ნიშნების დანახვა

სცადა: „დღე, თითქოს, თანაუგრძნობდა ზეიმს. დილიდან საღამომდის მზე უხვად ასაჩუქრებდა დედამიწას თავისი სხივმოსილი ისრებით. ქართველი ერი ბედნიერი იყო და ღმერთიც. მზის გარშემო რამდენიმე საათის განმავლობაში ცისარტყელა იყო“.

დამოუკიდებლობის დღის ცისარტყელასავით დღემოკლე აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოებრიობა. შიში, რომელიც საღად მოაზროვნე საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი და საფუძვლიანი იყო, თანდათან რეალიზდებოდა ფაქტებით.

1920 წელს საბჭოთა რუსეთთან დამოუკიდებლობის ცნობის ხელშეკრულების დასადებად ნოე ჟორდანიამ მოსკოვში, ვ.ი.ლენინთან გაგზავნა სოციალ-დემოკრატი გრიგოლ ურატაძე და დავით საღირაშვილი.

ხელშეკრულება დაიდო 1920 წლის 7 მაისს. ამ ისტორიულ ფაქტს თვით ნოე ჟორდანია ამგვარ შეფასებას აძლევს: „აშკარა იყო მოსკოვის ორი ტენდენცია: ერთი — პოლიტიკური და მეზობლური, მეორე — იმპერიალისტური. ამ უკანასკნელს მეთაურობდა ტროცკი — სამხედრო მინისტრი და სტალინი — ეროვნებათა მინისტრი (კომისარი), პირველს კი — ლენინი. პირველმა ორმა უბრძანეს თავის ჯარს აზერბაიჯანში ჩვენი დაპყრობა. ეგონათ, ადვილი იქნებოდა. ხოლო როცა ლენინმა დაინახა, რომ უომოთ ეს არ შეიძლებოდა, ევროპის სკანდალს მოერიდა და გადასწყვიტა ხელშეკრულების დადება“.

1921 წლის 11 თებერვალს ცნობილი „ბორჩალოს სომხების აჯანყებაში“ (ასე ეწოდა, თორემ დამპყრობელი რუსეთის მიერ ქვეყნიერების ყველა კუთხიდან მოგროვებულ შენაერთში ჩინელებიც კი ერივნენ) ქართული ჯარის პირველი მარცხის შემდეგ ნოე ჟორდანიამ სამხედრო მინისტრი ილია ოდიშელიძე გადააყენა და მის მაგივრად მთავარსარდლად გენერალი კვინიტაძე დანიშნა.

თბილისს რომ მეთერთმეტე არმია მიუახლოვდა, ვაჟთა პირველი გიმნაზიის მერვე კლასელი შალვა მაყაშვილი მოხალისედ ჩაეწერა. მშობლებს შვილის სიცოცხლე ადარდებდათ, რადგან წინდაწინ გრძნობდნენ ძალთა უთანასწორობის სავალალო შედეგს საქართველოსთვის, მაგრამ მაინც არ დაუშლიათ სამშობლოს დაცვა ყმაწვილისთვის. მამა სიამაყეში ახრჩობდა გონებით ნაკარნახევი საფრთხისადმი შიშს:

„საქართველოს მე ვალმერთებ,

არას ვეტრფი იმის გარდა,
ეხლა მით ვარ ბედნიერი,
რომ შენც იგი შეგიყვარდა".

ამ ლექსის დაწერის მეორე დღეს ძმის კვალს მოწყალების დის სათნო მისიით მაროც გაუყვა. მისი შეჩერება კი სცადა დედ-მამამ, მაგრამ ვერ გადააფიქრებინა. წითელი ჯვრის სანიტარულ რაზმთან ერთად გაეშურა კოჯრისკენ, სადაც უკვე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართულიყო დედაქალაქის დასაცავად. ძმის ამბის უცოდინრობა აწუხებდა და შინ გამოგზავნილ წერილში მშობლებს სთხოვდა, გამიგეთ როგორ არისო. მეორე დღეს მამისადმი მიწერილ ბარათშიც ძმის დარდი ჰქონდა. „ცოტა თხილი და რამე ტკბილი გამომიგზავნეთ, თუ რასაკვირველია შესაძლებელია. თავს გაუფრთხილდით", მორიდებით და მზრუნველად დაამატა ბოლოს.

მესამე დღის მიწურულს მარო თბილისში მიმავალ დაჭრილებს ახლდა, როდესაც მათ ორთვალას ყუმბარა მოხვდა ბოტანიკურ ბაღთან. მძიმედ დაჭრილი ქალიშვილი ვალიკო ჩუბინიძემ თავის ნაბადში გახვეული, ზურგით გამოიყვანა და ექიმ ბეჟუაშვილს ჩააბარა, თუმცა მისი გადარჩენა ველარ მოხერხდა.

23 თებერვალს 12 საათზე დაკრძალეს „ქართველი ჟანა დ'არკი" და გმირულად დაღუპული თერთმეტი იუნკერი.

იმ დილით უამრავი ხალხი მივიდა ქაშუეთის ეკლესიის ქვედა სალოცავში, სადაც ესვენა მარო მაყაშვილი. თავი თეთრი ხილაბანდით ჰქონდა წაკრული, რადგან ყუმბარა კეფაში მოხვედროდა. იქვე იდგა თავდახრილი შალვა, ხელში ქართულგერბიანი ნაბდის ქუდით. წირვა აღავლინა დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ.

წმ. მიხეილის საავადმყოფოდან გამოასვენეს მაროსთან ერთად დაღუპული ქართველი ვაჟკაცები. ორი პროცესია სამხედრო ტაძართან შეერთდა.

ტაძარი მთლიანად მოეფინათ ფარდაგებით. შუაში ამაღლებულზე მარო მაყაშვილი დაასვენეს, მის გარშემო კი ვაჟები. წამებულ ასულს სუდარის ნაცვლად სამფეროვანი დროშა ეფარა. წირავდა კათალიკოსი ლეონიდე და ქალაქის სამღვდელოება. რიტუალს ესწრებოდნენ ნოე ჟორდანია და მთავრობის სხვა წარმომადგენლები.

24 თებერვალს დაიწყო ქართული ჯარების უკან დახევა, რომელთან ერთადაც ბოლომდე იბრძოდა შალვა მაყაშვილი. მთავ-

რობამ თბილისი დატოვა და ქუთაისისკენ გაემართა. ნოე ჟორდანია უკანასკნელი მატარებლით გავიდა თბილისიდან. იგი ქუთაისში ორ დღეს დარჩა, იქიდან კი ბათუმში ჩავიდა და მცირე ხნით შეჩერდა.

1921 წლის 17 მარტს გადაწყდა მთავრობის ემიგრაციაში წასვლა ეროვნული დროშით და უცხოეთში ბრძოლის გაგრძელება. იმავე დღეს იტალიური გემით ნოე ჟორდანია სტამბოლისკენ გაემგზავრა. „მყვირალა სიჩუმე იდგა" ბათუმში. „ვაჭრობდნენ სარეკორდოთ და უჩვეულოდ – ქუჩის ფოტოგრაფები და რესტორნები". ქართველთა ნაწილმა ხელისუფლების წარმომადგენლებს მიბაძა და საზღვარგარეთს შეაფარა თავი. ერთმანეთში ირეოდა „გემების გამოსათხოვარი საყვირი და უკვე ზღვაში გასულ თანამოძმეთა ძახილი: „ბიჭებო, რა გეშველებათ"...

გერონტი ქიქოძის აზრით, „როგორც უნდა შევასდეს საბოლოოდ ნოე ჟორდანიას მმართველობა, უცილობელია, რომ მან ხელი შეუწყო ეროვნული მთლიანობის და თავისუფლების იდეების აღორძინებას". თუმცა ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ფაქტია შესასწავლი და უამრავი დეტალია დასაზუსტებელი, რადგან 1919-1921 წლებში საქართველოს მთავრობის არაერთი ალოგიკური ქმედება თუ უმოქმედობა, ისტორიულ მოთხოვნილებებთან შეუსაბამოდ გადადგმული ნაბიჯების უგუნურება ღიად დარჩენილ კითხვებზე პასუხს საჭიროებს.

მარო მაყაშვილის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს „ერის მარადიული გუშაგის" საფლავზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ შალვა ნუცუბიძე, სამსონ დადიანი, იოსებ მჭედლიშვილი. არ დასცალდათ წმინდა სულისადმი პატივისცემის სათანადოდ გამოხატვა. მათ თავს დაესხნენ და დაარბიეს. ვისაც მისწვდნენ, დააპატიმრეს.

თურქეთში ნოე ჟორდანია ინახულეს საფრანგეთის და იტალიის ელჩებმა, რომლებმაც თავ-თავიანთი მთავრობის სახელით საკუთარ ქვეყნებში მიპატიჟება გადასცეს. ნოე ჟორდანიამ საფრანგეთში არჩია გამგზავრება. 1921 წლის აპრილის დასაწყისში იგი პარიზში ჩავიდა საფრანგეთის ელჩის აბელ შევალიეს თანხლებით, მაგრამ სადგურზე მას ოფიციალურ პირთაგან არავინ დახვდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ საფრანგეთის მთავრობა ნოე ჟორდანიას იღებდა არა როგორც საქართველოს ხელისუფლების მეთაურს, არამედ – როგორც კერძო პირს. იგივე პოზიცია დაიკავა ბელგიამ და ინ-

გლისმაც, როდესაც ამ ქვეყნების მთავრობებს მოგვიანებით მიმართა ნოე ჟორდანიამ ბრიუსელსა და ლონდონში ჩასვლისას.

ემიგრაციაში ნოე ჟორდანია ძალიან ბევრს წერდა პოლიტიკური პუბლიცისტიკის სფეროში. 1933 წლამდე მან თორმეტი წიგნი გამოსცა ქართულ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. მათი სათაურები ნათლად წარმოაჩენს ავტორის ინტერესთა სფეროს: „ბრძოლის საკითხები“, „ჩვენ და ისინი“, „საბჭოთა წყობილება“, „ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი“, „პოლიტიკა“, „ბოლშევიზმი“, „ჩვენი უთანხმოება“, „დემოკრატია“ და სხვა.

ნოე ჟორდანია დაუცხრომელ ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწეოდა: პარიზში დააარსა ჯერ ქართული სოციალ-დემოკრატიული ჟურნალი „ბრძოლა“ (№1-35), შემდეგ — გაზეთი „ბრძოლის ხმა“. პუბლიცისტური წერილები მის პიროვნულ თვისებებსაც თვალსაჩინოდ ააშკარავებს. სტატიებში ნათლად იგრძნობა ღრმა და ორგანული კავშირი თავის ერთან, მის სულიერებასთან. პარიზშივე გამოსცემდა ჟურნალს „ჩვენი დროშა“, რომელსაც მოგვიანებით ნოე ჟორდანიას სიძე — ლევან ფაღავა რედაქტორობდა. მსოფლიოში სახელგანთქმული ბალერინა ეთერ ფაღავა, რომელიც ნოე ჟორდანიას უსაყვარლესი, გამორჩეული შვილიშვილი იყო, სწორედ ლევან ფაღავას ქალიშვილია.

ნოე ჟორდანიას ინტერესთა სფეროს სიფართოვეზე, სამშობლოსა და მისი სულიერი სიმდიდრის ღრმა სიყვარულზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ 1930 წელს მან პარიზში ქართულ ენაზე გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის მეთაურის პოლიტიკური პორტრეტის სარკეა მისი განვლილი გზა, მოწამებრივი ცხოვრება, თავისი ერის ჭირისა და ლხინის გაზიარება მაშინაც, როცა სახელმწიფოს პირველი პირი იყო და მერეც — ემიგრაციაში, სადაც მისი ფიქრის, განსჯის უპირველესი საგანი, მიუხედავად უკიდურესი მატერიალური გასაჭირისა და შერყეული ჯანმრთელობისა, დაპყრობილი საქართველო, მის მომავალზე ფიქრი, იმ შეცდომების ანალიზი იყო მთელი 30 წლის განმავლობაში, რამაც ასე ბედის განგებით, უბრძოლველად, ისტორიული ვითარების შედეგად მოპოვებული თავისუფლება დაგვაკარგვინა.

ქვეყნის ყოფილი პირველი პირი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე აანალიზებდა მარცხის მიზეზებს. განსაკუთრებით საინტე-

რესორა პარიზში გამომავალ გაზეთ „ბრძოლის ხმაში“ 1934 წელს გამოქვეყნებული წერილი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა“, სადაც ნოე ჟორდანია წერდა: „საერთაშორისო ურთიერთობა დასავლეთით მიიმართა ბალტიკის სასარგებლოდ, ხოლო აღმოსავლეთით — ამიერკავკასიის წინააღმდეგ. ჩვენი საგარეო პოლიტიკა მოემწყვდა აი ამ ობიექტურ, ჩვენს სამტროდ მომართულ პირობებში, რომლის გარღვევა პატარა ერის ძალ-ღონეს აღემატება“. თუმცა ფაქტია, რომ გენერლების — მაზნიაშვილისა და კვინიტაძის მიერ უკანასკნელ წუთამდე ბრძოლა არა მხოლოდ პატრიოტული სულის გამოვლინება, არამედ სამშობლოსთვის რეალური, პოლიტიკური მნიშვნელობის შედეგთა მომტანი გამოდგა. მწარეა იმაზე ფიქრი, კიდევ რამდენის მოგებას შეძლებდა ქვეყანა, გმირი მხედართმთავრების შეგნება საქართველოს იმჟამინდელი მთავრობის წევრებსაც რომ ჰქონოდათ.

უცხოეთს შეხიზნული, მხცოვანი პუბლიცისტი, მთავრობის თავმჯდომარეობამაც რომ ვერ ჩამოაყალიბა პოლიტიკოსად, თითქოს, ანდერძივით უტოვებდა ქართველთა შემდგომ თაობებს ფიქრიან ტკივილს, რომ ყურადღებით შეესწავლათ და მათ მაინც გაეთვალისწინებინათ წინამორბედთა მარცხის გამომწვევი მიზეზები:

„მას შემდეგ, რაც რევოლუცია რუსეთში დამარცხდა, მაშასადამე დაიკარგა იმედი შინაგან ძალთა ურთიერთობით ერთა თავისუფლების და თანამშრომლობის უზრუნველყოფის, ჩვენი ყურადღება მიიმართა, რასაკვირველია, საგარეო ძალებისაკენ და აქ თავიდანვე შევეჩეხეთ ჩვენს წინაშე აღმართულ კედელს. ოსმალების შემოსევა შევაჩერეთ გერმანელების შემწეობით, ერთად ერთი მაგალითი ომის მსვლელობაში მოკავშირეთა ერთი მეორის წინააღმდეგ მიმართვისა. ომის გათავებისას ჩვენ მთელ რუსეთთან ერთად მოვხვდით გამარჯვებულთა ბლოკადაში, ხოლო ინგლისის პრესაში გაიმართა მთელი კამპანია („მორნინ პოსტ“, „ტაიმსი“ და სხვ.) საქართველოს წინააღმდეგ. მათ ისარგებლეს საზღვარგარეთელ ქართველ ავანტიურისტების ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულებით, მიაწერეს ის მთელ საქართველოს, გამოგვაცხადეს მოღალატეთ, ოსმალო-გერმანელთა აგენტებათ, დაგვაყენეს საერთაშორისო მფარველობის გარეშე, მიუხედავად ჩვენი ცდისა, დიდი ავანსების მიცემისა ინგლისისათვის, რომელიც ფაქტიურად საკითხს წყვეტდა, მისი პოლიტიკის სისტემაში ვერ შევედით, ჩვენი საკით-

ხით არ დაინტერესდა. ამით აიხსნება იარაღის შესაძენად ოდიშელიძის თავმჯდომარეობით გაგზავნილი კომისიის დამარცხება და ხელცარიელი დაბრუნება. მოკავშირეებმა ხელი დაადვეს ყველა იარაღს, სადაც კი ის ეწყო და აკრძალეს ვისმესთვის რაიმე იარაღის მიცემა. საქართველო იძულებული იყო იარაღის, განსაკუთრებით თოფის ნაკლებობის და ბლოკადის გამო, დაკმაყოფილებულიყო მცირე შეიარაღებული ძალებით.

ასეთ ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო ურთიერთობაში ჩვენი რესპუბლიკის სამ წელიწადს გაძლება მის მიერ შინაური წყობილების ახალ თანამედროვე საფუძველზე აწყობა, ხოლო გარეთ ყველა იურიდიული უფლების და ცნობის მოპოვება ჩაითვლება უდიდეს გამარჯვებად, როცა წინეთ არცერთ ქართველს აზრშიაც არ მოუვიდოდა. საქართველო XV საუკუნის შემდეგ პირველად ახლა გაერთიანდა პოლიტიკურად, სულიერად, შექმნა ერთი მთლიანი ნაციონალური წყობილება, ერთი მთავრობა და მოიპოვა დამოუკიდებლობის ხარტია მტრის და მოყვრისგან. მისი ყველა სასიცოცხლო ძალების აღორძინება, შეუჩერებელი დუღილი, მრავალფეროვანი შემოქმედება და ჰარმონიული საერთო მიზნისაკენ მიმართვა დარჩება სამუდამო ძეგლად ქართველი ერის ცხოველმყოფელობის, კულტურის და მომწიფების. აი ეს ძეგლი არის ურყევი თავდები მომავალში ჩვენი გამარჯვების და აღგომის.

ამგვარად, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცემის მთავარი მიზეზია ჩვენი იზოლაცია კავკასიაში, აზიაში, ევროპაში. დავრჩით მარტო. ჩვენ წინააღმდეგ მოიმართა ყველა საგარეო ძალები. მაგრამ ეს იზოლაცია არაფრით გავს გასულ საუკუნეთა იზოლაციას. მაშინ ამას აწარმოებდნენ ჩვენი მეთაურები შეგნებულათ, გაზომილათ, ეს იყო მათი პოლიტიკა. ახლა კი ის გახდა შედეგი არა ჩვენი მუშაობის და პოლიტიკისა, არამედ გარეშე ობიექტურ პირობებისა. ქართველობამ კი პირიქით აწარმოვა პოლიტიკა ერთა სოლიდარობის, საგარეო კავშირების და მეგობრობის, მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში შესვლის. ეს ხაზი დაამარცხა გარეშე უძლეველ გარემოებამ, მაგრამ ამას არ შევხვდით პანიკურათ, არ დაუჩოქეთ მოსკოვს, არ მივეცით ახალი თამასუქები და არ ჩაუვარდით ძველებურათ კალთაში. ქართველი ერი კარგავს თავისუფლებას ბრძოლით და არა ჩოქვით. ის განაგრძობს ბრძოლას, იარაღს არ ყრის არც შინ და არც გარეთ. ის არ ურიგდება შექმნილ

მდგომარეობას და ცდილობს მის გარღვევას. მან შეინახა ნაციონალური მორალი, გაუტეხელი ნებისყოფა, წმინდა იდეალი. როგორც კი ობიექტური პირობები ჩვენს სასარგებლოდ მობრუნდება, ეს იდეალი ხორცს შეისხამს და გამარჯვებული მოგვევლინება". ეს ვრცელი ამონარიდი ნიჭიერი პუბლიცისტის მიერ უვარგისი პოლიტიკოსის შეცდომათა გამართლების, სხვაზე გადაბრალების მცდელობაა. ვფიქრობ, უკანასკნელი რამდენიმე წინადადების თქმის უფლება ნოე ჟორდანიას საერთოდ არ ჰქონდა, რადგან როცა მისი მთავრობა ყოვლად გაუმართლებელი პანიკით ბედისანაბარად ტოვებდა ჯერ დედაქალაქს, შემდეგ კი ქვეყანასა და ხალხს, მათ მიერ დემობილიზებული ჯარის ნაწილები ორიოდე პატრიოტის გონიერებისა და სიმამაცის ხარჯზე ინარჩუნებდა ქართულ მიწას, ქართულ სულსა და ღირსებას. ერის მიერ თავისუფლების „ბრძოლით და არა ჩოქვით" დაკარგვა პუბლიცისტური ოსტატობით აგებული, რეალურ სიტუაციასთან კავშირდაკარგული მოხდენილი ფრაზაა მხოლოდ და იგი თანამედროვე პიარტექნოლოგიის ღირსეულ წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს.

„პოლიტიკა შესაძლებლის ხელოვნებაა" და რაც შეუძლებელია, ობიექტური ვითარებით, ლოგიკურად მიუღწეველია, მას ვერავითარი ბრძნული პოლიტიკით და ვერანაირი მეომრული თუ მამულიშვილური თავგამოდებით ვერ შეძლებს ქვეყანა, მითუფრო – პატარა და მცირერიცხოვანი ერი. დამოუკიდებელი საქართველოს წარსული გამოცდილება ადასტურებს, რომ მთავარია, ფიზიკურად გადარჩეს და თვითმყოფადი სულის წინააღმდეგ მიმართულ ხანგრძლივ ალყას გაუძლოს. ძნელია სულიერი წონასწორობის დაცვა, როდესაც საკუთარი მთავრობა ნებსით თუ უნებლიედ ღალატობს ქვეყანას, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს ნიჰილიზმისა და უმოქმედობის საბაბი. ყველა დროში არსებობს მამულიშვილის საკეთებელი. ხელის ჩაქნევა ღალატის ტოლფასია. სასურველ ობიექტურ პირობებს სათანადოდ მომზადებული უნდა დახვდეს ერი. თორემ იქნება მიწაც, ხალხიც და ხელისუფლებაც, მაგრამ ეს არ იქნება საქართველო თუ განადგურდება ეროვნული მორალი, გენოფონდი და პატრიოტიზმის წმინდა იდეალი.

უღრან ტყეში დაკარგული ბავშვივით, რომელიც ინტუიციას მინდობილი სწორი მიმართულებით სიარულს ცდილობს, ქართველი ერიც მოძრაობს, ბორგავს. ხშირად უბრუნდება საწყის ად-

გილს, სადაც გზა აებნა და ისევ თავიდან უწევს ორიენტირება მსოფლიო პოლიტიკის ჯაგნარში. უკვე თავისთავად გამარჯვებაა, რომ გადავრჩით და კიდევ ერთი საუკუნეც ვიარსებეთ, მაგრამ პოლიტიკური გადარჩენისთვის ეს არ არის საკმარისი.

იქნებ ჩვენზე უკეთ, უფრო რეალისტურად შეაფასეს საქართველოს სახელმწიფოებრივი პოტენციალი XX საუკუნის დასაწყისში და იმიტომაც არ ფიქრობდნენ ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობაზე ქართველი პოლიტიკოსები? ისე მოხდა, რომ მეტი მიიღეს, ვიდრე სურდათ. ბევრს რომ გიბოძებენ, მეტსაც მოგთხოვენ სანაცვლოდ. ბუნებრივია, მათ კარგად უწყოდნენ, რომ ქარის მოტანილს ქარივე წაიღებდა, მაგრამ ეს მაინც არ ამართლებს ზოგიერთის ანტისახელმწიფოებრივ უდარდელობას. მთელი მთავრობა უნდა დამსგავსებოდა მათ, ვინც თავგანწირვით იბრძოლა იმისთვის, რაც ბედისწერამ მხოლოდ სამი წლით გამოიმეტა. საყოველთაო ბრძოლის პირობებშიც თუ ვერ შეინარჩუნებდნენ ქვეყნის სუვერენიტეტს, სამაგიეროდ დამარცხებაშიც ჭეშმარიტ მამულიშვილებად დარჩებოდნენ. ილიამ მხოლოდ მცირე ჯგუფის გასაგონად არ თქვა: „მოძრაობა და მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“. თითოეულ ქართველს დაუტოვა ანდერძად.

წინაპართა პოლიტიკურ სისუსტეზე გაუთავებელი წუწუნი და ამის პარალელურად, უარესი შეცდომების დაშვება მიუღებელი მგონია. „მუდამ ვწერდი ყოველ მოთხრობაში ჩემდამი მოგონილში, ამირანმა ასწყვიტა თავის ჯაჭვი და საქართველო გაათავისუფლამეთქი, — ეს ილუზია იყო მარტო. თურმე იგივე ამირანი უფრო გაუწყვეტელი ჯაჭვებით არის შებოჭილი და მის გაწყვეტას დიდი, ძალიან დიდი ღონე უნდა. აგრეთ ადვილი არ ყოფილა თავისუფლების მიღება. ჯერ რამდენიმე ხელში უნდა გაიაროს, გამოსწოვოს უკანასკნელი წვეთები და როცა დაუძლურდება, მერე მიაგდოს, როგორც გამოუსადეგარი რამ. ესეც ჩვენი ცხოვრება. მტრობა გაუთავებელი“, დარდიანად მსჯელობდა მარო მაყაშვილი იმ „თავისუფალ“ საქართველოში, რომლის დამოუკიდებლობასაც ნოე ჟორდანიას მთავრობამ „ვერ უპატრონა“. თუკი მოზარდი გოგონა ახერხებდა სიტუაციის რეალურად შეფასებას, ეჭვს გარეშეა, რომ ხელისუფლებაში მყოფი ზრდასრული მამაკაცები მასზე არანაკლებ ლოგიკურად იმსჯელებდნენ.

ათწლეულების შემდეგ, იოლია სხვათა შეცდომების შემჩნევა

და გაქილიკება, თუმცა საქმეს ვერ წაადგება. ყოველ შემდგომ თაობას უნდა ახსოვდეს, რომ წინაპართა გმირობისა და უძლურების ნიადაგზე აღმოცენდა თავად. გონიერი ადამიანი სხვათა შეცდომებზე სწავლობს და მადლიერია წინამორბედთა, ვისი გამოცდილებითაც იმდიდრებს პრაქტიკულ ცოდნას, ირიდებს მარცხს.

„პოლიტიკური ჭადრაკის" ახალ პარტიაში საქართველო კვლავ ცენტრალური პაიკის პოზიციაზე მოხვდა: პირველი სვლის გაკეთება, პირველი თავდასხმის აცილება მას უწევს. გადედოფლების შანსი შორი და მიზერულია, თუმცა თეორიული ალბათობა მანამ არსებობს, სანამ ჯერ კიდევ „დაფაზე" ვართ. მცირე ერისთვის ყოველი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმის წინაპირობად უნდა იქცეს გერონტი ქიქოძის შეგონება: „მთავარი ფაქტორი, რომელიც ჩვენს ბედისწერას საზღვრავს, არის არა საერთაშორისო ნებისყოფა, არამედ ჩვენი საკუთარი ეროვნული ენერგია".

იმიჯი ხელოვნურად შექმნილი გარსია, რომლის შიგნითაც ადამიანი იმალება, „უმთავრესს კი თვალებით ვერ დაინახავ". როგორც ინა ჟორდანია იგონებს, მეუღლეები ხშირად საუბრობდნენ საქართველოზე, ქვეყნის მომავალზე.

— ბევრი რამ შეუძლია პატარა საქართველოს? — უკითხავს ერთხელ ქალბატონ ინას.

— ათენა იყო მხოლოდ ერთი ქალაქი, მაგრამ მან შექმნა ცივილიზაცია. — იყო პასუხი.

არადანი ხალხს

„აღმოსავლეთ ევროპისა“ და „დასავლეთ აზიის“ სტატუსებს შორის მსოფლიო გეოპოლიტიკაში ფეხსავით გაჩხერილი საქართველოსთვის საინტერესო პრეცედენტია ზიმბაბვეს ყოფილი დიქტატორისა და ახლანდელი პრეზიდენტის მიერ დემოკრატიულობის მოულოდნელი გამოვლინება. 2008 წლის 15 სექტემბერს რობერტ მუგაბემ, რომელიც 1980 წლიდან ქვეყნის ხელისუფლებაშია და ოპონენტთა დევნის მდიდარი გამოცდილება აქვს, ოპოზიციის ლიდერს მორგან ცვანგირაის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა და დაბალანსებული თანამმართველობა შესთავაზა. მათ შორის ოფიციალური ხელშეკრულება დედაქალაქ ჰარარეში გაფორმდა ასამდე სტუმრის თანდასწრებით.

თუ საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკა ვერ ახერხებს „დაეწიოს“ აშშ-სა და ევროპას, ზიმბაბვეს მაინც დაედევნოს პოლიტიკურ ასპარეზზე და იქნებ გაასწროს კიდეც. ქართველ ხალხსაც სურს პოზიციისა და ოპოზიციის გონივრული შეთანხმება ქვეყნისთვის სასიკეთო, სასარგებლო თანამშრომლობის მიზნით. დიდი ხანია, რაც მთელი ერი ოცნებობს „მშვიდობიანი, მდიდრული და დემოკრატიული ცხოვრებისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯზე“. შესაძლოა, ინტერნაციონალური თანამშრომლობა პოლიტიკურ გამოცდილებათა გათვალისწინების საფუძვლადაც გამოდგეს.

მსოფლიოში დღეისათვის ორასამდე ქვეყანაა. ერთმანეთის მიმართ მათ განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ, მაგრამ სუყველას სურს სტაბილური, კეთილგანწყობილი ურთიერთობების განვითარება, მშვიდობა. ამიტომ იქმნება უშიშროების სისტემები. საგულისხმოა ისიც, რომ დიდი და ძლიერი სახელმწიფოები ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა აგვარებენ ერთაშორის ურთიერთობებს. ცდილობენ, თავიდან აიცილონ ყველა გაუგებრობა, შეტაკება თუ მოსალოდნელი ომი. მათი მიზანია ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის პრინციპთა გატარება რეალურ ცხოვრებაში. საქართველომ არ უნდა მოითხოვოს მოვლენათა დაჩქარება, უცხოეთის აქტიური ჩარევა

მის შინაცხოვრებაში. მან საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს მსოფლიოს მშვიდობის საქმეში: „დასავლეთ ევროპაში ბევრს არ სურს თავის თავზე აიღოს იმ ქვეყნების უსაფრთხოების გარანტია, რომელთა შიდაპოლიტიკური მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, შორს არის ნორმალურისგან". ეს რეალობაა და ვერსად გავექცევით. ამიტომაც, გამოსავლის ძებნა კარგა ხნის წინათ უნდა დაეწყო საქართველოს.

გამოჩენილი ეკონომისტ-სოციოლოგის ჯონ ჰობსონის განსაზღვრებით: „ნამდვილი, თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმი არსობრივად გულისხმობს მძლავრ და საკუთარი ღირსების შემგნებ ეროვნებათა არსებობას, რომლებიც ისწრაფვიან ერთიანობისაკენ საერთო საჭიროებათა და ინტერესთა საფუძველზე". ამ მკაცრ და ზუსტ ფორმულას თუ ვირწმუნებთ (არავითარი მიზეზი არ გვაქვს, ასე არ მოვიქცეთ) ისიც უნდა ვიკითხოთ: „რა ელის ქართველ ხალხს, დარჩება იგი ტომად, ეთნოგრაფიულ მასალად, რომლისგანაც ყოველი დამპყრობელი იმას გამოძერწავს, რაც სურს და მიზანშეწონილად მიაჩნია, თუ გახდება ერი, კაცობრიობის სრულუფლებიანი, თავისუფალი, დამოუკიდებელი წევრი, საკუთარი ეროვნული და ინტერნაციონალური მისიით?" (*აკაკი ბაქრაძე*).

ჩვენში ჯერ კიდევ მყარადაა შემორჩენილი ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ-ლენინური გაგება, რაც ნიშნავს პროლეტარიატის საერთაშორისო ერთიანობასა და სოლიდარობას კაპიტალიზმის დასამხობად და კომუნიზმის ასაშენებლად. ამ მიმდინარეობის ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმისგან გასამიჯნად, მას პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს ან ინტერნაციონალურ სოციალიზმს უწოდებენ დასავლეთში. მარქსისტული თეორია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ანტონიმად ასახელებს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს.

თავის გამოსამშვიდობებელ მიმართვაში ჯორჯ ვაშინგტონმა ამერიკის შეერთებულ შტატებს „საერთაშორისო პოლიტიკურ თამაშში ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნება" ურჩია. დიდი წინამორბედისგან განსხვავებით, 1961 წლის 20 იანვარს ჯონ კენედიმ საინაუგურაციო სიტყვის დასასრულს ნათლად გადმოსცა საკუთარი მისწრაფება გაფართოებული ინტერნაციონალიზმისაკენ: „მიუხედავად იმისა, ამერიკის მოქალაქეები ხართ თუ მსოფლიოსი, ჩვენც

ზუსტად იმავე მაღალი სტანდარტით მოგვთხოვეთ ძლიერება და თავგანწირვა, როგორითაც თქვენგან ვითხოვთ“. თუმცა დიდ ქვეყანას თვალსაწიერიცა და, შესაბამისად, პოლიტიკური მადაც, გაცილებით მოზრდილი აქვს. ამიტომ ამერიკისთვის ჯერაც აქტუალურია ჯორჯ ვაშინგტონის გამოსამშვიდობებელი მოწოდება: „სავაჭრო ურთიერთობები ყველა ერთან, ალიანსი არცერთთან – ასეთი უნდა იყოს ჩვენი დევიზი“. მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს, რომ ქვეყნის მეთაურთა ინტერნაციონალური იმიჯის მიუხედავად, თანამედროვე აშშ-ის პოლიტიკური კურსი ხშირად ითვალისწინებს დამფუძნებელი მამების პოზიციას.

საინტერესოა, ვინმე თუ მიმართავს ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის პრინციპს ჩვენს გლობალიზებულ რეალობაში? კვლავაც ხორციელდება მისი პროპაგანდა მედიასაშუალებებით თუ დავიწყებას მიეცა ახალი ტერმინებით შეკოწიწებულ, გათანამედროვებულ პოლიტიკაში?

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის მეთაურის ნოე ჟორდანიას პუბლიცისტურ წერილში – „ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი“ ვკითხულობთ: „ბოლშევიკებს ჩვეულებად დასჩემდათ თავისი რუსული სიბრიყვენით აალაპარაკონ ინტერნაციონალური სოციალიზმის მამამთავარი მარქსი და ენგელსი და ნამდვილი, კლასიკური კომუნიზმის სახელით გამოიტანონ სლავიანოფილურ-ნაროდნიკული ობშჩინური კომუნიზმი. ისინი არიან ყალბი კომუნისტები. და ასე არსებობს ორი კომუნიზმი – ნამდვილი, მარქსის კომუნიზმი და ყალბი, ლენინის კომუნიზმი“.

იქნებ მართლაც სხვა იყო მარქსისა და ენგელსის კომუნიზმი და მან ჩვენამდე დამახინჯებული, ყალბი, „ლენინის კომუნიზმის“ სახით მოაღწია? ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ ის კი ნათელია, რომ: „ყველა არსებული პატარა სახელმწიფოები არსებობენ რომელიმე დიდი სახელმწიფოს თუ სახელმწიფოთა შემწეობით, ე.ი. ყველა ისინი წარმოადგენენ მიუცილებელ ღერძს საერთაშორისო წონასწორობისა“. ამ საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ნოე ჟორდანიას სტატია „გათავისუფლების დოქტრინა“, რომელიც გარკვეულწილად აიოლებს საქართველოს ბედის გააზრებას მსოფლიოს ცვალებადი პროცესების ფონზე. ამერიკული კვლევითი ცენტრის „ჰერითიჯ

ფაუნდეიშენის" მიერ ოთხ ჯგუფადაა დანაწილებული ის ქვეყნები, რომელთა თავისი გავლენის ქვეშ მოქცევასაც ცდილობს რუსეთი. პირველ ჯგუფში შედიან ქვეყნები, რომელთაც დამოუკიდებლობა ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ მოიპოვეს და მოგვიანებით იყვნენ ანექსირებულნი რუსეთის მიერ. სწორედ ამ ჯგუფს ეკუთვნის საქართველო. მოვლენები, ძირითადად, ასე ვითარდება: რუსეთი ცდილობს დასახელებული ქვეყნები თავისი გავლენის ქვეშ ჰყავდეს, ამერიკას კი სურს დაიცვას ისინი ამ „მფარველობისგან". რონალდ რეიგანი იყო აშშ-ის პირველი პრეზიდენტი, რომელმაც ლოგიკურად დაასაბუთა კომუნისტურ რეჟიმთან მებრძოლი ყველა ძალისთვის დახმარების აღმოჩენის აუცილებლობა ამერიკის მხრიდან. გათავისუფლების დოქტრინა „რეიგანის დოქტრინას" ეფუძნება და მის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. იგი იმედს უსახავს „მესამე სამყაროს" ქვეყნებს (მათ შორის – საქართველოსაც): თავისუფლება და არა კომუნიზმი!

პოლიტიკა მეტად რთული და მრავალმხრივი „თამაშია". საკუთარი პრობლემების გადაწყვეტა მსოფლიოს არ უნდა მივანდოთ. ევროპისა და ამერიკის ქვეყნები უდაოდ კეთილად არიან განწყობილნი ჩვენს მიმართ, მაგრამ ჩვენს პრობლემებს ჩვენვე უნდა მოვუაროთ, სხვა ჩვენს ნაცვლად ამას არ გააკეთებს. „თავმოწონების ბანგი" იმ უბედურებათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია, რასაც საქართველოში აქვს ადგილი. ესაა ერის ნაწილის გაზვიადებული წარმოდგენა, არასწორი ეროვნული თვითშეგრძნება. საკუთარი თავის ვერცნობამ, არასწორმა შეფასებამ ერის შინაგანი ზრდის შეფერხება გამოიწვია. „თუ გინდა პატარა ერი დაღუპო, მას უნდა შეაპარო ნაციონალური ლოზუნგები... ხომ ნახეთ, „ეროვნული დროშით" საქართველო ერთ წელიწადში კატასტროფამდე მივიდა" – წერდა ვახტანგ გოგუაძე ჯერ კიდევ 1993 წელს. ამ მანკის გავრცელებას ხელი შეუწყო საბჭოთა რეჟიმმა, რომელსაც არ სჭირდებოდა ცოცხალი, რეალისტური, კრიტიკული აზროვნება: „ხალხი, რომლის პატივმოყვარეობა დაკმაყოფილებულია, უფრო ნაკლებად უფიქრდება თავის არსებობას, ნაკლებად სვამს მწვავე, მტკივნეულ კითხვებს და, ამდენად, უფრო უხიფათო და იოლი სამართავია". ჩვენს საუკუნეში ნარცისიზმის ფენომენმა ქართულ ეროვნულ თვითცნობიერებაში ჩამოყალიბებული სახე მიიღო.

არავისთვის სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოს შინაარეულობა მრავალმხრივ უკავშირდება რუსეთს. ეს ოდესღაც „უფროს ძმად“ წოდებული ქვეყანა კვლავ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელია. ზოგიერთის სურვილისამებრ, მას ვერავინ გადაასახლებს სხვაგან. ისევ ჩვენ უნდა დავაბალანსოთ მასთან ურთიერთობა ისე, ამ „ვეშაპის“ ლუკმად არ ვიქცეთ. საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობის და თანამშრომლობის დამყარება ერთადერთი სწორი გზაა ორივე ქვეყნისთვის. საკითხავია, რამდენად რეალურია ამ გეგმის სათანადოდ განხორციელება. საქართველოს არაერთი მწარე გამოცდილება აქვს იმისა, თუ როგორ ირღვეოდა ცალმხრივად რუსეთთან დადებული ხელშეკრულებები, მათ შორის – „გეორგიევსკის ტრაქტატი“ და 1920 წლის ხელშეკრულება, როგორ ცინიკურად ყალბდებოდა ისტორიული რეალობა. თანამედროვე გამოცემებსა და საიტებზე დღესაც გრძელდება ძველი ტყუილის გასაღება მომხდარ ფაქტად: ქართველები დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ „კეთილმა“ რუსეთმა მიიერთა, მათი მუსულმანური სამყაროსგან გადასარჩენად. პრობლემა ისაა, რომ ლამის შეუძლებელია ასეთ დამოკიდებულებას კეთილმეზობლური პატივისცემით უპასუხო, მაგრამ არსებობს დიპლომატიის ურთულესი სისტემა, რომელსაც ან მოერგება პატარა საქართველო, ან დაიღუპება, გაქრება როგორც ქვეყანა და იარსებებს ტერიტორიის ცნებით. გონივრული მანევრირება გარეშე ზეწოლასა და შიდა, ეროვნულ მიზნებს შორის უკიდურეს დახვეწას საჭიროებს საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი ყოველი წევრის მხრიდან. „დიპლომატია არის ინტელექტისა და ტაქტის გამოყენება“ – თვლის სერ ერნესტ სატოუ. მისი სხარტი განმარტებით, დიპლომატია გულისხმობს „სახელმწიფოებს შორის საქმიანობის მშვიდობიანი მეთოდებით წარმართვას“.

ილიას „ქვათა ღაღადი“ ერთა შორის ურთიერთობის კლასიკურ ფორმულას შეიცავს და რუსეთისადმი „საშვილიშვილო უნდობლობის“ არაეთიკურობასაც გულისხმობს: „ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსანისა და ჭკუათამყოფელ ადამიანისგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში, და მისი ასე თუ ისე გაუპატი-

ურება, ავად ხსენება – დიდად სათაკილო საქციელია“. საქართველოსგან არც რუსეთის გულში ჩაკვრას და სიყვარულს მოითხოვს ვინმე, არც მის წალმა-უკულმა ლანძღვას ან დაიგნორებას მოიწონებს. გონივრული დიპლომატიის დაგეგმვა და თანმიმდევრული განხორციელება გვევალება.

XX საუკუნის დასაწყისში, როცა ცარისტული რუსეთი დაემხო, ახალი მსოფლიოს შექმნის იდეა გაჩნდა. დამონებულ მცირე ერებს თავისუფლად ამოსუნთქვის იმედი ჩაესახათ, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა: სოციალ-დემოკრატი მენშევიკები მალე მრისხანე ბოლშევიკებმა შეცვალეს. მათ მოინდომეს მაგალითის ჩვენება ევროპისა და ამერიკისათვის, „მსოფლიო ისტორიის ჩარხის უკულმა დატრიალება... ისკუპეს და ჩაიმსხვრნენ ხრამში“. როგორც ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავდა: „ბოლშევიზმი გარდაიქმნა ხულიგანიზმათ“. ამ მღელვარე პერიოდში საქართველომ სუვერენული სახელმწიფოს შექმნაც და თავისუფლების დაკარგვაც მოასწრო. ძნელი სათქმელია, რა ბედი ეწერა ჩვენს სამშობლოს, რომ არა 1917 წლის სოციალისტური რევოლუცია. რუს ხალხს პირუტყვივით ექცეოდა პოლიცია, საზოგადოება და ისიც პირუტყვის შესაფერისად არსებობდა. ამ ბნელი მასის იმ ტემპით განვითარება, რაც სსრკ-ში განხორციელდა, წარმოუდგენელი ჩანს ნიკოლოზ II-ის დროის მიხედვით. შესაძლოა, სოციალისტთა მიერ ჩანერგილი იდეები, რამაც მასას ბრძოლის სურვილი გაუჩინა, იყო ის „ჰორიზონტი“, რაც რუსი ხალხის განვითარების სტიმული გახდა. მათ დაინახეს იგი (თუმცა კომუნიზმის სახელით) და იმედიანად დაიძრნენ მისკენ. „ჰორიზონტი“, რაც სინამდვილეში უტოპია იყო, რუსეთის დიდ გზაზე გასვლის წინაპირობად იქცა. მალე სამყაროს მოევლინა ორი სუპერ სახელმწიფო – აშშ და სსრკ, რომლებიც ოფიციალურად მცირე ერთა, ქვეყანათა დაცვაზე დებდნენ თავს, ერთმანეთს „ჭკუას არიგებდნენ“ და შეცდომებზე მიუთითებდნენ, თავად კი ერთმანეთის შიში ჰქონდათ, რომელიმე მათგანს არ დაესწრო ომი, სადაც მეორე დამარცხებული აღმოჩნდებოდა. ისინი უშუალოდ ერთმანეთს არ ებრძოდნენ, მაგრამ ეს ორი „ურჩხული“ სხვათა ტერიტორიებს საასპარეზო პოლიგონად იყენებდა (ვიეტნამი, ანგოლა, ლაოსი, ნიკარაგუა, კორეა, კუბა, ავღანეთი და სხვ.).

უკანასკნელი ორი ათეული წელია ჩვენი ქვეყანა განუწყვეტელ პოლიტიკურ აგონიაში იმყოფება. ვერც დადებითი ძალები ახერხებენ სახელმწიფოს საბოლოო გადარჩენისკენ მიბრუნებას და ვერც ბოროტმა ძალებმა შეძლეს ეროვნული სულის, ქართული ცნობიერების განადგურება, დემოკრატიული სისხლისგან ქართველი ხალხის ბოლომდე დაცლა. ჭეშმარიტი მამულიშვილის ყოველი დღე იმ სასოწარკვეთილების შეგრძნებით იწყება, რომ სწორედ ახლა გვმართებს „დიდგონებობა", რათა საქართველო გადავარჩინოთ „ლიბანიზაციას", მშვიდი, წინასწარგააზრებული გზით დავაბრუნოთ მისთვის ჩვეულ საარსებო სივრცეში – დასავლურ სამყაროში. საქართველოს ხომ საუკუნეების განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა დასავლეთთან სასულიერო თუ საერო მოღვაწეთა საშუალებით. იგი, გარდა იმისა, რომ თავადაც ვითარდებოდა, ევროპულ აზროვნებასაც ითვისებდა და უფრო მეტადაც, ვიდრე აზიურს, რადგან გაცილებით მშობლიური, ნაცნობი იყო იგი მისთვის. სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ევროპულ კულტურასთან საქართველოს დაახლოება იქნება ჩვენი დაბრუნება დასავლურ სამყაროში, რომელსაც ჟამთა ძნელბედობის გამო მოვწყდით და რომელიც ჩვენთვის „მშობლიური წიაღია". ჩვენდა საუბედუროდ, „რუსეთში ევროპეიზმის დაგმობამ და რუსიზმის აღორძინებამ საქართველო აზიური ჩიხიდან სლავიზმის ჭაობში ჩააგდო. ევროპა მიუწვდომელ ოცნებად დარჩა" (*აკაკი ბაქრაძე*).

შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო, ნათქვამია. აჩქარებით საქმე არასდროს გაკეთებულა. ქართველები, შესაძლოა, მათმა სულსწრაფობამ დაამარცხოს. გონებითაც რომ ვჭვრეტდეთ სიტუაციას, უნდა გვახსოვდეს – „რომი ერთ დღეში არ აშენებულა". არც ნანატრი დამოუკიდებლობა მოვა სწრაფად. არჩილ ჯორჯაძე წერდა: „ერის სიცოცხლე და მისი მომავალი, ხუთის და ათის წლის ამბებით არ განისაზღვრება. ერს გასაქანი დრო სჭირდება თავის პიროვნების დამკვიდრებისათვის და თუ რომელიმე გარდამავალ ხანაში იმ დამკვიდრების ნიშნები დროებით იქარწყლებიან, ეს არ ნიშნავს არც ისტორიის დამთავრებას, არც სანუკვარი მისწრაფების დასაფლავებას". ამ შეგონების გათვალისწინება მართლაც რომ გვმართებს და მაშინაც გვმართებდა, ინდონეზიელი ხალხის

მსგავსად, თავის დროზე ჩვენც რომ სულსწრაფად ვიყვირეთ: „თავისუფლება... ახლავე! ახლავე! ახლავე!“

XIX საუკუნის დასასრულს ჰოლანდიელების მიერ მთელი ინდონეზიის დაკავებას, ადგილობრივი მოსახლეობის სასტიკი კოლონიური ჩაგვრა მოჰყვა. 1928 წლიდან კი გაჩნდა ინდონეზიელი ხალხის „თავისუფლების მაუწყებელი“, პირველი პრეზიდენტი სუკარნო. მან ჩამოაყალიბა თავისი ერის განმათავისუფლებელი იდეოლოგია, რომლის რეალიზაციასაც ხელი შეუშალა მეორე მსოფლიო ომმა. იაპონელებმა დაამარცხეს ამერიკის, ინგლისისა და ჰოლანდიის ჯარები და ინდონეზიის ტერიტორია დაიკავეს. მაშინ „დიდმა ბელადმა“ ახალი იდეა წამოაყენა: „ჩვენ დავთესეთ ნაციონალიზმის თესლი. დაე, ეს თესლი ახლა იაპონელებმა გამოზარდონ“. იაპონელები დათანხმდნენ ინდონეზიის დამოუკიდებლობის აღიარებას. მაშინ სუკარნომ მომავალი სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელი ხუთი პრინციპი ჩამოაყალიბა:

1. ინდონეზიური ნაციონალიზმი;
2. ინდონეზიური ინტერნაციონალიზმი;
3. დისკუსია ანუ დემოკრატია;
4. სოციალური კეთილდღეობა;
5. ღვთის რწმენა.

1945 წლის სექტემბერში ინგლისელებმა იაპონელები განაიარაღეს ინდონეზიაში. დაბრუნდნენ ჰოლანდიელები, რომლებმაც მხოლოდ ოთხი წლის მერე აღიარეს ყოფილი კოლონიის სუვერენიტეტი. საინტერესო დამოკიდებულება ჰქონდა სუკარნოს სხვადასხვა სახელმწიფოსთან. მისთვის ინტერნაციონალიზმი ნიშნავდა სხვათა გამოყენებას თავისი ერის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში. „ინდონეზიური ნაციონალიზმი“ კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ესმოდა, როცა მის სამუდამო პრეზიდენტობას, პარლამენტის დათხოვნასა და მსგავს პრივილეგიებს ეხებოდა. უთუოდ გასათვალისწინებელი პრეცედენტია.

ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი გულისხმობს ერთა შორის არა მარტო უფლებრივ, არამედ ვალდებულებით დამოკიდებულებასაც. ერს უფლება აქვს კავშირი ჰქონდეს სხვა ერთან, მაგრამ იგი ვალდებულია მასთან ურთიერთობაში დაიცვას არა მარტო საკუთარი, არამედ მისი სამართლიანი ინტერესები და უფლებებიც. ამის

მეტყველი ნიმუში მოცემულია ილიას პუბლიცისტურ წერილში „ევროპის დიდი და პატარა ონავრები“. საქართველოდან ძალზე დაშორებული სახელმწიფოები – პატარა პორტუგალია და დიდი ინგლისი აფრიკის მიწებს ედავებიან ერთმანეთს. „კანონით“ იგი პორტუგალიისაა. მან უფრო ადრე დაისაკუთრა, მაგრამ „ერთი მუჭა ქვეყანა და ერთი მუჭა ხალხი რა სათვალავში და ანგარიშში მოსატანია ევროპისთვის, საცა მარტო დიდ მუშტსა და გრძელს მკლავსა აქვს ხმა და პატივი“ – ბრძანებს ილია. ამიტომ პორტუგალიას ხელი აალებინეს ყოფილ კოლონიაზე, შელახეს მისი ინტერესები და უფლებები, მაგრამ ეს არ არის მთავარი უსამართლობა: „იმ ქვეყანას, რომელსაც ესენი ერთმანეთს ედავებიან, თავისი შვილები ჰყავს, და ან ინგლისს რა ხელი აქვს, ან პორტუგალიას. იქაურებს თავისი ქვეყანა თავისთვის უნდათ“. სამართალს ეძებს განაწყენებული პორტუგალია, მაგრამ პუბლიცისტის მართებული განსჯით: „ქვეყანაზე რომ სამართალი იყოს, ინგლისსაც პირში ჩალას გამოავლებდა და პორტუგალიასაც“. ევროპა საკუთრებასავით განიხილავს აფრიკის მიწებს, მხოლოდ უფლებრივი საკითხები აწუხებს. იქ კი, სადაც აღარ არის ვალდებულებითი დამოკიდებულება, ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი ვერ იარსებებს. გზა გაეხსნება იმპერიალიზმს და მათი ერთმანეთზე დამყნობა შეუძლებელია.

ხალხთა შორის თანასწორუფლებიანი და ერთმანეთის ინტერესთა პატივისცემაზე აგებული ურთიერთობების მიზანმიმართული პროპაგანდა მედიის პირდაპირი და უშუალო ამოცანაა. ამასთან, ჟურნალისტიკის უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქციაა საერთაშორისო თანაცხოვრებაში სრულფასოვანი ადგილის დამკვიდრებაში ხელის შეწყობა სახელმწიფოსთვის მთლიანად და, მისი ცალკეული სტრუქტურისათვის. სამწუხაროდ, დღეს ჩვენთვის ამ ვალდებულების აღსრულების უმთავრესი ღერძი საქართველოს ძირძველი ტერიტორიებიდან – სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილ ქართველთა უფლებების დაცვაზე გადის. ეს უკვე დიდი ხნის მტკივნეული პრობლემაა ქვეყნისთვის, სადაც შეუქცევადი რეგრესი ხორციელდება ლამის ყველა კუთხით.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1994 წლის 11 თებერვლის ნომერში პირველ გვერდზე გამოქვეყნდა ქართული პენცენტრის პრეზიდენტის ჯანსუღ ჩარკვიანის მიმართვა საერთაშო-

რისო მწერალთა გაერთიანების პენ-კლუბის პრეზიდენტის დ.კონრადისა და მსოფლიოს ეროვნული პენ-ცენტრებისადმი. იგი სთხოვდა თავის ადრესატებს, ხმა აღემაღლებინათ იმ სისასტიკისა და ყოვლად არაადამიანური საქციელის გამო, რომლის სულის ჩამდგმელიც იყო აფხაზ სეპარატისტთა მეთაური ვლადისლავ არძინბა. ამის დასტურად, პოეტი და საზოგადო მოღვაწე უცხოელ კოლეგებს აწვდის ინფორმაციას, რომ: „ჟენევის შეთანხმების მიუხედავად, საქართველოს განუყოფელ მხარეში, მის ღვიძლ ნაწილში – აფხაზეთში ნადგურდება ქართული მოსახლეობა.

259 ათასი დევნილი უკიდურეს მდგომარეობაშია, ხოლო იქ დარჩენილ უმწეო ადამიანებს ანადგურებენ აფხაზი ფაშისტები და არძინბას მიერ დაქირავებული „ბოევიკები". რომ: „მოხდა გაუგონარი უბედურება. არძინბას ხელმძღვანელობით დახვრიტეს სრულიად უდანაშაულო ქართველი პოეტი ქალი ეთერ სამხარაძე-ჯლამაძე და მისი მეუღლე. მთელმა მსოფლიომ უნდა შეიტყოს და აღშფოთება გამოთქვას ამ ბარბაროსული ფაქტის გამო.

ქართული პენ-ცენტრი პროტესტს გამოთქვამს ამ სისხლიანი ანგარიშსწორების გამო და ვითხოვთ, სასწრაფოდ დაისაჯონ დამნაშავენი".

წლები გავიდა. მსხვერპლის რაოდენობა კატასტროფულად გაიზარდა. კიდევ დავკარგეთ ტერიტორიები. საქართველო ბატონებიანი ბავშვივით იფარება წითელი ლაქებით, რომელთა ხელის ხლება არ შეიძლება, რადგან გაქრობის ნაცვლად კიდევ უფრო მეტი გაჩნდება. ჩვენი ყოფა თვალღია კოშმარს წააგავს.

პატრიოტი ადამიანი ვერც დღეს წაიკითხავს უემოციოდ ეთერ სამხარაძე-ჯლამაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ნეკროლოგს გაზეთის ძველი ნომრიდან: „მეოცე საუკუნის მიწურულის ფაშიზმმა იმსხვერპლა სრულიად უდანაშაულო, უმწეო, სიკეთითა და კდემამოსილებით აღსავსე მანდილოსანი, შემოქმედი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდა სამშობლოს". თითქოს, არაფერი შეცვლილა. ტკივილი გაძლიერდა და საფრთხემ იმატა მხოლოდ. „ზურაბ პაპასქირის ასი მძიმე დღე" ექვსი ათას უმძიმეს დღედ ქცევია სრულიად საქართველოს. ეროვნული მოძრაობის ეიფორიით ნასაზრდოები ოპტიმიზმი ნელ-ნელა დაეშრიტა მოსახლეობას. იმედია, მომავლის რწმენა ჯერ არ დაკარგულა,

თუმცა პესიმიზმი შეერია განწყობას. შინაგანი სასოწარკვეთა ისე მძლავრობს, როგორც შავი ფერი ქართველთა გარდერობში.

„საქართველო არც მხოლოდ დღევანდელი დღეა, არც ხვალინდელი და არც მხოლოდ გუშინდელი“, მაგრამ თუ ერმა ჭრილობათა მოშუშების იმუნიტეტი და თვითაღდგენის უნარი დაკარგა, იგი დაიღუპება. სოხუმის დაცემიდან ხუთიოდე თვეში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა აკაკი გელოვანის ძალზე ემოციური წერილი, რომლის პათოსს მაშინ გულწრფელად იზიარებდა საზოგადოება და მცირე ნაწილს დღესაც იმგვარადვე სტკივა სამშობლოს უბედობა: „კმარა მოტყუებულისა და დამარცხებულის როლის თამაში! ჩვენ გვესაჭიროება ეროვნული ცნობიერების ამაღლება და გაერთმნიშვნელიანება, მეტი ოპერატიულობა, ერთიანი თავმოყვარეობის შემუშავება...“. ხალხის მოთხოვნას არც ჩვიდმეტი წლის წინათ უგდო ყური მავანმა და არც დღეს ითვალისწინებს პოლიტიკური ელიტა. პოზიციასა და ოპოზიციას ბევრად უფრო იოლი გზა აურჩევია: როცა საზოგადოება მათ უმოქმედობაზე მიუთითებს, ისინი ხალხისკენ იშვერენ თითს და სამიათასწლიან ერს ბავშვივით ტუქსავენ, ყველაფერი იმის ბრალია, რომ თქვენ მზად ჯერაც არ ხართო. ძველებურად პროგრესირებს ურთიერთობათა პრობლემების „შავი ექსტრემისტული ტალღა“.

საქართველოს ბედშაობას, როგორც ყოველთვის, ახლაც საგარეო და საშინაო პოლიტიკაში თანადროულად წარმოქმნილი ურთულესი პრობლემები განაპირობებს. ჩვენს შიდადაქსაქსულობასა და გაუტანლობას ერთვის რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრების გეგმაზომიერი გადმოკვეთის ფაქტები. ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან ყოველი ამგვარი თვითნებობა პატარა ქვეყანას ძირძველი ქართული მიწის კიდევ ერთი ნაგლეჯისა და მცირერიცხოვანი ერის შვილთა მორიგი სისხლის ფასად უჯდება. ასეთ სიტუაციაში უვიცობისა და უპასუხისმგებლობის დრო ნამდვილად არ არის. „ვერ ვიწინასწარმეტყველებ, რას მოიმოქმედებს რუსეთი. ეს იდუმალებით მოცული გამოცანაა, მაგრამ მისი გასაღები, ალბათ, მოიძებნება. ამ გასაღებად მესახება რუსეთის ეროვნული ინტერესები“ – ამგვარად მსჯელობდა უინსტონ ჩერჩილი. რადგანაც «УМОМ Россию не понять», ქართველთა გონიერება, ვფიქრობ, სწორედ ბრიტანეთის პრემიერ-მინიტრის მოსაზრების

შესაბამისად უნდა წარიმართოს: საკუთარი მისწრაფებები იმპერიალისტურად მოაზროვნე რუსეთის ინტერესებთან თანხვედრაში მოვიყვანოთ იმგვარად, რომ თავად არ დავზარალდეთ. თანამედროვე მსოფლიოს დღეს ვერ შევკადრებთ იმის შეხსენებას, რომ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის რუსეთის პომპეზურ-კუდაბზიკური მზადება საუკუნეზე ნაკლები პერიოდის წინ „სოჩად“ მონათლულ ქართულ სოჭში მიმდინარეობს. საკუთარი ბედოვლათობისთვის პასუხს დასავლეთს არ უნდა ვთხოვდეთ. თორემ იქნებ მათაც დაგვისვან „ჩამჭრელი“ კითხვები.

დიდი პოლიტიკა დიდ ცოდნას, ძალისხმევას, სინქრონულ და თანადროულ გადაწყვეტილებათა მიხედვით სწრაფ ქმედებას გულისხმობს. ჩვენი რეაქცია ან მდორეა, ან საერთოდ არ გვაქვს. განვითარებული ქვეყნების მატერიალური კეთილდღეობა და პოლიტიკური სტაბილურობა პოეტურად გვხიბლავს, მაშინ როცა მათი სასარგებლო გამოცდილების გამოყენების აუცილებლობას „ფართოდ გახელილი თვალებით“ ვაიგნორებთ. ალბათ, საქართველოს სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების უცვლელი კრედო უნდა გახდეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის დიზრაელის ცნობილი გამონათქვამი: „ინგლისს არ ჰყავს მუდმივი მოკავშირეები, ინგლისს აქვს მუდმივი ინტერესები“. ჩვენდა სავალალოდ, ჯერაც ვერ ჩამოვაყალიბეთ საკუთარი მუდმივი ინტერესები და მსოფლიოს ზესახელმწიფოებთან ალიანსზე უსუსურ ოცნებას ვეძალებით. დღეს კი დრო არა მხოლოდ ფულია, არამედ დრო ერია, ქვეყანაა და სამშობლოა. ალბათ, ამის გაუთვალისწინებლობის გამოც განვიცდით პოლიტიკურ კრახს დამოუკიდებელი არსებობის მცდელობისას.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ხასიათის განსაზღვრა აუცილებელია, თანაც სასწრაფოდ. მილიონიან რუსეთს არავინ დაუპირისპირდება ჩვენს დასაცავად. ამის არაერთი მაგალითი არსებობს საქართველოსა და დასავლეთის უახლეს პოლიტიკურ ისტორიაში. როცა ევროპელებს ჩვენი თანადგომის გამო დისკომფორტი ექმნებათ, მათი ხელისუფალნი საკუთარ ქვეყნებზე ზრუნვას ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო პატარა საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ „წითელ“ აგრესიასთან დაკავშირებით მრავალმნიშვნელოვან „შეშფოთებას“ გამოხატავენ მხოლოდ.

ევროპა-ამერიკის პოზიციით ჩვენი უკმაყოფილება საკუთარი პოლიტიკური თინეიჯერობით არის ნასაზრდოები. მრავალსაუკუნეობრივი განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული ქართული დემოკრატიული აზროვნება და გონებრივი მოწიფულობა საკმაოდ ახლოს გვაყენებს დასავლეთის წამყვანი ქვეყნების დონესთან. ამავე დროს, დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებისა და პრაქტიკული სახელმწიფოებრივი ქმედებების საჭიროებისას მჟღავნდება ჩვენი „ფიზიკური“ უმწიფრობა. როცა ფრიდრიხ ნილსენმა განაცხადა, რომ გერმანიას სურდა საქართველო ყველანაირად თანასწორი ყოფილიყო ევროპის სხვა ქვეყნებისა, ეს, ზოგადად, ევროპის მხრიდან ნდობის გამოცხადებას ნიშნავდა ჩვენი ქვეყნისთვის. თუ გვინდა, რომ „ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“, საკუთარი თავის პატრონობა უნდა ვისწავლოთ, ევროპელებს კი მხოლოდ თანაგრძნობისა და თანამშრომლობის უფლება დავუტოვოთ. ამას მოითხოვს ქართველი ხალხისგან ერთა შორის ცივილიზებული, „ევროპული“ ურთიერთობის გამოცდილება.

„სწორედ იმიტომ, რომ უღირსობის ეჭვი არა გღრღნის, სხვა სრულფასოვანი ერების დიდ კულტურულ მიღწევებსაც მშვიდად გაუსწორებ თვალს, აუმღვრეველი აღტაცებით აღიარებ, ეზიარები და ამით გამდიდრდები“ – წერდა ზურაბ კაკაბაძე. საქართველოს არასოდეს ჰქონია არასრულფასოვნების კომპლექსი. სწორედ ამიტომ შეუძლია საკუთარ უსუსურობაზე ამაღლება რიგით ქართველს და გულწრფელი დანანებით ფაქტის კონსტატირება: „ჩვენ ის ბედოვლათი თაობა ვართ, ვინც რეალურად ვკარგავთ საქართველოს“. პრობლემის დანახვა საწყისი ეტაპია, რომელსაც ბუნებრივად უნდა მოჰყვეს შემდეგი – გონივრული, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ფრთხილი ნაბიჯები მსოფლიო პოლიტიკაში. მთავარია, საქართველოს ყველა „ჯარისკაცმა“ მიხო მორჩილაძის მსგავსად ირწმუნოს, რომ „გამარჯვებისთვის განწირულნი“ ვართ.

ქვეყანას ვერ დაღუპავს შეცდომა. მას ანადგურებს მიზანმიმართული ბოროტი განზრახვა. დღეს ბევრი იყენებს გლობალიზაციას ფარად, თითქოს, ამ მოვლენას პატარა საქართველო ვერ გაუმკლავდება და მისი გაქრობა, სხვა ერთა წიაღში გათქვეფის გამო, გარდაუვალია. ასეთები მოხერხებულად ირგებენ ნიჰილისტურ ნიღაბს და უმოქმედობითა თუ უკუღმართი ქმედებით საალალბე-

დოდ ხდიან ქვეყნის მომავალს. ვაჟა-ფშაველას არ ეშინოდა კოსმოპოლიტიზმის. მას ვერც გლობალიზაცია შეაღონებდა, ვერც სხვა რომელიმე ხელოვნურად წარმოქმნილი საფრთხე. მთის ბუმბერაზი შვილი დღესაც ძველებური (ჩვენთვის კი საოცრად თანადროული) მრწამსით იბრძოლებდა საკუთარი ქვეყნის გადასარჩენად: „გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა. ილვაწე მის საკეთილდღეოდ. ნუ გშურს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება. ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს... ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი... ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა". ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტია, საჭიროების შემთხვევაში, მოხერეხებულად ამაყობს ინტერნაციონალისტურად განწყობილი წევრებით. მათ შორის არის პრემიერ-მინისტრი ჯეიმს რამსი მაკდონალდი. იგი თვლიდა, რომ „ჩვენი ჭეშმარიტი ეროვნება კაცობრიობაა". მაკდონალდის პოლიტიკური ბიოგრაფიიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვერ ვიქნებით, აღნიშნული მოსაზრება მართლაც ემთხვევა ვაჟას მრწამსს თუ „საყოველთაო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ინტეგრაციისა და უნიფიკაციისკენ" ფარულად მანევრირებასაც გულისხმობს. ინგლისური ნაციონალიზმის თავისებურებით თუ ვიმსჯელებთ, სამოქალაქო ინტეგრირებაზე შორს არ უნდა ვრცელდებოდეს სავარაუდო საფრთხე.

რადგან პიარის ხელოვნებას მეტ-ნაკლები ოსტატობით დღეს ყველა იყენებს, სიფრთხილის გამოჩენა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში ქართული დიპლომატიის ქვაკუთხედად უნდა იქცეს. 1910 წელს გამოცემულ ნაშრომში „დიდი ილუზია" სერ ნორმან ენჯელი დაუფარავად განავრცობს სახიფათო აზრს: ნაციონალიზმი ანაქრონიზმიაო. სასურველის რეალობად გასაღება მწარე პოლიტიკური შედეგის მომტანია. აუცილებელია ნაციონალური და ნაცისტური თვალსაზრისების გამიჯვნა. ეროვნულობისა და მოქალაქეობის მნიშვნელობათა აღრევა, მათი არასწორი ინტერპრეტირება და ადამიანის წარმომავლობის სრული იგნორირება განაპირობებს აქ-

ტუალურ პრობლემას, რომელსაც ინტეგრაციის დაუსრულებელი მცდელობებით ამაოდ ებრძვიან ხელისუფალნი.

უილიამ ბლუმის ემოციური მოსაზრება: „თუ სიყვარული ბრმაა, პატრიოტიზმს ხუთივე გრძნობა აქვს დაკარგული", ამ უკანასკნელის უარყოფისაკენ მოწოდებას კი არ გულისხმობს, არამედ პატრიოტიზმის მყიფე ბუნებას გახაზავს. მას უნდა მიველტვოდეთ ისევე მგზნებარედ, როგორც სიყვარულს, მაგრამ ფაქიზი და უკიდურესად ფრთხილი მოპყრობით ვასაზრდოოთ. როგორც სიყვარულის გადაგვარებული ფორმებია უკუსაგდები, ასევეა პატრიოტიზმის შემთხვევაშიც. „ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არაჩვენებური) პატრიოტია... რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილ-გონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელი ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა" – ბრძნულად განსჯიდა ვაჟა-ფშაველა 1905 წელს. რაოდენ არაპროპორციულია საზოგადოების წარმომადგენელთა განვითარება, თუკი ზოგიერთს საუკუნის შემდეგაც სჭირდება ელემენტარული ჭეშმარიტების დაწვრილებით ახსნა და გაგების გარანტიაც არ არსებობს.

თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციას მრავალეროვნული სახელმწიფოები ქმნიან. გერმანიის მოქალაქე შეიძლება იყოს გერმანელიც და არაბიც, მაგრამ ისინი იდენტურად არ აღიქვამენ სამყაროს, თუმცა ერთიდაიმავე ქვეყანაში გვერდიგვერდ ცხოვრობენ. მაროკოში დაბადებულ-გაზრდილს ფრანგული პასპორტი მოქალაქეობის პრივილეგიის მინიჭების პარალელურად ეროვნულობას ოფიციალურად აკარგვინებს, ის კი არსად ფიქსირდება, რომ დოკუმენტი ინდივიდის ნაციონალურ კუთვნილებასა და აზროვნებას ავტომატურად ვერ ცვლის. გარკვეული კუთხით, არც უნდა ცვლიდეს. ასევე საფრთხილო თემაა ბრიტანეთის მოქალაქეთა ჭრელი ეთნი-

კური საფუძველი (იგულისხმება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი განსხვავება, ვიდრე ტრადიციული ანუ – ინგლისური, უელსური, შოტლანდიური და ირლანდიური თვითმყოფადობის ჰარმონიზაცია გაერთიანებულ სამეფოში), მაგრამ ინგლისში შარიათის კანონების ოფიციალურად შემოღებაც უკიდურესობა იქნება. ცხოვრებას საკუთარი ლოგიკა აქვს და მათემატიკურ გათვლებს ყოველთვის არ უწევს ანგარიშს.

არასწორია დასავლურ სამყაროში გავრცელებული ტენდენცია, რომლის მიხედვითაც „ნაციონალიზმის ყველაზე აღიარებული იდეოლოგიური ალტერნატივაა კოსმოპოლიტიზმი". ასევე აბსურდულია ლორდ ლოთიანის ერთდროულად მიჩნევა ინტერნაციონალისტად და იმპერიალისტად. ეროვნულობა პიროვნების საიდენტიფიკაციო ერთეულია და მისი მოსპობა ან ეთნიკურობით ჩანაცვლება შეცდომაა. დასაგმობია ნაციონალური სეპარატიზმი, ეროვნული მიზანდასახულობით ქვეყნისა და მთლიანად სამყაროს განვითარებისთვის ხელშეწყობა კი მართებული პოზიციაა. ერთადერთი გამოსავალი ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული თანაცხოვრებაა ცალკეული ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნებს შორის.

კრწანისის რეზიდენციაში განმარტოებული ედუარდ შევარდნაძე ჩვეული სიდინჯით მსჯელობს ქვეყნის ბედზე: „გლობალიზაცია ზიანს ვერ მიაყენებს ისეთი ქვეყნების კულტურებს, როგორიც საქართველოა, რადგან აქ სიმცირე-სიდიდეში კი არ არის საქმე, არამედ თვითმყოფადობასა და შინაგან სიძლიერეში". ორივე თვისება გვაქვს, მაგრამ დღემდე გვაკლია თანმიმდევრულობა მათ გამოვლენა-გამოყენებაში.

ჩვენთვის გენეტიკურად ახლობელია და ბუნებრივი სხვა ერთა კულტურული მიღწევების გაცნობა-დაფასება და ამ გზით საზოგადოების სულიერ განვითარებასა და გამდიდრებაზე ზრუნვა. იგივე გზა, ხალხთა სულიერი დაახლოებისა და შეკავშირების გზა სხვა ერებთან ურთიერთობის ჩვენეული ფორმაა. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს მედია. დღეს საქართველოსთვის ტერიტორიებისა და მოქალაქეთა სიცოცხლის დაკარგვაზე არანაკლებ მტკივნეულია რუსეთთან ინფორმაციული ომის მუდმივად წაგება, რაც თავისთავად კიდევ უფრო ზრდის ქვეყნის დანაკლისს. ასეთ სიტუაციაში „მტრების წინააღმდეგ კალმითაც არის საჭირო ბრძოლა",

ოღონდ სტრატეგიულად, შედეგთა წინასწარი და გონივრული გათვლის საფუძველზე.

საუკუნის წინათ არჩილ ჯორჯაძე წერდა: „რაგვარი პოლიტიკა უნდა აწარმოოს ქართველმა ხალხმა, რა უნდა დააწეროს მან თავის დროშაზე? ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი თუ ერთსა და იმავე დროს ერთიც და მეორეც. სოციალ-დემოკრატები ინტერნაციონალურ გზას ირჩევდნენ, ჩვენებური ნაციონალისტები — ნაციონალურს, ჩვენ კი (ფედერალისტებს, მ.ნ.) გვგონია, რომ საქართველო დღეს იმგვარ პირობებში იმყოფება, რომ იმის წინაშე ერთსა და იმავე დროს ორი გზაა გასავლელი. ერთი ეროვნული კულტურის განვითარების გზა, მეორე — კავკასიის ერებთან ურთიერთობის განმტკიცების გზა — გზა ინტერნაციონალური“.

ქართველი ერი კვლავ გზისგასაყარზეა. უკვე მერამდენედ. მან კიდევ ერთხელ უნდა გადაწყვიტოს, „რა დააწეროს თავის დროშაზე“. ამ კითხვის პასუხს ერთნი გონების კარნახით სწყვეტენ, მეორენი — გულის. მათი ქცევა ერთი მართალი ზღაპრის — „უთავო მეფე და დიდთავა მეფე“ ფაბულას წააგავს: არც ერთი მხარეა მართალი, არც მეორე. ერთის სურვილი (გულის ნაკარნახევი, ემოციებით მართული) მეორის ფხიზელი გონებით განსჯილთან შეერთებული (რეალური ვითარებიდან გამომდინარე), ალბათ, ყველაზე სწორ პასუხს გვაპოვნინებდა. ჭეშმარიტი მამულიშვილი, ნამდვილი ევროპელი, ევროპეიზმის მქადაგებელი ქართულ აზროვნებასა და პოლიტიკაში, არჩილ ჯორჯაძე თვლიდა: „იმიტომ ვუწევ ანგარიშს დღევანდელ გარემოებას, რომ მასზე გამარჯვებულნი არა ვართ. პირიქით, დამარცხებულნი და დამარცხებულნი სასტიკად, უღვთოდ. და ადამიანი პირუტყვისაგან იმითი გაირჩევა, რომ გარემოების აწონ-დაწონვის უნართან ერთად არჩევის ნიჭიც აქვს განვითარებული. დაამწყვდიეთ მგელი გალიაში, დატრიალდება ნადირი, მიეხლება რკინის მოაჯირს, გაქანდება და მოუსვენრად იტრიალებს გარშემო, სანამ მოიღლება და ღონემიხდილი იქვე წაწვება. დაამწყვდიეთ ადამიანი ციხეში, გარეგნულად იგი სრულიად დამშვიდებულია, კედლებს არ ეხეთქება, თავს არ იმტვრევს, თითქოს, დაწყნარებულია, დამორჩილებული. გულში კი, გულში სულ იმის ფიქრშია, როგორ მოახერხოს და უვნებლად დააღწიოს თავი ტყვეობას და თუ ეგეც შეუძლებელია მისთვის, გულჩაკეტილი შო-

რიდან ეთაყვანება თავისუფლებას, შორიდან აძლევს სალამს მეგობრებს, შორიდან ეტრფიალება ოცნებას და ციხის ჯურღმულში შეჭრილ მზის შუქს უცინის და ეალერსება! დღეს ჩვენ ამ დატყვევებული ადამიანის ხვედრს განვიცდით და ჩვენს ტყვეობაში დავრჩეთ ადამიანებად, ე.ი. ავწონოთ ჩვენი ძალ-ღონე და გონივრულად ავირჩიოთ სავალი გზა“. ისტორია საოცრად მეორდება. როგორც ჩანს, ყველა დროსა და ეპოქაში „პოლიტიკა შესაძლებლის ხელოვნებაა“ და არა „სასურველის“.

ძნელი გადასაწყვეტია, როგორი პოლიტიკური კურსის წარმოებაა საქართველოსთვის უმჯობესი. ბედისწერის გამოცხადებასავით გვერგო ორ ზღვას შორის გამომწყვდეულობა. ოცდაორი წლის წინათ ჯერ კიდევ ბავშვური გულუბრყვილობით სჯეროდა ქართველს ამერიკული ღიმილის გულწრფელობა: „მათ ძალიან სურთ ჩვენთან მეგობრობა და თანამშრომლობა. არჩევანი ჩვენზეა“. მწარე რეალობაა, რომ არჩევანს და არადანს რუსეთ-ამერიკა იყოფს, როცა ფსონში საქართველოს ბედ-იღბალი დევს.

პრავდა დუმილი ველიკორუსულად

ანა პოლიტკოვსკაია – ქალი, რომელზეც სულ უფრო ნაკლებს წერენ. ქალი, რომლის შესახებაც მხოლოდ ხმადაბლა საუბრობენ ვიწრო, დახურულ წრეში. სიმართლის დადგენისთვის მებრძოლი ქალი, ვინც პროფესიული უკომპრომისობის გამო, მისივე პრეზიდენტის დაბადების დღეს, ხელისუფლების ფარულმა ჯალათმა სიკვდილით დასაჯა. მის კოლეგებს მთელს მსოფლიოში შეიძლება განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდეთ პოლიტკოვსკაიას მიმართ: აღფრთოვანება, სინანული, თანაგრძნობა, შური, დაიგნორება, არცოდნა – ფაქტი უცვლელი რჩება. ანას ეყო სულის სიმტკიცე და ვლად ლისტიევის შემზარავი მკვლელობის შემდეგ, რისკიანი ჟურნალისტიკის გზას მაინც გაჰყვა.

როცა რომელიმე ცხელ წერტილში მასალის მოსაპოვებლად წასული ჟურნალისტი იღუპება, ეს პროფესიული ტრაგედიაა. როდესაც ჟურნალისტი სიმართლის დადგენის გამო გამიზნულად ისჯება და არა ბრმა ტყვიის თუ ყუმბარის მსხვერპლი ხდება, ეს უკვე ადამიანური ტრაგედიაა. ვფიქრობ, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პოლიტკოვსკაიას პროფესიული ამბიციების გარდა, ადამიანების დახმარების სურვილი არ ასვენებდა და პროფესიას ამ მიზნის მისაღწევად იყენებდა. რისკავდა, რადგან მართალი იყო. რისკავდა, რადგან შიში არ იცოდა. რისკავდა საკუთარი ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე, რადგან ასეთი იყო და სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. მოწამლეს, მაგრამ გადარჩა და უფრო გაძლიერდა, შინაგანი სიმტკიცე შეემატა.

ჟურნალისტი შეიძლება მრავალგვარი იყოს: სენსაციებს გამოკიდებული, ანალიტურად მოაზროვნე, უპრინციპო მედროვე, ფანატიკოსი, ხელისუფლებისთვის გუნდრუკისმკმეველი, ოპოზიციას მიკედლებული, რედაქტორის ნებას დაქვემდებარებული, დამოუკიდებელი, არაპროფესიონალი და ა.შ. არსებობენ პიროვნებები, რომელთაც არ შეუძლიათ მორჩილი ცხვრის ტყავის მორგება მშვიდი ცხოვრების სანაცვლოდ. ფარა მხოლოდ ყოჩს შეჰყურებს და მისდევს, თუნდაც წინ მიმავალს უფსკრულში გადაუცდეს ფეხი. პიროვნებები კი ყო-

ველ მხარეს აკვირდებიან, აანალიზებენ და მასის გადარჩენის ინსტინქტს ემორჩილებიან. მათ იციან, რომ ისტორიულ გზაჯვარედინებზე „კუდი აქიცინებს ძაღლს" და სწორედ ასეთი შესაძლებლობისთვის ამზადებენ საზოგადოებას. მოაზროვნეთა მცირე ჯგუფს მათი იმედი აქვს და სჯერა, ისინი აღიზიანებენ თვითრეალიზებით კმაყოფილ მოქალაქეებს, მათი ეშინია ხელისუფლებას.

რუსული ტრამალებივით უკიდეგანო, იდუმალებით მოცული და მოულოდნელობებით სავსეა რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის პოლიტიკური აზროვნება. ვფიქრობ, ამ ფენომენის შიფრატორია ბრბოს ფსიქოლოგიის ფროიდისეული ახსნა. რუსი ხალხი ემორჩილება დამოუკიდებელ „ბრბოს ფსიქოლოგიას" იმ დროს, როცა ხელისუფლების სათავეში მოხვედრილ მცირერიცხოვან გუნდს წარმართავს საკუთარი, მისთვის ნიშანდობლივი „ბრბოს ფსიქოლოგია", რომელიც ემყარება პირად იდეურ საფუძველს. ძალთა არათანაფარდობის მიუხედავად, ბრბოს ფსიქოლოგია აბალანსებს ამ ორ ჯგუფს ერთის რიცხობრივი და მეორის – მატერიალურ-ძალაუფლებრივი უპირატესობების ხარჯზე. ეს ორი დაჯგუფება, ფარულად ურთიერთშეურიგებელი და დაპირისპირებული, მაგრამ საერთო მონაცემით (ბრბოს ფსიქოლოგიით) იდენტურად მართული, მსგავსი გაღიზიანებითა და აგრესიით არის განწყობილი თავისუფლად მოაზროვნე ინდივიდებისადმი, რომელთა რიცხვიც პირდაპირპროპორციულად კლებულობს დემოკრატიული მმართველობიდან აუტოკრატიის, ოლიგარქიის ან დიქტატურისკენ გადანაცვლების შემთხვევაში. ამგვარად, ბრბოს ფსიქოლოგია, მოსახლეობის მხრიდან ვლინდება თუ – მთავრობის, სადაც მოაზროვნე პიროვნებათა მიმართ არასახარბიელო დამოკიდებულებაა და მათი პოლიტიკური პოზიციის კრახი გარანტირებულია. ორმაგი „ბრბოს ფსიქოლოგიის" ერთ-ერთი მეტყველი ნიმუშია ბორის ელცინის პოლიტიკური ბიოგრაფია.

რუსულ „თეთრ სახლში" ლამის პირდაპირ ჯავშანტრანსპორტიორიდან მოხვედრილმა ელცინმა დემოკრატიულ ფასეულობებზე დამყნობილი დემაგოგიით განაგრძო პოპულისტობით ნასაზრდოები პოლიტიკური კარიერა. დასავლეთი მოტყუვდა ან გამიზნულად დაირწმუნა თავი, რომ პოსტსაბჭოური სივრციდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას მართლა აპირებდა ელცინის ხელდასხმით წამოწყებული პრივატიზაციის ბუმი. თავად იდეა ცუდი არ იყო, მაგრამ რუსეთის პირველი პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩევლის ანატოლი

ჩუბაისის მცდელობებმა ნავარაუდევისგან რადიკალურად განსხვავებული შედეგი გამოიღო. 1992 წლის ბოლოს დარიგებული ვაუჩერების უმეტესობა სილატაკის გამო ნაღდ ფულს დახარბებული მოსახლეობის ჯიბიდან გადამყიდველების ხელში რამდენიმე თვეში აღმოჩნდა. ამის პარალელურად, სახელმწიფო ვალი უცხოეთისადმი კატასტროფულად იზრდებოდა, მაგრამ რუსი ხალხი სულ უფრო მძიმე ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობდა. პოლიტიკურ სცენაზე თანდათან გააქტიურდა ოპოზიციურობის პრეტენზიის მქონე კომუნისტური პარტია და მისი ლიდერი გენადი ზიუგანოვი. 1995 წლის 17 დეკემბერს კომუნისტებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს რუსეთის ფედერაციის საპარლამენტო არჩევნებში.

ელცინმა პრივატიზაციის ახალი ტალღა ააგორა, ვითომდა სახელმწიფო სესხის დასაფარავად. ხელისუფლების ქმედებათა შედეგად, ფინანსური, ინდუსტრიული, ენერგეტიკული, ტელესაკომუნიკაციო და მედია ძალაუფლება საეჭვო წარმომავლობის მაგნატთა ხელში აღმოჩნდა. ისინი ცნობილი გახდნენ „რუსი ოლიგარქების“ სახელით. პრივილეგირებულთა ჯგუფს შეადგენდნენ: ბორის ბერეზოვსკი, მიხეილ ხოდორკოვსკი, რომან აბრამოვიჩი, ვლადიმერ პოტანინი, ვლადიმერ ბოგდანოვი, რემ ვიახირევი, ვაგიტ ალეკპეროვი, ვიქტორ ჩერნომირდინი, ვიქტორ ვეკსელბერგი, მიხეილ ფრიდმანი, სერგეი პუგაჩოვი, ვლადიმერ გუსინსკი, ალექსანდრე სმოლენსკი, ვლადიმერ ვინოგრადოვი.

მეორე ვადით საპრეზიდენტო კამპანიის დაწყებამდე ელცინის ჯანმრთელობა და პოლიტიკური იმიჯი ერთნაირად შეირყა. როდესაც სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა რუს ხალხში ელცინის რეიტინგის ნულოვანი მაჩვენებელი გამოავლინა, პრეზიდენტის გუნდი პანიკამ მოიცვა. რამდენიმემ მეტად თამამი რჩევაც კი გაუბედა: საპრეზიდენტო არჩევნების გაუქმება და ქვეყნის მართვა დიქტატორის რანგში. უკანასკნელ პერიოდში გამოვლენილ არაადეკვატურობათა მიუხედავად, ელცინმა სხვაგვარი ნაბიჯი გადადგა. სიტუაციიდან გონივრულ გამოსავალს თავად მიაგნო თუ მიაგნებინეს, პოლიტოლოგთა კვლევის თემად რჩება დღემდე. რუსეთის პრეზიდენტმა თავისი საარჩევნო კამპანიის მწარმოებელი გუნდის შემადგენლობა მთლიანად შეცვალა და რუსი ოლიგარქებით დააკომპლექტა. მათი ხელმძღვანელობა ქალიშვილს – ტატიანა დიაჩენკოსა და ძველებურად ერთგულ ჩუბაისს მიანდო. რუსულმა ბიზნესელიტამ არა

მხოლოდ მნიშვნელოვანი ფინანსური, არამედ ძლიერი მედიამხარდაჭერითაც უზრუნველყო ბორის ელცინი. ოსტატურად მართულმა რუსულმა ჟურნალისტიკამ ხალხი „თავისუფალი“ არჩევანის წინაშე დააყენა: ან „დემოკრატი“ ელცინი, ან ზიუგანოვთან ერთად „ტოტალიტარიზმში“ დაბრუნება. სამთავრობო ტელეარხებიდან ღიად საუბრობდნენ სამოქალაქო ომის საშიშროებაზე იმ შემთხვევაში, თუკი მოსახლეობის „არასწორი“ ნაბიჯის შედეგად კომუნისტური წარსული კვლავ რუსეთის რეალობა გახდებოდა. ეს ნამდვილი მედიაშეტევა იყო არა მხოლოდ პოლიტიკური კონკურენტის წინააღმდეგ, არამედ რუსი ხალხის თავისუფალი ნების პარალიზებისა და გონების დაბინდვის მიზნით.

თავად ელცინიც მოულოდნელი ენერგიულობით აწარმოებდა საკუთარი განახლებული პროგრამის აგიტაცია-პროპაგანდას. ერთის მხრივ, აბათილებდა ხალხის შიშს მისი შერყეული ჯანმრთელობის გამო. თანაც, უვარგისი რეფორმების სანაცვლოდ, მოსახლეობას პირდებოდა სოციალური მხარდაჭერის ახალ პროგრამებს, ჩეჩნეთში ომის დასრულებას, სახელფასო და საპენსიო დავალიანებათა დაფარვას. პირდებოდა ყველაფერს, რასაც ხალხი უშედეგოდ ელოდა წლების განმავლობაში. მუდამ ღიმილიანი, თმადათოვლილი პრეზიდენტობის კანდიდატი პრიმიტიულად, მაგრამ გულმოდგინედ ირგებდა სანტა-კლაუსის გულკეთილ იმიჯს ამომრჩევლებთან შეხვედრებზე. საერთაშორისო საფინანსო ფონდის მიერ რუსეთისთვის 10 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფის შესახებ ინფორმაციაც საკუთარი პოპულარობის ასაღორძინებლად გამოიყენა ელცინმა, თითქოს, მისი პირადი დამსახურების შედეგი ყოფილიყოს დასავლეთის მზრუნველი დამოკიდებულება მისი ქვეყნისადმი.

1996 წლის 3 ივლისის არჩევნებში ზიუგანოვის (40.3%) ელცინთან (53.8%) დამარცხება ლოგიკური შედეგი იყო კომუნისტთა ლიდერის არა მხოლოდ მწირი ფინანსური და სუსტი საინფორმაციო მხარდაჭერის, არამედ უსუსური პოლიტიკური ძალის გამოც. რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის არჩევნებზე მისულთა მხოლოდ 5.9%-მა დააფიქსირა ჭეშმარიტად გონივრული და თავისუფალი არჩევანი „ყველას წინააღმდეგ“.

პრეზიდენტის პოსტის შენარჩუნებაში გაწეული დახმარების სანაცვლოდ, ელცინმა თანამემამულე ოლიგარქებს პრივილეგიათა არნახული კასკადი არგუნა. დიდი, ნანატრი ცვლილებების ეპოქა

ხალხისთვის ისევ არ დადგა. ცხოვრება ლოგიკურად გაგრძელდა – მდიდრები უფრო მეტად მდიდრდებოდნენ, ღარიბები კი ღარიბდებოდნენ.

უარესი დროის დადგომის ავისმომასწავებელი ნიშანივით გაისმა საცხოვრებელი სახლების აფეთქებების ხმა მოსკოვის ცენტრში. დედაქალაქის კეპიანი, ჩია მერი „ამ ტერორისტულ აქტში ჩეჩენ ბანდიტებს" ადანაშაულებდა. განდობილთა ძალზე ვიწრო წრემ თუ იცოდა იმ დღეებში, რომ 1999 წლის სექტემბრის ტერაქტები წინ უსწრებდა პუტინის მიერ ქვეყნის სადავეების ხელში ოფიციალურად ჩაგდებას.

თოვლის ბაბუას ამპლუაში მხოლოდ წინასაახალწლოდ გაკეთებული გადადგომის განცხადება დაუტოვა საკუთარ ხალხს რუსეთის პირველმა პრეზიდენტმა: „ვფიქრობ, ჩემი ცხოვრების უმთავრესი საქმე პირნათლად შევასრულე – რუსეთი წარსულს აღარასოდეს დაუბრუნდება... მინდა პატიება გთხოვოთ იმისათვის, რომ ბევრი ჩვენი საერთო ოცნება ვერ ასრულდა... ბედნიერებას გისურვებთ. თქვენ დაიმსახურეთ ბედნიერება და სიმშვიდე. ახალ წელს გილოცავთ, ახალ საუკუნეს". სტუდიაში მყოფ თვითმხილველთა განცხადებით, უკვე ყოფილი პრეზიდენტი ტელეგამოსვლის შემდეგ რამდენიმე ხანს გაუნძრევლად მჯდარა და თვალებიდან ცრემლები სდიოდა. წარსულის შეცდომებს განიცდიდა, დაკარგულ პრივილეგიებს მისტიროდა თუ პოლიტიკური კულუარების სისასტიკე და სამშობლოს ბედი აღარდებდა, არავინ იცის. კადრს მიღმა დაღვრილი „ნიანგის ცრემლები" ხალხს არ დაუნახავს. 1999 წლის 31 დეკემბერს ძალიან ცოტამ თუ მიაქცია ყურადღება ფაქტობრივ უზუსტობას – კიდევ ერთი, ხანგრძლივი წელი რჩებოდა ახალ ათასწლეულამდე. ელცინისგან უარეს კურიოზებს მიჩვეული ხალხი, ალბათ, უფრო იმაზე დაფიქრდა, ომებით, რევოლუციებით, ტერაქტებითა და პოლიტიკურ-ეკონომიკური დავიდარაბით აღსავსე XX საუკუნის უკანასკნელი წელიწადი როგორი იქნებოდა მათთვის და მათი ოჯახებისთვის.

ელცინის ოლიგარქია პუტინის „ვერტიკალურმა ძალაუფლებამ" შეცვალა. დაიწყო რუსული მედიის თავისუფლების მიზანმიმართული ალაგმვა, ურჩი ინდივიდების კონსტიტუციური დევნა. ეს მხოლოდ მსუბუქი უვერტიურა აღმოჩნდა. ვლადიმერ პუტინის პოლიტიკურ ასპარეზზე გააქტიურებას „შავი გედების" მთელი წყება

მოჰყვა რუსეთის თანამედროვე ისტორიაში.

2000 წლის 9 მარტს ავიაკატასტროფაში დაიღუპა ცნობილი რუსი ჟურნალისტი არტიომ ბოროვიკი. დღემდე არსებობს მოსაზრება, რომ მისი ნაადრევი სიკვდილი უბედური შემთხვევითობის ბრალი არ ყოფილა.

2000 წლის 23 ნოემბერს ФСБ-ს პოდპოლკოვნიკმა ალექსანდრე ლიტვინენკომ განაცხადა, რომ საზღვარი მოსკოვში მთავრობამ ააფეთქა. თავად უცხოეთში თავშესაფრის მოძებნას ცდილობდა, რადგან თვლიდა, რომ რუსეთში მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

2002 წლის ოქტომბერში „ნორდ-ოსტის" ტერორისტულმა აქტმა არა მხოლოდ რუსეთის დედაქალაქი, არამედ მთელი მსოფლიო შეძრა.

2003 წლის 3 ივლისს დაიღუპა რუსი ჟურნალისტი და მწერალი, არაორდინალური მოაზროვნე იური შჩეკოჩიხინი. სიკვდილის ოფიციალურ მიზეზად დასახელდა მძიმე ინტოქსიკაციის შედეგად გამოვლენილი ლაიელის სინდრომი. ორი ლაბორატორიის გამოკვლევის მონაცემებით, სხეულში აღმოჩნდა ფენოლი და ლიდოკაინი, რაც ადამიანის ორგანიზმში თავისთავად არ უნდა არსებობდეს. 2007 წლის 30 ოქტომბერს რადიოსადგურ «Эхо Москвы»-ს ეთერში ადვოკატმა ვლადიმერ კალინიჩენკომ განაცხადა, რომ შჩეკოჩიხინის დაკრძალვის დღეს მასთან და მის გვერდით მდგომ რუს პოლიტიკოს ასლამბეკ ასალხანოვთან მივიდა „МВД-ს ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი და უთხრა – „იურკა ტალიუმით მოწამლეს". პოლონიუმით მოწამვლის ვერსიას ემხრობა КГБ-ს ყოფილი გენერალ-მაიორი ოლეგ კალუგინი. არსებული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში, სიმართლე კარგა ხანს დარჩება დაფარული.

2004 წლის 9 ივლისს რუსული წარმოშობის ამერიკელი ჟურნალისტი და პუბლიცისტი პოლ ხლებნიკოვი დღემდე დაუდგენელმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს მოსკოვში ჟურნალ „ფორბზის" ოფისიდან გამოსვლისას. დეკაბრისტ ივანე პუშჩინის შთამომავალი ქალაქის №20 საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების ისეთმა მანქანამ მიიყვანა, რომელსაც ჟანგბადის ბალიში არ აღმოაჩნდა. დაჭრილის საოპერაციოში აყვანისას კი ლიფტი გაიჭედა და სწორედ იქ გარდაიცვალა რუსული „ფორბზის" მთავარი რედაქტორი.

2004 წლის პირველი სექტემბერი თავზარდამცემი კადრებით ბესლანის საშუალო სკოლიდან „შოკური თერაპიის“ გაგრძელებასავით აღიქმებოდა სამყაროსთვის.

2006 წლის 7 ოქტომბერს თავისი საცხოვრებელი სახლის ლიფტში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იპოვეს ანა პოლიტკოვსკაია – ჟურნალისტი, რომელიც 2002 წლის ოქტომბერში ჩეჩენ ტერორისტებთან მოლაპარაკებებში მონაწილეობდა და წყალს აწვდიდა მძევლებს „ნორდ-ოსტში“, ხოლო 2004 წლის ბესლანის ტრაგედიის დროს თვითმფრინავში ჩაით მოიწამლა და ინგუშეთში ჩასვლა მოლაპარაკებებში მონაწილეობისა და ფაქტების გამომზეურების მიზნით, ველარ შეძლო. პოლიტკოვსკაია 2003 წლიდან ამხელდა რამზან კადიროვსა და მის ხელქვეითებს ადამიანთა გატაცებასა და სხვა მძიმე დანაშაულობებში, 2004 წლიდან კი რეგულარულად აქვეყნებდა გაზეთში «Новая газета» პუბლიკაციებს ინგუშეთის პრეზიდენტის მურატ ზაზიკოვის წინააღმდეგ.

იქნებ ანა პოლიტკოვსკაიას შეკვეთილი მკვლელობა, გარკვეულწილად, დაეხმარა ალექსანდრე ლიტვინენკოს 2006 წლის 12 ოქტომბერს ბრიტანეთის მოქალაქეობის მიღებაში, მაგრამ „ედვინ კარტერის“ დაცვა ვერც მისმა ახალმა სამშობლომ შეძლო. საშა იმავე წლის 1 ნოემბერს მოწამლეს პოლონიუმით. სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა (КГБ) და რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის (ФСБ) ყოფილი აგენტი 23 ნოემბერს ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში გარდაიცვალა. მან პუტინის მთავრობის უკანონო, აშკარად არადემოკრატიული ქმედებების მხილების პარალელურად, იმაზე მეტი თავსატეხი და უპასუხოდ დარჩენილი კითხვა დატოვა, ვიდრე მის თავგანწირულ მცდელობამდე არსებობდა რუსულ პოლიტიკაში.

ჩეჩნეთის პრობლემაც თავისებურად მოაგვარა პუტინის ადმინისტრაციამ.

2001 წელს დასრულდა მეორე საომარი კამპანია და რუსეთის ფედერაციის სუბიექტის სტატუსის მქონე ჩეჩნეთში რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა. გამარჯვება მოიპოვა ფედერალური ხელისუფლების მხარეს გადასულმა ახმატ კადიროვმა. 2004 წლის 9 მაისს უფროსი კადიროვი ტერაქტის დროს დაიღუპა და იგი ალუ ალხანოვმა შეცვალა. რუსეთის განცხადებით, 2005 წლის 8 მარტს ქალაქ გროზნოს მახლობლად ჩატარებული

სპეცოპერაციის დროს იჩქერიის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის ლიკვიდაცია განახორციელეს. იჩქერიის პრეზიდენტის უფლებამოსილება ვიცე-პრეზიდენტის აბდულ-ხალიმ სადულაევის ხელში გადავიდა, რომელიც 2006 წლის 17 ივნისს რუსეთის ФСБ-სა და ჩეჩენთა სპეცნაზის ერთობლივი ოპერაციის დროს დაიღუპა ქალაქ არგუნში. იჩქერიის პრეზიდენტის უფლებამოსილება ვიცე-პრეზიდენტის დოკუ უმაროვის ხელში აღმოჩნდა, მისი მოადგილე გახდა შამილ ბასაევი, რომელიც 2006 წლის 10 ივლისს მომხდარი აფეთქების დროს დაიღუპა. 2007 წლის 15 თებერვალს ალხანოვმა თანამდებობა დატოვა (ფორმალურად — საკუთარი სურვილით) და პრეზიდენტის პოსტი ახმატ კადიროვის უმცროსმა ვაჟმა — რამზანმა დაიკავა, რომელიც მანამდე ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრი და რესპუბლიკის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელი იყო.

როგორ უყურებდა დასავლეთი პუტინის ხელისუფლების მიერ არა მარტო რუსეთის, არამედ მისი მეზობელი ქვეყნებისა და გეოგრაფიულ-პოლიტიკურად შორეული პარტნიორების ტერიტორიებზე განხორციელებულ ანტიჰუმანურ ფაქტებს? ერთმანეთს მიწყობილი ფაქტები ნათლად მეტყველებდა იმაზე, რომ ახალგაზრდა რუსმა ლიდერმა ძველი ბოლშევიკური სკოლის მეთოდები აღორძინა. ევროპა-ამერიკის პოლიტიკურმა ელიტამ საკმაოდ მალე გაშიფრა პუტინის „ამოუცნობი" იმიჯი, მაგრამ კიდევ უფრო მონდომებით აარიდა თვალი მისი ქმედებების რეალურ ბუნებასა და მიზნებს. მათი ინდიფერენტულობა წააგავს განვითარებული ქვეყნის კანონმორჩილი მოქალაქისთვის ნიშანდობლივ გულგრილობას, „სადღაც" ღარიბთა უბანში მომხდარი შეხლა-შემოხლის შესახებ გაგონილ ამბებთან დაკავშირებით რომ ავლენს სნობურ ცხვირაბზუებას.

ჟურნალ „თაიმის" გარეკანზე მოხვედრილი პუტინის შეუვალი მზერა არც უარყოფდა და არც ადასტურებდა ამერიკელი ანალიტიკოსების შიშნარევ ვარაუდს — მან რუსეთი საბჭოური მმართველობის ხანაში დააბრუნა, როცა პოლიტიკური ოპონენტების დევნა რეალური, საეჭვო თუ დაუდასტურებელი ფინანსური ბრალდებების საფუძველზე განახორციელა. რუსეთის ეროვნული სანავთობო გიგანტის „იუკოსის" დამფუძნებელი მიხეილ ხოდორკოვსკი ერთ-ერთი პირველი დიდი თევზი აღმოჩნდა, პუტინის ანტიოლიგარქიულმა მორევმა რომ ჩაითრია. რუსეთის უმდიდრესი ადამიანი დაპატიმრებამდე

ცოტა ხნით ადრე ამერიკელებს უხსნიდა, რომ მისი და მისი ოჯახის წევრების სამთავრობო დევნა „აშშ-ის კანონმდებლობის საწინააღმდეგოა, მაგრამ ასევე ეწინააღმდეგება რუსეთის კანონმდებლობასაც“. პუტინი რუსი ხალხის ნებისმიერ პროტესტს უსიტყვოდ, ახსნა-განმარტების გარეშე აღშობდა, დასავლეთს კი ლაკონიური პასუხით იშორებდა თავიდან: „არავინ დგას კანონზე მაღლა, რაოდენ მდიდარიც უნდა იყოს იგი“. გარეკანის ფოტოს ორაზროვანი მინაწერი ახლავს: „გამარჯობა, ამხანაგო“. რადგან პუტინის მმართველობის სტილი სსრკ-ის ბელადთა იდენტურია, ერთი მხრივ, ვლადიმერ ვლადიმერის ძეს ასე ამიტომ მიმართავს ამერიკელი პუბლიცისტი, მეორე მხრივ, თავად პუტინის დამოკიდებულება დასავლეთისადმი სწორედაც რომ „ამხანაგურია“ და არა „მეგობრული“.

ელცინის „თანაგუნდელი“ ოლიგარქები თანდათან რუსულ პოლიტიკას შემოეცალნენ. ზოგმა დროულად აუღო ალღო სახელისუფლებო ცვლილებებს. ზოგიც რეპრესიულმა ზვირთებმა შთანთქა. ნაწილმა უცხოეთს შეაფარა თავი სამშობლოში უკეთესი დროის დადგომამდე.

თუ 1990-იანი წლების რუსეთს „მოჩვენებითი თავისუფლება“ მაინც ახასიათებდა, პუტინის ეპოქაში „ალტერნატიულ აზროვნებასთან ბრძოლა“ ყველა ფრონტზე ერთდროულად წარიმართა. „სამყაროს ინდიფერენტული განწყობა“, როგორც ამ მოვლენას ხატოვნად და ზუსტად უწოდა რუსმა რეჟისორმა ანდრეი ნეკრასოვმა, უშედეგობისთვის წირავს პიროვნებათა შეგნებულ თავდადებას. „საზოგადოებას ამორალურობა ხომ უნდა ალაშფოთებდეს?“ — ანა პოლიტკოვსკაიას ამ კითხვის პასუხი დღემდე უარყოფითია როგორც მის ორივე სამშობლოში, ისე მათ საზღვრებს გარეთ. ძალაუნებურად იქმნება მსოფლიო შეთქმულების ლაბირინთში ცხოვრების შეგრძნება. ისიც აშკარაა, რომ ბრბოსა და მოაზროვნე ინდივიდებზე ბატონობა არც თუ ჭკვიანი გუნდის ხელში აღმოჩნდა, თორემ ამდენის მიხვედრის საშუალებას არ დაუტოვებდნენ პიროვნებებს.

რუსეთის უმდიდრესი ქალბატონის ელენა ბატურინას მეუღლის 2002 წელს გამოცემულ წიგნში „ისტორიის აღორძინება“ მოცემულია უაღრესად აქტუალურ საკითხზე მსჯელობა: როგორი იქნება XXI საუკუნის მსოფლიო წყობილება და როგორ ახალ ადამიანს საჭიროებს მესამე ათასწლეული? ერთ დროს მოსკოვის „უკვდავ“, უცვლელ მერად მიჩნეული, ახლა კი რუსული პოლიტიკის

„ბორტს მიღმა“ დარჩენილი იური ლუჟკოვის ერთ-ერთი საინტერესო მოსაზრებაა ადამიანისა და კომპიუტერის შეპირისპირების ნაცვლად მათი ჰარმონიზაციის კონცეფცია. ევოლუციის შედეგად Homo post-sapiens-ის ჩამოყალიბების შემთხვევაში, წიგნის ავტორის აზრით, ტრადიციული სწორხაზოვანი მსჯელობის ტენდენცია შეიცვლება მოზაიკური აზროვნებით. შესაბამისად, ადამიანი ინტელექტუალურად უფრო მოქნილი გახდება, ადაპტირების გაცილებით დიდ უნარს გამოავლენს და ურთიერთშევსების იდეით იხელმძღვანელებს სხვებთან ურთიერთობისას. ლუჟკოვი უფრო შორსაც მიდის მომავლის ადამიანის თვისებათა პროგნოზირებისას და ვარაუდობს, რომ აზროვნების ამ მიმართულებით განვითარებაში შესაძლოა ჩადებული იყოს „კაცობრიობის მორალური პროგრესის ახალ სტადიებზე, ახალ დონეზე გადასვლის რესურსი“. ქრისტიანობის ორგვარი (ღვთიური და მიწიერი) გაგების მსგავსად, ერთი შეხედვით ლიბერალურ-პროგრესული მოსაზრება, შესაძლოა ფარულ საფრთხეს შეიცავდეს. თუ პოლიტიკოსები ადამიანის განვითარების მსგავს სიმაღლეს ხელს არ შეუშლიან, ბევრად ძლიერი მოწინააღმდეგის დათრგუნვა მოუწევთ მომავალში. მეეჭვება, რომ ასეთი „სპორტული აზარტი“ ხიბლავდეთ. უფრო რეალისტური იქნებოდა გვევარაუდა, რომ ინდივიდის გაზრდილ მორალურ დონეზე აპელირებით, მისგან მეტ დათმობასა და პოლიტიკოსთა პირად მისწრაფებებთან უფრო სწრაფად შეგუებას გულისხმობდნენ ხელისუფალნი.

არამხოლოდ ტოტალიტარული სახელმწიფოს საზოგადოებისთვის არის ნიშანდობლივი „დუმილის სპირალი“. თუ დიქტატურის პირობებში ეს მოვლენა რეპრესიების საფრთხის გამო იწყება, ნომინალურად ან რეალურად დემოკრატიულ ქვეყნებში ამას იწვევს იზოლაციის, გარიყულობის შიში. ცუდ დროსა და ცუდ ადგილას დაბადებული პიროვნებების ტრაგიზმი იმისი შეგრძნებით იწყება, რომ საკუთარი უძლურების მიუხედავად მაინც არ შეუძლიათ ჭეშმარიტების ღალატი. ასეთების ლიკვიდაცია მხოლოდ საგიჟეთის, ანდა – სასაფლაოს მასშტაბით ხერხდება. დონ კიხოტის ბედის აცილების მცდელობაა თანამედროვე გონიერი ადამიანის დუმილი ფიზიკურ-მორალური თვითგადარჩენის მიზნით.

„დროის სული“ სპობს სწორედ იმ მცირედს, რაც ჯერ კიდევ შემორჩა ღირებული კაცობრიობის გაურყვნელ, პროპაგანდით დაუნაგვიანებელ გონებას. ცრუწინასწარმეტყველის ფილმი, ისევე

როგორც თანამედროვე მანიპულატორები სამთავრობო თუ ოპოზიციური წრეებიდან, ავტორიტეტებს ებრძვის და ისედაც გათითოკაცებული და ინდიფერენტული მასების ცნობიერებაში ყალბი სტერეოტიპების ჩანერგვით ცდილობს საბოლოოდ ჩაკლას თავისუფალი სული და ლაღი აზროვნების უნარი. თითქოს, შეთანხმებული, მსოფლიო მასშტაბის გენოციდი წარმოებს. პიტერ ჯოზეფი თავს არ იწუხებს საკუთარი მასალის დოკუმენტურობისა და გამოყენებული ფაქტების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად, არ უთითებს სოლიდურ წყაროებს, იმოწმებს საეჭვო წარმომავლობის ინფორმაციას. დოკუმენტურობის საბურველში ვიზუალურად გახვეული დემაგოგია ფარული პროპაგანდის მცდელობაა შუა საუკუნეების ეპოქის მეფის მასხარის სტილში: უკიდეგანო ცინიზმი, დაუსჯელობის სითამამე, დაუსაბუთებელი მოსაზრებები, პოპულისტური ლოზუნგები, ფაქტოიდების კასკადი. საბოლოო ჯამში, ეს ყოველივე სწორედ იმგვარ შეთქმულების თეორიათა სასარგებლოდ უბინდავს გონებას მაყურებელს, რომელთა მხილებას, თითქოს, მიზნად ისახავს რეჟისორი. სინამდვილეში, ბავშვობიდანვე ტვინგარეცხილი მასიდან მესამე ათასწლეულის მონების გამოზრდა მიმდინარეობს დემაგოგიური „დემოკრატიის" საფუძველზე. თუმცა ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ ხალხისა და მთლიანად სამყაროს დიალექტიკური პროგრესის მართვა, ფართო გაგებით, შეუძლებელია.

მსოფლიო პოლიტიკური ელიტის ტრაგედიაა, რომ პიროვნებები დღემდე ვერ გაანადგურეს. ყოველთვის, სანამ მონობა იარსებებს, ამ უსახო მასიდან ახალ-ახალი სპარტაკი წინ წადგამს ფეხს და ბატონთა მორჩილებას დაჩვეულ ბრბოს ინდივიდუალიზმის ხიბლს შეაგრძნობინებს. თვით კლონების მთავრობასაც კი მოუწევდა ერთ დღეს წინააღმდეგობასთან შეჯახება, რადგან ადამიანის ბუნებაში კოდირებული თავისუფლება კაცობრიობის განადგურებასთან ერთად თუ მოისპობა. სხვაგვარად, მხოლოდ დაითრგუნება გარკვეული პერიოდით.

დაჭერამდე რამდენიმე კვირით ადრე მიხეილ ხოდორკოვსკიმ ვაშინგტონში გამართულ ოფიციალურ შეხვედრაზე რიტორიკული, ამავე დროს, აქტუალური კითხვა დასვა: „ბოლოს და ბოლოს, გადავიქცევით დემოკრატიულ რუსეთად თუ ძველებურად გავუყვებით აუტოკრატიის ათასწლოვან ბილიკს?". სწორედ პასუხის ძიებას შეეწირა ანა პოლიტკოვსკაია. პროფესიული მრწამსი ავალდებუ-

ლებდა, სიმართლე დაედგინა და გაეშუქებინა. მას რატომღაც ეგონა, რომ ბოლშევიკური მეთოდების გამოყენება წარსულს ჩაბარდა რუსეთში. იქნებ, არც კი ფიქრობდა მოსალოდნელი საფრთხის რეალურობაზე, ისე განაგრძობდა სიტყვით ბრძოლას ჭეშმარიტებისთვის. საკუთარი თვალით ნანახ დანაშაულობათა მხილება ბედისწერად ექცა. ვერ დააშინეს, ვერ დააოკეს, ამიტომ სამუდამოდ გააჩუმეს. ორმაგი მოქალაქეობა არაფერში გამოადგა პრინციპულ ჟურნალისტს. რუსეთში დუმან. ამერიკაში დაივიწყეს. პოლიტიკური მკვლელობები არცერთ დროში არ გახსნილა ბოლომდე. ასეთი პიროვნებები, ჰამლეტის მამის აჩრდილივით, მიუსაფრობისთვის არიან განწირულნი. ანა პოლიტკოვსკაია დედამიწის მოქალაქეა, რომლის ბედი თანამოქალაქეთა უმრავლესობის ბედისწერაა.

ამბობენ, რომ „რუსეთის ახალი პრეზიდენტი თავსატეხია, რომელიც პუტინის ტანსაცმელში გამოწყობილი ენიგმას შიგნით იმალება". 2008 წლის 15 ნოემბერს ვაშინგტონში გამართულ „დიდი ოცეულის" სამიტზე რუსეთის ახალმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა წინადადება წამოაყენა საფინანსო სისტემის მთლიანი რეორგანიზების თაობაზე. ორიოდ დღეში რადიო «Эхо Москвы»-ს მიმომხილველმა ი.ლატინინამ მიუკერძოებლად გააანალიზა საკუთარი ქვეყნის მეთაურის გამოსვლა: „რა თქვა მედვედევმა ვაშინგტონში? ამაზე მსჯელობა უაზრობაა. ვაშინგტონში რაც მოხდა ისაა, რომ ჩვენ „დიდი რვიანის" შემადგენლობიდან გამოგვაგდეს. ელცინის დროს „დიდი შვიდიანი" გააფართოვეს, მაგრამ კომპანია „მეჩელის" წინააღმდეგ ფინანსური ბრძოლის, საქართველოში ტანკების გაგზავნისა და რუსული გამსკდარი საპნის ბუშტის შემდეგ ჩვენ აღარ დაგვიძახეს „შვიდეულის" თათბირზე დასასწრებად და მხოლოდ „ოცეულის" შეხვედრაზე დაგვიშვეს ემირატების, ინდონეზიისა და საუდის არაბეთის დონეზე. სამარცხვინოდ გაგვრიცხეს ჩამორჩენილობის გამო, თუმცა საერთო კრებაზე მიგვიწვიეს. როგორ უნდა მოიქცეს მოსწავლე, რომელიც აკადემიური ჩამორჩენილობისთვის გარიცხეს? ადგეს და თქვას: „ამოვქაჩავ მასალას მათემატიკაში". ის კი ადგა და განაცხადა: „მაქვს იდეა, როგორ მოვახდინოთ დეკანატის რეორგანიზაცია". ეს იმდენად სასაცილოა, რომ ჩემი ვარაუდით, მედვედევი მასხარას როლში განგებ გამოყავთ". მსოფლიომ დიდხანს არ ალოდინა „ჩამორჩენილი მოწაფე". 4 დეკემბერს ფინეთის დედაქალაქში გამართულ შეხვედრაზე აშშ-ისა და დიდი ბრი-

ტანეთის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა იმ მოტივით უარყვეს მედვედევის ივნისის ინიციატივა საერთოევროპული უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შექმნასთან დაკავშირებით, რომ უკვე არსებული სტრუქტურა ადეკვატური და მისაღებია. რუსული ენიგმა ჯერჯერობით არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, როგორსაც მისი თანამდებობა და ორლესული მეტაფორა გულისხმობს.

თითქმის ხუთი წელი გავიდა პოლიტკოვსკაიას გარდაცვალებიდან. არავის უკვირს, რომ საქმე ჯერაც ოფიციალურად გაუხსნელია. ეჭვმიტანილთა ნათესავის თუ ახლობლის დაკავება თავხედური ფორმალობაა, რომელიც საქმის წლობით გაწელვის საბაბს იძლევა. რუსეთის ხელისუფლება უთუოდ აპირებს, დროსთან ერთად ნელ-ნელა დავიწყებას მისცეს მისთვის უხერხული ფაქტი. ალბათ, „კრავთა“ დუმილის იმედი აქვს. ხალხი, მართლაც, სამსხვერპლოს ემსგავსება მათ ხელში, მაგრამ ყოველდღიურ გაძლებაზე ზრუნვის პარალელურად, საკუთარი პოზიციაც გააჩნია და ზოგჯერ დაფიქსირებასაც არ უშინდება. მეხსიერების ღრმულებში ჩაკარგული სიმართლე ხელისუფლებამ ჯერ ბოლომდე ვერ გაანადგურა. ამის დასტურად, გარდაცვლილი რუსი ჟურნალისტისადმი პატივისცემა საკმაოდ ბევრმა გამოხატა 2008 წლის 7 ოქტომბერს. განსაკუთრებული იყო ერთი მცირე ჯგუფი: აგვისტოში რუსული სამხედრო ძალადობიდან ზუსტად ორი თვის თავზე, შიშით, მაგრამ ურყევი რწმენით აღმართა ხუთჯვრიანი დროშა დიდ რუსეთში ჩარჩენილმა ქართველობამ „რუსული დემოკრატიის დასაცავად, რომელიც სადღაც, ალბათ, არსებობს“.

თეთრი სახლის ქალბატონები

აშშ-ის პოლიტიკურ სიმბოლოთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, ჰოლივუდის ვარსკვლავივით კაშკაშა სიმბოლოა ქვეყნის პრეზიდენტი. წარმოუდგენელია ისაუბრო ამერიკაზე და გამოტოვო ქვეყნის პირველი პირი. იგი საოცარი ორიგინალობით საკუთარ თავში აერთიანებს, ერთმანეთს უკავშირებს თითქმის შეუთავსებელ ორ თვისებას: პოლიტიკურ სიდარბაისლესა და პოპ-ვარსკვლავებზე არანაკლებ პოპულარობას მასაში. ხშირად მაღალი ინტერესი კრიტიკის ქარცეცხლს გულისხმობს და არა — გაიდეალებას, მაგრამ პოლიტიკოსების ბედი ამ მოვლენასთან აბსოლუტურად ადაპტირებულია.

ეს პოლიტიკური სიმბოლო კიდევ ერთი თავისებურებით გამოირჩევა: ორსახა იანუსის მსგავსად, გარკვეულწილად, მასაც „ორი თავი აბია". ამერიკის პრეზიდენტის მეუღლეზე ხუმრობით ამბობენ: პირველი ლედის პოსტი ყველაზე მაღალი თანამდებობაა, რომელზეც არ გირჩევენ და ხელფასს არ გიხდიანო. ასევეა მთელ მსოფლიოში — უზარმაზარი პასუხისმგებლობა და არანაირი ანაზღაურება. თუმცა არ მეგულება პირველი ლედი, რომელსაც ოდესმე უნანია თავისი გამორჩეულად საპატიო და რთული მისია — შექმნას აუცილებელი ფონი პრეზიდენტის სიმბოლოს უკეთ გამოკვეთისთვის. იმის მიხედვით, თუ რა ხერხებითა და ქალური ინტუიციის რაგვარი გამოვლინებით ასრულებენ მეუღლის როლს პოლიტიკურ ასპარეზზე, ეს პრივილეგირებული ქალბატონები სწორედ რომ შუქ-ჩრდილებად წარმოგვიდგებიან საკუთარი ქმარ-სიმბოლოების გვერდით.

თავდაპირველად პრეზიდენტის მეუღლეებს არანაირი სპეციალური ზედწოდება არ გააჩნდათ. მათ მოიხსენიებდნენ, როგორც: „ლედი ვაშინგტონი", „მისის პრეზიდენტი", „რესპუბლიკელთა ან დემოკრატთა დედოფალი", „თეთრი სახლის დიასახლისი" ანდა „თეთრი სახლის ქალბატონი". ზოგჯერ თითოეული მათგანის ხასიათისა და ქცევის შესაფერის, ინდივიდუალურ ტერმინს უძებნიდნენ. ვუდრო უილსონის მეუღლეს ერთხელ „პრეზიდენტის თანაშემწე"

უწოდეს, მოგვიანებით კი „ფარული პრეზიდენტის“ მეტსახელი არგუნეს. ნენსი რეიგანს ამერიკული პრესა „თანაპრეზიდენტად“ აღიქვამდა. ტენდენცია იმდენად აშკარაა, ვფიქრობ, კომენტარს აღარ საჭიროებს. ტერმინი „პირველი ლედი“ მხოლოდ და მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ლუსი ჰეისის პერიოდიდან მოყოლებული (1877-1881).

როგორც ამერიკის 36-ე პრეზიდენტის მეუღლეს, ლედი ბერდ ჯონსონს აქვს ნათქვამი: „პირველ ლედის მხოლოდ ერთი მამაკაცი ირჩევს“. ამერიკის კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში არსადაა მოხსენიებული პრეზიდენტის მეუღლე და მისი უფლება-მოვალეობები. სწორედ ეს ანიჭებს ამ ტიტულის მქონე პიროვნებას უსაზღვრო თავისუფლებასაც და უკიდურეს შეზღუდულ პოზიციასაც ამავდროულად. მის ქმედებებს განსაზღვრავს საკუთარი გონება და აშშ-ში ჩამოყალიბებული ტრადიციები. არსებითია ერთი მომენტი — პირველი ლედი, ეს არის ქალი, რომელსაც ყველაზე იოლად შეუძლია ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის პრეზიდენტსა და მის პოლიტიკაზე. არ არსებობს კანონი, რომელიც გააკონტროლებს ცოლის ზემოქმედების ხარისხს თუნდაც ასეთ მაღალ დონეზე.

ზოგჯერ პირველი ლედი მოკრძალებულია, თითქოს, ჩრდილში დგას. ამ დროს კი, მეუღლის სიმბოლოს ამოფარებული, იგი ბევრად უფრო მძლავრად წარმართავს ქმრის პოლიტიკურ აზროვნებას, ვიდრე, ერთი შეხედვით, აქტიური ქალბატონები, რომელთაგანაც უფრო ველით მსგავს ქმედებებს. რეალურად, ხელთ გვრჩება ბუტაფორია — ადამიანი-სიმბოლოს საზეიმოდ მორთული სამკაული.

ფრანკლინ დელანო რუზველტის ეპოქამდე, პრეზიდენტის მეუღლეები, პოლიტიკური გაგებით, ჩრდილში რჩებოდნენ. მათი სტერეოტიპი ეყრდნობოდა აპოლიტიკური, ერთგული მეუღლის, ეტიკეტის დამცველი დიასახლისის (ამ სიტყვის ფართო გაგებით) ტრადიციულ ხატს. თუმცა გამონაკლისი შემთხვევები იმ დროსაც არსებობდა. თუ მარტა ვაშინგტონი თავს პატიმარივით გრძნობდა პრეზიდენტი მეუღლის გვერდით, ნომერ მეორე პირველი ლედი, ჯონ ადამსის ჭკვიანი და ინტელიგენტი ცოლი აბიგეილი ხშირად ეხმარებოდა ქმარს გონივრული რჩევებით. თუმცა ამას უკიდურესად ფრთხილად და დელიკატურად აზერხებდა, რომ ხალხის თვალში ქმრის ავტორიტეტი არ შელახულიყო.

ქვეყნის უპირველესი ქალბატონის ქმედებებს განსაზღვრავს არა მარტო ქმრის მბრძანებლური თუ ლმობიერი ბუნება, არამედ თავად მისი ხასიათიც. თუ ელიზაბეტ მონრო ყოველმხრივ თავს არიდებდა ვაშინგტონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას, დოლი მედისონი მისი სული და გული ბრძანდებოდა. და მაინც, ეს ყველაფერი აპოლიტიკურ სამოსელში იყო გახვეული.

პირველი ქალი, რომელმაც საზოგადოებისგან დაუფარავად დაიწყო პოლიტიკურად აქტიური მეუღლის როლის შესრულება, ელეონორა რუზველტი ბრძანდებოდა. ეს ქალბატონი ისეთი ენერგიულობით ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომ ამერიკის არაერთ რიგით პრეზიდენტს შეშურდებოდა მისი გამჭრიახი გონება და პოლიტიკური ალღო, რასაც დახვეწილობას სძენდა ქალური ბუნების სინატიფე და შეუპოვრობა. ელეონორა იძლეოდა ინტერვიუებს, ატარებდა პრესკონფერენციებს, აქვეყნებდა სტატიებს, გამოსცემდა წიგნებს, ბევრს მოგზაურობდა, ხვდებოდა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს. იგი შეგვიძლია შევადაროთ ოჯახური პიარის ორიგინალურ ნიმუშს, რომელიც მაკავშირებელი რგოლი იყო პრეზიდენტსა და საზოგადოებას შორის.

თუმცა არაზუსტი იქნება, თუ მის საქმიანობას მხოლოდ ამ კუთხით განვიხილავთ. იგი ბევრად მეტი იყო, ვიდრე, უბრალოდ, პრეზიდენტის მეუღლე და მარჯვენა ხელი. ეს გახლდათ პიროვნება, რომელიც ქმრისგან დამოუკიდებლად ქმნიდა ამინდს როგორც საზოგადოებრივ, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისთვის არ არსებობდა სახელმწიფოთა საზღვრები, მისი ინტერესების სფერო მთელ ქვეყნიერებას მოიცავდა. სწორედ ამიტომ უწოდა ჰარი თრუმენმა „მსოფლიოს პირველი ლედი". ელეონორა რუზველტს ქმრის გარდაცვალების შემდეგაც არ მიუტოვებია ცხოვრების ჩვეული რიტმი და კიდევ უფრო განამტკიცა საკუთარი იმიჯი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თეთრი სახლის ქალბატონებიდან ელეონორა იყო პირველი, ვინც მედია გამოიყენა, რათა ფართო საზოგადოებისთვის გაეცნო თავისი საქმიანობა. გარდა იმისა, რომ ამერიკის ერთ-ერთი გამოჩენილი პრეზიდენტის მეუღლე იყო, აშშ-ის ისტორიაში იგი შევიდა საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, პუბლიცისტისა და დიპლომატის სახელით.

ელეონორა რუზველტი, როგორც თანამედროვე პირველი

ლედის პირველსახე, ბევრად მეტია ვიდრე შუქ-ჩრდილი პრეზიდენტის გვერდით. ეს არის ქალი-სიმბოლო, რომელმაც მსოფლიოს აჩვენა დამოუკიდებელი და თავისუფალი ქალური სულისკვეთება. თამარ მეფის სამშობლოში ხვაშაგ ცოქალისა და კრავაი ჯაყელის შთამომავლებს ნაკლებად გვჭირდება ამერიკელებისგან ამგვარი მაგალითის აღება. მსოფლიო ისტორიისთვის კი ნამდვილად სასარგებლო იყო ელეონორას სახე. როდესაც 78 წლის მისის რუზველტი ლეიკემიით გარდაიცვალა, „ნიუ-იორკ თაიმსში“ მისი ნეკროლოგი ასეთი სათაურით დაიბეჭდა: „იგი იყო მსოფლიოში ქალის ახალი როლის სიმბოლო“.

შემდგომში ამერიკას მრავლად ჰყავდა ძლიერი ქალები, მაგრამ ჯერჯერობით თეთრ სახლში არ უცხოვრია ორ ისეთ თანაბრად კაშკაშა პოლიტიკურ სიმბოლოს, როგორებიც იყვნენ ფრანკლინ დელანო და ელეონორა რუზველტები.

ასეთი ძლევამოსილი მემკვიდრეობა ჩაიბარეს ბესი თრუმენისა და მეიმი ეიზენჰაუერის მომხიბლავმა ქალურმა მხრებმა. ეს ორი ლედი ჭეშმარიტად რჩებოდა მეუღლე-პრეზიდენტთა ჩრდილებად. მათი ნახვა მხოლოდ ეტიკეტით გათვალისწინებულ, ოფიციალურად აუცილებელ ღონისძიებებზე შეიძლებოდა.

ბესის რეპორტიორები არ უყვარდა, არც მათ ეხატებოდათ იგი გულზე. მისის თრუმენი უარს ამბობდა პრესკონფერენციების ჩატარებაზე, აქტიურ საზოგადო მოღვაწეობას არ ეწეოდა და, საერთოდ, პირველი ლედის მოვალეობებს ძნელად ეგუებოდა. თუმცა იგი სულაც არ იყო თეთრი სახლის ცუდი დიასახლისი. უბრალოდ, მას არ გააჩნდა ელეონორა რუზველტის პოლიტიკური ამბიციები. ამასთან, ბესი 60 წლის ასაკში გახდა პირველი ლედი. იგი ხომ უხუცესი ბრძანდებოდა თეთრი სახლის დიასახლისთა შორის. შესაძლოა, ხნოვანებამაც თავისებური ელფერი შესძინა მის ქმედებებს. მორცხვ, მორიდებულ, თუმცა მხიარულ ქალბატონს მყუდრო ოჯახური იდილია უფრო იზიდავდა, ვიდრე საზოგადო მოღვაწის მრქეფარე ცხოვრება.

ჟურნალისტების მიმართ იგი მარტივი პრინციპით ხელმძღვანელობდა: გაიღიმე და კრინტი არ დაძრა. ნებისმიერ კითხვაზე მისი უცვლელი პასუხი იყო: კომენტარის გარეშე. ჟურნალისტები ჩიოდნენ, მასზე რაიმე საინტერესოს დაწერა ძალიან ძნელიაო. ჟურნალ

„ნიუსუიქის“ 1946 წლის ერთ-ერთ ნომერში წერია: „ცხრა თვეა, რაც მისის ტრუმენი თეთრ სახლში ცხოვრობს და ვაშინგტონელებიც კი ვერ ცნობენ. როცა საშობაო საჩუქრების საყიდლად დედაქალაქის მაღაზიები მოიარა, ვერავინ მიხვდა, ვინ იყო“.

შესაძლოა, ბესის პოლიტიკური პასიურობა მისი ქალური ბედნიერებით იყო განპირობებული. მეუღლეს იგი თავდავიწყებით უყვარდა ჯერ კიდევ 6 წლის ასაკიდან. ქალს არ სჭირდებოდა ვინმესთვის დაემტკიცებინა, რომ ისიც პიროვნება იყო და ქმრისგან დამოუკიდებლად არსებობა სულაც არ უჭირდა. იქნებ ელეონორა რუზველტის აქტიურობა და სიძლიერე პირადმა დრამამაც განაპირობა. ბესი ძალიან ლამაზი იყო, ელეონორა კი ბავშვობიდან დაკომპლექსებული, რასაც ქმრის ორგულობამაც თავისი დაღი დაასვა. გადაჭრით რაიმეს მტკიცება ძნელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ბესი ქმარს მუდამ გვერდით ედგა, ყველაფერში ერთგულად ეხმარებოდა. როცა ტრუმენი სენატორი გახდა, მან მეუღლე მდივნად გააფორმა და ხელფასიც დაუნიშნა. იგი არ ტყუოდა, როცა ამტკიცებდა, რომ მისი ცოლი აღნიშნულ თანხას სრულად გამოიმუშავებდა. ბესი ეხმარებოდა სენატორ მეუღლეს გამოსვლათა ტექსტების მომზადებაში, მის მიმოწერას აწარმოებდა, ასრულებდა ათას წვრილმან დავალებას. ტრუმენი ხშირად ეკითხებოდა რჩევას პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით. მან აღიარა, რომ პრეზიდენტობის პერიოდშიც ყოველთვის ეთათბირებოდა ცოლს, როცა მნიშვნელოვანი საკითხი იყო გადასაჭრელი. თუმცა ახლობლების აღიარებით, ბესი საკუთარ აზრს არასდროს ახვევდა ქმარს.

და მაინც, იგი ვერაფრით შეეთვისა თეთრ სახლს, რომელსაც „დიდ თეთრ საპყრობილეს“ ეძახდა. იქ გატარებული წლები დაკარგულად მიაჩნდა. სენატორის და ვიცე-პრეზიდენტის ცოლის თუ ამერიკის პირველი ლედის ამპლუაში, ბესი ტრუმენი ყოველთვის ჩრდილში დგომას ამჯობინებდა. მისი სტიქია მშვიდი ცხოვრება და ოჯახური გარემო იყო.

1982 წელს „ნიუ-იორკ თაიმსი“ იუწყებოდა: „ბესი ტრუმენი 97 წლისა გარდაიცვალა. იგი პრეზიდენტის ერთგული თანაშემწე იყო“. მართალი თქვა ამერიკელმა ჟურნალისტმა. ბესი ჩრდილი იყო პრეზიდენტი მეუღლის გვერდით — იდუმალი, ჩუმი და განუყ-

რელი. მისი ხმის ჩანაწერიც კი არ შემორჩა, მხოლოდ მომღიმარი ქალის ფოტოები და ცეცხლს გადარჩენილი წერილები, შეყვარებული ჰარი რომ სწერდა ახალგაზრდობისას და პრეზიდენტობის პერიოდში. ჩრდილი, რომლის გარეშეც ჰარი თრუმენი არ შედგებოდა, როგორც პოლიტიკური სიმბოლო.

მეიმი ეიზენჰაუერი პირველი ლედის იმავე ტიპს განეკუთვნებოდა, რომელსაც ბესი თრუმენი. პოლიტიკაში საერთოდ არ ერეოდა, ინტერვიუებს არ იძლეოდა. 1953 წლის 11 მარტს დათანხმდა თავის პირველ და ერთადერთ პრესკონფერენციაზე. პრესა მის მიმართ კეთილად იყო განწყობილი, თუმცა მას არასდროს უცდია ჟურნალისტთა გულის მოგება. იქნებ მას ბუნებრივი მომხიბვლელობა, იუმორის შესანიშნავი გრძნობა და ნათელი ფერებისადმი ლტოლვა დაეხმარა. დღენიადაგ შავ კაბაში გამოწყობილი ბესი, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად თმას მაინც არ იღებავდა, საოცრად კონტრასტულ ფონს უქმნიდა მასზე ახალგაზრდა მეიმის, მხიარული ხასიათისა და მოდური ვარცხნილობის მქონე „ვარდისფერ პირველ ლედის".

ბესი და მეიმი თავიანთი ქმრების ერთგულ და მოყვარულ მეუღლე-ჩრდილებად შემორჩნენ ამერიკის ისტორიის ფურცლებს. თუმცა იყო ერთი განსხვავება. მეიმი ძალიან უყვარდათ. დღემდე ორად ორი პირველი ლედის მუზეუმი არსებობს აშშ-ში: აბიგეილ ადამსისა და მეიმი ეიზენჰაუერის. ძნელია მოიძებნოს ამაზე მეტყველი ნიმუში იმისა, რომ „ჩრდილი" მნიშვნელოვანი შტრიხია ამერიკის პრეზიდენტის კაშკაშა სიმბოლოსი.

1992 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს ბილ ქლინთონმა განაცხადა: „თუ პრეზიდენტად ამირჩევენ, მე და ჩემს მეუღლეს შორის იმაზე ძლიერი პარტნიორული დამოკიდებულება იქნება, ვიდრე ფრანკლინ დელანო რუზველტსა და ელეონორა რუზველტს შორის იყო". რა თქმა უნდა, იგი გულისხმობდა მეუღლეობის ინსტიტუტის უკიდურესად ამაღლებულ გაგებას ძლიერი პოლიტიკური სარჩულით. მისი შედარება წარსულის სიმბოლოებთან საოცრად წინასწარმეტყველური გამოდგა, თუ გავიხსენებთ სკანდალურ ისტორიებს, მონიკა ლევინსკისა და პოლა ჯონსის სახელებს რომ უკავშირდება. შემდეგ აურზაური მინელდა. ჰილარიმაც, როგორც ელეონორამ, გმირულად გადაიტანა ალიყური და ქმარიც შეინარ-

ჩუნა. მთავარია ის დეტალი, რომ პირველმა ლედიმ მეუღლის პოლიტიკური სიმბოლოს შუქ-ჩრდილობიდან უფრო აქტიურ პლატფორმაზე გადაინაცვლა, სენატის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა კიდეც. ბარაკ ობამას ადმინისტრაციაში ჰილარი უკვე სახელმწიფო მდივნის სკამს ირგებს. მადლენ ოლბრაიტისა და კონდოლიზა რაისის შთამომავალმა, თითქოს, ტრადიციად აქცია ამ თანამდებობის ქალური ბუნება. საკუთარი მაქსიმუმისთვის, მგონი, ჯერაც არ მიუღწევია. მაშინ როცა ბილ ქლინთონი თეთრ სახლში მეორე ვადით დარჩა, ჰილარიმ თამამი ვარაუდი შესთავაზა ფართო აუდიტორიას: „2010 წლის დადგომამდე აშშ-ის პრეზიდენტი ქალი გახდება". საკუთარი თავი იგულისხმა თუ სხვა ფემინისტური მოსაზრებით იყო განპირობებული მისი სიტყვები, დანამდვილებით არავინ იცის მის გარდა. ისე, წარმოუდგენელი არაფერია ამაში. ბოლოს და ბოლოს, თუ რომის პაპად ქალი მოგვევლინა შუა საუკუნეებში, მესამე ათასწლეული თავისთავად გულისხმობს, რომ დროა ყველაზე დემოკრატიულ სუპერსახელმწიფოშიც აღიარონ, „ლეკვი ლომისა სწორია". იმედია, რომელიმე ამერიკელი ქალი 2010 წლის შემდეგ მაინც დაამტკიცებს ამას.

ჰილარის ფონზე მისის ბუშის იმიჯში ჩრდილი აშკარად ჭარბობდა შუქს. ძნელია ერთმანეთს დაუპირისპირო პოლიტიკურად აქტიური იურისტი და თეთრი სახლის ლიტერატურული საღამოების ორგანიზატორი ბიბლიოთეკარი. ჰილარი თუ ლამის ოვალურ კაბინეტში ცხოვრობდა, ლორა აღმოსავლურ ოთახს ამჯობინებდა. თუმცა, სადაც სამართალია, მისის ბუშის ტაქტიკამ გაამართლა. ბევრს მოსწონდა იგი იმის გამო, რომ არ ეპოტინებოდა მისთვის უცხო ხილს და ქვეყანას იმგვარად ემსახურებოდა, რისი უნარიც ღმერთმა მისცა. „ამერიკულ ლიტერატურაში პოლიტიკური არაფერია. ამიტომ, პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მისი სიყვარული", თვლის თეთრი სახლის ყოფილი ქალბატონი. ვფიქრობ, თუ პირველი ლედი მართლაც გულწრფელია, მაშინ აქ ადგილი აქვს ბუნების მიერ ქალისადმი მიმადლებულ ფარულ პოლიტიკურ ალღოს, რადგან, რასაც უნდა აკეთებდეს ლორა ბუში, ეს მაინც პოლიტიკაა გარკვეული აზრით. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ის ფაქტი, რომ მისი ლიტერატურული სალონი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა როგორც

თავად პირველი ლედის, ასევე მისი მეუღლის იმიჯზეც. გამიზნულად თუ უნებურად, ლორა ბუში სასარგებლო საქმეს აკეთებდა. მელორ სტურუამ მასზე თქვა: „რა მშვენიერი იქნებოდა, სხვა ქვეყნის პირველმა ქალბატონებმაც რომ ამერიკის პირველ ლედის მიბაძონ და საკუთარი ქმრების უმადური პოლიტიკის გზაზე გონიერება, სიკეთე და მარადიულობა თესონ“. და მაინც, ამერიკას ჰილარი კლინთონი უფრო განასახიერებს, ვიდრე მისის ბუში.

დღემდე აშშ-ს 44 პრეზიდენტი ჰყავდა. თუ მათ ცხოვრებას და პოლიტიკურ მოღვაწეობას გადავხედავთ, აშკარად იკვეთება პირველი ლედის უკიდურესად მნიშვნელოვანი როლი თეთრი სახლისკენ მიმავალ გზაზე. ყველაზე ჩუმი, მორიდებული და უტყვი ცოლებიც კი გავლენას ახდენდნენ ქმრის კარიერაზე. თუ გავაანალიზებთ იმ ხერხებსა და მეთოდებს, რომლებსაც ეს ქალბატონები მიმართავენ, შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი ჯგუფი.

ზოგჯერ, პრეზიდენტი-სიმბოლოს გვერდით არანაკლები სიძლიერით იკვეთება ახალი სიმბოლო პირველი ლედის სახით. ამის ერთ-ერთი თვალნათელი ნიმუშია ელეონორა რუზველტის პიროვნება. აქ შეგვიძლია ვისაუბროთ ორი, თითქმის თანაბარი სიძლიერის პოლიტიკურ მოღვაწეზე.

მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან ბესი თრუმენისა თუ მეიმი ეიზენჰაუერის ტიპის ქალბატონები. ისინი იდუმალებით მოცულ ჩრდილებად წარმოგვიდგებიან პრეზიდენტის გარშემო და სწორედ ქმრის პოლიტიკური სიმბოლოს კიდევ უფრო უკეთ წარმოჩენისთვის იღწვიან ჩუმად და შეუსვენებლივ. ჯადოსნური ჯინებივით ლამპარში მიმწყვდეულ-დამალულები, ერთგულად ასრულებენ თეთრი სახლის დიასახლისის რთულ და საპასუხისმგებლო მოვალეობას.

მესამე ჯგუფი შედარებით მრავალრიცხოვანია და აერთიანებს იმ ქალბატონებს, რომლებიც შუქ-ჩრდილებად გასდევენ თავიანთი პრეზიდენტი მეუღლეების კარიერას. საკმაოდ აქტიურები, კომუნიკაბელურები, მომხიბლავები და პირველი ლედის ხვედრით გაბედნიერებულები, ისინი ყოველი თავიანთი ნაბიჯით ცდილობენ ქმრის იმიჯის განმტკიცებას და ხალხში მისი პოპულარობის გაზრდას, რადგან ქმრის წარმატება საკუთარ წარმატებად და კეთილდღეობის გარანტად წარმოუდგებათ.

ქალი, როგორც ჩაის ფერი

აბრაამ ლინკოლნის მიერ შემუშავებული დემოკრატიის მოდელი არ ითვალისწინებდა ქალთა თანასწორუფლებიანობას მამაკაცებთან. ამერიკული სახელმწიფოებრივი წესი დედაკაცის მოღვაწეობის სფეროს მკაცრად შემოზღუდავდა საშინაოს ტერიტორიით. XIX საუკუნეში ბევრ სალად მოაზროვნე და მეამბოხური სულისკვეთების მანდილოსანს გაუჩნდა პროტესტი იმის გამო, რომ მისი ხვედრი უუფლებობა და ამის წინააღმდეგ ბრძოლაში უძლურება იყო.

გარდაცვალების შემდეგ „თუ ზეცაში მოვხვდები და მოციქული პეტრე მკითხავს, სად მსურს ჯდომა, ვუპასუხებ: „სულერთია, ოღონდ ნუ ვიქნები ქალი ან ზანგი. კეთილო ანგელოზო, მიბოძე თეთრკანიანი მამაკაცის ხვედრი, რომ უსაზღვრო თავისუფლებით ვსარგებლობდე იმისდა მიუხედავად, ვზივარ თუ ვდგავარ, ვდგები თუ ვწვები" – ამას ნატრობდა „ამერიკის დამფუძნებელი დედა" ელიზაბეტ კედი სტენტონი ახალგაზრდობაში.

თერთმეტი წლის ელიზაბეტი პირველად მაშინ შეეჩეხა ლინკოლნისეული დემოკრატიის გენდერული უთანასწორობის გამოვლინებას, როდესაც უფროსი ვაჟის, ელიაზარის გარდაცვალებით დათრგუნული უსაყვარლესი მამის ნუგეშისცემა სცადა, პასუხად კი მიიღო აშკარად სიყვარულით ნათქვამი: „ეჰ, ჩემო გოგონავ, ნეტავი ბიჭი ყოფილიყავი!" ბავშვურმა გონებამ მარტივად გაიაზრა დიდი პრობლემა – მამაჩემს ვაჟიშვილები ურჩევნია ქალიშვილებსო. ელიზაბეტი მონდომებით ჩაუღრმავდა მამის იურიდიულ ბიბლიოთეკას. სიამოვნებდა საკანონმდებლო საკითხებთან დაკავშირებით კამათის წარმართვა მისტერ სტენტონის კლერკებთან. სულ უფრო ნათლად ხედავდა კანონის დისპროპორციულ დამოკიდებულებას მამაკაცებისა და ქალებისადმი, განსაკუთრებით გათხოვილებისადმი, რომლებსაც არც უძრავი ქონების, არც რაიმე შემოსავლის, არც სადმე დასაქმებისა და თვით საკუთარ შვილებზე მეურვეობის უფლებაც კი არ ეძლეოდათ არსებული კანონმდებლობის

მიხედვით. პრობლემა არა მხოლოდ დაინახა, არამედ მასთან გამკლავებაც გაბედა იმ ეპოქისთვის შეუფერებლად დემოკრატი მამისა და მეუღლის მხრიდან შედარებით ნაკლები წინააღმდეგობის წყალობით. საბოლოოდ, ელისაბედ კედი სტენტონი ამერიკული ფემინისტური მოძრაობის ყველაზე თამამ და სწორუპოვარ ლიდერად იქცა.

ერნესტ ჰემინგუეი თვლიდა, რომ ადამიანი კარგად წერს მაშინ, როცა შეყვარებულია. საწინააღმდეგოს აღწერს ოსკარ უაილდი „დორიან გრეის სურათში", სადაც უნიჭიერესი ახალგაზრდა მსახიობი სიბილა ვეილი დორიან გრეის შეყვარებისთანავე კარგავს არტისტულ ტალანტს. მოტივაცია, რა თქმა უნდა, ყოველი ქმედების საფუძველია, მოღვაწეობის სფეროსა და პროფესიის მიუხედავად. უსაზღვრო ენერგიის წყაროდ ნებისმიერი დიდი გრძნობა აკუმულირდება. როგორც მრავალფეროვანი პრაქტიკა ადასტურებს, უმეტესად, უარყოფითი ბევრად უფრო დიდ რეზონანსს იწვევს, ვიდრე დადებითი. რადგან ზოგად კანონებში ინდივიდები ვერ თავსდებიან, სწორედ ამგვარად მოევლინება ხოლმე სამყაროს კეთილი ან ბოროტი გენია.

ვფიქრობ, თუნდაც ყველაზე კეთილშობილი მიზნის საფუძველიც ყოველთვის დაუკმაყოფილებლობაა. ჩვეულებრივი ადამიანი ან სასურველის მიღწევის მიზნით მოქმედებს, ან მიუწვდომლის ჯიბრით და, როგორც წესი, მეორე შემთხვევაში ბევრად უფრო მასშტაბურად აქტიურობს. ამ მოვლენას პირობითად ვუწოდე წარმატების თეორია, რომელიც ეფუძნება დადებითი ან უარყოფითი გამღიზიანებლით გააქტიურებულ მონდომებას. The theory of pro and con-ს (თანხვედრისა და წინააღმდეგობის შედეგს ქართულად ხშირად მოვიხსენიებ როგორც წარმატების თეორიას) არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მიიღწევა სასურველი მიზანი, თუმცა – განსხვავებული ხარისხით.

ადამიანის ბუნებაში თავიდანვე ჩაიდო გენეტიკური სწრაფვა გამორჩეულობისკენ. ეს სურვილი ინდივიდებს განსხვავებული სიმძლავრით ახასიათებთ. თანხვედრისა და წინააღმდეგობის პროცესი არ გულისხმობს ტრივიალურ მცდელობას – გახდე ცნობილი ნებისმიერი საშუალებით და მოიპოვო წარმატებულის (პირადი თუ საზოგადოებრივი საზომებით) სტატუსი. ეს არის შინაგანი წონას-

წორობის შეძენით პიროვნების მიერ განცდილი კმაყოფილება. სწორედ ამიტომ, ცხოვრებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულების მქონე ადამიანი, თუნდაც საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა იგი წარმატებულად აღიაროს, ვერასდროს გამოიყენებს თეორიას, რომელიც გულისხმობს თვითრეალიზაციის შესაძლებლობათა შესაბამისად.

გამორჩეულნი, უმეტესწილად, ერთმანეთს გვანან წარმატებისადმი ლტოლვის დაუოკებელი სურვილით. ბევრი მათგანი ცხოვრებაშივე იძენს წინასწარ დაგეგმილ თუ დაუგეგმავ პოლიტიკურ სტატუსს, ანდა – მოგვიანებით ხდება მათი პერსონის ახლებურად ინტერპრეტირება.

ჰარი თრუმენი, შესაძლოა, მთელი ცხოვრება მისურის შტატის ერთ ბედნიერ, უშფოთველ ფერმერად დარჩენილიყო, ქერაკულულებიანი ბესის სიყვარულით გონებადაბინდული, ღარიბი ახალგაზრდა კაცი შეძლებულ სასიდედროს რომ არ დაეწუნა. ხელის პირველი თხოვნისას ბესიმაც უარით გაისტუმრა, გააწბილა ბავშვობის მეგობარი. ჰარი თავდაუზოგავად შრომობდა გამდიდრების მიზნით. მალე პიკაპის მოდელის მანქანა შეიძინა ქალიშვილზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მაგრამ ბესი არ ჩქარობდა გადაწყვეტილების მიღებას. ექვსი წლის შემდეგ თრუმენმა მეორედ სცადა ბედი და ოფიციალურ ნიშნობაზე დაითანხმა საყვარელი ქალი. დღემდე დაუდგენელ მიზეზთა გამო ქორწილამდე კიდევ რამდენიმე წელი გავიდა. საკვირაო სკოლაში მათი პირველი შეხვედრიდან მხოლოდ 29 წლის შემდეგ მოახერხა მომავალმა პრეზიდენტმა ბესის საკურთხეველთან მიყვანა.

დაოჯახების მერეც თრუმენი მიზანსწრაფულ შეყვარებულად დარჩა. მხოლოდ ფინანსური წარმატების მიღწევით არ დაკმაყოფილდა. ჯერ აშშ-ის სენატორი, შემდეგ ვიცე-პრეზიდენტი და ბოლოს ქვეყნის პირველი პირიც გახდა. მისი სიდედრი მგონი ცოცხალიც აღარ იყო, როდესაც სამოცს გადაცილებული სიძე თავის ძველებურად სათაყვანო მეუღლეს თეთრ სახლში შეუძღვა. მთავარი ეს არ არის. აღსანიშნავია, რომ პირველი ბიძგი, უმეტესად, სასურველზე დიდ შედეგს გამოიწვევს ხოლმე. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, კანონზომიერი იყო თრუმენის კარიერა.

წარმატების თეორიის განსხეულებული გენია ჩარლზ ჩაპლინი არამხოლოდ „დემოკრატი“ მამის პოზიციიდან ამბობს ჯერალდინასადმი მიწერილ წერილში: „მეომე, ჩემო გოგონავ, ჩემს აზრებს ეომე. არ მიყვარს მორჩილი შვილები“. რთული, ხანგრძლივი, წარმატებებითა და ჩავარდნებით სავსე ცხოვრების ბოლოს, „ბებერმა ჩარლიმ“ იცოდა, რომ წარმატების თეორიის ყველაზე ეფექტური შედეგის მიღწევას დინების საწინააღმდეგოდ ჭკვიანურად მოცურავე პიროვნება შეძლებდა. შემთხვევით არ ამბობს, მორჩილი შვილები არ მიყვარსო. ძალიან უნდა საკუთარი ქალიშვილი ინდივიდუალობას მიაჩვიოს, დამოუკიდებელ მოაზროვნედ ჩამოყალიბებისკენ მიმართოს მისი ყველა მცდელობა. რჩევებსაც სწორედ ამ ერთი, დიდი მიზნის – პირადი, შინაგანი წარმატების მისაღწევად აძლევს. ბოლომდე არ უშიფრავს, მაგრამ მიანიშნებს, რომ მხოლოდ ჭკუის სწავლებისა და შობის მილოცვის სურვილმა კი არ წამოაგდო უკვე ჩაძინებული მამა ლოგინიდან, არამედ სულ სხვა საკაცობრიო სათქმელმა: „მინდა მჯეროდეს, რომ ეს შობა ღამე სასწაულების ღამეა. მინდა, მოხდეს სასწაული და შენ მართლა გაიგო ყველაფერი, ყველაფერი, რაც შენთვის მინდოდა მეთქვა“. პარადოქსია, მაგრამ უმთავრესს იშვიათად ვამბობთ ხმამაღლა. ქვეტექსტის, მინიშნებისა თუ ჩვენი დუმილის სწორად გამშიფრავის იმედად ვტოვებთ ყველაზე მნიშვნელოვან სათქმელს. თუ ნორჩი ასული ყველაფერს მიუხვდება, „ბებერი ჩარლის“ სული მშვიდად იქნება.

საინტერესოა, რატომ მისწერა პირადად ჯერალდინას და მხოლოდ მას მრავალშვილიანმა მამამ მსგავსი შინაარსის წერილი? იქნებ იმიტომ, რომ გენდერული პრობლემები პატარა ადამიანების სულმოკლეობისა და აზროვნების სიმწირის შედეგად აღმოცენებული სიმახინჯეა, რეალურად კი ყველანი ბუნებითი თანასწორობის ქვეცნობიერი წონასწორობით ვიბადებით. ჯერალდინა ბიჭად რომ გაჩენილიყო, მაინც მას მისწერდა ჩაპლინი, რადგან ადრესატი მისი პიროვნული თვისებებით შეარჩია.

უბრალოდ ვაჟიშვილის ყოლის სურვილის გამო არ იჩქარა სენატორმა თომას ჰარტ ბენტონმა, როცა მეორე ქალიშვილს ბაბუის სახელის მიხედვით ჯესი დაარქვა. „დიდი ექსპანსიონისტი“ არც მხოლოდ საკუთარი ახირების გამო ზრდიდა გოგონას XIX

საუკუნეში ბიჭებისთვის განკუთვნილი წესების შესაბამისად. გარშემო ყველას უკვირდა, რატომ მისცა სრულყოფილი განათლება ადრეულ ასაკშივე და წამყვან პოლიტიკოსთა წრეში თანასწორუფლებიან წევრად შეიყვანა მოზარდი. ჯესი ბენტონი მამის საუკეთესო მეგობარ-კოლეგად გადაიქცა. თუმცა, უკან არ მოუხედავს, ისე გაიპარა 17 წლის გოგონა ახალგაცნობილ ლეინტენანტ ჯონ ჩარლზ ფრემონტთან. დედამ მალევე შეარიგა მამა-შვილი.

სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ახალგაზრდა მისის ფრემონტის ხანგრძლივი სვლა ორმაგი წარმატებისკენ – პირად და პოლიტიკურ სარბიელზე. სანამ მისი ქმარი „დასავლეთისკენ გზამკვლევის" ტიტულს მოიპოვებდა, მშობლების სახლში დარჩენილი ახალნამშობიარევი ჯესი მეუღლის მონატრებას იმით იქარვებდა, რომ ზედმიწევნით აზუსტებდა ექსპედიციების ყველა დეტალს, ინიშნავდა ჯონის მონათხრობს, აღწერდა მის გამოცდილებას. ამ ჩანაწერების საფუძველზე შექმნა სტატიების სერია იმდროინდელი პოპულარული ჟურნალებისთვის. ბესტსელერებად ქცეული პუბლიკაციებით ჯესიმ საკუთარ ქმარს ეროვნული გმირის იმიჯი შეუქმნა ამერიკის დასავლეთში მიწების შემოერთებით დაინტერესებული მკითხველი აუდიტორიის თვალში. ცოლის პუბლიცისტურ ტალანტს ჯონმაც გაუმყარა საფუძველი, როცა მექსიკას ხელიდან გამოგლიჯა კალიფორნია და შეერთებული შტატების ტერიტორიად აქცია.

1847 წელს ბატონი ფრემონტი კალიფორნიის სამხედრო გუბერნატორი გახდა და ოჯახთან ერთად სან-ფრანცისკოში დასახლდა. პოლიტიკაში კარგად გარკვეული ქალბატონი ფრემონტი მამაკაცების თანასწორად მონაწილეობდა ქალაქის საჭირბოროტო საკითხების განხილვაში, ნებისმიერ მნიშვნელოვან თემაზე მსჯელობდა მათთან და ისინიც ანგარიშს უწევდნენ ქალის მოსაზრებებს. აქტიური ქმრის არანაკლებ აქტიური ცოლის სტატუსი, სიყვარულთან ერთად, მეუღლის პატივისცემასა და აღტაცებას სძენდა. ვინ იცის პირად-პოლიტიკურ ასპარეზზე რამდენად უფრო დიდ მწვერვალებზე ავიდოდა საპრეზიდენტო არჩევნებში ჯონის გამარჯვების შემთხვევაში. დასანანია, კალიფორნიის შტატის პირველი ლედი თეთრ სახლში რომ ვერ მოხვდა.

თეორიის შესაბამისად, საყვარელი ქალის დაცვას ცდილობდა ბოროტი ენებისა და უგულო ხალხისგან.

როცა 21 წლის იურისტმა მასზე ზუსტად სამი თვით უმცროსი რეიჩელ დონელსონ-რობარდსი გაიცნო, პათოლოგიური ეჭვიანობით დაავადებულ ქმარს ახალდაცილებული ქალი დროებით დედასთან ცხოვრობდა. XVIII საუკუნის მიწურულს ოფიციალური განქორწინების მიღწევა უკიდურესად რთული, ლამის შეუძლებელი იყო ამერიკულ რეალობაში. ამიტომ რეიჩელმა ქმართან დაბრუნება და ურთიერთობის მოგვარება სცადა, თუმცა უშედეგოდ. ისევ მშობლების სახლში დაბრუნდა. ამასობაში ჯექსონს და დონელსონს ერთმანეთი შეუყვარდათ. მალე პოლკოვნიკმა რობარდსმაც გადაწყვიტა ახალი ცოლის მოყვანა, უკან არაფერზე დაუხევია და განქორწინების უფლება რეიჩელის სახელის გატეხის ფასად მოიპოვა. ასე დაიწყო დონელსონისთვის ბინძური ჭორებით, გულისტკენით, უსამართლო ბრალდებებით სავსე ორმოცი წელი.

ენდრიუ ჯექსონი ქალის ოჯახის თანხმობით დაქორწინდა და მთელი ცხოვრება ცოლის სახელისა და პატიოსნების დაცვას მიუძღვნა. თავდაპირველად ქონების დაგროვებას მიჰყო ხელი იმ მოსაზრებით, მდიდრებს არ ასამართლებენო. ამ ტაქტიკამ არ გაამართლა. მაშინ კარიერის კეთებაზე გადავიდა. ჯერ ფლორიდის სამხედრო გუბერნატორი გახდა, შემდეგ აშშ-ის სენატორი ტენესის შტატიდან. ბოლოს საპრეზიდენტო არჩევნებშიც სცადა ბედი.

1824 წელს არ გაუმართლა. მის ამომრჩევლებს სჯეროდათ, რომ „ხალხის კაცს“ კუთვნილი ხმები მოპარეს „კორუმპირებულმა არისტოკრატებმა ალმოსავლეთიდან“. მეორე ცდაზე უკეთ დაგეგმა საარჩევნო კამპანია, მეტი გავლენიანი ხალხი შემოიკრიბა და მათთან ერთად ძველი რესპუბლიკური პარტიისგან დემოკრატიული ჩამოაყალიბა. საარჩევნო პერიპეტიების დროს ჯექსონს მოწინააღმდეგეები „ვირს“ (Jackass) ეძახდნენ მისი გვარის პერიფრაზირებით. გაბრაზების მაგივრად, ენდრიუმ დროებით საკუთარ სიმბოლოდ გამოიყენა ეს ოთხფეხა არსება. მოგვიანებით კარიკატურისტმა თომას ნასტმა მივიწყებული ვირი გაიხსენა და იმდენად პოპულარული გახადა, რომ იგი დღესაც დემოკრატიული პარტიის თილისმაა.

1828 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჯექსონმა თავისი ძველი ოპონენტი ადამსი დაამარცხა და თეთრ სახლში მოხვდა,

მაგრამ წინასწარ ვერაფრით წარმოიდგენდა რის ფასად დაუჯდებოდა პოლიტიკური წარმატება. საპრეზიდენტო კანდიდატების მომხრეებმა პრესა მძლავრად გამოიყენეს მოწინააღმდეგეზე რიტორიკული თავდასხმებისთვის. მოგვიანებით გაზეთის ფურცლებიდან წარმოებული ბინძური ბრძოლა ენდრიუსთვის პირადულ ომად გადაიქცა, რადგან მისი ცოლი ორქმრიანობაში დაადანაშაულეს. ჯექსონმა განაცხადა, რომ საკუთარ შეურაცხყოფას ყველას შეუნდობდა, მაგრამ მის მეუღლეზე თავდასხმას არავის აპატიებდა. ოთხი ათეული წლის წინანდელ კერძო ამბავს არაფერი ჰქონდა საერთო საპრეზიდენტო არჩევნებთან.

მომავალი პირველი ლედის წინააღმდეგ რეპორტიორები შეუბრალებლად ილაშქრებდნენ ცოლ-ქმრული ღალატის საბაბით. მათი შეჩერება-დანამუსება რომ ვერ მოახერხა, ჯექსონი შეეცადა რეიჩელისთვის დაემალა მსგავსი პუბლიკაციები, მაგრამ გონიერი ქალის თვალსა და ყურს მეგაზეთეთა მიერ აგორებული საშინელი სკანდალი მთლიანად როგორ გამოეპარებოდა. საკმარისი აღმოჩნდა ინფორმაციის ის ნაფლეთებიც, რაც მის მზერას მისწვდა. მისის ჯექსონი მიხვდა, რომ მისი წარსული ეროვნული პრესის ფურცლებზე ენის მოსაქავებლად გამოეტანათ. პირადი ტრაგედიის ამგვარი საჯაროობა საშინლად სტანჯავდა. ის, რაც მისი ემოციების დამცავი ბარიერი უნდა ყოფილიყო, კიდევ უფრო მეტი ღვარძლისა და შეურაცხყოფის საბაბად გადაიქცა. რეიჩელი ლოგინად ჩავარდა და საპრეზიდენტო არჩევნებში ქმრის გამარჯვებიდან ორ კვირაში გულის შეტევით გარდაიცვალა. ინაუგურაციას ვერ მოესწრო, პირველი ლედის იმუნიტეტით ვერ ისარგებლა. ენდრიუ ხომ სწორედ ამიტომ მიილტვოდა ვაშინგტონში. ათი ათასზე მეტი ადამიანი მივიდა უბედური ქალის გასვენებაში. მისის ჯექსონი შობის წინა დღეს დაკრძალეს საინაუგურაციო ზეიმისთვის შერჩეულ თეთრ კაბაში.

მეუღლის სიკვდილში ენდრიუ ჯექსონმა ჯონ კუინსი ადამსი დაადანაშაულა და არასოდეს აპატია, რომ მის ქორწინებასთან დაკავშირებული ძველისძველი სკანდალი 1828 წლის საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მთელი ამერიკის მასშტაბით გაავრცელა.

საინაუგურაციო წვეულებაზე ენდრიუ ჯექსონმა ბრძანება გასცა, უბრალო ხალხი თეთრ სახლში შეეშვათ. მათ შენობა ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ დაუპატიჟებელი სტუმრები სასწრაფოდ გა-

რეთ გაიტყუეს დიდი რაოდენობით სასმელის ეზოში გატანით. ასეთი მყვირალა პოპულიზმის გამო, ჯექსონს „ბრბოს მეფე" შეარქვეს.

ბედის ირონიას ჰგავს ყოველივე ენდრიუ ჯექსონის ცხოვრებაში. საყვარელ ქალზე ორჯერ მოუწია დაქორწინება, რადგან პირველი ქორწინება უკანონოდ სცნეს. სიმდიდრე, სახელი და ქვეყანაში ნომერ პირველი თანამდებობა მრავალწლიანი დაუღალავი შრომით მოიპოვა იმისთვის, რომ მის ცოლს ყველა მოქალაქეზე მაღალი სტატუსი ჰქონოდა და ველარავის გაებედა მისი სახელის აუგად ხსენება, საწინააღმდეგო შედეგი კი მიიღო.

ენდრიუს და რეიჩელს დიდი სიყვარულის სახელით იგნორირებული საზოგადოებრივი აზრი დაგვიანებით, მაგრამ მაინც წამოეწია. სადღაც რაღაც არ თუ ვერ გათვალეს. წარმატების თეორია აუცილებლად სიმდიდრისა და კარიერის მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე სირბილს არ გულისხმობს. პლანტაციის საზღვრების გარღვევა რომ არ ეცადათ, შესაძლოა კიდევ დიდხანს ეცხოვრათ საკუთარ ბედნიერ ნაჭუჭში ჩაკეტილებს.

იქნებ არ ცდებოდნენ „ვაშინგტონელი სნობები", ჯექსონების წყვილი თეთრი სახლისთვის შეუფერებელ პროვინციელებად რომ მიაჩნდათ. ცოლ-ქმარი ინტუიციურადაც კი ვერ შეიგრძნობდა ლოურენს დურელისეულ პოსტულატს: „სიმართლე ქრება თქმისთანავე". დროულად აღმოაჩინა ეს ჭეშმარიტება დინა დურბინამ და მშვიდად ცხოვრების ხანგრძლივი უფლებაც მოიპოვა. დასანანია, რომ მსმენელს მოაკლდა მისი ზარივით დრამატული სოპრანოს მაგია. ჟურნალისტებს და საზოგადოებას ათწლეულებია აწვალებს ცნობისმოყვარეობა, როგორ ცხოვრობს, რას აკეთებს, ახლა როგორია. რადგან საჯაროობას გაურბის, თანხვედრისა და წინააღმდეგობის თეორიიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პირადი ბედნიერებით საზრდოობს.

ურეიჩელოდ ჩვიდმეტი წელი მოუწია ცხოვრება ენდრიუ ჯექსონს. პრეზიდენტობის პერიოდიდან შემორჩენილ ყველა ნახატზე, ფოტოსა თუ ქანდაკებაზე უსაშველოდ სევდიანი, ნატანჯი გამოხედვა აქვს. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გადაღებულ დაგეროტიპულ სურათზე გვერდულად ზის, თითქოს უკვე ემიჯნება ამ სამყაროს. არა მარტო ფიქრით, ლამის ფიზიკურადაც იქ არის, მი-

სის ენდრიუ ჯექსონთან. ლუი დე ფიუნესისეული უკმაყოფილო პროფილით ქვემოთკენ მიუმართავს მზერა, თითქოს, ერთი სული აქვს, უკანასკნელად წამოხტეს ძველებური მოქნილობით, რომ სახლიდან ალმოსავლეთით „ერმიტაჟის" ეზოში გავარდეს, რეიჩელის განსასვენებლამდე მიაღწიოს და სული მის სიახლოვეს დალიოს.

მსტისლავ როსტროპოვიჩი სწორედ სევდას მიიჩნევდა საკუთარი დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგიის წყაროდ. ასე თვლიდა გენიალური მუსიკოსი, რომელსაც ბედნიერება და წარმატება ადრეული ასაკიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე თან ახლდა როგორც პროფესიულ ასპარეზზე, ასევე პირად ცხოვრებაში. ვფიქრობ, მისი მოტივაცია მუდამ ეფუძნებოდა უკვე მიღწეულის შენარჩუნებისათვის ბრძოლას. მსგავსი სიტუაციაა ფრანგულ მელოდრამაში „ფანფანის სიყვარულის გემო", როცა მთავარ პერსონაჟს ყოველ დილას ხელახლა უწევს სასურველი ქალის გულის დაპყრობა დღის ბოლომდე.

ფრანგი ქალის გონიერებას გვიან ჩასწვდა ელეონორა რუზველტი, რომელსაც საყვარელ მამაკაცზე დაქორწინების შემდეგ მიზანი მიღწეული ეგონა. მასაც და მის ორგულ მეორე ნახევარსაც პირად მაგალითზე მოუწიათ წინააღმდეგობისა და თანხვედრის თეორიის გააზრება. ფრანკლინ დელანო რუზველტისთვის მოულოდნელი ავადმყოფობა იქცა შემდგომი პოლიტიკური აქტიურობის კატალიზატორად, მაშინ როცა ელეონორასთვის ქმრის ღალატმა შეასრულა იგივე ფუნქცია. ამ არაორდინალური ქალის ბედი მაფიქრებინებს, რომ ზოგჯერ „არანორმალური" მამაკაცები ქმნიან „არანორმალურ" ქალებს და ისინი ფემინისტები ხდებიან. დამსხვრეული ბედნიერება აღმოჩნდა ყველაზე ძლევამოსილი პირველი ლედის წარმატების მიზეზი. ელეონორა ტკივილმა აიძულა ძლიერი ყოფილიყო, ქმარს გასჯიბრებოდა და, გარკვეული აზრით, მისთვის გაესწრო როგორც პოლიტიკურ, ასევე ცხოვრების ასპარეზზე. მეუღლის სიყვარულითა და მზრუნველობით განებივრებული ბესი ტრუმენი ვერასდროს იტყოდა ისეთი გულწრფელი ტრაგიზმით, როგორც ელეონორა: „ქალი ჰგავს ჩაის ფერს. მხოლოდ ცხელ წყალში მოხვედრისას გამოჩნდება, რამდენად მაგარია იგი".

სამაგიეროდ, ქმრის სიყვარულით განებივრებულ ბესი ტრუმენს შეეძლო ხუმრობაში გაეტარებინა ყველა პროვოკაცია, რო-

მელსაც მას ან მის მეუღლეს უწყობდნენ. ამის ნათელი მაგალითია ეროვნულ პრესკლუბში მომხდარი ინციდენტი ჰარი თრუმენის ვიცე-პრეზიდენტობის პერიოდში. იგი საკმაოდ კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე. წვეულების დროს ჟურნალისტების დაჟინებული თხოვნით, დაკვრას დათანხმდა. მოულოდნელად, ჰოლივუდის მსახიობი ლორა ბეკოლი როიალზე უბოდიშოდ წამოუსკუპდა და ფოტოგრაფებისთვის პოზირება დაიწყო. ამასთან დაკავშირებით ბესის კომენტარი სთხოვეს რეპორტიორებმა. მისის თრუმენმა არ გააწბილა სკანდალზე დაგეშილი სვავები. მან ქმარს ირონიული ღიმილით ურჩია: „სწორედ რომ დროა, დაკვრას თავი დაანებო“. თუ რუზველტების წყვილი შეჯიბრებითობის პრინციპით სულდგმულობდა, თრუმენები სრულყოფილებამდე ავსებდნენ ერთმანეთს.

როდის ან სად დაიწყო ქალის უცნაური ბედისწერა, რომლის მიხედვითაც მას მუდამჟამ ცხელ წყალში უწევს ჩაყურყუმალება, იქიდან კი უფრო ქორფა და ნორჩი უნდა ამოვიდეს. სხვაც არაერთი იყო ისტორიული პიროვნება, ზღაპრული ფენიქსივით განახლების უნარის მქონე, მაგრამ მუდამ განსაკუთრებულად მთრგუნავდა უთქმელი სევდით გაკაჟებული ჰატშეფსუტის კლდეში ნაკვეთი კივილი ადამიანური თავისუფლებისთვის.

თუტმოს I-ის ქალიშვილი, თუტმოს II-ის მეუღლე და თუტმოს III-ის რეგენტი დედოფალი, იქნებ, ჯესი ფრიმანტის მსგავსად მიეჩვია მამაკაცურად აზროვნებას, რადგან მათი ოცნებები შეისისხლხორცა და მიზნები გაითავისა. სამი დიდებული ფარაონის მუდმივ თანაზიარობას მიჩვეული, ველარ დაუბრუნდა ქალთა დარბაზებსა და დიაცისთვის განკუთვნილ ტრადიციულ ხელსაქმეს. ძველეგვიპტურ ქრონიკებს თანამედროვე ენაგრძელი მედიის მსგავსად რომ შემოენახა ამ საოცარი ქალის ენერგიის საიდუმლოება, მაშინ იქნებ გაგვეგო რა სევდა აიძულებდა ულამაზესპროფილიან მბრძანებელს ჩაფხუტითა და მიწებებული წვერით გამოცხადებოდა შთამომავლობას ათასწლეულების სიშორიდან. ოცდაორი წელი მართავდა ანტიკური სამყაროს უძლიერეს ქვეყანას. ბევრ მამაკაც ფარაონს შეშურდებოდა მისი წარმატება, რადგან იგი იყო „უპირველესი წარჩინებულ ქალთა შორის“ და ერთ-ერთი უდიდესი ზემო და ქვემო ეგვიპტის მმართველთაგან.

იქნებ ქალი-ფარაონის ამბიციურობის მიღმა სუსტი სქესის გამეფებაზე უფრო უჩვეულო და სკანდალური ფაქტი იმალება, სახელად სენენმუტი? არსაიდან მოვლენილ, დაბალი წოდების მამაკაცს სამეფო ოჯახში მიუჩინეს ღირსეული ადგილი. სწორედ მას დაავალა ჰატშეფსუტმა საკუთარი საუკუნო განსასვენებლის აგება. ქრისტემდე მეთხუთმეტე საუკუნის ეგვიპტეში ეს უსაზღვრო ნდობის ნიშანი იყო. დეზინ-დეზის შემყურე ჰემინგუეის შეეძლო ეთქვა: კაცი კარგად აგებს მაშინ, როცა შეყვარებულია. ბევრი რამ მოსპო თუტმოს III-ის შურისძიებით ნასაზრდოებმა ვნებამ ჰატშეფსუტის დანატოვარიდან, მაგრამ მისი სულის მოსახსენებელი ტაძარი XXI საუკუნეშიც ისეთივე მდუმარე სიამაყით იკვეთება ჩამოშლილ კლდეში, როგორც მცხუნვარე ეგვიპტის იმ მირაჟულ დღეს, ქვაში ჩაკირული დედოფლისეული ძლიერება რომ შეიცნო და უკვდავყო ოსტატმა.

ჰატშეფსუტის ბედისწერა იზიდასეული „ცრემლის ღამით" აღსრულებული წარმატების თეორიის კიდევ ერთი ნიმუშია. ამონის ქალიშვილამდეც არსებობდნენ ქალი-ფარაონები და მის შემდეგაც არაერთი ეწეოდა მმართველობის სიმძიმეს ნატიფი ქალური მხრებით. თუტმოს II-ის თანამეცხედრეს ვერავინ გაუტოლდა. დუმს ჰატშეფსუტის მზისფერი ანფასი. სფინქსივით ელოდება, როდის ამოხსნიან თავსატეხს ამონ-რას ასულის სევდის შესახებ.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ნორმალურ ქალს რაღაც ზოგადსაკაცობრიო მოტივით ბრძოლა უფრო ხიბლავდეს, ვიდრე პირადი ბედნიერება. წარმატების თეორიის ამოქმედება ყოველთვის მხოლოდ მას შემდეგ იწყება, როდესაც გარკვეული სახის, თუნდაც უმნიშვნელო დაუკმაყოფილებლობა იჩენს თავს. ეს კანონზომიერება თანაბრად ვრცელდება ყველაზე, ქალსა თუ მამაკაცზე. ზღვარი ყველასთვის ერთ წერტილზე გადის – ადამიანობასა და მის მიღმა. თუმცა გასათვალისწინებელია თანხვედრისა და წინააღმდეგობის თეორიის უკიდურესად ინდივიდუალური ბუნება, რის გამოც იგი ბევრად უფრო სრულყოფილ, უნივერსალურ ფარდობითობის თეორიაზეა დამოკიდებული.

ძუ ლომის მისტერია

ყოვლისშემძლე მაჰადევას უმშვენიერესი ქმნილება ნამდვილად არ ყოფილა ფემინიზმის იდეებზე ორიენტირებული. ფუფუნება და მუდმივი გატუტუცება სჭირდებოდა მხოლოდ; მაგრამ ერთხელაც ყველა ნატვრა აისრულა და რადგან აღარ იცოდა კიდევ რა სურდა, საშინლად გაბრაზდა. მაჰადევამ მორიგ საჩუქარზე ბევრი იფიქრა და ბოლოს ქალს ქმარი გაუჩინა. დანამდვილებით არავინ იცის, ინდუსთა დიდი ღმერთი ლამაზმანის დასჯის მიზნით მოიქცა ასე თუ დაშოშმინების...

1911 წელს გაზეთ „კოლხიდაში" მოთხრობილი ლეგენდა აშკარად ირონიზირებს იმ იდეასთან დაკავშირებით, რომ მამაკაცს უსამართლოდ უწევს ჭირვეული მეორე ნახევრის ატანა. კაცობრიობის ძლიერ ნაწილს მუდამ ხიბლავდა ძლევამოსილი გმირის როლში ყოფნა, რის პარალელურადაც მორჩილად თანხმდებოდა სუსტი სქესის წარმომადგენელთა მსხვერპლის იმიჯსაც. რა თქმა უნდა, ამ მოსაზრებას ვერ განვაზოგადებთ, რადგან ყოველთვის არსებობდნენ და იარსებებენ ნამდვილი მამაკაცებიცა და ჭეშმარიტი მანდილოსნებიც, რომელთა თვითმიზანი ჰარმონიული თანაცხოვრებაა და არა – აბსურდული დაპირისპირება: ქალები თუ კაცები?

ცალმკერდა ამორძალები იმავე ყაიდის მამაკაცთა გამონაგონია, XVIII საუკუნიდან მოყოლებული რომ ქმნიან ფემინისტთა თაობებს. მეომარი მზეთუნახავები, რომლებსაც ბედისწერამ არ არგუნა ოჯახური იდილია, იძულებულნი იყვნენ თავად შეექმნათ ცხოვრების ახალი კანონები, რათა თავისუფალი ქალური სული გადაერჩინათ უსამართლო და გახრწნილი საზოგადოების მოთხოვნებისგან. თვით ამ ლეგენდის ბოლოს გამოკრთება ფარული ქალური ოცნება საკუთარ კერაზე, რაც სწორედ იმის დასტურია, რომ პირადი არჩევანი როდი აქცევს ქალს მარტოხელა მეომრად.

აგამემნონის გავეშებული მეუღლე კლიტემნესტრა და უუფლებო კასანდრა ერთი დროის შვილები არიან, ერთი გადაგვარებული კაცის ქმედებათა ორი განსხვავებული პროდუქტი. ერთის ქა-

ლურობა გაანადგურა მეუღლის ღალატმა და სითავხედემ, მეორემ კი მორჩილად აიტანა თავსდატეხილი ყველა უბედურება და უსამართლობა. მსგავსი ორი უკიდურესობა მიუღებელი უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანისთვის. შუალედური გამოსავლის ძიება და შესაბამისად მოქმედება გონიერი არსების ვალდებულებაა.

ბიბლიასაც ბევრი იყენებდა და იყენებს უმართებულოდ, მაგრამ სწორედ წმინდა წიგნი ათანაბრებს ადამიანებს სქესის, რასისა თუ ნებისმიერი სხვა მაჩვენებლის მიუხედავად. კდემამოსილი უკანდახევა ქალის მეორეხარისხოვნებას არ გულისხმობს. ამის დასტურია პავლე მოციქულის შეგონება: „არა დამონებულ არს ძმაჲ, გინა დაჲ, არამედ განეყენენ". ამ რწმენით საზრდოობდა და იწრთობოდა მართლმადიდებელ ასულთა ქართული სული. შუშანიკი კაცს კი არ ებრძვის ვარსქენში, არამედ არაკაცს, რომელმაც გაყიდა ღმერთი, სამშობლო და ოჯახი. რჯულის ერთგული ცოლი უნებურად იცავს სწორედ იმ ფასეულობებს, რაც საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობის საფუძველია. მეუღლეობის შეგრძნება ავალდებულებს შუშანიკს, რომ სუსტი მხრებით იტვირთოს პასუხისმგებლობა ქმრის საქციელით გამოწვეულ კატასტროფაზე და ორივეს მაგივრად იბრძოლოს ქრისტიანობისთვის. მას რომ არ ჰქონოდა თანასწორუფლებიანობის ღვთიურობის შეგრძნება, ვერ ამაღლდებოდა ყოფიერებაზე და სულისთვის თავს ვერ გადადებდა. შუშანიკის მიერ სარწმუნოების დაცვა V საუკუნის ქართული პოლიტიკის მანიფესტად იქცა, რაც ქვეყნისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ქვემო ქართლის პიტიახშის ოჯახის ნომინალური შენარჩუნება.

რატომ და ვის ეშინია ძლიერი სულის ქალბატონების? ან რას კარგავენ კაცები ქალებთან თანასწორობაზე დათანხმების შემთხვევაში?

ფემინიზმის ოპონენტების აზრით, პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა გამოიწვევს ისეთ „სოციალურ ბოროტებებს", როგორიცაა: ოჯახის ინსტიტუტის გაქრობა, საზოგადოების სტრუქტურის დაშლა, არასრულწლოვანთა დანაშაულის გაზრდა და „იმ განსაკუთრებული ქალური მომხიბლაობის დაკარგვა, ასე სასიამოვნოს და გამოუცნობს რომ ხდის ცხოვრებას". ამ ცრუპოზიციის დამცველებს ავიწყდებათ ქალთა გმირობისა და თავდადების ისტორიული

მაგალითები, რომლებიც არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების, არამედ მსოფლიოს ბედ-იღბლისთვის გამომდგარა გადამწყვეტი. დასაფიქრებელია, როგორი იქნებოდა ან საერთოდ თუ იარსებებდა თანამედროვე საფრანგეთი, პატარა გოგონას რომ დიდ პოლიტიკაში ჩარევა არ განეზრახა. ინგლისის იმპერიული ამბიციების განხორციელებაც ეჭვის ქვეშ დადგებოდა „ქალწული დედოფლის“ ეპოქის გარეშე. საქართველოშიც მუდამ იყვნენ აქტიური მანდილოსნები და როცა კანონი მათ ასპარეზს უზღუდავდა, ყოველთვის გამოჩნდებოდნენ გმირ-ქალთა მხარდასაჭერად მზადმყოფი, პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მამაკაცები. ძნელი წარმოსადგენია ბახტრიონის გამარჯვება უმშვენიერესი ლელას თავგანწირული ხატების გარეშე. ამ ფონზე ნათლად ჩანს, რომ სრულიად განსხვავებული დამოკიდებულებაა, ქალს უღირსად თვლის მამაკაცი და ამიტომ არ უშვებს საზოგადოებრივ ასპარეზზე, თუ ენანება მისი თავდადება და უფრთხილდება.

დასავლური პროპაგანდის თანახმად, ქალთა უფლებების შეზღუდვა კაცობრიობის საკეთილდღეოდ ხორციელდება. თუ მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გააქტიურების საშუალება მიეცათ, ოჯახის ტრადიციებიდან ის მცირედიც დაინგრევა, რაც ბობოქარ ფემინისტურ ბატალიებს გადაურჩა და XXI საუკუნემდე მოაღწია. მაია წყნეთელსა და თამარ ვაშლოვანელზე ლეგენდებს თუ ვენდობით, ქვეყნის დამშვიდების შემდეგ ისინი გათხოვდნენ და ღირსეული მეუღლეობა და დედობა გასწიეს. სინამდვილეში ასეც რომ არ მომხდარიყო, თქმულებებს ისტორიული სიზუსტე არ მოეთხოვებათ. მნიშვნელოვანია, რომ ამ იდეალებზე გაიზარდა ქართველ ქალთა არაერთი თაობა.

ბეტი ფრიდანის წიგნი „ქალურობის იდუმალება“ XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს პუბლიცისტურ თხზულებად ითვლება. ავტორის აზრით, ფსევდომეცნიერული თეორიების ბაზაზე, გოგონებს ადრეული ასაკიდან უნერგავდნენ, რომ მათი მთავარი დანიშნულება საქმროს პოვნა, გათხოვება და შვილების გაჩენა იყო. „მათ ასწავლიდნენ ნერვული, არაქალური, უბედური ქალების შეცოდებას, რომლებსაც პოეტობა, ექიმობა ან პრეზიდენტობა უნდოდათ. მათ შეიტყვეს, რომ ჭეშმარიტი ქალურობის მქონე ქალებს არ სურთ კარიერა, უმაღლესი განათლება, პოლიტიკური უფლებები – დამო-

უკიდებლობა და შესაძლებლობები, რისთვისაც იბრძოდნენ ძველმოდური ფემინისტები“. ამგვარ პროპაგანდას მეთოდურად აწარმოებდა ამერიკული მედია და სარეკლამო ინდუსტრია. სამი ათეული წლის შემდეგ კი აშშ-ის სამზარეულოებში დაგუბებული ენერგია ფემინისტური მოძრაობის „მეორე ტალღად“ გადმოდინდა და „დიასახლისთა სინდრომიც“ თან გაიყოლა.

ვფიქრობ, ცალკე ფემინიზმის, მთლიანობაში კი კაცობრიობის პრობლემა ისაა, რომ ერთი მოვლენის ცალკეულ ასპექტს განიხილავს მაშინ, როცა მისი მთლიანობაში აღქმაა აუცილებელი. საკამათო არასდროს უნდა გახდეს, რომ ქალის უპირველესი დანიშნულება ოჯახის შექმნა და ღირსეული შთამომავლობის აღზრდაა. კონფლიქტი მაშინ იჩენს თავს, როდესაც „ბედნიერი დიასახლისობის ბანგი“ ძალადთავსმოხვეულია. ქალს უნდა ჰქონდეს საკუთარი დანიშნულების აღსრულებისა და მისი გაკონტროლების სრული უფლება. მომენტებში, როდესაც პოლიტიკურ თუ სოციალურ გააქტიურებას საჭიროდ ჩათვლის, დაწერილმა კანონებმა არ უნდა შეაფერხოს, რადგან ეს აუცილებელია არა მხოლოდ მისი, როგორც ინდივიდის უფლებების დასაცავად, არამედ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი – საზოგადოებრივი წყობილების წინსვლისა და განვითარებისთვის, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოებრივი სტაბილურობისა და პროგრესის გარანტია.

საკუთარი სურვილით არცერთი ნორმალური ქალი არ აირჩევს მარტოხელობას ან თუნდაც – სამოქალაქო ქმარსა და ფაქტობრივ ქორწინებას. ვერანაირი პროპაგანდა და სარეკლამო აგიტაცია ვერ შეძლებს ადამიანის ბუნებაში კოდირებული ჯანსაღი ოჯახის შექმნის ინსტინქტის შეცვლას. უთუოდ ამის დასტურია ისიც, თუ როგორ მიელტვიან სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები თავიანთი კავშირისთვის ქორწინების სტატუსისა და ოჯახის ფორმის ოფიციალურად მინიჭების უფლებას. დადგენილი წესიდან დროებითი ცდომილება კიდევ უფრო აძლიერებს იდეალისკენ მიზანსწრაფულ სვლას. ასე რომ არ ყოფილიყო, ფემინიზმის მიძინებულ „პირველ ტალღას“ ოცდაათწლიანი პაუზის შემდეგ არ მოჰყვებოდა უფრო მძლავრი „მეორე ტალღა“ და, სწორედ იმიტომ, რომ იდეალი კვლავ მიუღწეველი დარჩა, „მესამე ტალღაც“ აგორდა, რომელმაც, ვფიქრობ, უფრო მეტი დათიშულობა მოიტანა, ვიდრე მანამდე

არსებობდა და ვერ შეძლო სქესთა შორის განხეთქილების განეიტრალება. გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ მომავალში ქალთა მოძრაობის გააქტიურების ახალი ეტაპი დაიწყება. ვიდრე პრობლემა მოუგვარებელია, საზოგადოება ან მისი გარკვეული ნაწილი დაშოშმინებას ვერ შეძლებს და სულერთია მას ფემინიზმი დაერქმევა, ანტიფემინიზმი თუ „უსახელო პრობლემა".

ასე გაგრძელდება დაუსრულებლად, სანამ ფემინისტები და მათი ოპონენტები არ შეიგნებენ, რომ აბსურდულია იბრძოლო იმგვარი მეთოდებით, რის შედეგადაც მამაკაცებისგან კიდევ უფრო მკვეთრად გამიჯნულნი ხდებიან ქალები. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ენობრივი ფემინიზმი (language feminism). ყურს ბევრად უფრო უხეშად ხვდება congresswaman, policewoman და womankind ვიდრე ლინგვისტთა მიერ საერთაშორისო სტანდარტის მიღება იქნებოდა, რომლის თანახმადაც რთული სიტყვების -man ნაწილი გამორიცხავდა სქესობრივ კუთვნილებას და მხოლოდ პროფესიის, ზოგადად, ადამიანის აღმნიშვნელი იქნებოდა, ანუ დაიბრუნებდა იმ მნიშვნელობას, რაც რამდენიმე საუკუნის წინანდელ ინგლისურ ენაში ჰქონდა. სასაცილო ფორმების «he or she» და «s/he» ძალად დამკვიდრებაც სრულიად აბსურდულია. ასევე მიუღებელი მგონია მესამე მხოლობითის უსქესო ფორმად მრავლობითი they-ის გამოყენება. მწერლური თვალსაზრისით ბევრად უფრო ბუნებრივია he-ის გამოყენება სქესობრივი დატვირთვის მიუნიჭებლად. თუ ფემინისტთა ნაწილი კატეგორიულად ითხოვს ისტორიული ლინგვისტური ტრადიციის „ნაკლის" აღმოფხვრას, ნუთუ ძნელია ახალი პირის ნაცვალსახელის გამოგონება? ქართველებს ორიც კი ჩამოგვიყალიბდა: ის და იგი.

სეპირ-უორფის ანუ ლინგვისტური თანაფარდობითობის ჰიპოთეზის მიხედვით: „ენის სტრუქტურა განსაზღვრავს აზროვნებისა და რეალობის აღქმის ხერხს". ეს კონცეფცია უმნიშვნელოვანესია ქართული ენის ფენომენის ასახსნელად, რომელშიც არ არსებობს მესამე მხოლობით პირში სქესის განმასხვავებელი პირის ნაცვალსახელები. ამას გარდა, ქართულში სრულიად ბუნებრივად იგულისხმება „ქალები" „კაცობრიობის" ნაწილად. თუმცა „კაცი" „მამაკაცის" სინონიმია, ილიასეული ღრმა გააზრებით ვამაყობთ ღირსეული დედაკაცებით. იმედია, ახლადმოვლენილი ფსევდოფემი-

ნისტური ნაკადი ვერ შებედავს ათასწლეულობით ჩამოყალიბებულ ქალისა და კაცის ფაქიზი ურთიერთპატივისცემის ქართულ ტრადიციას იმ ცალკეული დეფორმირებული მაგალითებით ოპონირებისას, რომელთა აღმოფხვრაც ნამდვილად საჭიროა ჩვენს ეროვნულ რეალობაში. საქართველოს ისტორიის არცერთ პერიოდში უცნაურად არ მიიჩნეოდა თამარის მეფედ წოდება, რადგან მისი მისია სამეფოს მმართველობა ანუ მეფობა იყო. „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია" გენდერული პრობლემების გაბათილების ეფექტურ გზად მესახება, თუკი მოხერხდება არასწორი ინტერპრეტაციებისგან რუსთაველის სიბრძნის სათანადოდ დაცვა.

მართალია, დასავლეთისთვის ნაკლებად ცნობილია ქეთევან დედოფლის ღვაწლი, მაგრამ სწორედ ოჯახის, ერის, ქვეყნის ერთიანობის სიწმინდის დასაცავად შეებრძოლა და როგორც მორალურად, ასევე პოლიტიკურად დაამარცხა ქართველმა ქალმა „ირანის ლომად" წოდებული კაცი. მისი მოწამებრივი მაგალითით აღფრთოვანებულმა ქართველობამ კიდევ რამდენიმე საუკუნეს გაუძლო და შეინარჩუნა ოჯახის ინსტიტუტიც, დედის კულტიც, ქრისტიანობაც, ქალის სილამაზისა და მამაკაცის სიძლიერისადმი პატივისცემაც. მზეთუნახავი ქეთევანი შაჰ-აბასში მამაკაცს კი არ უპირისპირდებოდა, არამედ საკუთარი სამშობლოს უპირველეს მტერს. ამიტომაც აჯობა. იგი ღირსეული დედაც იყო, ოჯახის კერიის უკომპრომისო მცველიც, საზოგადოების შემდუღაბებელიცა და ერის მთლიანობის გარანტიც. ამავე დროს, სამარადჟამო ლეგენდად დარჩა მისი ქალური მომხიბლავობის იდუმალება, რომელმაც გააოგნა დასავლეთ ევროპელი მისიონერები და მოგზაურები, მათ შორის პიეტრო დელა ვალე. კახეთის დედოფალი ქალისა და მამაკაცის პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის ერთ-ერთი მეტყველი სიმბოლოა.

თუ დასავლეთი, მიზეზთა გამო, ქართველი ქალის მისტიკას არ ცნობს ან უბრალოდ – არ იცნობს, ფემინიზმის მხურვალე წარმომადგენლის ვირჯინია ვულფის მაგალითიც კმარა იმის დასტურად, რომ სათანადოდ წარმოებული ქალთა მოძრაობა (გადახრათა გარეშე) ოჯახსა და საზოგადოების დადგენილ წეს-წყობილებას არ ემუქრება: ვირჯინიას ქმარიც ჰყავდა და შვილიც, სანდომიანი გარეგნობაც ჰქონდა და კეთილი ღიმილიც ხშირად ეფინა

ფიქრიან სახეზე, არც მამაკაცთა მოდგმისადმი მტრობა გამოუვლენია ოდესმე. ედუარდ ოლბის სამართლიანი შენიშვნის არ იყოს, „დიდი, ბოროტი მგლის“ მხოლოდ დღემდე ვირტუალურ სამყაროში შეყუჟულებს ეშინიათ, რომელთაც ჯიუტად არ სურთ რეალობის აღიარება.

ძლიერ პიროვნებად ჩამოყალიბება ქალურობას არ უკარგავს სუსტი სქესის წარმომადგენლებს. პირიქით, ქალის სულის სილამაზე კიდევ უფრო მიმზიდველად გამოკვეთს მის გარეგნულ მომხიბლაობასა და ეშხს. ლარა კროფტი ძლიერ სქესს ანჯელინა ჯოლის ეფექტური ფორმებით იზიდავს მხოლოდ თუ ეს თვითდაჯერებულ, უკომპლექსო და ცხოვრებაში სათანადოდ რეალიზებულ მამაკაცთა ქვეცნობიერში მუდმივად არსებული ძლიერ ქალზე ფარული ოცნების გამოხატულებაა? საინტერესო იქნებოდა არამხოლოდ ფროიდის მოსაზრება ამის თაობაზე.

ფემინისტები კაცებს კი არ უნდა დაუპირისპირდნენ, არამედ მამრობითი და მდედრობითი სქესის „არაკაცებს“. ეს ისევე ბუნებრივი იქნება, როგორც ის, რომ ფემინიზმი არ აერთიანებს მხოლოდ ქალებს და პრობლემით დაინტერესებული მამაკაცებიც თანასწორუფლებიანად იღვწიან ძალთა უკეთესი დაბალანსების მისაღწევად. ბრიტანული იუმორის თანახმად, მეუღლეს „მტერი“ ჰქვია. ირონიზირებით დაწყებული ტრაგიკული დაპირისპირება კიდევ დიდხანს იარსებებს, თუ პროგრესულმა ელიტამ არ შეაჩერა ულირსთა დემაგოგია ორივე ბანაკიდან (ვგულისხმობ ფემინისტებსა და ანტიფემინისტებს და არავითარ შემთხვევაში – კაცებსა და ქალებს, რომლებიც ორივე მხარეს დგანან).

კაცობრიობას არაერთხელ მოუწია და კვლავაც მოუწევს საწყის ეტაპზე დაბრუნება, როცა კარგი ჩანაფიქრის სათანადოდ განხორციელება ვერ ხერხდება. ქალაქ სენეკა-ფოლზში 1848 წლის 19 ივლისს მიღებულ „გრძნობათა დეკლარაციას“ ხელი მოაწერეს ქალთა უფლებების დამცველთა პირველი კონგრესის დელეგატებმა – 68 ქალმა და 32 მამაკაცმა. თუმცა ძალთა შეფარდება (დაახლოებით, ორზე ერთი) უკეთესის სურვილს ბადებს, როგორც ჩანს, ფემინიზმის გარიჟრაჟზე კაცები და ქალები ერთად იბრძოდნენ ქალთა უფლებებისთვის. თუკი „მეოთხე ტალღა“ მართლაც წარმოიქმნა, იგი ან „პირველი ტალღის“ ანალოგიურ, ან

მასზე უფრო ზოგადსაკაცობრიო და ჰუმანურ მოძრაობად უნდა ჩამოყალიბდეს. ცრუფემინიზმისა და ლიბერალიზმის ნაზავი დღეს ისეთ მღვრიე მორევს წარმოქმნის, რომ შეუძლებელი ხდება სწორ გზაზე დაბრუნება და მასშტაბური წინსვლა.

უკანასკნელ პერიოდამდე საქართველო, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკები, საკმაოდ განყენებულ პოზიციაში იმყოფებოდა დასავლეთ ევროპული და ამერიკული ფემინისტური მოძრაობის ზეგავლენისგან. გარკვეული სიახლეები სახელმწიფო საზღვრებს კვეთდა, თუმცა, უმეტესად, ინფორმაციული ხასიათის ქმედებებით შემოიფარგლებოდა. თანდათან გამოიკვეთა სახიფათო ტენდენცია — არა მარტო ქართველი ფემინისტების შექმნის, არამედ მათი „ისტორიული წინაპრების" ძიებისა. 2008 წლის მიწურულს ფონდი „ტასო" შეუდგა ახალი სერიის გამოცემას სახელწოდებით „ფემინისტური ბიბლიოთეკა", რომელშიც ევროპული მოდერნიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ფემინისტი ავტორის ვირჯინია ვულფის გვერდით კრებულის შემდგენლებმა დააყენეს ქართველი ეკატერინე გაბაშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, ბარბარე ჯორჯაძე, მარიჯანი და სხვები. ამგვარი დემაგოგიური უზუსტობა აფერხებს ფემინიზმის სათანადოდ გაგებას და ხელს ვერ შეუწყობს კრებულის წინასიტყვაობაში დასახული მიზნის განხორციელებას: „სერია საქართველოში ფემინისტი მოაზროვნეების პოპულარიზაციისა და გენდერული (ქალთა კვლევების) განვითარების ხელშეწყობისთვისაა გამიზნული და მოწოდებულია იმ შიშნარევი განწყობილების ბურუსის გასაფანტავად, რომელიც ჯერ კიდევ ახლავს სიტყვას „ფემინიზმი" ჩვენს საზოგადოებაში". საქართველოში ქალთა მოძრაობის საწყისების კვლევა ფაქიზი თემაა და ასე ხელაღებით ნებისმიერი მოღვაწე ქალის ფემინისტად მონათვლა მათზე უხეში ძალადობის ტოლფასია. XII საუკუნეში სამეფო კარის მიერ ოფიციალურ დესპანებად მივლენილი ხვაშაგ ცოქალისა და კრავაი ჯაყელის ღირსეული სახელები XXI-ში ახლად გაფემინისტებულმა არსებამ ლუკმა-პურის იოლად შოვნის მიზნით რომ გამოიყენოს, საქართველოს ისტორიული რეალობის უსინდისო დამახინჯება იქნება. ეს სწორედ ისეთი ნაბიჯია, რის წინააღმდეგაც უნდა ილაშქრებდეს თანამედროვე ფემინიზმი. თორემ ერთ დღეს ვიღაც მორიგ გრანტს მოიპოვებს და ჩვენს ისე-

დაც ზომაზე მეტად შოკირებულ საზოგადოებას „ფემინისტური“ ნაწარმოებების იარლიყით გამოუცემს დემეტრე პირველის „შენ ხარ ვენახსა“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“.

ავტორიტეტების გამოყენება პირადი მიზნებისთვის, თუნდაც „დიადი“ ფემინისტური წარმატების სურვილით, უპატიებელი შეცდომაა. ეს ისეთივე დანაშაულია, როგორც 1765 წელს სერ უილიამ ბლექსტოუნის „კომენტარებში“ მოცემული კანონის დამახინჯებული ინტერპრეტაცია: „ქორწინების შედეგად ცოლი და ქმარი კანონით ერთი პიროვნება ხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქორწინების პერიოდში ქალის თავისთავადი თუ ლეგალური არსებობა წყდება, ანდა ცოლი შეერწყმის ქმრის პიროვნებას. სწორედ ქმრის დაცვისა და მფარველობის ქვეშ, იგი ყოველივეს აღასრულებს“. უაღრესად საინტერესო იქნებოდა სერ უილიამის თვალსაზრისის გაცნობა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ აღიქვამს ერთ პიროვნებად გადაქცეულ ორ ადამიანს მაინცდამაინც მამაკაცად. „ერთ სულ და ერთ ხორც“ გახდომა სწორედ ის იდეალია, რომელიც ბუნებრივად, უბრძოლველად მოსპობს ყოველგვარ გენდერულ პრობლემასა თუ გადაგვარებას, ლოგიკურად დაასრულებს ფემინისტური ტალღების ღელვას და „დაჩაგრული“ მამრების მასკულინურ მოთქმასაც.

მცირე უზუსტობა იწვევს არსებით შეცდომას სუსტი სქესის გაგებასა თუ მის ქმედებაში: კაცებს კი არ უნდა დაუპირისპირდნენ ქალები, როდესაც საკუთარ უფლებებს იცავენ, არამედ მათთან ერთად ეცადონ უმართებულო სტერეოტიპების დამსხვრევას. მკვლელობისთვის თოფს არავინ განიკითხავს, მსროლელს სჯიან. დაწერილ კანონთა უკუღმართობის მეტყველი ნიმუშია მადონას განქორწინება გაი რიჩისთან: თავისუფლების სანაცვლოდ პოპ-მომღერალს ყოფილი ქმრისთვის რამდენიმე ათეული მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდა დაეკისრა სასამართლოს დადგენილებით. მსგავსი ფაქტი უკვე აღარ არის ერთეული შემთხვევა. და ეს ხდება იმ ფონზე, როცა ელექტრონულ ჟურნალში «Мужской альманах» ფემინისტთა მოღვაწეობის შედეგებით შეშფოთებული ერთ-ერთი მამრი წერს: „თანამედროვე ქალი ვალდებული არ არის მამაკაცის წინაშე მაშინ, როცა მამაკაცი, როგორც წესი, განქორწინების შემთხვევაში იძულებულია ყოფილ ცოლს არა მხოლოდ

ლომის წილი მისცეს ქონებიდან, არამედ წლების განმავლობაში არჩინოს იმ შემთხვევაშიც კი, თუკი განხეთქილება ცოლის მიზეზით მოხდა“. „მესამე ტალღის“ ფემინისტთა მცდარი გზით სიარულის ბრალია, რომ ხშირად თოფია დამნაშავე და არა — მსროლელი.

სწორედ იმიტომ, რომ არ დაირღვეს გენდერული ბალანსი, კაცი კაცად დარჩეს, ქალი ქალად და ოჯახი ოჯახად, აუცილებელია ადამიანის უფლებებისთვის საყოველთაო ბრძოლა, რაც გამორიცხავს ისეთ ცალკეულ დაჯგუფებებს, როგორსაც წარმოქმნის ფემინიზმი თუ მასკულიზმი. მარტივი ლოგიკაა, რომ დათიშულობა ერთობამდე ვერ მიგვიყვანს. ხელს კი ბევრი უსინდისო მოითბობს „პოლიტიკური არაკორექტულობის“ მოტივით.

თანამედროვეობის პოლიტიკური დანაშაულია, რომ მოღვაწე ქალის სინონიმი თანდათანობით ხდება სიტყვა „ფემინისტი“. ამ მხრივ აშკარად სცოდავენ როგორც ქალთა მოძრაობის მონაწილეები, ასევე მისი მოწინააღმდეგენი. უპირველეს ყოვლისა, ისინი უნდა მივიჩნიოთ ფემინისტებად, ვინც თავად თვლის თავს ასეთად. მეორეც, უფრო ძირეული კვლევაა საჭირო ე.წ. ფემინისტების მოღვაწეობის ბუნების დასადგენად, რადგან ფემინიზმის საბრძოლო ფარს ამოფარებული, ბევრი მათგანი სულ სხვა მიზნებისთვის იღვწის და ძირს უთხრის სწორედ იმას, რისი სახელითაც გამოდის, რის დაცვასაც, თითქოს, ლამობს. განსაკუთრებით საფრთხილოა ისტორიული და თანამედროვე მოღვაწეების მონათვლა ფემინისტებად მხოლოდ გამორჩეულობის ნიშნითა და სუბიექტური მოსაზრებით. სხვაგვარად, მართალი აღმოჩნდება რ.შიფერი, რომელიც ფემინიზმს „კეთილშობილ ტყუილს“ უწოდებს.

ფემინისტური თუ ანტიფემინისტური დემაგოგიის უსუსურობას განაპირობებს ფაქტოიდებზე დაყრდნობით მსჯელობა ლოგიკის კანონების გამორიცხვით. მათი დამარცხება ძალზე იოლია მეტყველი ფაქტების მოშველიებით.

მედეა, რომელსაც იმდენი რამ დააბრალეს საუკუნეების განმავლობაში, საკუთარი ლეგენდარული სტერეოტიპის ტყვედ იქცა; მაგრამ რეალობა მხოლოდ თეთრით და შავით არ არის აწყობილი. როცა ვითვალისწინებთ თეთრის წარმოშობას ყველა ფერის ერთობლიობისგან, ეს ავტომატურად გამორიცხავს ჩვენი სამყაროს

ნეგატივისფეროზას. არგონავტებზე მითის ისტორიული ანალების შესახებ ბი-ბი-სის დოკუმენტურ ფილმში გაჟღერებული ვერსია, რომ იასონის დაღუპვის შემდეგ, უბედურ დედას ღმერთებმა ჰელიოსის ეტლი გაუგზავნეს და ტრიუმფით აიყვანეს ოლიმპოზე, უკვე საეჭვოს ხდის მედეას მიერ საკუთარი ვაჟების დახოცვას ქმარზე შურისძიების მიზნით. თავისუფალი მორალის მქონე ძველ ბერძნულ პანთეონშიც კი გამორიცხული იქნებოდა შვილის მკვლელი მოკვდავისთვის ღმერთებს შორის ადგილის ბოძება. ეს ეპიზოდი ცოდვიან მიწაზე უსამართლოდ ტანჯულისთვის ზეციური ნუგეშისცემის მცდელობას წააგავს. თუმცა ბევრი სპეკულირებდა და დღესაც სცოდავს კოლხი ასულის სტერეოტიპის გამიზნულად დამახინჯებით, მედეა არც მამაკაცთა მოდგმისადმი სიძულვილს ავლენს, არც, კონკრეტულად, მოღალატე ქმრისადმი. მისი დამოკიდებულება იასონისადმი იმდენად ინერტული ჩანს, რომ ვერანაირად ვერ აახლოებს მას თანამედროვე ფემინისტებთან. პირიქით, მედეა ლაღად აღზრდილი, ამაყი, განათლებული ქალის თვითშეგრძნებით მიუყვება უბედობით აღსავსე ცხოვრებას.

ჟანა დ'არკს ერთ-ერთ ბრალდებად წაუყენეს მამაკაცის ტანსაცმლის ტარება. ამის პასუხი მოულოდნელი, თუმცა ლოგიკური იყო. ქალიშვილმა ინკვიზიტორებს აუხსნა: ქალური ტანსაცმლის ტარება მირჩევნია, მაგრამ იძულებული ვარ ჩემი ვალდებულების სათანადოდ აღსრულებისთვის ეს მსხვერპლი გავიღო და ქალისთვის არატრადიციული წესით შევიმოსო, რადგან ჯარისკაცთა შორის ამგვარი სახით უფრო დაცულად ვგრძნობ თავს და ისინიც ასე უკეთ აღმიქვამენ, როგორც თანასწორსა და თანამებრძოლსო. ამავე მიზეზით ახსნა გრძელი თმის ვაჟურად შეკვეცაც. აღსანიშნავია, რომ ქ. პუატიეს ღვთისმსახურთა კომისიის სპეციალური ნებართვით, ჟანას მამაკაცის სამოსლის (აგრეთვე, აბჯრის) ტარების უფლება ბრძოლების დაწყებამდე, 1429 წლის გაზაფხულზე მიენიჭა.

იმ ურთულეს ისტორიულ ეპოქაში ჟანა არა მხოლოდ გმირი იყო, არამედ უფლის იარაღი სამშობლოს გადარჩენის მისიაში. ამიტომ არსებითი მნიშვნელობა არც უნდა ჰქონოდა გოგონა იტვირთებდა ერის ჯვარს თუ ვაჟი. ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ ციხეში მას ქალის კაბა ეცვა სანამ ვერაგულად არ წაართვეს საკანში გამომწყვდეულს და მისი ბრალეულობის — მწვალებლო-

ბის დასამტკიცებლად მამაკაცის ტანსაცმელი დაუტოვეს მხოლოდ. ქალიშვილი იძულებული გახდა სიშიშვლე იმ ერთადერთი სამოსელით დაეფარა, რომელიც მოეპოვებოდა, თუმცა საკუთარი სურვილის წინააღმდეგ.

მაია წყნეთელსაც იძულებით მოუწია ვაჟური ტანსაცმლის ტარება. თორემ ლეგენდა იმასაც გვიამბობს, როგორც კი საშუალება მიეცა, სოფლად დასახლდა, დედაკაცის ხელსაქმეს მიუბრუნდა, დაოჯახდა და ორი ვაჟის ღირსეული დედა გახდაო. ქალების გააქტიურება, უმეტეს შემთხვევაში, თანხვედრისა და წინააღმდეგობის თეორიის პრაქტიკული განხორციელების გამოვლინებაა.

მცდარი ტენდენციაა, როცა ძლიერი პიროვნებების საქციელს არაზუსტ ინტერპრეტაციას უკეთებენ. ლოგიკურია, რომ მსგავსი ფსევდომეცნიერები უფრო საკუთარი სუსტი თეორიების გაძლიერებასა და მათთვის არსებობის უფლების მოპოვებას ისახავენ მიზნად, ვიდრე ისტორიული ფიგურების მოულოდნელ ტრანსფორმირებას თანამედროვე მოდური კონცეფციების შესაბამისად. თეორია უნდა მოერგოს პიროვნებებს და არა – პიროვნებების იმიჯი გადაკეთდეს ვიღაცის თეორიის მიხედვით.

ერთ-ერთი საჯარო ლექციის დროს ელისაბედ კედი სტენტონმა რიტორიკული კითხვა დასვა: „განა რას გახდება ერთი მამაცი ქალიშვილი მთელი სამყაროს წინააღმდეგ?" ამგვარი თვალთახედვა არასწორი საზოგადოებრივი აზრის პირმშოა, რაც იოლად აიხსნება ნიუტონის მესამე კანონის ანალოგიით: როგორი უზუსტობითაც ზემოქმედებს უსამართლო კანონი ადამიანზე, ისეთივე ძალის ცდომილებით პასუხობს ინდივიდი დადგენილ უსამართლობას.

რა შეუძლია პატარა გოგონას, რომელიც პიროვნული თავისუფლებითა და ინტელექტის ხელმისაწვდომობით საზრდოობს, ამის დასტურია მარო მაყაშვილის პიროვნება. „ღმერთო, რად დამბადე ქალად. ქალი უძლური რაღაცა საგანია კაცების აზრით, მაგრამ ეგ ტყუილია. მინდოდა ვყოფილიყავი მძლავრ და ჭკვიან კაცად. კაცს უფრო ეხერხება ყველაფერი, ვიდრე ქალს; ქალს პატრონობს კაცი, კაცს – ღმერთი..." როცა თავადის ასული ამგვარად მსჯელობდა, ვფიქრობ, მას ხარვეზთა აღმოფხვრის სურვილი აწუხებდა და არა – მამაკაცის მიერ ქალის ჩაგვრის პრობლემა. მის-

თვის ბუნებით დაკანონებულ უსამართლობას წარმოადგენდა ძალთა გადანაწილების უთანასწორობა და უცხო იყო ამერიკული პურიტანიზმის სუსხით ნასაზრდოები პატრიარქატი. ამის დასტურია გოგონას მსჯელობის სილაღე და მისი ცხოვრების ისტორია.

სასწავლებლის მესვეურებმა მაროს დაავალეს მეშვიდე კლასის გამოსაშვიდობებელი საღამოსთვის დაეწერა თემა „თავისუფალი ქართველი ქალი და თავისუფალი საქართველო", რომ მოხსენებით გამოსულიყო. დამსწრე საზოგადოებას ყმაწვილი ქალისთვის ფრთა შეუსხამს ულევი ხოტბით და ტექსტის გამოქვეყნება ურჩევია. მოძღვარს შეუქია და დაულოცავს მარო. მშობლები აღტაცებაში მოსულან უფროსი ქალიშვილის წარმატებით. ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის ერთი წლისთავის პერიოდი. ამ დროს ამერიკაში ჯერ კიდევ ღელავს ფემინიზმის „პირველი ტალღა" და დიასახლისობის აპოლოგიის შემოტევამდე ერთ ათეულ წელზე მეტია დარჩენილი.

კოხტა და სპორტული მარო ვაჟებს ტოლს არ უდებს „მამაკაცურ" ვარჯიშობებში, ცხენსაც დააგელვებს მეგობართან ერთად. ამავე დროს ქალურ ხელსაქმეშიც გაწაფულია: კერავს, ხატავს, მუსიკას დღეში ერთ საათს მაინც უთმობს, კითხვა და წერა ერთმანეთზე უფრო იტაცებს და გამოსდის კიდეც, სცენა უყვარს „გაგიჟებით" და რამდენიმე წუთით მსახიობად გადაქცევას ნატრობს ახალ-ახალი თეატრალური შთაბეჭდილებებითა და ემოციებით სავსე გოგონა. თავის დღიურში მოდური ტანსაცმლის ჩანახატები გაუკეთებია, ქსოვილის ფერისა და ფაქტურის მითითებაც არ დავიწყებია. სრულყოფილი ქალია, რომელიც დროდადრო უჯანყდება ქალის სისუსტის სტერეოტიპულ შტამპს. მაროს პროტესტი უმეტესად თანატოლი ვაჟების მხრიდან ამ საკითხზე კინკლაობის შედეგად თუ ამოყოფს თავს მისი დღიურის ფურცლებზე. უფრო მეტი სიკეთის საკეთებლად ძალ-ღონე რომ არ ყოფნის, ეს აწუხებს ქალიშვილს და არა გენდერული პრობლემა. როგორ შეიძლებოდა ფემინიზმთან ოდნავ მიახლოებული სურვილები გასჩენოდა ახალგაზრდა ქალს, რომელსაც სკოლის გამოსაშვებ საღამოზე, სხვა გოგონებთან ერთად, ამ სიტყვებით დაულოცა მომავალი დირექტორმა: „მინდა, რომ თქვენ ცხოვრებაში თქვენი აზრით და ჭკუით იყოთ და არავის, არავის არ მიბაძოთ, მაგაზე საშინელი

არაფერი არ არისო". მერე საპატიო სტუმრებმა – პაოლო იაშვილმა და დავით კოპალეიშვილმა სადღეგრძელო დალიეს და ალავერდი 17 წლის ასულს მიაწოდეს. ვფიქრობ, ეს თანასწორობის გამოხატულების ნიშანიც იყო მამაკაცების მხრიდან.

ილიას შეგონებას თუ გავითვალისწინებთ და ჩვენს ისტორიას არ დავივიწყებთ, თვალნათლივ დავინახავთ ქართველი ქალის ბედის სირთულესაც და უკიდეგანო თავისუფლებასაც, რითიც ათასწლეულების განმავლობაში სარგებლობდა. ქალის სინატიფე და მამაკაცთან შედარებით ფიზიკური სისუსტე არასდროს ყოფილა დაწერილი კანონის შედეგი, მას ბუნების წესი განაპირობებდა. უფრო მეტიც, სწორედ ბუნებითი უსამართლობის დასამარცხებლად, ქართველ ქალს მუდამ ერთგულად ედგა მხარში ქართველი რაინდი. სხვაგვარი, დისჰარმონიული ურთიერთობა წარმოუდგენელი იქნებოდა ყელღილიანი სამძივარის ქვეყანაში.

„რეალურად, ჩვენ ქალს არ ვიცნობთ. იგი ჩაბუდებულია მამაკაცის იმ განსაკუთრებულ კუნჭულში, საიდანაც ბნელი იწყება. ქალზე საუბარი იგივეა, რაც მსჯელობა საკუთარ ბნელითმოცულ, ჯერაც აღმოუჩენელ ნაწილზე, რომელშიც ჭეშმარიტი მისტერია, იდუმალებაა... მამაკაცი სრულყოფილი ან თავისუფალი ვერ გახდება, სანამ არ გაათავისუფლებს ქალს – ქალს, რომელიც მისია. ეს მამაკაცის პასუხისმგებლობის საკითხია და არა – ქალის", ასე მიაჩნდა ფედერიკო ფელინის XX საუკუნის იტალიაში. მისი მსგავსი მამაკაცის გვერდით ქალს არასოდეს დასჭირდება საკუთარ უფლებებსა თუ თავისუფლებაზე დაფიქრება, ან ამგვარი პრივილეგიების მოსაპოვებლად ფუჭი ბრძოლა. იდეალური წყვილის შემთხვევაში, ფელინი ქალს „მამაკაცის სარკეს" უწოდებს. პრობლემის სიმწვავის შეგრძნებისა და მსუბუქი ირონიის ნაზავი მგონია სწორედ მარჩელო მასტროიანის მიწვევა მამაკაცის მთავარ როლზე სატირულ კომედიაში „ქალების ქალაქი", რომელშიც ნაჩვენებია ინსტინქტებს აყოლილი, დამფრთხალი, მაგრამ თავისნათქვამა მამრის მიერ საკუთარის გატანის მცდელობა ულტრაფემინისტი მდედრების გარემოცვაშიც. ფილმი პროტესტია თანამედროვე სამყაროში ანტიქალურობის მომხრე არქეტიპის წინააღმდეგ. ამავე დროს, ესაა რეჟისორული გამოწვევა. ფელინის მიზანია, ჰიპერვიზუალიზებულ პრობლემაზე ფიქრი აიძულოს მაყურებელს. როგორც კინოკრიტი-

კოსმა ლალიტ რაომ სამართლიანად აღნიშნა: „მან შექმნა ფილმი, რომელსაც ყველა ნამდვილად ვერ იგებს“, ფელინის ზოგიერთი თავგადაკლული ფანის ჩათვლით. საკითხი კვლავაც თანამედროვე და აქტუალურია, რაც, შესაბამისად, კინოპროდუქციას ღირებულებას უნარჩუნებს. ამავე დროს, ჯერაც ძალიან ცოტამდე თუ აღწევს იტალიელი მაესტროს ფარული მესიჯი.

სანამ ფემინიზმი, ძირითადად, ქალთა მოძრაობაა, მსოფლიოში გენდერული უთანასწორობის დაბალანსების შანსი მიზერულია. რეალურად, თეორიული პროგრამის პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელიც კია. მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა ქალთა და კაცთა თანასწორუფლებიანობა, თუკი ფემინიზმი თანაბრად გახდება პოლიტიკური ქმედების არეალი ქალებისა და მამაკაცებისათვის. ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ სტიუარტ მილის მიერ 1869 წელს გამოქვეყნებულ ესეიში „ქალთა დაქვემდებარების შესახებ“ მოცემული თვალსაზრისი „ბოლო ტალღის“ ლაიტმოტივად უნდა იქცეს: „ერთი სქესის მიერ მეორის დაქვემდებარების საკანონმდებლო მხარდაჭერა... ერთ-ერთი უმთავრესი დაბრკოლებაა საკაცობრიო სრულყოფილების გზაზე“.

ვიდრე ძალთა დათიშულობა ასაზრდოებს ფემინიზმს, მხოლოდ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში მოხერხდება თითოოროლა ქალის უფლების დაცვა, პრობლემის საბოლოო გადაჭრა კი გამორიცხულია. თანამედროვე მომხმარებლურ საზოგადოებაში ფემინიზმი მანიპულირების ერთ-ერთ ფორმად ჩამოყალიბდა და უფრო მავნებლობს, ვიდრე ფუნქციონირებს. ფემინიზმის მკვლევართა ნაწილის აზრით, სიტყვა „ფემინიზმის“ არ უნდა გვეშინოდეს, რადგან ეს არის არა ქალთა მბრძანებლობა, არამედ „სიცოცხლის უფლება“. საქმეც ისაა, რომ ასე უნდა იყოს, მაგრამ ჯერჯერობით ასე არ არის.

ქეთა პოლიტი, ნადინ სტროსენი და მათი თანამოაზრე ფემინისტები მიიჩნევენ, რომ ჭეშმარიტი ფემინიზმის დედააზრია პოსტულატი – „ქალებიც ადამიანები არიან“, ხოლო ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც სქესობრივი ნიშნით თიშავს ადამიანებს მათი გაერთიანების ნაცვლად, სექსისტურია და არა – ფემინისტური. „ქალი ადამიანია. მამაკაციც ადამიანია“ – უხსნის მთელ სამყაროს „მწვანე წიგნის“ ავტორი, რომლის მსჯელობაში სარკაზმი არსად შეინიშნე-

ბა. პირიქით, მუსულმანი პოლიტიკოსი მოწადინებულია ბუნებითი კანონის (ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ინდივიდუალობის) მართებულობა და სამართლიანობა დაუმტკიცოს ყველას, ვისაც ასეთი მარტივი ჭეშმარიტების დამოუკიდებლად გაგება არ ძალუძს, ან მისი აღიარება პრინციპულად არ სურს.

კრისტინა სომერსი და „მეორე ტალღის" არაერთი ფემინისტი დღეს უკვე შეშფოთებულია გენდერული ფემინიზმის ფანატიკოს მომხრეთა აქტივობის შედეგებით და თანამედროვე სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტუალურ ასპექტად მიიჩნევს ქალების გადარჩენას ფემინიზმისგან. სავარაუდოდ, აქ ცრუფემინიზმი იგულისხმება.

ევროკავშირზე ორიენტირებულ თურქეთს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მაშინ გაუსწრია დასავლეთისთვის, როცა ამერიკელ გოგონებს სამზარეულოს დედოფლებად წვრთნიდნენ. 1934 წლის 5 დეკემბერს ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელმა ფაშამ და თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებელმა მუსტაფა ქემალ ათათურქმა სრული პოლიტიკური უფლებები, ხმის მიცემისა და არჩევნებში მონაწილეობის ჩათვლით, მიანიჭა თურქ ქალებს, რომლებსაც მოუწოდა: „განათლების ბრძოლა მოიგეთ ჩვენთვის და უფრო მეტს მისცემთ თქვენს ქვეყანას, ვიდრე ჩვენ შევძელით". იმავე წელს თურქეთის პარლამენტში თვრამეტმა პარლამენტარმა ქალმა დაიწყო მოღვაწეობა. ამ დროს ევროპის უმეტეს ქვეყნებში ქალებს საარჩევნო უფლებები ჯერაც არ გააჩნდათ.

ლიბიის დე ფაქტო ლიდერის ფემინისტური თვალთახედვა აფრიკის კონტინენტსაც მიაკუთვნებს ქალთა თანასწორობისათვის ბრძოლის არეალს: „მამაკაცისა და ქალის „ყველაფერში" თანასწორობის ამჟამად არსებული პრინციპის გამო ქალს არჩევანის თავისუფლება წართმეული აქვს". ყალბი პათოსით წარმოებულ ბრძოლას მუამარ კადაფი „ქალის მამაკაცად გადაქცევის" პროცესად აფასებს, რის შედეგადაც ქალი სულ უფრო დამონებულ მდგომარეობაში ვარდება: „ეს ძალადობაა ბუნებაზე, რომელმაც კაცსა და ქალს საკუთარი, განსაკუთრებული როლი განუსაზღვრა. სხვაგვარად, რეგრესია... დღეს არსებული ყველა საზოგადოება ქალს პროდუქტად აღიქვამს. თუ აღმოსავლეთში იგი ყიდვა-გაყიდვის საგნად ითვლება, დასავლეთში მას უბრალოდ არ აღიარებენ ქალად". ვფიქრობ, როცა რომელიმე პროგრესულ თვალსაზრისს პოლიტი-

კურად „არაკორექტულის“ დამღას ადებენ, თავად ასეთი პოლიტიკაა დაუყოვნებლივ შესაცვლელი.

დასავლეთ აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში არათუ ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა წარმოებს, არამედ კონკრეტული ქმედებები მამაკაცთან თანასწორობის პრაქტიკული გამოვლინებაა. კაცობრიობის სამარცხვინოდ, დასავლეთში დღემდე აქტუალურია 1791 წელს ანონიმურად გამოქვეყნებული ლექსის ტაეპი: „ვიდრე ქალს ბორკილები ადევს, მამაკაცი თავისუფალი ვერ იქნება“. რატომღაც ბევრ პოლიტიკურ აქტივისტს ავიწყდება მარტივი ჭეშმარიტება, რომ ყველანი Homo sapiens-ები ვართ: მდედრები თუ მამრები, ფემინისტები თუ ანტიფემინისტები, მასკულისტები თუ ეგალიტარისტები, პროფემინისტები თუ ჰუმანისტები, თეთრებიც, შავებიც, წითლებიცა და ყვითლებიც. საბოლოო ჯამში, ყველას გვინდა სახლი, კარი, ოჯახი, ჰარმონიულ საზოგადოებაში თანაცხოვრება, ძლიერი სახელმწიფოს მოქალაქეობა მშვიდობიან მსოფლიოში.

ქალი, რომელსაც აზროვნებისა და ქმედების დამოუკიდებლობა წართმეული აქვს, ვერ შეძლებს დედობისა და მეუღლეობის ვალდებულებათა სათანადოდ შესრულებას. ალბათ, სწორედ ღირსების შეგრძნება, სულის სილაღე და ქალურობის ინსტინქტი წარმართავს წინააღმდეგობრივ ტალღებს, რომელთა ქაფიდან გამოდიან სხვადასხვა დროის ახალი ამორძალები.

კონკია არგენტინულად

გვადალუპეს ღვთისმშობლის კულტი ხელთუქმნელი კათოლიკური ხატის მშობლიური მექსიკიდან ათასობით კილომეტრის დაშორებით, XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი – ზღაპრივით ლამაზი და ცხოვრებასავით სასტიკი ლეგენდის წინაპირობად იქცა. წმინდა ქალწულის სასწაულმოქმედი ხატის რეპროდუქციის გვერდით ბევრ არგენტინულ ოჯახში დღემდე მოწიწებით კიდია ევა პერონის სურათი. თანამედროვე მემარცხენე ახალგაზრდებისთვის ეროვნული პოლიტიკის მარადიულ სიმბოლოებად რჩებიან ჩე გევარა და ევიტა.

ბასკური სისხლი ემოციურ მიზანსწრაფულობასა და დაუშრეტელ ენერგიულობას ანიჭებდა მორიდებულ, თუმცა აქტიურ გოგონას. ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ მრავალრიცხოვანი ოჯახის ნაბოლარა პროვინციული ლოს-ტოლდოსიდან საკუთარი ოცნების კვალდაკვალ ბუენოს-აირესში გადაბარგდა სამსახიობო კარიერის შესაქმნელად. მიუხედავად მსოფლიოში დამკვიდრებული ევას ქერათმიანი იმიჯისა, ბუნებრივი მუქი ფერი შინაგანად ყოველთვის იცავდა იმპულსურ ქალიშვილს გაუაზრებელი ნაბიჯებისგან. პროფესიული თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობისას მის თითოეულ ქმედებას ახასიათებდა გულმოდგინება, თანმიმდევრულობა და თავდაუზოგაობა. ამის დასტურია მისი ხანმოკლე სიცოცხლე.

თექვსმეტი წლისაც არ იყო, როცა ევას სასცენო დებიუტი შედგა თეატრში „კომედია“, მაგრამ სათანადო ნიჭი და მონაცემები არ აღმოაჩნდა. თანდათან იგი სამოდელო-სარეკლამო ბიზნესისკენ გადაიხარა, სადაც ბევრად მეტს მიაღწია. მისი ფოტოები პერიოდულად იბეჭდებოდა დედაქალაქის ჟურნალების „სინტონიასა“ და „ანტენას“ გარეკანზე. მალე დიქტორად დაიწყო მუშაობა და ახალი ოცნება გაუჩნდა – რადიოთეატრი. 1941 წლიდან ევა ძველ გეგმას მთლიანად შეეშვა, სცენა მიატოვა და მთელ დროს რადიოდადგმებსა და რადიორეკლამას უთმობდა. მისი პოპულარობა სწრა-

ფად იზრდებოდა. შავტუხა ლამაზმანის ფოტოებით უკვე ჟურნალე-ბი „რადიოლანდია“ და „გიონიც“ ხშირად იმშვენებდნენ ყდებს.

1943 წელს რადიოარხმა „ბელგრანომ“ ევა დუარტეს ორი-გინალური პროექტი „ისტორიული გმირი ქალები“ განახორციელა. ეს იყო რადიოპიესათა ციკლი მსოფლიოში სახელგანთქმული ქალ-ბატონების – ანა ავსტრიელის, ჟოზეფინას, ეკატერინე II-ის, ლე-დი ჰამილტონის, სარა ბერნარის, ელეონორა დუზესა და სხვების შესახებ. ამ რადიოდადგმის იდეა ევას ეკუთვნოდა და წამყვანი მსახიობის როლიც მას ერგო. სცენარის ტექსტები ფ.მუნიოს ასპი-რიმ დაწერა. დედოფლების, იმპერატორის ცოლებისა და სცენის ლეგენდების თამაში დუარტესთვის მისი მომავალი პოლიტიკური ზეალსვლის სიმბოლური ზღაპრისთავი აღმოჩნდა.

ხუან პერონის მოგონებათა წიგნში მოთხრობილია თუ რო-გორ გაიცნო პოლკოვნიკმა მომავალი თანამეცხედრე 1944 წლის 22 იანვარს გამართულ საქველმოქმედო ღონისძიებაზე. თავად ევა მათ შეხვედრას „ჯადოსნურ დღედ“ იხსენიებდა ყოველთვის და ასეც ჩაწერა 1951 წელს გამოცემულ ავტობიოგრაფიულ ნაშრომში „ჩემი ცხოვრების არსი“. არგენტინის სამხედრო გადატრიალების ინიციატორთან შეხვედრა უმნიშვნელოვანესი მომენტი გამოდგა ახალგაზრდა ქალისთვის. მაშინ დაიწყო ევას „ნამდვილი ცხოვრე-ბა“, რომელიც თავბრუდამხვევი სისწრაფით მიაქანებდა ყმაწვილ-ქალს პოლიტიკური ელიტისკენ აღმავალ გზაზე.

1944 წელსვე, პოლკოვნიკის ინიციატივით, ევა ახალი პო-ლიტიკური რადიოგადაცემის „უკეთესი მომავლის შესახვედრად“ დიქტორი გახდა. ეს პროგრამა კვირაში რამდენჯერმე გადიოდა ეთერში და მიზნად ისახავდა შრომის სამდივნოს საქმიანობის პროპაგანდასა და მისი ხელმძღვანელის – ხუან პერონის პიროვნე-ბის პოპულარიზაციას. ამას გარდა, კინომუშაკთა ახალი პროფკავ-შირის თავმჯდომარის რანგში, ევამ მჭიდრო თანამშრომლობა წა-მოიწყო უშუალოდ შრომის სამდივნოსთან. როდესაც ხუანი თავ-დაცვის მინისტრი და არგენტინის ვიცე-პრეზიდენტი გახდა, მისი 24 წლით უმცროსი საყვარელი „ბელგრანოს“ უკონკურენტო ვარ-სკვლავად გადაიქცა. რადიოდიქტორის ხელფასმაც შესაბამისი ცვლილება განიცადა და სარეკორდო 35 ათასი პესო შეადგინა. მა-თი შეხვედრის წლისთავზე ევას ბავშვობის ოცნება აუხდა –

მხატვრულ ფილმში „მფლანგველი ქალი“ მთავარი როლი არგუნეს. შეყვარებული პოლიტიკოსი გადაღებებს რეგულარულად ესწრებოდა.

წარმატებული ევა დუარტე ძველ მეგობრებს არ ივიწყებდა. ფეხუნიოს ასპირის ქვეყნის პრეზიდენტის აპარატთან არსებული პროპაგანდის ერთ-ერთი ქვეგანყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობა უშოვა, ხოლო ო.ნიკოლინის – კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების უწყების მეთაურის პოსტი. სამხედრო წრეებში ისედაც აღშფოთებულნი იყვნენ ჭარმაგი თანამებრძოლის მიერ ახალგაზრდა საყვარლის თამამად აფიშირების გამო. დუარტეს პროტექციონიზმმა კიდევ უფრო გაზარდა კოლეგების უკმაყოფილება ხუან პერონით. მათ აღიზიანებდათ როგორც თანამდებობათა მიკერძოებული გადანაწილება, ასევე – ევასა და მისი გუნდის მიერ წარმოებული მიზანმიმართული პროპაგანდის შედეგიც: ხალხის მასებში ვიცე-პრეზიდენტის პოპულარობის სწრაფი ზრდა. რამდენიმე ოფიცერმა ხუანის წინააღმდეგ პირი შეკრა და 1945 წლის ოქტომბრის დასაწყისში ხელისუფლება აიღეს, პერონი დააპატიმრეს. საინტერესოა, შეთქმულები თვალს დახუჭავდნენ თუ უფრო გააფთრებით შეუტევდნენ ვიცე-პრეზიდენტსა და მის ნორჩ საყვარელს, წინასწარ რომ სცოდნოდათ 17 ოქტომბრის ისტორიული მნიშვნელობა.

არგენტინაში ეს დღე „ხალხის მიერ პერონის გათავისუფლების“ სახელით არის ცნობილი. მიუხედავად პოპულარული ლეგენდისა, რომლის თანახმადაც ევა დუარტე თავად მიუძღოდა მასებს ხუან პერონის დასახსნელად, რეალური ფაქტები საპირისპიროს მოწმობს. მაშინ ევა ჯერ კიდევ შორს იყო ევიტას იმიჯისაგან და არანაირი პოლიტიკური წონა არ გააჩნდა საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოსახდენად. ოქტომბრის იმ ღირსშესანიშნავ დღეს, როცა ათასობით ადამიანი პრეზიდენტის სასახლის წინ შეიკრიბა პოლკოვნიკის თავისუფლების მოთხოვნით, ევა შინ იმყოფებოდა. ციხიდან გამოშვებული პერონის „დესკამისადოებისადმი“ მიმართვაც კი რადიოთი მოისმინა და პოლიტიკოსი საყვარლის გვერდით არც იმ საზეიმო წუთებში ყოფილა.

შელამაზებული ისტორიის ავტორი თავად ხუან პერონი უნდა იყოს. მოგვიანებით სწორედ იგი ამტკიცებდა, რომ „უპერანგოებს“

ევა მეთაურობდა და პროფკავშირებთან ერთად ორგანიზებას უწევდა მათ აქტივობას. პერონისტებმა ხალისით აიტაცეს და გაავრცელეს ლიდერის მონაჭორი. ახალი თაობის მეხსიერებაში ამ ყალბი ცნობის ჩანერგვას ხელი შეუწყო ენდრიუ ლოიდ უებერის 1996 წელს მსოფლიო ეკრანებზე გამოსული მიუზიკლის სიუჟეტმაც.

ხანმოკლე პოლიტპატიმრობის შემდეგ ხუან პერონმა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის დაიწყო მზადება. მისი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი 22 ოქტომბერს ევა დუარტეზე ოფიციალურად დაქორწინება იყო. ქალმა საკუთარი კარიერა მაშინვე დათმო და ქმრის თანაშემწის როლი მოირგო. მიუხედავად ბოროტი ხმებისა, პირადი ამბიციების გამო არ მოხვედრილა დუარტე საზოგადოებრივი მოვლენების მორევში. ევას პოლიტიკურ ასპარეზზე გააქტიურებას მიზანმიმართულად წარმართავდა თავად პერონი. მას არგენტინელი ქალების ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვა და მათთვის ხმის უფლების მინიჭება სურდა. პერონს ამ გეგმის განხორციელების წინაპირობად ესახებოდა თანამედროვე სამყაროში ქალის გაზრდილი როლისათვის საპრეზიდენტო კანდიდატის მეუღლის ეტალონად დასახვა. ამავე დროს, პოლიტიკოსს ევა სჭირდებოდა არა მხოლოდ აბსტრაქტული სიმბოლოს რანგში, არამედ ქალებთან საagitაციო საქმიანობის პრაქტიკულად წარმოებისთვისაც.

ლიდერობა ევა დუარტეს ხასიათში არასდროს ჰქონია. იგი შეიძლება მივიჩნიოთ „ჭეშმარიტად ნამდვილ ქალად“, რომლის ფუნქციაა მიზანსწრაფული მამაკაცის ოცნებათა თანაზიარობა, თუმცა უფრო სამკაულისა და ერთგული მხარდამჭერის დარად, ვიდრე დამოუკიდებელი კონკურენტის სახით. თავდაპირველად ევა მხოლოდ ნათელი აჩრდილი იყო არგენტინის პრეზიდენტის ქარიზმატული პიროვნებისა, მოგვიანებით კი მის ალტერ ეგოდ ჩამოყალიბდა. ამ ქალს უსაზღვრო ენერგია, შრომისუნარიანობა და მორჩილების ნიჭი აღმოაჩნდა, რაც დაეხმარა პერონს, მისგან ახალი არგენტინელი ქალის უკვდავი ხატება შეექმნა. დამყოლი ბუნების წყალობით, ევა იოლად მოერგო ძალაუფლებისმოყვარული პერონის მოწაფის როლს. იგი ზედმიწევნით ითვალისწინებდა ქმრის ყოველ რჩევასა და რეკომენდაციას.

საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, პერონების წყვილი არგენტინის არაერთ ქალაქს ესტუმრა 1945 წლის მი-

წუხულსა და 1946 წლის დასაწყისში. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ევამ საჯარო გამოსვლებში მონაწილეობა. იგი მოკლე სიტყვით მიმართავდა აუდიტორიას, ძირითადად, მშრომელ ქალებს. მან ინსტინქტურად აითვისა ქმრის ორატორული სტილი, რომელიც გულისხმობდა მსმენელის გრძნობებზე და არა – გონებაზე ზემოქმედებას. პერონიზმის დისკურსიული თავისებურებების შესახებ გამოკვლევის ავტორები სილვია სიგალი და ელისეო ვერონა აღნიშნავენ: ევას გამოსვლათა ყველა ტექსტის ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს ქალი პერონის ენით მეტყველებდა და „როგორღაც ახერხებდა არცერთი საკუთარი სიტყვა არ გამოეყენებინა". დუარტე ვერ გახდა დიდი მსახიობი, მაგრამ, როგორც ჩანს, რადიოში დიქტორად მუშაობის წლებმა სასარგებლო ჩვევები გამოუმუშავა. ეს ქალი თვითნაბადი ალმასივით აღმოჩნდა პერონის დიქტატორული ამბიციებისა და პოლიტიკური ზრახვების მარწუხებში. ხუანის ინსტინქტურმა დამუშავებამ დამყოლი მასალა უნიკალურ ბრილიანტად აქცია.

1946 წლის თებერვალში ხუანი ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. ახალი პირველი ლედის წინაშე არგენტინის ელიტარული საზოგადოების კარი გაიღო. ეს იყო სამყარო, რომელზე ოცნებასაც კი ვერ გაბედავდა ხუან დუარტეს უკანონო მეხუთე შვილი, მაგრამ ბედისწერის ირონიამ იმაზე მეტი არგუნა, ვიდრე ოდესმე ინატრებდა.

პერონი არამხოლოდ მენტორის როლს ასრულებდა ცოლის ცხოვრებაში. ცნობილია, რომ მნიშვნელოვან ადგილებზე კანდიდატთა შერჩევისას ხშირად ითვალისწინებდა მის მიერ აღზევებული ქალის აზრს. ევას ყველა ნათესავმა და ნაცნობმა მნიშვნელოვანი პოსტი მიიღო. მის ერთადერთ ძმას პრეზიდენტის პირადი მდივნის, ხოლო უფროსი დის ქმრებს სენატორის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და ცენტრალური საბაჟოს უფროსის თანამდებობები ერგოთ. პერონების პირადი ექიმი რიკარდო ს.გუარდო კონგრესის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარედ დაინიშნა. ყოფილი მცველი ხოსე ესპეხო შრომის საყოველთაო კონფედერაციის (CGT) გენერალური მდივანი გახდა. ნიკოლინიმ კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსობა შეინარჩუნა, ხოლო მუნიოს ასპირისთვის სახარბიელო ტრანსფერი განხორციელდა: იგი პირველი ლედის თანაშემწეთა გუნდში ჩაირიცხა და მისი გამოსვლის ტექსტების დაწერა-რედაქტირება დაევალა.

ამიერიდან ევას ხშირად უწევდა ფართო აუდიტორიის წინაშე სიტყვის წარმოთქმა, რადგან პრეზიდენტის მოვალეობათა მრავალფეროვნება მის ქმარს საშუალებას არ აძლევდა ხალხთან ძველებური მჭიდრო კონტაქტი პირადად შეენარჩუნებინა. ხელისუფლების წარმომადგენელთა ცარიელი ფრაზები მასაზე სასურველ ეფექტს ვეღარ მოახდენდა. ამიტომ 1946 წლის შემოდგომაზე შეიქმნა სოციალური დახმარების ფონდი, რომელსაც მარია ევა დუარტე დე პერონი განაგებდა. ამ მოვლენას წინ უსწრებდა ოპოზიციურად განწყობილი საქველმოქმედო საზოგადოების გაუქმება. ამიერიდან ევა პერონი ღარიბთა და უპოვართა ერთპიროვნული დამცველი გახდა.

თუმცა არგენტინის პირველ ლედის რაიმე ოფიციალური თანამდებობა არ ეკავა, შრომის სამინისტროში მოქალაქეთა მიღებას პირადად აწარმოებდა მეუღლის ყოფილ კაბინეტში მოკალათებული. როგორც მისი უფროსი და, ერმიდა იხსენებს, თავიდან ევა უაღრესად ფრთხილობდა. იგი ყურადღებით უსმენდა ყოველ მთხოვნელს, გულმოდგინედ ინიშნავდა პრობლემის არსს, ეთათბირებოდა პერონს და მხოლოდ ამის შემდეგ იძლეოდა პასუხს ან გასცემდა შესაბამის განკარგულებას. მოგვიანებით მან გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებაც დაიწყო.

1946 წლის სექტემბერში ევამ თავის ყოფილ ექიმს, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს ქალთა საარჩევნო უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობის მიღების დაჩქარება მოსთხოვა. ერთი წლის თავზე კონგრესმა არგენტინელ ქალებს საარჩევნო ხმის უფლება დაუკანონა. ახალი კანონის მიხედვით არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო იყო. ამას ოპოზიცია ცხარედ აპროტესტებდა, რადგან იძულების წესის წყალობით, პერონის პარტია მომავალ არჩევნებში თავისი ელექტორატის რაოდენობრივ გაზრდას გეგმავდა.

ოპოზიცია კრიტიკულად აფასებდა პრეზიდენტის მეუღლის სოციალურ-პოლიტიკურ მოღვაწეობასაც. იმ ეპოქაში პირველი ლედის აქტიურობა უჩვეულო და მიუღებელი იყო არა მხოლოდ არგენტინაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. ევას ყოველ ნაბიჯს არგენტინული ოპოზიცია პერონის რეჟიმის განმტკიცების მცდელობად აღიქვამდა, რაც ნამდვილად შეესაბამებოდა სიმართლეს.

მოდერატული რეფორმების გატარების პარალელურად, ხუან პერონი გეგმაზომიერად ახორციელებდა ხალხის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას, რაშიც უაპელაციოდ ეხმარებოდა ცოლი. არგენტინაში, ფაქტობრივად, აუტოკრატიული წყობა დამკვიდრდა. ოპოზიციის შიშით პრეზიდენტი ქვეყნის ფარგლების დატოვებას ვერ ბედავდა. ამიტომ გადაწყდა, რომ „ევროპულ ტურნეში“ მისი ცოლი წავიდოდა პერონის საშინაო პოლიტიკის რეკლამირების მიზნით და არსებული რეჟიმისთვის საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად.

1947 წლის ივნის-აგვისტოში არგენტინის პირველი ლედი ევროპაში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. იგი შეხვდა იმ პერიოდის თითქმის ყველა ცნობილ პოლიტიკურ, საზოგადო და რელიგიურ მოღვაწეს. ესპანეთის დიქტატორმა ფრანკომ ევას დედოფლის საკადრისი დახვედრა მოუწყო. ევროპის სხვა ლიდერებმა მხოლოდ პირველი ლედისთვის პროტოკოლით გათვალისწინებული პატივი მიაგეს მის პერსონას. ცივ და ზრდილობიან მასპინძლობას სამხრეთ ამერიკული ქვეყნისთვის სასურველი ეკონომიკურ-პოლიტიკური კავშირები არ მოუტანია. რეალობის მიუხედავად, არგენტინული მედია ქვეყნის პირველი ლედის ვოიაჟს ეპოქალურ მოვლენად ასაღებდა. ფაქტობრივად წარუმატებელი გასვლა ევროპაში ევას ტრიუმფად გამოცხადდა და, ორგანიზებული პიარის წყალობით, ახალგაზრდა ქალს მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოღვაწის იმიჯი შეუქმნა. პოლიტიკაში მოსვლიდან ორი წლის თავზე ევა დუარტე „ეროვნული მასშტაბის ლიდერად“ იქცა.

1948 წლის ბოლოდან იგი ხელს აწერდა არა როგორც მარია ევა დუარტე დე პერონი, არამედ უბრალოდ ევა პერონი. ამგვარად გახაზავდა თავის სიახლოვესა და თანასწორობას ხუანთან. გარეგნობაშიც მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა. თუ ადრე მაქმანებიან და ბანტებიან სამოსს ატარებდა, ამიერიდან მკაცრი ინგლისური სტილის კოსტიუმებს ანიჭებდა უპირატესობას და ვულგარული კულულების ნაცვლად თმებს სადად ივარცხნიდა. ამგვარად იშვა ევიტა – ძველებურად ძვირადღირებული სამოსითა და უზრუნველი ყოფით, მაგრამ უბრალო ხალხისთვის მახლობელი ქცევის ნორმებითა და მისაღები გარეგნობით. როგორც ჩანს, ევა პერონმა მისთვის

დამახასიათებელი, საშუალო დონის მსახიობის მონდომებით მოახდინა წმინდა წყლის ევროპული სისადავის კოპირება.

ქალთა პერონისტული მოძრაობის საორგანიზაციო საკითხები წარმატებით განხორციელდა და 1949 წლის 26 ივნისს პერონისტთა ფავორიტის თავმჯდომარეობით პირველი დამფუძნებელი ასამბლეა ჩატარდა. რამდენიმე დღეში პერონის პარტიის (PP) ქალთა ფრთის პრეზიდენტად ევა პერონი აირჩიეს. ცხადია, ევას თაოსნობით მიმდინარე ქალთა მოძრაობა თავიდანვე წმინდა პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა და არა – ფემინისტურს. ზოგადად არგენტინაში ქალთა უფლებების შელახვასაც რომ ჰქონოდა ადგილი, ხუან პერონის აშკარად გამოკვეთილი პროგრესული დამოკიდებულება ქალებისადმი (მიუხედავად ფარული პოლიტიკური ზრახვებისა) ფემინისტური აქტივობის აუცილებლობას აზრს უკარგავდა. ევას პარტიული მუშაობის ეფექტურობის დასტური 1951 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა გამოავლინა, როდესაც პერონმა მეორე ვადით საპრეზიდენტო არჩევნებში 10%-ით მეტი ხმები მიიღო, ვიდრე პირველად. ქალბატონი პერონი უდაოდ ნიჭიერი პოლიტიკური ხელმძღვანელი და ორგანიზატორი გამოდგა.

„პერონის ფარი" უკანასკნელ წუთამდე თავდაუზოგავად იღვწოდა მეუღლის ხელისუფლების საკეთილდღეოდ. უკვე ავადმყოფობამორეული, არ იმჩნევდა ფიზიკურ სისუსტეს და ძველებური აღტკინებით მიმართავდა მასებს, მხარი დაეჭირათ პრეზიდენტისთვის. ცალი ფეხით სამარის კართან მდგომი პირველი არგენტინელი პოლიტიკოსი ქალი ანდერძივით უბარებდა ხალხს პრეზიდენტისადმი ერთგულებას: „პერონი არგენტინელი ხალხის გული, სული, ნერვი და რეალობაა. ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენს მოძრაობაში ერთადერთი ადამიანია, საკუთარი სინათლის წყარო რომ აქვს. ყველანი ამ ნათლით ვსულდგმულობთ და ეს კაცი პერონია".

პოზიციის მომხრეებში ევიტას ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ 1951 წელს შრომის საყოველთაო კონფედერაციამ და პერონის პარტიის ქალთა ფრთამ ევას კანდიდატურა ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე წამოაყენა. სამხედრო ხელმძღვანელობა ქალის მაღალ თანამდებობაზე არჩევის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. თუმცა ამ პროგრესული ნაბიჯის გადადგმა, ძირითადად, ევას სნეულების გამო ვერ მოხერხდა. ქალი იმდენად დასუსტებული იყო, რომ ფეხზე და-

მოუკიდებლად დგომაც აღარ შეეძლო. იგი იძულებული გახდა უარი ეთქვა ვიცე-პრეზიდენტობისთვის ბრძოლაზე. პროპაგანდამ ესეც დიდების შარავანდედის შესაქმნელად გამოიყენა: ევას უარი მორიდებულობასა და უანგარობას მიაწერა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა უბრალო ხალხში მისი ავტორიტეტი. ხუან პერონმა ინაუგურაციის შემდეგ საკუთარ მეუღლეს „ერის სულიერი ლიდერის“ სიმბოლური ტიტული მიანიჭა. ქრისტეს ასაკს მიღწეული ევა პერონი ამ პატივიდან რამდენიმე კვირაში გარდაიცვალა.

ევიტას ცეცხლოვანი კარიერა სულ ცხრა წელს მოიცავს. ხუან პერონის მიერ შექმნილ პოლიტიკურად ხელსაყრელ გარემოში ასეთი მცირე პერიოდი ეყო ევას ადაპტაციურ სისტემას მისი ახალგაზრდა მსახიობი ქალიდან „ერის სულიერი ლიდერის“ სიმბოლური ტიტულის მფლობელამდე ასამაღლებლად.

მიუხედავად არაერთი ბნელი მხარისა, ევა პერონის პოლიტიკურმა სიმბოლომ ძირეული ცვლილებები მოიტანა არგენტინის სამოქალაქო ცხოვრებაში. მეტიც, იგი ქალის როლის გაფართოების კატალიზატორად იქცა ლათინოამერიკულ სივრცეში. იმ დეტალმა, რომ ყველაზე დაბალი ფენიდან გამოსული ქალი გახდა არგენტინის პირველი ლედი, ხელი შეუწყო ზოგადად ქალთა თანასწორობის ტალღის წარმოქმნას სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე.

პრივილეგირებული ელიტის ბანოვანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა საკმარისი ვერ იქნებოდა ზოგადად ქალის ოფიციალური სტატუსის შესაცვლელად და მისი უფლებების კონსტიტუციურად დასაცავად. არისტოკრატიული წარმოშობის ქალი პოლიტიკაზე თავს არ გადადებდა, ვერც „უპერანგოების“ ენაზე ამეტყველდებოდა და ვერც მათ გასაჭირს გაითავისებდა. ყოველი მისი საქველმოქმედო აქცია მასაში გაღიზიანებას გამოიწვევდა, რადგან ვერ დაფარავდა თანაგრძნობის სიყალბესა და ერთფეროვანი ფუფუნებით გამოწვეული მოწყენილობისგან თავის დაღწევის სურვილს. ევიტასი არავის შურდა, რადგან ლოს-ტოლდოსის მტვერში გაზრდილი პატარა გოგონა ნებისმიერ არგენტინელს უდასტურებდა ღარიბთა ოცნების ამქვეყნად რეალიზების შესაძლებლობას. ევას შენატროდნენ და იდეალად მიიჩნევდნენ. იქნებ გვადალუპეს ღვთისმშობლისადმი თაყვანისცემის გამოძახილიც იყო არგენტინაში „სანტა ევიტას“ კულტის აღმოცენება? რაგინდ გენი-

ალური პიარკამპანია ეწარმოებინა ხუან პერონს, ევას სტერეოტიპი არც მხოლოდ მისი, არც ევას და არც პერონისტთა დამსახურებაა. არგენტინელი ხალხიც აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა ქალის მარადიული იმიჯის შექმნაში.

თანამედროვე პოლიტიკას ჯერ არ ჰყოლია ევიტას მსგავსი ფენომენი. ეს იყო მიზანმიმართული პიარის საშუალებით გააზრებულად, გეგმაზომიერად გამოძერწილი ხატება პოლიტიკოსი ქალისა, რომელიც ცრუფემინიზმისთვის ნიშანდობლივი აგრესიულობით კი არ იკაფავდა მარტოსულ გზას, არამედ ძლიერი მამაკაცის ხელშეწყობით ყალიბდებოდა. პერონების ტანდემი რუზველტების მოპაექრე წყვილის ანტიპოდია. პირად ცხოვრებაში იმედგაცრუებულ ელეონორას დამოუკიდებლად უწევდა პოლიტიკურ ასპარეზზე თავის დამკვიდრება. ქმარი მისთვის ორგზის მეტოქე იყო. ევა პერონის პოლიტიკური კერპი კი მეუღლის ჩანაფიქრის წარმატებულ ხორცშესხმას წარმოადგენდა. მათი ურთიერთობის პირველი დღიდან ევიტას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თანადგომა წარმართავდა არგენტინელი პიგმალიონისა და მისი „მშვენიერი ლედის" თანაცხოვრებას. სწორედ მათი პოლიტიკური ტანგოს გამოძახილია ნახევარი საუკუნის შემდეგაც ცოცხალი, არგენტინული მითი „სიყვარულის ხიდზე" ხელისუფლებასა და ხალხს შორის.

ლეკვი ლომისა

ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში მრავლადაა ეროვნული სიმბოლოები, რომელთა წარმოშობაც სხვადასხვა დონით უკავშირდება პოლიტიკურად აქტიურ ქალს. თუმცა სახელმწიფო დროშის მოდელირებასა და შეკერვაში ბეტსი როსს დამფუძნებელი მამები ან მათი შთამომავლები არასოდეს შესცილებიან, უფრო კონკრეტული ქმედების განხორციელების სურვილს მანდილოსნების მხრიდან მუდამ სდევდა და ჯერაც გარკვეულწილად ახლავს უნდობლობა თუ სექსისტური აზროვნების გადმონაშთთა ზეგავლენა. „თანამდებობაზე ქალის კანდიდატურის წამოყენება იმგვარი ინოვაციაა, რისთვისაც არც ხალხია მზად და – არც მე“, წერდა თავისი პრეზიდენტობის პერიოდში თომას ჯეფერსონი. ის, რაც მან საკუთარ სიმართლეში თვითდაჯერებული კაცის რწმენითა და გულწრფელობით საჯაროდ განაცხადა, დღემდე რჩება აქტუალურ მოსაზრებად თანამედროვე აშშ-ის პოლიტიკური გონისთვის. ამის დასტურია პირველი ლედის სტატუსის მფლობელთა უწყვეტობა.

ენთუზიაზმით წამოწყებულ საპრეზიდენტო კამპანიაში ჰილარი ქლინთონის პოპულარობა მკვეთრად დაეცა, როცა მან ბარაკ ობამას შესახებ განაცხადა: ობამას არ ეტყობა, რომ თეთრკანიანი ამერიკელების ესმისო. უცნაურია, მაგრამ დღეს თეთრების დაცვა ან მხარდაჭერა წამგებიანი თემაა ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის. თითქოს, დაუწერელი კანონი მკაცრად აკონტროლებს ამგვარ დისბალანსს აშშ-ში. ანალოგიურ სიტუაციაში იდენტური მოსაზრების გამოთქმა აფროამერიკელებზე (ან ნებისმიერი ნიშნით გამოყოფილი სხვა ჯგუფის წარმომადგენლებზე), პირიქით – პროგრესულ, „თანამედროვე“ პოლიტიკურ ამპლუად მიიჩნევა. ასეთი ტენდენციის დომინირების პირობებში, თეთრ სახლში პირველ ჯენტლმენს, ალბათ, კიდევ კარგა ხანს ვერ ვიხილავთ. სამაგიეროდ, დანარჩენი მსოფლიო არ ელოდება აშშ-ში თავისუფალი პოლიტიკური აზროვნების სასურველ ნიშნულამდე აწევას.

ბიბლიური ევას ედემში „მბრძანებლობას“ თუ არ ჩავთვლით, პირველ მითიურ მმართველ ქალად მეფე ბორსას მემკვიდრეს, ეთიოპიის დედოფალ ეილეუკას მიიჩნევენ. იგი ძველ აღთქმაში აღწერილ მსოფლიო წარღვნამდე ცხოვრობდა (ქრისტემდე დაახ. 4530-3240) და საკუთარ ქვეყანას ორმოცდახუთი წელი მართავდა.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ქალი-ფარაონების პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის ისტორიული ასპექტები. ამათგან, თანამედროვეთათვის ყველაზე ცნობილი ფიგურაა ჰატშეფსუტი. ძველი ეგვიპტის ეს დედოფალი მე-18 დინასტიის მეხუთე ფარაონი იყო. თანამედროვე ეგვიპტოლოგთა უახლესი მონაცემებით, „უპირველესი წარჩინებულ ქალბატონთა შორის“ დამოუკიდებლად მართავდა ქვეყანას ოცდაორი წლის განმავლობაში ქრისტემდე 1479-1458 წლებში.

ჰატშეფსუტის მომხრე დიდებულებმა არასრულწლოვანი თუტმოს III მმართველობას ჩამოაცილეს და მისი მეურვე გაამეფეს. ეგვიპტის შიდა არეულობით ისარგებლეს ნუბიელებმა და აჯანყდნენ, მაგრამ ჰატშეფსუტმა მალევე დაიმორჩილა განდგომილები, მერე კი დამსჯელი სამხედრო კამპანიები მოაწყო პალესტინასა და სირიაშიც. საბრძოლო წარმატებების მიუხედავად, თავისი მეფობის შემდგომ პერიოდში ჰატშეფსუტი ყველანაირად ცდილობდა ქვეყნისთვის ომის არიდებასა და მის ეკონომიკურად გაძლიერებას. დაგროვილი სიმდიდრე სამშენებლო გეგმების განხორციელებისთვის გამოიყენა – ჰიქსოსების მიერ დანგრეული ძველი ტაძრები აღადგინა კარნაკში და ახლები ააგო დაირ-ელ-ბაჰრიში („ჩრდილოეთის მონასტერი“). ჰატშეფსუტმა განაახლა საბადოების დამუშავება სინის ნახევარკუნძულზე. ხუთი გემისგან შემდგარი სავაჭრო ექსპედიცია გააგზავნა პუნტის ქვეყანაში, საიდანაც მისიის წევრებმა საკმევლის ხის ოცდათერთმეტი ფესვი ჩამოუტანეს კალათებით. ეს არის უცხოურ მცენარეთა კულტივირების მცდელობის დოკუმენტურად დადასტურებული პირველი ცნობა მსოფლიო ისტორიაში.

ჰატშეფსუტს ერთადერთი შვილი ნეფერურე ჰყავდა თუტმოს II-ისგან. სანამ დედა ფარაონის სრული ძალაუფლებით სარგებლობდა, მისი ასული დედოფლისთვის განკუთვნილ ფუნქციებს ასრულებდა ზუსტად ისე, როგორც თავად ჰატშეფსუტი ქმრის სი-

ცოცხლეში. შესაბამისად, არც ისე უნიკალური გამოდის პირველი ლედის ფუნქციათა შესრულება აშშ პრეზიდენტის მეუღლის ნაცვლად სხვა ნათესავის მიერ. თუმცა ამერიკის მე-15 პრეზიდენტის, მარტოხელა ჯეიმს ბიუქენენისთვის მაშველი რგოლივით აღმოჩნდა მისი დისშვილი ჰარიეტ ლეინი. 27 წლის ქალბატონი ღირსეულად ასრულებდა თეთრი სახლის დიასახლისის როლს. იგი ხალხში უკიდეგანო პოპულარობით სარგებლობდა. ბაძავდნენ მისი ჩაცმის სტილსა და ვარცხნილობას, შვილებს მის სახელს არქმევდნენ. მოდური სიმღერა «Listen to the Mockingbird» მიუძღვნეს. ჰარიეტი აქტიურად ერეოდა სოციალური საკითხების მოგვარებაში, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ინდიელების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მცდელობაში.

ძვ. წ. 1458 წლის 16 იანვარს ჰატშეფსუტი გარდაიცვალა. თუტმოს III-მ სამ ათეულზე მეტხანს იმეფა და ყველა შესაძლებლობა გამოიყენა, რომ მოესპო ჰატშეფსუტის ხსოვნა და მისი სახელი ისტორიის ფურცლებიდან ამოეშალა.

ძველ ეგვიპტეში ქალს მაღალი სტატუსი ეკავა საზოგადოებაში: კანონი ქონების ფლობის, თავისუფლად განკარგვის, მემკვიდრეობის მიღების და გადაცემის უფლებებს ანიჭებდა. თუმცა ქალის მიერ ქვეყნის მართვა ნორმად ნამდვილად არ ითვლებოდა, ჰატშეფსუტი არც პირველი იყო და არც ერთადერთი ეგვიპტის ისტორიაში. მისი წინამორბედია პირველი დინასტიის მეოთხე ფარაონი მერნითი, რომელიც ფარაონის სრული რეგალიებით დაკრძალეს და მკვლევრებს დიდხანს მამაკაცი ეგონათ. სავარაუდოდ, მერნითი არა მხოლოდ კონსორტი და რეგენტი, არამედ ერთპიროვნული მმართველიც იყო.

ზუსტად ცნობილია, რომ ჰატშეფსუტამდე სამი საუკუნით ადრე ეგვიპტეს ოფიციალურად მინიჭებული ძალაუფლების მქონე ქალი-ფარაონი სობეკნეფერუ (ზოგჯერ უკუღმა წერენ – ნეფერუსობეკ) ლამის ოთხი წლის განმავლობაში მართავდა.

ჯერჯერობით ბოლომდე დაუზუსტებელი ცნობების მიხედვით, ისტორიკოსთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ეგვიპტის ფარაონები იყვნენ შემდეგი მანდილოსნები: ნითჰოტეპი – ნამერთან ქორწინებით ორი ეგვიპტის გამაერთიანებელი და პირველი დინასტიის თანადამაარსებელი; ნიმათაპი მესამე დინასტიიდან; მესამე დინასტიის

უკანასკნელ ფარაონად მიჩნეული ნიტოკრისი; მეომარი-დედოფალი აჰოტეპ I მეჩვიდმეტე დინასტიიდან; ეხნატონის მეუღლე ნეფერტიტი და ქალიშვილი მერიტატენი, ორივენი მეთვრამეტე დინასტიიდან. სეთი II-ის მეუღლე დედოფალი ტაუსერტი ეგვიპტის უკანასკნელი ქალი-ფარაონია, რომლის მმართველობითაც მთავრდება მეცხრამეტე დინასტია. ქმრის გარდაცვალების შემდეგ იგი ჯერ გერის, საპტაჰის რეგენტი, მისი სიკვდილის შემდეგ კი ერთპიროვნული ხელისუფალი გახდა სახელით სიტრე მერიამუნი. რამდენადაც დადგენილია, იგი წელიწადზე ოდნავ მეტხანს მართავდა ეგვიპტეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1191-1190 წლებში. ძველი ეგვიპტის უკანასკნელი ქალი-ფარაონია ბერძნული წარმოშობის კლეოპატრა VII.

ლეგენდარული ბაღების მფლობელი სემირამიდას რეალური პროტოტიპი, ასურეთის დედოფალი შამურამატი (ძვ. წ. 812-803) ისტორიას სწორედ იმ უჩვეულო ფაქტის გამო შემორჩა, რომ საკუთარი ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი იყო. ეს კი ძველ აღმოსავლეთში გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენდა.

ჩინეთის მმართველი ქალების საკმაოდ მრავალრიცხოვანი სიიდან გამოირჩევა დოკუმენტური წყაროებით დადასტურებული ერთადერთი ქალი-იმპერატორის ამბავი. იმპერატორ ტაიცზუნის ჰარამხანაში მოხვედრილმა 13 წლის სიჩუანელმა უ ჰოუმ პატრონის სიცოცხლეში შვილის გაჩენა ვერ მოასწრო, რის გამოც მის ერთადერთ პერსპექტივად ბუდისტურ მონასტერში სიკვდილის წლობით ლოდინი რჩებოდა. „ცოცხლად დამარხვისგან“ მეი (ანუ „ლამაზი“, როგორც ტაიცზუნმა შეარქვა) უფლისწულის მეუღლემ ვანმა გადაარჩინა, რომელმაც ქმრის ფავორიტის — სიაოს სხვა კანდიდატურით ჩანაცვლება განიზრახა. ამ მიზნით უ ჰოუს არჩევა ახალი იმპერატორის ცოლისთვის საბედისწერო შეცდომად იქცა. სასახლეში დაბრუნებულმა ხარჭამ ვანიც და მის მიერ ათვალწუნებული სიაოც მალევე მოაკვლევინა.

მეის სილამაზით დაბრმავებულმა იმპერატორმა გაოცზუნმა 655 წელს იგი ცოლად დაისვა. მამის ყოფილ საყვარელთან ურთიერთობა VII საუკუნის ჩინეთში ინცესტად ითვლებოდა და საშინელი სკანდალი გამოიწვია. ამბიციურ იმპერატრიცას ჰარამხანაში კონკურენტების მოცილებისას მიღებული გამოცდილება გამოადგა

– სისხლში ჩაახრჩო მოწინააღმდეგეთა მრავალრიცხოვანი გუნდი. არც იმპერატორის ბიძა და მისი კლანი დაინდო.

გაოცზუნს მან ოთხი ვაჟი და ერთი ქალი გაუჩინა. ჯერ კიდევ ქმრის სიცოცხლეში იქცა უ ჰოუ იმპერიის ფაქტობრივ მმართველად, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კი საკუთარ ვაჟიშვილებს იმპერატორის ტიტული მხოლოდ ნომინალურად არგუნა. 690 წელს უკვე ოფიციალურად მიიღო იმპერატორის ტიტული და სახელად უ ცზეტიანი დაირქვა. საერთო ჯამში, ჩინელი ქალი უზარმაზარ სამფლობელოს ორმოცი წლის განმავლობაში მართავდა (665-705), სანამ შეთქმულებას მოუწყობდნენ და ხელისუფლებას ჩამოაშორებდნენ. ჩინეთის საიმპერატორო ტახტზე მისი მესამე ვაჟი ჩჟუნცზუნი დაბრუნდა.

ქრისტეშობის შემდეგ სამყაროს რამდენიმე მეფე-ქალი, გამეფებული დედოფალი და იმპერატორი-ქალი ჰყავდა. ფაქტია თუ სასურველის რეალობად გასაღება, გასათვალისწინებელია კათოლიციზმის ბურუსით მოცული ჭორიც რომის პაპის რეგალიებით მოსილი იოანას (853-855) შესახებაც. თავისთავად მრავლისმეტყველია ლეგენდა იმდენად ნიჭიერ და განათლებულ ქალზე, რომ სამოსის ქვეშ დამალული მდედრის სტერეოტიპული „გონებასუსტობითაც“ ვერ ამოიცნეს პონტიფიკის ნამდვილი სახე მის გვერდით მყოფმა მამაკაცებმა.

საქართველოს ისტორიას მზიური ნათლით მოსავს თამარ მეფის წმინდა სახება. 1178 წელს ქალიშვილი მამამ, გიორგი III-მ საკუთარ სიცოცხლეშივე თანამოსაყდრედ დაისვა. უძეოდ დარჩენილ მეფეს სხვა გზა აღარ დარჩენოდა; უნდა გაერისკა ქალის ხელმწიფედ გამოცხადება. თამარს 1184 წლამდე ჯერ მეფე მამის ავტორიტეტი უმაგრებდა პოზიციას, 1189 წლიდან კი მეუღლის, უფლისწულ დავით სოსლანის მძლავრი მხარდაჭერა. თამარს როგორც მისი თანამედროვე, ისე მომდევნო საუკუნეთა ქართული წყაროები მეფეს უწოდებს. ვფიქრობ, არასწორია ქართველი მეფის სხვა ენებზე თარგმანში დედოფლად მოხსენიება. ეს, ელემენტარულად, უზუსტობაა. ნებისმიერ ენაზეც მისი წოდება მეფედ უნდა დარჩეს, მიუხედავად იმისა, რაგვარ რეაქციას გამოიწვევს მკითხველსა თუ მსმენელში. თამარ მეფის გულსაკიდი ჯვრის ასომთავრული წარწერა გვამცნობს: „ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯუარისაო,

შენითა წინასწარძღომითა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს". აშკარაა, რომ თამარი ერთდროულად ითვლებოდა საკუთარი ერის მეფედაც და დედოფლადაც. ამგვარი სინთეზი, ვფიქრობ, იმის მცდელობაა, რომ პოლიტიკური სტატუსით მისი მეფობა და ბუნებრივი ქალური საწყისით დედოფლობა ერთდროულად დაკანონებულიყო. ზუსტად ისე, როგორც ასულის სამეფო ტახტზე ასვლის ცერემონიისას — მას ქალის სამოსი ეცვა, მაგრამ ხელმწიფის გვირგვინთან ერთად, ქვეყნის მთავარსარდლობის ნიშნად, მახვილიც შემოარტყეს წელზე. თამარ მეფის უფლისწულ დავით სოსლანზე დაქორწინების შემდეგ ქართული წყაროები ორივეს ერთად მოიხსენიებს როგორც „მეფენი". მათზე ცალ-ცალკე სახელებით საუბრისას გვხვდება ფორმა „მეფეთმეფე თამარ და მეფე დავით". აშკარაა, რომ არც ქალს აქვს უპირატესობა და არც მამაკაცის სტატუსია დაკნინებული. პირიქით, ხაზგასმულია თითოეულ მათგანზე დაკისრებულ ფუნქცია ქვეყნის საკეთილდღეოდ — სამეფო წყვილის „ერთსულ და ერთ ხორც" არსებობა. მსგავსი პრეცედენტი იმდენად უნიკალურია, რომ არ უნდა იკარგებოდეს ქართულიდან სხვა ენაზე თარგმანისას.

ქალების მიერ პირადი ცხოვრების დამოუკიდებლად განკარგვისა და მოსახლეობაზე გავლენის (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რელიგიური) მოხდენის ასპექტით საინტერესოა ბეგინების ისტორია. XII საუკუნის ჩრდილოეთ ევროპაში წარმოქმნილ დაჯგუფებათა წევრები ნახევრადმონაზვნური სტილის ცხოვრებას ეწეოდნენ ინდივიდუალურად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და პიროვნული თავისუფლების მოპოვება-შენარჩუნებით. XIII საუკუნეში ბეგარდების სახელით მამაკაცებიც აყვნენ მდინარე რეინის გასწვრივ მოხეტიალე „თავისუფალი სულის" ქალებს.

კათოლიკურმა ეკლესიამ ორჯერ (1215 და 1311) აკრძალა ბეგინების საქმიანობა იმ მიზეზით, რომ ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული, საეკლესიო განათლების არმქონე ადამიანები მწვალებლურ იდეებს ავრცელებდნენ. ბეგინების დევნას შეეწირა მათი გამორჩეული წევრი, მისტიკოსი მწერალი მარგარიტა პორეტი. ინკვიზიციამ ჯერ მისი წიგნი „უბრალო გულთა სარკე" დაწვა 1306 წელს და განმეორებით 1309 წელს, 1310 წლის 1 ივნისს კი თავად ავტორიც დასაჯა გრევის მოედანზე პარიზში. ბეგინები მეფე-

დედოფლის უფლებამოსილებაზე არც ოცნებობდნენ, მაგრამ შუა საუკუნეების ევროპაში მსგავსი მოძრაობის აღმოცენება და ხანგრძლივად შენარჩუნება ერთ-ერთი მეტყველი ნიმუშია ქალთა შინაგანი სიძლიერის, პროგრესულ გადაწყვეტილებათა მიღების უნარის წარმოსაჩენად, მიუხედავად მათი წარმომავლობისა და განათლების დონისა.

ლეგენდარული თუ ისტორიული ქალი-მმართველის ესტაფეტის გაგრძელებასავით გამოჩნდა XX საუკუნეში სამი აზიელი ქალი სამი განსხვავებული ცხოვრებით, მაგრამ ბედისწერის მიერ თითოეულისთვის ბოძებული მსგავსი პოლიტიკური ნობათით. ისაბელ მარტინეს დე პერონამდე (1974-1976) პრეზიდენტის ტიტული ოფიციალურად მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში მიუნიჭებიათ რომელიმე მანდილოსნისთვის, თუმცა სახელმწიფოს მეთაურის რანგში მის წინამორბედებად ითვლებიან ტუვის, მონღოლეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალი-მმართველები: ხერტეკ ანჩიმაა-ტოკა (1940-1944), სუხბატარინ იანჯიმა (1953-1954) და როზამუნდ სუნ ცინლინი (1968-1972).

მსოფლიო პოლიტიკის უცნაურობათაგან გამორჩეულია ერთ-ერთი. ქვეყანა, რომელმაც ჩვენს სამყაროს პირველი თანამედროვე სტილის მმართველი ქალი, ხერტეკ ანჩიმაა-ტოკა მისცა, ბედის ირონიით, სულ რაღაც ორი ათეული წელიწადი არსებობდა და, თითქოს, მხოლოდ ამ ერთი პროგრესული ნაბიჯის გადასადგმელად შეიქმნა. 1912 წლის ცივ ზამთარში შობილი გოგონას მშობლებმა მისი დაბადების ზუსტი თარიღიც კი ვერ უთხრეს შვილს, რომელმაც მოგვიანებით პირველი იანვარი აირჩია, შეცდომისგან მაქსიმალურად თავის დაზღვევის მიზნით. ხუთშვილიან, ხელმოკლე ოჯახს ბავშვების შენახვა უჭირდა. ნაბოლარა ხერტეკი აღსაზრდელად ნათესავებს მიაბარეს. გოგონამ მონღოლურად წერა-კითხვა საკმაოდ ადრეულ ასაკში ისწავლა. ცამეტი წლის იყო, როცა ტუვის ახალგაზრდა სახალხო (არატთა) რესპუბლიკის ცენტრალური გაზეთი „შინი“ დაარსდა, რომლის ჯერ აქტიური მკითხველი, მოგვიანებით კი ერთ-ერთი ავტორი თავადაც გახდა. 1930 წელს ტუვის ეროვნული დამწერლობა შეიქმნა. ხერტეკმა პირველთაგანმა აითვისა იგი, პედაგოგის (башкы) სტატუსი მოიპოვა და ენერგიულად ჩაერთო მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის გავრცელების საქმეში არატთა

(ტუველ მესაქონლეებს) შორის. როგორც 2006 წელს ტუველი ჟურნალისტი აღწერდა სწავლების პროცესს: „მეცადინეობა წარ-ღვნამდელი მეთოდებით მიმდინარეობდა. ჩვეულებრივ ფიცარს ერთ მხარეს მურს უსვამდნენ სქლად და ამ ფენაზე ასოები გამოჰყავდათ წამახვილებული წვერის მქონე ხის ჯოხით. კარგი იყო ზამთარში, რადგან მაშინ თოვლზეც შეიძლებოდა წერა". პირველი ხელფასით ხერტეკმა საკაბე იყიდა დედისთვის.

1931 წელს ანჩიმაა მწერლად მუშაობდა ბარუნ-ხემჩიკის რაიონულ ადმინისტრაციაში, რომელიც იურტაში იყო განთავსებული. გვერდით ერთი ციდა სახლი იდგა, სადაც პარტიულ კომიტეტს დაედო ბინა. შრომისმოყვარე ქალიშვილი მალე რაიონული ადმინისტრაციის ტექნიკური მდივანი გახდა. მის ძირითად ფუნქციას შეადგენდა აღრიცხვის წარმოება: რამდენი კუბმეტრი შეშა დამზადდა, აქედან რამდენი გაიცა თითოეულ მოსახლეზე, ვის რა მეურნეობა ჰქონდა, რამდენი საქონელი ჰყავდა და ა.შ. სწორედ ამ პერიოდში რაიონული ადმინისტრაციის თავმჯდომარემ სალჩაკ ტოკამ მოსკოვში სასწავლებლად წასვლა შესთავაზა.

დედაქალაქ კიზილში („წითელი") ჩასვლის დღეს ცხენიდან ჩამოვარდა და მთელი კვირა საავადმყოფოში გაატარა. მერვე დღეს მიმღები კომისიის წინაშე წარსდგა. პირველივე კითხვა: „სად მდებარეობს მოსკოვი?" ჩამჭრელი გამოდგა კოკ-სოოკელი სოფლელი გოგონასათვის იმის მიუხედავად, რომ გასაუბრებისთვის კარგად მოემზადა და მოსკოვზე ბევრი რამ წაიკითხა. გონებამახვილი ქალიშვილი არ დაიბნა: „თუკი გამგზავნით, გავიგებ სადაც არის". ასეთი იყო მისი თამამი პასუხი. მეორე დილას საკუთარი გვარი მომავალი სტუდენტების სიაში იპოვა დანარჩენი 69 იღბლიანის გვერდით. ისინი ერთად გაემგზავრნენ საშინლად დამღლელ, ხანგრძლივ მოგზაურობაში, რომელიც ოცი დღე გაგრძელდა. სწავლა კიდევ უფრო რთული გამოდგა და პირველი კურსის ბოლოს ოცდაათნიღა დარჩნენ. საბოლოოდ, მხოლოდ თერთმეტმა მათგანმა შეძლო აღმოსავლელ მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის დამთავრება.

რუს და ტუველ სტუდენტებს შორის ენისა და კულტურის სხვაობა ხშირად ხდებოდა კურიოზის მიზეზი. ვერც ანჩიმაა ასცდა მსგავს სიტუაციაში მოხვედრას. სტუდენტებს კარტოფილი მოჰყავ-

დათ. ტუველებმა „მიწის ვაშლი“ პირველად მოსკოვში ნახეს. ხერ-ტეკმა ადგილობრივს „პრაქტიკული“ კითხვა დაუსვა: „ახლა რომ მიწაში ჩავფლავთ, შემოდგომაზე როგორღა ვიპოვით?“ ყალბი მორიდებულობა და რაღაცის არცოდნა ვერ აბრკოლებდა ანჩიმაას. ყველაფერზე პასუხის მოპოვებას ცდილობდა და ნიჭიერი პროვინციელის შეუპოვრობით წინ ისწრაფოდა როგორც სწავლაში, ისე — შრომაში.

1935 წლის მაისში თერთმეტმა წარმატებულმა ტუველმა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომები მიიღო. ოთხწლიანი სტუდენტობის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც არდადეგების დროსაც ვერ შეძლო შინ სტუმრობა, ხერტეკ ანჩიმაა ტუვაში დაბრუნდა. იმ დღიდან დაიწყო მისი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური კარიერა სამშობლოში.

თავიდან ტუვის რესპუბლიკის რევკავშირის (ახალგაზრდობის რევოლუციური კავშირის) ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე გახდა. 1938 წელს ხერტეკი უკვე ტუვის სახალხო-რევოლუციური პარტიის (იმ პერიოდში ქვეყნის ერთადერთი მმართველი პარტიის) ცენტრალური კომიტეტის ქალებთან მუშაობის განყოფილების გამგედ გადაიყვანეს. ენერგიული ახალგაზრდა, ქალთა შორის წერა-კითხვის გავრცელების პარალელურად, ქალთა საბჭოებს ქმნიდა და მათთან ერთად ამყარებდა წესრიგს შინ და სამსახურში. ანჩიმაა მხარს უჭერდა პარტიის გენერალური მდივნის სალჩაკ ტოკას ბრძოლას პოლიტიკური კონკურენტების წინააღმდეგ — იმ სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდა, რომელმაც გაასამართლა და დახვრეტა მიუსაჯა „იაპონიის ჯაშუშად“ მონათლულ რესპუბლიკის ყოფილ პრემიერ-მინისტრს სატა ჩურმიტ-დაჟს და ქვეყნის სხვა ხელმძღვანელობას.

1940 წელს 28 წლის ხერტეკ ანჩიმაა ტუვის სახალხო რესპუბლიკის მცირე ხურალის (პარლამენტის) თავმჯდომარე გახდა და ასე იქცა მსოფლიოში სახელმწიფოს მეთაურ პირველ ქალად. ამავე წელს ცოლად გაჰყვა სალჩაკ ტოკას. 1944 წელს გაუქმდა ტუვის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და ტერიტორია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ოფიციალურად შევიდა ტუვის ავტონომიური ოლქის სახელწოდებით. როგორც ჩანს, საბჭოთა ხელისუფლებამ მონდომება დაუფასა ხერტეკ ანჩიმაა-ტოკას, რომელსაც სურდა ტუვა

წითლების მფარველობის ქვეშ ეხილა და ჩინეთისთვის არ ჩაევდო ხელში. შესაბამისად, მისი პარტიული კარიერა ამის შემდეგაც ძვე-ლებური წარმატებით გაგრძელდა: 1961 წლამდე მუშაობდა ტუვის საოლქო აღმასკომის, ხოლო 1961-1979 წლებში ტუვის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მო-ადგილედ. ტუვის ისტორიის სახელმძღვანელოები და პრესა დღესაც ერთხმად აღნიშნავს ამ პოლიტიკოსი ქალის მიერ ტუვის იდეოლო-გიური და სოციალური პოლიტიკის გონივრულად მართვის მნიშვნე-ლობას ქვეყნის მომავლისათვის.

1979 წელს ხერტეკი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა, მაგ-რამ აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას არ ჩამოშორებია. იგი იყო საბჭოთა-მონღოლური მეგობრობის საზოგადოების ტუვის გან-ყოფილების თავმჯდომარე, ქალთა საერთაშორისო კონგრესის მრა-ვალგზის დელეგატი. ხშირად გამოდიოდა სიტყვით სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების წინაშე. მიუხედავად აქტიური კარიერი-სა, ხერტეკი შინაურ ფრონტზეც გამორჩეული ადამიანი აღმოჩნდა — კარგი მეოჯახე, მოყვარული, ერთგული მეუღლე და ხუთი ღირ-სეული შვილის (მათ შორის, ორი ნაშვილების) აღმზრდელი დედა.

ხანდაზმულობის ასაკი უმძიმესი გამოდგა ხერტეკ ანჩიმაას-თვის როგორც პირადი, ისე პოლიტიკური კუთხით. საბჭოთა ეპო-ქის უკომპრომისოდ გადაფასების პერიოდში ყოფილ პარტიულ მუ-შაკს კრიტიკის ქარცეცხლთან მოუწია პირისპირ შეჯახება იმ რამდენიმე ძველ თანამებრძოლთან ერთად, ვინც ჯერ კიდევ ცოც-ხალი იყო წითელი იმპერიის მოდემოკრატიულებისას. ის, რასაც მანამდე უპირობოდ უთვლიდნენ მიღწევად და პატრიოტობად, რაც პირად და საქვეყნო წარმატებად მიაჩნდა, თვალის დახამხამებაში უქციეს გაქილიკების საგნად. ბედის დარტყმა ამაზე არ დამთავრე-ბულა. 1990-იანი წლების ბოლოს დაიღუპა მისი უმცროსი ვაჟი ვიქტორი, სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი. 2008 წლის მაის-ში უფროსი ვაჟი ვლადიმერიც დაკარგა, „უნიჭიერესი კომპოზიტო-რი და მუსიკოსი“. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, იმავე წლის ივლისში მოსკოვში გარდაიცვალა ქალიშვილი ანა, რომე-ლიც მრავალი წელი მუშაობდა გაზეთ „იზვესტიაში“. შვილების დაკარგვამ ბოლო მოუღო მამაც პიროვნებას.

2008 წლის 4 ნოემბერს ამქვეყნიური ცხოვრებიდან წავიდა „ქალი-პრეზიდენტი", როგორც მას ტუველმა ჟურნალისტმა დინა ოიუნმა უწოდა ნეკროლოგში. აღსანიშნავია, რომ ახალი, დემოკრატიული თაობის წარმომადგენელი ოიუნი დელიკატურად იხსენებს ანჩიმაას პარტიული კარიერის საბჭოურ მხარეს და უსამართლოდ თავსდატეხილი კრიტიკის ამაყი მდუმარებით ატანის გამო ალტაცებას გამოთქვამს ლეგენდად ქცეული ქალბატონისადმი. საზოგადოება ხალხური შემოქმედების იმავე სასახლეში დაემშვიდობა ხერტეკ ანჩიმაა-ტოკას, რომლიდანაც 1973 წელს მისი მეუღლე გაასვენეს. წარსულის გადაფასება, ალბათ, კიდევ არაერთხელ მოხდება. თუმცა, ტუველი ქალიშვილის ოთხწლიანი ხელისუფლება სამუდამოდ დარჩება მსოფლიო ისტორიის ფურცლებზე.

კოხტა, ახალგაზრდა მონღოლი ქალის — სუხბატარინ იანჟიმას პოლიტიკური გზა სწორედ იმ ასაკში დაიწყო, როცა ტუველმა ხერტეკ ანჩიმაამ უკვე მიაღწია თავისი კარიერის ზენიტს. ვფიქრობ, სწორედ წარმატების თეორიის მოულოდნელი გააქტიურებით შეიძლება აიხსნას მანამდე პასიური პიროვნების პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენა. 1923 წელს იანჟიმა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიაში მეუღლის გარდაცვალების გამო შევიდა. ამ ნაბიჯში პირადი ტკივილიც იგრძნობოდა და საზოგადოც. თითქოს, ერის ჭაპანი, რომელსაც ღირსეულად ეწეოდა ქმარი, ახლა ცოლის სუსტ მხრებს სურდათ ეზიდათ. სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა მონღოლეთის რევოლუციის ბელადის სუხე-ბატორის (დამდინ სუხბატორის) თანამეცხედრე. ამასთან, ქმრის ხსოვნის პატივსაცემად, საკუთარ სახელში მამის სახელი „ნემენდეიენ" ჩაანაცვლა სიტყვით „სუხბატარინ".

მრავალფეროვანი პარტიული კარიერის მიუხედავად, პოლიტიკური მარიონეტის ნებართვით მისგან საჭირო სიმბოლოს შექმნის შთაბეჭდილება რჩება მაინც: უხილავი ხელი დეკორაციასავით უცვლიდა ადგილს, ქალი კი კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს. იანჟიმა იყო მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის თოთხმეტი მოწვევის დელეგატი; 1924 წელს გამართულ კომინტერნის მეხუთე კონგრესზე მონღოლეთის მხრიდან წარგზავნილი დელეგაციის წევრი. 1933 წელს სათავეში ჩაუდგა ამავე წელს შექმნილ მონღოლ ქალთა კომიტეტს. 1940

წელს აირჩიეს მეათე სხდომის ცენტრალურ კომიტეტში. 1940-1954 წლებში პარტიის პოლიტბიუროს წევრი, ხოლო 1941-1947 წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო. 1945 წელს აირჩიეს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს წევრად. მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას ორგანიზება გაუკეთა წითელი არმიისთვის დახმარების შეგროვებას, რისთვისაც 1946 წელს შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. ჩამოთვლილი თანამდებობებისა და ფუნქციების გამო იანჟიმა პარტიულ დიასახლისს უფრო განასახიერებს, ვიდრე ანჩიმაა-ტოკას მსგავს, პიროვნულად აქტიურ პოლიტიკურ სუბს.

იანჟიმა მრავალჯერ აირჩიეს მცირე (1940-1950) და დიდი (1950-1962) სახალხო ხურალის პრეზიდიუმის წევრად, აგრეთვე – მცირე ხურალის თავმჯდომარის მოადგილედ. გონჩიგინ ბუმცენდის გარდაცვალების შემდეგ, რომელსაც დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის საპატიო პოსტი 1951 წლიდან ეკავა ჩოიბალსანის (მონღოლი „სტალინის") რეალური ძალაუფლების ჩრდილქვეშ, მონღოლეთის მოქმედი პრეზიდენტის მოვალეობას სუხე-ბატორის მეუღლე ასრულებდა გარდამავალ პერიოდში – 1953 წლის 23 სექტემბრიდან 1954 წლის 7 ივლისამდე. მისი პოსტის ოფიციალური სახელწოდება იყო „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობათა შემსრულებელი". ამგვარად გახდა უკვე სამოცს მიტანებული სუხბატარინ იანჟიმა სახელმწიფოს მეთაური მეორე ქალი მსოფლიო ისტორიაში.

დეტალები იანჟიმას მმართველობისა თუ პირადი ცხოვრების შესახებ საკმაოდ მწირია ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენაზე. მოპოვებული მასალა მხოლოდ მისი ძირითადი გზისთვის თვალის მიდევნების საშუალებას იძლევა და, ტუველი წინამორბედისგან განსხვავებით, ადამიანის ნამდვილ სახეს ნაკლებად წარმოაჩენს. ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, იანჟიმა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ქმრის ხსოვნის გამომხატველ პოლიტიკურ სიმბოლოს წარმოადგენდა და სხვაგვარი ამბიციები თავად არასდროს გააჩნდა. 29 წელი პოლიტიკური ბატალიებისგან შორს, ძირითადად, მშობლების სახლში გაატარა, სანამ ქმარი საქვეყნო

საქმეს ემსახურებოდა. სუხე-ბატორი რომ ცოცხალი ყოფილიყო, მისი მეუღლე, ალბათ, ოჯახის დიასახლისობას დასჯერდებოდა.

იანჟიმას იდუმალებით მოცულ პიროვნებაზე განსხვავებულად დაფიქრების საბაბს იძლევა მონღოლი პოეტი მ.ბილგესაიხანი. ლექსში „თქვენი მამაკაცების დაცვის მიზნით" მწერალი ქალბატონებს მიმართავს და „ჩემს იანჟიმებს" უწოდებს მბრძანებლობის მოყვარულ, ჭირვეულ მდედრებს. რამ შთააგონა ბილგესაიხანს ემანსიპირებული ქალის სინონიმად იანჟიმას სახელის გამოყენება, საკმაოდ ბუნდოვანია. შესაძლოა, ეს ქვეცნობიერის გამოძახილი იყო პოეტურ გონში, რაც გამოიწვია სისხლიანი და ძლევამოსილი ხორლოგინ ჩოიბალსანის კულტის დამხობის შემდეგ ხელისუფლებაში მცირე ხნით, სავარაუდოდ, ნომინალურად, მაგრამ მაინც *ქალის* მოსვლამ. მწერლურ ხატებასა და რეალურ პოლიტიკურ იმიჯს შორის იდენტურობა ბუნებრივად გამორიცხულია. დადებითი თუ უარყოფითი ფაქტების მოზღვავება ტენდენციის გამჟღავნება იქნებოდა. ასეთი რამ კი არსად ფიქსირდება. მართალია, სამარადჟამოდ დაიმკვიდრა ქალი-პრეზიდენტების წინამორბედის სტატუსი დიდი ხურალის თავმჯდომარის თანამდებობაზე გატარებული ათამდე თვის წყალობით, იანჟიმა ჯერაც სიყვარულის ნახევრად ლეგენდარულ სიმბოლოდ უფრო რჩება მონღოლეთის ისტორიაში, ვიდრე პოლიტიკურ ფიგურად.

მონღოლი ქალისგან განსხვავებით, დღემდე ფართო განსჯის საგანია მისი პოლიტიკური მემკვიდრის როზამუნდ სუნ ცინლინის პიროვნება. ფაქტების სიუხვე ხელს არ უშლის თანამედროვე ზღაპრის სიუჟეტურ განვითარებას, რომელსაც სამი დის ჩინურად ახდენილი „ამერიკული ოცნება" შეიძლება ეწოდოს. პოპულარული გამოთქმაც, თითქოს, ჩინური პოლიტიკური თქმულების გამოძახილია: XX საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა სამი და სუნი — აილინ, მეილინ და ცინლინ; „ერთს ფული უყვარდა, მეორეს ხელისუფლება, მესამეს კი ჩინეთი". სამივე ცოლად გაჰყვა უმდიდრეს ბიზნესმენებსა და ამავე დროს, წარმატებულ პოლიტიკურ მოღვაწეებს. მათი ძმა სუნ ცზივენი თავისი დროის ერთ-ერთი უმსხვილესი ჩინელი მეწარმე იყო.

ნათლობის სახელით — როზამუნდი გოგონას, ძირითადად, შანხაის ქალთა სასწავლებელსა და ჯორჯიის შტატის ერთ-ერთ

კოლეჯში იცნობდნენ. 1913 წელს ამერიკიდან დაბრუნებულმა სუნ ცინლინმა სუნ იატსენის მდივნად დაიწყო მუშაობა. როცა სამი ათეული წლით მასზე უფროსი მამაკაცის მეორე ცოლობა განიზრახა, ქალიშვილის მშობლებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მის სურვილს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. 1915 წლის 25 ოქტომბერს სუნ ცინლინი და სუნ იატსენი იაპონიაში დაქორწინდნენ. მათი კავშირი თითქმის ათ წელს გაგრძელდა და მხოლოდ სუნ იატსენის გარდაცვალებამ დააშორა მეუღლეები.

ერთგული ცოლი და ქმრის ხანდო თანამებრძოლი სუნ ცინლინი ნიჭიერი ლიდერის გვერდით პოლიტიკურად ძალზე გაიზარდა. იგი პიროვნულად იმდენად ჩამოყალიბდა, რომ დაქვრივებულიც არანაკლები ენერგიულობითა და წარმატებით აგრძელებდა მანამდე ქმრის მეთვალყურეობით დაწყებულ კარიერას. იყო რაღაც ევა პერონისეული სუნ ცინლინის ხასიათში — ერთი მხრივ, დამყოლი, მეუღლის შარავანდედში ბედნიერად მოკალათებულ-გამთბარი და კმაყოფილი, მეორე მხრივ კი აქტიური, დაუქანცავი, მოაზროვნე და უკომპრომისო ქალი. არსებობს ხასიათი, რომელიც დიდი ადამიანის გვერდით ისე ბარაქიანად იზრდება, როგორც მზის ნათელმოსილი მცენარე. ორივე ქალს ჰქონდა ეს თვისება. წინააღმდეგობის ნაცვლად, მეუღლეთა ნებას აღევნებულები, ახალი ოცნებების რეალიზების უნარითა და ხალხის სიყვარულის მოპოვების საოცარი, აუხსნელი მადლით მოსილნი საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიოს ისტორიას ისეთი სილაღით წერდნენ, თითქოს, მაკიაჟს იკეთებდნენ წვეულებისთვის.

სამი დიდან შუათანა სუნის ცხოვრება წინააღმდეგობებით სავსე გამოდგა. იყო მაღალი თანამდებობებიც და იყო ქვეყნიდან გაქცევაც, იყო საპატიო სტატუსები თუ ტიტულები და იყო მადამ იატსენის სახელზე გომინდანის მიერ გაცემული დაჭერის ბრძანებაც. იყო ფუფუნება და იყო ტკივილიანი ფიქრი სამშობლოს მომავალზე. პოლიტიკური მოღვაწეობის პარალელურად, აღსანიშნავია სუნ ცინლინის მიერ 1949 წელს დაარსებული ყოველთვიური ჟურნალი „ჩინეთის აღმშენებლობა" (რომელსაც 1990 წელს სახელი გადაერქვა და „ჩინეთი დღეს" ეწოდა). გამოცემა უცხოელ მკითხველზე იყო ორიენტირებული და ამიტომ ექვს — ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ, ფრანგულ, რუსულ, არაბულ ენაზე გამოდიო-

და. სუნ ცინლინს პირველივე დღიდან გვერდით ედგა ებრაული წარმოშობის ინგლისურენოვანი ჟურნალისტი ისრაელ ეპშტეინი, რომელიც მოგვიანებით, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ჟურნალის მთავარი რედაქტორი იყო. 1953 წელს წიგნად გამოიცა სუნ ცინლინის პუბლიკაციათა კრებული სახელწოდებით — „ბრძოლა ახალი ჩინეთისათვის“.

1959-1975 წლებში სუნ ცინლინი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე იყო. 1968 წლიდან 1972 წლამდე იგი ასრულებდა სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას დუნ ბიუსთან ტანდემში. მისი რეალური ძალაუფლება და ოფიციალური სტატუსი სუნ ცინლინს ჩინეთის ისტორიაში პირველი ქალი თავმჯდომარისა და სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის წოდებას ანიჭებს. ამის საფუძველზე, იგი ითვლება ქალი-პრეზიდენტების წინამორბედად ხერტეკ ანჩიმაა-ტოკასა და სუხბატარინ იანჟიმას შემდეგ.

1981 წლის 16 მაისს, გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე, სუნ ცინლინი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს. ინგლისურენოვან წყაროებში მისი თანამდებობა ითარგმნა როგორც „რესპუბლიკის პრეზიდენტი“. ჯერჯერობით იგი ერთადერთია, ვისაც ეს ტიტული ოდესმე მიანიჭა ჩინეთმა.

წარმოუდგენელია XX საუკუნის ჩინეთი სუნ ცინლინის გარეშე. მან უდაოდ ბევრი მიიღო ქვეყნისგან, მაგრამ თავადაც გულუხვად გასცა სამშობლოსათვის: თითქოს, თან გაიყოლა მთელი მისი ჭირ-ვარამი და „ლხინი იქ“, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დატოვა. ნეგატივივით შავ-თეთრი სამყარო არ არსებობს, მითუმეტეს, პოლიტიკა გამოირჩევა ფერთა სიუხვითა და ტონთა პალიტრის მრავალფეროვნებით. ქალიშვილი, რომელსაც „ჩინეთი უყვარდა“, ციბრუტივით ტრიალა, ცისარტყელასავით ფერადოვან პიროვნებად მოსჩანს მისი მამულის თვალსაწიერიდან.

„ოცდამერვე" შესწორების პერსპექტივა

აშშ-ის კონსტიტუციის მეცხრამეტე შესწორების რატიფიცირებასა და ამერიკაში მონობის გაუქმებას (მეცამეტე შესწორება) შორის 55-წლიანი შუალედია. 1920 წლის ტექსტი ქალების არჩევნებში მონაწილეობის უფლებას შეეხება მხოლოდ: „არ შეიძლება შეერთებული შტატების მოქალაქეს, შეერთებული შტატების ან რომელიმე შტატის ხელისუფლების მიერ, უარი ეთქვას ან შეეზღუდოს ხმის მიცემის უფლება მისი სქესის გამო". ცხადია, ეს არ ანიჭებს ქალს მამაკაცთან თანაბარ უფლებებს. არსად აშშ-ის კონსტიტუციაში არ არის განმარტებული, რომ მოქალაქეში ზოგადად ადამიანი იგულისხმება და რომ ქალიც ადამიანია. სანამ მსგავსი, ერთი შეხედვით, აბსურდული, მაგრამ როგორც პოლიტიკური რეალობა აჩვენებს, სასიცოცხლოდ აუცილებელი შესწორების გაკეთება არ მოხერხდება, ქალთა უფლებების დასაცავად ნებისმიერი პროტესტი თუ ბრძოლა ლოკალურ მასშტაბებს ვერ გასცდება.

მოქმედი კონსტიტუციის ბუნდოვანების გამო ქალთა უფლებების არასწორ ინტერპრეტირებასთან დაკავშირებით ლოგიკური პროტესტი რიგით ამერიკელებსაც გაუჩნდათ, რამაც 1923 წელს წარმოშვა მოძრაობა „თანაბარ უფლებათა შესწორებისთვის" (Equal Rights Amendment). ქალთა ეროვნული პარტიის მომხრეები ელის პოლის მეთაურობით ასეთ ფორმულირებას მოითხოვდნენ: „არ შეიძლება შეერთებული შტატების მოქალაქეს, შეერთებული შტატების ან რომელიმე შტატის ხელისუფლების მიერ, უარი ეთქვას ან შეეზღუდოს კანონის ფარგლებში უფლებათა თანასწორობა მისი სქესის გამო". ძნელია საბაბის გამონახვა ასეთი სამართლიანი კანონის წინააღმდეგ, თუმცა ამერიკული საზოგადოება ორ ბანაკად მაინც გაიყო. მოგვიანებით არაერთი პირველი ლედი აღმოჩნდა ERA-ს მოძრაობაში: ბეტი ფორდი და როზალინ კარტერი მომხრეთა რიგებში, ნენსი რეიგანი კი მოწინააღმდეგეთა. 1982 წლის მცდელობაც უშედეგოდ დასრულდა. „თანაბარ უფლებათა შესწორების" იდეის წარმოშობიდან ლამის ასი წლის შემდეგ ჯერ კი-

დევ ვერ ხერხდება ამ საკითხთან დაკავშირებული კანონის რატიფიცირება. ამიტომ, საუბარი რაიმე პროცენტით მიღწეულ წარმატებაზე, აბსურდულია და თვალში ნაცრის შეყრას წარმოადგენს.

პრობლემის თავიდან აცილებისა და სამართლიანობის დაცვის მცდელობა აშშ-ის კონსტიტუციის ტექსტის ჩამოყალიბების პერიოდშიც ფიქსირდება. ამერიკის მეორე პრეზიდენტის მომხიბლავი და მისი ეპოქისთვის შეუფერებლად გონიერი თანამეცხედრე აბიგეილ ადამსი 1776 წლის 31 მარტს მეუღლეს წერდა: „ერთი სული მაქვს, როდის გამოაცხადებთ დამოუკიდებლობას... ახალ კოდექსში, რომლის შექმნაც, ალბათ, აუცილებელი იქნება, ვისურვებდი, რომ გახსოვდეთ ქალბატონები და წინაპრებზე გაცილებით მეტი დიდსულოვნება და კეთილგანწყობა გამოგეჩინოთ მათდამი. ნუ ჩაუგდებთ ქმრებს ესოდენ შეუზღუდავ ძალაუფლებას ხელში. გახსოვდეთ, ყველა მამაკაცი ტირანად იქცევა, საშუალება თუ მიეცა. ქალბატონებს გარკვეული მზრუნველობა და ყურადღება სჭირდებათ, თორემ აუცილებლად აჯანყდებიან და ვერ შეაჩერებთ ისეთი კანონები, რომლებიც მათ არც ხმის, არც წარმომადგენლობის უფლებით უზრუნველყოფენ“. აბიგეილის ცნობილ წერილზე ჯონ ადამსის რეაქცია საპასუხო ეპისტოლეშ შემოინახა: მეუღლის სიტყვებმა იგი გააოცა და ნათქვამი „პიკანტურ კადნიერებად“ ჩაუთვალა. XVIII-XIX საუკუნეების გასაყარზე ამერიკული საზოგადოების თვალში პრეზიდენტი ადამსი მაინც „ზედმეტად დამყოლ“ პოლიტიკოსად ითვლებოდა. პირველი ლედის მოსაზრებათა თუნდაც მხოლოდ მოსმენის, ზოგჯერ კი მისი ბრძნული მსჯელობის გათვალისწინების გამო, ბევრი პოლიტიკური მოწინააღმდეგე ოპონირებდა მათი ოჯახური ტანდემით და მძაფრად აკრიტიკებდა ჯონს „ვიღაც მისის პრეზიდენტის“ კონტროლქვეშ ყოფნისთვის.

ისტორიული რეალიები მოწმობენ, რომ სანამ ამერიკული პედანტი საზოგადოება „მზად არ იყო“, პროგრესული ამერიკელი მამაკაცები არათუ მომწიფებულიყვნენ საამისოდ, არამედ შეძლებისდაგვარად უწყობდნენ ხელს ქალთა თანასწორუფლებიანობას. გარემოს ზეწოლის გამო, ისინი იძულებულნი იყვნენ მაქსიმალურად შეენიღბათ და მიეჩქმალათ საკუთარი პოზიცია, მაგრამ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სიმართლეს დღის სინათლე ხიბლავს. ალბათ, ამიტომ აწყობს მავანს წარსულის დავიწყებისა და წინაპ-

რების გამოცდილების დაიგნორების ტენდენცია. ფემინიზმი მცდარ გზას არასდროს დაადგებოდა, თანამედროვე „მებრძოლები“ ისტორიულ ფაქტებს რომ იცნობდნენ და ცნობდნენ.

ადამსების მიერ თეთრი სახლის დატოვებიდან საუკუნეზე მეტი გასულიყო, მაგრამ უილსონების წყვილის არაორდინალური ურთიერთობის გაგება XX საუკუნის დასაწყისშიც გაუჭირდათ აშშ-ში. ამერიკელმა მწერალმა კეტრინ თიმეშმა მათ თანაპოლიტიკოსობას „მუცლით მეზღაპრეობის აქტი“ უწოდა: „როცა ედიტი ლაპარაკობდა, ვუდრო პირს სინქრონულად აღებდა“. ასეთი ხატოვანი შეფასება განსაკუთრებით შეეფერება 1919-1921 წლებში ოვალურ კაბინეტში არსებულ სიტუაციას.

1919 წლის შემოდგომაზე ვუდრო უილსონმა ინსულტი გადაიტანა, რამაც სხეულის მარცხენა მხარის სრული პარალიზება გამოიწვია. 28-ე პრეზიდენტმა ისე ჩაამთავრა თავისი მეორე ვადა თეთრ სახლში, რომ ფართო საზოგადოებას მისი პრობლემის შესახებ არც კი უეჭვია. აქედან მოყოლებული 1921 წლამდე უდიდესი იყო პრეზიდენტის მეუღლის როლი ზოგადად თეთრი სახლის ფუნქციონირების შენარჩუნებაში. „იგი მეკავშირის როლს ასრულებდა სნეულსა და დანარჩენ სამყაროს შორის“. მართალია, ოფიციალურ პასუხებს იგი ქმრის სახელით წერდა, მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს უკვე უეჭველად მიიჩნევს ამ ქალის მიერ ყოველ დოკუმენტში პირველი ორი სიტყვის „პრეზიდენტი ამბობს...“ მხოლოდ ფორმალურად გამოყენებას და დარწმუნებულია, რომ დანარჩენი ტექსტი ედიტის გონების ნაყოფი უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ მისის უილსონი ამტკიცებდა, არცერთი გადაწყვეტილება პირადად არ მიმიღიაო, კეტრინ თიმეშს ეჭვი ეპარება მის გულწრფელობაში. მკვლევარი თვლის, რომ სამედიცინო ჩანაწერები უტყუარი სამხილია პირველი ლედის წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ ედიტი ყოველივეს უკიდურესად მალულად აკეთებდა, რადგან მისი ქმედება უკანონოდ ითვლებოდა აშშ-ის კონსტიტუციით. მტკიცებულებათა საფუძველზე შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მისის უილსონმა ჭეშმარიტად დაიმსახურა მეტსახელი – „ფარული პრეზიდენტი“.

ედიტის საიდუმლო მისიამ დიდად შეუწყო ხელი ელეონორა რუზველტის პოლიტიკურ ასპარეზზე აშკარად გამოსვლას. მართა-

ლია, ამჯერად მხოლოდ პირველი ლედის სტატუსის გაფართოებულ უფლებამოსილებას მიაღწიეს ამერიკელმა ქალებმა, მაგრამ ესეც საეტაპო ნახტომი იყო ქალბატონი პრეზიდენტის არჩევის მიზანთან მისაახლოებლად. აშშ-ის პოლიტიკურ რეალობაში ელეონორა იყო სწორედ ის ქალი, ვინც პირველმა გამართა პრესკონფერენციები, საფუძველი ჩაუყარა ყოველკვირეული რადიომიმართვების ტრადიციას და შემოიღო საკუთარი სვეტი გაზეთში.

აქტიური პირველი ლედის იმიჯი თანდათან დაინერგა რიგითი ამერიკელის ცნობიერებაში. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში ჯერაც არაფერი წერია ამ ტიტულის მფლობელის კონკრეტულ ფუნქციებზე, მოსახლეობა ცოლისგანაც გარკვეულ ნაბიჯებს მოელის, როცა მის ქმარს თეთრი სახლის კარს უღებს. 1960-იანებს რეფრენად გასდევს სილამაზის აპოლოგეტი ლედი ბერდ ჯონსონის ფრაზა – „აბა, დღეს რა გააკეთე ქალებისთვის?", რომლითაც იგი შინ დაბრუნებულ პრეზიდენტს ეგებებოდა. ჭორი იყო თუ სინამდვილე, ჯონსონების თანამედროვეებს ნაკლებად ალიზიანებდათ პოლიტიკური პირველი წყვილის მსგავსი ურთიერთობა. ესეც გარკვეულ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. 1977-1981 წლებში როზალინ კარტერმა უკვე სიმართლის საჯაროდ გაცხადება გაბედა, როდესაც საკუთარი თავი დაახასიათა „უფრო პოლიტიკურ პარტნიორად, ვიდრე პოლიტიკოსის ცოლად". ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ამერიკელი ქალები უახლოვდებოდნენ მამაკაცებთან თანასწორობის სანუკვარ ოცნებას, მაგრამ სწორედ იმ მიზეზით, რომ მათი უფლებებისთვის ბრძოლა დამოუკიდებელ მოძრაობად ჩამოყალიბდა, ეს პროცესი ასწლეულობით გაიწელა.

არსებობს რამდენიმე ძირეული შეცდომა, რაც აფერხებს თანასწორუფლებიანობის კონსტიტუციურ რეალიზებას აშშ-ში. უპირველეს ყოვლისა, „ქალთა უფლებების დაცვა" უკვე დისკრიმინაციაა. თავად მიზნის დასახვაშია დამარცხების ლეტალურობა ჩადებული, როცა საკითხი ასე დაისმის. ყალბია ამერიკელი მკვლევრის რობერტ ვატსონის ქალებისადმი თანადგომა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ „გულშემატკივრის" პოზიციიდან წერს: „შეერთებული შტატები ხშირად ლიდერობს ადამიანის უფლებებისა და ქალთა უფლებების გაზრდის მიმართულებით". რას ნიშნავს ეს პასაჟი – რადგან ადამიანთა უფლებების დაცვისას ქალთა უფლებები არ

იგულისხმება, ვატსონის აზრით, ქალები ადამიანები არ ყოფილან? ამდაგვარი ალოგიკურობა შეინიშნება როგორც ქალთა თანასწორობის მოწინააღმდეგეების, ასევე მომხრეთა თუ დამცველთა უმეტესობის მსჯელობაში. ვფიქრობ, მსგავსი სისულელის (იგულისხმება „მოდური" სიტყვა ნონსენსი) აღმოფხვრით უნდა დაიწყოს ამერიკაში რეალური თანასწორობის მისაღწევად სწორი კურსის აღება.

დისკრიმინაციის აშკარა გამოხატულება იყო აშშ-ში 1992 წლის „ქალების წლად" მონათვლა იმ მოსაზრებით, რომ მაღალ თანამდებობებზე ქალების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა: სენატში ორიდან ექვსამდე, წარმომადგენელთა პალატაში ოცდაცხრიდან ორმოცდარვამდე, ხოლო სამ შტატში (კანზასი, ნიუ-ჯერსი, ტეხასი) ქალი აირჩიეს გუბერნატორად. ვინმე ითვლის რამდენი მამაკაცია ამა თუ იმ პოსტზე? ცხადია, ასეთ მაჩვენებლებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს რეალური პოლიტიკის წარმართვისთვის.

პროცენტული მაჩვენებლებისა და სტატისტიკის გაპროტესტება პრობლემის არსში ვერჩაწვდომის ილუსტრირებაა. „შეერთებული შტატების ასი მსხვილი ქალაქიდან, მაგალითად, მხოლოდ თექვსმეტს ჰყავს ქალი-მერი" — ეს სუსტი არგუმენტია და, ფაქტობრივად, არც არაფერს ამტკიცებს. რობერტ ვატსონმა და მის მსგავსად მოაზროვნე „ქალთა დამცველებმა" უმჯობესია გაიაზრონ, რომ მთავარია არა რაოდენობა, არამედ ხარისხი. კონსტიტუცია კი არ უნდა აიძულებდეს, ორმოცდაათი პროცენტი ქალებით დაკომპლექტდეს ყველგან და ყველაფერში, არამედ ნებისმიერ მოქალაქეს უნდა აძლევდეს თანაბარ შანსს საკუთარი ნიჭის, ცოდნის, გამოცდილებისა და უნარის მიხედვით იცხოვროს. რობერტ ვატსონის მიერ შემოთავაზებული „პროპორციულობის დაცვა" (same proportion), რომელიც მას პანაცეად მიაჩნია, ვფიქრობ, თანასწორუფლებიანობას ვერ განაპირობებს. პირიქით, უფრო მეტი დისკრიმინაციის მიზეზი გახდება, როცა კანონი აიძულებს ქალებს კვოტების „თანასწორუფლებიანად" შევსების მიზნით აკეთონ ის, რაც მათ ნაწილს უბრალოდ არ აინტერესებს ან არ სურს. პრობლემა იმალება არა რაოდენობაში, არამედ უუფლებობასა და სქესობრივი კუთვნილებით ქალების დისკრიმინაციაში. დემოკრატიის არსი ხომ ისაა, თუნდაც ერთ ქალს რომ სურდეს პრეზიდენტობა ან გენერლობა, მას არაფერი უნდა აბრკოლებდეს, ამისთვის საჭი-

რო მონაცემები თუ აქვს. სამართლიანობის დაცვა კანონმდებლობის ახსნა-განმარტების დონეზე უნდა ხდებოდეს და არა სტატისტიკური მონაცემების 50/50-ზე ხელოვნურად გაყოფით. ეს ვერ იქნება რეალური ბალანსი, მხოლოდ — არითმეტიკული გამოთვლის შედეგად მიღებულ რიცხვად დარჩება.

ასევე მიუღებელია წინაპრების განქიქება ანდა უფრო უარესი — მათი ნათქვამისა თუ საქციელის თვითნებური და უმართებულო ინტერპრეტირება მიზეზთა გამო. როცა მაქს სკიდმორი „თავმომწონე ფუყე თავთავის“ ცუდად შენიღბული ირონიით საუბრობს თომას ჯეფერსონის კლასიკად ქცეულ ციტატაზე, რატომღაც არ განიხილავს წინაპრის ნათქვამს სერიოზულ რჩევად. ვფიქრობ, ჯეფერსონი არ ეწინააღმდეგებოდა ზოგადად ქალის დაწინაურებას, უბრალოდ, საჭიროდ მიაჩნდა საზოგადოების სათანადოდ მომზადება რევოლუციური სიახლის რეალიზებამდე. აშშ-ის საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერაც „მზად არ არის“. ამიტომ, არც ახლა ეკუთვნის და მით უმეტეს ორი საუკუნის უკან არ იმსახურებდა თომას ჯეფერსონი „სირცხვილით გაწითლებას“ საკუთარი სიტყვების გამო: „თანამდებობაზე ქალის კანდიდატურის წამოყენებისთვის... არც ხალხია მზად და – არც მე“. წინაპრის უსაფუძვლოდ დამცრობით ქალის უფლებებს ნამდვილად ვერ დაიცავენ სკიდმორის მსგავსი ადამიანები. თუნდაც მხოლოდ აღნიშნული ციტატის საფუძველზე, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ჯეფერსონი ფიქრობდა აღნიშნულ საკითხზე და ვარაუდობდა კიდეც ოდესმე მომავალში ქალი-პრეზიდენტის არჩევის ალბათობას. ვფიქრობ, მხოლოდ მოუმზადებელ საზოგადოებაში პროგრესული იდეის ძალისმიერი მეთოდებით ჩანერგვის წინააღმდეგი თუ იქნებოდა ამერიკის მესამე პრეზიდენტი. საერთოდ, მუდამ აქტუალურია პრობლემა — კარგ მთქმელს, რომ კარგი გამგონე უნდა.

უთუოდ კორექტივებს საჭიროებს არასწორი სტერეოტიპი სამხედრო კონფლიქტების დარეგულირებაში ქალის ფუნქციის იგნორირებასთან დაკავშირებით. ცნობილი კონგრესმენი (შეგნებულად არ ვიყენებ კომპოზიტს „კონგრესვუმენი“) პატრიცია შროდერი ქალი-პრეზიდენტის ვერარჩევასთან დაკავშირებული მიზეზების განხილვისას აღნიშნავს: „რადგანაც „მთავარსარდალი“ და „თავისუფალი სამყაროს ლიდერი“ აშშ-ის პრეზიდენტის მუდმივი ეპითეტე-

ბია, ქალი-პრეზიდენტის იდეის რეალიზებისკენ მნიშვნელოვნად წინწადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია თავდაცვის მინისტრად ქალის არჩევა. მადლენ ოლბრაიტმა სახელმწიფო მდივნის რანგში უცილობლად დაამტკიცა, რომ ქალს ხელეწიფება მსოფლიოს ლიდერობა. ახლა იმის ჩვენება გვჭირდება, შეიარაღებული ძალების ღირსეულად წინამძღოლობაც რომ შეუძლია ქალს“. გასაგებია შროდერის სურვილი, დაჰყვეს პატრიარქატის ზეგავლენით შემორჩენილ წესებს და ქალის ღირსებები თუ უნარები ამტკიცოს მისი თანამედროვე ამერიკის რეალობიდან მოხმობილი მეტყველი ნიმუშებით. ამ პრობლემას ორი მხარე აქვს, რომელთა გათვალისწინება უაღრესად მნიშვნელოვანია.

თუ თანამედროვე მსოფლიოს გამოცდილებას გადავხედავთ, თავდაცვის მინისტრად ნამყოფი ქალების რაოდენობა მცირეა. თუმცა უკვე არსებობს პრეცედენტი, რომელზეც პატრიცია შროდერი ოცნებობს ამერიკისთვის. ჩილეს პრეზიდენტად მიშელ ბაჩელეტი მას შემდეგ აირჩიეს, რაც 2002-2006 წლებში თავდაცვის მინისტრად ემსახურა სამშობლოს. მან სოლიდური სამხედრო განათლება მიილო ჯერ ამერიკულ კოლეჯში სწავლისას, შემდეგ კი ჩილეს სამხედრო აკადემიაში. გამორიცხულია, ბაჩელეტის ცოდნისა და გამოცდილების ეჭვქვეშ დაყენება და მისი ჩილეს მთავარსარდლის ტიტულით მოხსენიებასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემის წარმოდგენა. ეს ქალბატონი არა მხოლოდ ქვეყნის მაღალ თანამდებობაზე ყოფნის სტანდარტთა მოთხოვნებს პასუხობს, არამედ ღირსეულად წარმოაჩენს ქალურობის თავსებადობას „მამაკაცური“ პოლიტიკის ყოველ „არაქალურ“ ასპექტშიც.

ამერიკულ სამხედრო რეალობაში ბაჩელეტზე წარმატებული არაერთი ქალბატონია ცნობილი: სამვარსკვლავიანი გენერალ-ლეიტენანტი კლაუდია ჯინ კენედი, საჰაერო ძალების გენერალ-ლეიტენანტები ლესლი ფ. კენი და ტერი უოლტერ გაბრესკი, ვიცეადმირალი პატრიცია ენ ტრეისი, სამვარსკვლავიანი საზღვაო გენერალ-ლეიტენანტი კეროლ მათერი. მათ გარდა მაღალ სამხედრო წოდებებს ფლობენ: გენერალ-მაიორი და ნასას ყოფილი ასტრონავტი სიუზან ჯეინ ჰელმსი, გენერალი ენ ელიზაბეტ დანვუდი, საჰაერო ძალების გენერალ-მაიორი ჯინ ჰოლმი და გენერალ-ლეიტენანტი ჯანეტ კეროლ ვოლფენბარგერი, კონტრადმირალები ალენ

ბერტა დუერკი, ელეონორა მარიანო, გრეის მიურეი ჰოფერი და ფრენ მაკ-კი, ვიცე-ადმირალები კეროლ პოტენჯერი და ენ რონდო, გენერალ-ბრიგადირები ანა მეი ჰეისი და ელიზაბეტ ჰოისინგტონი. ვფიქრობ, საკმაოდ გრძელი სიაა იმის დასადასტურებლად, რომ ქალს შეუძლია წარმატებული სამხედრო კარიერის შექმნა, ბრძოლაში მონაწილეობა და შეიარაღებული ძალების წინამძღოლობა. ამერიკის კონსტიტუციაში წყალქვეშა რიფებივით მიმალული ხელისშემშლელი მომენტები თუ მოისპო, მხოლოდ უფრო მეტი გენერალი და ადმირალი კი არა, თავდაცვის მინისტრი ქალებიც საკმარისად ეყოლება შეერთებულ შტატებს. თუმცა, დღევანდელი სიტუაციაც საკმარისია ყურით მოთრეული საბაბის გასაბათილებლად ქალი-პრეზიდენტის არჩევას რომ ელობება ზოგიერთის აზრით.

„2001 წლის 11 სექტემბერს შეერთებულ შტატებზე განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმებამდე ეროვნული უსაფრთხოების საკითხი პრიორიტეტულად არ ითვლებოდა. დღეს დილემას წარმოქმნის ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ერთმანეთში არევა. ზოგის მტკიცებით, ეს ორი განუყოფელია... ასეთ სიტუაციაში პირველი ქალი-პრეზიდენტის არჩევასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: როგორია ძალის გამოყენებასთან ზოგადად პოლიტიკოსი ქალების დამოკიდებულება აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სამხედრო საშუალებებით დაცვის აუცილებლობის შემთხვევაში? ამ საკითხზე ქალი-ლიდერების თვალსაზრისთა მრავალფეროვნება ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემას ართულებს“. ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ქალის შესაძლებლობებში დაეჭვებულ ჯონ დევისს რეალური ფაქტები ავიწყდება. 11 სექტემბერს ქვეყნის მთავარსარდალი ქალი იყო და არა – კაცი: მაშინ როცა ჯორჯ ბუში შედარებით უსაფრთხო ადგილას გაიხიზნა და გაყუჩდა მოვლენების განვითარების მოლოდინში, თეთრ სახლში კონდოლიზა რაისი მოქმედებდა, არც შიში ეტყობოდა, არც დაბნეულობა. მისმა კონცენტრირებულმა გამომეტყველებამ ძლიერი პოლიტიკოსის დადებითი შთაბეჭდილება დატოვა ტელეეკრანებიდან. სახელმწიფო მდივნის გამოსვლის შემდეგ პანიკაში მყოფმა მოქალაქეებმა იმედი პირველად მოიცეს და დამშვიდება დაიწყეს.

თავის მართლება, რომ პრეზიდენტის უსაფრთხოების დაცვა ქვეყნის ინტერესებით იყო გამოწვეული და ამიტომაც გადამალეს იგი, სუსტი არგუმენტია. ჯერ ერთი, არსებობდა ვიცე-პრეზიდენტი და, საჭიროების შემთხვევაში, ოთხი წელი თავდაცვის მინისტრად ნამუშევარი დიკ ჩეინი უპრობლემოდ მოახერხებდა ლინდონ ჯონსონისა და სხვა წინამორბედთა მსგავსად ოვალურ კაბინეტში გადაბარგებას. მსგავსი სცენარის ბუნებრიობა მოგვიანებით წარმოჩნდა. კონსტიტუციის 25-ე შესწორების შესაბამისად, 2002 წლის 29 ივნისს და 2007 წლის 21 ივლისს ჩეინი რამდენიმე საათით პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გახდა, სანამ ბუში სამედიცინო კლინიკაში იმყოფებოდა. მეორეც, არცერთი ქალი-პრეზიდენტი დედაქალაქს არ დატოვებდა და ბოკში ჩავარდნილ მოსახლეობას არ დაემალებოდა მეხანძრეების, პოლიციელების, ტერორისტების მიერ სასიკვდილოდ განწირული მოქალაქეების შეგნებული გმირობის ფონზე. მთავარსარდალი ომის პერიოდში სჭირდება ხალხს წინამძღოლად, თორემ მშვიდობის და გართობის დროს კვაზიმოდოც იოლად გასწევს მეფობას.

„ლონდონური ბლიცის“ (1940 წლის 7 სექტემბერს დაწყებული 76-დამიანი საჰაერო თავდასხმის) პერიოდში სამეფო ოჯახს ბუკინგემის სასახლე არ მიუტოვებია. 14 სექტემბრისთვის უშუალოდ რეზიდენცია უკვე ორჯერ აღმოჩნდა ცეცხლში გახვეული. დედოფლის პირადი ბრძანებით, ყველანი ადგილზე დარჩნენ და არანაირი პრივილეგიით არ სარგებლობდნენ გათბობის, კვების თუ უსაფრთხოების თვალსაზრისით. ასეთი მაგალითით გამხნევებული მოსახლეობა, იმ პერიოდის „ტაიმსის“ პუბლიკაციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დაბომბვების დაწყებიდან ერთი კვირის თავზეც ქალაქში ცხოვრების ჩვეული რიტმის შენარჩუნებას ცდილობდა. რადგან „ბლიცით“ ჰიტლერს ბრიტანელების დემორალიზება განეზრახა, ფიურერის გეგმას ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ეროვნული სიწმინდის გადარჩენისთვის მოწოდება დაუპირისპირა. ლუფტვაფეს პილოტების მიერ ლონდონის ცაზე განხორციელებული მორიგი რეიდისას, უინსტონ ჩერჩილმა განაცხადა, რომ წმ. პავლეს სახელობის საკათედრო ტაძარი ნებისმიერ ფასად უნდა შეენარჩუნებინათ და ყველა სახანძრო რაზმის ამ ერთ შენობასთან მობილიზება მოითხოვა. არავინ დარჩენილა თავშესაფარში საკუთარი უსაფრთხოების

მიზნით. ფერფლადქცეულ ლონდონში კვამლის გაფანტვის შემდეგ, ეროვნული ერთობის სიმბოლოსავით ამაყად ამოიწვერა ყუმბარებს გადარჩენილი ქათქათა სალოცავი ლადგეითის გორაზე. 1940 წლის 29 დეკემბერს ტიუდორის ქუჩაზე მდებარე „დეილი მეილის" ოფისის სახურავიდან ჰერბერტ მეისონმა მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი უკვდავი ფოტო გადაიღო, რომელიც თვალნათლივ წარმოაჩენს ბრიტანელთა ერთსულოვნების შედეგს.

როცა ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი) ტერორისტული შეტევის საფრთხე შესუსტდა, მასიდან ამოხეთქილი პატრიოტიზმი, წმინდაწყლის ამერიკული პარადოქსულობით, სამალავიდან გამომძვრალი „მხედართმთავრის" გარშემო დაკონდენსირდა. ბუშიზმის ნიმუშებზე მოხალისეებითა და პრეზიდენტის მხარდამჭერებით დაკომპლექტებული საზოგადოება დეფორმირებული სარკეებით მოფენილ დარბაზში წრეზე მოსიარულეთა ნაკადს ქმნიდა. ამიტომაც აღმოჩნდა იოლი მათი გატყუება პროგრესული ნაბიჯის გადადგმიდან მოშორებით. ოდესმე ამერიკელთა უმრავლესობა საკუთარი დამახინჯებული ანარეკლებით ტკბობას შეეშვება და დარაბებს მიღმა რეალობასაც შეაჩვევს თვალს. საგანთა და პიროვნებათა ჭეშმარიტი ფორმების გარჩევას რომ დაიწყებენ, მერე მართებული გზაც მოხვდება მათი ხედვის არეალში. მანამდე კი კომიზმის მწვერვალებზე ხეტიალი მოუწევთ ისეთებს, 2008 წლის ცხელი ქართული აგვისტოს დღეებში რუსულ ტანკებს რომ ქალაქ ატლანტის შემოგარენში ელოდნენ სი-ენ-ენის ეთერში ნანახი «Russia invades Georgia»-ის შემდეგ. პოლიტიკურ სიბეცესაც საზღვარი სჭირდება, ისევე როგორც ეგოიზმს. ისევ მოქალაქეთა ინტერესებიდან გამომდინარე.

ამერიკელ ქალ-პრეზიდენტს, რომელიც წარმატებით გაივლის საარჩევნო მარათონის ქარ-ცეცხლს, თეთრი სახლის თავზე დაკიდული ატომური ბომბიც ვერ შეაშინებს, რადგან უსამართლოდ გართულებულ ბრძოლაში გამარჯვების შედეგად შეძენილი იმუნიტეტი გააძლიერებს. ალ გორისთვის განკუთვნილი პრეზიდენტობის საჩოთირო ვითარებაში მოპოვება აშშ-ის 43-ე პრეზიდენტის საკეისრო კვეთით დაბადებას წააგავდა. ბუნებრივია, „ბავშვი" სუსტი იქნებოდა.

სამშობლოს და ოჯახის დაცვის აუცილებლობისას მრავალი ნიმუშია, როცა ქალი უკან არ იხევს ფიზიკურ ძალთა უთანასწო-

რობის მიუხედავად. სიმამაცე და გულადობა მანდილოსანთაგან მრავალს არანაკლებ დაჰყვება დაბადებით, ვიდრე ძლიერი სქესის წარმომადგენლებს. ქალები ისრაელის ჯარშიც მსახურობენ, ამერიკისაც და სხვა არაერთი ქვეყნის სამხედრო ნაწილებშიც. ამორძალებს საერთოდ არ ჰყავდათ მამაკაცები, რომ მათ ბრძოლაში სტრატეგიული ან ფიზიკური დახმარება გაეწიათ მეომარი ქალებისთვის. მიუხედავად ამისა, ცალმკერდა ლამაზმანები ტოლს არ უდებდნენ მამრებს საომარ ასპარეზზე. სხვა საკითხია, რომ დიაცებს ასეთი ქცევა არ უნდა სჭირდებოდეთ.

ძველ აღთქმაში მსაჯულთა წიგნის მეოთხე და მეხუთე თავებში მოთხრობილია მებრძოლი სულის, მამაცი ქალების — დებორასა და იაილის შესახებ. ეგვიპტიდან გამოქცეულ ებრაელებს, რომლებიც ქანაანის ქვეყანაში დასახლდნენ, ძალიან ავიწროებდნენ ადგილობრივები. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა წარმართთა ერისთავი სისარა, რომელსაც დიდი სამხედრო ძალა გააჩნდა და ებრაელებს გასაქანს არ აძლევდა ოცი წლის განმავლობაში. „ისრაელის დედად" წოდებულმა ბიბლიურმა წინასწარმეტყველმა და მსაჯულმა ქალმა დებორამ მტრულად განწყობილი ქანაანის მეფე იაბინის არმიისთვის წინააღმდეგობის გაწევა განიზრახა. ლაშქრობის სულისჩამდგმელმა, თავისი იდეების ხორცშემსხმელად მამაკაცი — მხედართმთავარი ბარაკი აარჩია. ეს უკანასკნელი ბრძოლას მხოლოდ იმ პირობით თანხმდებოდა, თუ დებორა მის გვერდით იქნებოდა. სტრატეგი ქალი არ შეყოყმანებულა, ისე დათანხმდა, მაგრამ ბარაკს ამცნო, რომ მტერზე გამარჯვებულის საპატიო წოდება წილად ერგებოდა ქალს, რომელსაც ღმერთი სისარას თავს ჩაუგდებდა ხელში.

ქრისტემდე XII საუკუნეში თაბორის მთასთან ბრძოლა გაიმართა ებრაელთა ათიათასიან ჯარსა და სისარას ცხრაასი საბრძოლო, რკინის ეტლისგან შემდგარ არმიას შორის. ღვთიური მხარდაჭერისა და შინაგანი რწმენის წყალობით, ისრაელის შვილებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ქანაანის მეფის დამარცხებული სარდალი ეტლიდან ჩამოხტა და ბრძოლის ველიდან ფეხით გაიქცა. იქვე ახლოს ქაბერ კენეველის კარავი იდგა მუხის ჩრდილქვეშ. რადგან ქაბერის ოჯახსა და მეფე იაბინს შორის სამშვიდობო ურთიერთობა სუფევდა, სისარა დაუფიქრებლად დათანხმდა ქაბერის

ცოლის, იაილის მიპატიჟებას და კარავს შეაფარა თავი. მწყურვალს ქალმა რძე მიართვა ფიალით. როცა დაქანცულ სისარას ჩაეძინა, იაილმა საფეთქელთან კარვის მანა (პალო) ჩააჭედა. მდევარმა რომ კარავს მიაღწია, ქალი მშვიდად მიეგება ბარაკს და სისარას გვამის საჩვენებლად შინ შეუძღვა. ასე ახდა წინასწარმეტყველის სიტყვები. დებორამ სამადლობელი გალობა აღავლინა „და იყო დამშვიდება ქუეყანისა ორმეოც წელ". ბიბლიურ მსაჯულსა და ორლეანელ ასულს შორის დაახლოებით 26 საუკუნე გადაჭიმულა, მაგრამ მათი სუსტი, ქალური სხეულები ერთიდაიმავე სიძლიერის, მგზნებარე, ყოვლისდამთრგუნველი სულისკვეთებით გამოირჩევა მამულისა და მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ. ნამდვილად იგრძნობა მინიშნებანი მათ სულიერ ნათესაობაზე.

ქრისტეშობიდან 60 (ზოგი მონაცემით, 61) წელს ბრიტების ერთ-ერთი ტომის — იცენების დედოფალმა ბუდიკამ (ირლანდიური და უელსური ტრანსკრიფციით, ბოუდიკამ) საკუთარი ხალხი უზარმაზარი, ძლევამოსილი რომის იმპერიის წინააღმდეგ ააჯანყა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ბრიტანელი მეზობლებიც აიყოლია დამპყრობლის წინააღმდეგ ბრძოლაში. გარდაცვლილი მეფის, პრასუტაგუსის ქვრივის მხედართმთავრობით, ბრიტანელ ტომთა გაერთიანებულმა ძალებმა ქალაქი კამულოდუნუმი (თანამედროვე კოლჩესტერი) მოსპეს, IX ლეგიონი დაამარცხეს, ლონდინიუმი (დღევანდელი ლონდონი) მიწასთან გაასწორეს, ვერულამიუმი (ახლანდელი სენტ-ოლბანზი) გადაწვეს. აღებული სამი ქალაქის მოსახლეობა დაუნდობლად დახოცეს: ნაწილი ჩამოახრჩეს, დანარჩენები ჯვარზე გააკრეს. განსაკუთრებული წამებით კლავდნენ უწარჩინებულეს ქალბატონებს. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, მთლიანობაში 70-დან 80-ათასამდე ადამიანი გაანადგურეს. ამოდენა მსხვერპლს ტაციტუსი იმით ხსნის, რომ ბრიტებს არ აინტერესებდათ ტყვეების ცოცხლად აყვანა გაცვლის ან გაყიდვის მიზნით. აშკარა იყო, რომ მამა-პაპათა მიწების გაწმენდა განეზრახათ რომაელი დამპყრობლებისგან. მათი გამარჯვების ქალღმერთი ანდრასტეც, ჯერჯერობით, ხელს უწყობდა ამ გეგმას.

ბოლო შეტაკების დაწყებამდე, გამორჩეულად ტანადმა, ჭრელი ტუნიკით მოსილმა დედოფალმა ჩვეული მჭახე ხმით მიმართა საკუთარ ხალხს. დიონ კასიუსის აღწერამ ცოცხლად შემოგვინახა

მეომარი ქალის პორტრეტი... იგი საბრძოლო ეტლში იდგა, გვერდით თავისი ასულები ესვა. წელამდე სწვდებოდა გრძელი, სწორი, წითური თმა, რომელიც, თითქოს, აჯანყებულთა ომახიანი ყიჟინის ვიბრაციით ირხეოდა და ცეცხლოვანი ორეოლის ილუზიას ქმნიდა ბუდიკას ყელზე თვალისმომჭრელად აელვარებული ოქროს ტორკის (გრეხილი ლითონის სამკაულის) გარშემო. მასიური ბალთით მკერდზე შეკრული, მძიმე ქსოვილის მოსასხამიდან მეფური ღირსებითა და უცილობელი ლიდერის შეუვალობით აღემართა ორივე ხელი. ტაციტუსის „ანალებში" მოცემულია ჯარისადმი მიმართვის ტექსტი: პრასუტაგუსის ქვრივმა თავის მებრძოლებს სთხოვა ეომათ არა ქონებაწართმეული და პრივილეგიებჩამორთმეული დედოფლის, არამედ შეურაცხყოფილი ქალისა და დედის ღირსებისათვის; მათ მხარეს იყო სამართალი და შესაბამისად — ღვთიური მხარდაჭერაც; ამიტომ, თავისუფალი ბრიტების დასამორჩილებლად მოსული ერთი ლეგიონის მსგავსად, დანარჩენ რომაულ სამხედრო შენაერთებსაც კუდით ქვას ასროლინებდნენ; იგი ქალი იყო, მაგრამ თავი გადადებული ჰქონდა — ან გაიმარჯვებდა, ან სიკვდილს ამჯობინებდა; თუ კაცებს ტყვეობაში სიცოცხლე ერჩიათ, ეს მათი პირადი არჩევანი იქნებოდა. თანამედროვე მკითხველისთვისაც შთამბეჭდავია თუნდაც მტრულად განწყობილი რომაელის ინტერპრეტაციით გადმოცემული წინასაბრძოლო სიტყვის პათოსი, რომელიც ნათლად ასახავს ორატორის ინტელექტს, სიმამაცეს, უკომპრომისობასა და აზროვნების დემოკრატიულობას. ლურჯი საღებავით სახემოხატული მამაკაცების ლაშქარს წუთითაც არ გასჩენია ეჭვი, ჩვენს წინამძღოლობას ქალი როგორ შეძლებსო.

ბრიტანელთა მრავალრიცხოვან არმიას გამარჯვების რწმენას უნერგავდა როგორც მათი მხედართმთავრის შემართება, ისე რომაულ ძალებთან რაოდენობრივი უპირატესობა. მხოლოდ ბრძოლის ტერიტორიის გეოგრაფიული თავისებურების სათანადოდ გამოყენებისა და სწორი ტაქტიკური ქმედებების წყალობით შეძლო გაიუს სვეტონიუს პაულინუსმა ბუდიკას ჯარის დამარცხება. ტყის მასივით შემორკალული, ვიწრო რომაული გზის (რომელსაც დღეს ვატლინგის ქუჩას უწოდებენ) მიდამოებში 230 ათას აჯანყებულს მანევრირების საშუალება არ მიეცა. თანამედროვე მკვლევრები უნდობლად ეკიდებიან დასახელებულ რაოდენობას, რადგან რომაელ

ავტორებს მტრის ძალების გადაჭარბებულად აღწერა სჩვეოდათ საკუთარი არმიის გამარჯვებათა ჰიპერბოლური განდიდების მიზნით. ტაციტუსის ცნობით, იმ ბრძოლაში „თითქმის 80 ათასი ბრიტანელი და მხოლოდ ოთხასი რომაელი დაიღუპა... ბუდიკამ თავი მოიწამლა“. დიონ კასიუსის ვერსიით, დედოფალი ავად გახდა და მალე გარდაიცვალა.

ბრიტების სისხლიანი აჯანყება, როგორც ჩანს, მათი ლიდერის სიკვდილიდან კარგა ხნის მერეც აწვალებდა რომაელთა მეხსიერებას. 476 წელს რომის დასავლეთ იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. ლამის ასი წლის შემდეგ, VI საუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირი — გილდას ბრძენი თხზულებაში „ბრიტანეთის დანგრევისა და დაპყრობის თაობაზე“ («De Excidio et Conquestu Britanniae»), სავარაუდოდ, იცენთა დედოფალს გულისხმობს, როცა წერს: „მუხთალმა ძუ ლომმა დახოცა მმართველები, რომლებიც აქ რომაული კანონის სრულფასოვნად დანერგვის მიზნით დატოვეს“. მეცნიერთა აზრით, გილდასი სრულიად საკამათო კონტექსტში და დაუსაბუთებლად ამკობს ამ არასახარბიელო ეპითეტით ბუდიკას. ცხადია, აჯანყებულთა ლიდერის, მისი მოტივაციის ხედვის კუთხე რადიკალურად განსხვავებულია და ბრიტანელი სასულიერო პირის აშკარა პრორომაულ თვალსაზრისს გახაზავს. თუმცა, მთავარი მაინც მხატვრული ასოციაციაა, რომელსაც ხუთი ასწლეულის წინათ მარადისობაში გადასული, შეუპოვარი დედოფალი იწვევს მისთვის შორეულ ავტორში.

ტრაგიკული ბედის მქონე, მაგრამ ვაჟკაცური შემართებითა და მეომრული სულისკვეთებით აღსავსე ქალის სახელი შუა საუკუნეებში დავიწყებას მიეცა. პირველი ათასწლეულის დასაწყისის ბრიტანული წერილობითი წყაროები არ მოიპოვება. თანამედროვეებს, შეიძლებოდა, ვერასდროს გაეგოთ ბუდიკას სიმამაცის ამბავი, რენესანსის ეპოქაში კვლავ რომ არ ამოტივტივებულიყო იცენთა ტომის გულადი ასულის სახე ტაციტუსისა და დიონ კასიუსის ნაწერების საშუალებით.

XIX საუკუნეში ბუდიკა ლეგენდარული შარავანდედით შემოსეს. გაიხსენეს მისი სახელის პროტოკელტური მნიშვნელობა — „ძლევამოსილი“, „გამარჯვებული“ (victorious). დედოფალ ვიქტორიას არაერთი მიზეზით აწყობდა „სეხნია“ წინაპრის განდიდება სა-

კუთარი იმიჯის სასარგებლოდ და, ალბათ, ამიტომ არ ადარდებდა ზოგიერთი შეუსაბამობა. 1902 წელს პრინცი ალბერტის ძალისხმევით იმ ქალის ბრინჯაოს ქანდაკება დაიდგა ვესტმინსტერის ხიდთან, პარლამენტის ფონზე, ვინც ოდესღაც ხელისაუკანკალებლად გადაწვა ლონდონი. თუმცა იმ ეპოქაში ეს რომაელების მიერ დაარსებული და დამპყრობლებით დასახლებული პორტი იყო მდინარე ტემზაზე. არქეოლოგ გრემ უებსტერს უარეს ცინიზმად მიაჩნია ის, რომ ინგლისის ისტორიაში „უდიდესი ანტიიმპერიალისტი მეამბოხე ახლა ბრიტანეთის იმპერიის ოქროს ხანის მონარქთან ასოცირდება". ასეთი რეალობა თანამედროვე პიარტექნოლოგიებისა და XIX საუკუნის პროპაგანდის სისხლისმიერი ნათესაობის ერთ-ერთი მეტყველი დასტური უნდა იყოს: პირველი სახელია, მეორე — მამის სახელი. ისინი საშუალებათა კომპლექსია, რომელიც ყველა დროში წარმატებით ახერხებდა რეალური ფაქტების ისტორიულ ირონიად გადაქცევას. ვიქტორიაზე ამბობდნენ, მის სამფლობელოში მზე არასოდეს ჩადის, რადგან დედამიწის მთელ გარშემოწერილობაზე გადაჭიმულაო. ძველი რომის მმართველებს ამოდენა ტერიტორია არც კი დაესიზმრებოდათ. იქნებ იმპერიული თვალსაზრისით მიღწეული უპრეცედენტო წარმატება ნამუსს სწმენდდეს კიდეც „მიზანი ამართლებს საშუალებას" პრინციპით მოთამაშე ქალბატონს. თუმცა, უმთავრესი ხომ ბუდიკას ძლიერი პიროვნული ხიბლია. მხოლოდ ბრიტანეთის მონარქის სურვილი ვერ აქცევდა ღირსების დასაცავად პირველ საუკუნეში აღმდგარ ქალს გაერთიანებული სამეფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ სიმბოლოდ.

ლამის ორი ათასი წლის შემდეგ, მულტიმედიურ სამყაროში გათქვეფილ, ნახევრად ვირტუალურ საზოგადოებას მხოლოდ ის ფაქტი თუ დააინტრიგებს, რომ ლაშქრის წინამძღოლმა ქალმა თავისი ომახიანი ხმის ტემბრით რომაული ჰეგემონია „შეძრა", თუნდაც მცირე ხნით. იმ ეპოქას აშკარად არ სჭირდებოდა ფემინისტური ტალღები. ძუ იყო თუ ხვადი, „ლეკვი ლომისა" არ განირჩეოდა. ამის დასტურია სამეფო წარმომავლობის მქონე, იცენთა ტომის ქალი-ბელადი, რომლის სილამაზესა და ინტელექტს მოსისხლე მტრის მემატიანენიც კი ერთხმად აღიარებდნენ. დაბინდული ზეცის მიღმა დარჩენილი გამჭოლი მზერით, ბუდიკა სამუდამოდ დაბრუნდა. დაბადებიდან თითქმის ოცი საუკუნის შემდეგ, იგი გა-

ცილებით მეტი სიმპათიითა და პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე საუკუნის წინ გარდაცვლილი მისი „სეხნია" მონარქი.

სამშობლოს დასაცავად კდემამოსილების საბურველის დროებით მიგდება ანდა მისი განთავისუფლებისთვის სიცოცხლის უყოყმანოდ დათმობა განსაკუთრებული სულის ქალთა მახასიათებელი ნიჭია. მართალია პურისა და, მით უმეტეს, ბრიოშის უქონლობამ წააქეზა საფრანგეთისთვის ბრძოლაში ბარიკადებზე უშიშრად დგომა პარიზელ ქალებს, მაგრამ ამით არ კნინდება სიმამაცე და თავდადების მათეული მაგალითი. 1830 წელს შექმნილ ეჟენ დელაკრუას ტილოზე „თავისუფლება მიუძღვის ხალხს" ასახულია „შიშველი სიმართლე" საფრანგეთის რევოლუციის შესახებ – ეროვნული დროშით ხელში ქალი მეწინავეობს. დამაფიქრებელია მისი მზერა (და მხატვრის ჩანაფიქრიც), რომელშიც იგრძნობა უკან ადევნებული მამაკაცებისადმი უტყვი ბრძანება: „მომყევით!". არცერთი ნაკვთით ქალი ეგზალტირებულობას არ ამჟღავნებს. იგი მთელი სხეულით, მიმიკითა თუ ჟესტით რეალისტ, მიზანსწრაფულ და ბოლომდე გააზრებული გეგმით მოქმედ ლიდერს განასახიერებს. სტატიკური ნახატიდანაც კი იგრძნობა, რომ მისი უპირობოდ სჯერათ მიმდევრებს.

ჩადრის ჩრდილს შეჩვეული სამყაროსთვისაც ნიშანდობლივია მებრძოლი ჯარისკაცის ქალური სტერეოტიპი თუნდაც ქალი-შაჰიდების სახით. პრობლემაში ჩაღრმავების გარეშეც საკმარისია იმ დეტალის ხაზგასმა, რომ „რწმენისთვის წამებულის" ტიტულს ანიჭებენ ადამიანს, ვინც სიკვდილზე მიდის საკუთარი რელიგიის, სამშობლოს, ღირსებისა და ოჯახის დაცვის მიზნით. თავდადებულ მორწმუნეთათვის დამატებით მოტივაციად შეიძლება ჩაითვალოს მათთვის ყველა ცოდვის მიტევებისა და სამოთხის ბაღებში შეშვების დაპირება (ყურანი, 3:195). თანამედროვე გაგებით, ტერმინმა თვითმკვლელი ტერორისტის მნიშვნელობაც შეიძინა. მიუხედავად სიტუაციისა, არსებითია თავად ფაქტი, რომ ქალი ხდება შაჰიდი. პირველ მარტვილ შაჰიდად (shaheeda) ითვლება ყოფილი მონა ქალი სუმაია ბინტ ხაიატი. ახალი რწმენის აღიარების გამო ის და მისი ქმარ-შვილიც დევნას განიცდიდნენ მექაში. ბოლოს აბუ ჯაგლმა შუბით მოკლა სუმაია.

განსაკუთრებულია მედინაში მცხოვრები ნუსაიბა ბინტ კააბის ამბავი, რომელიც მუჰამედის ნებართვით ისლამს აზიარებდა თანამოქალაქე ქალებს. როგორც არაბული წყაროები იუწყებიან, ამ ქალს რწმენის დასაცავად არაერთ ბრძოლაში მიუღია ნებაყოფლობით მონაწილეობა მუჰამედსა და პირველ ხალიფა აბუ ბაქრთან (632-634) ერთად. 625 წლის 23 მარტს უჰუდის მთასთან ბრძოლა გაიმართა მედინელ მართლმორწმუნეებსა და მექელ კურაიშიტებს შორის. თავდაპირველად ნუსაიბა დანარჩენი ქალებივით ირჯებოდა: წყალი დაჰქონდა და დაჭრილებს უვლიდა. ბრძოლაში მონაწილეობდნენ მისი ქმარი და ორი ვაჟი. როცა ბედი მუსულმანთა საწინააღმდეგოდ შებრუნდა, ნუსაიბამ ხმალს დაავლო ხელი და კაცების იმ ჯგუფს შეუერთდა, რომელიც მოციქულის გარშემო ცოცხალ ფარად იდგა. მოგვიანებით მეორე ხალიფა ომარი (634-644) მუჰამედის ნათქვამს იხსენებდა: „უჰუდის ბრძოლის დროს საითაც გავიხედე, მარცხნივ თუ მარჯვნივ, ყველგან იგი დავინახე, ჩემს დასაცავად მებრძოლიო". იმ დღეს მრავალი ჭრილობა მიიღო გულადმა ქალმა. მეთორმეტე იარას ლამის მთელი წელი დასჭირდა, სანამ მოუშუშდა. მართალია, უჰუდის ბრძოლა ერთადერთია, რომელიც მუჰამედმა ოდესმე წააგო, მაგრამ ნუსაიბას თავდადების ეპიზოდი დამარცხების სიმწარეს ჩრდილავს. მეომარ ქალს ასევე უნიკალური სიმამაცე უჩვენებია ჰუნაინისა და ალ-იამამას ბრძოლებშიც. ამ უკანასკნელის დროს თერთმეტი ჭრილობა მიიღო და ცალი ხელი დაკარგა.

დასავლელი ფემინისტებისა თუ ქალთა უფლებების დამცველი სხვა აქტივისტების მხარდამხარ, თანამედროვე ისლამურ სამყაროშიც შეძლებისდაგვარად მიმდინარეობს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის აღდგენა-დამყარების მცდელობა. ერთ-ერთი სერიოზული არგუმენტი, რომლითაც მუსულმანი ქალები თავიანთი მოთხოვნის კანონიერებას ამტკიცებენ, წინასწარმეტყველის უსაყვარლესი ცოლის — აიშას პოლიტიკურ-რელიგიური აქტიურობაა. იგი პირველი მუსულმანი ქალი იყო, რომელიც მამაკაცებს ომში წინამძღოლობდა. მან ააჯანყა ხალიფა უსმას მკვლელობის გაჭიანურებული გამოძიებით უკმაყოფილონი ახალი მმართველის, ალის წინააღმდეგ. თვითნებურ გასამართლებას ექვსასამდე კაცის სიცოცხლე ემსხვერპლა მარტო ქალაქ ბასრაში. 656 წლის დეკემბერში

აჯანყებულები ხალიფას არმიამ დაამარცხა ბასორას (აქლემის) ბრძოლაში, აიშა კი დროებით დატყვევებული აღმოჩნდა. სუნიტები დღემდე აიშას მიიჩნევენ ლიდერი ქალის ეტალონად ისლამურ სამყაროში, შიიტებისგან განსხვავებით, რომლებიც ამ ქალს პირველი ძმათამკვლელი ომის პროვოცირებაში ადანაშაულებენ. აიშას ზოგიერთი ჰადისის (ყურანის სურათა კომენტარების, ახსნების) კვეტექსტი მასა და აბიგეილ ადამსთან პარალელის გავლების საფუძველს იძლევა, რადგან ლოგიკური აზროვნებისა და საკითხთა ინდივიდუალურად განსჯის უნარს ამჟღავნებს. „მორწმუნეთა დედა" ნამდვილად ვერ ეტევა ჩადრის ქვეშ შეყუჟული ცოლის სტერეოტიპში. დასანანია დოკუმენტური მასალის სიმწირე ამ უკიდურესად არაორდინალური ქალბატონის შესახებ.

ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცისა და მამაკაცთა არმიის ლიდერობის გარდა, მუსულმანი ქალის მიერ ქალაქის ეკონომიკური საკითხების ოფიციალურად რეგულირების ფაქტიც არანაკლებ საინტერესოა VII საუკუნის ისლამურ საზოგადოებაში. ხალიფა ომარმა მედინას ბაზრის უფროსად დანიშნა ქალი, ალ-შაფა ბინტ აბდულა იბნ აბდ შამსი. იგი ყველას, კაცებსაც და ქალებსაც, ერთნაირი ძალაუფლებით განსჯიდა. თანასწორუფლებიანობისთვის მებრძოლი თანამედროვე მუსულმანი ქალები ამტკიცებენ, რომ წინასწარმეტყველის უახლოესი თანამზრახველი ომარი რელიგიურ წესს არ დაარღვევდა და, აქედან გამომდინარე, ქალის მაღალ სახელისუფლებო თანამდებობაზე დანიშვნა ვერ იქნება შარიათის კანონების საწინააღმდეგო საქციელი. შესაბამისად, არც თანამედროვე სამყაროში უნდა ითვლებოდეს ტაბუდადებულ თემად ქალის მიერ ნებისმიერი მაღალი პოსტის დაკავება. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების არჩევანი იყო პაკისტანის პრემიერ-მინისტრად პატრიოტი ქალბატონის დანიშვნა 1988-1990 და 1993-1996 წლებში. გამორიცხულია, რომ სუსტ ქალად აღიქვამდა ბენაზირ ბხუტოს ის, ვინც ტერაქტების სერია მოუწყო, სანამ თავიდან არ მოიშორა. მას ებრძოდნენ, როგორც მამაკაცს. 150-მდე დაღუპული და 500-ზე მეტი დაჭრილი – ასეთ ძვირ მსხვერპლად „სუსტი ქალი" არავის უღირს. პირიქით, ხშირად ბხუტოს ქალობას, ალბათ, ვერც ამჩნევდნენ, რადგან უძლიერეს პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ თვლიდნენ. ასეთ მაღალ დონეზე სქესს უკვე აღარ უწევენ ანგარიშს.

ძალზე პრიმიტიული იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოსდა, ქალის თანასწორუფლებიანობის ამსახველი ეპიზოდები უძველესი დროიდან კანტიკუნტად შემორჩენილი მატრიარქატის გადმონაშთია. მართალია, მკვლევართა ნაწილი სწორედ ამით ხსნის მამაკაცებთან უფლებრივად გათანაბრებული ქალების არსებობის ფაქტს ისეთ ისტორიულ პერიოდებში, როცა ისინი არ უნდა არსებულიყვნენ, მაგრამ მსგავს განცხადებას ფაქტობრივი საფუძველი და ლოგიკა ნამდვილად აკლია. თანასწორუფლებიანობის არსი მომენტალურად მახინჯდება და მალევე სრულიად იკარგება საფრანგეთის რევოლუციის გამარჯვების, ამერიკის დამოუკიდებლობის აღიარებისა და ისლამის გავრცელების პარალელურად. ჩნდება ცრუ სტერეოტიპი — ქალი გონებრივად და ფიზიკურად სუსტი არსებაა, ლოგიკა არ გააჩნია, მისი ფუნქციური შესაძლებლობები კერიის მოვლით ამოიწურება, მასზე მამაკაცი უნდა ზრუნავდეს, ასეთია შემოქმედის ნება. ცხადია, ბევრად უფრო სიღრმისეულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, პრობლემის გამომწვევი მიზეზები, რომელთაც შეუძლიათ ახსნან თუ რატომ შეიცვალა ქალისადმი დამოკიდებულება ასე რადიკალურად ახალი კანონების შემოღების შემდეგ.

ფაქტია, ქალთა მოდგმას სისხლში აქვს ბრძოლის უნარი და, სიტუაციის შესაბამისად, ამ რეცესიულ გენს სათანადოდ იყენებს. სხვა საკითხია, რომ სისხლისღვრისადმი მიდრეკილება ნაკლებად ახასიათებთ სუსტი სქესის წარმომადგენლებს და ურჩევნიათ თავი აარიდონ მას. უმთავრესი მაინც ისაა, რომ ქალის გონებას არანაირი კავშირი არ აქვს მის ზოგად ფიზიკურ სისუსტესთან, რის გამოც ღონის ნაკლებობა ვერ დააბრკოლებს ომის მოგების მის სურვილს. რადგან უშუალოდ პრეზიდენტი ან თუნდაც თავდაცვის მინისტრი არ წყვეტს ბრძოლის ბედს ვინმესთან პირადი შერკინების საფუძველზე, ეს ქალსა და მამაკაცს თანაბარ წინაპირობას აძლევს დღევანდელ მსოფლიოში. გასათვალისწინებელია მედლის მეორე მხარეც, რომელსაც პატრიცია შროდერი თავადვე აღიარებს: ოვალურ კაბინეტში ნამყოფია არაერთი ისეთი პოლიტიკოსი მამაკაცი, ვისაც არც საომარი ნათლობა მიუღია და არც სამხედრო სამსახური მოუხდია. მათ მსგავს გამოუცდელებს თავდაცვის მინისტრის პოსტიც კი უპრობლემოდ დაუკავებიათ. დის-

კრიმინაციის არარსებობის შემთხვევაში, რაც ნაკლად არ ეთვლება კაცს, არ უნდა მოეკითხოს არც ქალს.

აშშ-ის ისტორიაში დღემდე მხოლოდ რამდენიმე მანდილოსანი მიუახლოვდა საპრეზიდენტო არჩევნებს „სახიფათოდ" ახლო დისტანციაზე. პირველობა XIX საუკუნეში სკანდალურად ცნობილ ვიქტორია ვუდჰალს ეკუთვნის, რომელიც 1872 წელს ცდილობდა საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტ გრანტის წინააღმდეგ. ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად მან ყოფილი მონა, გაზეთ „ჩრდილოეთის ვარსკვლავის" დამაარსებელი, ფრედერიკ დაგლასი დაასახელა. სუფრაჟისტების ლიდერს ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მისი გამოსვლის ტექსტები და სტატიები ყოველთვის მისი გონების ნაყოფი არ იყო და მომხრეებთან ერთად, სწორედ ქმარი უწერდა და უსწორებდა ვიქტორიას ნააზრევს. ადამიანური კუთხიდან თუ შევხედავთ, ეს ფაქტი საკმარისია ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის ბუნებრიობის დასადასტურებლად. სხვა რას უნდა ნიშნავდეს მსგავსი მამებისა და მეუღლეების არსებობა თუ არა იმას, რომ პროგრესულად მოაზროვნე, უკომპლექსო მამაკაცებისთვის ყოველთვის მისაღები იყო და მუდამ იქნება ადამიანური თანასწორობის კრიტერიუმი.

ვიქტორია და მისი შვიდი წლით უმცროსი და – ტენესი პირველი ქალი ბროკერები იყვნენ უოლ-სტრიტზე, რომლებმაც საკუთარი წარმატებული საბროკერო ფირმა შექმნეს. 1870 წლის 14 მაისს ბიზნესში მოგებული ფულით მათ დააარსეს ყოველკვირეული გაზეთი «Woodhull & Claflin's Weekly», რომელიც ამერიკულ საზოგადოებაში ტრადიციულად ტაბუდადებული თემების ტრიბუნად იქცა შემდეგი ექვსი წლის განმავლობაში. ეს გამოცემა ცნობილია იმით, რომ 1871 წლის 30 დეკემბრის ნომერში სწორედ აქ დაიბეჭდა პირველად კარლ მარქსის „კომუნისტური მანიფესტის" ინგლისური თარგმანი.

როგორც ჟურნალისტური, ასევე პოლიტიკური და კონკრეტულად, სუფრაჟისტულ-ფემინისტური თვალსაზრისითაც უმნიშვნელოვანესია 1872 წელს ვუდჰალის გაზეთში გამოქვეყნებული ჰენრი ვარდ ბიჩერის მამხილებელი პუბლიკაცია. იმ დროის ცნობილი სასულიერო პირი, რომელმაც საჯაროდ დაგმო ვიქტორიას მიერ პროპაგანდირებული თავისუფალი სიყვარულის ფილოსოფია, გა-

ზეთმა თავად ამხილა ცოლ-ქმრულ ღალატში. თეოდორ ტილტონმა ელიზაბეტ კედი სტენტონს, ვიქტორიას თანამებრძოლს, გაუმხილა, რომ ჰენრი მისი ცოლის საყვარელი იყო. წყაროს სანდოობის გამო საქმე სასამართლომდე მივიდა, თუმცა საბოლოოდ, ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტის გამოტანა ვერ შეძლეს. და მაინც, თავისი ორპირობითა და ადიულტერით ჰარიეტ ბიჩერ სტოუს ძმამ მორალური დამარცხება იწვნია. სამწუხაროდ, ვიქტორია, მისი მეორე ქმარი – პოლკოვნიკი ჯეიმს ბლადი და ტენესი კლაფლინი რამდენიმე თვით დააპატიმრეს „ურცხვი გაზეთის გამოცემისთვის", ციხიდან კი ვიქტორია ვუდჰალმა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ველარ მიიღო. 1884 და 1892 წლებში მან კიდევ ორჯერ სცადა ბედი, მაგრამ წარუმატებლად.

ბელვა ენ ლოკვუდმა უსახსროდ დარჩენილი ქვრივისა და მცირეწლოვანი შვილის მარტოხელა მშობლის მძიმე ცხოვრება გამოიარა, სანამ მეორე ქმრის სახით საიმედო მხარდამჭერს იშოვიდა. ასაკით მასზე გაცილებით უფროს ეზეკიელ ლოკვუდს პროგრესული თვალთახედვა აღმოაჩნდა საზოგადოებაში ქალის როლთან დაკავშირებით. შესაბამისად, იგი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ცოლის სწავლის დაუოკებელ სურვილს. არაერთი უსამართლობის დაძლევის შემდეგ, 43 წლის ასაკში ბელვამ იურისტის სანუკვარი დიპლომი მოიპოვა. სწორედ აქედან დაიწყო სატირულ-იუმორისტული ბრძოლა პროფესიის შესაფერი სამსახურის საშოვნელად. თუმცა ქმარი მის მხარეზე იყო, დაოჯახებული ქალის სტატუსს მისის ლოკვუდის წინააღმდეგ ოსტატურად იყენებდნენ და სასამართლოში არ ღებულობდნენ. საბოლოოდ, ბელვამ საკმაოდ წარმატებული კერძო პრაქტიკა გაიჩინა.

პრეზიდენტ ჰეისის ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, 1879 წლის 3 მარტს ლოკვუდმა ფიცი დადო და შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პირველი ქალი წევრი გახდა. 1884 და 1888 წლებში მან თავისი კანდიდატურა წამოაყენა საპრეზიდენტო არჩევნებში თანასწორუფლებიანობის ეროვნული პარტიის სიით. ქალებს ჯერაც არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება, ხოლო ლამის მთელი ამერიკული პრესა ბელვას წინააღმდეგ იყო ამხედრებული. ამიტომ ზრდასრული მამაკაცებისგან 4100

ხმის მოპოვება, მიუხედავად უმნიშვნელო რაოდენობისა, მაინც გამარჯვებას ჰგავდა.

ვიქტორია ვუდჰალისა და ბელვა ლოკვუდის შემდეგ ლამის საუკუნე გავიდა, სანამ მორიგმა ამერიკელმა ქალმა საპრეზიდენტო მარათონში მონაწილეობა გაბედა. ეს იყო სენატორი მარგარეტ ჩეიზ სმიტი, რომელმაც წარმომადგენელთა პალატაში დაუგეგმავად დაიკავა ადგილი 1940 წლის 3 ივნისს, როდესაც გულის შეტევით მოულოდნელად გარდაცვლილი მისი ქმრის გამო ვაკანსია გაჩნდა. მეორე მსოფლიო ომი მარგარეტმა ამ თანამდებობაზე გალია, ხოლო 1948 წელს სენატორი გახდა. როცა დემოკრატმა მამაკაცებმა მისი დამარცხება ვერ შეძლეს, სენატის 1960 წლის არჩევნებში ლუსია კორმიერი დაუპირისპირეს სმიტს. პირველად აშშ-ის ისტორიაში ორი ქალი ერთი სენატორის სკამისთვის იბრძოდა. ასეთ შერკინებაში მოპოვებულმა წარმატებამ ფრთა შეასხა მარგარეტს და 1964 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც სცადა ბედი რესპუბლიკური პარტიის სახელით, თუმცა აქედან არაფერი გამოვიდა. იგი სენატორად დარჩა და მხოლოდ 1972 წელს შეძლო ბილ ჰატევეიმ მისი შეცვლა.

1968 წელს აფროამერიკელი შარლინ მიჩელი აშშ-ის კომუნისტურ პარტიას წარმოადგენდა საპრეზიდენტო არჩევნებში. იგი მხოლოდ ორი შტატის საარჩევნო ბიულეტენებში მოხვდა. მისი ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი, 23 წლის მაიკ ძაგარელი თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მინიმალური ასაკის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა. სხვადასხვა დარღვევის გამო, ამერიკელ მკვლევართა დიდი ნაწილი მიჩელს ქალი-კანდიდატების სიაში არც მოიხსენიებს.

აფროამერიკელი კონგრესმენი შირლი ჩიზამი ამერიკულ პოლიტიკაში გეგმაზომიერად გამოჩნდა. 1972 წლის 25 იანვარს იგი პირველი რესპუბლიკელი ქალი-კანდიდატი გახდა საპრეზიდენტო არჩევნებში და კამპანიის მსვლელობისას სამ თავდასხმას გადაურჩა ცოცხალი. თუმცა პრეზიდენტობამდე ბევრი დააკლდა, ჩიზამმა მაინც საეტაპო კვალი დატოვა აშშ-ის პოლიტიკურ ისტორიაში. შოლა ლინჩის დოკუმენტურ ფილმში „ჩიზამი 72: მოუსყიდველი და დაუმორჩილებელი" შთამომავლობისთვის ანდერძივით წარმოთქვამს შირლი საპროგრამო დოგმას: „ჩემი სიკვდილის შემდეგ, მინ-

და გამიხსენონ, როგორც XX საუკუნეში მცხოვრები ქალი, ვინც ცვლილებათა კატალიზატორობა გაბედა. ნუ გამიხსენებენ, როგორც კონგრესში მოხვედრილ პირველ შავკანიან ქალს. არც ის მინდა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატობის მსურველ პირველ შავკანიან ქალად დამიმახსოვრონ. დაე გამიხსენონ XX საუკუნეში ცვლილებებისთვის მებრძოლ ქალად". ამომწურავი პასუხია ქალთა უფლებებისთვის მებრძოლ გზადაბნეულთათვის. ჩიზამმა ამერიკულ პოლიტიკაში ნამდვილად საკმარისი გააკეთა იმისათვის, რომ სქესისა და კანის ფერის მიხედვით არ ახსენონ.

დემოკრატი პეტ შროდერი 31 წლისა მოხვდა აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში, სადაც ოცდაოთხი წელიწადი უწყვეტად გაატარა. იგი ცნობილი გახდა კონგრესსა და დედობას შორის დაბალანსებული მოღვაწეობით. 1987 წელს საპრეზიდენტო მარათონში მონაწილეობდა, რომელსაც ვადაზე ადრე გამოეთიშა სახსრების სიმწირის გამო. ამერიკულ საზოგადოებას დიდხანს ახსოვდა 28 სექტემბერს გამართული მისი ემოციური პრესკონფერენცია. პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ თერთმეტი წელი საგამომცემლო საქმითა და ქოფირაითის გამკაცრების კანონპროექტით იყო დაკავებული. საქმეში „ელდრედი ეშკროფტის წინააღმდეგ", შროდერი მთავრობის მხარეზე გამოდიოდა გუგლის წინააღმდეგ, რომელსაც სურდა წიგნების ციფრული ვერსიების შექმნა და შინაარსის ლიმიტირებული მოცულობით ონლაინ განთავსება. განათლებით იურისტი პოლიტიკოსი საჯაროდ აკრიტიკებდა იმ ბიბლიოთეკებს, რომლებიც საავტორო უფლების მფლობელთათვის შესაბამისი კომპენსაციის გადახდის გარეშე ავრცელებდნენ ნაწარმოებთა ელექტრონულ ვერსიებს. ამის პარალელურად, პატრიცია თანამშრომლობდა გამომცემლობებსა და არაკომერციულ ჯგუფებთან მხედველობის ან სხვა მიზეზით კითხვასთნ დაკავშირებული პრობლემების მქონე ადამიანებისთვის წიგნების შექმნისა და ელექტრონულ ფორმატში გადაყვანის მიზნით.

რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაში აშშ-ის ტრანსპორტის (1983-1987), ხოლო ჯორჯ ბუში-მამის პრეზიდენტობისას შრომის (1989-1990) ყოფილი მინისტრი, მოგვიანებით კი ამერიკის წითელი ჯვრის პრეზიდენტი (1991-1999) ელიზაბეტ დოული 1999 წლის საპრეზიდენტო კამპანიაში ჩაერთო ჯორჯ ბუშ–უმცროსის

კვალდაკვალ. თეთრ სახლში მოხვედრასთან დაკავშირებით უიღბლო ბობ დოულის მეუღლემ საარჩევნო მარათონამდე სახსრების უქმარისობის გამო ვერ მიაღწია. სამაგიეროდ, ელიზაბეტი 2003 წელს ჩრდილოეთ კაროლინის შტატის სენატორი გახდა.

ოვალურ კაბინეტში პრეზიდენტად მოხვედრის მსურველ ამერიკელ ქალბატონთა სიაში ჯერჯერობით უკანასკნელი ჰილარი ქლინთონია. სანამ იგი საპრეზიდენტო რბოლაში ჩაებმებოდა, თეთრ სახლში რვა წელი გაატარა პირველი ლედის (1993-2001) სტატუსით, 2001 წლიდან კი ნიუ-იორკის შტატის სენატორის რანგში სრულყო პრაქტიკოსი პოლიტიკოსის ოსტატობა. დემოკრატების ქალი-კანდიდატი გასაოცრად ახლო მანძილზე აღმოჩნდა ორსაუკუნოვანი ამერიკული ოცნების ასრულებასთან, რაც ვერავინ შეძლო მანამდე. ჰილარი ჯერ კიდევ 2003 წლიდან ემზადებოდა ამ სარისკო ნაბიჯის გადასადგმელად. 2007 წლის 20 იანვარს საკუთარი საიტით ამცნო საზოგადებას, რომ „ჩაერთო და გამარჯვებას გეგმავდა". მთელი წელი ლიდერობდა წინასწარ გამოკითხვებში, მაგრამ საახალწლოდ ელექტორატის მხარდაჭერა მკვეთრად დაკარგა. 2008 წლის 8 იანვარს მოულოდნელად ისევ წინ გაიჭრა. თუმცა რამდენიმე დღეში ბარაკ ობამასთან სარეიტინგო ორთაბრძოლა საბოლოოდ წააგო, რადგან მარტინ ლუთერ კინგსა და ლინდონ ჯონსონთან დაკავშირებული ცნობილი რეპლიკის შემდეგ ჰილარიმ აფროამერიკელი ამომრჩევლის ხმები საბედისწეროდ დაკარგა.

3 ივნისს საბოლოო პრაიმერის შედეგებით ნათელი გახდა ჰილარი ქლინთონის უპერსპექტივობა. განსაკუთრებით დასანანი ის არის, რომ მან საკმაოდ ტრივიალურად გაუშვა ხელიდან გამარჯვების უნიკალური შანსი. 7 ივნისს თავის ემოციურ გამოსვლაში ჰილარიმ თავისი კანდიდატურა მოხსნა და საკუთარ მხარდამჭერებს მოუწოდა, ერთობლივად დახმარებოდნენ ბარაკ ობამას. ამ უკანასკნელმა 4 ნოემბერს იოლად დაამარცხა ჯონ მაკკეინი, ჰილარის კი მილიონობით დოლარი ვალად დააწვა.

2008 წლის საყოველთაო არჩევნების შედეგით თუ ვიმსჯელებთ, ამერიკა დღესაც ისევ იქ დგას, სადაც იყო შირლი ჩიზამის მიერ საპრეზიდენტო ასპარეზობაში მონაწილეობის მცდელობისას. „მეუბნებოდნენ, ინტელექტუალური პიროვნება ხარ და უნარიც გაქვს, მაგრამ ეს ქალის ადგილი არაა. შავკანიანი კანდიდატი თუ

მოგვინდება, კაცი გვირჩევნიაო“, ასე განუმარტეს შირლის აფროამერიკელმა მამაკაცებმა 1972 წელს მისი კანდიდატურის მხარდაჭერაზე უარის მიზეზი. საკამათო საკითხია, მაგრამ მაინც ჩნდება ეჭვი, რომ ორმოცი წლის შემდეგაც „მეცამეტე შესწორებამ“ ისევ გადაასწრო „მეცხრამეტეს“ აშშ-ის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში.

თანასწორუფლებიანობის მოსაპოვებლად დღემდე, უმეტესად, გზასაცდენილი კურსითა და სტრატეგიით მოღვაწეობა ცალკეულ გამარჯვებათა მიღწევის შემდეგაც ვერ გააქრობს ძირეულ პრობლემებს. ქალი-პრეზიდენტის არჩევის შემთხვევაში რობერტ ვატსონის მიერ დახატული სურათი ავთენტიკურია და მით უფრო გახაზავს ყალბი ტაშ-ფანდურის უმართებულობას: „ამერიკის პოლიტიკაში საბოლოო პრიზის მოპოვებით დაიმსხვრევა უკანასკნელი ბარიერი, რომელიც 200 წელზე მეტია აშშ-ის მოსახლეობის ნახევარს ბლოკავს. ეს დიდ ზარ-ზეიმს (და, ალბათ, ზოგიერთების კბილების ბრაზიან კრაჭუნსაც) გამოიწვევს, რადგან პირველი ქალის პრეზიდენტობა ქალთა მოძრაობაში ახალი ეპოქის დაწყების პირობა იქნება... მაგრამ საეჭვოა, რომ ეს იმ უთანასწორობის დამთავრებას მოასწავებდეს, რომელსაც ქალები აწყდებიან პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში“. მკვლევარი ასახელებს რამდენიმე მოთხოვნას, რომელთა აღსრულებაც, მისი აზრით, ხელს შეუწყობს სასურველ კულმინაციას თანასწორუფლებიანობის მისიაში. მიუხედავად იმისა, რომ გენდერული პროპორციის ან რაოდენობრივი თანაფარდობის დაცვით წარმატების მიღწევა საკამათოა, რობერტ ვატსონის დასკვნაში ზუსტად და კონკრეტულად არის მოცემული უმთავრესი პირობა: „როდის დასრულდება უთანასწორობა, რომლის ატანაც ქალებს უწევთ?... მხოლოდ მაშინ, როცა ინდივიდის სქესი მნიშვნელობას დაკარგავს საარჩევნო ჯიხურში და მედიით გავრცელებულ მასალაში, როცა მოისპობა ვინმეს უმართებულოდ ან ინდიფერენტულად მოპყრობის ამგვარი საბაბი“. სანამ არ გადაიჭრება ეს კონკრეტული პრობლემა, ნებისმიერ ფიქტიურ გამარჯვებაზე საუბარი მხოლოდ და მხოლოდ პოპულისტური ლაქლაქით პირადი დივიდენდების გაზრდის ტოლფასი იქნება.

ERA-ს ცხოვრებაში რეალიზება თავისთავად მოსპობს მრავალ უსამართლობას. მაგალითად, ველარ იარსებებს სახელფასო

განსხვავება (pay gap), რომელსაც დღემდე ემორჩილება დასაქმებულ ქალთა თაობები. თუმცა ღიად დარჩება არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა რაციონალურად გადაჭრის გზები მთლიანად საზოგადოების საზრუნავი გახდება და, ამავე დროს, ცხადია, ძველებურად იქნება სახელისუფლებო ვალდებულებაც. მაგალითად, რთული და ხანგრძლივი პროცესი დასჭირდება ისეთი მძიმე გვერდითი ეფექტებისადმი იმუნიტეტის გამომუშავებას, როგორიცაა „ორ ცვლაში მუშაობის" შეგრძნება. თანამედროვე დასაქმებული ქალების უმეტესობა სტიქიურად პოულობს გამოსავალს — აპროპორციული დისბალანსი სამსახურსა და ოჯახს შორის, ადრეულ ასაკში „მოთავებული" შვილიერების შემდეგ კარიერის წამოწყების მცდელობა ანდა პირიქით, სწავლისა და პროფესიული წარმატების მიღწევის პრიორიტეტულობის გამო ოჯახის ნაგვიანევად შექმნა, გაძიძავებული შვილების ხარჯზე წინ წამოწეული პირადი ცხოვრება, დიასახლისობას შეწირული ინდივიდუალური მონაცემები და ნიჭი, დედად ტრანსფორმირებულ ქმართან გაცვლილი ტრადიციული ფუნქციები, დაქორწინების შემდეგ შთამომავლობის ყოლაზე უარის თქმა სამსახურის შენარჩუნების მიზნით და ა.შ. რეალური ცხოვრების მიერ დაგებული მსგავსი მახეების მიუხედავად, ძირეული პრობლემა ანუ ქალთა უფლებების მამაკაცებთან გათანაბრება თუ გადაიჭრა, მეორეხარისხოვან საკითხებზე ფემინისტური ტალღების აგორება საჭირო აღარ გახდება. სწორედ ამიტომ უნდა გაიმიჯნოს მთავარი და გამოიკვეთოს არსებითი პრობლემა.

სანამ „ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა" არ შეწყდება და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად საქმეში ჩახედული პროფესიონალები არ დაჯდებიან ერთი მაგიდის გარშემო, პრობლემის რეალურად მოგვარება არ მოხერხდება. არ შეიძლება ბრძოლით მოიპოვო ბუნებით მინიჭებული უფლება. ბრძოლა დაპირისპირებას გულისხმობს, ხოლო დაპირისპირება მშვიდობას და ზავს ვერ მოიტანს. პირიქით, სავარაუდოდ, კიდევ უფრო აირევა პოლიტიკური დისბალანსი, სულერთია, რა პოპულისტურ ეპითეტს მიაკერებს ელიტა ან მედია.

ისტორიის მაგალითები მრავლისმეტყველია. სწორედ საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ დაკნინდა ქალის ფუნქციები და იგნორირება გაუკეთდა ყველა კუთხით. პარიზელი ქალების იერი-

შით რომ დაიწყო ყოველივე, იოლად დაივიწყეს ტრიუმფატორმა კაცებმა, რითიც ოსტატურად ისარგებლა მათმა ნაწილმა. ასევე ყურადსაღები დეტალია, რომ სწორედ ამერიკის რევოლუციის შემდეგ შევიწროვდა ქალის სტატუსი აშშ-ში. რა თქმა უნდა, კოლონიურ ამერიკაშიც არ იყო ბალანსი დაცული და სასურველი პროგრესის შემთხვევაში, ქალთა უფლებების ეტაპობრივად გაუმჯობესებას დრო მოიტანდა. თუმცა რევოლუციამდე ამერიკელი ქალბატონები „არჩევნებში მონაწილეობდნენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვირჯინიაში, ხოლო ნიუ-ჯერსიში ოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს“. კონსტიტუციის მეცხრამეტე შესწორების რატიფიკაციამდე ადგილი ჰქონდა არაერთ უტყუარ ფაქტს, რაც ადასტურებს აშშ-ის ცალკეულ კუთხეში ლოკალური საზოგადოების მიერ ქალის პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის აღიარებას. 1869 წელს უაიომინგის ტერიტორიამ ქალებს ხმის მიცემის უფლება მიანიჭა. 1890 წლის 10 ივლისს იგი აშშ-ს შეუერთდა. საინტერესოა, რომ 44-ე შტატის სამი ოფიციალური მეტსახელიდან ერთ-ერთია „თანასწორუფლებიანობის შტატი“, ხოლო მისი დევიზია — „თანაბარი უფლებები“. 1887 წელს კანზასის შტატის ქალაქ არგონიაში მერად აირჩიეს სუზანა სოლტერი. 1916 წელს მონტანას შტატიდან კონგრესში აირჩიეს ჟანეტ რენკინი.

როდესაც 1844 წელს ჰორას გრილიმ თავის გაზეთ „ნიუ-იორკ დეილი ტრიბუნში“ ჟურნალისტად მუშაობის ნება დართო მარგარეტ ფულერს, ესეც ქალთა გონიერების აღიარებისა და თანასწორუფლებიანობის მხარდაჭერის მანიფესტად შეიძლება ჩაითვალოს. ფულერმა არ დაახანა და 1845 წელს ამერიკული საზოგადოების წინაშე სკანდალური, ბევრის აზრით „მკრეხელური“, განცხადება გააკეთა: „თუ მკითხავთ, რა თანამდებობების დაკავება შეუძლიათ ქალებს, გიპასუხებთ, რომ ნებისმიერის. არ მადარდებს რა ნიმუშებს მოიყვანთ; თუ გინდათ ზღვაოსანი კაპიტნები დამისახელეთ. ეჭვიც არ მეპარება, რომ არსებობენ თუნდაც ამ პროფესიისთვის ზედგამოჭრილი ქალები“. დღეს, მიუხედავად ჯერაც არსებული პრობლემებისა, მაინც ძნელია XIX საუკუნის პოლიტიკურ ცრურწმენათა წარმოდგენა. იმ ეპოქის საზოგადოების წევრთა სიბეცე ზოგჯერ იმდენად ჩაბეჭდილი იყო მათ გონებაში, რომ ქალთა უფლებებისთვის მებრძოლებსაც კი უჭირდათ ასეთი აზრობრივი

ბადიდან თავის დაღწევა. საილუსტრაციოდ გამოდგება ერთი ისტორიული ეპიზოდი. როდესაც ელიზაბეტ კედი სტენტონმა სუფრაჟისტების მხარდაჭერა შესთავაზა ლუკრეცია მოტს, „ეს თვინიერი, მაგრამ გონებაშეზღუდული კვაკერი შიშისგან გახევდა და ყოვლად უსაფუძვლოდ განაცხადა: „ელიზაბეტ, შენ ჩვენს თავს სასაცილოდ ააგდებინებ!" რადგან არავითარი ილუზია არ გააჩნდა, თუ სად იყო ქალის „ადგილი".

მკვლევრებს შეუძლიათ და ევალებათ კიდეც უსამართლობათა გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობა, მაგრამ უმთავრესია გაფუჭებულის მაქსიმალურად სწრაფად გამოსწორება. ის კურსი, რომელიც ქალთა მოძრაობებს დაუსახავთ, აღნიშნული მიზნის საპირისპიროდ უფრო წარმართავს ამერიკულ საზოგადოებას, ვიდრე მისი მიმართულებით. რა თქმა უნდა ევროპა, აზია და აფრიკაც კი გარკვეულ მომენტებში ამერიკის უკან ჩამოტოვებას ახერხებს, მაგრამ მთლიანად სამყაროს პოლიტიკური სისტემის აშკარა გლობალიზირების პირობებში უკიდურესად სასიცოცხლოა შეერთებული შტატების რიგ ნაკლოვან მხარეთა გამოსწორება და ზოგადი სინქრონიზაცია დანარჩენ მსოფლიოსთან.

ელის პოლის ოცნება ოდესმე ახდება. ხვალ თუ არა, ზეგ „ოცდამერვე" ანდა „ორმოცდამერვე" შესწორება აუცილებლად დაემატება აშშ-ის კონსტიტუციას, რითიც დაიწყება ახალი *ერა* (ERA) როგორც ამერიკის პოლიტიკურ აზროვნებასა და კურსში, ასევე – მთლიანად კაცობრიობის ისტორიაშიც.

შით რომ დაიწყო ყოველივე, იოლად დაივიწყეს ტრიუმფატორმა კაცებმა, რითიც ოსტატურად ისარგებლა მათმა ნაწილმა. ასევე ყურადსაღები დეტალია, რომ სწორედ ამერიკის რევოლუციის შემდეგ შევიწროვდა ქალის სტატუსი აშშ-ში. რა თქმა უნდა, კოლონიურ ამერიკაშიც არ იყო ბალანსი დაცული და სასურველი პროგრესის შემთხვევაში, ქალთა უფლებების ეტაპობრივად გაუმჯობესებას დრო მოიტანდა. თუმცა რევოლუციამდე ამერიკელი ქალბატონები „არჩევნებში მონაწილეობდნენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვირჯინიაში, ხოლო ნიუ-ჯერსიში ოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს“. კონსტიტუციის მეცხრამეტე შესწორების რატიფიკაციამდე ადგილი ჰქონდა არაერთ უტყუარ ფაქტს, რაც ადასტურებს აშშ-ის ცალკეულ კუთხეში ლოკალური საზოგადოების მიერ ქალის პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის აღიარებას. 1869 წელს უაიომინგის ტერიტორიამ ქალებს ხმის მიცემის უფლება მიანიჭა. 1890 წლის 10 ივლისს იგი აშშ-ს შეუერთდა. საინტერესოა, რომ 44-ე შტატის სამი ოფიციალური მეტსახელიდან ერთ-ერთია „თანასწორუფლებიანობის შტატი“, ხოლო მისი დევიზია — „თანაბარი უფლებები“. 1887 წელს კანზასის შტატის ქალაქ არგონიაში მერად აირჩიეს სუზანა სოლტერი. 1916 წელს მონტანას შტატიდან კონგრესში აირჩიეს ჟანეტ რენკინი.

როდესაც 1844 წელს ჰორას გრილიმ თავის გაზეთ „ნიუ-იორკ დეილი ტრიბუნში“ ჟურნალისტად მუშაობის ნება დართო მარგარეტ ფულერს, ესეც ქალთა გონიერების აღიარებისა და თანასწორუფლებიანობის მხარდაჭერის მანიფესტად შეიძლება ჩაითვალოს. ფულერმა არ დაახანა და 1845 წელს ამერიკული საზოგადოების წინაშე სკანდალური, ბევრის აზრით „მკრეხელური“, განცხადება გააკეთა: „თუ მკითხავთ, რა თანამდებობების დაკავება შეუძლიათ ქალებს, გიპასუხებთ, რომ ნებისმიერის. არ მადარდებს რა ნიმუშებს მოიყვანთ; თუ გინდათ ზღვაოსანი კაპიტნები დამისახელეთ. ეჭვიც არ მეპარება, რომ არსებობენ თუნდაც ამ პროფესიისთვის ზედგამოჭრილი ქალები“. დღეს, მიუხედავად ჯერაც არსებული პრობლემებისა, მაინც ძნელია XIX საუკუნის პოლიტიკურ ცრურწმენათა წარმოდგენა. იმ ეპოქის საზოგადოების წევრთა სიბეცე ზოგჯერ იმდენად ჩაბეჭდილი იყო მათ გონებაში, რომ ქალთა უფლებებისთვის მებრძოლებსაც კი უჭირდათ ასეთი აზრობრივი

ბადიდან თავის დაღწევა. საილუსტრაციოდ გამოდგება ერთი ისტორიული ეპიზოდი. როდესაც ელიზაბეტ კედი სტენტონმა სუფრაჟისტების მხარდაჭერა შესთავაზა ლუკრეცია მოტს, „ეს თვინიერი, მაგრამ გონებაშეზღუდული კვაკერი შიშისგან გახევდა და ყოვლად უსაფუძვლოდ განაცხადა: „ელიზაბეტ, შენ ჩვენს თავს სასაცილოდ აგვიგდებინებ!" რადგან არავითარი ილუზია არ გააჩნდა, თუ სად იყო ქალის „ადგილი".

მკვლევრებს შეუძლიათ და ევალებათ კიდეც უსამართლობათა გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობა, მაგრამ უმთავრესია გაფუჭებულის მაქსიმალურად სწრაფად გამოსწორება. ის კურსი, რომელიც ქალთა მოძრაობებს დაუსახავთ, აღნიშნული მიზნის საპირისპიროდ უფრო წარმართავს ამერიკულ საზოგადოებას, ვიდრე მისი მიმართულებით. რა თქმა უნდა ევროპა, აზია და აფრიკაც კი გარკვეულ მომენტებში ამერიკის უკან ჩამოტოვებას ახერხებს, მაგრამ მთლიანად სამყაროს პოლიტიკური სისტემის აშკარა გლობალიზირების პირობებში უკიდურესად სასიცოცხლოა შეერთებული შტატების რიგ ნაკლოვან მხარეთა გამოსწორება და ზოგადი სინქრონიზაცია დანარჩენ მსოფლიოსთან.

ელის პოლის ოცნება ოდესმე ახდება. ხვალ თუ არა, ზეგ „ოცდამერვე" ანდა „ორმოცდამერვე" შესწორება აუცილებლად დაემატება აშშ-ის კონსტიტუციას, რითიც დაიწყება ახალი *ერა* (ERA) როგორც ამერიკის პოლიტიკურ აზროვნებასა და კურსში, ასევე – მთლიანად კაცობრიობის ისტორიაშიც.

ლედი მაკბეტი ლითლ-როკიდან

ამერიკული მედიისთვის დღემდე გამოცანად რჩება ქლინთონების წყვილი. ბილ ქლინთონს ხშირად უსვამდნენ შარიან, ახირებულ შეკითხვებს თანამეცხედრის შესახებ. მაგალითად: „არ გეშინიათ, ცოლმა რომ გაჯობოთ?" მას კი არასდროს ღალატობდა მამაკაცური ღირსება და ჯენტლმენურად პასუხობდა ჟურნალისტებს: „ყოველთვის მიყვარდა ძლიერი ქალბატონები... რას დამიშავებს, თუ ხალხის აზრით, ჩემს მეუღლეს ღირსეული პრეზიდენტობისთვის აუცილებელი უნარი გააჩნია. ამას ხომ თავადაც ვამტკიცებ".

ერთხელ, რესპუბლიკელების თავდასხმები ყოველგვარ ზღვარს რომ გადასცილდა, ბილ ქლინთონმა მეუღლის დასაცავად იუმორი მოიშველია: „კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ ჯორჯ ბუში პირველი ლედის თანამდებობისთვის იბრძვის". როდესაც ქმარი სკანდალში გაეხვა, არც ჰილარის შეშლია რამე. მას ყოველთვის უზადოდ და ღირსეულად ეჭირა თავი პრესის წარმომადგენლების წინაშე. ეს იყო ერთგული მეუღლის ეტალონი. ამერიკულ გადაცემაში „60 წუთი", მისის ქლინთონმა ენერგიულად გააწყვეტინა სიტყვა ზედმეტად გათამამებულ-გათავხედებულ ჟურნალისტს: „ჩემი აზრით, პირადი ცხოვრება საზოგადოების წინაშე არ უნდა გამოვამზეუროთ. ეს მხოლოდ ჩვენ ორს გვეხება". ასეთი იყო იგი მომღერალ ჯენიფერ ფლოუერსის მიერ ატეხილი აურზაურისას და ასეთივე დარჩა მონიკა ლევინსკის შემთხვევაშიც.

უბრალო ამერიკელ მოქალაქეთა უმეტესობას არ ესმის ქლინთონების „უცნაური" წყვილის ურთიერთობა. ალბათ ამიტომაა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 22%-ს მიაჩნია მათი ქორწინება „რეალურად", 53%-ის აზრით, ეს მხოლოდ და მხოლოდ „საქმიანი შეთანხმებაა". მსგავსი თემებით მანიპულირებას გამოცდილება და გონიერება სჭირდება. მსგავსი „წარმატებით" შეიძლებოდა გამოკითხვის ჩატარება თემაზე: ჩაითვლება თუ არა „ნამდვილ" ცოლქმრობად ურთიერთობა ისეთ შემთხვევაში, როცა მეუღლეები ერთმანეთის საუკეთესო მეგობრებიც არიან. ფაქტია, ქლინთონები

ათწლეულებია ერთად ცხოვრობენ, ერთად მოღვაწეობენ და ჭირსა თუ ლხინში მხარში უდგანან ერთმანეთს. მათი პრობლემები, ვფიქრობ, სწორედ ერთ-ერთი აშკარა დასტურია ამ კავშირის რეალურობისა.

ჰილარი ქლინთონის პოლიტიკური ეტალონია ელეონორა რუზველტი, ამერიკის ყველაზე უკომპრომისოდ აქტიური პირველი ლედი. ჰილარი მას საქმიანი ქალის იდეალს უწოდებს, საკუთარ თავს კი მის ფანად აცხადებს. საჯარო გამოსვლების დროს იგი ხშირად ხუმრობს, რომ ელეონორასთან წარმოსახვითი საუბრებისას მისგან რჩევებსაც იღებს. როცა ამერიკული მედია აკრიტიკებს, თავს იმით ინუგეშებს, რომ მის კერპსაც მოუხდა მსგავსი უსიამოვნებების გადატანა.

მართალია, ჰილარი ქლინთონს ამერიკული პრესა ხშირად ესხმის თავს, მაგრამ სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მის იმიჯს ეს დიდ ზიანს არ თუ ვერ აყენებს. იანკელოვის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა და ჟურნალების „თაიმისა" და „გლამურის" გამოკითხვებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა ორ მესამედზე მეტი დადებითად აფასებს ჰილარის როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას, ასევე მის პიროვნებას. სი-ენ-ენის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამაც დაადასტურა, რომ ჰილარი სულაც არ არის ისეთი არაპოპულარული პიროვნება, როგორადაც მის ოპონენტებს სურთ წარმოაჩინონ. ამ მონაცემთა საფუძველზე გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა" ასეთი თამამი პროგნოზიც კი გააკეთა: შესაძლოა, აშშ-ში ჰილარის კულტის განვითარება დაიწყოს და „ჰილარომანიასაც" მოვესწროთო. ამ მხრივ, ჯერჯერობით, სიმშვიდეა.

გაზეთმა „ჰუმან ივენთმა" ამ სუპერაქტიურ ქალბატონს „ამერიკული პოლიტიკის ევიტა პერონი" უწოდა. ჟურნალი „თაიმი" გაოცებული აღნიშნავს, რომ აშშ-ის ისტორიაში იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ჯერ კიდევ მხოლოდ პრეზიდენტობის კანდიდატის ცოლის სტატუსის მქონე პიროვნებას ასეთი გამწარებით ესხმოდნენ თავს მოწინააღმდეგე პარტიის წევრები. კონსერვატიული თვალსაზრისის მქონე პუბლიცისტმა დენიელ ვატენბერგმა ჰილარის „ლედი მაკბეტი ლითლ-როკიდან" უწოდა. მედიის თავდას-

ხმებს ჰილარი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიერ ბინძური მეთოდების გამოყენებად მიიჩნევს.

თეთრ სახლს რომ ტოვებდა, ბარბარა ბუშმა ჰილარის ურჩია, ჟურნალისტებს შავი ჭირივით მორიდებოდა. მაგ კუთხით უკვე მაქვს საკმაო გამოცდილებაო, ირონიული ღიმილით მიუგო ჰილარიმ. ყველაფრის მიუხედავად, მისის ქლინთონს სერიოზული ამერიკული მედია სათანადოდ აფასებს. ჟურნალმა „ნიუსუიქმა" პირველივე თვეებში უწოდა „პირველი ლედი პლუსით", რითაც ოსტატურად გახაზა, რომ ეს ქალბატონი მხოლოდ პრეზიდენტის მეუღლის როლს არ ჯერდებოდა. ამასვე ადასტურებს 1993 წლის ზაფხულში გავრცელებული ანეკდოტი: „პრეზიდენტმა ქლინთონმა ჰილარის დაცვა გაუძლიერა. თორემ ჰილარი რომ ტერაქტის მსხვერპლი გახდეს, ბილს აშშ-ის პრეზიდენტობა მოუწევს".

გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" თქმით, ჰილარი პატიოსანი და სერიოზული ქალია, რომელიც ცდილობს შეათავსოს „საკუთარი ფიზიკური, ფსიქიკური და პოლიტიკური ცხოვრება". გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი" ლაკონიურად აღნიშნავს: „იგი მკაცრი ადამიანია და მას ძალა გააჩნია".

ამერიკულ მედიასთან რთული და ხანგრძლივი ურთიერთობის განმავლობაში, ჰილარის დამოკიდებულება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებთან ორი ძირითადი მიმართულებით წარმოებდა: პრესიდან მომავალი მტრული იმპულსების მიუხედავად, ჰილარი ყოველთვის ცდილობდა მედიის გამოყენებასა და ნეიტრალურ-დისტანციური პოზიციის შენარჩუნებას.

ენერგიული ქალბატონი ნაბეჭდი გვერდისა თუ საეთერო დროის თავის სასარგებლოდ გამოყენებას ესწრაფოდა. ჯერ კიდევ იელის უნივერსიტეტში სწავლისას, ჰილარი ჟურნალ „იელ ლოუს" რედაქტორი გახდა. მოგვიანებით, კვლავაც სტუდენტი ჰილარი ტეხასში გაემგზავრა, რათა ჯორჯ მაკჰავენის წინასაარჩევნო კამპანიას ჩადგომოდა სათავეში. ორი წლის შემდეგ, უკვე იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ვაშინგტონში ჩავიდა და მუშაობა დაიწყო წარმომადგენელთა პალატის იურიდიულ კომისიაში, რომელიც ამზადებდა პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის საბრალდებო აქტს „უოთერგეითის საქმესთან" დაკავშირებით.

საყოველთაოდ ცნობილია ჰილარის გულმოდგინება მცირეწლოვანთა უფლებების დაცვის საქმეში. 1974 წელს ჟურნალში „ჰარვარდ ედუქეიშენალ რევიუ“ დაიბეჭდა მისი სტატია „უკანონო ბავშვები“. ტრადიციის ერთგული ამერიკელები პუბლიკაციაში ჩამოყალიბებული კონცეფციის წინააღმდეგნი იყვნენ, რადგან, მათი აზრით, მართლმსაჯულება ოჯახის საქმეებში არ უნდა ჩაერიოს. ჰილარიმ საკუთარი აზრი განავრცო შემდეგ სტატიაში — „ბავშვთა უფლებები: იურიდიული პერსპექტივები“, რომელიც 1979 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა.

ჰილარის ღრმად სწამს, რომ ბავშვთა ჯანდაცვასა და განათლებას მეტი სახსრები უნდა ხმარდებოდეს, თუ ერს სურს პერსპექტიული მომავალი ჰქონდეს. 1990 წელს ენერგიული ქალბატონი საფრანგეთში წავიდა ამ ქვეყნის გამოცდილების შესასწავლად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. საქმიანი ვიზიტის შედეგები ჰილარიმ გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის“ 7 აპრილის ნომერში გამოაქვეყნა. ისრაელში ყოფნისას იგი გაეცნო „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შინ აღზრდის საინსტრუქციო პროგრამას — ჰიპი“ (Home Instruction Program of Preschool Youngsters).

ბარბარა ბუშმა არა მხოლოდ ჟურნალ „ამერიკა თუდეისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა ჰილარი კლინთონის დამსახურებათა შესახებ ექვს წლამდე პატარების აღზრდის საქმეში, არამედ თავის წიგნშიც — „პირველი მასწავლებლები“ ისაუბრა მასზე.

ჰილარი კლინთონის საზოგადოებრივი მოღვაწეობა მხოლოდ ბავშვთა დაცვის საკითხებით არ შემოიფარგლება. იგი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობს ქალის მდგომარეობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჯერ კიდევ 1977 წელს ავტორთა ჯგუფთან ერთად გამოსცა „არკანზასელ ქალთა კანონიერი უფლებების ცნობარი“, რომელიც დამატებებითა და შესწორებებით კვლავ გამოიცა 1980 და 1987 წლებში.

ჰილარი თავის კერპს — ელეონორა რუზველტს არც პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების მრავალრიცხოვნობით ჩამორჩა. 1995 წლის ივნისიდან იგი რეგულარულად ბეჭდავდა ამერიკული და სხვა ქვეყნების 150 სხვადასხვა გამოცემის ფურცლებზე კომენტარებს საერთო სათაურით — „მოდით, ვისაუბროთ“. ამავე წელს

საზოგადოებამ იხილა მისი წიგნი „საუბრები სოფლად და სხვა გაკვეთილები ბავშვებისათვის“, რომელშიც კიდევ ერთხელ წარმოაჩინა თავისი უსაზღვრო ინტერესი ბავშვთა უფლებებისა და თანამედროვე ამერიკულ საზოგადოებაში ოჯახური ურთიერთობების დაცვისადმი.

2003 წლის ივნისში მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო ჰილარი ქლინთონის მონოგრაფია „ცოცხალი ისტორია“, რომელშიც ავტორი შთამბეჭდავად გადმოსცემს მისი თაობის ენერგიული, ნიჭიერი და მიზანსწრაფული გოგონას ცხოვრებისეულ გზას. როგორც თავად წერს: „მე არ დავბადებულვარ პირველ ლედიდ ან სენატორად. არ დავბადებულვარ დემოკრატად, არც ქალთა უფლებების დამცველ ადვოკატად, არც ცოლად ან დედად. მე დავიბადე XX საუკუნის შუახნის ამერიკელად, საჭირო დროს და საჭირო ადგილას“.

აშშ-ის მედია არასდროს ანებივრებდა ქალის ტრადიციული ამერიკული სტანდარტებისთვის შეუფერებელ ლედის. კრიტიკის ქარცეცხლი უფრო ხშირად ემტებოდა მისთვის, ვიდრე თანადგომა ან, თუნდაც, მიუკერძოებელი დამოკიდებულება.

ჯერ კიდევ ქლინთონების წყვილის დიდი პოლიტიკური კარიერის პირველ ეტაპზე გამოიკვეთა ჰილარისადმი ამერიკული პრესის ამგვარი მიმართება: იგი არათუ სწყალობდა, არამედ ზედმეტად სდევნიდა ენერგიულ ქალბატონს. ამის ნიმუშად საყოველთაოდ ცნობილი ფაქტიც გამოდგება: ბილ ქლინთონის პირველი ვადით საპრეზიდენტო არჩევნებისას ამერიკული პრესის წარმომადგენლები ჰილარის აკრიტიკებდნენ, პოლიტიკოსის მეუღლის მოვალეობებს დედის მოვალეობებზე მაღლა აყენებსო. ამის საბაბი გახდა ფაქტი, როდესაც მან ქალიშვილი საარჩევნო აურზაურს გაარიდა და დროებით ბებია-ბაბუასთან გადაიყვანა საცხოვრებლად. ჟურნალისტებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ დედის უმთავრესი მიზანი იყო არასრულწლოვანი ჩელსის ფსიქიკის დაცვა პრესის მხრიდან უეცრად გაზრდილი ყურადღებისგან. სწორედ ამან გაალიზიანა მედიის წარმომადგენლები. მათმა მცდელობამ არ გაამართლა და ამომრჩევლებმა პრესის ცილისმწამებლურ განცხადებებს ყური არ ათხოვეს. მათთვის კარგად იყო ცნობილი ჰილარის უკომპრომისო და სისტემატური მოღვაწეობა ამერიკელთა ოჯახური პირო-

ბების გაუმჯობესებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. მათ არც ის დავიწყებოდათ, რომ 1984 წელს ჰილარის მიენიჭა არკანზასის შტატის „წლის საუკეთესო ახალგაზრდა დედის“ წოდება.

მისის ქლინთონი საოცრად ამბიციური, მიზანსწრაფული, გონიერი ქალბატონია, რომელმაც საკუთარი თავის ფასი კარგად იცის, ზედმეტად კარგადაც კი. ლოს-ანჯელესში გამართულ წინასაარჩევნო შეხვედრაზე ჰილარიმ საჯაროდ განაცხადა: „2010 წლის დადგომამდე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ქალი გახდება“. მისი თამამი პროგნოზი არ გამართლდა. დასანანია, რომ მსგავსი ექსპერიმენტისთვის ჯერაც მზად არ აღმოჩნდა ამერიკელი ამომრჩეველი. თუმცა არგენტინაში აუტოკრატიული მმართველობიდან დემოკრატიისკენ შემობრუნება მხოლოდ 1983 წელს გახდა შესაძლებელი, ქვეყნის მოსახლეობის პოლიტიკურმა სილაღემ უკვე 2007 წლის ოქტომბერში გადასცა ქალს ხელისუფლების სადავეები. რამდენადაც შესაძლებელია ამ მცირე დროში პოლიტიკური ანალიზის გაკეთება, კრისტინა კირშნერი ნამდვილად დადებითი პოლიტიკური იმიჯით სარგებლობს როგორც საშინაო, ასევე – საგარეო ასპარეზზე, უმცროსი ბუშისგან განსხვავებით, რომლის პოლიტიკურ დანატოვარსაც ამერიკელთა საკმაოდ დიდი ნაწილი საკუთარ სირცხვილად მიიჩნევს. ძნელი წარმოსადგენია, საით წაიყვანდა საერთაშორისო პოლიტიკას ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში პრეზიდენტი ქალების ტანდემის ჩამოყალიბება, მაგრამ მსგავსი თანამშრომლობა ბევრად უფრო სტაბილური, მშვიდობიანი და მზარდ ეკონომიკაზე ორიენტირებული მსოფლიოს გარანტი შეიძლებოდა გამხდარიყო.

პიროვნული თვისებების წყალობით, ჰილარი ქლინთონმა ბევრს მიაღწია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე: თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა, ქმრისგან ფინანსური დამოუკიდებლობა მოიპოვა და მის შემოსავალსაც კი გადააჭარბა, უაითუოთერის სკანდალიდან უვნებელი გამოძვრა, ყველაფრის მიუხედავად, ოჯახი მაინც შეინარჩუნა და კონგრესმენის წარმატებული კარიერის შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო მდივანიც გახდა. კვლავ ღიად რჩება პასუხი კითხვაზე: შეძლებს თუ ვერა ჰილარი როდესმე ქლინთონი ამერიკის პირველი პრეზიდენტი ქალის სტატუსის მოპოვებას?

ამასთან დაკავშირებით თანამედროვე ამერიკული მედია ხშირად ურთიერთგამომრიცხავ პროგნოზებს გვთავაზობს. ჰილარის მიზანსწრაფულობას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ბედი კვლავ სცადოს.

ბებერი ევროპა, როგორც ყოველთვის, ამ საკითხშიც ერთი ნაბიჯით უსწრებს ახალ სამყაროს: 1980 წლის 1 აგვისტოს ისლანდიის მოსახლეობამ სახელმწიფოს კონსტიტუციური მეთაურის პოსტი შესთავაზა ვიგდის ფინბოგადოტირს, რომელიც მსოფლიოში პირველი არჩეული ქალი-პრეზიდენტის სტატუსით საკუთარ ქვეყანას თექვსმეტი წელი მართავდა.

დღემდე მსოფლიოში სულ ოცი ქალია პრეზიდენტის თანამდებობაზე ნამყოფი. აქედან ცხრამეტი თანამოქალაქეებმა აირჩიეს, ერთმა კი კონსტიტუციის თანახმად დაიკავა პოსტი, ისევე როგორც თეოდორ რუზველტმა, ჰარი თრუმენმა თუ ლინდონ ჯონსონმა. ეს რიცხვი სულაც არ უნდა ჩაითვალოს მცირედ თუნდაც იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც პრეზიდენტის ინსტიტუტი მსოფლიოში ყველაზე ძველია, ჯერჯერობით ორმოცდაოთხი პრეზიდენტი ჰყოლია. ძალზე ცოტა დროა გასული ქალბატონი პრეზიდენტის მსოფლიო ტრადიციის დანერგვიდან.

თანამედროვე სამყაროში არსებული ორასამდე ქვეყნიდან შვიდს ამჟამად ქალი-პრეზიდენტი მართავს. თუმცა ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია ქვეყნის მეთაურ ქალთა რეალურ რაოდენობასთან შედარებით, რომლებსაც პრეზიდენტის ტიტული არ აქვთ მინიჭებული, მაგრამ იდენტური რანგის თანამდებობა უკავიათ საკუთარ ქვეყნებში. სავარაუდოდ, მსგავსი ქალბატონების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ასეთი პროგნოზის გაკეთების საფუძველს იძლევა უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკის საარჩევნო გარემოში მიმდინარე პროცესები.

ქალ-მმართველებს, სათანადო მონაცემების შემთხვევაში, ქვეყნისთვის მომგებიანი სტერეოტიპი ახასიათებს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. ბრძოლის გარდუვალობისას, ისინი უკომპრომისო და მამაცი პიროვნებები ჩანან. ამავე დროს, თუკი საგარეო პოლიტიკა ამის საშუალებას იძლევა, მუდამ ცდილობენ ომის თავიდან არიდებას და სახელმწიფოს ეკონომიკურ-კულტურულ განვითარებას. მათ საშინაო პოლიტიკაში ხშირად აქცენტირებულია სა-

ზოგადოებაში გენდერული ბალანსისთვის განსაკუთრებული, მაგრამ არათავსმოხვეული ზრუნვა, ოჯახის ინსტიტუტის მნიშვნელობის ზრდა, მომავალი თაობის ჯანმრთელობისა და განათლების ეროვნულ პრიორიტეტად დასახვა, ტრადიციების ზოგადი დაცვით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში პროგრესული სიახლეების „რკინის ხელით" გატარება-დანერგვა, ძირითადი ფსონის ეკონომიკაზე დადება წარსულში სამეფო ხაზინის, აწმყოში კი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საერთო ჯამში, მინიმალური დანაკარგ-დანახარჯებით გაცილებით შესამჩნევი წინსვლა მოაქვს მათ მძლავრ „ქალურ" პოლიტიკას, ვიდრე ეს მოსალოდნელია წინასწარი გათვლებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ ეპოქაში მანდილოსნის მბრძანებლური ხელი ნაკლებად შესამჩნევია არა მხოლოდ მემკვიდრე მამაკაც-ხელისუფალთა მიერ ისტორიული ფაქტების მიჩქმალვის ანდა თავად ქალის სუსტი მმართველობის იოლად დავიწყების შედეგად, არამედ მათ მიერვე ენერგიულად შეთვისებული ტრადიციულად მამაკაცური რეგალიებისა თუ ატრიბუტების მიღმა ქალური ასპექტის შეგნებულად იგნორირების გამო. ისინი არ გახაზავენ საკუთარ მიღწევებს იმ ნიშნით, რომ ქალები არიან. ხელისუფლებას დაკისრებულ ვალდებულებად მიიჩნევენ და სწორედ ფუნქციური თვალსაზრისით ცდილობენ ადგილის დამკვიდრებას შთამომავლობის მეხსიერებაში. უთუოდ ამით იყო ნაკარნახევი ქალი-ფარაონების მიერ ხელოვნური წვერის ტრადიციის დაცვა. თანასწორობის სურვილმა აიძულა ამერიკელი მერი ედვარდს უოკერი, მამაკაცის სამოსით შეპარულიყო საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად. ამავე მიზეზით არა მხოლოდ გამართლებული, არამედ უფრო ზუსტი და მართებულია თამარის მეფედ ხსენება. როცა დასავლეთის ტრადიცია queen regnant-ის ტერმინს აყალიბებდა, რა თქმა უნდა, ეს პროგრესული მიდგომა იყო ზოგადად ქალის ტახტზე დასმის დაუშვებლობის ფონზე, მაგრამ მაინც დისკრიმინაციად უნდა ჩაითვალოს სქესობრივი კუთვნილების ამგვარი გახაზვა — ხელმწიფედ კურთხეულის ტიტულში „მეფის" „გამეფებული დედოფლით" ჩანაცვლება.

ქალ-მონარქებს შეჩვეული ბებერი ევროპა სუსტი სქესის ძლიერ ამბიციებს, ჩვეულებრივ, სხვა პოლიტიკურ სიახლეებთან დაკავშირებით მოწინავედ პროგრესულ ამერიკაზე იოლად ეგუება.

განსაკუთრებით თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ყველაფერზე „ყვირილისა“ და პოლიტიკური რაკურსით გაპიარების პროამერიკულ ტრადიციას ძველი სამყარო არ იზიარებს. შესაბამისად, ფემინისტური ასპექტით საკუთარ ხელისუფალ ქალბატონებს თითქმის არ განიხილავენ. გარდა იმისა, რომ ამგვარი დამოკიდებულება ფესვებთან მიბრუნება ანდა უბრალოდ, მართებული პოზიციაა, ამასთანავე, თანამდებობაზე ქალი კი არ აირჩევა, არამედ კონკრეტული პოლიტიკოსი მისი პროგრამის, მსოფლმხედველობისა და მომავლის კურსის გამო. სწორედ ამიტომ, ახლო მომავალში, სავარაუდოდ, კიდევ არაერთი სახელმწიფოს მოსახლეობა ანდობს ქვეყნის მართვის ბედ-იღბალს ქალბატონებს.

საინტერესოა, როდის იქნება აშშ მზად ქალის გაპრეზიდენტებისთვის. ჯერ კიდევ 1931 წელს დაწერილ ისტორიულ ტრაქტატში „ამერიკის ეპოსი“, ჯეიმს ადამსი ამერიკული ოცნების თაობაზე ამბობდა: „ესაა ოცნება ქვეყანაზე... სადაც ყველას მიეცემა საკუთარი უნარისა და შესაძლებლობის გამოვლენის შანსი... ოცნება ისეთ სოციალურ წყობაზე, რომელშიც თითოეულ კაცსა და თითოეულ ქალს მისი შინაგანი ენერგიის სრულყოფილად რეალიზების უფლება ექნება“. ფემინისტური მოძრაობის პირველი ტალღის ჩადგომის შემდეგ, როცა გოგონების კვლავ სამზარეულოებში შეტყუება იწყებოდა, პროგრესულად მოაზროვნე მამაკაცი საკუთარ მართებულ პოზიციას აფიქსირებდა. ორაზროვნება გამორიცხულია. თანასწორუფლებიანობას ნატრობდა გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე „ამერიკული ოცნების“ გამომგონებელი. შემდგომი თაობის პოლიტიკოსები ჯეიმს ადამსის ტერმინს, ჯერჯერობით, მხოლოდ და მხოლოდ მომგებიანი პიარისთვის იყენებენ, როგორც ლამაზ სიტყვათწყობას — ვისაც როგორ მოუხდება.

უახლესი პოლიტიკური ტრადიცია აშკარად ემყარება ძველი ხერხის მუტაციურ ფორმას: ანტიკურ ეპოქასა და შუა საუკუნეებში ადამიანებს და იდეებს პიროვნებათა იმიჯის დისკრედიტაციის საშუალებით ებრძოდნენ, თანამედროვე სამყაროში კი უშუალოდ ფრაზას ანდა სიტყვას უტეხენ სახელს მათი მნიშვნელობის რადიკალურად საპირისპირო ინტერპრეტაციის პოპულარიზებით. „მეოთხე ხელისუფლება“ აღარ არის საშიში. საფრთხეს, ამჟამად, მედიით მანიპულატორები წარმოადგენენ.

თანამედროვე პოლიტიკურ მოდას აშშ-ის ამჟამინდელი სახელმწიფო მდივანიც შეძლებისდაგვარად მისდევს. ჰილარის უთუოდ ახსოვს ბარბარა ბუშის გაფრთხილება თეთრი სახლის ზღურბლთან: რომ „შავი ჭირივით უნდა ერიდოს ჟურნალისტებს". თუმცა იგი აქაც აქტიურ პოზიციას ირჩევს – ერიდოს არა გაქცევის ან საკუთარი თავის შეზღუდვის ხარჯზე, არამედ, პირიქით, მედიის უნარიანად გამოყენების, საკუთარი პოზიციის საჯაროდ გამოხატვისა თუ საკუთარი უპირატესობის საზოგადოების წინაშე მედიისავე საშუალებით დემონსტრირების გზით. საამისოდ მას ზოგჯერ მტკივნეული „აცრების" ჩატარებაც უხდება, მაგრამ შედეგად მყარი „იმუნიტეტიც" სახეზეა...

რომაული პიარის მითი და რეალობა

საიდან მოდის დემოკრატია, ან საით მიდის?

მუამარ კადაფის მოსაზრების თანახმად, დემოკრატია სახალხო თვითკონტროლია. ლიბიის ექსცენტრული ლიდერის „მწვანე წიგნი" არა მხოლოდ „მსოფლიო რევოლუციის ბედუინის" თანამოქალაქეებისთვის დაიწერა. კადაფის პოლიტიკურ-ფილოსოფიური ძიებანი თანამედროვე ხელისუფალთა სრულ შემადგენლობაზეა გათვლილი და ხელის ერთი მოქნევით ისტორიულ ბუნკერში ყრის „დიდ სიცრუეს" მართულთა მმართველობის დემოკრატიულობის შესახებ. ევროპაში წარმატებით ათვისებულ დასავლურ დემაგოგიას აზიური მოხერხებულობით წარმართავს კადაფის მოქნილი გონების მარტივი ლოგიკა: „დემოკრატია ორ სიტყვას მოიცავს – ხალხს და სავარძელს. იგი გულისხმობს ხალხის ხელისუფლებას. თუ ხელისუფლება ხალხს მიღმა ხორციელდება, ეს უკვე წარმომადგენლობითობა და მეურვეობაა. წარმომადგენლობითობა ის სიცრუეა, რომელსაც მიმართავენ ხელისუფალნი. მხოლოდ და მხოლოდ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს მათი სავარძლები". ღიმილისმომგვრელია ამერიკელ პოლიტიკოსთა მიერ დიქტატორად აღიარებული ლიბიელის მხრიდან დასავლეთის ზესახელმწიფოთათვის დემოკრატიის რაობისა და არსის სწავლების ეფექტური მცდელობა პანარაბული არომატით. ძველი რომის მასშტაბურობიდან დღევანდელი დემოკრატია მინი-ზომაზეა დაყვანილი. შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოთა დარად მომრავლებულან დემოკრატიათა ნაირსახეობები თანამედროვე მსოფლიოს რუკაზე. უმრავლეს შემთხვევაში, დემოკრატიისგან ცარიელი სახელიღაა დარჩენილი.

თავად ტერმინი „დემოკრატია" ანტიკური წარმომავლობისაა და იგი შესაბამისი პერიოდის ბერძნულ პოლიტიკურ და ფილოსოფიურ თეორიაში ჩნდება პირველად. „მართულთა მმართველობას" პლატონი უპირისპირებდა ალტერნატიულ სისტემებს: მონარქიას (ერთი ინდივიდის მმართველობა), ოლიგარქიას (მცირე ელიტური

კლასის მმართველობა) და ტიმოკრატიას (მსხვილი მესაკუთრეების მმართველობა, რაც ოლიგარქიისნაირსახეობას წარმოადგენს). იდეალური მონარქის პოვნის შემთხვევაში, არისტოტელე საუკეთესო წყობილებად მონარქიას თვლიდა. თუკი ასეთი პიროვნება ვერ მოიძებნება, მაშინ ფილოსოფოსის აზრით, საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს პოლიტია (მოქალაქეთა უმრავლესობის მმართველობა), რომელიც ემყარება საშუალო კლასის, საშუალო სიმდიდრის მფლობელთა ბატონობას. „მონარქიიდან გადახრა გვაძლევს ტირანიას... პოლიტიიდან გადახვევა — დემოკრატიას“.

არაერთი თანამედროვე მეცნიერი ათენურ დემოკრატიას პირდაპირი დემოკრატიის ფორმად განიხილავს. თუმცა თავდაპირველად მას ორი განსხვავებული ასპექტი ახასიათებდა: რიგითი მოქალაქეების უმრავლესობის მიერ სახელისუფლებო და სასამართლო თანამდებობების დასაკავებლად არჩეულ ადამიანთა შედარებით მცირე ჯგუფი და ამავე დროს — ასამბლეა, რომელშიც შედიოდა ყველა მოქალაქე აზრის გამოთქმისა და თანამდებობაზე კენჭისყრის თანაბარი უფლებით. რადგან მოქალაქეობას ქალებს და მონებს არ აძლევდნენ, 250-ათასიან ქალაქ-სახელმწიფოში საშუალოდ 30 ათასამდე თუ იყო მოქალაქე, ხოლო მათგან დაახლოებით 5 ათასი ესწრებოდა სახალხო ასამბლეის სხდომებს რეგულარულად.

რომის რესპუბლიკას მნიშვნელოვნად ახასიათებდა დემოკრატიისთვის ნიშანდობლივი ასპექტები, მაგალითად, კანონმდებლობის საკითხებში, მაგრამ რომაული მმართველობა წმინდაწყლის დემოკრატიად არასდროს ჩამოყალიბებულა. მხოლოდ რომის მოქალაქეებს ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება წარმომადგენლების არჩევისას და მდიდრების ხმები გაცილებით მეტს იწონიდა ნაკლებად შეძლებული მოქალაქეების ხმებთან შედარებით. რეალურად, რომაული მმართველობის სისტემა მიწათმფლობელურ სამხედრო არისტოკრატიას წარმოადგენდა.

საინტერესოა, რამდენად ილუზორული იყო ძველი რომის დემოკრატიულობა თუნდაც კოლიზეუმის ფარგლებში, როდესაც დამარცხებული გლადიატორის ბედს 50-ათასიანი ბრბოს ნება განსაზღვრავდა. თუმცა ჰოლივუდის ფილმების წყალობით გლადიატორთა ბრძოლები ფართო აუდიტორიისთვის საკმაოდ ახლობელი თემაა, სინამდვილეში, უკანასკნელ ათწლეულამდე ბევრი არაფერი

იყო ისტორიულად ცნობილი ამ განსაკუთრებულ მეომართა ყოველდღიური რეალობის შესახებ. თანამედროვე არქეოლოგიური კვლევებისა და ანტიკური ავტორების თხზულებათა წყალობით თანდათან ივსება ინფორმაციული ვაკუუმი. ლეგენდა რეალურ, ადამიანურ ფორმებს იძენს.

საწყის ეტაპზე, როგორც ყველაფერი ღირებული, გლადიატორთა ბრძოლებიც აპოლიტიკური მოვლენა იყო და მიცვალებულის სულის პატივსაცემად გამართულ რიტუალს წარმოადგენდა. მისი წარმოშობის ზუსტი დრო და ადგილი დღემდე ბუნდოვანია. არსებობს მოსაზრება, რომ ამ ტრადიციის ფესვები ეტრუსკულია.

რომაელი ისტორიკოსის, ტიტუს ლივიუსის ცნობით, პირველი ასეთი ბრძოლა ძველი წელთაღრიცხვით 264 წელს გაიმართა რომში მდინარე ტიბრის მახლობლად არსებულ საქონლის ბაზრის მოედანზე – Forum Boarium-ზე. იგი ახალგარდაცვლილი ბრუტუს პერას ვაჟმა, კონსულმა დეციმუს იუნიუს ბრუტუს სცევამ მამის ხსოვნის პატივსაცემად მოაწყო. საზეიმო დაკრძალვის ცერემონიალის პროგრამაში შედიოდა ტყვე მეომრების სამი წყვილის ორთაბრძოლა. თანდათან მუნუსის (მრავლობით რიცხვში – მუნერას) პრაქტიკა მთელ რომში გავრცელდა.

რესპუბლიკის ეპოქაში გლადიატორების ორთაბრძოლებს არისტოკრატიის წარმომადგენლები აწყობდნენ. მთელ ხარჯს, როგორც წესი, ორგანიზატორი ფარავდა. ბუნებრივია, დიდგვაროვანი, რომელიც სხვაზე ხშირად და პომპეზურად მართავდა უფასო სანახაობას, ხალხში პოპულარობით სარგებლობდა.

ქრისტეშობამდე I საუკუნის ბოლოს ავგუსტუსმა რომის რესპუბლიკა იმპერიად გამოაცხადა და არისტოკრატთა პოლიტიკური უფლებები შეზღუდა. სხვა რეფორმებთან ერთად, მან ძირეული ცვლილებები გაატარა გლადიატორთა სანახაობასთან დაკავშირებითაც. ამიერიდან ეს არა მხოლოდ მოსახლეობის გართობის საშუალება, არამედ რომის იმპერიის ძლევამოსილებისა და დიდებულების დემონსტრირებაც უნდა ყოფილიყო.

თუმცა რომის ახალმა მმართველმა თანამედროვე პიარტექნოლოგიები არ იცოდა, მან სათანადოდ შეაფასა მუნერას პოპულარობის პოლიტიკური მნიშვნელობა. ავგუსტუსის ბრძანებით, ორთაბრძოლების მოწყობაზე ექსკლუზივი სახელმწიფოს მიენიჭა, ხოლო

ნებისმიერ კერძო პირს აეკრძალა მათი გამართვა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, სანახაობების დანიშნულებას იმპერატორის განდიდება წარმოადგენდა და არა გარდაცვლილი დიდგვაროვანის ხსოვნის პატივისცემა. ორგანიზებასა და დაფინანსებას იმპერატორის მოხელეები და ქურუმები უზრუნველყოფდნენ. ამგვარად, პოპულარული გართობა მაყურებლისთვის ძველებურად უფასო დარჩა.

საუკუნეების განმავლობაში რომის იმპერატორები „პურისა და სანახაობის“ პოლიტიკას მეტ-ნაკლები წარმატებით აწარმოებდნენ. ბევრ მოქალაქეს იზიდავდა მასობრივი დროსტარება, რომლის ხარჯებსაც სხვა ფარავდა. ხშირი იყო საჩუქრები და სიურპრიზები. კოლიზეუმის გახსნის დღეს იმპერატორ ტიტუსის ბრძანებით, მაყურებელთა რიგებში სპეციალურ ხის ბურთებს ისროდნენ; თითოეულში სხვადასხვა ქონების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი იდო.

Panem et circerses-ს ერთვოდა არჩევანის თავისუფლების ყალბი შეგრძნება, რაც ჩვეულებრივ მოქალაქეებს დამარცხებული გლადიატორის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის ხმის მიცემით განკარგვისას უჩნდებოდათ. „ამოტრიალებული ცერი“ რომის იმპერიის პოლიტიკურ სიმბოლოდ იქცა. რა იყო ეს – სახალხო არჩევნების ჩანასახობრივი ტრადიცია თუ დემოკრატიულობის ილუზორული ბანგი ფართო მასების „გონების დასაბინდად“? ასეთი მომენტები რეალურად არარსებული ძალაუფლების სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა. ხალხი მაინც კმაყოფილი იყო იმ ფაქტით, რომ მათ ნებას ზოგჯერ თვით იმპერატორი ემორჩილებოდა. თუმცა ამფითეატრის ფარგლებს არასოდეს სცილდებოდა „ხალხის მმართველობის“ რომაული ვერსია.

რომის იმპერატორი, ერთი შეხედვით, იოლად იმიტომ უთმობდა არენაზე მოვლენათა კონტროლის უფლებას ათობით ათასიან მასას, რომ რეალურ ცხოვრებაში გაასკეცებული უფლებამოსილებით ესარგებლა წამიერი მოთმინებისა და უმნიშვნელო უკანდახევის სანაცვლოდ. ამგვარი პოლიტიკური ტაქტიკა ლოგიკურად ენათესავება უკანასკნელი პერიოდის ამერიკის დემოკრატიულობას: საპრეზიდენტო არჩევნების ჩახლართული, წარმომადგენლობითი სისტემა პოლიტიკურ ელიტას საშუალებას აძლევს მისთვის სასურველი კანდიდატი მოათავსოს თეთრ სახლში მაშინ, როცა მო-

ქალაქეთა რჩეული სულ სხვა იქნებოდა პირდაპირი არჩევნების შემთხვევაში. ასეთი პარადოქსული სიტუაციის მიუხედავად, აშშ თანამედროვე მსოფლიო დემოკრატიის ბურჯად რჩება. ხალხის უფლება ხომ ნომინალურად დაცულია, რადგან ხმა მისთვის სასურველ პოლიტიკოსს მისცა. ოცი საუკუნე გავიდა იმპერატორ ავგუსტუსის რეფორმების შემდეგ, მაგრამ მასის გასულელების მოდელი, თითქმის, არაფრით შეცვლილა. დღესაც – ხალხს აქვს დუმილის, „პურისა და სანახაობის" უფლება. ფაქტია, რომ ამერიკული სახელმწიფო მანქანა არასაკმარისად დემოკრატიულია, მაგრამ აშშ-ში მედიისა და პიროვნების თავისუფლება გამორჩეულად პრიორიტეტულია დანარჩენ სამყაროსთან შედარებით. თანაც ამერიკაში ოდნავ მეტი „პური და სანახაობაა" გათვალისწინებული თითოეულ მოქალაქეზე, ვიდრე სადმე სხვაგან და ესეც სიკეთის ამერიკული ექსკლუზივია. გამოდის, რომ აშშ-ში ყველაზე ახლოს ხარ მიწიერ სამოთხეზე ოცნებასთან.

ახალი დანიშნულების გამო და გაზრდილი ბიუჯეტის წყალობით, გლადიატორთა ბრძოლები გაცილებით მრავალფეროვანი გახდა რომის იმპერიის პერიოდში. შემუშავდა კლასიფიკაცია, რომელიც შედგებოდა რვა სტანდარტული საბრძოლო სახეობის შვიდი კომბინაციისგან. იმპერიის პროპაგანდისტულმა მექანიზმმა რიტუალური საბრძოლო მსხვერპლშეწირვის პერსონაჟი ტყვე მეომრიდან გლადიატორის სრულიად ახალი იმიჯი შექმნა: მამაცი, ამტანი, ბრძოლისუნარიანი, სიკვდილისადმი გულგრილი დამოკიდებულების მქონე სახალხო გმირი. ერთი მხრივ, გლადიატორი რომის მოქალაქეთათვის ეტალონს წარმოადგენდა. ამავე დროს, თუნდაც მდიდარი და სახელმოხვეჭილი მებრძოლი რომის კანონს გათანაბრებული ჰყავდა პოლიტიკური და პიროვნული უფლებების არმქონე მესაფლავის, ჯალათის, მსახიობისა და მეძავის პროფესიის წარმომადგენლებთან.

თანამედროვე პოლიტიკური პიარის ტრადიციისამებრ, იმპერატორი რთულ ან, გარკვეული აზრით, არასახარბიელო მომენტებში გრანდიოზული და ხანგრძლივი შუნერას გამართვის ბრძანებას გასცემდა. ასეთი პრიმიტიული მანევრით იგი ახერხებდა ხალხის ყურადღების მოდუნებას პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით და სასიამოვნო გართობაზე კონცენტრირებას.

თუმცა კოკას წყალი ყოველთვის არ მოჰქონდა, ეს ტაქტიკა მაინც ხშირად ამართლებდა და იმპერატორის მმართველობის გახანგრძლივებას უწყობდა ხელს.

ისტორიკოსებისა და არქეოლოგების ძალისხმევის წყალობით დღეს დადგენილია არა მხოლოდ ძველი რომის პროპაგანდისტული ხერხები, არამედ პრესის არარსებობის პირობებში, ინფორმაციის გავრცელების ეფექტური მეთოდებიც. იმ პერიოდის გამოცდილება აქტიურად გამოიყენებოდა ორთაბრძოლების ანონსირებისათვის. როდესაც სანახაობის გამართვის თარიღი და პირობები დადგინდებოდა, მოსახლეობას ორიგინალური აფიშებით ამცნობდნენ მათთვის საინტერესო დეტალებს გლადიატორთა მომავალი ბრძოლების თაობაზე: თვითნასწავლი მხატვრები საცხოვრებელი სახლების თუ საჯარო შენობების კედლებსა და საფლავის ქვებზე სათანადო წარწერიან ნახატებს აკეთებდნენ.

აფიშის დანიშნულების მქონე მსგავსი გრაფიტი მრავლად აღმოაჩინეს პომპეის გათხრების დროს. ანონსის ტექსტის ტიპური ნიმუშია დაახლოებით 60 წელს შესრულებული წარწერა: „პომპეიში 8, 9, 10, 11 და 12 აპრილს ერთმანეთს შეებრძოლება დეციმუს ლუკრეციუს სატრიუს ვალენსის, კეისარ ნერონის მუდმივი ქურუმის გლადიატორთა ოცი წყვილი და მისი ვაჟის, დეციმუს ლუკრეციუს ვალენსის გლადიატორთა ათი წყვილი. ასევე წარმოდგენილი იქნება პროგრამა გარეული ცხოველების მონაწილეობით, ყოველგვარი წესის დაცვით. მაყურებლებს სიცხისგან ტენტით დავიცავთ“. ინფორმაციის შინაარსი, ძირითადად, მსგავსი იყო. ზოგ აფიშაში ასევე იტყობინებოდნენ დამატებით დეტალებს: დარიგდებოდა თუ არა საჩუქრები, იქნებოდა თუ არა სიურპრიზები, მაყურებლისთვის ტენტის გარდა კიდევ რა სახის კომფორტი იყო გათვალისწინებული, მაგალითად, სურნელოვანი წყლის პკურება.

აფიშების გარდა, რომის იმპერიის ეპოქაში ინფორმაციის გავრცელების სხვა თანამედროვე ატრიბუტებიც აქტიურად გამოიყენებოდა: ბროშურები, შესასვლელი ბილეთები და საინფორმაციო დაფები. მუნერას მაყურებლებს ურიგდებოდათ კონკრეტული სანახაობის პროგრამა, რომელსაც ბროშურის სახე ჰქონდა. რადგან გლადიატორთა შერკინების ყურება ხალხისთვის უფასო იყო, თანამედროვე დანიშნულებით ბილეთების აუცილებლობა არ არსებობდა. დიდ ქა-

ლაქში გამართული ორთაბრძოლებისთვის შესასვლელ ბილეთებს მოსაწვევის ფუნქციით ამზადებდნენ. ისინი გამოიყენებოდა დასწრების მსურველთა რაოდენობის დასარეგულირებლად იმ შემთხვევაში, როცა ადგილების რაოდენობა ყველასთვის საკმარისი არ იყო.

ყოველი წარმოდგენის დაწყების წინ პომპა – საზეიმო მსვლელობა იმართებოდა, რომელშიც უამრავი განსხვავებული ფუნქციის მქონე ადამიანი მონაწილეობდა. თავიდან გამოდიოდნენ ღონისძიების ორგანიზატორის წვრილი მოხელეები, მათ მოსდევდნენ მუსიკოსები ჩასაბერი ინსტრუმენტებით, მამაკაცები მებრძოლთა მფარველი ღვთაებებით, ყმაწვილები გამარჯვებულისთვის განკუთვნილი პალმის რტოებით, ღონისძიების ორგანიზატორი, ქალაქის თავი და სხვა მნიშვნელოვანი პირები, დამხმარე პერსონალი საინფორმაციო დაფებით, სასულე ორკესტრი, შემდეგ გლადიატორები თავიანთი დამხმარეებით, რომელთაც ჩაჩქანები და ფარები მოჰქონდათ, სულ ბოლოს კი ტრადიციულად თეთრ ბედაურებზე ამხედრებული ეკვიტები – ცხენოსანი გლადიატორები. ასეთი იყო პროცესიის წევრთა განლაგება. სასულე მუსიკა, მაყურებელთა ყიჟინა და გაცხოველებული საუბრით გამოწვეული გუგუნი საერთო ჯამში გამაყრუებელ ხმაურს ქმნიდა. არენაზე მიმდინარე პროცესის შესახებ ინფორმაციას ხმამაღლა აცხადებდნენ, თუმცა, უმეტესად, საინფორმაციო დაფებს იყენებდნენ.

ცნობილია უპრეცედენტო ფაქტი, რომელიც პიროვნული თავისუფლებისა და სიმამაცის ფონზე დემოკრატიის ზეობის ნიმუშია. 80 წელს ახალგახსნილი კოლიზეუმის არენაზე გამართულმა ტიტუსისა და ვერუსის ორთაბრძოლამ ხის ხმლიანი ორი გამარჯვებული გამოავლინა. მსგავსი რამ არც მანამდე, არც იმ დღის შემდეგ ფიქსირდება რომის ისტორიის ანალებში.

აღსანიშნავია გლადიატორებთან დაკავშირებული პარადოქსი: არენაზე გამოსულ მებრძოლებს თაყვანს სცემდნენ, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში მათ ზიზღით დაჰყურებდნენ ზემოდან. რომს, რომელიც საკუთარ ჯარს იმდენად არ ენდობოდა, რომ ლეგიონებს ქალაქში არ უშვებდა, ბუნებრივია, შინაგანი ხმა კარნახობდა პოპულარული დევგმირების შიშს. შიში სწორედ ისეთი გრძნობაა, რასაც შეუძლია ერთდროულად სიყვარულიცა და სიძულვილიც განაცდევინოს. თუმცა შიშს არ შეეძლო გაენელებინა მამაცი გლა-

დიატორებით გამოწვეული აღტაცება. იქნებ სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ იმპერიის მართვის სადავეების მპყრობელნი დაუფარავად თუ მალულად გლადიატორობას ელტვოდნენ. კალიგულა, ტიტუსი, კარაკალა, კომოდუსი, ადრიანი და სხვები ამფითეატრს არა მხოლოდ საპატიო მაყურებლის, არამედ არენაზე მებრძოლის რანგშიც ხშირად სტუმრობდნენ. ძნელი სათქმელია, უბრალოდ შერკინების დროს გამოყოფილი ადრენალინით მიღებული შეგრძნებები იზიდავდათ, სახალხო გმირებთან გაჯიბრების მამაკაცური მოთხოვნილება თუ საკუთარი ძალისხმევით შექმნილი სიმბოლოს მორალურად დამარცხების შურიანი ვნება.

ცალ-ცალკე აღებულ გლადიატორებს იმპერატორთა პოლიტიკური მიზნების მარიონეტების როლი არგუნეს, მაგრამ გლადიატორი, როგორც კრებითი სახელი, რომის იმპერიის მძლავრ პოლიტიკურ სიმბოლოდ ჩამოყალიბდა. გლადიატორთა ორმაგი იმიჯის მსგავსად, გლადიატორობის მსურველი იმპერატორების იმიჯიც გაორებული იყო. ქრისტიანი მწერლის ტერტულიანის ხატოვანი ნათქვამი ამომწურავად გადმოსცემს რომაელი მოქალაქეების პარადოქსულ დამოკიდებულებას არენის გმირებისადმი: „ისინი დიდებით მოსავენ მათ და, ამავდროულად, აკნინებენ... უყვართ, ვინც თავადვე დაამცირეს და ეზიზღებათ, ვინც აგრერიგად აღამაღლეს. ხელოვნებას ადიდებენ მაშინ, როცა ხელოვანს თავს ლაფს ასხამენ".

ისტორია ხშირად ივიწყებს ერთ დროს აქტუალურ სიმბოლოებს, თუმცა მოგვიანებით ახალი ძალით ხელმეორედ ამოატივტივებს მათ. დროის ფაქტორი კატალიზატორის ფუნქციას ასრულებს: რაც მეტი დროა გასული მსგავსი სიმბოლოს აღზევება-მივიწყებიდან, მით უფრო ძლიერია სცენაზე დაბრუნებულის იდუმალი ხიბლი და ზემოქმედება თანამედროვე აუდიტორიაზე.

კომოდუსის სახელი თანამედროვეთათვის, ძირითადად, რიდლი სკოტის ფილმიდან „გლადიატორი" გახდა ცნობილი, მაგრამ ისტორიული პიროვნების ნამდვილი სახე მკვლევართა შორის მუდამ რადიკალურად განსხვავებულ დამოკიდებულებას იწვევდა. კომოდუსის იმიჯს საკმაოდ დამახინჯებულად წარმოაჩენს ისტორიკოსთა ის ნაწილი, ვინც კრიტიკულად არის განწყობილი ორთაბრძოლების მოყვარული ხელისუფლისადმი და პოლიტიკურ თუ ადმინისტრაციულ შეცდომებს იმპერატორის შეშლილობით ხსნის.

ვფიქრობ, საკმაოდ საკამათოა გადაჭრით იმის მტკიცება, რომ კომოდუსს „შიზოიდური პარანოია“ ჰქონდა, როგორც ამას ვივიან გრინი ასკვნის. მიკერძოებული მსჯელობის ფონზეც თავს არ მალავს მსგავსი დიაგნოზის უარმყოფელი ფაქტები თავად ბრიტანელი მკვლევრის ნაშრომში.

სპორტისა და ფიზიკური ღონის მოტრფიალე, ინტელექტისადმი ინდიფერენტულად განწყობილ ახალგაზრდას, ბუნებრივია, საბრძოლო წვრთნა უფრო იზიდავდა, ვიდრე სენატის სხდომათა დარბაზში ყურყუტი. შესაბამისად, გლადიატორის როლი ერჩია იმპერატორისას. ადმინისტრაციული მოვალეობები ჯერ მამამისის – მარკუს ავრელიუსის პრეტორიანელთა პრეფექტს – სექსტუს ტიგიდიუს პერენისს დაუტოვა, მისი მოკვლის შემდეგ კი მთავარ მინისტრად დანიშნა მამის ფრიგიელი მონა – კლეანდრე, რომელმაც კომოდუსის პირველი ფავორიტი, გააზატებული ბერძენი საოტერუსი მოკლა მანამდე. რა თქმა უნდა, კომოდუსი პასუხს მაინც აგებდა მის მიერ შერჩეულ თანამდებობის პირთა შეცდომებსა თუ შეცოდებებზე მიუხედავად იმისა, როგორი იყო მისი პირადი წილი იმპერიის მმართველობაში. რაც შეეხება, კომოდუსის მიერ განხორციელებულ რეპრესიებს მისი აშკარა თუ სავარაუდო მტრების წინააღმდეგ, ვფიქრობ, ამ იმპერატორის სისასტიკე მისი გონებრივი აშლილობის ბრალი სულაც არ უნდა ყოფილიყო. კომოდუსის გაიმპერატორების პირველივე წელს მის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო, რომლის ორგანიზატორიც იყო კომოდუსის უფროსი და – ლუცილა. ბუნებრივია, ამგვარი ღალატის შემდეგ იმპერატორი უკიდურესად უნდო გახდა და ნებისმიერი შეთქმულების ეჭვზე სისხლიანი რეპრესიებით რეაგირებდა.

იქნებ პოლიტიკური ინტრიგების სიბინძურისგან გაქცევის მცდელობაც იყო კომოდუსის დაუფარავი აღტაცება და ტრფიალი, გლადიატორთა ცხოვრების მიმართ რომ ამჟღავნებდა. თუმცა რომის მოქალაქის არენაზე გამოსვლა სასირცხვილოდ ითვლებოდა, კომოდუსს ეს არ ადარდებდა და საერთო ჯამში 735 ორთაბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. მისი თანამედროვეების ცნობით, იმპერატორი ფიზიკური ღონით გამოირჩეოდა და იარაღსაც ოსტატურად ხმარობდა. საკუთარი შესაძლებლობების ფართო აუდიტორიის წინაშე დემონსტრირება სიამოვნებდა. მისივე ბრძანებით, დეტალუ-

რად აფიქსირებდნენ კომოდუსის ყოველ ბრძოლას. თანდათან კომოდუსმა სრულიად ჩამოიცილა იმპერატორის ვალდებულებები და მთლიანად არენის გმირთა ცხოვრების გაზიარებაზე ორიენტირებული გახდა. ერთი პერიოდი იმპერატორმა სასახლეც კი დატოვა და საცხოვრებლად გლადიატორთა ყაზარმაში გადავიდა.

ნამდვილად იგრძნობა პოლიტიკური სარჩული კომოდუსის საქციელში ფლავიუსის ორკვირიანი თამაშებისას, როდესაც სირაქლემას თავი წააცალა და ხმალამართულმა მრავლისმეტყველი ჟესტით მიუთითა სენატორებისთვის განკუთვნილი ტრიბუნისკენ — შემდეგი თქვენ იქნებითო. სენატი თავიდანვე ოპოზიციურად განეწყო ჰერკულესის ფანი იმპერატორისადმი, თუმცა ქმედითი ზომების მიღებას ექსტრავაგანტური იმპერატორის წინააღმდეგ არ ჩქარობდა. თანაც ხალხს მოსწონდა მოქალაქეთა გასართობად კომოდუსის ბრძანებით მოწყობილი მრავალგვარი სანახაობა, სიხარულის ყიჟინით ხვდებოდა თავად იმპერატორის ორთაბრძოლებს. მასას დიდად არ ადარდებდა ისეთი ფინანსური საკითხები, როგორიც იყო ქალაქის ბიუჯეტიდან ერთი კაცისთვის გადახდილი მილიონი სესტერცი არენაზე მისი თითოეული გამოჩენისთვის.

193 წლის 1 იანვარს მის კონსულად არჩევასთან დაკავშირებულ ცერემონიაზე კომოდუსი გლადიატორის სამოსით მისვლას გეგმავდა, რის შესახებაც დეკემბრის თვეში წინასწარ საჯაროდ განაცხადა. ტრადიციულ გრძელ ტოგასთან შედარებით გლადიატორის ტანსაცმელი თანამედროვე ტანგასავით აღიქმებოდა წარჩინებულთა თვალში. არისტოკრატიის განსაკუთრებულ აღშფოთებას იმპერატორისთვის შეუფერებელი სამარცხვინო სიშიშვლე უფრო იწვევდა, ვიდრე არენაზე ბრძოლის მისი დაუოკებელი ჟინი. კომოდუსს ოცნების ასრულების საშუალება არ მისცა მის მოსაშორებლად მოწყობილმა ბოლო შეთქმულებამ, რომელიც წარმატებული გამოდგა. 31 დეკემბერს ჯერ საყვარელმა — მარციამ დაალევინა მოწამლული ღვინო იმპერატორს. როცა საშხალამ არ იმოქმედა, ათლეტმა მონამ — ნარცისმა საკუთარი ხელებით დაახრჩო იგი. სენატმა შეთქმულები გაამართლა და მოკლული „სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადა". სენატორების მხარდაჭერით გათამამებულ ბრბოს გვამის მდინარე ტიბრში გადაგდება სურდა, მაგრამ ქალაქის პრეფექტმა პერთინაქსმა ამის უფლება არავის მისცა. მოგვია-

ნებით, მარკუს ავრელიუსის ოჯახის მხარდაჭერის მოპოვების იმედით, იმპერატორმა სეპტიმუს სევერმა კომოდუსი ღმერთად შერაცხა და მისი დაბადების დღის ზეიმით აღნიშვნა დააწესა, ხოლო ნარცისი ლომებს მიუგდო შესაჭმელად. განსხვავებული პოლიტიკური მიზნების მქონე ადამიანების მიერ მიზანმიმართულად წარმოებული პიარის შედეგად, რამდენჯერმე რადიკალურად შეიცვალა იმპერატორ კომოდუსის იმიჯი.

არისტოკრატთა წრიდან გამოსულმა ისტორიკოსებმა სენატისა და რომაული ტრადიციების სათანადოდ დაცვის უგულებელყოფა არ აპატიეს გლადიატორ იმპერატორს. ამიტომ არგუნეს მას შეშლილის სტატუსი შთამომავლობის თვალში. რა თქმა უნდა, ამის საბაბს კომოდუსის არაორდინალური პიროვნებაც იოლად იძლეოდა. იგი თავს „მეორედშობილ ჰერკულესს“ უწოდებდა. ნერონის უზარმაზარი ქანდაკება ჰერკულესის სტილში გადააკეთებინა, თავისი სახე მიაცემინა და საკუთარ თავს მიუძღვნა წარწერით: „სეკუტორების ჩემპიონს, ერთადერთ ცაცია მეომარს, რომელმაც 12 ათასი კაცი დაამარცხა“. გლადიატორობის იდეაფიქსისა და ადმინისტრაციული არაკომპეტენტურობის გამო რომში ხმა დადიოდა, კომოდუსი დედამისმა – ფაუსტინა უმცროსმა გლადიატორისგან გააჩინა და არა – მარკუს ავრელიუსისგანო. პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ბინძური ბრძოლის შედეგად, კომოდუსის იმიჯი დამახინჯდა. თანამედროვე მკვლევართა თავდაუზოგავი მონდომებით თანდათან ხერხდება რეალური პიროვნების დანახვა ბოროტი ჭორებისა და მიკერძოებულად ინტერპრეტირებული ამბების მიღმა.

მხოლოდ უარყოფითი თვისებების თავსმოხვევა არ ახასიათებდათ ჟამთაალმწერებს. ტიტუს ფლავიუსის შემთხვევაში, სვეტონიუსი მის იდეალიზირებულ პორტრეტს აწვდის მკითხველს. ზოგისთვის ისტორიულ და ზოგისთვის მხატვრულ თხზულებაში – „თორმეტი კეისრის ცხოვრება“ მოცემულია რომის მეათე იმპერატორის ლაკონიური დახასიათება: „ტიტუსი ადამიანთა მოდგმის ნათელი და ძვირფასი გენია იყო. ბუნებისგან მიმადლებული ჰქონდა იმგვარი ზეძალა, რომ ყველას სიყვარულს იმკიდა. ეს კი იმპერატორისთვის იოლად მისაღწევი სულაც არაა“. პლინიუს უფროსმა თავისი ენციკლოპედიური ნაშრომი „ბუნებრივი ისტორია“ ტიტუსს მიუძღვნა. დიონ კასიუსიც სვეტონიუსივით დადებითად აფა-

სებს ტიტუსის იმპერატორულ მოღვაწეობას, თუმცა ფარული ირონია აშკარაა ამ ავტორის მსჯელობაში: ტიტუსმა სულ ორი წელი, ორი თვე და ოცი დღე მართა იმპერია და ვერ მოასწრო ასე მცირე დროში რაიმე მნიშვნელოვნის დაშავება; ავგუსტუსის იმპერატორობა მასავით ხანმოკლე რომ ყოფილიყო, ხალხის სიყვარულის მოპოვებას ვერ მოასწრებდა და ვერც ტიტუსი შეძლებდა, რომ დასცლოდაო. შესაძლოა სწორედ უდროობით აიხსნას ის ფაქტი, რომ ვესპასიანეს თანამედროვე რომაული საზოგადოების შიში არ გამართლდა ტიტუსთან დაკავშირებით და იგი „მეორე ნერონად“ ვერ მოევლინა სამშობლოს. ყოველივეს გათვალისწინებით, ყალბად სულაც არ ჟღერს ტიტუსის სიამაყით ნათქვამი: „შეუძლებელია რაიმე კუთხით შეურაცხყოფილად ან დაჩაგრულად ვიგრძნო თავი, რადგან გაკიცხვის ღირსს არაფერს ვაკეთებ და სულ არ მადარდებს მცდარად მოწოდებული ინფორმაცია“. ნამდვილად სწამს, რასაც ამბობს. თუმცა სიტყვებს მიღმა ზედმეტი თვითდაჯერება ეჭვს იწვევს, რომ გარკვეული გარანტიები უმაგრებდა ზურგს ამ პოლიტიკოსს.

რომაელი ისტორიკოსები არასახარბიელო ფაქტებსა თუ ჭორებს არ გაურბიან, მაგრამ საჩოთირო დეტალების მიუხედავად, მაინც ცდილობენ ტიტუსის, როგორც იმპერატორის, იდეალური პორტრეტის დახატვას. ამის მიზეზი უთუოდ ის უნდა იყოს, რომ ტიტუსი არასდროს დაპირისპირებია სენატს. შესაბამისად, წარჩინებულთა წრიდან გამოსული ავტორები მას დადებით მმართველად აღიქვამდნენ. სვეტონიუსი წერს: „წინასწარმა ცუდმა რეპუტაციამ ტიტუსის სასარგებლოდ იმუშავა. გაიმპერატორების შემდეგ ხალხმა და არისტოკრატიამ ვერცერთი ცოდვისა თუ ნაკლის დასტური ვერ მიიღო. სამაგიეროდ, არაერთი სათნოება აღმოაჩინა მის ხასიათში“. ვესპასიანეს ვაჟი კეთილი, გულუხვი, მზრუნველი მმართველი გამოდგა, რადგან რომს არ აკლებდა „პურსა და სანახაობას“. მის დროს დასრულდა კოლიზეუმის მშენებლობა და საზეიმოდ გაიხსნა. მამამისის ხელმომჭირნეობის წყალობით დაგროვილი სახაზინო ქონება გართობას, ვეზუვის ამოფრქვევისა და სამი დღე-ღამის განმავლობაში რომში მძვინვარე ხანძრის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას უშურველად მოახმარა. „როცა შინაურები საყვედურობდნენ, მთხოვნელს იმაზე მეტს ნუ პირდები, ვიდრე აღ-

სრულებას შეძლებო, იგი მათ პასუხობდა: „იმპერატორთან საუბრის შემდეგ არავინ უნდა გაბრუნდეს უკან სევდიანი“. ერთხელ სადილობისას გაახსენდა, რომ იმ დღეს არავისთვის გაუმართავს ხელი და თავისი ცნობილი სიტყვები წარმოთქვა: „მეგობრები, ერთი დღე დავკარგე!“ გულშემატკივარი ისტორიკოსების მცდელობის მიუხედავად, იმპერატორს კონტრასტული იმიჯი დაუმკვიდრდა რომს გარეთ. იერუსალიმის ამღები გმირი იუდეველთა მეხსიერებას „ტიტუს ბოროტის“ ზედწოდებით შემორჩა, რომელმაც უმოწყალოდ დაანგრია ტაძარი.

რომის საიმპერატორო ტახტს მუდამ ჰყავდა ფარული თუ აშკარა პრეტენდენტი და ხშირად — რამდენიმეც ერთდროულად. ამიტომ მყარად არცერთი იმპერატორი მჯდარა ბევრისთვის სანუკვარ სკამზე. „ცივმა და გულგრილმა ტიბერიუსმა, როგორც ჩანს, არაფერი მოიმოქმედა რომაელთა სიყვარულის მოსაპოვებლად. იგი არ უზრუნველყოფდა მათ პურითა და სანახაობით, რისი კანონიერი უფლებაც, ხალხის აზრით, მოქალაქეებს ჰქონდათ“. მართალია ვივიან გრინი საკმაოდ ლოგიკურად განმარტავს იმპერატორ ტიბერიუსის არაპოპულარობის სავარაუდო მიზეზს, მაგრამ ისიც უტყუარი მონაცემია, რომ ავგუსტუსის 56 წლის ასაკში გაიმპერატორებულმა მემკვიდრემ 23 წელი შეინარჩუნა ძალაუფლება, რაც რომაული სტანდარტებით საგრძნობლად სოლიდური ვადაა.

ტიბერიუსი რომის ერთ-ერთი უდიდესი გენერალი იყო, არაერთი მიწის დამპყრობი, მაგრამ ისტორიის ფურცლებს კუშტი და ნაღვლიანი, იმპერატორობის არმნდომი პიროვნების იმიჯით შემორჩა. ტაციტუსისა და სვეტონიუსის ცნობით, ტიბერიუსმა იმპერატორის ტიტულზე უარი თქვა თავიდან, თუმცა მინიჭებული ძალაუფლება უპირობოდ გადაიბარა. პლინიუს უფროსი ტიბერიუსს „უპირქუშეს ადამიანს“ უწოდებს. მის თანამედროვეებს შთაბეჭდილება რჩებოდათ, რომ ტიბერიუსს ერჩია სენატსა და სახელმწიფოს მიღმა ეარსება. მხოლოდ ის მიზეზი, რომ ამბიციური ადამიანები ვერ იგებდნენ სხვის გულგრილობას ძალაუფლებისადმი, ვერ აკნინებს პოლიტიკურ პერიპეტიებზე მაღლა მდგომ პიროვნებას. ვფიქრობ, დიდებული სამხედრო კარიერის პერიოდში სრულიად ნორმალური იყო ტიბერიუსის სუსხიანი, უკარება ხასიათი; მოგვიანებით კი არსებობდა ამგვარი მოღუშულობის გამომწვევი მძაფრი

ემოციური მიზეზი. ერთადერთი მემკვიდრის გარდაცვალებიდან სამიოდე წელიწადში ტიბერიუსმა რომი დატოვა და უკანასკნელი 11 წელი რეალური ძალაუფლება ორ პრეტორიანელ პრეფექტს: ჯერ სეიანუსს, შემდეგ კვინტუს მაკრონს გადაულოცა დაუნანებლად. რამდენადაც საუკუნეების გადასახედიდან მოსჩანს, ტიბერიუსის საკმაოდ დადებით პოლიტიკურ და პიროვნულ იმიჯს ჩრდილი სწორედ მისი მმართველობის უკანასკნელი დეკადის განმავლობაში მიაყენეს მისმა პრეტორიანელმა თანამოსაყდრეებმა. კუნძულ კაპრიზე განმარტოებული ტიბერიუსის ცხოვრების რეალური დეტალები დანამდვილებით არავინ იცის დღეს. ჩვენამდე მოღწეული ცნობები ეჭვს ბადებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ იმდროინდელი ჭორების ახსმულაა, მის მიერ მიტოვებულ რომში მოცლილების მიერ შეთხზული. რეალური დოკუმენტები არ არსებობს მთხრობელთა მიერ აღწერილი უმსგავსობების დასადასტურებლად. იმ ეპოქის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების დონე საჭოჭმანოს ხდის რომიდან დანახულ კაპრულ რეალობას.

ტიბერიუსთან დაკავშირებით სენატის მიერ მიღებულმა დადგენილებამ იმპერატორი „გარეკილად“ გამოაცხადა. თანამედროვე ისტორიკოსთა ნაწილმა აღნიშნული ფაქტი პოლიტიკურ ფანდად მიიჩნია, რომელიც ტიბერიუსის უშუალო მემკვიდრის მიერ უნდა ყოფილიყო პროვოცირებული წინამორბედის იმიჯის დამცრობის მიზნით. ბედის ირონიით, კალიგულას გაცილებით უფრო გარეკილის იმიჯი ჩამოუყალიბდა შთამომავლების თვალში, ვიდრე ტიბერიუსს.

ახალგაზრდა და ენერგიული გაიუსი მონდომებით შეუდგა იმპერატორის ხელისუფლების პრაქტიკულად ათვისებას. სულ ოთხი წელი დასცალდა იმპერიის სადავეების მოჭერა-მოშვებით გართობა. პირველი ორი წელი, მისივე მწვავე კრიტიკოსების აღიარებით, საკმაოდ წარმატებით მართავდა სახელმწიფოს, უკანასკნელი პერიოდისგან განსხვავებით. აღსანიშნავია სვეტონიუსის ცნობა იმის თაობაზე, რომ ახალგაზრდა იმპერატორმა აღადგინა დემოკრატიული არჩევნები. „კალიგულას მმართველობას მიღწევათა გარეშე არ ჩაუვლია. მან საკმაოდ კარგად დაიწყო. შეასუსტა ტიბერიუსის პერიოდიდან შემორჩენილი რამდენიმე ყველაზე არაპოპულარული კანონი. მისი პოლიტიკური ქმედებები მრავალმხრივ წარმოაჩენდა სალ აზ-

რსა და გარკვეულ უნარებს არცთუ ურიგო პოლიტიკოსისას. თანამედროვე ისტორიკოსების ძალისხმევით, კალიგულა, ისევე როგორც ტიბერიუსი, გარკვეულწილად რეაბილიტირებულია". ვინ იცის დანამდვილებით, გადახრა იყო თუ იმ პერიოდისთვის შესაფერისი პიარი, როცა იმპერატორი საკუთარ თავს „ლათინური ტომების ღმერთის" (Jupiter Latiaris) ტიტულით ამკობდა.

კალიგულა უკიდურესად არტისტული ბუნების ადამიანი იყო. ეჭველია, რომ მის პიროვნებას მძიმე კვალი დაატყო იმ პოლიტიკურმა გარემომ, რომელშიც ყალიბდებოდა მისი ინტერესები, ვითარდებოდა გენეტიკური მიდრეკილებები. იგი ინტრიგებით სავსე ჰაერს სუნთქავდა, რომელშიც მორიგი პოლიტიკური მსხვერპლის სისხლის ჟანგიანი არომატი მუდმივად დიფუზირდებოდა. როცა ძალაუფლება ხელში ჩაუვარდა, იმპერატორული ეგოს დასაკმაყოფილებლად, მან უყოყმანოდ გადააჭარბა უფლებამოსილებას. კალიგულას განსაკუთრებული კრიტიკა მას შემდეგ წამოიწყეს მისმა თანამედროვეებმა, რაც გახშირდა სრულყოფილად ჩატარებული გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე ადამიანების სიკვდილით დასჯა პირადად იმპერატორის მითითების საფუძველზე. ამასთან, „სენატი შეურაცხყოფილი იყო იმ წყალობებით, რასაც კალიგულა გულუხვად გასცემდა მდაბალი წარმოშობის ადამიანებზე, მსახიობებზე, გლადიატორებსა და სხვებზე, ვის კომპანიაში ყოფნაც უყვარდა ხოლმე". იქნებ იმპერატორის უცნაურობა და სისასტიკე არა მისი სიგიჟით აიხსნება, არამედ სინამდვილის ჭვრეტის უნარითა და საიმპერატორო გარემოცვაში მომრავლებულ უვარგის მედროვეთა უკომპრომისო უარყოფით? მრავლისმნახველი გულივერი თავისი მოგზაურობის მიწურულს კარგად გაუგებდა კალიგულას გულისთქმას, როცა იმპერატორი ადამიანებზე მეტად თავის ცხენს — ინციტატუს აფასებდა, მის სადღეგრძელოს ოქროს თასით მიირთმევდა და როგორც რომის პოლიტიკურ კულუარებში ბრწოლით, ზიზღითა თუ ფარული შურით ჭორაობდნენ, მის კონსულად დანიშვნასაც აპირებდა, რომ დასცლოდა. ვფიქრობ, კალიგულას ნაკლად არ უნდა ჩაეთვალოს საკუთარი ცხენის მიმართ გამოვლენილი ხაზგასმული სიმპათია საიმპერატორო გარემოცვაში მომრავლებული ადამიანის ფორმის ინტრიგანი, გაქნილი არსებების აბუჩად აგდების ფონზე. ზაგრების უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორი ქალი მიიჩნევს, რომ ინციტატუსთან დაკავში-

რებული პერიპეტიები „კალიგულას ორიგინალური იუმორის“ გამოვლინებაა. ენტონი ბარეტიც კითხვის ქვეშ აყენებს კალიგულას სიგიჟის რეალურობას და თვლის, რომ სენატორთა დაცინვას, მათ გაბრაზებას ისახავდა მიზნად ცხენთან დაკავშირებული ყოველი გამოხდომა. რადგან იუმორი, სატირა თუ ცინიზმი შეშლილობის სიმპტომებად არ მიიჩნევა, გაიუსის ისტორიული იმიჯის გადახედვის მომხრეებს თავისუფლად შეუძლიათ მიკერძოებულობაში დასდონ ბრალი სვეტონიუსსა და დიონ კასიუსს.

კალიგულა უეჭველად იყო ქარიზმატული პიროვნება. სანდო წყაროთა უქონლობის გამო, შეუძლებელია მისი გონების მდგომარეობის ზუსტი სამედიცინო დიაგნოსტიკა. რეალური ფაქტები ჯეროვნობით ვერ ადასტურებს მის შეშლილობას. იქნებ საკუთარი კომპლექსებისა თუ შიშის დამალვას ლამობდა სხვადასხვა ღმერთის როლს ამოფარებული იმპერატორი. ვფიქრობ, ძალაუფლება იშვიათად აგიჟებს ისეთ ადამიანს, ვინც მანამდეც შერეკილობისადმი მიდრეკილებას არ ავლენს. უბრალოდ, გამონათქვამი – მადა ჭამაში მოდისო, პოლიტიკურ მადასაც გულისხმობს. რადგან საშუალება მიეცა, კალიგულაც იყენებდა უზენაესი ხელისუფლის პრივილეგიებს საკუთარი უნარისა და მიდრეკილებების შესაბამისად. სენეკა უმცროსის ცნობით, მოზრდილ ასაკში გაიუსს აღარ სიამოვნებდა ბავშვობაში სიყვარულით შერქმეული ეპითეტი „კალიგულა“. იქნებ ესეც ერთ-ერთი გამოვლინება იყო 28 წლის ახალგაზრდა იმპერატორის სურვილისა, ზრდასრული და დამოუკიდებელი მმართველი ყოფილიყო როგორც სენატის, ისე მთელი ქვეყნის თვალშიც. თუმცა მსოფლიო ისტორიას რომაელი გენერლის, გერმანიკუსის ვაჟი სწორედ ყრმობის მეტსახელით შემორჩა და, სავარაუდოდ, იგი მოოქროვილ, ძვირფასი თვლებით მორთულ კალიგებში გარდაიცვალა. კალიგულა, ფართო პოლიტიკური გაგებით, დამარცხდა, მაგრამ მხოლოდ ამიტომ გიჟად არ უნდა ითვლებოდეს.

იმპერატორ კლავდიუსს თანამედროვე მკვლევართა ნაწილი ადამიან-გამოცანად აღიქვამს და ენიგმას უწოდებს. შესაძლოა წინამორბედ იმპერატორთა მაგალითზე ჭკუანასწავლი კლავდიუსი პიროვნული სისუსტისა თუ სიშტერის ნიღაბს იყენებდა, რომ სიცოცხლე გადაერჩინა. ფაქტია, მის გარშემო უამრავი შეეწირა პოლიტიკურ ინტრიგებს, იგი კი გადაურჩა ტიბერიუსისა და კალიგუ-

ლას სასტიკ რეპრესიებს. ფარდის უკან დამალული კლავდიუსი ოდნავ საშიში ან საძულველი პიროვნება რომ ყოფილიყო, პრეტორიანელი გრატუსი მასაც გაიუსის გზას გაუყენებდა; მაგრამ, რადგან მისი საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, ცოცხალი დატოვა და იმპერატორად გამოაცხადა. მმართველობის დასაწყისში კლავდიუსმა უარი თქვა წინამორბედთა ყველა ტიტულზე, მათ შორის, იმპერატორის წოდებაზეც და შეეცადა პირადი დამსახურებების საშუალებით კვლავ მოეპოვებინა ისინი.

მცირე პოლიტიკური გამოცდილების მიუხედავად, კლავდიუსმა თავი გამოიჩინა, როგორც უნარიანმა ადმინისტრატორმა და საზოგადოებრივი საქმის უბადლო ორგანიზატორმა. მისი იმპერატორობის პერიოდში რომის საზღვრები საგრძნობლად გაიზარდა. წარმატებით განხორციელდა ბრიტანეთის ანექსია, რასაც სამი წლით ადრე კალიგულა ცდილობდა. შემოიღო ახალი, პროგრესული კანონები. მოსამართლეთა მინიმალური ასაკი ოცდახუთამდე ასწია, რომ ისინი უფრო გამოცდილები ყოფილიყვნენ. ანტიკური ხანის ისტორიკოსები კლავდიუსს იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ ზოგჯერ მის მიერ მიღებული განაჩენი დადგენილი კანონების შესაბამისი არ იყო, მაგრამ პრინციპულ იმპერატორს დასახული კურსიდან არასდროს გადაუხვევია. ხასიათის ეს თვისება მან ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გამოავლინა პოლიტიკური „დაუდევრობით“. იტალიელი ისტორიკოსის არნალდო დანტე მომილიანოს ცნობით, ტიბერიუსის მმართველობის პერიოდში რომის რესპუბლიკაზე საუბარი აკრძალულ თემად ითვლებოდა. ახალგაზრდა მემატიანენი ან რომის ახალ იმპერიაზე საუბრობდნენ, ან ანტიკურ თემებს აბუნდოვნებდნენ. კლავდიუსი იმ იშვიათ მკვლევრებს ეკუთვნოდა, ვინც წარსულსა და მომავალზე ერთნაირი სიხშირით, მიუკერძოებლად წერდა. მან შექმნა ავტორისთვის პოლიტიკურად ძალზე სახიფათო ნაშრომი ავგუსტუსის იმპერატორობის პერიოდის შესახებ. იმდენად სასიცოცხლოდ საშიში იყო კლავდიუსის მიერ სიმართლის წერა, რომ ერთი პერიოდი ნათესავებმა საერთოდ აუკრძალეს საყვარელი საქმიანობა, მას კი როგორც გონებასუსტსა და პოლიტიკურად უფხოს, უვარგისს ისე უყურებდნენ. რადგან პოლიტიკური ცბიერება და გაქნილობა აკლდა, მთელმა ოჯახმა აითვალწუნა.

სვეტონიუსის ცნობით, გაიმპერატორებულ კლავდიუსს განსაკუთრებით უყვარდა გლადიატორთა ბრძოლები, ხშირად აწყობდა მათ და გამარჯვებულ მეომრებს ხალხთან ერთად ულოცავდა წარმატებას. იმპერატორი რეგულარულად მართავდა მამის ხსოვნისადმი მიძღვნილ სანახაობებს მის დაბადების დღეზე. ყოველწლიურად აწყობდა გასართობ ორთაბრძოლებს პრეტორიანელთა იმ სამხედრო ბანაკშიც, სადაც იმპერატორად გამოაცხადეს. კლავდიუსმა ასევე ზარ-ზეიმითა და თამაშებით აღნიშნა რომის 800 წლისთავი. მართალია თარიღი მთლად ზუსტი არ იყო, მაგრამ გასართობად მისულ ხალხს არითმეტიკული ლაფსუსი ნაკლებად აღელვებდა. ქალაქ ოსტიის ნავსადგურში გამოჭერილ ვეშაპთან პირადად კლავდიუსის შებრძოლების ერთ-ერთი თვითმხილველი გახდა პლინიუს უფროსი და დეტალურადაც აღწერა.

არაერთი ადმინისტრაციული წარმატების მიუხედავად, თანამედროვეები, უმეტესად, წარჩინებულები კლავდიუსს უუნარო, იოლად სამართავ ადამიანად თვლიდნენ. არისტოკრატთა ანტიპათიას, ძირითადად, ის ასაზრდოებდა, რომ იმპერატორი ძალიან იოლად ექცეოდა სხვათა, განსაკუთრებით ქალების, გავლენის ქვეშ. ამის გამო პირადი ცხოვრება მუდამ აწეწილი ჰქონდა – ოთხი ცოლი, მათ შორის მესალინა და აგრიპინა, ერთმანეთის მოქიშპე ხუთი მემკვიდრე, რომელთაგანაც იმპერატორობა უკანასკნელი მეუღლის შვილმა, კლავდიუსის ნაშვილებმა ნერონმა ჩაიგდო ხელში. სენატის გულის მოგებას თავდაპირველად კლავდიუსი მნიშვნელოვანი დათმობების შეთავაზებით ცდილობდა, მაგრამ სასურველ პატივისცემას და აღიარებას ვერ ეღირსა. პირიქით, მრავალი შეთქმულება მოუწყვეს მოკვლის თუ ძალაუფლების წართმევის მიზნით. საკუთარი პოზიციის გამყარებისთვის კლავდიუსი იძულებული გახდეს სიკვდილით დაესაჯა რამდენიმე სენატორი. ამას გარდა, კლავდიუსი რომის იმპერატორთა შორის პირველი იყო, ვინც მამაკაცებთან ურთიერთობის რომაულ ტრადიციას უარყოფდა. ამის გამო ანტიკური ხანის ისტორიკოსები მას მექალთანედ და მდედრთა ყურმოჭრილ მონად გამოსახავდნენ. ყოველივე ამან საგრძნობლად დააზიანა კლავდიუსის რეპუტაცია და საკმაოდ ცუდი იმიჯი შეუქმნა. თანამედროვე ისტორიკოსებს თანდათანობით უყალიბდებათ ძველისგან რადიკალურად განსხვავებული აზრი რომის ამ იმპერატო-

რის რეალურ სახესთან დაკავშირებით. მას შემდეგ რაც აღმოაჩინეს კლავდიუსის „წერილი ალექსანდრიელებისადმი“, ფართო კვლევა მიმდინარეობს სიმართლის დასადგენად და მისი პიროვნების რეაბილიტირებისთვის.

თუკი სამედიცინო დიაგნოსტიკის გამოყენებით ათეული საუკუნეების წინანდელი ქმედებების სხვადასხვა დაავადებით ახსნის მცდელობა 1990-იან წლებამდე აქტუალური და მიღებული მიდგომა იყო, მესამე ათასწლეულმა ძირეულად შეცვალა თანამედროვეთა მიერ უძველესი ფაქტების დანახვისა და აღქმის მეთოდი. აშკარად იგრძნობა, რომ XXI საუკუნის დასაწყისიდან ისტორიულ-პოლიტიკური ფიგურებისა და მათი სტერეოტიპული შეფასებების რადიკალურად გადასინჯვის პროცესი დაიწყო. მკვლევართა სულ უფრო მეტი რაოდენობა რისკავს სახელგანთქმული (უფრო ხშირად, სახელგატეხილი) პიროვნებების იმიჯთა ახლებურად დანახვას, წინამორბედ მეცნიერთა მოსაზრებების კრიტიკულად გააზრებას, გაანალიზებას, შემდეგ კი მოულოდნელი და თამამი თვალსაზრისების შემოთავაზებას. სწორედ ამის შედეგია არა მხოლოდ შეშლილებად წოდებული რომაელი იმპერატორების ფაქტებისა და ლოგიკური აზროვნების საშუალებით რეაბილიტირების მცდელობები, არამედ ისეთ ჩაბეტონებულ სტერეოტიპებთან შებრძოლება, როგორიც აქვთ გრაფ დრაკულას და „სისხლიან გრაფინია“ ბატორის. ასეთ არაორდინალურ თუ ქარიზმატულ პიროვნებებს ხშირად ვერც მათი თანამედროვენი უგებდნენ გულისთქმას, ვერც შემდგომი თაობები, რომლებიც ბრმად ენდობოდნენ წინამორბედ ისტორიკოსთა შეფასებებს და ხშირად, უბრალოდ არასწორად იგებდნენ წინაპართა ქმედებებს ან მცდარად აღიქვამდნენ მათი საქციელის შეფასებებს.

ფესვები ის სანდო ძალა და დაუშრეტელი ენერგიის წყაროა, რასაც უტყუარი ფაქტების წარმოჩენა და სამომავლო საქმიანი მინიშნებების შემოთავაზება შეუძლია. სახიფათო ტენდენციაა ადამიანთა იმიჯის დამახინჯება გართობის თუ ანგარების მიზნით. კიდევ უფრო მეტია იმ ავტორთა დანაშაული, ვისაც დიდ მოღვაწეთა დისტანციური აღქმა, მასშტაბური შეფასების უნარი არ გააჩნია და მაინც ეჭიდება საკუთარ შესაძლებლობებთან შეუფერებლად რთულ საქმეს. რამდენმა მოითბო ხელი, კარიერა და სახელი გაიკეთა წინაპართა ბოროტ დემონებად წარმოჩენაზე. ფაქტების

ლოგიკის ნაცვლად ფაქტების მიზანმიმართულად ინტერპრეტირებას როცა იყენებენ, ალბათ, ისეთ სათნო ადამიანშიც კი, როგორიც დედა ტერეზა იყო, ბნელ მხარეს ან მოტივს დაინახავენ ქრისტოფერ ჰიჩენსივით. ეს კვლევის გაიოლებული მეთოდია. სიკეთის აღმოჩენა ათასწილ უფრო რთულია, განსაკუთრებით, პოლიტიკოსში. საუკუნეები დასჭირდება დამახინჯებული იმიჯიდან რეალური პიროვნების გამოხსნას. სიმართლე, როგორც სამართალი, ხომ „ურმით დადის".

დემოკრატიის უმაღლესი ფორმის – ჯამაჰირიას შემქმნელი მსოფლიო დიდაქტიკოსის ღვაწლს თავის შემდგომ თხზულებაშიც განაგრძობს. „თეთრი წიგნის" არსს იგი იოლი ლექსიკით, მარტივი ლოგიკითა და რადიკალურად კადაფისეული ექსცენტრულობით უნერგავს XXI საუკუნის სახელმწიფოთა ლიდერებს: „(პალესტინა) ყოველთვის იყო მაკავშირებელი ტერიტორია და კონფლიქტების არენა. ყველა, ვინც კი ამბობს, ეს ჩემი მიწააო, მართალი არ არის". ჩვიდმეტგვერდიანი თხზულება კადაფის ორიგინალური იდეის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. ლიბიელი პოლკოვნიკი, რომლის შესახებაც ხმები დადის, მამა კი ჰყავდა მუსულმანი, მაგრამ დედით ებრაელია და ამიტომაც იუდეველებს უნდა მივაკუთვნოთო, გამოსავალს ისრაელთა და პალესტინელთაგან ერთი ნაციის „ისრატინას" (Isratine) ჩამოყალიბების ხელშეწყობაში ხედავს. ძნელია დანამდვილებით იმის განსაზღვრა, კადაფიმ ორიგინალური იდეა სერიოზული განსჯისთვის შემოგვთავაზა თუ ცინიკურად გაეხუმრა მსოფლიო პოლიტიკის ამაოებას. მას შემდეგ, რაც პრინც აბდულას სამშვიდობო გეგმა ოდიოზური ბედუინის ფონზე გაფერმკრთალდა და აზრი დაკარგა, „ისრატინაზე" უკეთესი წინადადება სხვას ჯერჯერობით არ წამოუყენებია. მეორე მხრივ, ნახევარი წელიც არ გასულა, რაც თავად კადაფიმ გამოთქვა „თეთრ წიგნში" მოცემული პოლიტიკური რეცეპტისგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება. აღნიშნული კონფლიქტის მოსაგვარებლად ამჯერად მას საუკეთესო ვარიანტად ესახება ინდოეთისგან პაკისტანის გამოყოფის ისტორიული პრეცედენტი. ვფიქრობ, ლიბიის ლიდერი იდეებით ჟონგლირებს.

მესამე მსოფლიო თეორიის მიხედვით, „დემოკრატია ხალხის თვითკონტროლია". დემოკრატიიდან დიქტატურამდე მცირე ნაბიჯია

მხოლოდ. ერთპიროვნული მმართველობის ფორმა იმდენად ერთაზროვანია, რომ მისი იდენტიფიკაცია სირთულეს არასდროს წარმოადგენს. დემოკრატიის „ფერადოვანი“ მრავალგვარობა მის ზოგიერთ ნაირსახეობას დიქტატურას უახლოებს, მაშინ როცა სხვები დემოკრატიის თეორიული სრულყოფილებისკენ პრაქტიკულად იხრებიან. ფაქტობრივად, თანამედროვე სამყაროში არსებული ორასამდე ქვეყნიდან თითებზე ჩამოსათვლელია ისეთი სახელმწიფო, სადაც წესწყობილებასა და მოქალაქეთა ცხოვრების კანონს ერთი „აკვიატებული დოქტრინის, დოგმატის თვალსაზრისით“ არ აკონტროლებს მმართველი ძალა.

სანამ მუამარ კადაფი აფრიკის კონტინენტზე დემოკრატიას კბილებს უსინჯავს და მსოფლიოს ჭკუას არიგებს, დასავლეთში გაბნეული თითო-ოროლა პროგრესულად მოაზროვნე პოლიტოლოგი სერიოზულად შეისწავლის დემოკრატიის ყველა პლუსსა და მინუსს. ამ სისტემის ძირეულ საფრთხედ რობერტ დალი მიიჩნევს იმას, რომ არაინფორმირებული გადაწყვეტილების მიმღებები, ცუდად დელეგირების შედეგად, დემოკრატიას გადააქცევენ ექსპერტთა ტირანიად: „არსებობს გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩემგან, როგორც მოქალაქისგან, მოითხოვს ხელისუფლების სხვებისთვის დელეგირებას... მაგრამ დელეგირების შემთხვევაში, შევძლებთ თუ არა პრაქტიკულად არ მივიღოთ ექსპერტების, ან უფრო უარესი – ცრუექსპერტების არისტოკრატიის მსგავსი სისტემა?“ ორმოცი წელია ამ კითხვაზე პასუხს თავს არიდებენ როგორც პროგრესული, ასევე განვითარებადი ქვეყნების ლიდერები და მათი პოლიტიკური ოპონენტები. ეს დუმილი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შეცდომებს არ უშვებენ, რაც მიახლოების ნაცვლად, სულ უფრო გვაშორებს იდეალურ წყობას. არაერთი პოლიტიკური მიმომხილველის აზრით, დემოკრატიის ექსპერტთა ტირანიად გადაქცევა გარდაუვალია, რადგან „ისინი, რომლებიც დელეგირებას ახდენენ, არ არიან ინფორმირებულები იმათგან განსხვავებით, რომელთა დელეგირებასაც ახორციელებენ“. შედეგად, დემოკრატიული დელეგირება, როცა ხალხი საკუთარ მთავრობას ირჩევს, განსაკუთრებით ემსგავსება ტირანიას. უკანასკნელი სამოცი წლის განმავლობაში წარმოებული კვლევების საფუძველზე, ბევრი მეცნიერი არგუმენტირებულად ასაბუთებს მოსაზრებას, რომ ამომრჩევლები, მათი სიჯიუტისა თუ

თვითგანათლების უუნარობის გამო, იოლად გადაიქცევიან უტვინო მარიონეტებად საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორთა და მედიამანიპულატორთა ხელში. რაც უნდა საწყენად ჟღერდეს ციცერონის მოსაზრება: „უბრალო ადამიანებს არ გააჩნიათ სიბრძნე, კომპლექსური საკითხების სათანადოდ აღქმისა და ანალიზის უნარი", სწორედ ამ არასახარბიელო თვალსაზრისის ნათელი დასტურია ხალხის მიერ გაკეთებული არაერთი პოლიტიკური არჩევანი. ჩვენდა სავალალოდ, დროსთან ერთად პროგრესირებს ციცერონის მიერ დასახელებული სამივე ნაკლი და შედეგებიც, შესაბამისად, სულ უფრო მძიმდება. გამოდის, რომ არსებული დემოკრატიის პირობებში, აზროვნებას მიუჩვეველი უმრავლესობის გადაწყვეტილებას უნებურად, კანონიერი იძულების გზით ემორჩილება გონიერი უმცირესობა, მიუხედავად იმისა, მას რაგვარი არჩევანი აქვს გაკეთებული.

„კაცობრიობამ მისი გრძელი ისტორიის მანძილზე ნაირ-ნაირი „იზმების" კორიანტელი დააყენა, მაგრამ არსებითად საზოგადოების მოწყობის ორ მოდელს თავი ვერ დააღწია. თუ ამ ორ მოდელს სუფთა სახით წარმოვიდგენთ, დავინახავთ, რომ საზოგადოება რელიგიურად – ან თეისტურია, ან ათეისტური, პოლიტიკურად – ან დემოკრატიული, ან დიქტატორული, სოციალ-ეკონომიკურად – ან კერძო საკუთრებას აღიარებს, ან კოლექტიურს, ან კლასობრივია, ან უკლასო, ფილოსოფიურად – ან მატერიალიზმის მიმდევარია, ან იდეალიზმის... ერთი სიტყვით, ორ მოდელს უტრიალებს გარშემო და ხან ერთს ამჯობინებს და ხან – მეორეს", მიიჩნევს აკაკი ბაქრაძე. როგორი ხერხებითაც უნდა სცადოს ხელისუფლებამ დემოკრატიულობის ილუზორულ გარსში საკუთარი დიქტატორულობის მიმალვა, საბოლოო ჯამში „დიდი სიცრუე" მაინც გამჟღავნდება. საზოგადოების თანამედროვე ტრაგედია ისაა, რომ გამოაშკარავების შემდეგ ფსევდოდემოკრატიას ხშირად ჩაენაცვლება დაუფარავი დიქტატურა. ხალხის სავალალოდ, სინდისი მხოლოდ სიკეთეს აქვს, მაგრამ სწორედ მას არ სჭირდება.

ჯონათან სვიფტის წიგნში „გულივერის მოგზაურობა" მოთხრობილია მრავლისმეტყველი ეპიზოდი, რომელშიც მხატვრული გამონაგონის საშუალებით ნაჩვენებია თუ საიდან სად მოვიდა დემოკრატია: როდესაც მთავარი პერსონაჟი ჯადოქრების კუნძულზე

მოხვდება და შეიტყობს, რომ იქ შესაძლებელია გარდაცვლილთა სულების გამოხმობა, გულივერის სურვილია „გამოიძახონ რომის სენატი ერთ დიდ ოთახში და შედარებისთვის, მეორე ოთახში მოათავსონ თანამედროვე პარლამენტი. პირველი გმირებისა და ნახევრად ღმერთების კრებულს ჰგავდა, მეორე — მეწვრილმანეების, ჯიბგირების, მძარცველებისა და შფოთისთავების თავყრილობას". ლამის საუკუნე გავიდა, მაგრამ თანამედროვე რეალობის უფრო მეტყველად აღწერა შეუძლებელი იქნებოდა. უბრალოდ, ზოგიერთ სახელმწიფოში კონტრასტი გაიზარდა ოდნავ უკეთესის ან უფრო უარესისკენ. იმ ბედკრულ ქვეყნებში კი, საიდანაც დემოკრატია დეპორტირებულია, ქურდბაცაცებითა და ცრუპენტელებით დაკომპლექტებული მთავრობაც სანუკვარ ოცნებად ქცეულა ხმაგაკმენდილი მოსახლეობისთვის.

მაშინ როცა პროზა თანამედროვეობას ასახავს, პოეზია მომავლის განჭვრეტას ლამობს. XII საუკუნის ბენედიქტელი ბერის ბერნარ კლუნელის სატირული სტრიქონი წინასწარმეტყველური ლაკონიზმით მიუთითებს თუ საით მიდის სანუკვარი დემოკრატია: „გუშინდელი რომისგან მხოლოდ სახელწოდება შემორჩენილა, ოდენ ცარიელ სახელებსღა ვფლობთ". დღეს დემოკრატია მოჭიმი სიცრუეა და მზის დიდ ქოლგას ჰგავს, რომლითაც სასურველი მხრიდან მოიჩრდილავს ნებისმიერი, ვისაც იმ წამს სახელურზე მიუწვდება ხელი. პერიოდულად წვიმს.

იმიჯის ტუსაღი

ნერონი პირველი იმპერატორი იყო, რომელიც, ტაციტუსის ცნობით, სენატმა ხალხის მტრად გამოაცხადა. ეს 68 წლის 9 ივნისს მოხდა. სწორედ მაშინ, რომიდან ქალაქგარეთ გაქცეული იმპერატორი საკუთარ საფლავს ათხრევინებდა შემორჩენილ რამდენიმე ერთგულ მონას. ამის ფონზე პარადოქსულად ჟღერს მეორე ფაქტი: „ნერონი კიდევ დიდხანს რჩებოდა პოპულარულ ფიგურად იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, ხოლო რომის მოსახლეობის დაბალ ფენებში, თითქმის, მთელი თავისი მმართველობის განმავლობაში სარგებლობდა ხალხის სიმპათიით“.

ამ იმპერატორისადმი რადიკალურად გაორებული დამოკიდებულება ლოგიკურ ახსნას ძნელად ექვემდებარება როგორც მისი ოდიოზური ბუნების, ისე ისტორიის მიერ შემონახული ცნობების მიკერძოებულად და ინტერპრეტირებულად მოწოდების გამო. ერთი და იმავე პიროვნების წინააღმდეგობრივი აღქმა ნაწილობრივ იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ უზარმაზარი იმპერიის მართვის სადავეები თექვსმეტი წლის ყმაწვილს ჩაუვარდა ხელში, რომელზეც გავლენას ახდენდნენ განსხვავებული ტიპაჟის, მიზნების, მონაცემების, ხასიათის ახლობელი ადამიანები – პატივმოყვარე დედა აგრიპინა, გამდიდრებულ-დაწინაურებული ყოფილი მონა მარკუს ანტონიუს პალასი, მისი ჯერ პედაგოგი და შემდეგ მრჩეველი სენეკა უმცროსი, პრეტორიანელი პრეფექტი სექსტუს აფრანიუს ბურუსი, პირფერი სენატორები, თავკერძა მრჩევლები, პლებეი ფავორიტები. მეორე მხრივ, თავიდან ნერონმა მთლიანად სენატს დაუთმო სახელმწიფოს მართვის სადავეები. ამის წყალობით იგი დადებითი პიროვნების სახეს ინარჩუნებდა რომში, საიმპერატორო დროის უდარდელად და უწესოდ ფლანგვის, პოლიტიკური უსაქმურობის მიუხედავად. მისი ოფიციალური იმიჯის დეფორმირება სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც სენატს უფლებების შეზღუდვა გაუბედა პირადი ინტერესების სასარგებლოდ.

ნერონის ცხოვრებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა ყოფილ მონა ქალთან, კლავდია აქტასთან დაახლოება. ამ კავშირმა აშკარა ბიძგი მისცა იმპერატორს, აგრიპინას გავლენისგან დაეხსნა თავი. დამოუკიდებლობის მოპოვებამ მისი პოლიტიკური ხასიათი შეცვალა: 55 წლიდან მოყოლებული ნერონი ხუთჯერ გახდა კონსული, თოთხმეტჯერ — ტრიბუნი და სიკვდილის მომენტში „სამშობლოს მამის" საპატიო ტიტულსაც ფლობდა. რომაელ ისტორიკოსთა უმეტესობის ცნობით, 55-60 წლებში იმპერატორის ყოველი ქმედება უბრალო ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებასა და მასებში პოპულარობის გაზრდით საკუთარი ხელისუფლების გამყარებას ისახავდა მიზნად.

აღსანიშნავია სენატთან მისი თანამშრომლობის რამდენიმე დადებითი შედეგი ადმინისტრაციულ სფეროში. ნერონის მოთხოვნით მიიღეს კანონი, რომელიც გაანთავისუფლებულთათვის ხელმეორედ თავისუფლების წართმევას უკრძალავდა ყოფილ ბატონს. უფრო მეტიც, იმპერატორმა ვეტო დაადო იმ კანონს, რომლის ძალითაც ერთი მონის დანაშაულისთვის მის პატრონს ყველა დანარჩენი საკუთარი მონის დასჯის უფლება ჰქონდა. უბრალო მოქალაქეთა ინტერესების სასარგებლოდ, იმპერატორი კორუფციის ალაგმვასაც შეეცადა და ფულის გამოძალვაში ეჭვმიტანილი უამრავი მაღალჩინოსანი დააპატიმრებინა. გადასახადების ამკრეფთა უსინდისობასთან დაკავშირებულ მრავალრიცხოვან საჩივრელთა განხილვის შემდეგ, გადასახადების აკრეფა დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებს დაავალა. ნერონს არაპირდაპირი გადასახადების საერთოდ გაუქმებაც სურდა ხალხის ყოფის გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ სენატმა გადააფიქრებინა, სახელმწიფოს გაკოტრების პროგნოზირებით. სამაგიეროდ, საბაჟო გადასახადი მოუხსნეს საქონლის საზღვაო გზებით შემომტან ვაჭრებს.

იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით სასარგებლო სიახლეს წარმოადგენდა ანდერძის გაყალბების თავიდან აცილების მიზნით შემოღებული ახალი ხერხი. სწორედ ნერონის დროს დაკანონდა გვერდებზე სპეციალურად გაკეთებულ ნახვრეტში ძაფის სამჯერ გატარება დოკუმენტის ოფიციალურად დაბეჭდვამდე. თანამედროვე ნოტარიუსებიც ამ მეთოდს იყენებენ.

მოსახლეობის მხარდაჭერის გასაზრდელად, ნერონმა სახალხო გიმნაზია და რამდენიმე თეატრი ააგებინა. ხშირად მართავდა გლადიატორთა არნახულად პომპეზურ ბრძოლებს. თავისი მმართველობის ხუთი წლისთავი გრანდიოზული ზეიმით — Quinquennialia Neronia-თი აღნიშნა, რომელიც მეათე წლისთავზეც გაიმეორა. ცხადია, იმპერატორს მონდომება დაუფასდა და მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მოიპოვა მასებში.

აღმოსავლეთ პროვინციებში ნერონის პოპულარობა 58-63 წლებში მიმდინარე სამხედრო კამპანიას უკავშირდება, რომლის დროსაც რომმა პართია დაამარცხა. მხარეების მიერ ქალაქ რანდეაში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება 50 წელი არ დარღვეულა. მიუხედავად დამარცხებისა, ზავის პირობებით კმაყოფილ პართიელებს ნერონისადმი თბილი მოგონებები ხანგრძლივად გაჰყვათ, რითიც აიხსნება მოგვიანებით მათ მიერ ცრუნერონთა პერიოდული მხარდაჭერა. იმპერატორი კიდევ უფრო მეტი დიდებით შემოსა რომის XIV და XX ლეგიონების მიერ 60-61 წლებში დედოფალ ბუდიკას მეთაურობით აჯანყებული ბრიტების სასტიკად დამარცხებამ. სამხედრო წარმატებების მიღწევაში ნერონს მნიშვნელოვნად დაეხმარა ის, რომ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე გამორჩეულად ნიჭიერ პიროვნებებს ნიშნავდა: ვესპასიანეს, გალბას, ვინდექსს, ოტონს, პაულინუსსა და სხვებს. ბედის ირონიით, ისინი ნერონის იმპერატორობის საუკეთესო წლებში მის საყრდენ ბურჯებს წარმოადგენდნენ, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ წითელი ტოგის მოსაპოვებლად ერთმანეთს დაერივნენ.

62 წლიდან, როცა იმპერატორის მრჩეველი ბურუსი გარდაიცვალა, რომში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. დაპატიმრების, უმიზეზოდ გასამართლებისა და სიკვდილით დასჯის ტალღა აგორდა. ნერონმა თანდათან დაკარგა სახელმწიფოს მართვისადმი ინტერესი და მთლიანად ხელოვნებას მიუძღვნა თავი. იქნებ ბინძური პოლიტიკით განხიბლული ახალგაზრდა კაცი ასე გამოხატავდა შინაგან პროტესტს — წერდა პოემებს, ქმნიდა მუსიკას. სენატორებისა და პირფერი ახლობლების მონდომებით, ნერონს თანდათან საკუთარი შემოქმედებითი ძალებისადმი რწმენა გაუჩნდა. 64 წლიდან იგი საჯაროდ გამოდიოდა და, იმსახურებდა თუ არა, მაინც ყველა პოეტურ და მუსიკალურ კონკურსში იმარჯვებდა. მოგვიანებით, ეს

საქციელი ნერონის შეშლილობის ერთ-ერთ მტკიცებულებად გამოიყენეს. ნაკლებად გაამახვილეს ყურადღება იმპერატორის გარემოცვის როლზე. თანაც, კრიტიკულად განწყობილ ისტორიკოსთა გარდა, არსებობდნენ ისეთი მემატიანენიც, რომლებიც ნერონის ქმნილებებს მაღალ შეფასებებს აძლევდნენ. დღეს შეუძლებელია დანამდვილებით ითქვას, მისი საქციელი უნიჭოს ბოდვა იყო თუ სენატის ინტრიგებით თავმობეზრებული ადამიანის უკურეაქცია, რომელმაც ხელოვნებაში პოვა აუმღვრეველი ნავსაყუდელი.

სვეტონიუსის „თორმეტი კეისრის ცხოვრებაში" აღწერილია ნერონის ხასიათის უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რითიც ლოგიკურად აიხსნება არისტოკრატთა თავგამოდება, ეს იმპერატორი მაქსიმალურად ცუდი მხრიდან წარმოეჩინათ: „საკუთარი წარმატებებით მთვრალი, წამოიძახებდა ხოლმე, რომ მისმა არცერთმა წინამორბედმა არ იცოდა, რამოდენა ძალაუფლება ჰქონდა ხელში. პერიოდულად იგი ღიად საუბრობდა სენატორთა მიმართ დაუნდობლობის გამოჩენისა და მათი მთელი ჯილაგისგან სახელმწიფოს გაწმენდის სურვილზე. ამ გეგმის განხორციელების შემდეგ იგი აპირებდა ჯარისა და პროვინციების მართვის გადაცემას მხედრობისა და გაათავისუფლებულებისთვის. ყოველ შემთხვევაში, წასვლისა და დაბრუნების დროს სენატორებს არც კოცნის ნებას რთავდა, არც მათ სალამს პასუხობდა. ისტმზე სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით, უზარმაზარი ბრბოს წინაშე გამოსვლის დროს, მან ყველას გასაგონად ისურვა, რომ ეს საქმე მისი და რომაელი ხალხის სასიკეთოდ დასრულებულიყო. სენატი არც კი ახსენა". ბუნებრივია, ამგვარი აბუჩად აგდება და დაიგნორება იმპერიის უმაღლეს მმართველ ელიტას არა მხოლოდ აღიზიანებდა, არამედ შესაბამისი თავდაცვითი ზომების მიღებისკენაც უბიძგებდა.

ნერონის ისტორიული იმიჯი საგრძნობლად დააზიანა სვეტონიუსის ცნობამ იმის შესახებ, რომ 64 წლის 18 ივლისის ღამით რომში დაწყებული ხანძარი იმპერატორის ბრძანების შედეგი იყო: „არც ხალხის, არც თვით სამშობლო კედლების დანდობის უნარი მას არ გააჩნდა. ერთხელ საუბარში ვიღაცამ თქვა: „როცა მოვკვდები, მიწას თუნდ ცეცხლი წაეკიდებია!" ნერონი შეეპასუხა: „არა, სანამ ცოცხალი ვარ!" და ამას მიაღწია კიდეც. თითქოს, ეზიზღებოდა ძველი, უშნო სახლები და ვიწრო, დაკლაკნილი შე-

სახვევები. მან რომი იმდენად დაუფარავად გადაწვა, რომ ჩირაღდნებითა და ძენძით შეიარაღებულ ნერონის მსახურებს ბევრმა კონსულმა საკუთარ ეზოში წაასწრო, მაგრამ მათი შეჩერება ვერ გაბედა... ექვსი დღე და შვიდი ღამე გრძელდებოდა ეს უბედურება. ხალხი თავშესაფარს ქვის ძეგლებსა და აკლდამებში ეძებდა... საცხოვრებელი შენობების გარდა... იწვოდა ყველაფერი ღირსეული და ღირსსახსოვარი, რაც უძველესი დროიდან შემორჩენილიყო. ნერონი ხანძარს მეცენატის კოშკიდან ადევნებდა თვალს. როგორც თავად განაცხადა, დიდებული ალით ტკბებოდა; თეატრალურ ტანისამოსში გამოწყობილი მღეროდა თავისივე შეთხზულ ეპიკურ პოემას „ტროის დაღუპვა". მან არც ამჯერად გაუშვა ხელიდან ქონების მოხვეჭის საშუალება: გამოაცხადა, რომ ნანგრევებსა და გვამებს სახელმწიფო მიხედავდა საკუთარი ხარჯით; ამიტომ ხალხს მათი ქონების ნარჩენებთან არ უშვებდნენ. პროვინციებიდან გამოგზავნილ და კერძო პირებისგან შემოწირულ დახმარებას ნერონი არა მხოლოდ იღებდა, მოითხოვდა კიდეც, ხანამ მათი სახსრები არ ამოწურა". გულუხვად მოწოდებული შემზარავი დეტალების ლოგიკური ასხმულა უნებურად ხატავს უსაზღვრო ძალაუფლებით გაგიჟებული იმპერატორის პორტრეტს თანამედროვე მკითხველის გონებაში. სვეტონიუსის ინფორმაციას თუ ბრმად ვენდობით, ისაიას წიგნში ნახსენები ანტიქრისტეს იდენტიფიკაციაზე დაფიქრება არ მოგვიწევს. ისედაც ნათელი იქნება, ვის გულისხმობდა სიბილას წინასწარმეტყველება სატანის რიცხვის მატარებლად.

ამავე დროს არსებობს ნერონისადმი ოპოზიციურად განწყობილი ტაციტუსის, იმ ხანძრის უშუალო მოწმის, რადიკალურად განსხვავებული მოგონებებიც. იგი იხსენებს, რომ როგორც კი ქალაქგარეთ მყოფ ნერონს უბედურების შესახებ აცნობეს, იმპერატორი დაუყოვნებლივ რომში დაბრუნდა და პირადი სახსრებით გაუკეთა ორგანიზება სამაშველო ჯგუფებს ქალაქისა და მოსახლეობის დასახმარებლად. რამდენიმედღიანი ხანძრის შედეგად რომის თოთხმეტი რაიონიდან ოთხი მთლიანად დაიწვა, შვიდი კი მნიშვნელოვნად დაზიანდა. ნერონმა საკუთარი სასახლეები დაუთმო უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეებს და უზრუნველყო გადარჩენილთა დაპურება.

ტაციტუსი იმასაც ყვება, რომ გადაბუგული ქალაქის აღდგენის გეგმა იმპერატორმა თავად შეადგინა და, უსაფრთხოების მიზნით, ძირეული სიახლეები შეიტანა ძველ იერსახეში: დაადგინა შენობებს შორის მინიმალური მანძილი, გააფართოვა ახალი ქუჩები, სახლების სამშენებლო მასალად მხოლოდ ქვის გამოყენება ბრძანა, შენობებიდან გამოსასვლელი კარის არა ტრადიციულად შიდა ეზოებსა და ბაღებში, არამედ ქუჩის მხარეს გაჭრა დააკანონა. ნერონის ბრძანებითა და დაფინანსებით, შენობების არქიტექტურაშიც მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა: უშუალოდ სახლების წინ ბრტყელსახურავიანი პორტიკების აგება დაიწყეს, საიდანაც გაცილებით უსაფრთხო და მოხერხებული იქნებოდა ცეცხლის ჩაქრობა. სვეტონიუსის მიკერძოებულობასა და ტაციტუსის ინფორმაციის სანდოობას გახაზავს ის ფაქტი, რომ აღნიშნული ტრაგედია ერთჯერადი მოვლენა სულაც არ ყოფილა. უმეტესად ხის მასალისგან აგებული რომი რეგულარულად ზიანდებოდა ხშირი ხანძრებისგან. იოლი დასაჯერებელია, რომ იმპერატორი გულწრფელად ცდილობდა ამ პრობლემის მოგვარებას მის მიერ შემოთავაზებული ცვლილებებით.

თუმცა ტაციტუსიც ნერონს აღებს ხელს რომის ხანძარში ქრისტიანების დადანაშაულებასა და განსაკუთრებული დაუნდობლობით მათ მოკვდინებაში. საინტერესოა, რომ ჩვეულებრივ ნერონის მოძულე სვეტონიუსი მხოლოდ გაკვრით ახსენებს იმპერატორის მიერ ქრისტიანების დახოცვას, თუმცა არა რომის ხანძართან დაკავშირებით და ამისთვის ხოტბას ასხამს მას. გაუგებარია, რატომ არ გამოიყენა ასეთი მსუყე მიზეზი იმპერატორის გულქვაობის მეტყველად წარმოსაჩენად. სვეტონიუსი გასაკიცხს იქ პოულობს, სადაც არ არის და რეალური სისასტიკის ფაქტს დადებითად აფასებს. ამგვარი დამოკიდებულებით ავტორის მსჯელობათა მიკერძოებულობა წარმოჩნდება. საქები იყო თუ გასაკიცხი, ყველა წყარო ერთსულოვნად იმპერატორს ასახელებს რეპრესიების იდეის ავტორად. შესაძლოა, ნერონს გამოსავალი არ დაუტოვეს. რომში ხმები დადიოდა, რომ ქალაქი მან გადაწვა. განტევების ვაცის სასწრაფოდ პოვნა გახდა საჭირო. ერთი ადამიანი, ცხადია, ვერ შეცვლიდა იმპერატორს, ხოლო რომაელების მიერ საძულველი ქრისტიანების საჯაროდ დასჯა იდეალური გამოსავალი იქნებოდა: ასეთ

სანახაობას ხანძრით გაუბედურებულები გულს გადააყოლებდნენ, ხელისუფლებაში კი განხეთქილებას არ გამოიწვევდა დაბალი წრის უდანაშაულოთა მასიურად მოკვდინება. ამგვარად, უბრალო მოქალაქეების დაოკება და მიმხრობა არ გასჭირვებია ნერონს, მაგრამ უკვე სერიოზულად გადაკიდებულ სენატთან ვერაფერი გააწყო. სიტუაციის განმუხტვა, მგონი, არც უცდია. ცხადია, ნებისმიერი იმპერატორი, რომელსაც სენატორთა მხარდაჭერა აკლდა, ვერც სკამს ინარჩუნებდა დიდი ხნით, ვერც ისტორიაში იმკვიდრებდა სახარბიელო სახელს. ნერონსაც ასე დაემართა. მისი იმიჯის განადგურებაში მტრებს თავადვე შეუწყო ხელი, როცა სახელმწიფოს სადავეები მედროვეებს გადაულოცა, სენატის ხელისუფლება შეზღუდა, საკუთარი ინტერესები კი ხელოვნებით, სპორტითა და გართობით შემოფარგლა.

იმ პერიოდის რომში სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, საინტერესოა სვეტონიუსის ერთი ცნობა: „განსაკუთრებით გასაოცარი და ყურადსაღებია ნერონის გულგრილობა ხალხის მხრიდან წამოსული საყვედურებისა თუ წყევლა-კრულვისადმი. არავის მიმართ ისეთი მიმტევებელი არ ყოფილა, როგორც მისი გესლიანად დამცინავი, გალექსილი სტრიქონების ავტორებისადმი. ლათინურ თუ ბერძნულ ენაზე უამრავი ასეთი სტროფი იქმნებოდა და ფართო მასებში ვრცელდებოდა". რომაელი ისტორიკოსის მიერ მოყვანილი ოთხივე ნიმუში თანამედროვე პოლიტიკურ ანეკდოტს წააგავს — პრობლემის სიმწვავე ფარული ირონიის ან ცინიზმის საშუალებით გადმოიცემა. ხშირია მითოლოგიური ანალოგების გამოყენებით რეალობასთან მიმართებაში ავტორის ტენდენციის ხაზგასმა. ნერონის ეპოქაში ნებისმიერ ფასად მასის ყურადღების მოპოვება-შენარჩუნება ჯერ კიდევ არ ითვლებოდა სახარბიელოდ. ცნობილ მონაცემებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, იმპერატორს სასურველი იმიჯის გამომერწვა, ისტორიულ რაკურსში შენარჩუნება და შთამომავლობისთვის მიწოდება უფრო აღელვებდა, ვიდრე მისი თანამედროვე ხალხის სიტყვამწარობა ფორუმის მიდამოებში. შეუძლებელია ნერონს დადებითად აღექვა პირადად მისი დამცინავი ტექსტები, მით უმეტეს, რომ მათი ავტორები სწორედ იმ უბრალო ხალხის წრიდან იყვნენ, ვის გვერდით დგომაც უფრო ეამაყებოდა, ვიდრე სენატორების წრეში ტრიალი.

სვეტონიუსი ამბობს, რომ ნერონი ღვარძლიანი ლექსების „შემთხზველებს არ ეძებდა. როცა სენატში რამდენიმე მათგანი დაასმინეს, მათი მკაცრად დასჯის ნება არ დართო“. რომაელი ავტორი ორ კონკრეტულ პიროვნებასაც ასახელებს: ერთი ფილოსოფოსი ისიდორეა, რომელმაც ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილ იმპერატორს ყველას გასაგონად დამცინავად გასძახა — ნავპლიის გასაჭირზე რომ კარგად მღერი, საკუთარ სირთულეებს ცუდად უმკლავდებიო; მეორე კი ატელანელი მსახიობი დატია, რომელმაც ერთ-ერთი სიმღერის შესრულებისას ჯერ ნერონის მიერ მშობლების (კლავდიუსის და აგრიპინას) მკვლელობაზე მიანიშნა, დასკვნითი ფრაზის („თქვენს გზა-სავალს სიკვდილთან მიჰყავხართ!“) შესრულებისას კი ხელი მრავალმნიშვნელოვნად გაიშვირა სენატისკენ. ვფიქრობ, სვეტონიუსი ცდება ნერონის რეაქციის შეფასებისას, როცა ვარაუდობს — მას ან საკუთარი ცუდი რეპუტაცია სძაგდა, ან წყენის შემჩნევა არ სურდაო. პირიქით, იმპერატორი, რომელსაც ყველა წინამორბედზე უკეთ შეეგრძნო მეწამული ტოგით მინიჭებული უსაზღვრო ძალაუფლების შესაძლებლობები, უარყოფითი დამოკიდებულების შემთხვევაში დაუსჯელად არ გაუშვებდა მისი შეურაცხყოფის მსურველებს. სრულიად უმიზეზოდ თუ არ ერიდებოდა ვილაცეების დასჯას, რეალური საფუძვლის არსებობისას რატომ დაიხევდა უკან? უფრო ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ არტისტული ბუნების ახალგაზრდა იუმორით უდგებოდა მსგავს გამოხტომებს დაბალი წრის წარმომადგენლებისგან და დიდსულოვნებით პასუხობდა. მსგავსი შაირები რომელიმე სენატორს რომ შეეთხზა, მეეჭვება, მისი მხოლოდ იტალიიდან გაძევებით დაკმაყოფილებულიყო ნერონი.

მოცემულ პასაჟში სვეტონიუსი აშკარად ცდილობს ხალხის მიერ ნერონის კრიტიკის დემონსტრირებას და იმის დამტკიცებას, რომ მასას ეს იმპერატორი სძაგდა. ამის საპირისპიროდ, რომაელი მემატიანე თავისდა უნებურად წარმოაჩენს ნერონს დადებითი კუთხით. ჯერ ერთი, საუბარია დაბალი წრიდან გამოსული პოლიტიკური ოპონენტებისთვის აზრის გამოთქმის თავისუფლებასა და დაუსჯელობის გარანტიაზე. მეორეც, სენატორების აშკარად პროვოკაციულ შემოთავაზებას, დაესაჯა მასზე აუგის მთქმელი, იმპერატორი გონივრულად უკუაგდებს. როგორი მოტივაციაც უნდა

იმალებოდეს მის საქციელში, თავად დადებითი ფაქტია მრავლისმეტყველად ნერონის მხარეზე.

დიონ კასიუსისა და სვეტონიუსის ცნობით, რომაელებს ნერონის სიკვდილი გაუხარდათ. როგორც ყოველთვის, ტაციტუსი განსხვავებულ ვერსიას სთავაზობს შთამომავლობას: სენატი და არისტოკრატია კმაყოფილი იყო, მაგრამ დაბალი ფენების წარმომადგენლები დაამწუხრა იმპერატორის გარდაცვალებამ. მანვე შემოგვინახა გალბას ღვარძლიანი სიტყვები: „ცუდი ადამიანები მუდამ იგლოვებენ ნერონს". ვესპასიანესა და აპოლონიუს ტიანელის მიმოწერაში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ პროვინციებში ნერონის სიკვდილს კიდევ დიდხანს მისტიროდნენ.

აგრიპინას ვაჟის თვითმკვლელობას ერთწლიანი სამოქალაქო ომი მოჰყვა ოთხ პრეტენდენტს შორის, რომლებმაც სათითაოდ მოახერხეს საიმპერატორო ტოგის მოკლე ვადით მორგება. მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ ორი მათგანი – ოტონი და ვიტელიუსი რომის მოსახლეობას თავიანთ საჯარო გამოსვლებში ნერონისეული პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსის შენარჩუნებას დაპირდა. ოტონი უფრო შორსაც წავიდა, როცა „ნერონი" საკუთარ გვარად აქცია. ახლად გაიმპერატორებულმა ვიტელიუსმა თავისი მმართველობა ნერონის ფართომასშტაბიანი დამკრძალავი ცერემონიალით აღნიშნა, რომლის ბოლოსაც გარდაცვლილის მიერ დაწერილი სიმღერები შესრულდა. იულიუს-კლავდიუსთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი მოსახლეობას თუ სძულდა, რა ლოგიკით შეიძლება აიხსნას ახალი იმპერატორების მიერ ტირანის სახელით სპეკულირება? ბუნებრივად იბადება ეჭვი, რომ ნერონზე სრული სიმართლე არ შემორჩენილა ისტორიის ანალებში. ამის დასტურია რამდენიმე ცრუნერონის არსებობის ფაქტიც. არავინაა ისეთი გიჟი, რომ ხალხის მიერ საძულველი კაცის სახელს ამოეფაროს ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით. აღნიშნულ ავანტიურისტებს რეალური წარმატების იმედს, სავარაუდოდ, სწორედ მკვდარი იმპერატორისადმი მასების სიმპათია უნერგავდა. ვიტელიუსის, ტიტუსისა და დომიციანის მმართველობისას მოვლენილ ნერონობის მსურველებს სიკვდილი მიუსაჯეს მოქმედი იმპერატორების ბრძანებით. 68 წელს საბერძნეთში აღმოჩენილ უსახელო ცრუნერონს, მცირე აზიელ ტერენციუს მაქსიმუსსა და 88 წელს პართიელთა მხარდაჭე-

რის მომპოვებელ მესამე პრეტენდენტს ასე დაუნდობლად არ გაუსწორდებოდნენ, პოლიტიკურად საშიშ ძალად რომ არ აღექვათ.

ავრელიუს ავგუსტინი წერდა, რომ 422 წელს, თითქმის, სამი საუკუნის შემდეგაც ყვებოდნენ ლეგენდებს ნერონის შესაძლო დაბრუნების შესახებ. არაპოპულარულ პოლიტიკოსზე ასე ხანგრძლივად, ამდენი თაობა არასდროს მსჯელობს. შეშლილს არავინ დაელოდება ასე ერთგულად. მართალია, ნერონის შემთხვევაში მუდამ საკამათო დარჩება დადებითი მიზეზებით სულდგმულობდა მასზე მოგონება თუ უარყოფითით, მაგრამ მასთან დაკავშირებული თქმულებები საფრანგეთში ჟილ დე რეცზე შემონახული სისხლიანი ლეგენდებივით ცალსახა ნამდვილად არ არის. სხვადასხვა რომაელი ავტორი მხოლოდ ერთ ასპექტში თანხმდება — ნერონი ხორცშესხმულ ბოროტებას წარმოადგენდა, დანარჩენ დეტალებს ყველა თავისი ფანტაზიის მიხედვით თხზავს და ავითარებს. ერთ-ერთი წყარო ამტკიცებს, პლინიუს უფროსმა ნერონს „კაცობრიობის მტერი" უწოდაო. ნამდვილად გადაჭარბებული შეფასებაა თუნდაც მთელი რომის იმპერიის მასშტაბით რომ გავიაზროთ ეს „კაცობრიობა". ოდიოზური, ექსცენტრული, ცინიკური, შურისმაძიებელი, დაუნდობელი, დედ-მამის, ძმის, ორსული ცოლის მკვლელი... და მაინც, მასზე არსებული უარყოფითი ეპითეტების სრული ჩამონათვალიც არ აკმაყოფილებს ანტიქრისტეს სტატუსს, რისი ნერონისადმი მინიჭების მცდელობაც ზოგიერთს ჰქონდა.

ათასწლეულების შემდეგ დამახინჯებულად შემორჩენილი ისტორიის ნაფლეთებით ჭეშმარიტების დადგენა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. რომის იმპერიის გამოცდილება მრავალ ჭკუის სასწავლს სთავაზობს დღევანდელობას. საფიქრალი მხოლოდ ისაა, იმ ეპოქიდან ყველაზე უარესის მოდერნიზება როცა ხდება. ზედმეტად ღრმად თუ ჩაუფიქრდები ნერონისნაირთა გავლენას ნორმალურების ბედ-იღბალზე, იქნებ, სვეტონიუსსა და დიონ კასიუსზე უარესებიც შეთხზა შვილთაშვილებისთვის თვალის ახელის, მათი სათანადოდ გაფრთხილების მიზნით.

ნერონის სტერეოტიპს, ალბათ, ვეღარაფერი შეცვლის, მხოლოდ აქამდე უცნობი მისი თანამედროვის ფიქრიანი ჩანაწერის ამოტივტივების გარდა. სკანდალური და სასტიკი ფაქტებისა თუ ფაქტოიდების მიღმა რეალური ადამიანი ლამის გამქრალია. არც

ტაციტუსის „ანალებში“, არც სვეტონიუსის „კეისართა ცხოვრების“ ფურცლებზე, არც სხვა მემატიანეთა ნაშრომებში შემორჩენილა 63 წელს ოთხი თვის კლავდია ავგუსტას მოულოდნელი გარდაცვალებით იმპერატორის გულში გაჩენილი ტკივილიანი სიცარიელე. ადამიანური ფაქტორისადმი ინტერესი, როგორც ჩანს, არცერთ დროში არ ითვლებოდა მომგებიან ნიუსად. ჭორებსა და სენსაციურ განცხადებებს მუდამ მეტი აუდიტორიის მოპოვება შეეძლო. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ გავრცელებული ტრადიციით, Pater Patriae-ის უკანასკნელ ფრაზად ითვლება: „რა დიდებული მსახიობი კვდება“. რა თქმა უნდა, ეს გაცილებით ეფექტურია და უკეთ შეეფერება რომის გადამბუგავი რეფორმატორის სტერეოტიპს, ვიდრე ნერონის ნამდვილად ბოლო სიტყვები (თუ სვეტონიუსის ცნობა ამჯერადაც მცდარი არაა). როცა მის დასაპატიმრებლად მისულმა ჯარისკაცმა იმპერატორი მომაკვდავი იპოვა, სისხლდენის შეჩერება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ნერონის არტისტული ბუნების კადანსურ გაელვებას ჰგავს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ფილოსოფიური ორაზროვნებით, ირონიულად ამოთქმული: „უკვე გვიანია! ესაა ერთგულება!“

ინფორმაციული ომის სტრატეგია შუა საუკუნეებში

ხელისუფალთა მოქნილ თითებში მონსტრად ქცეული დღევანდელი მედია სულ უფრო ხშირად იმსახურებს თავის ცინიკურ მეტსახელს. ჟურნალისტიკაში თბილად მოყურჩებულებიდან ბევრს აღიზიანებს მათი „მეორე უძველესი პროფესიის“ წარმომადგენლებად მოხსენიება. ის კი ავიწყდებათ, რომ სახელი თავისთავად არაფერს ცვლის. შექსპირის არ იყოს, ვარდი მუდამ ვარდად დარჩება, თუნდაც სარეველა დაუძახონ, უხამსობას კი ფრანგული სუნამოების ლიტრობით მიპკურებაც ვერ უშველის, თუ სიტყვა „ყარს“. ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაში მასობრივი კომუნიკაციების მსოფლიო ქსელური 3D ვერსია თვალისდახამხამებაში მძლავრად ამუშავდა. ყველას სურს სიახლის სათავისოდ გამოყენება. წარმატებულ თუ უვარგის პროფესიონალებს იოლად მიეტმასნენ მოყვარულები და, უბრალოდ, მოცლილები. ამის გამო, ელასტენივით გაფართოებულ მედიასივრცეში მიმდინარე მოვლენები ხშირად სტიქიური და უმართავი ხდება.

ჟურნალისტიკის მსგავსად, ხელოვნებაშიც გლობალიზაციის პირდაპირი გავლენა აღინიშნება. ამ სფეროსთან მიმართებაშიც ბევრს ავიწყდება, რომ თანამედროვე ბლოკბასტერების ფესვები ანტიკური თეატრის ისტორიიდან იწყება. შესაბამისად, როგორც დღეს, ისე უწინ გამოიყენებოდა ფაქტობრივ-მოვლენური რეჟისურა რეალობის სასურველი კუთხით წარმოჩენისათვის. ცხადია, პოლიტიკური დადგმები წინასწარ მოფიქრებულ სცენარს მისდევდა, რომელზეც ხშირად ფატალური გავლენა ჰქონდა მონაწილე „არტისტთა“ თავისუფალ თამაშს. გარკვეულ მომენტებში, დაგეგმილი სიუჟეტის შეცვლას „საზოგადოებრივი ულტიმატუმებიც“ იწვევდა. ეს პროცესი საუკუნეების წინათ უფრო ლოკალური ხასიათის იყო, ახლა კი გლობალურ ბუნებას ამჟღავნებს. ამგვარი ცვლილება ინფორმაციის გავრცელებისა და სათანადო რეზონანსის მასშტაბთა გაზრდის შედეგია.

ისტორიული რეალობის რეჟისორულად მართვის მეტყველი ნიმუშია ვლახეთის მთავრის, ვლად III ცეპეშის თანამედროვე იმიჯი, რომელიც ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში გამიზნულად შეიქმნა და უბრალო ხალხის ფანტაზიამ თანდათანობით სრულყო იმავე მიმართულებით. მოგვიანებით, ბრემ სტოკერის რომანის გამოსვლის, განსაკუთრებით კი მისი ეკრანიზების შემდეგ, ვლად დრაკულას გამოგონილი იმიჯი მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა. ძნელია დღევანდელ სამყაროში ისეთი ადამიანის პოვნა, ვისაც გრაფის სახელი არ გაეგონოს. გაცილებით მცირეა იმათი რაოდენობა, ვინც იცის ან საერთოდ აინტერესებს ამ ლიტერატურული ურჩხულის ისტორიული პირველწყარო.

ვლახეთის მთავარი მთელი ცხოვრება შინაურ თუ გარეულ მტრებს ებრძოდა ქვეყნის სუვერენიტეტისა და საკუთარი ტახტის შესანარჩუნებლად. სამხრეთიდან ოტომანური იმპერია უტევდა, ხოლო ევროპელი მეზობლები ყველაფერზე მიდიოდნენ ვოევოდას კუთვნილი მიწების მიტაცების სურვილით. ამგვარ მძიმე პოლიტიკურ სიტუაციაში ვლად ცეპეშის მიერ მოწინააღმდეგეთა მიმართ გამოჩენილი სისასტიკე სულაც არ ჩანს შეშლილობით ნაკარნახევი. იგი არც წამების აღწერილი მეთოდების პირველგამომგონი ყოფილა და არც მისი გარდაცვალების შემდეგ შეწყვეტილა მსგავსი პრაქტიკა. მოსაზრება, რომ ვლახეთის მმართველს თურქების მძევლობაში გატარებული ოთხი წლის პერიოდში შეერყა ფსიქიკა, მისი სიგიჟის უტყუარ დასტურად ვერ გამოდგება. პირიქით, უფრო მეტი ალბათობით წარმოაჩენს მის მიერ მტრისადმი დაუნდობლობის მოტივაციას. ვფიქრობ, ტერორის სამყაროს წესებთან ადაპტირებული ცეპეში მასზე არანაკლებ ტირანული ბუნების ოპონენტთა დაშინების ტაქტიკას პოლიტიკური სტრატეგიის პოზიციიდან იყენებდა. პრინციპი „თვალი თვალის წილ“ თავად გარემომ უკარნახა რუმინელ მთავარს. სარზე წამოგებულთა მასივის დახვედრება იმ გზაზე, რომლითაც მუსულმანთა ლაშქარი მისი ქვეყნის დასამორჩილებლად შემოვიდა, სამშობლოსთვის თავდადებული შვილის მიერ მტრისთვის დატოვებულ გამაფრთხილებელ ნიშანს უფრო ჰგავს, ვიდრე გონებადაბინდულის სიმხეცეს. ომს სასტიკი კანონები აქვს. ცეპეში მათ იძულებით იყენებდა, საკუთარი გართობის მიზნით კი არა.

მისი კლანის ზედწოდებას — „დრაკულა“, რომელსაც ვლა-

დის მტრები ერთ-ერთ საბრალდებო საბუთად წარმოაჩენდნენ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე (ლათინურიდან თარგმანში – „დრაკონის შვილი", მაგრამ რუმინულში – „სატანის ძე"), საკმაოდ ლოგიკური და მარტივი ახსნა აქვს. მამამისი, ვლად II „დრაკონის ორდენის" (ლათ. Societas Draconistrarum) წევრი იყო და ხუთი წლის ასაკში ვაჟიშვილიც რჩეულთა შორის აღმოჩნდა. მონარქიულ-რაინდული საზოგადოება 1408 წელს დააარსა უნგრეთის, გერმანიისა და ბოჰემიის მეფე სიგიზმუნდმა. ორდენის დანიშნულებას წარმოადგენდა „ჯვრის დაცვა და ქრისტიანობის მტრების წინააღმდეგ ბრძოლა". წევრთა განმასხვავებელი ნიშნები იყო დრაკონი და წმ. გიორგის ჯვარი. ამ საზოგადოების ფაქტობრივი დაშლის შემდეგაც ბევრმა შეინარჩუნა ემბლემა საკუთარ გერბზე, მათ შორის, ბატორების ოჯახმა. თურქების ექსპანსია იმდენად დიდ საშიშროებას წარმოადგენდა, რომ ევროპის უსაფრთხოების დაცვა მხოლოდ გაერთიანებული ძალების გამოყენებით შეიძლებოდა. ამით აიხსნება მსგავსი ორდენების სიუხვე XIV-XV საუკუნეების სამეფოებში (თანამედროვე იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის ტერიტორიაზე). უნდა აღინიშნოს, რომ ხორვატიაში დღემდე საკმაოდ გავრცელებული გვარი „დრაკულიჩი" (Drakulić) არანაირ სპეციალურ დატვირთვას არ ამჟღავნებს ლინგვისტური თვალსაზრისით, ისევე როგორც „დრაკულა" არ გულისხმობდა ვლად ცეპეშის დემონურ წარმომავლობას. ქართულ ენაში განსხვავება იოლად ჩანს, რადგან არსებობს „გველეშაპი", როგორც ბოროტების სიმბოლო და „დრაკონი" – დადებითი ბუნების, ზღაპრული არსება ჩინური მითოლოგიიდან. ყველა ძველქართულ საეკლესიო ტექსტსა თუ ხატწერაში სწორედ გველეშაპს ამარცხებს წმინდა გიორგი. ამის გათვალისწინებით, რთული აღარ არის გველეშაპისგან დრაკონის გამიჯვნა და მისი გააზრება მეომარი წმინდანის მხარეზე მებრძოლ ძალად. ანალოგიური მოსაზრებით ატარებდნენ ტრადიციულ თილისმას „დრაკონისტები".

როცა სამშობლოს გადარჩენისთვის ბრძოლაში ხარ ჩაბმული, თანაც XV საუკუნისთვის ნიშანდობლივი დაუნდობელი უშელავათობით, ძალზე იოლია პატრიოტისა და სისხლისმსმელის იმიჯთა აღრევა ვინმე დაინტერესებული ინტრიგანის მიერ. უდაოა, რომ ვლახეთის მთავრის წინააღმდეგ შუასაუკუნეობრივი მედიაომი ჯერ კი-

დევ 1462 წელს დაიწყო უცნობი საქსონელი ავტორის ფანტასმაგორიის გავრცელებით. მისი თხზულება, ზოგიერთი მეცნიერის ღრმა რწმენით, ვლად ცეპეშის მიერ 1456-1460 წლებში საქსონელთა არაერთგზის აწიოკების გამომძახილია და იმათ გულისთქმას გამოხატავს, ვინც დაუნდობელი რუმინელი მეომრის რისხვა საკუთარ თავზე გამოსცადა. თანამედროვე ისტორიკოსების უმეტესობა ვარაუდობს, რომ ამ ბინძური კამპანიის უკან აგრეთვე იდგა უნგრეთის მეფე მატიაშ I. საკუთარი დანაშაულიდან ყურადღების უფრო დიდ სკანდალზე გადატანა მან ისეთი წარმატებით მოახერხა, თანამედროვე პიარკამპანიის სტანდარტებს რომ არ ჩამოუვარდებოდა.

1459 წელს მანტუაში გამართულ კონგრესზე რომის პაპის პიუს II-ის მოწოდებას ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მაშინდელ ევროპელ ლიდერთაგან მხოლოდ ვლახეთის მთავარი გამოეხმაურა, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანსა და პატრიოტს შეეფერებოდა. უთანასწორო ბრძოლაში ყველანაირი ხერხი და ტაქტიკა გამოიყენა ვლად ცეპეშმა, რომ ოტომანური იმპერიისთვის მაქსიმალური ზარალი მიეყენებინა. „მის ყოველ წარმატებულ შეტევას აღტაცებით ხვდებოდნენ ტრანსილვანიის საქსონური ქალაქები, იტალიური სამეფოები და რომის პაპი. ვენეციელმა დესპანმა განაცხადა, რომ მთელ საქრისტიანოს უნდა ეზეიმა ვლად ცეპეშის საომარი კამპანიის გამო“. მუსულმანი დამპყრობლების წინააღმდეგ გმირულად მებრძოლი სარდლის სახელის გატეხვით კი სწორედ იმ სიძლიერით შოკისმომგვრელი სკანდალი აგორდა, როგორიც სჭირდებოდა მატიაშ კორვინს რომისა და ვენეციის მიერ მორიგი ჯვაროსნული ლაშქრობისთვის გამოყოფილი თანხის მითვისების ამბის მისაჩქმალად. იტალიური დაფინანსება მატიაშმა დანიშნულებისამებრ ვერ გამოიყენა იმპერატორ ფრიდრიხ III-სთან კონფლიქტის გამო. ცხადია, სუბსიდიები უკან არ დააბრუნა და განტევების ვაცად ვლადი აქცია. 1999 წელს გამოცემულ წიგნში სტეფან ანდრეესკუ წერს: „ცეპეშის ხორცშესხმულ ბოროტებად წარმოჩენისათვის, უნგრეთის მეფემ იგი ჯერ მოტყუებით დააპატიმრა და შემდეგ ყალბი აღიარებითი წერილი გაავრცელა, რომელშიც ვლახეთის მთავარი მეჰმედ II-ისადმი ერთგულებასა და ჩადენილ მკვლელობებს აღიარებდა. 1462 და 1463 წლებში ქალაქ ბუდაში გამართულმა სასამართლომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გაავრცელა ვლად ცეპე-

შის მაკომპრომეტირებელი ამბები, რომლებშიც აქცენტირებული იყო შემაძრწუნებელი დეტალები. დროთა განმავლობაში პროპაგანდა ლიტერატურად იქცა და უაღრესი პოპულარობით სარგებლობდა XV-XVI საუკუნეების გერმანულენოვან სამყაროში. ნაწილობრივ, ამგვარი წარმატების მიზეზად იქცა გუტენბერგის გამოგონება, რომელიც ტექსტის ფართო აუდიტორიაში სწრაფად გავრცელების საშუალებას იძლეოდა". ალბათ, სამყაროსავით ძველი მეთოდია პიროვნებისთვის მისი ბუნებრივი თვისებების სარკისებურად ანტონიმური ეპითეტებით თავის მოჭრა. ეს ყოველთვის იყო და მუდამ დარჩება დადებითი ინდივიდის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მძლავრ ხერხად.

ვლადზე ლეგენდამ წლების განმავლობაში არ დაკარგა აქტუალობა, გაიბერა, გამრავლდა, ვერტიკალურადაც გავრცელდა და ჰორიზონტალური მიმართულებითაც. მთლიანობაში, XV საუკუნიდან შემორჩენილია ოთხი თხზულება, ცამეტი პამფლეტი და გერმანელი მაისტერზინგერის, მიქელ ბეჰაიმის პოემა „ამბავი შეშლილისა, რომელსაც ვლახელი დრაკულა ერქვა". თუნდაც მარტო ეს მონაცემები საკმარისია, რომ სერიოზულად დაგეგმილი პროპაგანდის საშუალებით გრაფი დრაკულას პროტოტიპის წინააღმდეგ აგორებული ინფორმაციული ომის რეალურობა ვირწმუნოთ და უბრალო ხალხის მიერ ჭორებზე დაყრდნობით სტიქიურად წარმოქმნილ მითად არ მივიჩნიოთ. ცეპეშის შემთხვევაში, ფაქტების კომბინაციის შეცვლით ერთი ამბიდან სრულიად განსხვავებული, მეორე ისტორია მივიღეთ.

ვლად III-ის წინააღმდეგ წარმოებული გერმანულ-უნგრული საინფორმაციო შეთქმულების დასტურად შეიძლება ჩაითვალოს მისი ცხოვრების სლავური ვერსია „თქმულება დრაკულაზე". ნაწარმოების ავტორად ითვლება მოსკოვის მთავრის ივანე III-ის დიპლომატი, დიაკვანი თევდორე კურიცინი, რომელიც ცეპეშის გარდაცვალების შემდეგ 1480-იან წლებში უნგრეთსა და მოლდავეთში რუსეთის ელჩის რანგში იმყოფებოდა. მისი ნაწარმოები ვლახეთის მთავარს სასტიკ, დაუნდობელ, მაგრამ სამართლიან მმართველად წარმოაჩენს. მსგავს ტენდენციას ამჟღავნებს რუმინელი ვოევოდის მიმართ იტალიელი ჰუმანისტი და პოეტი ანტონიო ბონფინიც თავის „უნგრულ ქრონიკებში". აშკარაა, რომ დაინტერესებული ავტორების გარდა,

დანარჩენები ვლად ცეპეშს ძლიერ მმართველად თვლიდნენ და გოთური დრაკულას ტიპაჟად არ აღიქვამდნენ. ამავე პოზიციას იზიარებს თანამედროვე მკვლევართა სოლიდური ნაწილიც.

XVI-XVII საუკუნეების ევროპული პროპაგანდის მაღალი კლასის ერთ-ერთი მეტყველი ნიმუშია ვლად ცეპეშის შორეული ნათესავის, ელისაბედ (ერჟებეტ) ბატორის თანამედროვე იმიჯი. მის შესახებ ლეგენდა (ფაქტებს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ ჩვენამდე მოღწეულ ინფორმაციას) უაღრესად საინტერესოა პიარტექნოლოგიების თვალსაზრისით, რადგან აშკარად ორმაგ სტანდარტებთან გვაქვს საქმე. მნიშვნელობა არა აქვს „სისხლიანმა გრაფინიამ" ნამდვილად 700-მდე სული შეიწირა, მხოლოდ რამდენიმე თუ არცერთი. ამგვარი დამოკიდებულება უსამართლო და უმართებულოა ბატორის პიროვნების როგორც დღევანდელი დემოკრატიული წესებით, ასევე XVII საუკუნის დასაწყისის ტრადიციებისამებრ შეფასებისას.

თუ საქმე ფაქტებზე დაყრდნობით, ბუნებრივად იქცა სისხლიან სკანდალად, მუდამ ღიად დარჩება საკითხი: რადგან შუა საუკუნეების უნგრეთში ბატონის მიერ საკუთარ ყმათა სურვილისამებრ მოკვდინება სხვა ყველასთვის კანონით ნებადართული პრივილეგია იყო, რატომ მოხდა ელისაბედის განცალკევება არისტოკრატთა საერთო მასიდან. ამ კითხვაზე სრულყოფილი პასუხის გაუცემლად, მისი სამაგალითოდ დასჯა პოლიტიკურ-ეკონომიკურ კვეტექსტს მოკლებული ნამდვილად აღარ გამოდის. მსგავსი ვარაუდის საფუძველი კიდევ უფრო იზრდება, თუ დავუშვებთ, რომ ბატორი დამნაშავე არ ყოფილა და გამიზნულად დააბრალეს ადამიანების დახოცვა. მეორე მხრივ, იმ საზოგადოების თანამედროვე დასავლური ღირებულებებით შეფასება, რომელიც დემოკრატიის პრინციპებსა და მორალს არ ეყრდნობოდა, ცხადია, აბსურდული და ლოგიკას მოკლებული იქნება. ცალკე საკითხია, რომ სამედიცინო ექსპერტიზა კატეგორიულად გამორიცხავს ერჟებეტის მიერ სილამაზისა და ახალგაზრდობის შენარჩუნების მიზნით ვითომ გამოყენებული მეთოდების რეალურად განხორციელების შესაძლებლობას. ან ეს მტკნარი სიცრუეა, ან ზუსტმა რეცეპტებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. ორივე შემთხვევაში, თანამედროვეთა თვალში მაინც უნდა დაეცვა უდანაშაულობის პრეზუმფციას ერჟებეტის ინტერესე-

ბი, მაგრამ დღევანდელი სიუჟეტიც არსებული კანონების უგულებელყოფით წარიმართა: უამრავი შეუსაბამობის მიუხედავად, ელისაბედ ბატორი გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანეს, როგორც ყველაზე ნაყოფიერი სერიული მკვლელი ქალი.

მარგარიტა ვალუას ან თუნდაც დედამისს — ეკატერინე მედიჩის არანაკლები ფაქტობრივი პოტენციალი გააჩნიათ, რომ შუა საუკუნეების პირსისხლიანი სერიული მკვლელის იმიჯს მოერგონ. ამის მიუხედავად, ისინი პოლიტიკური ინტრიგებისა და რომანული თავგადასავლების შარავანდედით ოსტატურად შენიღბულ ბნელ სულებს უფრო ჰგვანან მათივე თანამედროვეთა თუ დღევანდელთა თვალში. ამ ქალბატონების გარშემო ჭორები უხვად ვრცელდებოდა როგორც სიცოცხლეში, ისე გარდაცვალების შემდეგაც. როგორც ჩანს, ძლევამოსილი პროპაგანდისტი მტერი არ აღმოაჩნდათ, რის გამოც ისტორიამ გარკვეულწილად დაინდო მათი იმიჯი.

სტერეოტიპებში გამოკეტილი რეალური ადამიანების ბედთან დაკავშირებით, არანაკლებ საინტერესოა გმირის ტიპაჟისგან გარიყული ინდივიდის ხელოვნურად გამოძერწვის მარტივი, მაგრამ ეფექტური ტექნიკა. XV საუკუნეში მცხოვრები საფრანგეთის მარშალი ჟილ დე რეცი, რომელიც ასწლიან ომში მონაწილეობდა, ერთხანს ჟანა დ'არკის პირადი მცველი და მენტორი იყო. როცა 1431 წელს ორლეანელი ქალწული ტყვედ ჩავარდა, ერთგულმა თანამებრძოლმა დაქირავებული ჯარისკაცები შემოიკრიბა და ჟანას გადასარჩენად რუანისკენ გასწია, მაგრამ ცოცხალს ველარ მიუსწრო. მისი დაკვეთით შეიქმნა „ორლეანული მისტერია" და ათი წლის განმავლობაში რეგულარულად იდგმებოდა თეატრში. საერთო ჯამში, მარშალს უზარმაზარი თანხა დაუჯდა ჟანა დ'არკის სახელის უკვდავსაყოფად გამიზნული ქმედება, რადგან თითოეული წარმოდგენისთვის 80 ათას ოქროს ეკიუს იხდიდა. ამ მცირე ბიოგრაფიული მონაცემითა და არაერთი დოკუმენტით დადასტურებულ სიბრძნისმოყვარული, დიდსულოვანი რაინდის პორტრეტს დღემდე ვერ შეეთვისა მისი გასამართლების პერიოდიდან ძალთაპირის გამიზნულად შეთითხნილი იმიჯი. მუდამ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საუბარია ორ სრულიად განსხვავებულ ადამიანზე.

დღეს ისტორიული ფიგურა ნაკლებად ახსოვთ, სამაგიეროდ ჟილ დე რეცი ცნობილია ფოლკლორული პერსონაჟის — ლურ-

ჯწვერას (Barbe-Bleue) სახით. თუმცა, პროტოტიპსა და საბოლოო შედეგს შორის გარკვეული სიუჟეტური მსგავსებაა, ისინი მაინც ინდივიდუალურ პიროვნებებად დარჩნენ. ჟილმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი ომში გაატარა. მტერთან ბრძოლის დროს დაუნდობელი იყო. ყველა ტყვეს ხოცავდა, ვინც გამოსასყიდს ვერ გადაუხდიდა. კარლოს VII-ის რეიმსში მეფედ კურთხევის შემდეგ, 25 წლის ბარონმა მარშლის კვერთხი მიიღო ქვეყნის წინაშე პირადი დამსახურებისთვის. თუმცა მალე ჟანა დაიღუპა. მეფესაც დიდად აღარ სჭირდებოდა ყოფილი სარდალი. ქალაქ ლანის ალყის მოხსნაში მონაწილეობა მარშლის კარიერაში უკანასკნელი სამხედრო კამპანია აღმოჩნდა.

1433 წელს ჟილ დე რეცმა სამხედრო კარიერა მიატოვა და საკუთარ მამულში განმარტოვდა. ტიფოჟის საგვარეულო ციხედარბაზში იგი მეფესავით ცხოვრობდა, ორასამდე რაინდით გარშემორტყმული და დაცული. ძირითადად, იშვიათი ხელნაწერების შეგროვება-გაცნობით ერთობოდა. ამიერიდან მისი სახლის კარი ღია იყო როგორც ინტელექტუალების, ისე ყველა ჯურის თაღლითებისთვის. ვის არ შეხვდებოდით აქ: მარჩიელებს, სიზმრის ამხსნელებს, ასტროლოგებს, ავანტიურისტებს, გრძნეულებს, ალქიმიკოსებს. ჟილ დე რეცისთვის მათ შორის ყოფნა უსაქმურობით დაგუბებული დროის დაცლისა და მოწყენილობისგან თავის დაღწევის საშუალებას წარმოადგენდა. ფულის შოვნაზე ფიქრი არ სჭირდებოდა, ამიტომ გულუხვად აფინანსებდა ფსევდომეცნიერთა მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ ახირებულ პროექტს: ფილოსოფიური ქვის ძებნას, ახალგაზრდობის ელექსირის შექმნას, იაფფასიანი ლითონების ოქროდ გადაქცევისთვის საჭირო ფორმულის პოვნას და მსგავს უტოპიურ იდეებს. ერუდირებული ახალგაზრდა დაუფარავად ერთობოდა არაორდინარული ადამიანების გარემოცვაში, მათ რეალურ თუ ყალბ ინტელექტთან ზიარებით. არცერთ ეპოქაში, მით უმეტეს დაცარიელებული ხაზინით გაღიზიანებული მეფის ხელში, ქონების ასე უთავბოლოდ ფლანგვა არავის შერჩენია. მისდა საუბედუროდ, ჟილ დე რეცმა შურიანთა ყურადღება მიიპყრო.

მონმორანსი-ლავალთა პატივცემული ფრანგული გვარის შთამომავალი რამდენიმე ასეული (სხვადასხვა წყაროს მიხედვით, 200-დან 800-მდე) ბავშვის მკვლელობაში დაადანაშაულეს, გაასა-

მართლეს და 1440 წლის 26 ოქტომბერს ქალაქ ნანტში საჯაროდ ჩამოახრჩვეს. სიკვდილის წინ ლოცვისა და ცოდვათა მონანიების გამო, ჟილ დე რეცი საუკუნეების განმავლობაში პირსისხლიან სერიულ მკვლელად ითვლებოდა, მისი სახელით თავნება ბავშვებს აშინებდნენ ფრანგი მშობლები; მაგრამ თანამედროვე მკვლევრები საკამათოდ მიიჩნევენ მის ბრალეულობას. ეჭვს იწვევს უკვე თუნდაც ის ფაქტი, რომ თავისი დროისთვის ღრმად განათლებულ არისტოკრატს რამდენიმე ცოლის მკვლელობაში ადანაშაულებდნენ მაშინ, როცა მხოლოდ ერთი მეუღლე — კატერინა დე ტუარი ჰყავდა. ამ ნიშნით, ინგლისის მეფე ჰენრი V გაცილებით უფრო შესაფერი კანდიდატურა იქნებოდა ლურჯწვერას პროტოტიპად. ისტორიკოსთა ნაწილი დარწმუნებულია, რომ სასამართლო პროცესი გამოგონილ ბრალდებებზე დაყრდნობით შეთითხნეს მარშლის უზარმაზარი ქონების ხელში ჩაგდების მიზნით. უბრალო ხალხმა ჭორს ჭორი მიუმატა, ფანტაზიამ ფრთა გაშალა და ჟილ დე რეცი სამუდამოდ გამოიმწყვდა ლურჯწვერას თვალებჩასისხლიანებულ სტერეოტიპში, რომლის უკვდავყოფას ლიტერატორებმაც (შარლ პერომ, მორის მეტერლინკმა, ანატოლ ფრანსმა და სხვ.) შეუწყვეს ხელი. სრული რეაბილიტაცია, ვფიქრობ, უკვე პირუთვნელი ისტორიკოსების ძალასაც აღემატება, იმდენად მყარად არის ფესვგადგმული ლეგენდა ფრანგ რეციდივისტ ალქიმიკოსზე.

თარსი ცამეტი რიცხვისა და ნავსი პარასკევი დღის ამბავი დასავლურ სამყაროში ნებისმიერი წერა-კითხვის არმცოდნისთვისაც კი ახლობელი თემაა. ეს ცრურწმენა „ლატაკ" რაინდთა ერთ დროს ძლევამოსილ გაერთიანებას უკავშირდება. 1307 წლის 13 ოქტომბერს, პარასკევ დღეს მათი უმეტესობა საფრანგეთის მეფის ჯარისკაცებმა მწვალებლობის ბრალდებით დააპატიმრეს. თანამედროვე ისტორიკოსთა მონაცემებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ტამპლიერების ორდენის აღსასრული მათი ქონებისა და ძალაუფლების მითვისების მიზნით XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ევროპის უდიდესი პროპაგანდისტის მიერ წარმოებული ინფორმაციული ომის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს.

ინტრიგანობასა და პროპაგანდული მექანიზმების გამოყენებაში დაოსტატება ფილიპე ლამაზმა ადრეულ ასაკში დაიწყო. ეს იძულებითი ნაბიჯი ცარიელი ხაზინის მქონე ქვეყანაში, არაგონის

გაცხოველებული ომის პერიოდში 18 წლის ასაკში ტახტზე ასვლის შემდეგ დასჭირდა. თავდაპირველად საეკლესიო მიწებს გაუბედა გადასახადის დაკისრება, მაგრამ ინგლისის მეფე ედუარდ I-მაც ფრანგ გვირგვინოსანს მიბაძა. ამ ორის საქციელით უკმაყოფილო რომის პაპმა 1296 წლის 5 თებერვალს ბულა «Clericis laicos» გამოსცა, რომელიც ეკლესიის მსახურებს მისი ნებართვის გარეშე თუნდაც ნებაყოფლობით რაიმე თანხის საერო პირებზე გაცემას უკრძალავდა.

პრელატის წმინდა ნების წინაშე ფილიპემ უკან არ დაიხია და საინფორმაციო ომი გაუმართა. მთელ ქვეყანაში სასწრაფოდ გავრცელდა პაპისა და მისი ამფსონების მწარედ გამაკრიტიკებელი პამფლეტები. დაუნდობელი ტექსტების ავტორებს სიტყვათწყობაზე დიდი ფიქრი და თავის ტკივილი არ აწუხებდათ, რადგან დასჯის შიში არ ჰქონდათ. რაც უფრო ბოროტად წარმოაჩენდნენ ღვთისმსახურებს, მით უფრო დაუფასდებოდათ საფრანგეთის მეფისგან. როგორც ჩანს, ბონიფაცი ასეთ შეტევას არ ელოდა და თავიდან უკან დაიხია. თუმცა მალევე გამოწვევა მიიღო. განსაკუთრებით აქტიურობდა ლანგედოკის ეპისკოპოსი, რომელსაც ამ მედიაომამდე ფილიპე თავის მუდმივ თანამეინახედ და ყურმოჭრილ ყმად მიიჩნევდა. მთელ ევროპას მოედო ბერნარ სასეს ორლესული ნათქვამი: „ჩვენი მეფე ბუს მაგონებს, ფრთოსანთა შორის უმშვენიერესსა და უხეიროს. მსოფლიოში ყველაზე ლამაზ ამ მამაკაცს ხალხის თვალდაუხამხამებლად, მდუმარედ მზერა ეხერხება მხოლოდ“. განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა მეფისთვის მისი საყოველთაოდ ცნობილი გარიყული ხასიათისა და უინტელექტობის ასე საჯაროდ ხაზგასმა. მსგავსი დამცინავი რეპლიკებისთვის, ფილიპე IV-მ კანონი დაივიწყა და ლანგედოკის ეპისკოპოსი დააპატიმრებინა ღალატის ბრალდებით.

რომის პაპს მოთმინების ფიალა აევსო. პამფლეტებით ბრძოლას შეეშვა და ბულას ბულაზე წერდა პაპის ხელისუფლების ღვთიურობისა და უზენაესობის დასამტკიცებლად, საფრანგეთის მეფეს კი ბერნარ სასეს საეკლესიო სამართლის ხელში გადაცემისკენ მოუწოდებდა. 1302 წლის 18 ნოემბერს პაპმა გამოსცა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბულა «Unam sanctam», რომელიც მეფეთა ხელისუფლებას ეკლესიის დაქვემდებარებაში ოფიციალუ-

რად აცხადებდა. მონარქი არ დაემორჩილა ეკლესიის მეთაურს და თავისი მრჩევლის, გიიომ დე ნოგარეს საშუალებით პონტიფიკს „ერეტიკოსობაში, სოდომის ცოდვასა და სასულიერო წოდების შემარცხვენელ სხვა არაერთ საქმიანობაში დასდო ბრალი“. სულ ბოლოს ბონიფაცს ხმა გაუვრცელეს, უკანონო პაპიაო. ნოგარე იტალიაში გაემგზავრა და კოლონას ოჯახის წევრებს — პრელატის დაუძინებელ მტრებს შეეკრა. იმდენი ქნა, რომის პაპი მისსავე სახლში დააპატიმრებინა, მაგრამ საფრანგეთს გარეთ ხალხის თანადგომა სულიერი მამის მხარეს იხრებოდა და მალევე მოუწია მისი გაშვება. ნაცემი, განადგურებული, დამცირებული, სულიერად გატეხილი და საგრძნობლად მობერებული ბონიფაცი ერთ თვეში გარდაიცვალა. არავინ უწყის, აუხდა თუ არა ამ პაპს დანტეს მიერ მისთვის ნაწინასწარმეტყველები ჯოჯოხეთი.

1303 წელს ფილიპემ მნიშვნელოვანი გამოცდილება მიიღო, როცა ფულის გამო ატეხილი დავა პროპაგანდისტული ომით თვით რომის პაპს მოუგო. ინფორმაციული ბრძოლის ტაქტიკის ათვისების გარდა, საკუთარი თავისადმი რწმენაც შეიძინა და შეიგნო, ვინც უარესი სიბინძურის თქმას დაასწრებდა, გამარჯვებასაც ის მოიპოვებდა. სიმართლეს მნიშვნელობა არ ჰქონდა. რადგან სახსრების გამოძებნის პრობლემა კვლავ მოუგვარებელი დარჩა, საფრანგეთის მეფე სიმდიდრით „სახელგატეხილ“ ებრაელებს დაერია. მხოლოდ მრჩევლებს მოეთათბირა და დაპატიმრებების დაწყებამდე, მისი გეგმა ფართო მასისთვის უცნობი დარჩა. ფრანგების თვალში მართალი რომ გამოჩენილიყო, ფილიპემ მცირე პროპაგანდისტული სვლებიც გააკეთა: ებრაელებს ჯერ მაღალი ტარიფებით კათოლიკეთა გაყვლეფის ბრალდება წაუყენა, მაგრამ მსგავსი მტკნარი სიცრუე ხალხს ვერ დააჯერა და მაშინ დაბალ ანაზღაურებაზე დათანხმებით ქრისტიანებისთვის სამუშაო ადგილების წართმევის საბაბით მოსდო შარი იუდეველებს. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელთა ნაწილმა ქონებიანად მოასწრო გაქცევა, ხოლო ზოგიერთ მათგანს ფრანგი დიდებულები იცავდნენ გააფთრებით, მეფემ მაინც მოახერხა გვარიანი თანხის მითვისება, რადგან რეპრესიებში მოყოლილ იუდეველთა ქისებს ლომბარდიელთა ჯიბეებიც მიაყოლა.

ლამაზი და ცბიერი ფრანგი ხელმწიფის დაბადებამდე საუკუნენახევრით ადრე იერუსალიმში სოლომონის ტაძრის რაინდები გა-

მოჩნდნენ. მათი ორდენის წარმოშობის ისტორია ბურუსშია გახვეული; მხოლოდ ნახევრად ლეგენდარული გადმოცემები შემორჩენილა. პირველი სანდო წყარო, რომელიც ტამპლიერების რეალურ არსებობას ადასტურებს, 1125 წლით დათარიღებული ქარტიაა. ეს დოკუმენტი უგო დე პეინს „ტაძრის მაგისტრის" ტიტულით მოიხსენიებს. კანონიკე მეომრების შესახებ მათი გამოჩენის პერიოდიდან დღემდე ათასგვარი ჭორ-მართალი არსებობდა. რადგან საკუთარი რაინდული ქმედებების პროპაგანდას თავად არ ეწეოდნენ (და ასეც უნდა ყოფილიყო, ქრისტიანული თავმდაბლობიდან გამომდინარე), ხალხის ინტერესი ვიღაცას უნდა დაეკმაყოფილებინა. ამიტომაც უსასრულოდ ითხზვებოდა ამბები ტამპლიერების საგმირო თუ საჩოთირო საქმეთა შესახებ. XIII საუკუნის მიწურულს ფილიპე IV ლამაზმა სინამდვილისა და გამონაგონის მელანქით ნაქსოვიდან მისთვის საჭირო ძაფი გამოაძრო და ფაქტების ინტერპრეტირებას შეუდგა. ალბათ, კიდევ დიდხანს, 1453 წლამდე მაინც, იარსებებდა ორდენი, მუდამ ვალებში მყოფი და ფულს დახარბებული მირონცხებულის განსაკუთრებული ყურადღება რომ არ მიეპყრო.

ევროპაში ტამპლიერებზე ნადირობის სეზონის გახსნამდე გაცილებით ადრე გავრცელდა ბოროტი ხმები. მეჭორეები, ძირითადად, აღნიშნავდნენ რაინდთა ყოყოჩობას, სიხარბეს, სიძუნწეს, ჩუმჩუმელობასა და მსგავს უღირს საქციელს. როდესაც რომის ახალმა პაპმა, კლიმენტი V-მ უკანასკნელი დიდი მაგისტრი ჟაკ დე მოლე თავისთან იხმო ორდენის სამომავლო ბედის განსახილველად, გარკვეული ცუდი წინათგრძნობის ფაქტობრივი საბაბი გონიერ ტამპლიერს ჯერ კიდევ გამგზავრებამდე ჰქონდა; მაგრამ მხოლოდ სამხრეთ საფრანგეთის მიწაზე ფეხის დადგმის შემდეგ მისწვდა მის სმენას მანამდე გაუგონარი, საშინელი ბრალდებები მისი ორდენის წევრთა მიმართ: თითქოს, ტამპლიერები ქრისტეს უარყოფდნენ, ჯვარს შეურაცხყოფდნენ და გარყვნილებას სჩადიოდნენ. ეს სწორედ იმ დასასრულის დაწყების ნიშანი იყო, რომლის არიდებასაც ჟაკი განწირულად მიელტვოდა.

საინტერესოა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც დიდი ინტრიგანი ფილიპე სინამდვილეში სუსტი ნებისყოფის, იოლად სამართავი მარიონეტი უნდა ყოფილიყო: „ის ხომ ბავშვია. ვერც კი ამჩნევს, მისივე გარემოცვა როგორ ასულელებს და პრივილეგიე-

ბით სარგებლობს“. ვფიქრობ, სწორედ ამის მთქმელი უნდა იყოს იმ გულუბრყვილოთაგანი, ვისაც სახელმწიფოში არსებული უსამართლობა მხოლოდ დიდმოხელეთა ბრალი ჰგონია, საქმეში ჩაუხედავი მეფე კი — უდანაშაულო და სუფთა ხელების მქონე კეთილი კაცი. ლოგიკურია თანამედროვე მკვლევართა მოსაზრება, რომ ცბიერი ფილიპე გეგმაზომიერად ზრუნავდა საკუთარ სახელზეც. იგი არა მხოლოდ უნარიანი პროპაგანდისტი, არამედ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების პირველშემომტანიც იყო. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ფილიპე ვერანაირად დატოვებს გონებასუსტის შთაბეჭდილებას. უფრო სარწმუნოა ვარაუდი, რომ საფრანგეთის მეფე ბინძურ საქმეს მალულად გეგმავდა, ხელს სხვებს აწმენდდა და ხალხის თვალში უცოდველი მირონცხებულის იმიჯის შენარჩუნებას ცდილობდა. ფილიპეს მიერ წარმატებით მოგებულ არა ერთ და ორ ინფორმაციულ ომს თუ გავითვალისწინებთ, მხოლოდ მრჩეველთა ნამოქმედარის შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს შედეგის მასშტაბურობა. ამას გარდა, უვარგისი მეფისა და მოხერხებული გუნდის ერთობლივი მუშაობის შედეგი აუცილებლად დატოვებდა რაიმე შესაბამის მინიშნებას. სრული დუმილი საკმაოდ მეტყველი დასტურია ფილიპეს მიერ კვალის მიზანმიმართულად დამალვისა და განადგურების ეჭვის სარწმუნოობისა. სიმართლის დადგენას ისტორიკოსები კიდევ მრავალ წელს მოანდომებენ, ჟურნალისტიკის თეორეტიკოსის თვალში კი ეს მეფე უდაოდ ფლობდა პიარის ნიჭს.

მოწინააღმდეგის ან არასასურველი პიროვნების იმიჯის შელახვა, თითქმის, ყოველთვის სახარბიელო მეთოდი იყო კონკრეტული ინდივიდის ინტერესების განსახორციელებლად. თუმცა ფართო ისტორიულ რაკურსში, უკვე გარდაცვლილის დადებითი ორეოლით შემკობასაც თავისებური ხელშეწყობა შეეძლო სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენის სტიმულირებისათვის. ჯერ ერთი, გამუდმებული ტერორისა და შიშის ფონზე, ხალხს ჰაერივით სჭირდებოდა ვინმე ღირსეულიც, რომ მისაბაძ ეტალონად დაესახა. ამის გარეშე, ისევ ხელისუფლებისთვის დასრულდებოდა სავალალოდ მასის მუდმივი შოკირება და დაშინება, რასაც შეეძლო მოულოდნელად ამოეხეთქა საყოველთაო უკმაყოფილების სახით, გამოეწვია ქვეყნის არეულობა, შიდა ომები, აჯანყებები. მეორეც, მიცვალებუ-

ლი ვერავის შეეცილებოდა ძალაუფლებას, სხვისთვის დადებითი სახელის შემქმნელს კი რიკოშეტით წაადგებოდა მისივე იმიჯის გასაკეთილშობილებლად. რომის იმპერიის ანალები და გვიანი შუა საუკუნეების ისტორია სწორედ ამ ტაქტიკის გამოა სავსე ყოველი ახალი ხელისუფლის მიერ წინამორბედთა ხსოვნის პატივისცემის ნიმუშებით. რა თქმა უნდა, ცალკე საკითხია შვილის მიერ საკუთარი მამის ან სხვა ნათესავის გაღმერთების რომაული პრაქტიკა, რაც უშუალოდ მისი გვარისთვის ძალაუფლების გამყარებას გულისხმობდა. ფილიპე IV-მ აქაც იყოჩაღა და პრეცედენტი XIII საუკუნეშიც გაიმეორა. მისი დიდი ძალისხმევის შედეგად, ბაბუამისს – ლუდოვიკო IX-ს 1297 წელს რომის პაპმა ბონიფაცი VIII-მ წმინდანის სტატუსი მიანიჭა. ცალკე საკითხია, ორი (მეშვიდე და მერვე) წარუმატებელი ჯვაროსნული ომის მონაწილე და საფრანგეთის სამხრეთში ინკვიზიციის მხურვალე მხარდამჭერ-ხელშემწყობი რამდენად იმსახურებდა ღვაწლმოსილი სასულიერო პირებისა და რწმენისთვის წამებულთა პანთეონში მოხვედრას.

საფრანგეთის თითქმის ყველა მეფეს აქვს რაიმე ამბავთან დაკავშირებით შეძენილი მეტსახელი: პიპინ III მოკლე, შარლ II მელოტი, ლუი II ენაბლუ, შარლ მსუქანი, შარლ III უბრალო, ლუი IV ზღვისიქითელი, ლუი V ზარმაცი, რობერტ II ღვთისმოსავი (ბრძენი), ლუი VI სქელი, ლუი VII ახალგაზრდა, ლუი VIII ლომი, წმინდა ლუი IX, ფილიპე III მამაცი, ფილიპე IV ლამაზი, ლუი X ბუზღუნა, ჟან I სიკვდილშემდგომი (მამის გარდაცვალების შემდეგ დაბადებული), ფილიპე V გრძელი, შარლ IV ლამაზი, ფილიპე VI ბედნიერი, ჟან II კეთილი, შარლ V ბრძენი, შარლ VI გიჟი & საყვარელი, შარლ VII გამარჯვებული, ლუი XI ფრთხილი & „მსოფლიო ობობა“, შარლ VIII თავაზიანი, ლუი XII ხალხის მამა, ლუი XIII სამართლიანი, ლუი XIV მეფე-მზე, ლუი XV საყვარელი, ლუი XVI უკანასკნელი, ლუი-ფილიპი მოქალაქე მეფე. ეპოქებს ხელისუფლების სათავეში მოხვედრილთა ბუნება განსაზღვრავს. ამიტომაც, თითქოს, სამეფოს მთელ ისტორიას იტევენ ეს მოკლე ზედწოდებები. რაც უფრო ოსტატურად არის შერჩეული, მით უკეთ მიანიშნებს თითოეული მონარქის ხასიათს, უმთავრეს ნიშან-თვისებას. მსგავსი ფაქტი ფიქსირდება ინგლისის (ბრიტანეთის) მონარქთა შემთხვევაშიც: ალფრედ დიდი, ედუარდ უფროსი, ათელსტან დიდე-

ბული, ედმუნდ არაჩვეულებრივი, ედვიგ ლამაზი, ედგარ მშვიდობისმოყვარე, წმინდა ედუარდ მარტვილი, სვენ I ჩანგალწვერა, ედმუნდ რკინისფერდა, ჰაროლდ I „კურდღლის თათი", წმინდა ედუარდ აღმსარებელი, უილიამ I დამპყრობელი, უილიამ II წითური, ჰენრი I ბოკლერკი (ფრანგ. „კარგი განათლების მქონე"), ჰენრი II „მოკლე მოსასხამი" (იგივე – „იმპერატრიცას ძე" და „სამართლიანობის ლომი"), ახალგაზრდა მეფე ჰენრი, რიჩარდ I ლომგული, უმიწაწყლო ჯონი, ედუარდ I გრძელფეხება (იგივე – „კანონმდებელი" და „შოტლანდიელთა ურო"), ლედი ჯეინ გრეი „ცხრა დღის დედოფალი", სისხლიანი მერი I, ელიზაბეტ I ქალწული დედოფალი, ჩარლზ II მხიარული ხელმწიფე და სხვ. მეტსახელთა მრავალფეროვნება, ინდივიდუალიზმი და ლაკონიური მრავლისმეტყველება მადამ ტიუსოს გალერეაში მოხვედრის შთაბეჭდილებას ტოვებს მონარქთა მეტსახელების მიყოლებით ჩამოთვლისას. წარსული, თითქოს, ბუნდოვან ლანდთა წყების სახით ირეკლება სიტყვებში.

დედოფლებს, უმეტესწილად, წარმოშობის აღმნიშვნელი ზედწოდებები ჰქონდათ: ირმენტრუდა ორლეანელი, რიშილდა პროვანსელი, ადელაიდა პარიზელი, ოგივა უესექსელი, ჰერბერგა საქსონელი, ემა იტალიელი, ადელაიდა აკვიტანიელი, ბერტა ბურგუნდიელი, ანა კიეველი, ბლანკა კასტილიელი, იზაბელა არაგონელი, ანა ავსტრიელი და ა.შ. თუმცა ზოგჯერ დედოფლებიც „მეფური" ყურადღების ღირსნი ხდებოდნენ. მაგალითად: კოჭლი ჟანა, გრძელფეხება ბერტა.

ცალკე საკითხია, რამდენად შეესაბამებოდა მეტსახელები კონკრეტულ ინდივიდებს. საინტერესოა ესპანეთის დედოფალ ხუანა I შეშლილის ამ კუთხით განხილვა. ეს ქალი კარგა ხანს რჩებოდა ისტორიკოსთა მიერ მედიცინის თვალსაზრისით შესწავლა-გამოკვლევის ობიექტი. თუმცა სულ უფრო მეტი მეცნიერი გამოთქვამს სოლიდურ ეჭვს, რომ მისი სიგიჟის პროპაგანდას გამიზნულად ეწეოდა ჯერ ქმარი, შემდეგ მამამისი და ბოლოს, ტახტის მემკვიდრე. როდესაც ყველასგან მიტოვებული, წლობით კოშკში გამოკეტილი, ემოციებისგან თავგზააბნეული ქალი მეფე-შვილს გაახსენდა, ბუნებრივია, რომ კარლოს V-ის მიერ ნანახი სურათი ათწლობით ხალხში თუ სამეფო კარზე მოარულ ხმებს შეესატყვისებოდა.

მეფეთათვის ზედწოდების საშუალებით გარკვეული ისტორი-

ული იმიჯის შექმნა, შუა საუკუნეების დასაწყისიდან მოყოლებული, ტრადიციაა, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალობას და თანამედროვე ხელისუფლის მიმართაც გამოიყენება პოლიტიკური თიკუნის სახით (მაგალითად: ქორი, შავი პანტერა, ბაბუ, თეთრი მელა...), რომელსაც ზოგჯერ ხალხური ზეპირმეტყველება, ხანაც – მედიაწყარო ავრცელებს. ავტორი ხან კონკრეტული საჯარო ფიგურის მომხრე, ხანაც ოპონენტია და სწორედ სათანადო ტენდენციის გამჟღავნებას ისახავს მიზნად მის მიერ შერჩეული მეტსახელის დადებითი ან უარყოფითი შინაარსი. მეფეთა ზედწოდების პროპაგანდისტული მიზნით გამოყენების ჩანასახობრივი ტენდენცია დროთა განმავლობაში დაიხვეწა და თანამედროვე პიარტექნოლოგიების ერთ-ერთ მძლავრ კომპონენტად ჩამოყალიბდა. ლამის არ არსებობს XXI საუკუნის პოლიტიკური ლიდერი მინიმუმ ერთი დადებითი და ერთი უარყოფითი მეტსახელის გარეშე. რაც უფრო მაღალია მისი საზოგადოებასთან ურთიერთობის ინტენსივობა, მით მეტი რაოდენობის ეპითეტი შეიძლება იქცეს კონკრეტული ადამიანის აღმნიშვნელ ემოციურ სინონიმად.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების უმეტესობას არაერთი მეტსახელი აქვს. მათ შორის ზოგი თანამედროვეთათვისაც საინტერესოა, რადგან დღესაც საკმაოდ ოსტატურად და ორლესურად ჟღერს: ჯორჯ ვაშინგტონი – ამერიკელი ცინცინატი, ამერიკელი ფაბიუსი, საკუთარი ქვეყნის მამა; ჯონ ადამსი – დამოუკიდებლობის კოლოსი, ბრეინთრის (ქალაქი მასაჩუსეტსის შტატში, მ.ნ.) ჰერცოგი, მეფე ჯონ მეორე, მისი უმრგვალესობა; თომას ჯეფერსონი – დემოკრატიის მოციქული, ხალხის ადამიანი, გიჟი ტომი, მონტიჩელოელი ბრძენი; ენდრიუ ჯექსონი – ახალი ორლეანის გმირი, მეფე ენდრიუ, ბასრი დანა; უილიამ ჰენრი ჰარისონი – მდუმარე გენერალი, ბებერი ტიპეკანუ, დასავლეთის ვაშინგტონი; ჯონ ტაილერი – მისი უშემთხვევითოესობა; ფრანკლინ პირსი – გულწასული გენერალი, კოხტა ფრენკი; აბრაამ ლინკოლნი – „ანტიკა", დიდი ემანსიპატორი, განმათავისუფლებელი, პატიოსანი ეიბი, ძია ეიბი, მაგნატი; ენდრიუ ჯონსონი – ტენესელი თერძი; რ.ბ.ჰეისი – დიდედა ჰეისი, დედოფალი ვიქტორია ბრიჯებში, დე ფაქტო პრეზიდენტი, დიდი უზურპატორი, ქურდი ბოსი; ჯეიმს გარფილდი – მენავე ჯიმი; ჩესტერ ალან არტური – ჯენტლმენი

ბოსი, პრინცი არტური, პრანჭია პრეზიდენტი, ლომვეშაპა; გროვერ კლივლენდი — ბუფალოელი ურჩხული, ბუფალოელი ქონდაქარი, მისი უსიჯიუტებულესობა, მუცელღორი წინასწარმეტყველი, ზორბა ძია; ბენჯამინ ჰარისონი — წინკარის მოღვაწე, ადამიანი-აისბერგი, თათმანიანი ჰარისონი; უილიამ მაკ-კინლი — მაიორი, პროტექციის ნაპოლეონი, დოვლათიანობის წინამძღოლი, ოჰაიოს კერპი; თეოდორ რუზველტი — თედი, თი-არი (თრ), თეოდორ-არამკითხე, ბებერი შაშუბეშა, ლომი, სან-ხუან ჰილის გმირი; ვუდრო უილსონი — ფრაზების ოსტატი, პედაგოგა; კელვინ კულიჯი — ფრთხილი კელი, მდუმარე კელი, პოტომაკის სფინქსი; ჰერბერტ ჰუვერი — დიდი ინჟინერი, შეფი; ფრანკლინ დელანო რუზველტი — ეფ-დი-არი (ფდრ), ის კაცი, თეთრი სახლის კაცი; ჰარი ტრუმენი — მისტერ მისური, პენდერგასტის სენატორი; დუაიტ ეიზენჰაუერი — აიკი, კანზასის ციკლონი; ჯონ ფ. კენედი — ჯეი-ეფ-კეი (ჯფკ), ჯეკი, კამელოტის მეფე; ლინდონ ჯონსონი — ნათურა ლინდონი, ელ-ბი-ჯეი (ლბჯ); ჯერალდ ფორდი — ჯერი, მისტერ სასიამოვნო ყმაწვილი; ჯიმი კარტერი — პრეზიდენტი მოუსვენრობა; რონალდ რეიგანი — დიდი კომუნიკატორი, ტეფლონის პრეზიდენტი, ტეფლონის რონი; ჯორჯ ჰერბერტ უოქერ ბუში — 41, უფროსი ბუში, მამილო ბუში, პოპი (ყაყაჩო); ბილ ქლინთონი — ბუბა, პირველი შავი პრეზიდენტი, დაბრუნებული ბიჭი, ტეფლონის ბილი; ჯორჯ უოქერ ბუში — 43, ბუშ II, უმცროსი ბუში, დუბია; ბარაკ ობამა — ბარი, უემოციობა-მა.

პოლიტიკური მეტსახელების წარმომავლობის შესწავლა ცხადყოფს, რომ რაც უფრო აქტიურია (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მნიშვნელობით) ამერიკის პრეზიდენტი ანდა დიდია საზოგადოებაში მისი ქმედებით გამოწვეული რეზონანსი, მით მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მეტსახელით შემორჩება იგი აშშ-ის ისტორიას. კონკრეტული ფაქტისა თუ მოვლენისადმი მოქალაქეთა განსაკუთრებული დამოკიდებულება მჟღავნდება პოლიტიკოსისთვის ერთი მიზეზით რამდენიმე ზედწოდების მინიჭებაშიც. თვალშისაცემია „მისი უდიდებულესობის“ ტიტულის მოდიფიცირება კონკრეტული ამერიკელი პრეზიდენტის ინდივიდუალური მახასიათებლის შესაბამისად, ხოლო რამდენიმეს პირდაპირ „მიენიჭა“ მეფის ტიტული. ვფიქრობ, ასეთი დამოკიდებულება კიდევ ერთი

დასტურია იმისა, რომ აშშ არასდროს მოწყვეტილა ევროპულ ფესვებს და ინდივიდუალურ ზრდას მუდამ ძველი ისტორიული გამოცდილების ფონზე განაგრძობდა.

ამერიკელი პრეზიდენტების მეტსახელებთან შედარებით ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრებს გაცილებით უბოდიშო, ზოგჯერ ცინიკურ, ეპითეტებს ურჩევს ინგლისელი ხალხი: ჰენრი პელემი – მეფე ჰენრი მეცხრე; დევიდ ლოიდ ჯორჯი – უელსელი ჯადოქარი, უელსელი თხა; უინსტონ ჩერჩილი – (ბრიტანელი) ბულდოგი, ვინი; მარგარეტ ტეტჩერი – რკინის ლედი, რძეპარია, კრუხი ატილა, დედალი სპილო, მეგი, ბაყაყის ქალიშვილი; ტონი ბლერი – ბემბი, აფერისტი, ხელისბიჭი, ტეფლონის ტონი; გორდონ ბრაუნი – სტალინი, მისტერ ბინი, სუპერმენი, ძალად გაპრემიერმინისტრებული; დევიდ კამერონი – დეივ-ქამელეონი. როგორც ჩანს, მწარე სიმართლის ხმამაღლა გაცხადების კულტურა გაერთიანებული სამეფოს სავიზიტო ბარათია პოლიტიკაში. ინგლისში ძალზე იშვიათია პატივისცემის ნიშნად შერქმეული თიკუნი. უდაოდ ასეთი გამონაკლისია ჰერცოგი უელინგტონის მეტსახელები: რკინის ჰერცოგი, ევროპის განმათავისუფლებელი, ერთა გადამრჩენი. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს აშშ-ის პრეზიდენტი, თუნდაც ერთი მეტსახელი რომ არ ჰქონდეს მაშინ, როცა ბრიტანეთში მხოლოდ შერჩევით პრემიერ-მინისტრებზე იხარჯება მოსახლეობისა თუ მედიის მახვილგონიერება.

სიტყვის ძალა ჯერ კიდევ ეკლესიასტეს ლიდშია გაცხადებული: „პირველად იყო“ იგი და იმ ერთმა სიტყვამ მოიტანა ათასწლეულები დღევანდელობამდე. ინფორმაციული ომის სტრატეგია თანდათანობით აღმოაჩინა ადამიანმა, ნელ-ნელა აითვისა, შეისისხლხორცა და ჯერაც სრულყოფს. სანამ Homo sapiens-ები იარსებებენ, ეს პროცესი ვერ შეწყდება.

ხელისუფალთა გადმოსახედიდან, ხალხი უსახო და უნებისყოფო მასაა, მაგრამ, ამავე დროს, ცალკეული ადამიანის განსხვავებული მოთხოვნილებები თიშავს, ათითოკაცებს ბრბოს. ამ დაქსაქსულობის მართვა ყოვლად შეუძლებელია რაიმე პოპულისტური, ეგოცენტრულ ინდივიდთა გამაერთიანებელი იდეის აფრიალების გარეშე. ეს ერთგვარი პოლიტიკური რეკლამა ყოველთვის უიოლებდა ცხოვრებას პრივილეგირებულთა მცირე ჯგუფს. ის, რასაც ჭაბუა

ამირეჯიბის რომანში არჩილო სეთურის კოლორიტული პერსონაჟი ერთი სოფლის მასშტაბით ახორციელებს, რეალურ ისტორიაში სახელმწიფოთა და იმპერიათა სისტემების ფუნქციონირებას უდევს ხოლმე საფუძვლად.

რეიგანის ადმინისტრაციამ ფეხზე დააყენა სადამ ჰუსეინის პოლიტიკური სისტემა, საბჭოთა კავშირისგან შექმნილი მტრის ხატით დაშინებულ ამერიკას დააფინანსებინა ერაყის რეჟიმი. ორი ათეული წლის შემდეგ კი, ძველი მოწინააღმდეგის არარსებობის გამო, ახალ რესპუბლიკელ პრეზიდენტსაც დასჭირდა საკუთარი მოქალაქეებისთვის „ერთსულოვნების ინჟინერიის“ დემონსტრირება. უკეთესი კანდიდატი რომ ვერ გამოძებნა, ამჯერად ყოფილი „დადებითი“ სადამ ჰუსეინისგან შექმნა მორიგი მტრის ხატი. ბრბოს ან მოკლე მეხსიერება აქვს, ან არასრულფასოვნების კომპლექსი, რადგან ხელისუფლებას ასე მცირე დროში დადებითის უარყოფითად გასაღების საშუალება მისცა. ცხადია, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას გაცილებით აწყობდა უცხოპლანეტელთა შემოსევის ვარიანტი, მაგრამ ამის ინსცენირებას თვეობით ვერ გაწელავდა. სამსხვერპლოზე ერაყელი ხალხი აღმოჩნდა. როგორც უახლესი ისტორია ადასტურებს, პოლიტიკური რიმეიქების შემოთავაზება სრულიად ამართლებს ორი ან სამი ათეული წლის თავზე. უფრო ძველი „სცენარის“ ორიგინალად გასაღება ხომ არასოდეს იწვევს მასის ეჭვს.

როგორც განხილული ნიმუშებიდან ცხადი ხდება, შუა საუკუნეებში წარმოებულ ინფორმაციულ ომთა ძირეული დანიშნულება ერთადერთი მიზნის მიღწევას გულისხმობდა — საზოგადოების მნიშვნელოვანი ფენების (ანუ ვისაც სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციაზე ზემოქმედება ძალუძდა) შეხების, გადაკვეთის წერტილის პოვნა. ყველა ეპოქაში ისტორიას ქმნიდა ასეთი თანხვედრის ეფექტურობა. ვის ხელშიც აღმოჩნდებოდა მანიპულატორობის შესაძლებლობა, სწორედ ის იმკიდა ძალაუფლებრივ და ქონებრივ ბონუსებს. ვფიქრობ, სწორედ ამით აიხსნება როგორც მასის სათაყვანო მონარქების, მხედართმთავრების ან მოღვაწეების ფენომენი, აგრეთვე — რომის იმპერატორთა წინააღმდეგობრივი კარიერა. საზოგადოებრივი აზრი უთუოდ განსაზღვრავდა რომელ მათგანს გამოასალმებდა სიცოცხლეს პრეტორიანელთა პრეფექტი და შემდეგი ვინ მოირგებდა სისხლისფერ ტოგას. შუა საუკუნეების

დღემდე აქტუალური ფიგურები, ძირითადად, სწორედ ინფორმაციული ომების მსხვერპლნი ან გმირები არიან.

ანტიკური და, შესაძლოა, წინაისტორიული პერიოდიდან მოყოლებული დღემდე მსოფლიო პოლიტიკა ყველა საზოგადოებაში დროის გაწელვის ტაქტიკას ეფუძნება. პროპაგანდა, პიარტექნოლოგიები, მასის გონების დაბინდვის ტაქტიკა, ინფორმაციული ბატალიები, ვირტუალური თავდასხმები, მოდელირებული ნიუსები – სახელს მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ეს ყოველივე პოლიტიკის სამყაროში მცირე პრივილეგირებულთა ძალაუფლებისა და ქონების მოპოვება-შენარჩუნების ხერხებია.

ფიქრიანი აღსასრულის ფენომენი

რაოდენ პარადოქსულადაც ჟღერდეს, ზოგჯერ სიყვარული ინდივიდში უარყოფითი პოტენციალის გამჟღავნებისა და მოვლენათა არამართებულად განვითარების კატალიზატორი ხდება. ფაშისტური იტალიის ზენიტში მყოფი მმართველი პარტიისადმი ლოიალურად განწყობილმა აკილე სტარაჩემ მუსოლინიზე თქვა, იგი ღმერთიაო. მაშინ ამ ფანატიკოსს, ალბათ, ყველაზე მძაფრ კოშმარშიც არ დაესიზმრებოდა, იტალიის ყოფილი დიქტატორის სიყვარულისთვის მოგვიანებით როგორ დახვრეტდნენ და ფეხებით ჩამოკიდებდნენ მისი სათაყვანო დუჩეს დასახიჩრებული გვამის გვერდით. ულამაზეს კლარა პეტაჩისაც გულწრფელმა სიყვარულმა ჩაადენინა თვითმკვლელობის ტოლფასი სიგიჟე, როცა დასახვრეტად კედელთან მიყენებულ მუსოლინის გადაეფარა. შესაძლოა, იტალიის ორი ფაშისტური ათწლეულიც არასოდეს დამდგარიყო, პატარა ბენიტოს საკუთარი მამისადმი სიყვარული და, მისი გავლენის შედეგად, იტალიელი ბიჭუნას პოლიტიკით გაჯერებული სიყმაწვილე რომ არა.

არსებობენ ბავშვობაწართმეული ადამიანები. მათ შორის უთუოდ გამოირჩევა ბენიტო მუსოლინი. სხვაგვარად, ჯერ კიდევ შვიდი წლის ასაკში ვერ გაიაზრებდა, რომ „მთავრობას უნარი არ შესწევს ბოლო მოუღოს ქვეყნის უმთავრეს პრობლემას — სიღარიბეს“. მამამისი, ალესანდრო მუსოლინი პროფესიით მჭედელი, ხოლო იდეურად — მებრძოლი სულის სოციალისტი იყო. სკოლაში არასოდეს უვლია, მაგრამ წერა-კითხვა კარგად ეხერხებოდა. „იგი მოწოდებათა ტექსტებს ადგენდა და მიტინგებზე სიტყვით გამოდიოდა“, რის გამოც არაერთხელ მოხვდა გისოსებს მიღმა. მამამ პატარაობიდანვე აზიარა ბენიტო სოციალისტურ მრწამსს. მუდამ აქებდა და აქეზებდა ვაჟიშვილის ბუნებრივ ორატორულ თუ მწერლურ ნიჭს, უნერგავდა წიგნის სიყვარულს. შვილის გონიერების გამო მშობლები თვლიდნენ, რომ მომავალ პროფესიად მასწავლებლობა შეეფერებოდა და ყველანაირად უწყობდნენ ხელს დასახული მიზნის რეალიზებაში. წამოზრდილ ბენიტოს არაერთხელ შეუც-

ვლია ავადმყოფი დედა სკოლაში, რამაც მას სასარგებლო პედაგოგიური გამოცდილება შესძინა. მოგვიანებით იგი არა მხოლოდ სკოლის მოსწავლეების, არამედ უნივერსიტეტის სტუდენტების სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. თუმცა თავიდანვე ცხადი იყო, რომ მის ლიდერულ მისწრაფებებს მასწავლებლის თუნდაც წარმატებული კარიერა ხანგრძლივად ვერ დააკმაყოფილებდა.

მუსოლინის ყოველთვის ეხერხებოდა აზრის როგორც წერილობით, ისე ზეპირად გადმოცემა, მსმენელისა თუ მკითხველის ყურადღების მიპყრობა, სიტყვის ძალით აუდიტორიის მონუსხვა. ამიტომ, ბუნებრივი უნდა იყოს მედიასამყაროში მისი მოხვედრის ფაქტი. ბენიტომ სწრაფად აუღო ალღო ჟურნალისტობას, როცა 1900 წლიდან ინტენსიურად დაიწყო სტატიების გამოქვეყნება ქალაქების — ფორლისა და რავენას სოციალისტურ გაზეთებში. სხვათა გონების მანიპულირება ბენიტოს სტიქია იყო და მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორი ფორმით წარმართავდა ამას: მონოლოგის რეჟიმში — დემონსტრანტების წინაშე სიტყვით გამოსვლისას ან პრესის ფურცლებიდან მკითხველზე ეფექტურად ზემოქმედების დროს თუ დიალოგის ფორმით — პირადი საუბრების ან ინტერვიუს შემთხვევაში.

მომავალი ბელადის პოლიტიკური აქტიურობის გარიჟრაჟზე ადგილი ჰქონდა მეტყველ ფაქტს, რომელიც უთუოდ წარმოაჩენს მუსოლინის ამბიციების მიზანმიმართულ სპექტრს XX საუკუნის დასაწყისში. იგი ხშირად გამოდიოდა სიტყვით მოსწავლეების წინაშე და ენაწყლიანი ორატორის იმიჯი დაიმკვიდრა სკოლაში. სწორედ ბენიტოს აღიარებული ნიჭის გამო, დირექტორმა ამ თავნება მოწაფეს შესთავაზა საზეიმო სიტყვის წარმოთქმა ჯუზეპე ვერდის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე. შესაძლოა, ცხოვრების ბოლომდე ველარ აპატია საკუთარ თავს მსგავსი არჩევანი ჭარმაგმა პედაგოგმა, როცა დიდებული კომპოზიტორის ხოტბის ნაცვლად მუსოლინიმ თავისი გამოსვლისას მმართველი კლასისადმი ბრალდებების კორიანტელი დააყენა. ეგზალტირებული მომხსენებლისა და მისი ქარიზმის უკიდეგანო ხიბლს აღვენებული მოზარდების დამშვიდება ვერავინ შეძლო. ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა გონიერმა დირექტორმა და ბოლოს სიტუაცია თავისთავად განიმუხტა.

აღნიშნული შემთხვევა მუსოლინისთვის საკუთარი ძალების მხოლოდ პირველი მოსინჯვა აღმოჩნდა. 1901 წლის 1 მაისს,

მშრომელთა სოლიდარობის დღის აღნიშვნა ახალგაზრდა სოციალისტმა გაცილებით რადიკალური ქმედებებით განიზრახა. „მან საკლასო ოთახის კარი ჩახერგა, რითიც პედაგოგთა და მოსწავლეთა ნაწილს გარეთ გასვლის საშუალება მოუსპო. დირექტორი ვერაფერს გახდა და შენობა დატოვა. სკოლა რამდენიმე დღით ბენიტოს, არსებული წესრიგით უკმაყოფილო მისი მეგობრებისა და უფლებააყრილი მასწავლებლების ამარა დარჩა“. თვითმმართველობის ამგვარი გამოვლინება გაზეთ „ავანტის!“ („წინ!“) ფურცლებზე დაბეჭდილი სახოტბო სტატიის თემად იქცა: „ამხანაგმა მოსწავლემ, ბენიტო მუსოლინიმ არაჩვეულებრივი სიმამაცე გამოავლინა, როცა უარი განაცხადა დისციპლინის დაცვაზე. მან საკუთარ მეგობრებსაც შთააგონა, მისთვის მიებაძათ. ეს იყო არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოს – პირველი მაისის დღესასწაულისადმი არაჩვეულებრივი პატივისცემის გამოვლინება“.

მსგავსი მეამბოხური გამოხტომების მიუხედავად, მალე ბენიტომ დაწყებითი კლასების პედაგოგის დიპლომი აიღო. დღეს არსებული ყველა დოკუმენტი თუ მოგონება ერთხმად ამტკიცებს აღნიშნული შედეგის ლოგიკურობას მუსოლინის ნიჭის, სწავლის წყურვილისა და მონდომების საფუძველზე. თავისი წარმატება ბენიტომ მშობლებთან ერთად აღნიშნა საკუთარ დაბადების დღეზე, როცა მას თვრამეტი წელი შეუსრულდა. მალე იგი სოფელ პიევესალიჩეტოს სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. მის ორმოცივე მოსწავლეს პედაგოგად მოვლენილი თინეიჯერი განსაკუთრებით იმის გამო უყვარდა, რომ ბენიტო არა მხოლოდ კარგად ასწავლიდა, არამედ მათთან ერთად ენერგიულად მონაწილეობდა ყველა გართობასა თუ თამაშში.

წარმატებით დაწყებულმა პედაგოგიურმა კარიერამ ვერ გაუნელა ბენიტოს პოლიტიკური აქტივობის მწველი სურვილი. იგი თანამშრომლობდა რადიკალურ მემარცხენე გამოცემებთან („პროლეტარიო“ და „ავენირე დელ ლავორატორე“). მათ ფურცლებზე რეგულარულად დაბეჭდილ კრიტიკულ სტატიებში ახალგაზრდა კალმოსანი მიწასთან ასწორებდა კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიას, ყველანაირი ხერხით ლაფს ასხამდა თავის პოლიტიკურ ოპონენტებს. მისი ბეჭდური სიტყვა ისეთივე გესლიანი და გამქირდავი იყო, როგორც ზეპირი. ამგვარმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო მუ-

სოლინის შეუდარებელ პოლემისტად ჩამოყალიბებას.

1907 წელს მუსოლინი ქალაქ ონელიაში გამომავალი ყოველკვირეული სოციალისტური გამოცემის „ლიმას“ რედაქტორი გახდა. თავის გაზეთში ბენიტო უსასრულოდ აკრიტიკებდა ჯოვანი ჯოლიტის მთავრობასა და ვატიკანს. მათ ადანაშაულებდა კაპიტალიზმის ინტერესების დაცვაში მშრომელი ხალხის წინააღმდეგ და სოციალისტების უფლებათა გათვალისწინებისკენ მოუწოდებდა. ახალმა რედაქტორმა დაუნდობელი მედიაომი გააჩაღა ადგილობრივი კათოლიკური ყოველკვირეული გამოცემის წინააღმდეგ. როგორც დღეს ისტორიოგრაფები მიიჩნევენ, სწორედ ამ პერიოდში აღმოაჩინა და პირველად გამოსცადა პუბლიცისტური სიტყვის ძალა მომავალმა პრემიერ-მინისტრმა. მუსოლინიმ თვალნათლივ დაინახა, როგორი მძლავრი პოლიტიკური ინსტრუმენტი შეიძლებოდა ყოფილიყო ჟურნალისტიკა მისი ფარული პოტენციალის უნარიანად გამოყენების შემთხვევაში. ამ კუთხით პატარ-პატარა ექსპერიმენტებს იგი სულ უფრო თამამად ატარებდა. შესაბამისად, იზრდებოდა და ოსტატდებოდა, როგორც პროპაგანდისტი.

ნოემბერში მუსოლინი ქალაქ ფორლიში გადავიდა, სადაც მამასთან ერთად ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში. ამ პერიოდის თხზულებაა ქალაქ ლუგანოში გამომავალ, რევოლუციური სინდიკალიზმით გამორჩეულ თავისუფალ ჟურნალში დაბეჭდილი მისი სტატია „ქალის ფილოსოფია“. პუბლიკაციაში მოცემულია ნიცშესეული ავტორის დამოკიდებულება.

1909 წლის დასაწყისში ბენიტო ქალაქ ტრენტოში წავიდა, სადაც შრომის ცენტრის მდივნად აირჩიეს. ამავე დროს მუსოლინიმ მისთვის უკვე კარგად ნაცნობი ყოველდღიური გაზეთის „ავენირე დელ ლავორატორეს“ („მშრომელის მომავალი“) რედაქტორის თანამდებობაც დაიკავა. ტრენტოზე პოლიტიკურ უფლებებს აცხადებდნენ ირედენტისტები — უმეტესად იტალიელებით დასახლებული ავსტრია-უნგრეთის სასაზღვრო მიწათა იტალიისთვის მიერთების მომხრენი. ცხადია, გარედაქტორებისთანავე მუსოლინი გულმხურვალედ გადაეშვა ტრენტოელი ირედენტისტების მხარდამჭერ ჟურნალისტურ ბრძოლაში. რადიკალურ პერიოდულ გამოცემაში „ვოჩე“ („ხმა“) მან გამოაქვეყნა ესეი „სოციალისტის მიერ დანახული ტრენტინო“, რომელშიც გააანალიზა ტრენტოს ოლქის

აწმყო და მომავალი. ბენიტოს პატრიოტული მუხტით აღსავსე სტატიებს ასევე ხშირად კითხულობდნენ ნაციონალისტური გაზეთის „ალტო ადიჯეს“ ფურცლებზეც.

ტრენტოში მოღვაწეობისას მუსოლინიმ გაიცნო სოციალისტური მსოფლმხედველობის პოლიტიკოსი და ჟურნალისტი ჩეზარე ბატისტი. ერთხანს ბენიტო ითავსებდა ბატისტის გაზეთის „პოპოლოს“ („ხალხი“) რედაქტორის ფუნქციებს. 1909 წლის ოქტომბრიდან მუსოლინი ქალაქ ფორლიში გამომავალი ყოველკვირეული ჟურნალის „ლოტა დი კლასეს“ („კლასობრივი ბრძოლა“) თავი გახდა. სანტი კორვაიასთან თანაავტორობით მუსოლინიმ დაწერა რომანი „კლაუდია პარტიჩელა, კარდინალის საყვარელი“. თითქმის მთელი 1910 წლის განმავლობაში ეს ნაწარმოები გაგრძელებებით იბეჭდებოდა „პოპოლოს“ ფურცლებზე. რჩება შთაბეჭდილება, რომ მუსოლინის ჟურნალისტური ამბიციები ისეთივე გრიგალის ძალით მოედო იტალიის გეოგრაფიას, როგორითაც სოციალური პრობლემატიკის მრავალფეროვან ასპექტებს.

1910 წლის შემოდგომა ბენიტომ ჩვეულ რიტმში გალია: საგაზეთო სტატიებს წერდა, მუშებს სოციალიზმის საფუძვლებს ასწავლიდა, ფილოსოფიაში ლექციებს უკითხავდა პარტიულ ხელმძღვანელობას. „ლოტა დი კლასეში“ მოღვაწეობისას მუსოლინიმ თანდათან გაამჟღავნა გულისნადები: მოსახლეობას აჩვევდა პირად მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მალე ქვეყანას იგი განსაკუთრებული მისიით დასჭირდებოდა. მსგავს მინიშნებებში ჩანს, რომ ჟურნალისტი რეალურ ფაქტამდე ათწლეულით ადრე უკვე ხედავდა საკუთარ თავს იტალიური სახელმწიფოს მეთაურის რანგში. ამგვარი ოცნებების ბურანში მყოფ ბენიტოს დამათრობელი პოლიტიკური პერსპექტივის მოლოდინში მოულოდნელი ტრაგედია დაატყდა თავს. 20 დეკემბერს გარდაიცვალა ალესანდრო მუსოლინი — მექალთანე ქმარი, ერთგული მამა. მომავალი დიქტატორი საკუთარი გაზეთის ფურცლებიდან პოლიტიკური სულისკვეთებით დაემშვიდობა მშობელს: „მამაჩემმა ყოველგვარი სიამე და სიმწარე გამოსცადა ცხოვრებისა, რომელიც პარტიისთვის შრომას შეალია“. მშობლის და, ზოგადად, გარდაცვლილის გაიდეალება ჩვეული პრაქტიკაა, მაგრამ ამ შემთხვევაში, თითქოს, თვითპიარზე უფრო ზრუნავდა მუსოლინი, ვიდრე განსვენებულის პოლიტიკურ იმიჯზე.

შემდეგ ცხოვრება ქალაქ ფორლიში ძველებური განწყობითა და სულისკვეთებით გაგრძელდა ქარიზმატული ახალგაზრდისთვის: პოლიტიკური აქტიურობა ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში. იტალიის სოციალისტურ პარტიაში მისი პოპულარობაც პერმანენტულად იზრდებოდა. თითქმის ყველა მკვლევარი აღნიშნავს, რომ ბენიტოს ჟურნალისტური ნიჭი უშუალოდ განაპირობებდა მისით აღტაცებას. იგი მასისთვის იოლად გასაგებ ენაზე საოცარი სტილისტური სიმსუბუქით წერდა დიდი რაოდენობით სტატიებს. ხშირად მისი ლექსიკა ზრდილობის ნორმებს უგულებელყოფდა. ბენიტოს ჟურნალისტურ ოსტატობას ახასიათებდა თვალშისაცემი სათაურების გამოგონების უნარი, განსაკუთრებით აქტუალური თემების შერჩევა, მკითხველის გულისნადების ამოცნობა და ეფექტური პუბლიცისტური აქცენტების დასმა. მუსოლინის ჟურნალისტური ალღო მუდამ შეუცდომლად გრძნობდა მასის განწყობას, რის გამოც წინასწარ იცოდა, რისი წაკითხვა ან მოსმენა სურდა ხალხს. ამის წყალობით მისი პუბლიკაციები უცვლელად სარგებლობდა იტალიური აუდიტორიის მზარდი ინტერესით.

1907 წელს მუსოლინის პირველად უწოდეს „პატარა დუჩე“, 1912 წლის თებერვლიდან კი რეგულარულად მოიხსენიებდნენ, უბრალოდ, „დუჩედ“. განსაკუთრებით ხშირად იყენებდა ამ თიკუნს იტალიელი სოციალისტების რევოლუციური ფრაქციის გაზეთი „სოფიტა“ („სხვენი“). ითვლება, რომ მსოფლიოში ცნობილი მეტსახელი ბენიტოს სოციალისტმა დეპუტატმა ვერნოკიმ „დაანათლა“. აღსანიშნავია, რომ ლათინური წარმომავლობის ეს ტერმინი (ლათინური dux-დან იტალიური duce „ბელადი“) ჯერ კიდევ 1860 წელს გამოიყენა რამდენიმე გამოცემამ იტალიის გამაერთიანებლის ჯუზეპე გარიბალდის ეპითეტად, მაგრამ იტალიის ეროვნულმა გმირმა თავად აარიდა თავი მის ოფიციალურად დამკვიდრებას. 1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, მეფე ვიქტორ ემანუელ III-ც არაერთხელ მოიხსენიეს ამ ზედწოდებით. რადგან 1925 წლიდან მუსოლინიმ „დუჩე“ ოფიციალურად აქცია საკუთარ ტიტულად, მსოფლიო ისტორიაში დამკვიდრებული ტრადიციით, იგი სწორედ იტალიელი ფაშისტების ლიდერის ანტონომასიას წარმოადგენს.

მუსოლინი ლიბიაში კოლონიური ომის წინააღმდეგ აქტიუ-

რად გამოდიოდა, რის გამოც 1911 წლის ნოემბერში დააპატიმრეს. ჟურნალისტი ხუთი თვით გისოსებს მიღმა აღმოჩნდა ანტისამხედრო საქმიანობის ბრალდებით. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, 1912 წლის მიწურულს ბენიტომ იტალიის სოციალისტური პარტიის ოფიციალური ორგანოს „ავანტი!“ მთავარი რედაქტორის სავარძელი მიირთო. ამ უაღრესად საპატიო თანამდებობაზე დანიშვნისთანავე მუსოლინიმ ცოლ-შვილს ხელი დაავლო და საცხოვრებლად ფორლიდან რაკელესა და ედასთან ერთად მილანში გადაბარგდა.

ახლად გამომცხვარი რედაქტორის თვითმიზანი გაზეთის ტირაჟის 20 ათასიდან 80 ათასამდე გაზრდა იყო. მუსოლინის ამ პერიოდში გამოქვეყნებულ მოწინავე სტატიებში მცირე ყურადღება ექცეოდა მარქსისტული თეორიისადმი ერთგულებასა და სიზუსტეს. ტექსტები გამოირჩეოდა ოპონენტებზე თავდასხმათა სიმძაფრით, მათ შესამკობად გამოყენებული თამამი, მოურიდებელი მეტაფორების შერჩევის სილაღით. თითქოს, ეს ბენიტოს პირადი ომი იყო, რომელიც, ჯერჯერობით, სიტყვებით ანადგურებდა მოწინააღმდეგეს. იტალიელ მკითხველზე დადებით შთაბეჭდილებას ტოვებდა მსგავსი სტატიები, რადგან ისინი მუდმივად პოლემიკას იწვევდა არასოციალისტური პრესის ფურცლებზე. „ავანტი!“ იტალიაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გამოცემად იქცა.

1913 წელს მუსოლინიმ გამოაქვეყნა საეკლესიო რეფორმატორის, იან ჰუსის ისტორიულ-პოლიტიკური ბიოგრაფია. თავად ჩეხეთის ეროვნული გმირის ცხოვრებისა და მისიის გარდა, „მართლმეტყველი“ («Giovanni Huss il veridico») მისი მიმდევრების ამბავსაც გადმოსცემდა. აღსანიშნავია, რომ თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობის განმავლობაში ბენიტო ზოგჯერ იყენებდა ფსევდონიმს „ნამდვილი ერეტიკოსი“ (Vero Eretico).

მუსოლინის, როგორც პოლიტიკური ჟურნალისტის ცენზურისგან თავისუფალი კარიერა „ავანტის!“ რედაქციაში ორ წელიწადს გაგრძელდა და თვითგამოხატვის ოლიმპზე მყოფი პროპაგანდისტისთვის მოულოდნელად დასრულდა. 1914 წლის ოქტომბერში, როცა პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა, იტალიის ნეიტრალიტეტის მხარდამჭერის თავდაპირველი პოზიცია ბენიტომ მოულოდნელად შეიცვალა. „ავანტის!“ ფურცლებზე გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ცდილობდა დაესაბუთებინა ომში იტალიის ჩაბმის

აუცილებლობა საფრანგეთის მხარეზე, გერმანიის წინააღმდეგ. ბუნებრივია, მსგავსი თავგასულობა ვერ შერჩებოდა რედაქტორს, რომელიც სოციალისტური პარტიის მთავარი გაზეთის პოზიციად ასაღებდა საკუთარ მოსაზრებას. პარტიის ხელმძღვანელობამ იგი დაუყოვნებლივ დაიბარა ახსნა-განმარტებისთვის. შეხლა-შემოხლისა და გაცხოველებული კამათის მთელი სერიების შემდეგ მუსოლინი, ფაქტობრივად, ქუჩაში გააგდეს. დავიწყებას მისცეს მისი ყველა მიღწევა თუ წარმატება და უბოდიშოდ მოიშორეს. ბენიტო „ფიცს დებს, რომ შურს იძიებს“.

უკვე ნოემბერში მუსოლინიმ დააარსა ახალი ყოველდღიური გაზეთი „პოპოლო დ'იტალია“ („იტალიელი ხალხი“). პარტიული მარწუხებისგან თავისუფალი მთავარი რედაქტორი საკუთარი ორგანოს ფურცლებიდან წარმართავდა საგიტაციო კამპანიას იტალიის პირველ მსოფლიო ომში ანტანტის მხარეზე ჩართვასთან დაკავშირებით. ერთი თვეც არ იყო გასული, რომ „პოპოლო დ'იტალიას“ ტირაჟი გასამმაგდა და 90 ათასამდე გაიზარდა. ცხადია, უშუალოდ ახალი გაზეთი ვერ დაიტრაბახებდა განსაკუთრებულობას. მკითხველი მიიზიდა მუსოლინის სიტყვის ძალამ. რაც „ავანტიდან!“ დააკლდა, აუდიტორიას ახალმა გამოცემამ შეუვსო. ვფიქრობ, მილანელებისთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა გაზეთის სახელწოდებას, უმთავრესი ბენიტო მუსოლინის უკომპრომისო პოზიციასთან ზიარება იყო.

პირველ მსოფლიო ომში იტალიის ჩართვის შემდეგ „პოპოლო დ'იტალიას“ რედაქტორი, რომელმაც რამდენიმე წლის უკან დეზერტირის იარლიყი დაიმსახურა, ვინაიდან ჯარში სამსახურს შვეიცარიაში გაექცა, ამჯერად ფრონტზე უპრობლემოდ წავიდა. 1917 წლის 23 თებერვალს მარჯვენა ფეხში დაჭრილი და, შესაბამისად, ლეგალურად დემობილიზებული კაპრალი საკუთარ გაზეთში ჟურნალისტურ მოღვაწეობას დაუბრუნდა. შორისდებულთა სულისკვეთებით გაჯერებულ სტატიებში მუსოლინი დაუნდობლად იბრძოდა კაპიტულანტების, სპეკულანტებისა და, როგორც თავად უწოდებდა, „ზურგში დარჩენილი ვირთხების“ წინააღმდეგ. ხალხის სისხლის მსურველი „წურბელებისადმი“ უბოდიშო ეპითეტების გამოყენება და მამაცი ჯარისკაცების ქება-დიდება გასდევს ფონად ყოველ სოციალურ პრობლემას, რომელზეც მსჯელობდა ბენიტო:

„აუცილებელია სამართლიანად გაიყოს მთელი გადასახადი, რომელიც დღემდე, უმეტესწილად, მოსახლეობის ულარიბეს ფენას აწევს მხრებზე. ზარმაცებს მუშაობა უნდა ვაიძულოთ, აღვირახსნილებს – ღირსეული ცხოვრების წესისკენ შემობრუნება, ტრაბახა ყბედებს კი – გაჩუმება. პარაზიტებისგან უნდა გავთავისუფლდეთ და მთელმა ერმა იარაღი ავისხათ. სწორედ ამგვარ ძალისხმევას იმსახურებენ ჩვენი ჯარისკაცები".

მუსოლინი სიტყვისგან საქმეს არასდროს მიჯნავდა. შესაბამისად, მისთვის ბრძოლა რედაქციის კედლებს მიღმა ჟურნალისტური მოღვაწეობის პარალელურადაც მიმდინარეობდა. 1919 წლის 23 მარტს მილანში ბენიტომ ორგანიზაცია „ფაშიო დი კომბატიმენტოს" („ბრძოლის ლიგა") დამფუძნებელი კრება ჩაატარა. თანდათანობით მსგავსი ფაშისტური კავშირები პარმაში, ტურინში, ვერონასა და იტალიის სხვა ქალაქებშიც შეიქმნა. პირველი შეკრებისას მუსოლინიმ დამსწრე საზოგადოებას განუცხადა: „თავს ისეთი ფუფუნების ნებას მივცემთ, როგორიცაა ერთდროულად არისტოკრატებად და დემოკრატებად, რევოლუციონერებად და რეაქციონერებად, ლეგალური და არალეგალური ბრძოლის მომხრეებად ყოფნა იმ დროის, ადგილის ან გარემოებათა შესაბამისად, რომელშიც ქმედება მოგვიწევს". გამგონმა გაიგო და, რადგან ამჯერად მუსოლინის მისივე გაზეთიდან გაგდება სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობას აღარ შეეძლო, გაცილებით რისკიანი პროვოკაცია მოუწყო.

1919 წლის 15 აპრილს 20 ათასი სოციალისტისგან შემდგარი ბრბო გაზეთ „პოპოლო დ'იტალიას" რედაქციის შენობასთან მივიდა. მანიფესტანტები გავეშებით სკანდირებდნენ: „დავწვათ „პოპოლო დ'იტალია" და ჩამოვახრჩოთ მუსოლინი!" მუსოლინის მომხრეები და თანამებრძოლები არ დაიბნენ. პისტოლეტებითა და ხელკეტებით სახელდახელოდ შეიარაღებულმა ფაშისტებმა სოციალისტების კოლონას ვაჭრების ქუჩაზე შეუტიეს. ატყდა სროლა. ვიღაც დაიჭრა. ემოციურმა დაძაბულობამ პიკს მიაღწია. ნამდვილი ბრძოლა სოციალისტების უკანდახევით დასრულდა. ისინი მიმოიფანტნენ და „პოპოლო დ'იტალია" დაწვას გადაურჩა. გამარჯვებით გონდაბინდულებს სამაგიეროს გადახდის სურვილი გაუჩნდათ. 200-მდე „შავპერანგიანმა" ფერუკიო ვეკის მეთაურობით სან-დომიანის ქუჩისკენ გადაინაცვლა „ავანტის!" რედაქციის გადასაბუგად.

საათობით გაგრძელებულ ქუჩის პოლიტიკურ შეტაკებებში სამართალდამცავები არ ერეოდნენ. ნეიტრალიტეტის გასამართლებლად მსხვერპლის რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანის სურვილს ასახელებდნენ. სამაგიეროდ, შეხლა-შემოხლებს შორის ცდილობდნენ სიტუაციის განმუხტვას. ალბათ, ამ მიზნით ჩაატარა პოლიციამ ჩხრეკა „პოპოლო დ'იტალიას“ რედაქციის შენობაში 1919 წლის 17 ნოემბერს. შედეგი შემაშფოთებელი აღმოჩნდა: წესრიგის დამცველებმა ამოიღეს მრავალრიცხოვანი ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის — ხელყუმბარებიც. მუსოლინი მცირე ხნით დააკავეს, თუმცა იმავე დღეს გაათავისუფლეს. ფაშისტებს ბრალად ედებოდათ დემონსტრანტი სოციალისტების რიგებში ბომბის სროლა, რის შედეგად ცხრა ადამიანი დაშავდა.

ვერც კარაბინერები და, საერთოდ, ვერანაირი ძალა შეაჩერებდა ბენიტო მუსოლინის პოლიტიკურ ამბიციებს. ხანგრძლივი პოლიტიკური ბრძოლის შედეგი წარმატებული გამოდგა მისთვის. 1922 წლის 31 ოქტომბერს დუჩე იტალიის მე-40 პრემიერ-მინისტრი გახდა. თორმეტი წლის ქალიშვილი ედა არაჩვეულებრივად ამაყი იყო მამის წარმატებით, რომელსაც არა მხოლოდ გარეგნობით, ხასიათითაც საოცრად წააგავდა. გოგონა სერიოზულ ინტერესს ამჟღავნებდა პოლიტიკისადმი. ყველაფერზე მეტად მას ბენიტოს სტატიების კითხვა სიამოვნებდა და გაავთრებული ეჩხუბებოდა თანაკლასელებს, თუკი რომელიმე ფაშიზმის გაკრიტიკებას გაბედავდა.

იტალიის პოლიტიკურ არენაზე ახალი ძალისადმი თავდაპირველად გამოჩენილ დასავლეთევროპულ სიფრთხილეს ნელ-ნელა ცვლიდა დადებითი დამოკიდებულება. განსაკუთრებულია ლონდონური „ტაიმსის“ ფურცლებზე 1923 წლის 30 დეკემბერს დაბეჭდილი სტატიის ავტორის პათოსი: „უდაოა, იტალია არასდროს ყოფილა ისეთი ძლიერი და ერთიანი, როგორც დღეს... დუჩემ გადასახადები შედარებით ლმობიერი გახადა და მკვეთრად შეამცირა დეფიციტი ბიუჯეტში. მან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოსახლეობის კომუნალური მომსახურება და, აგრეთვე, რკინიგზასთან დაკავშირებული სიტუაცია. მან მოახერხა სახელმწიფო სამსახურებში გაბერილი შტატების შემცირება უმუშევართა რიცხვის გაზრდის გარეშე. პირიქით, დასაქმების მაძიებელთა რაოდენობა არასდროს ყოფილა ასეთი მცირე იტალიაში. არანაკლებ წარმატებას

მიაღწია მუსოლინიმ კოლონიალური პოლიტიკის სფეროშიც. რაც შეეხება მის სოციალურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენის მხარდასაჭერად, გულწრფელ პატივისცემას იმსახურებს".

ახალი ცოცხის კვალობაზეც კი პრემიერობის დასაწყისშივე დუჩე ვერ ახერხებდა უმწიკვლო იმიჯის შენარჩუნებას. იტალიის სამზარეულოებსა და პოლიტიკურ ოპონენტთა ფარულ შეკრებებს გასცდა სკანდალური სიმართლე, როდესაც 1924 წლის 30 მაისს დეპუტატმა სოციალისტური პარტიიდან — ჯაკომო მატეოტიმ პარლამენტის ერთ-ერთ პირველ სხდომაზე ფაშისტების მიერ არჩევნების გაყალბების მტკიცებულებები საჯარო განხილვის საგნად აქცია. მუსოლინი გააცოფა მდიდარი მიწათმფლობელის მხრიდან მოულოდნელმა მხილებამ. რომაული ზაფხულის თაკარა მზის ქვეშ ორი ჯიუტი პიროვნება სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა ერთმანეთს.

4 ივნისს მატეოტი კვლავ წარსდგა პარლამენტარების წინაშე და ხანგრძლივად, დაუღალავად უკითხავდა შეკრებილთ ამონარიდებს პრემიერ-მინისტრის ძველი სტატიებიდან. დეპუტატი ცდილობდა ეჩვენებინა, თუ რაოდენ განსხვავდებოდა მათი ბელადის ახლანდელი სიტყვები და ქმედებები მუსოლინის ძველი მრწამსისგან. ეს უკვე მეტისმეტი იყო ტრიუმფატორი პრემიერ-მინისტრისთვის, რომელსაც მოზარდობისას იტალიის სოფლის სასწავლებელშიც კი არასოდეს მოუთმენია სულ მცირე წინააღმდეგობა არა მხოლოდ თანაკლასელების, არამედ პედაგოგ-მასწავლებლებისგან. 7 ივნისს დუჩემ ოფიციალურად უარყო არჩევნების გაყალბების ბრალდება. თავის მხრივ, ბენიტომაც ციტატები მოიშველია ერთერთი ოპოზიციურად განწყობილი გაზეთიდან, რომლის ფურცლებზეც აშკარად გაისმოდა მთავრობის დამხობისკენ მოწოდება. თან დასძინა, რომ წაგებული პარტიები ყოველთვის გაყალბების ბრალდებით ცდილობდნენ გამარჯვებულისთვის სახელის გატეხას. პრემიერ-მინისტრის მოსმენის შემდეგ პარლამენტი ჩვეულ სამუშაო გრაფიკს დაუბრუნდა.

შესაძლოა, სიტუაცია აღარც გამწვავებულიყო. მართალია, მდიდარი მეწარმე დეპუტატის იმუნიტეტს ოსტატურად იყენებდა და უკან დამხევს არ ჰგავდა, მაგრამ დუჩეს დაცვის მსურველმა ფაშისტებმა რეალურად უფრო ავნეს, ვიდრე სამსახური გაუწიეს

მუსოლინის, როცა 10 ივნისს მატეოტი რომის ცენტრიდან მანქანით გაიტაცეს. გაწევ-გამოწევაში დეპუტატი სასიკვდილოდ დაიჭრა. დამფრთხალმა შეთქმულებმა გვამი ქალაქიდან ოცი კილომეტრის დაშორებით წაიღეს და დამარხეს. იმდენი შეცდომა დაუშვეს, რომ საქმის ჩაფარცხვა უკვე პრემიერ-მინისტრსაც აღარ შეეძლო. სიმართლე ნაბიჯ-ნაბიჯ დგინდებოდა. 27 ივნისს პოლიციამ გამტაცებელთა მიერ გამოყენებული ავტომობილის მეპატრონის ვინაობა დაადგინა. გაირკვა, რომ „ლანჩა ლამბდას" ფირმის მანქანა გაფორმებული იყო პროფაშისტური მიმართულების გაზეთის „კორიერე იტალიანოს" ერთ-ერთი დამაარსებლისა და მთავარი რედაქტორის — ფილიპო ფილიპელის სახელზე. იტალიური საზოგადოების აღშფოთება ყოველი მსგავსი დეტალის გამოაშკარავების პარალელურად მატულობდა. საბოლოოდ, მუსოლინიმ სიტუაციაზე კონტროლი დაკარგა და 1 ივლისს მეფე ვიკტორ ემანუელ III-ს გადადგომის უფლება სთხოვა. მონარქმა უარი უთხრა, რაც მუსოლინიმ მხარდაჭერად ჩათვალა და, ამით გათამამებული, ყურადღებას აღარ აქცევდა საკუთარ კრიტიკას.

სამომავლოდ თადარიგის დაჭერა პრემიერ-მინისტრმა იმით დაიწყო, რომ 1924 წლის 10 ივლისის დადგენილებით პრესის თავისუფლება შეზღუდა, ხოლო 31 ივლისს პრესისა და პროპაგანდის სამინისტრო შექმნა. ახალი უწყების მეთაურის დინო ალფიერის მიერ განხორციელებულ ქმედებებს შედეგად მოჰყვა ოპოზიციურად განწყობილი გაზეთების უმეტესობის მცირე დროში დახურვა. მსხვილი, ყოველდღიური გამოცემები „სტამპა" და „კორიერე დელა სერა" ფაშისტური რეჟიმისთვის სასურველ პოზიციას გამოხატავდნენ. ამიერიდან გაზეთის რედაქტორებს პირადად მუსოლინი არჩევდა. მან აკრძალა ჟურნალისტური მოღვაწეობა ფაშისტური პარტიის მიერ გაცემული სერთიფიკატების გარეშე, რომლებსაც ფარულად გასცემდნენ სანდო პირებზე. ასეთებად მხოლოდ ფაშისტური პროფკავშირის წევრები ითვლებოდნენ. რადგან ეს პროფკავშირი ჟურნალისტებს პარტიული ნიშნით აერთიანებდა, არსებული წესი საეჭვო ინდივიდის პრესაში მოხვედრის ყოველგვარ შანსს გამორიცხავდა. ამგვარად ყოფილმა ჟურნალისტმა ოსტატურად შექმნა „თავისუფალი პრესის" ილუზია. სწორედ მისი მოჭილი სისტემით აიხსნება ის გამაოგნებელი ერთსულოვნება, რომლითაც 1943 წლამდე დადე-

ბითად აფასებდა იტალიური ბეჭდური მედია ნებისმიერ ფაშისტურ წამოწყებას. საქმეში ჩაუხედავი დანარჩენი ევროპისთვის პრემიერ-მინისტრის უნისონში მაქებარი ეროვნული გამოცემები ქვეყნის შიდა პოლიტიკის წარმატების ნიშნად მიიჩნეოდა.

მუსოლინის ბრძანებით, შინაგან საქმეთა მინისტრმა ლუიჯი ფედერცონიმ 31 დეკემბერს იტალიური „ბროლის ღამით" გაუთენა ახალი წელი ოპოზიციურად განწყობილ ჟურნალისტებსა და ანტი-ფაშისტური მოძრაობის წამყვან ლიდერებს, რომელთა უმეტესობა გულმოდგინედ ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ დააპატიმრა. ამავე დროს, დემობილიზაცია გაუკეთდა გაერთიანება „თავისუფალ იტა-ლიას", დაიხურა ასზე მეტი ხელისუფლების „ძირგამომთხრელი" დაწესებულება, ციხეში უკრეს თავი რამდენიმე ასეულ ადამიანს.

აღნიშვნის ღირსია ასეთ მედიავაკუუმში დარჩენილი ჟურნა-ლისტიკის დონ-კიხოტების თავგამოდებული მცდელობა, სიმარ-თლისადმი ერთგულება შეენარჩუნებინათ. რამდენიმე კათოლიკური გამოცემა და ქალაქ გენუაში გამომავალი სოციალისტური გაზეთი „ლავორო" ურეზონანსოდ, მაგრამ მაინც თავდადებით გამოდიოდა რეჟიმის წინააღმდეგ.

პრესაზე საკმაოდ ეფექტური კონტროლის დაწესების შემ-დეგ, უშუალოდ ხალხის ჯერიც დადგა. საპარლამენტო სისტემის კოდექსები მუსოლინისთვის მომგებიანი კუთხით გადაიწერა. სკო-ლებისა და უნივერსიტეტების ყველა პედაგოგს ფაშისტური რეჟი-მისადმი ერთგულების ფიცის დადებას აიძულებდნენ. დუჩე ამაყობ-და ტოტალური კონტროლის ხარისხით: „ყოველი დღის ყოველ საათზე შემიძლია გითხრათ რომელი წიგნის რომელ გვერდზე მე-ცადინეობს ყოველი სკოლის მოწაფე იტალიაში". პროფკავშირებს დამოუკიდებლად ფუნქციონირების საშუალება მოუსპეს და ყველა-ნი კორპორაციულ სისტემაში გააერთიანეს. თითოეული მოქალაქე ამა თუ იმ პროფესიულ ორგანიზაციაში გააწევრიანეს, რამაც მმართველ პარტიას საშუალება მისცა სამთავრობო კონტროლის ქვეშ ჰყოლიდა მთლიანად ერი. მართალია, 1925 წლიდან იტალია, ფაქტობრივად, ერთპარტიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, მაგრამ თავის დაზღვევის მიზნით, 1928 წელს დანარჩენი პარტიების არ-სებობა ოფიციალურად აიკრძალა ქვეყანაში. ამავე წელს ახალი საარჩევნო კანონით გაუქმდა საპარლამენტო არჩევნები.

დუჩეს მიზნების შესაბამისად, მოსახლეობის ცენტრალიზებულად გაწვრთნისა და ფაშიზმთან მასის კოლექტიური ზიარებისთვის, 1925 წლის მაისში მუსოლინიმ შექმნა ორგანიზაცია „დოპოლავორო“ („სამუშაოს შემდეგ“). იდეა იმდენად წარმატებით დაინერგა ფაშისტური იტალიის რეალობაში, რომ 1929 წელს ოფიციალური ვიზიტისას ნანახით აღფრთოვანებულმა გერმანიის შრომის ფრონტის ხელმძღვანელმა, რობერტ ლეიმ, მეზობლების გამოცდილებაზე დაყრდნობით, მსგავსი სისტემის შექმნა შესთავაზა ნაცისტებს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. ჰიტლერის თანხმობით, გერმანიის შრომის ფრონტის სპეციალურ სხდომაზე, რომელსაც რუდოლფ ჰესი და იოზეფ გებელსი ესწრებოდნენ, 1933 წლის ნოემბერში დაიწყო პროექტი „ძალა სიხარულის საშუალებით“.

ძველი რომის ტრადიციათა შესაბამისად, მუსოლინის კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ გართობის ორგანიზება მოქალაქეების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად არ გამოადგებოდა. სანახაობას უპუროდ სასურველი კონტროლის დამყარება არ შეეძლო. იტალიაში ხორბლის შემოტანაზე ყოველწლიურად 4 მილიარდი ლირა იხარჯებოდა ხაზინიდან. ეს არც მთავრობას აძლევდა ხელს და ვერც მოსახლეობას უზრუნველყოფდა სათანადოდ. დუჩეს მოქნილ გონებაში ჩაისახა პროპაგანდისტული იდეა ახალი მოძრაობის თაობაზე, რომელსაც „ბრძოლა პურისათვის“ უწოდა. აღნიშნული პროექტის მიზანი მრავალმხრივ მომგებიანი უნდა ყოფილიყო. უპირველეს ყოვლისა, მუსოლინის გაანგარიშებით, ადგილობრივი ხორბლის მოსავლის ერთ წელიწადში გაორმაგების შედეგად პროდუქტის იმპორტის აუცილებლობა მოიხსნებოდა. დანაზოგი თანხის გამოყენება შესაძლებელს გახდიდა ბევრი სასარგებლო, თანაც პოპულისტური ნაბიჯის გადადგმას. ამავე დროს, დასაქმდებოდა გარკვეული რაოდენობის მუშახელი, რაც დადებითად წაადგებოდა პრემიერ-მინისტრის იმიჯს, თანაც მასების ნდობას გაზრდიდა ხელისუფლების ნოვატორული კურსისადმი.

აღნიშნული გეგმის ხორცშესხმა ფართომასშტაბიანი პიარკამპანიით დაიწყო რადიოს, პრესისა და კინოს საშუალებით. „მწვანე რევოლუცია“, როგორც მას მეორენაირად უწოდებდნენ, ეროვნული რანგის პროგრამად გამოცხადდა, რაც სრულიად იტალიის თანამონაწილეობას გულისხმობდა. პირადად დუჩეც „პურის-

თვის მებრძოლთა“ პირველ რიგებში ჩადგა. საზოგადოება მას ხან მოკლემკლავიან მაისურში ხედავდა მკალავთა შორის ოფლმდინარეს, ხანაც – სალეწი მანქანის შეკეთების მცდელობისას აფიქსირებდა კამერა. როგორც იმ პერიოდის იტალიური და არაერთი დასავლეთ ევროპული გამოცემა ამტკიცებს, პრემიერ-მინისტრის გეგმა მართლაც მრავალმხრივ წარმატებული გამოდგა ქვეყნისა და მისი მოსახლეობისთვის, რადგან ხორბლის პრობლემა საკმაოდ ეფექტურად მოაგვარა.

პურთან დაკავშირებული საკითხის გადაჭრის პარალელურად მუსოლინი გატაცებული იყო კლინიკებისა და საავადმყოფოების მშენებლობით. 1922-1930 წლებში ქვეყანაში სამკურნალო დაწესებულებათა საერთო რაოდენობა გაოთხმაგდა. საგრძნობლად შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა. მრავალი იტალიელის თვალში „ასეთი მოღვაწეობა ამყარებს მუსოლინის, როგორც ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველი ბელადის იმიჯს“.

იტალიის ლიდერით ხანმოკლე აღტაცება საჯაროდ გამოხატა უინსტონ ჩერჩილმაც, როცა „კაცთა შორის უდიდესი კანონმდებელი“ უწოდა. პოლიტიკური წარმატების კვარცხლბეკზე მდგარ დუჩეზე 1927 წელს ინგლისის მომავალმა პრემიერ-მინისტრმა არაბრიტანული ემოციურობითა და აღტაცებით თქვა: „მუსოლინიში გაცხადებულმა რომაულმა გენიამ მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ შესაძლებელია კომუნიზმის შემოტევის უკუგდება. იტალიელი რომ ვყოფილიყავი, თავიდან ბოლომდე მუსოლინის მხარეს ვიდგებოდი“. 1929 წლის 11 თებერვალს ლატერანის ხელშეკრულების საფუძველზე ვატიკანის ქალაქ-სახელმწიფო შეიქმნა. ამ საქმეში ბენიტოს უშუალო მონაწილეობისთვის, რომის პაპმა პიუს XI-მ იტალიის მე-40 პრემიერ-მინისტრი დალოცა.

თუმცა გალაღებული, უღრუბლო ცხოვრება ბენიტო მუსოლინის არც სოციალისტობის პერიოდში ჰქონია და არც ფაშიზმის აყვავების ეპოქაში დასცალდა სულის მოთქმა. 1925 წლიდან მოყოლებული დუჩეზე არაერთი თავდასხმა განხორციელდა, თუმცა სუყველა წარუმატებლად დასრულდა. 4 ნოემბერს ტიტო ძანიბონიმ სცადა ოპტიკური შაშხანიდან საბედისწერო გასროლის განხორციელება, მაგრამ პოლიცია წინასწარ საქმის კურსში აღმოჩნდა და იარაღის გავარდნამდე დააპატიმრა მასონთა წრიდან გამო-

სული სოციალისტი დეპუტატი. ეს შემთხვევა ბევრი გაუმართლებელი რეპრესიის საბაბად გამოიყენა მმართველმა ძალამ.

1926 წლის 7 აპრილს ინგლისელი ვიოლეტა გიბსონი რომში სპეციალური მისიით ჩავიდა. ამჯერად ტყვიამ სამიზნეს ცხვირი გაუკაწრა. რევოლვერით შეიარაღებული ქალი იტალიელმა პოლიციელებმა გასროლისთანავე დააკავეს. დუჩე გაერთიანებულ სამეფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის გაფუჭებას მოერიდა, ამიტომ თავდამსხმელი არ დაუსჯია. გიბსონი შეურაცხადად გამოაცხადეს და ბრიტანეთის ხელისუფლებას გადასცეს. თუმცა იტალიურმა პროპაგანდამ მეორე შემთხვევაც სათავისოდ გამოიყენა ქვეყანაში დიქტატურაზე გადასვლისათვის ნიადაგის მოსამზადებლად. მუსოლინის მიზანი თანამედროვე იტალიის ახალ რომად გადაქცევა გახდა.

იმავე წლის 31 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრზე თავდასხმა მოაწყო საფრანგეთიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა ანარქისტმა ჯინო ლუჩეტიმ, რომელმაც დუჩეს ავტომობილს ყუმბარა ესროლა. ბედისწერის ირონიით, ბომბი მანქანის სახურავიდან ჩამოგორდა და ბრბოში ჩავარდა. აფეთქების შედეგად ოთხი ადამიანი დაიჭრა.

ზუსტად ორი თვის თავზე მუსოლინის ავტომობილზე კიდევ ერთი თავდასხმა განახორციელა თხუთმეტი წლის ანტეო ძამბონიმ. მისი მცდელობაც უშედეგოდ დასრულდა. დანარჩენი თავდამსხმელებისგან განსხვავებით, მოზარდის ბედი განსაკუთრებით ტრაგიკული გამოდგა. იგი გაცოფებულმა ბრბომ ჩაიგდო ხელში და ლინჩის წესით ადგილზევე გაუსწორდა.

ანარქისტი ჯინო ლუჩეტის რომაულმა თავდასხმამაც ფიასკო განიცადა. ამაოდ გაწირა თავი ამერიკელმა მაიკლ შირუმ, რომელიც დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს იტალიის პრემიერ-მინისტრის ლიკვიდაციის დაგეგმვის გამო. სხვებზე მეტად არც სლოვაკი ანტიფაშისტების დაჯგუფების TIGR-ის წევრებს გაუმართლათ, რომლებმაც დუჩეს საიქიოს გასტუმრების სცენარი 1938 წელს შეიმუშავეს. მათი გეგმაც წარუმატებელად დასრულდა.

ფაშისტური პროპაგანდა იმდენად ეფექტურად ფუნქციონირებდა, რომ ქვეყნის შიგნით ოდნავ სერიოზული ოპოზიცია არსებული რეჟიმის წინააღმდეგ არ ან ვერ არსებობდა. 1926 წლის ნოემბერში დუჩემ პოლიტიკური პოლიცია შექმნა, რომლის ოფიციალური სახელწოდება იყო დაკვირვებისა და ანტიფაშისტური საქ-

მიანობის ჩახშობის ორგანიზაცია (OBPA). ხელმძღვანელად დაინიშნა ეშმაკობითა და ცინიზმით გამორჩეული არტურო ბოკინი. პოლიტიკური პოლიციის ბიუჯეტი ყოველწლიურად სულ უფრო იზრდებოდა. შედეგად, მუსოლინის რეჟიმის მთავარმა მოწინააღმდეგეებმა უკვე დეკემბრიდან საფრანგეთში თავშესაფრისთვის გაქცევა დაიწყეს. ანტიფაშისტებს საკმარისი სახსრები არ გააჩნდათ დიქტატურის დასამხობად. მათი აქტივობა შემოიფარგლებოდა იტალიაში აკრძალული გამოცემების ხალხში გავრცელებითა და ინდივიდუალური პროტესტის გამოხატვით.

ბენიტო მუსოლინის, როგორც დიქტატორის, ძირითად ინტერესს ეფექტური პროპაგანდა და იტალიელი ხალხის გონების დამორჩილება წარმოადგენდა. ყველა საინფორმაციო საშუალება – პრესა, რადიო, კინო, განათლების სისტემა გულმოდგინედ და მიზანმიმართულად კონტროლდებოდა. დუჩეს მიზანი იყო მასის იმგვარი ილუზიის ქვეშ ყოლა, თითქოს, ფაშიზმი XX საუკუნის ერთადერთი მართებული დოქტრინა იყო, რომელსაც სამართლიანად ეკუთვნოდა ლიბერალიზმისა და დემოკრატიის შემცვლელის სტატუსი. ამ დოქტრინის პრინციპები საფუძვლად დაედო ფაშიზმის რაობაზე ჯოვანი ჯენტილეს სტატიას, რომელიც 1932 წელს იტალიურ ენციკლოპედიაში გამოჩნდა და ხელს თავად დუჩე აწერდა.

მუსოლინი აღარ უწევდა ანგარიშს მოსახლეობის ხალხის აზრს, რომელსაც უკვე ლამის სრულფასოვნად აკონტროლებდა. თუმცა ამის აუცილებლობა არ არსებობდა, იგი პრესისთვის განცხადებებს რეგულარულად აკეთებდა სხვადასხვა საკითხზე. პოლიტიკაში მიღწეული წარმატების მიუხედავად, ვფიქრობ, ბენიტო მუსოლინის ძირითად სტიქიას მაინც საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოადგენდა, რისთვისაც იმ ეპოქის ყველანაირ ტექნიკურ საშუალებას იყენებდა. დუჩე ძველებურად წერდა სტატიებს, უყვარდა საჯარო გამოსვლები ფართო მასების წინაშე, ხალისით იძლეოდა ინტერვიუებს მთელი ცხოვრების განმავლობაში. 1931 წლის 21 დეკემბერს მისი 46 წლის ძმა არნალდო გარდაიცვალა აპოპლექსური შეტევით. დუჩემ საშინლად განიცადა უახლოესი ადამიანის დაკარგვა და ძმის ხსოვნისთვის წიგნის მიძღვნა გადაწყვიტა. უკანასკნელ პერიოდში სწორედ არნალდოს ებარა „პოპოლო დ'იტალიას" ხელმძღვანელობა.

როდესაც მოგვიანებით ვაჟიშვილი ბრუნო დაკარგა, პრემიერ-მინისტრმა ტკივილი ამჯერადაც ნაწერის საშუალებით გამოხატა. 1941 წლის დეკემბერში დასრულებული წიგნის დანიშნულება მუსოლინიმ ამგვარად ახსნა: „ეს ნაწარმოები სულაც არ გულისხმობს საკუთარი თავის ქებას. ეს არის ადამიანის მიერ უბრალოდ მოყოლილი საკუთარი ცხოვრების ამბავი და მე მას იტალიის ახალგაზრდობას ვუძღვნი". პოლიტიკოსები, რომელთა ძირითადი სტიქიაც უშუალოდ პოლიტიკაა, ამგვარად არ განიცდიან სიტყვის ძალას. მუსოლინი შინაგანად ბოლომდე ჟურნალისტ-რედაქტორად დარჩა.

1943 წლის 25 ივლისს მეფე ვიქტორ ემანუელთან აუდიენციის შემდეგ ბენიტო მუსოლინი კარაბინერებმა დააკავეს. ამ დროს მოკავშირეთა ძალები უკვე სამხრეთ იტალიის მიწაზე იმყოფებოდნენ. ისინი მუსოლინის ერთ-ერთი „წარმატებული" პროექტის შედეგად „განადგურებული" სიცილიური მაფიის ხელშეწყობით აღმოჩნდნენ ისტორიული რომის ტერიტორიაზე. ახალ პრემიერ-მინისტრად მონარქმა პიეტრო ბადოლიო დანიშნა, რომელიც ომის გაგრძელების წინააღმდეგ გამოდიოდა და, შესაბამისად, ქვეყნის მთელი მოსახლეობის სულისკვეთებას გამოხატავდა.

დაპატიმრებულმა ნუგეში კათოლიკურ რელიგიაში ჰპოვა. თუმცა ბენიტო 1927 წელს მოინათლა კათოლიკური ოპოზიციის დასაშოშმინებლად და გულის მოსაგებად, ეს ნაბიჯი მაშინ პოლიტიკური გათვლებით უფრო იყო განპირობებული, ვიდრე — მრწამსით. ტყვე მუსოლინი ხანგრძლივად ესაუბრებოდა საკუთარ მოძღვარს, რომლის ჩვენებითაც, სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში დუჩე ბევრს ლოცულობდა და ხშირად ამბობდა აღსარებას.

ჰიტლერის ბრძანებით სპეცრაზმი ჯიუტად ცდილობდა პატიმრის გათავისუფლებას და გერმანიის ტერიტორიაზე გადაყვანას. რადგან მუდმივად არსებობდა საფრთხე, რომ ისინი ერთხელაც საწადელს მიაღწევდნენ, 1943 წლის 28 აგვისტოს მუსოლინი შედარებით მიუვალ ადგილზე — მაღალმთიან ზამთრის კურორტ გრანსასოში გადაიყვანეს, რომელიც დანარჩენ სამყაროს ერთადერთი საბაგირო გზით უკავშირდებოდა. პოლიტიკური ტუსაღი სასტუმრო „კამპო იმპერატორეში" ცხოვრობდა დაცვის ოცდაოთხსაათიანი მეთვალყურეობის ქვეშ. მუსოლინი ხშირად ესაუბრებოდა საკუთარ მედილეგეებს პოლიტიკაზე, წარსულის შეცდომებზე. თვითმხილვე-

ლების ცნობით, დუჩე, თითქოს, თავის მართლებასაც ცდილობდა მათ წინაშე.

12 სექტემბერს გრან-სასოს ტერიტორიაზე ფიურერის ბრძანებით ჩატარდა მუსოლინის მოტაცების ოპერაცია „მუხა“, რომელსაც კაპიტანი ოტო სკორცენი ხელმძღვანელობდა. აბსურდული და მამაცი გეგმა წარმატებით განხორციელდა ზღვის დონიდან 2100 მეტრზე. როდესაც მუსოლინიმ პლანერებით უჩუმრად მოახლოებული გერმანელები შენიშნა, სასტუმროს ფანჯრიდან თავი გაყო და ორივე მხარეს მოუწოდა, ცეცხლი არ გაეხსნათ. მართებული ჩანს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ყოფილი პრემიერ-მინისტრის მიზანი იყო თავიდან აეცილებინა იტალიელთა სისხლის ფუჭად დაღვრა. მოცემული ვარაუდის დასტურად გამოდგება 15 სექტემბერს რასტენბურგში ადოლფ ჰიტლერთან შეხვედრაზე მუსოლინის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ პოლიტიკიდან წასვლა სურდა. ფიურერი იტალიელი მოსახლეობის რეპრესიითა და დიდი ქალაქების დაბომბვით დაემუქრა, თუ ბენიტო მის ბრძანებას არ შეასრულებდა. დუჩე ვერ დაუშვებდა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ბარბაროსულად განადგურებას. იძულებული გახდა, დაეთმო შეშლილისთვის. შედეგად შეიქმნა რესპუბლიკა სალო და მისთვის სახელდახელოდ ფორმირებული ფაშისტური მთავრობა. მუსოლინის უკანდახევით ნასიამოვნებმა ჰიტლერმა მათი შეხვედრის დასასრულს ფარული ცინიზმით აღნიშნა: „დუჩე, თქვენ ზედმეტად კარგი ადამიანი ხართ, რომ ნამდვილი დიქტატორი გახდეთ, მაგრამ ამჟამად ბრძოლის გაგრძელება აუცილებელია. ეს ომი უნდა მოვიგოთ. გამარჯვების შემდეგ იტალიას ყველა მისი სახელმწიფოებრივი უფლება აღუდგება. ამისათვის აუცილებელი პირობაა — ფაშიზმის აღორძინება და მტრებზე შურისძიება“. მრავალი დოკუმენტი წარმოაჩენს მუსოლინის რწმენას, რომ გერმანია დამარცხებისთვის იყო განწირული, მაგრამ თავად აღარ ძალუძდა სამშობლოს უკეთ დაცვა ჰიტლერის სიგიჟისგან.

ფიურერის სურვილისა და მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ჩრდილოეთ იტალიაში შეკუჟული, ხელოვნურად შექმნილი, ფაქტობრივად, ქალაქ-სახელმწიფო ვეღარ აკავებდა ისტორიის განვითარების ლოგიკას. 1943 წლის 13 ოქტომბერს მადრიდში იტალიის ელჩმა გერმანიის ელჩს გადასცა ნოტა ომის გამოცხადების თა-

ობაზე. ამავე დროს სამხრეთ იტალიაში მყოფი მოკავშირეები უკვე რომისკენ მიიწევდნენ ძალიან დიდი დანაკარგებით. პოლიტიკურ აგონიაში მყოფი ჰიტლერის ბრძანებით 1944 წლის 11 იანვარს დიდი ფაშისტური საბჭოს მონაწილენი, მათ შორის, მუსოლინის სიძე, გალეანო ჩიანოც, სიკვდილით დასაჯეს. გერმანელებმა იტალიელებს ზურგში ესროლეს. სიკვდილის წინ ჩიანომ დაყვირება მოასწრო: „გაუმარჯოს იტალიას!" მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ თავადაც უუფლებო დუჩემ ვერ შეძლო, საყვარელი ქალიშვილის ქმარი გადაერჩინა. ამის მტკიცებულებად მიიჩნევენ 13 იანვარს მღვდელთან საუბრისას ბენიტოს აღიარებას, რომ მას არ ჰქონდა მომხდარისთვის ხელის შეშლის საშუალება. მოძღვრის მოგონებით, მუსოლინი საკუთარ მოახლოებულ აღსასრულსაც განიცდიდა: „ღმერთი მაღალია! მისი მადლი ჩვენს სიგიჟეებზეც კი ვრცელდება... მინდა ქრისტიანად მოვკვდე... ამ გემის ჩაძირვის გამო ყველანი ფსკერისკენ მივდივართ. ჩემი დროც მალე დადგება და ერთადერთ სიყვარულს შემოქმედისადმი ვგრძნობ".

რესპუბლიკა სალოში ფაშიზმი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. მუსოლინი ლამის განდეგილივით ცხოვრობდა. თუმცა ოფიციალურად ეკავა ხელოვნურად შეკოწიწებული ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრისა და სახელმწიფოს მეთაურის პოსტები, რეალურ პოლიტიკასთან მას საერთოდ აღარ ჰქონდა შეხება. ამბობენ, ბენიტოს ყოველთვის ეამაყებოდა, რომ მისი სათაყვანო ნაპოლეონის მსგავსად, თვითონაც ლომის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაიბადა. გარკვეული პარალელები და დამთხვევები ამ ორი პოლიტიკოსის კარიერაში, თითქოს, შეინიშნება კიდეც. უმთავრესი მაინც მათი ცხოვრებისეული პრინციპის მსგავსებაა, რომელიც მუსოლინიმ ამგვარად ჩამოაყალიბა: „უმჯობესია თუნდაც ერთი დღე იყო ლომი, ვიდრე ასი წელი ცხვრის ტყავში გაატარო". ამ მრწამსის ადამიანი, საერთო ჯამში, არც არაფერს ინანებდა განვლილი გზიდან. მიღწეული მწვერვალები, ალბათ, მაინც ულირდა საბოლოო ვარდნის მიუხედავად. დახვრეტამდე დარჩენილი დროის უმეტესი ნაწილი დუჩემ მემუარების წერაში გალია. თითქოს, ჟურნალისტურ წარსულში დაბრუნდა პოლიტიკური ეტაპის სიტყვით უკვდავსაყოფად. შეგნებულად მიჰყავდა მთელი ცხოვრების განმავლობაში წარმოებული თვითპიარი მისთვის სასურველი ლოგიკური დასკვნებისკენ.

თავის უკანასკნელ ინტერვიუში, რომელიც 1945 წელს პარტიზანების ხელში ჩავარდნამდე სულ ცოტა ხნით ადრე მისცა ჟურნალისტ მადლენ მოლირს, ბენიტო მუსოლინი, თითქოს, აჯამებს 1943-1945 წლების მოვლენებს მის ცხოვრებაში და საკმაოდ გულწრფელი ჩანს: „შვიდი წლის უკან საინტერესო ადამიანი ვიყავი. ახლა გვამი ვარ... დიახ, ქალბატონო, ჩემი საქმე წასულია. ჩემი ვარსკვლავი უკვე ჩაესვენა. ვმუშაობ და ვცდილობ, თუმცა ვიცი, რომ ეს ყველაფერი, უბრალოდ, ფარსია... ტრაგედიის დასასრულს ველოდები და, ყველაფრისგან უცნაურად გარიყული, თავს არტისტად ველარ აღვიქვამ. ვგრძნობ, რომ უკანასკნელი მაყურებელთაგანი ვარ მხოლოდ“. აშკარაა ერთ პიროვნებაში მოქცეული პოლიტიკურად განწირული არსების შეფასების მცდელობა მისივე პუბლიცისტური გონის მიერ.

მართლა ასე ფიქრობდა თუ ნერონისეული არტისტიზმით გულწრფელობდა, ფაქტია, რომ მსოფლიო ისტორიაში არსებულ დიქტატორთა მრავალრიცხოვან წყებაში გამონაკლისია აბსოლუტურ ძალაუფლებას ხანგრძლივად შეჩვეული და მორალურად აშვებული პოლიტიკური ფიგურის მიერ სიცოცხლის დასასრულს პირადი შეცდომების ანალიზის სურვილი, მონანიებაზე რომ აღარაფერი ითქვას. რეალურად, დიქტატორთა უმეტესობას, დროისაც არ უტოვებენ დამარცხების შემდეგ საკუთარ ცოდვებზე დასაფიქრებლად. თუმცა ბენიტო მუსოლინის პროპაგანდისტულად მომართული გონება, ალბათ, ბუნებრივად მივიდა მსგავს ეტაპამდე. პროფესიულ ჟურნალისტურ გამოცდილებას უთუოდ დიდი წილი უნდა ედოს იტალიის მე-40 პრემიერ-მინისტრის ფიქრიანი აღსასრულის ფენომენში.

სფინქსი მენამულ მანტიაში

ჩრდილოეთის ცივსისხლიანი მზით იმედგაცრუებული საქართველო ისევ იქით იყურება, საითაც მნათობი ყოველ დღე ჩადის და კვლავ დასავლეთ ევროპასთან პოლიტიკურ კავშირზე ოცნებობს. ისტორიული წრებრუნვა მივიწყებულს წინ წამოსწევს და წარსულის მტვერში იკვეთება საუკუნეებს მიღმა ჩარჩენილი სურათი – საფრანგეთის სამეფო კარზე დიპლომატიური მისიით წარმდგარი სულხან-საბა ორბელიანი. საოცარია, საერთოდ რატომ დათანხმდა მეფე-მზე ისეთი ქვეყნიდან ჩამოსულ უცხო ელჩთან შეხვედრას, რომლის მოძებნაც რუკაზე გაუჭირდებოდა. ნახევარი საუკუნით ადრე რომ ემოგზაურა სულხან-საბას საფრანგეთში, შესაძლოა თვით კარდინალ რიშელიესთან ჰქონოდა აუდიენცია. იქნებ მასაც უარით გაესტუმრებინა შავითმოსილი დესპანი, ან ორბელიანის დიპლომატიურ მცდელობას გარკვეული პოლიტიკური შედეგი მოჰყოლოდა ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის. არ გაუმართლა ქართველი ერის ჭირისუფალს: როცა სოფელ ტანძიაში მომავალი ეროვნული მოღვაწე დაიბადა, ფრანგი კარდინალი თექვსმეტი წლის გარდაცვლილი იყო.

საქართველოს ისტორიაში ცნობილია სხვა არაერთი სასულიერო პირი, ვისთვისაც ღვთის სამსახური არა მხოლოდ ლოცვა, მარხვა და ცოდვათა მიტევებაზე ზრუნვა, არამედ ულირს თანამემამულეთა მიერ დაკნინებული სამშობლოს სულიერი თუ ფიზიკური გადარჩენა და ქვეყნის პოლიტიკური სიძლიერის განმტკიცება ყოფილა. წარმატებულ მოღვაწეთა გვერდით ერისთვის თავდადებული, მაგრამ ჟამთა უკუღმართობის გამოისობით ვერშემდგარი ქართული გენიის ნიმუშებიც უხვად მოიძებნება ჩვენს წარსულში.

დღესაც ძნელბედობის პერიოდია საქართველოში. ხალხი, როგორც ყველგან, აქაც თითქოს მასაა – უსახო, მართული, მოვლენებისადმი ნაირგვარი დამოკიდებულებით. ზოგი უკან დახევას არ აპირებს, ზოგიც ზემოთ მთავრობას და გვერდით თანამოქალაქეს შეჰყურებს დაბნეული მოლოდინით. ნაწილს ამღვრეულ წყალში სინათლე ემირაჟება, სხვა ინდიფერენტულად მიჰყვება ყოველდღიურობას.

ჩვენში სიყვარულის სამინისტროს შექმნა ვერ მოასწრო ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ისე გამოაჩინა „ძმურ“ თათებში დამალული ბრჭყალები დიდმა რუსეთმა. ამიტომაც გაკრთა ჯორჯ ორუელისეული თვალთახედვა ქართველის შეგნებაში.

რაც გიორგი მერჩულემ გრიგოლ ხანძთელის დასახასიათებლად ბრძანა: „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“, ლაბრუიერის მიერ კარდინალ რიშელიეს პიროვნების შეფასების თავისუფალი თარგმანივით ჟღერს: „იგი იყო გენიოსი, რომელმაც მმართველობის უდიდესი საიდუმლო შეისისხლხორცა: ემსახურებოდა საზოგადოებრივ ინტერესებს და აღარ ახსოვდა პირადული“. ობერი რიშელიეს ადარებდა ჩირაღდანს, საკუთარ თავს რომ მსხვერპლად სწირავს სხვებისთვის სამსახურს.

კარდინალის პიროვნება ბევრში იწვევდა ისეთ მოწიწებასა და აღფრთოვანებას, როგორსაც, ჩვეულებრივ, მხოლოდ წმინდანებისადმი იჩენენ. სერ ჯონ ბაროუს მონოგრაფიაში აღწერილია მრავლისმეტყველი პატარა ეპიზოდი პეტრე პირველის პარიზში სტუმრობიდან. რუსეთის იმპერატორს შემდეგი სიტყვებით მიუმართავს რიშელიეს საფლავთან კარდინალის ქანდაკებისთვის: „დიდებულო ადამიანო! ჩემი სამფლობელოს ნახევარს დაგითმობდი იმის სანაცვლოდ, რომ მეორე ნახევრის მართვა გესწავლებინა“.

იმის მიუხედავად, რომ ორივე სასულიერო პირი ქვეყნის რელიგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდა, გრიგოლ ხანძთელი და კარდინალი რიშელიე ცა და დედამიწასავით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან: თავმდაბლობა პატივმოყვარეობის, უანგარობა მომხვეჭელობის პირისპირ. მიზანიც, თითქოს, მსგავსი ჰქონდათ: საკუთარი ქვეყნის გამთლიანება, გაძლიერება და ერთი ხელისუფლის, სუვერენის ნებას დაქვემდებარება, მაგრამ გზები და საშუალებები — რადიკალურად განსხვავებული.

ცალსახა დამოკიდებულება არასოდეს არსებობდა რიშელიეს მიმართ, არც მის სიცოცხლეში და არც გარდაცვალების შემდეგ. კარდინალი ზოგს სძულდა, ზოგი კი აღმერთებდა. დღემდე გრძელდება მსგავსი დამოკიდებულება ამ არაორდინალური პიროვნებისადმი, რომელსაც ერთდროულად ახასიათებდა როგორც შესანიშნავი თვისებები, ასევე უზარმაზარი ნაკლოვანი მხარე.

მონტესკიემ მას მშრალად და ლაკონიურად – „ცუდი მოქალაქე“ უწოდა. ალფრედ დე ვინიმ, რეალობის გვერდის ავლითა და XIX საუკუნისთვის დამახასიათებელი მგზნებარე რომანტიზმით, საფრანგეთის ყველა უბედურების სათავედ სწორედ რიშელიე დასახა თავის რომანში „სენ-მარი“. თავად მწერლისავე აღიარებით, იგი თავს რიშელიეს პირად მტრად გრძნობდა ისტორიული რომანის წერის პროცესში. პოეტურ დრამაში „მარიონ დელორმი“ ვიქტორ ჰიუგოს კარდინალი სისხლისმსმელ ტირანად გამოჰყავს და საფრანგეთის რეალურ მმართველად წარმოაჩენს, რომლის ფონზეც ლუდოვიკო XIII-ს სტატისტის ფუნქციაღა რჩება. იმ პერიოდის პარიზში საყოველთაოდ იყო ცნობილი ჰერცოგი დ'ეპერნონის ენამოსწრებული ხუმრობა: მეფემ ყველა საქმე კარდინალს გადააბარა და თავისთვის ერთადერთი მოვალეობა – ციებისგან განკურნება დაიტოვაო...

ისტორიკოსმა ჟიულ მიშლემ ხატოვანი ეპითეტი შეურჩია რიშელიეს – „სფინქსი წითელ მანტიაში“, რომლის ღია ნაცრისფერი თვალები თითქოს ამბობდნენ: „ვინც კი ფიქრს მიმიხვდება, უნდა მოკვდეს“. მიშლე ისეთი მონდომებით ილვწოდა კარდინალის პიროვნების ამოცნობის მიზნით, რომ მის ნაშრომებში არაერთი ორიგინალური გამონათქვამია. მკვლევრის დახასიათებით, რიშელიე იყო სული, რომელსაც „ოცი სხვა მაჯლაჯუნა“ სტანჯავდა და „მის შიგნით მყოფი ფურიები“ ნაფლეთებად გლეჯდნენ“. კარდინალის პოლიტიკური მოღვაწეობის შეჯამებისას, მიშლემ მას „სასოწარკვეთილების დიქტატორი“ უწოდა. ყველაფრის მიუხედავად, არავის დაუმახინჯებია ამ ამოუცნობი გენიოსის რეალური სახე ალექსანდრე დიუმა-მამის მსგავსად, რომლის სათავგადასავლო რომანის მსუბუქი ენა უმძიმეს დარტყმას აყენებს კარდინალის იმიჯს.

და მაინც, რიშელიეს პირადი მტრები (კარდინალი რეცი, ლაროშფუკო, ლაბრუიერი) ნაკლოვანი მხარის პარალელურად გამოკვეთდნენ გენიალური პოლიტიკოსის არაჩვეულებრივ გამჭრიახობასა და სახელმწიფოებრივი მიღწევების უდიდეს სპექტრს. რეცს რიშელიეს მიზნების სიდიადე იულიუს კეისრისა და ალექსანდრე მაკედონელის მიზანთა სიმაღლემდე აჰყავდა. კარდინალის გარდაცვალებიდან სულ ცოტა ხანში ლაროშფუკო ამტკიცებდა, რომ მინისტრის სისასტიკით გამოწვეული პირადი წყენა უფერულდებოდა კარდინალის მიღწევების დიდებულებასთან შედარებით,

რადგან ლა-როშელის დაცემა, ჰუგენოტების პარტიის განადგურება და ჰაბსბურგების დამარცხება, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ბევრად მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისთვის, ვიდრე უსამართლოდ დაჩაგრულთა ხვედრი.

XVII საუკუნის დასაწყისში საზოგადოებრივი აზრის პოლიტიკური მნიშვნელობა უაღრესად დიდად ფასობდა საფრანგეთში. აქსიომად ითვლებოდა მოსაზრება, რომ ხელმწიფე ერთნაირად უნდა მართავდეს ქვეშევრდომთა გონებასა და სხეულს. 1631 წელს კოლომბი წერდა: „მეფეთათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ღვთივკურთხეულის სტატუსი, აუცილებელია ამაში ქვეშევრდომების დარწმუნება". ამ მიზნის მისაღწევად მეფეს სჭირდებოდა მისი პოლიტიკისა თუ ინტერესების დამცველი მქადაგებლებისა და მწერლების მხარდაჭერა. ნოდიე თვლიდა, რომ ქვეშევრდომთა მეფისადმი მორჩილების მისაღწევად თორმეტ მქადაგებელს მეტის გაკეთება შეეძლო, ვიდრე ორ არმიას. რიშელიეს შესანიშნავად ესმოდა ეს საკითხი და ამიტომაც იქცა „ფრანგული აბსოლუტიზმის არქიტექტორი" ფრანგული პროპაგანდული მექანიზმის მთავარ ღერძად.

რიშელიე კარიერის დასაწყისშივე ცდილობდა მაქსიმალურად ზუსტად და სრულად გაერკვია ხალხის აზრი სახელმწიფო საკითხებთან დაკავშირებით. ამ მიზნით პამფლეტებს აგროვებდა, კინძავდა, არქივში ინახავდა, ადგენდა მათი ავტორებისა და მკითხველის ვინაობას. „პოლიტიკურ ანდერძში" კარდინალი ამბობს, რომ სხვებისგან განსხვავებით მას „ბევრის მოსმენის" ჩვევა ახასიათებს. რეცი რიშელიეს თვლიდა მსოფლიოში ყველაზე ინფორმირებულ მინისტრად. უმაღლესი თანამდებობის წყალობით, კარდინალს ხელი მიუწვდებოდა როგორც ათასგვარ ინფორმაციაზე, ასევე საკუთარი იდეების გავრცელების საშუალებებზეც. ობერის ცნობით, პრელატი რეგულარულად აგზავნიდა წიგნებით მოვაჭრეებს საზღვარგარეთ და ავალებდა, გაერკვიათ ვინ თხზავდა მასზე პამფლეტებს. დილიდანვე ღებულობდა კურიერებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, შემდეგ მდივანს გამოიძახებდა და ტიპოგრაფიაში გასაგზავნი მემორანდუმის ტექსტის მონახაზს ადგენდა. სანამ პონ-ნევზე მათი დაბეჭდვის ნებართვას გასცემდა, კარდინალი პირადად ამუშავებდა ახალ ამბებს მისთვის სასურველი კონტექსტით.

პამფლეტების შექმნაში რიშელიე სხვადასხვა როლს ასრუ-

ლებდა. ზოგჯერ მხოლოდ მთავარ იდეას ჩამოაყალიბებდა, ხანაც მისივე მითითებით დაწერილ ტექსტს ამუშავებდა. პროპაგანდაში შემთხვევით არაფერი ხდებოდა. ყველაფერი გულმოდგინედ ჰქონდა გათვლილი – ტექსტის კომპოზიციიდან დაწყებული შინაარსით დამთავრებული. ამგვარი დამუშავება კონკრეტული იდეის გავრცელებას ან სასურველი განწყობის შექმნას ისახავდა მიზნად. რიშელიე თვლიდა, რომ ეფექტურობისთვის უმჯობესი იყო ბევრი პატარა პამფლეტის შექმნა, ვიდრე ერთი სქელტანიანი წიგნის დაწერა. საკუთარი პოლიტიკისთვის საყოველთაო მხარდაჭერის მოსაპოვებლად საზოგადოებრივი აზრის კონტროლს ორი ხერხით აწარმოებდა: სასურველი აზრის გავრცელება და მის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკის ჩახშობა.

ანრი IV-ის მეფობის დროს ფრანგული პრესა შედარებით ფართო თავისუფლებით სარგებლობდა. რიშელიეს ეპოქაში ჟურნალისტიკა დესპოტური რეჟიმის წნეხის ქვეშ მოექცა. 1624 წელს გამკაცრდა ცენზურა. 10 ივლისის ბრძანებულებით აიკრძალა „სახელმწიფო საქმეებთან დაკავშირებული წერილების, მემუარებისა და ინსტრუქციების" ბეჭდვა სახელმწიფო მდივნის სპეციალური ნებართვის გარეშე. რიშელიეს მიერ გატარებულმა ზომებმა შედეგი გამოიღო – მისი მმართველობის პერიოდში საფრანგეთში გამოცემული პამფლეტების უმეტესობა ხელისუფლების აპოლოგიას ეწეოდა. საწინააღმდეგო აზრის შემცველი პამფლეტები უცხოეთიდან შემოდიოდა. რიშელიეს პოლიტიკის მხარდამჭერ პამფლეტთა უმეტესობაში, რომლებიც 1624-1627 წლებში გამოქვეყნდა, სამი ძირითადი თემა ფიგურირებს: მეფის ხელისუფლების ავტორიტეტის აღდგენა, ესპანეთისგან მტრის ხატის შექმნა და ფრანგ ფარისევლთა გაკრიტიკება.

კარდინალმა მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფის სტატუსი გაავრცელა ყველა ტექსტზე, რომელშიც ხელისუფლების კრიტიკა იყო მოცემული. ვინც მსგავსი შინაარსის თხზულებას დაბეჭდავდა ან ციხეში ამოყოფდა თავს, ან ეშაფოტზე. მსგავს „მჯღაბნელებზე" ნადირობა კარდინალის ჯალათად წოდებული ისააკ დე ლაფმას ფუნქციებში შედიოდა. რიშელიეს მინისტრობის პერიოდში ორი პამფლეტისტი დაისაჯა სიკვდილით.

მარია მედიჩის რეგენტობისა და გრაფ დე ლუინის ხანმოკლე ფავორიტობის პერიოდში, ლუდოვიკო XIII ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაკლებად ერეოდა, რაც საზოგადოებაში მის პოპულარობას მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა. თუ ადრე მცირეწლოვანების გამო ეპატიებოდა, მოგვიანებით მისი უმოქმედობა თითქმის ისეთივე პროტესტს აღძრავდა, როგორც მარშალ კონჩინისა და მისი კუდიანი თანამეცხედრის ელეონორა გალიგაის ქმედებები დედა-დედოფლის ხელდასხმით. რიშელიემ საკუთარი მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი მეფის არასახარბიელო იმიჯის გადაკეთებას მოანდომა.

რადგან გარდაცვლილი ანრი IV ხალხში ძველებურად პოპულარული რჩებოდა და ქვეშევრდომთა ყოფის გაუარესებასთან ერთად, სულ უფრო მეტად იდეალიზდებოდა, პამფლეტების ავტორებმა სცადეს მამის ლეგენდარული შარავანდედის გამოყენება შვილის სტერეოტიპის დასანგრევად. ამ მიზნით, სტატიებში ანრი IV საფრანგეთში მეფის ხელისუფლების აღმშენებლად, ლუდოვიკო XIII კი მისი მოღვაწეობის ღირსეულ გამგრძელებლად წარმოაჩინეს. ზოგადად ხელმწიფე ერის მამად და ამქვეყნად ღვთიური ნების აღმსრულებლად დასახეს. '

ლუდოვიკო XIII-ის იმიჯზე ზრუნვის პარალელურად, რიშელიეს მწერალთა გუნდს არ ავიწყდებოდა საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე ესპანური პატივმოყვარეობის გაკრიტიკება. ავტორები ესპანეთის მთავრობას ბრალს სდებდნენ მსოფლიო ბატონობის მცდელობასა და რელიგიური მრწამსით მანიპულირებაში. ქვეყნის დაუძინებელ მტერთან აზრთა თანაზიარობისთვის აკრიტიკებდნენ იმ ფრანგებსაც, რომლებიც, კათოლიციზმის დაცვის საბაბით, საფრანგეთის სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა რელიგიას აყენებდნენ და საკუთარი მეფის მოწინააღმდეგეს ემხრობოდნენ. პამფლეტის ავტორები მსგავს თვალთმაქც ფრანგებს ლიგერებს ადარებდნენ, ხოლო მთელმა საფრანგეთმა იცოდა, რომ კათოლიკური ლიგა მჭიდროდ თანამშრომლობდა სათაყვანებელი ანრი IV-ის მკვლელობაში ეჭვმიტანილ იეზუიტთა ორდენთან. მეფის ხელისუფლების მხარდამჭერ პამფლეტებში ამგვარად იკვრებოდა რიშელიესეული ლოგიკური წრე. ანრი IV-ის სიმბოლომ არა მხოლოდ ლუდოვიკო XIII სამართლიანს გამოუძერწა დადებითი იმიჯი, არამედ ბევრად უფრო კაშკაშა მეფე-მზის წინაპირობად იქცა.

საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას კარდინალი თავდაპირველად განახორციელებდა საფრანგეთში დაწერილი პამფლეტების შინაარსის გაკონტროლებითა და უცხოეთიდან გავრცელებულ კრიტიკულ პამფლეტებზე საპასუხო ტექსტების შექმნით. საწინააღმდეგო შინაარსის პამფლეტების უმეტესობა რიშელიესა და ლუდოვიკო XIII-ის მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკის მწვავე კრიტიკას წარმოადგენდა. ძირითადი ბრალდება, რომლის ფონზეც დანარჩენის გაშლა ხდებოდა, შეეხებოდა კათოლიკური, შესაბამისად, ერთმორწმუნე ესპანეთის წინააღმდეგ საფრანგეთის მიერ გადადგმულ პოლიტიკურ ნაბიჯებს პროტესტანტული სახელმწიფოების სასარგებლოდ. მსგავს არგუმენტს ფრანგი საზოგადოების განწყობასა და გონებაზე სახიფათო ზეგავლენის მოხდენა შეეძლო. მეფის მინისტრი ამას ვერ დაუშვებდა. ამიტომაც, კარდინალის მხარდაჭერით გავრცელებული პამფლეტების უმეტესობის მიზანი იყო ანტიესპანური განწყობილების გაღვივება საკუთარ მოქალაქეებში.

1625 წლის მაისში რიშელიეს დაკვეთით დაიწერა პამფლეტი „კათოლიკური სახელმწიფო". თხზულება მიზნად ისახავდა ფრანგული პოლიტიკური კურსის გამართლებას და ოპოზიციურად განწყობილთა მოსაზრების გაბათილებას იმის თაობაზე, რომ ესპანეთის წინააღმდეგ ომი და პროტესტანტულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა ღვთის ნების დარღვევას წარმოადგენდა. ერთხელ და სამუდამოდ რომ მოესპო თავისუფლად მსჯელობა პოლიტიკურ საკითხებზე, პამფლეტის ავტორი კატეგორიულად უარყოფდა როგორც მოქალაქეთა, ასევე თეოლოგთა უფლებას ეჭვის თვალით შეეხედათ მეფის ნებისმიერი პოლიტიკური ნაბიჯისთვის. მას მხოლოდ მეფისა და მისი მინისტრების პრეროგატივად მიაჩნდა სახელმწიფო საქმეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება, ხოლო ქვეშევრდომებს მათი დაბალი საზოგადოებრივი სტატუსი არ აძლევდა მართებულად განსჯის უნარსა და უფლებას.

თუმცა „კათოლიკური სახელმწიფოს" ავტორობას ყოფილ პროტესტანტს იერემია ფერიეს მიაწერენ, სტატიის პათოსი რიშელიესეულია: ხალხის მოვალეობაა მეფის მორჩილება და ერთგულება, მეტი არ მოეკითხება. შესაძლოა, საბოლოო რედაქტირება პირადად „წითელმა კარდინალმა" გაუკეთა ამ პამფლეტს და ამიტომაც იგრძნობა ფრაზებს შორის მისეული სულისკვეთება.

ესპანეთია როგორც თქვენი მეფის, ასევე თქვენი ღმერთის რეალური მტერი, მაშასადამე, თქვენი პირადი მტერიც – უმტკიცებდა პამფლეტის ავტორი ფრანგ ხალხს. საპასუხო რეაქციამ არ დააყოვნა და სამი თვის თავზე, 1625 წლის სექტემბერში საზღვარგარეთ გამოქვეყნდა პამფლეტი „გაფრთხილება ხელისუფალთათვის“. ეს იყო რიშელიეს საგარეო პოლიტიკის უვარგისობის ლოგიკურად დადასტურების მცდელობა. ძირითადი ბრალდება უცვლელი რჩებოდა: კათოლიკე ესპანეთის წინააღმდეგ ომის ფონზე პროტესტანტულ სახელმწიფოებთან პოლიტიკური თანამშრომლობა. პამფლეტის ავტორის ღრმა რწმენით, არავის ჰქონდა უფლება საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და მაღალი პოლიტიკური მიზნების საბაბით კათოლიკე ქრისტიანებისთვის ერეტიკოსებთან ურთიერთობა დაეძალებინა. თუ ხელმწიფე რწმენის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, მისი ქვეშევრდომები არ უნდა დამორჩილებოდნენ მირონცხებულის ახირებას.

მეფის სუვერენიტეტზე ამგვარი თავდასხმა უმძიმეს, თანაც სახიფათო დარტყმას აყენებდა მთლიანად ფრანგულ პოლიტიკას, რომელსაც რიშელიე გულმოდგინედ აკოწიწებდა წლების განმავლობაში. აბსოლუტიზმის არსებობა აბსოლუტურად დამორჩილებული მოქალაქეების გარეშე გამორიცხული იყო. ამიტომ, მსგავსი გამოწვევის უპასუხოდ დატოვება არ შეიძლებოდა. პრემიერ-მინისტრს სასწრაფოდ უნდა მოეხდინა სათანადო რეაგირება.

რიშელიეს დაკვეთითა და კონსულტაციით ფრანსუა ლანგლუამ საპასუხო პამფლეტი „გარდასულ დღეთა სარკე“ შექმნა. ფრანგული პოლიტიკის მართებულობის დასადასტურებლად ავტორმა თავის მართლების ნაცვლად კონტრშეტევის ხერხი გამოიყენა.

პამფლეტში ფარისევლები დადანაშაულებულნი იყვნენ რელიგიის სახელით სახელმწიფოს ნგრევაში, რადგან ხელს უწყობდნენ ესპანური ჰეგემონიის დამკვიდრებას. ლანგლუამ ისინი ლიგერებს შეადარა, ნათქვამს კი კათოლიკური ლიგის მოღალატეობრივი ქმედებების გრძელი ჩამონათვალი მოაყოლა. ხალხი შესაძლოა ფარისეველთა ცრუპატრიოტული სულისკვეთების ანკესზე რელიგიური სიბეცის გამო წამოგებულიყო და სამომავლო საფრთხე დროულად ვერ განეჭვრიტა. ამიტომ წარსულის შეცდომათა ფონზე უნდა შექმნილიყო რიშელიესთვის სასურველი საზოგადოებრივი აზრი,

რაც ლანგლუამ საკმაოდ ეფექტურად მოახერხა. მის სტატიას მოჰყვა პამფლეტების სერია სხვათა ავტორობით და ძველებურად, კარდინალის ზედამხედველობით.

რთულია ცალსახად მიხვდე, რით იყო მოტივირებული კარდინალ რიშელიეს ქმედებანი. შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, იგი ერთდროულად პირადულზეც ზრუნავდა და საქვეყნოზეც. ფაქტია, რომ სწორედ ამ უნიჭიერესი პოლიტიკოსის წყალობით წამოიმართა ფეხზე საფრანგეთის სახელმწიფო და საუკუნეებს გადასწვდა წარმატებულ ნაბიჯთა შედეგები. ამავე დროს, რიშელიეს ზეაღსვლას ბევრი პრივილეგია მოჰყვა როგორც თავად მისთვის, ასევე მისი ოჯახისა და სამეგობროსთვისაც.

„გასულელებულთა დღის“ შემდეგ კარდინალმა ძალაუფლების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, თუმცა მთელი სიცოცხლე მოპოვებული მდგომარეობის შენარჩუნებისთვის ბრძოლასა და ინტრიგების ხლართვას შეალია. მას მშვენივრად ესმოდა, რომ მეფის დროებითი კეთილგანწყობა საკუთარი უსაფრთხოების გარანტად ვერ გამოადგებოდა: ლუდოვიკოს იგი არ უყვარდა, მხოლოდ სჭირდებოდა.

თავისი ადმინისტრაციის განდიდების მიზნით საფრანგეთის პირველი მინისტრი იმ ეპოქის ყველა დანარჩენ პოლიტიკურ მოღვაწეზე მეტ ავტორს იყენებდა. მათ შორის იყვნენ მატიე მორგი, ფრანსუა ლანგლუა სიერ დე ფანკა, ფრანსუა დე ბუარობერი, პოლ დუ შასტელე, ჟან შაპლენი.

მატიე მორგი თავიდან კარდინალის მომხრე იყო, მაგრამ „გასულელებულთა დღის“ შემდეგ მის ერთ-ერთ ყველაზე გააფთრებულ მოწინააღმდეგედ და კრიტიკოსად გადაიქცა.

ფრანსუა ლანგლუა რიშელიეს პრესმდივნის მოვალეობას ასრულებდა, თანამოკალმეების გადაბირებას აწარმოებდა და სათანადო ინსტრუქტაჟს უტარებდა. ლანგლუა იდეების უშრეტი წყარო იყო, თანაც, საზღვარგარეთ ბევრი სასარგებლო კონტაქტი გააჩნდა. მის პამფლეტებში კრიტიკის ძირითად სამიზნეებს წარმოადგენდა ესპანეთი და ფრანგული ოპოზიცია. ათწლეულების განმავლობაში ფრანსუასთან საუბარს ყოველდღიურად ორი-სამი საათი ეთმობოდა კარდინალის უკიდურესად გადატვირთულ გრაფიკში.

ქალაქ რუანში ხანმოკლე საადვოკატო კარიერის შემდეგ, პროტესტანტობა კათოლიკობით შეიცვალა ფრანსუა დე ბუარობერმა, პარიზში წავიდა და სამი წლის თავზე სამეფო კარის პოეტი და კარდინალის ლიტერატურული აგენტი გახდა. სწორედ მან მიაწოდა რიშელიეს საფრანგეთის აკადემიის შექმნის იდეა.

მარკიზი დუ შასტელე ყოფილი პარლამენტარი და საფრანგეთის აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. სწორედ პოლს იყენებდა კარდინალი, როცა პირადად მის წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკაზე პასუხის გაცემა სჭირდებოდა.

შაპლენს ოფიციალური პოეტის სტატუსი ჰქონდა მალერბის სცენაზე. რიშელიესადმი თავისი ერთგულების ხაზგასასმელად, კარდინალს იგი „ღვთაებრივ ადამიანს" უწოდებდა.

1635 წლის 22 თებერვლიდან რიშელიეზე მომუშავე მწერლების ჯგუფი უკვე ოფიციალურად გაფორმდა ახლად შექმნილი ფრანგული აკადემიის ფარგლებში. თუმცა აკადემიის დაარსება მიზნად ისახავდა საფრანგეთის გონებრივი და მხატვრული პრესტიჟის ამაღლებას, მას ფარული პოლიტიკური ფუნქციაც გააჩნდა. შაპლენის ცნობით, რიშელიეს მიაჩნდა, რომ მხოლოდ მისი ერთგული მსახურები უნდა ყოფილიყვნენ აკადემიის წევრები. მათ ევალებოდათ კარდინალის გამოსვლის ტექსტების შესწორება, მისი თეოლოგიური თხზულებების გადამოწმება და მხარდამჭერი პამფლეტების წერა. თანამედროვე გაგებით, რიშელიემ საკუთარ თავს შეუქმნა speechwriter-ების წინამორბედთა ჯგუფი, თუმცა ოფიციალურად ისინი ეროვნული მნიშვნელობის თანამდებობაზე გააფორმა. რა თქმა უნდა, აკადემიის პირადი მიზნებისთვის გამოყენება საზოგადოების უკმაყოფილოებას იწვევდა. პარლამენტი შეაშფოთა ამგვარმა რეაქციამ და იძულებული გახდა აკადემიის რეგისტრაცია დროებით შეეჩერებინა. თუმცა ხელისუფლება უარყოფდა აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ მიზანს, საზოგადოება მაინც დიდხანს იყო სკეპტიკურად განწყობილი. ამის დასტურია იმ პერიოდში გავრცელებული ხმები, რომ აკადემიკოსები კარდინალის ქმედებათა უპირობო მხარდაჭერაში იღებდნენ ფულს. აკადემიის დანიშნულების ყველაზე მწვავე კრიტიკოსად მატიე დე მორგი გამოდიოდა.

1630-იანი წლები აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენით – ფრანგული ოფიციალური პრესის შექმნით. რიშელიეს

ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში უკვე არსებობდა 1605 წელს წიგნით მოვაჭრე ძმები რიშეების მიერ დაარსებული ჟურნალი „ფრანგული მერკური“ («Le Mercure François»). ეს იყო სამეფო კარის ცხოვრებასთან დაკავშირებული ამბების ოფიციალური კრებული. 1624 წლიდან გარდაცვალებამდე (1638 წ.) ჟურნალს კურირებდა მამა ჟოზეფი, მეტსახელად „რუხი კარდინალი“. რადგან ეს გამოცემა წელიწადში მხოლოდ ერთხელ გამოდიოდა, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მიზნით მისი გამოყენების შესაძლებლობები შეზღუდული იყო. საჭირო შეიქნა ისეთი გაზეთის არსებობა, რომელიც უფრო ხშირი პერიოდულობით გამოვიდოდა. 1631 წლის 30 მაისს გამოჩნდა ყოველკვირეული გამოცემა «La Gazette», რომელიც შაბათობით იბეჭდებოდა. მისი დამაარსებელი იყო თეოფრასტ რენოდო, ლუდოვიკო XIII-ის პირადი ექიმი და ფილანტროპი.

«La Gazette» არ იყო პირველი გაზეთი. მას ოთხი თვით წინ უსწრებდა ყოველკვირეული „სხვადასხვა კუთხის ჩვეულებრივი ახალი ამბები“ («Nouvelles ordinaires de divers endroits»), რომელსაც გამომცემელთა და წიგნით მოვაჭრეთა კორპორაციის წევრები – ლუი ვანდომი და ჟან მარტენი კურირებდნენ. «Nouvelles ordinaires»-ის დამაარსებლებმა საქმე აღძრეს რენოდოს წინააღმდეგ. ახლად გამომცხვარი მეგაზეთე დახმარებისთვის რიშელიეს მიადგა და 18 ნოემბერს ახალი ამბების დაბეჭდვაზე ექსკლუზიური უფლება მოიპოვა. მისი პრივილეგიები 1635 წლის თებერვალში პარიზის პარლამენტის მიერ მიღებულმა სპეციალურმა დადგენილებამ დააკანონა.

თავდაპირველად «La Gazette» ოთხგვერდიანი იყო. შემდეგ რვა გვერდამდე გაიზარდა, ბოლოს კი თორმეტგვერდიანად იქცა. ფასის გამო (თორმეტგვერდიანი ნომერი ოთხი სუ ღირდა), ამ გაზეთის შეძენა ფრანგების უმრავლესობას არ შეეძლო. თუმცა შედარებით იაფი ყოველთვიური გადასახადის საშუალებით, დაინტერესებული მოქალაქეები გაზეთის ახალ ნომერს მაღაზიაშივე ან ახალ ხიდზე ჯიხურში კითხულობდნენ.

1631 წელს რენოდომ გასული წლის «La Gazette»-ის ყველა ნომერი ერთად აკინძა და კრებულის სახით გამოსცა. ეს იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ მომდევნო წლებშიც ასე მოიქცა. 1644 წლისთვის რენოდოს უკვე ოთხი ტიპოგრაფია ჰქონდა. როცა სამი

მათგანი სრული დატვირთვით მუშაობდა, «La Gazette»-ის 1200-დან 1500-მდე ეგზემპლარის დაბეჭდვა შეეძლო ყოველდღიურად. იმ ეპოქაში ეს რაოდენობა სარეკორდო ტირაჟს წარმოადგენდა.

რიშელიეს გარდაცვალებიდან მცირე ხანში რენოდოს ექსკლუზივის უფლება ჩამოერთვა გაზეთის გამოცემაზე. მისი სამედიცინო კარიერაც საკმაოდ შეიზღუდა პარიზში. ახალმა კარდინალმა მაზარინიმ საფრანგეთის სამხრეთში გამოუძებნა სხვა სამსახური და დელიკატურად მოიცილა რენოდო თავიდან. «La Gazette» არსებობას კიდევ დიდხანს განაგრძობდა.

ფრანგული და, ამავე დროს, მსოფლიო პოლიტიკური პრესის სათავეებთან, რიშელიემ თქვა: „თუკი მომცემთ უპატიოსნესი ადამიანის მიერ დაწერილ ექვსიოდე სტრიქონს, მათში შევძლებ ისეთი რამის აღმოჩენას, რომ ჩამოხრჩობა მიესაჯოს“. მრავლისმეტყველი ლაკონიურობითა და სასტიკი ირონიით გამოხატა კარდინალმა სიტყვის ძალისა და მნიშვნელობისადმი საკუთარი დამოკიდებულება.

რიშელიე, რომელმაც კარიერა სამხედრო ასპარეზისთვის მზადებით წამოიწყო, ღრმადმორწმუნე ბუნებისა და მიუხედავად რელიგიურობის ბოლომდე ღვთისმსახურად ვერ ჩამოყალიბდა. მით უმეტეს, არასდროს ყოფილა უანგარო ქვეშევრდომი მისივე შექმნილი მეფის ხატებისა. იგი, ნაშუადღევის ჩრდილივით, პატრონზე დიდი გახლდათ პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით. ამიტომაც დააგროვა უზარმაზარი ქონება.

ჟიულ მიშლეს სარკასტული შეფასებით, რიშელიე „ბოროტების ჩადენისთანავე გულკეთილი ხდებოდა“. კარდინალი წმინდანი არასდროს ყოფილა, არც, უბრალოდ, ადამიანად დარჩენა უცდია ოდესმე. ალბათ, მართებულია მას ვუწოდოთ პოლიტიკური ანგელოზი, რადგან გამორიცხულია იმაზე უფრო სუფთა დარჩე ამ ბინძურ თამაშში, ვიდრე არმან დე სანსემ შეძლო. წინააღმდეგობებით აღსავსე მისი გენია იდეალურად უთავსებდა პირადულსა და საქვეყნოს. ნამდვილი რიშელიე შინაგანად და გარეგნულადაც ორბუნებოვანი იყო: აბჯარასხმული და კარდინალის წითელმანტიამოხვეული, როგორიც ნაჩვენებია ანრი მოტის ცნობილ ტილოზე „ლა-როშელის ალყა“.

შეუძლებელია ამ არაორდინალური მოაზროვნის პოლიტიკურ

ამბიციებში ბრმა ფანატიზმის დანახვა. ბედმა ქვეყნის მართვის სადავეები ჩაუგდო ხელში და რიშელიემაც საკუთარ შესაძლებლობებს მოუწყო პატივმოყვრული გამოცდა. ამის პარალელურად, საფრანგეთსაც მიხედა იმდენად, რამდენადაც ეს ძალაუფლების შესანარჩუნებლად სჭირდებოდა. მეფეც იოლად დაარწმუნა თავის შეუცვლელობაში. სხვა რითი უნდა აიხსნას, რომ აბსოლუტიზმის მაშენებელ სამეფოში მეფის საძულველი კარდინალი თვრამეტი წელი თავის ნებაზე ატრიალებდა დიდსა თუ პატარას, თვით მირონცხებულის ჩათვლით, და მხოლოდ სიკვდილმა შეაჩერა მისი ზეალსვლა...

უაღრესად „ინფორმირებული“ პრელატის პირადი ბიბლიოთეკა 6000-ზე მეტ ტომს მოიცავდა. სიკვდილის წინ ეს წიგნები მან სორბონის უნივერსიტეტს უანდერძა. წლების შემდეგ კარდინალის გულუხვი საჩუქარი საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა. ლოგიკურია, რომ დღეს მისი ნეშტი სორბონის ეკლესიაში განისვენებს.

კარდინალი რიშელიე „მკვდარიც კი იმდენად საშიში ეჩვენებოდათ მტრებს, რომ ვერავინ ბედავდა მის გარდაცვალებაზე ხმამაღლა საუბარს ვერც საფრანგეთში, ვერც საზღვარგარეთ. ფიქრობდნენ, რომ ბოროტებისა და არაჩვეულებრივი ნებისყოფის წყალობით იგი იმქვეყნიდან დაბრუნებასაც შეძლებდა“. რამდენიმე საუკუნე დასჭირდა მისი აჩრდილისადმი ბრმა შიშის განელებას საზოგადოებაში.

ისტორიამ ზოგჯერ ბოროტი ხუმრობაც იცის: მაშინ, როცა ინგლისის საზოგადოება ეტაპობრივად მიემართებოდა რევოლუციისკენ, რომელსაც მონარქიის კრომველის რესპუბლიკით დროებითი ჩანაცვლება მოჰყვა, საფრანგეთში აბსოლუტიზმის ეპოქა ყვაოდა და მას კარდინალმა რიშელიემ ჩაუყარა საფუძველი. ჟამთასვლის ირონია მოგვიანებით გამოვლინდა, როდესაც საფრანგეთის რევოლუციურმა ტალღამ არა მხოლოდ ლუი XVI, მარია-ანტუანეტა და მათი სამეფო კარი წალეკა, არამედ მთლიანად ფრანგული მონარქიის ისტორიას დაუპირა ალგვა პირისაგან მიწისა. საბოლოოდ, დიდ ბრიტანეთში კონსტიტუციური მონარქიის ფარგლებში სიმბოლურად მოხერხდა მეფისა და დედოფლის სტატუსთა შენარჩუნება, ხოლო რიშელიეს ნაოცნებარს წერტილი დაუსვა რესპუბლიკურმა წყობამ.

საფრანგეთის რევოლუციის დროს კარდინალის ნეშტი საფ-

ლავიდან ამოთხარეს სხვაგან გადატანის მიზნით. მისი თავის მუმიფიცირებული წინა მხარე ვიღაცამ მოიპარა. 1796 წელს დაკარგული ნაწილი ბრეტანის მკვიდრ ნიკოლა არმესთან აღმოჩნდა, რომელმაც საჯაროდ გამოფინა. შემდეგ თავის ძმისშვილს ლუი-ფილიპ არმეს უანდერძა. ლუი-ფილიპმაც რამდენჯერმე მოაწყო ნაწილის სახალხო ჩვენება და მის მეცნიერულ გამოკვლევაზეც დათანხმდა. 1866 წელს ნაპოლეონ მესამემ არმე აიძულა რიშელიეს სახე სახელმწიფოსთვის გადაეცა, მისი გარდაცვლილის სხეულისთვის დაბრუნების მიზნით.

რევოლუციებს არეულობა და მსხვერპლი მოსდევს. ეს კანონზომიერებაა. თუმცა სენ-დენის დარბეული სამეფო საძვალის ისტორია განსაკუთრებულად შემზარავია. ვარლამ არავიძის ხეზე მიყუდებული ნეშტის ფონზე იოლი წარმოსადგენია, რომ გამწარებულმა ადამიანმა გაუგონარი შეიძლება ჩაიდინოს, მაგრამ წინაპრის სხეულის დაბალზამებული ნაგლეჯის სუვენირად გამოყენება ჰანიბალ ლექტერის ფსიქოპატურობას წააგავს. იქნებ, ჟილ დე რეცის თქმულებებზე აღზრდილთათვის მსგავსი საქციელი, უბრალოდ, ლეგენდის გაგრძელებად აღიქმებოდა.

რაც კი სამყაროში ცოდვა არსებობს, ქართველებს ბევრი არაფერი დაკლებიათ. და მაინც, სულის მცირე ნათელს არ თმობს „ბედნიერი ერი“. გადარჩენამდე ჯერაც შორია, კიდევ რამდენიმე ისტორიული ნაბიჯია საჭირო. ამის მიუხედავად, ერს შეუძლია იამაყოს, რომ ომსა და ჭირში ადამიანურობას ინარჩუნებს, ცრემლებს მიღმა გონსა და ნიჭს ამჟღავნებს, იარაღით მოსულ მტერს უიარაღობის გამო არ უშინდება და სხვა თუ ვერაფერი მოიხელთა, იუმორით აღიჭურვება. შესაძლოა არჩევანის თავისუფლება წაართვან ერს, მაგრამ არჩევანის გაკეთება მაინც ყველას მოუწევს, ოღონდ — სათითაოდ. ისტორიაში არსებობს მომენტები, როდესაც მარცხნივ გადახვევა სწორი ნაბიჯი გამომდგარა: რადგან ზოგი „აგრე ავის საქმის ქმნაზე დამკვიდრებულა, თქვენ კი ნუ აჰყვებით, კარგი ქმენით და მაგას იმ მყვარსავით დაემართება“, სამკვიდრო რომ ვერ დაუტევა. რა გვითხრა დიდმა წინაპარმა „იხვისა და მყვარის“ არაკით — დაქცეულ სამშობლოში დარჩით თუ გენის გადასარჩენად დროებით მაინც უცხოეთს შეეხიზნეთო?

ტრიანონის საიდუმლოებანი

„რა საყვარელი ხართ! რომ გავიზრდები, ცოლად შეგირთავთ!“ – როდესაც პატარა მოცარტმა, ბავშვური აღტაცებითა და პირდაპირობით, ამგვარად გადაუხადა მადლობა საფრანგეთის მომავალ დედოფალს მარია-ანტუანეტას, ვერავინ განჭვრეტდა იმ სავალალო აღსასრულს, რომელიც ბედისწერას გამზადებინა მშვენიერი ასულისთვის. არც მოგვიანებით სჯეროდათ ვერსალის დიდებულ დარბაზებში რევოლუციის საფრთხის, თორემ რამეს იღონებდნენ. სასახლიდან სხვაგვარად აღიქმებოდა პარიზი, თუკი საერთოდ ჩანდა. ზოგიერთს მგონი დღესაც სჯერა, რომ საფრანგეთის სამეფო ოჯახის ყველა უბედურება ჰოუფის ცისფერი ბრილიანტის საშინელი წყევლის შედეგია.

რაღაც ავის მომასწავებელი, თითქოს, დაბადებისთანავე დაჰყვა ავსტრიელი გოგონას ბედისწერას. სწორედ იმ წუთებში, როცა იგი ამ ქვეყანას მოევლინა, მისი მომავალი ნათლიები – პორტუგალიის მეფე და დედოფალი ლისაბონში მოვარდნილ ცუნამს გაურბოდნენ დედაქალაქიდან. ევროპის ყველაზე დიდმა სტიქიურმა უბედურებამ 30 ათასი პორტუგალიელის სიცოცხლე იმსხვერპლა. დაბადების თარიღი – 2 ნოემბერი კათოლიკური კალენდრით მიცვალებულთა დღეს დაემთხვა, რომლის დროსაც ძაძებით მოსილ ეკლესიებში სულის მოსახსენებელი წირვები ტარდებოდა. ამის გამო პატარა ანტონიას დაბადების დღეს წინა დღით იხდიდნენ, რომელიც ყველა წმინდანის დღესასწაულისთვის დამახასიათებელი თეთრისა და ოქროსფერის ნათელით იყო აელვარებული. თითქოს ეს არ ეყოფოდა უბედურ დღეზე გაჩენილ მეთხუთმეტე შვილს, ორსაუკუნოვანი ინტერვალით მის ძარღვებში შოტლანდიის დედოფლის მარია სტიუარტის სისხლიც ჩქეფდა. მარია-ანტუანეტასთვის „ვერსალის ზეცას ეხურა ამაოების ღრუბელი“, ვინაიდან გილიოტინა უნდა გამხდარიყო მისი უკანასკნელი ნავსაყუდელი.

1768 წლის ივნისში საფრანგეთის სამეფო კარს წარუდგინეს 19 წლის მარია-ტერეზა-ლუიზა დე სავუა-კარინიანი, პრინც ლამბალის ნორჩი ქვრივი.

1770 წელს ტახტის მემკვიდრე, მომავალი ლუდოვიკო XVI დაქორწინდა 14 წლის მარია-ანტუანეტა ავსტრიელზე. გოგონამ ერთი სიტყვაც არ იცოდა ფრანგულად. მომავალი მეუღლე პირველად ქორწილის დღეს ნახა. მორცხვი, ჩასუქებული და ოჯახის შექმნისთვის მოუმზადებელი დოფინი ცოლს თავაზიანად ექცეოდა, მაგრამ მუდამ საბაბს ეძებდა, რომ მისი საზოგადოებისთვის თავი აერიდებინა.

მარია-ანტუანეტა და პრინცესა ლამბალი მალე დამეგობრდნენ და დროს ერთად ატარებდნენ. იმ პერიოდის გაზეთები, მემუარები და მაღალი წრის ცხოვრების ქრონიკები დაუსრულებლად აღწერდა წვეულებებს, სამეფო სადილებს, საღამოებს ოპერაში, ეტლით გასეირნებებს. მსგავს ღონისძიებებზე ეს ქალბატონები ერთად ჩნდებოდნენ და დაუფარავად გამოხატავდნენ ურთიერთსიმპათიას. ისინი დებივით განუყრელნი გახდნენ. იმ შორეულ, ბედნიერ წლებში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამ ორი ახალგაზრდა ქალის ბედიც გადაიჯაჭვებოდა და მათი ტრაგიკული აღსასრულიც უცნაურად დაუკავშირდებოდა ერთმანეთს.

პრინცესა ლამბალის ცხოვრება აქტიური, თვალისმომჭრელი და ზედმეტად წარმატებული იყო. იქნებ, იგი თავისი ახალგაზრდობისა და გულუბრყვილობის მსხვერპლი აღმოჩნდა. ხალხური სიბრძნე გვასწავლის, რაც უფრო მაღლა ახვალ, მით უფრო მძიმედ დაეცემიო. ისტორიული გამოცდილებითაც, პირველი ისარი მეფის გვერდით მდგომს ხვდება. პრინცესამ ეს ან არ იცოდა, ან დაავიწყდა, თორემ ცოტა უფრო გონივრულად მოიქცეოდა. შესაძლოა, მას არ ახასიათებდა მომავალზე ზრუნვის მოთხოვნილება და დიდებულის ფუქსავატი უზრუნველობით ტკბებოდა კარს მომდგარი წარმატებებით. მიზეზის დადგენა დღეს ძალიან ძნელია. უფრო საინტერესოა, თუ როგორი გულმოდგინებით შეუქმნა მყარი სტერეოტიპი XVIII საუკუნის ფრანგულმა პრესამ პრინცესას და მის გვირგვინოსან დობილს, რისი გაბათილებაც ხალხის თვალში ველარაფერმა შეძლო.

1775 წლის თებერვალში ლუდოვიკო XVI-მ ვერსალის ერთ-ერთი სასახლე – მცირე ტრიანონი მეუღლეს გადასცა. მარია-ანტუანეტასთან ერთად ახალ ადგილას მოეწყო ლამბალიც, რომელმაც მალე მეტად საპატიო, მაღალი თანამდებობა მიიღო. იგი სამეფო კარის მთავარი მმართველი გახდა. ახალი პოსტი არა მხოლოდ ოფიციალურ ძალაუფლებას სძენდა, არამედ დიდი შემოსავლითაც უზრუნველყოფდა პრინცესას. ითვლება, რომ სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო მისი რეპუტაციის შემლახველი კამპანია, რომელშიც პარიზის ბულვარული პრესა აქტიურად ჩაერთო.

მოშურნეს რა გამოლევდა, მით უფრო საფრანგეთის გარყვნილ სამეფო კარზე. პრინცესას მტრები გაუჩნდნენ, რომლებიც გულმოდგინედ აწვდიდნენ მეგაზეთეებსა და ქრონიკათა ავტორებს ყველაზე ბინძურ ჭორებს პიკანტური დეტალებით. თავის მხრივ, ჟურნალისტები უფრო ბუქავდნენ და აზვიადებდნენ მოპოვებულ ინფორმაციას, მერე კი შესაშური ოპერატიულობითა და ექსკლუზივის პრეტენზიებით ბეჭდავდნენ სტატიებს ლამბალის შესახებ. პუბლიკაციათა ავტორების მტკიცებით, ეს ქალბატონი „უვიცი, ბრიყვი, მფლანგველი, ინტრიგანი, ამპარტავანი და დამცინავი“ იყო. მსგავსმა მასალებმა საშინელი რეპუტაცია შეუქმნა ახალგაზრდა ქალს მკითხველის თვალში. იმ პერიოდის ფრანგული პრესა არავის ესხმოდა თავს ისეთი გაავთრებით, როგორც ლამბალს. რადგან პრინცესა განუყრელად თან ახლდა მარია-ანტუანეტას, ორივეს იმიჯი ერთნაირად ზარალდებოდა მაშინაც, როცა პუბლიკაციის ძირითადი „მსხვერპლი“ დედოფალი კი არა, სამეფო კარის მთავარი მმართველი იყო. საბოლოოდ, პარიზული პრესის ასეთმა აქტიურობამ მეგობრებს ფრანგი ხალხის უსაზღვრო სიძულვილი მოუტანა.

ძნელი სათქმელია, გაფუჭებული რეპუტაციის შედეგი იყო თუ პრინცესა მართლა ზღვარს გადავიდა. დიდებულები მას უფლებათა გადამეტებაში სდებდნენ ბრალს და „სამეფო კარის დესპოტიზმში“ ადანაშაულებდნენ. ენერგიული ახალგაზრდა ქალი მხოლოდ და მხოლოდ ეტიკეტის ზედმიწევნით დაცვას მოითხოვდა მათგან. საბოლოოდ, დედოფლის მოთმინების ფიალაც აივსო. 1777 წელს სამეფო კარის მთავარ მმართველს გვირგვინოსანმა დობილმა აღარ შეხედა მოწყალე თვალით. ჰერცოგინია დე პოლინიაკის სწრაფი დაწინაურებით თუ ვიმსჯელებთ, ამ ქალბატონსაც წვლი-

ლი უნდა მიუძღოდეს ლამბალის დაცემაში. როგორც კი ჩრდილში მოექცა, პრესის შემოტევები პრინცესას მისამართით შეწყდა.

დედოფალი, მისდა სამწუხაროდ, ვერსად გაექცეოდა საზოგადოების ავყიობას. ქართული ბრძნული გამონათქვამი — ხალხის ყბაში მტერი ჩავარდაო, საფრანგეთის ავსტრიელი დედოფლის ბედუკუღმართობის გასაღებია. თვითონ წლების შემდეგ გააანალიზა საკუთარი ქარაფშუტული უდარდელობა, რითაც გამოუცდელმა გოგონამ უნებურად, თუმცა მეთოდურად გაიფუჭა ისედაც უვარგისი იმიჯი. ქვეშევრდომებმა წინასწარი მტრული დამოკიდებულების გამო საშინელი სტერეოტიპის ტყვეობაში გამოკეტეს მარია-ანტუანეტა, რომელსაც ეგონა ტრიანონში დაემალებოდა სუვერენის მეუღლის მკაცრ მოვალეობებს. სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში მხოლოდ გამოცდილებით დამძიმებულ-დაბრძენებულმა გონებამ მიახვედრა ყოფილი დედოფალი, რომ მეფე-მზის ეპოქის დრომოჭმული ტრადიციების ბრმად აყოლა არ აპატია საფრანგეთმა. ავსტრიის დემოკრატიული სამეფო კარის წესებს შეჩვეული გაფრანგებული დედოფალი ბოლომდე უცხოს სტატუსს ატარებდა. კარგს მოიმოქმედებდა, ცუდს თუ საერთოდ გაერიდებოდა ჩარევას, ყველაფერი მის წინააღმდეგ ტრიალდებოდა პოლიტიკურ სამსჯავროზე.

დედოფლის რეპუტაციის ნგრევის მიზნით წლობით წარმოებული კამპანია ეფექტურად დააგვირგვინა ბრილიანტის ყელსაბამის ისტორიამ. ხელოვნურად შეთითხნილმა სკანდალმა ბურბონების დინასტიის დისკრედიტირებასაც შეუწყო ხელი და საფრანგეთის რევოლუციის გამომწვევ მიზეზთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა.

მამამთილის საყვარლისთვის დამზადებული სამკაული ორჯერ შეაძლიეს იუველირებმა მარია-ანტუანეტას და ორივეჯერ უარი მიიღეს. უგემოვნო, დიდი ზომის, ძვირადღირებული ნივთი ვერც საზღვარგარეთ შეასაღეს ვინმეს მისმა შემქმნელებმა და საფრანგეთში დააბრუნეს. ანგარების მიზნით, ყელსაბამის საქმეში ავანტიურისტი ჟანა დე სენ-რემი დე ვალუა ჩაერთო და ინტრიგებით სავსე ცოცხალი სპექტაკლი დადგა. საბოლოოდ, ტყუილის ყველა მონაწილე გამოაშკარავდა, სასამართლოს წინაშე წარსდგა და დაისაჯა, მაგრამ სრულიად უდანაშაულო მარია-ანტუანეტა დაზარალდა მათზე მეტად. საზოგადოებრივი აზრი არა ვიღაც ცრუ-

პენტელა ჟანას, როსკიპი ნიკოლის ან ბრიყვი კარდინალი როჰანის ბრალეულობის დადასტურების საფუძველზე ჩამოყალიბდა. არამედ მასის ბოროტი ფანტაზიის საშუალებით უკიდურესად გაშალა ფრთები: მტყუანია თუ არა, დედოფალი რაღაც დოზით მაინც დამნაშავეაო, ასე გადაწყვიტა ხალხმა.

ბრილიანტის ყელსაბამის ამბავმა მარია-ანტუანეტას მოსახლეობის სიძულვილი მოუტანა და მანიპულატორი, ინტრიგანი ქალის ყალბი იმიჯი ჩამოუყალიბა, რომელსაც პირადი ინტერესებისთვის ფულის უაზროდ ფლანგვა ერჩია თანხის გონივრულად განკარგვას ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ფრანგების ზიზღი კიდევ უფრო გამყარდა, როცა ჟანამ საფრანგეთის ციხიდან გაპარვა შეძლო, ინგლისში გაიქცა და საგაზეთო სტატიებში არამხოლოდ ყელსაბამის ავანტიურასთან დაკავშირებით „ამხილა" დედოფალი, მასთან სასიყვარულო ურთიერთობებზეც უამბო მკითხველს. მართალია, თავადვე აღიარებდა, წმინდა წყლის მხატვრული შემოქმედება დავბეჭდეო, მაგრამ ასეთი უმნიშვნელო დეტალისთვის ფრანგ მორალისტებს ყურადღება არ მიუქცევიათ. მარია-ანტუანეტას ამორალურობით გამოწვეულ აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ფრანგულმა საზოგადოებამ გაიხსენა მცირე ტრიანონში მოწყობილი ღრეობებისა და ორგიების პიკანტური სცენები, რომლებიც ისეთი ოსტატობით გაეცოცხლებინათ პარიზელ „სიტყვითხუროებს", რომ უშუალო დასწრების ეფექტის შეგრძნება გასჩენოდა მკითხველს. პამფლეტისტებისა და კარიკატურისტების წყალობით პრინცესა ლამბალსა და ჰერცოგინია პოლინიაკს დედოფალთან მეგობრობაზე უფრო ახლო ურთიერთობა დაუკანონდა.

მარია-ანტუანეტა ერთ-ერთ წერილში იოლანდა დე პოლინიაკს შესჩივის, რომ მას საწამლავის არ ეშინია: „ამ საუკუნისთვის ეგ არ არის ნიშანდობლივი, ახლა ცილისწამებას იყენებენ". დედოფალი ვერ აკონტროლებდა საზოგადოებრივ აზრს, რომელიც ეფექტურ გამონაგონსა და ბილწ ჭორებზე დაყრდნობით ფორმირდებოდა. ლოთობაში ბრალდებული, სინამდვილეში პარიზის ერთ-ერთი გარეუბნიდან მოტანილი მინერალური წყლის გარდა სხვას არაფერს სვამდა მთელი ცხოვრება. მისი იმიჯის დამახინჯების წარმატებულ მცდელობათაგან ერთ-ერთი მეტყველი ნიმუშია ფრაზა –

„მაშინ ბრიოში ჭამონ", რომელსაც დღემდე მარია-ანტუანეტას მიაწერენ. ძნელი წარმოსადგენი არ არის დამშეული, უპურობით გაგიჟებული პარიზის მოსახლეობა როგორ შეიძულებდა უცხოელს, რომელმაც ასეთი ცინიკური პასუხი გასცა მათ გაჭირვებას. თანამედროვე ისტორიკოსები თვლიან, რომ დედოფალს მსგავსი არაფერი უთქვამს. ბრბოს არ აინტერესებდა სიმართლე. მას შიოდა და ერთი ინდივიდის დადანაშაულება ეიოლებოდა. რეალურად, ხაზინას მეფის მრავალრიცხოვანი ნათესაობა აცარიელებდა, მაგრამ ფრანგი დიდებულების ცოდვებზე ფრანგი ხალხი თვალს ხუჭავდა. ისეთ უსამართლო სიტუაციაში, რომლის დროსაც კანონი განსხვავებულად აფასებს ადამიანებს, მარია-ანტუანეტა თავისდაუნებურად გახდა განტევების ვაცი. 1787 წლის ზაფხულში დედოფალს მეტსახელად „მადამ დეფიციტი" შეარქვეს.

მარია-ანტუანეტა შეეცადა შელახული რეპუტაციის აღდგენას. გადაწყვიტა „საფრანგეთის შვილების ნაყოფიერი დედის" იმიჯი შეექმნა საკუთარი თავისთვის. თუკი ხალხი მას დაინახავდა ტახტის მემკვიდრისა და, ზოგადად, შვილების მოყვარული ქალის როლში, დადებითი კუთხით შეიცვლიდა აზრს მასზე. ამ პროპაგანდის განხორციელების მიზნით, დედოფალმა ძველი ნახატებისგან რადიკალურად განსხვავებული სტილის – ოჯახური პორტრეტის შექმნა დაავალა მხატვარს. ელიზაბეტ ვიჟე ლე ბრუნის სურათის გამოფენას სამეფო აკადემიის სალონში გეგმავდნენ, მაგრამ იმდენად დიდი იყო დედოფლისადმი ხალხის სიძულვილი, რომ დემონსტრაციების მოწყობის საშიშროება გაჩნდა. პოლიციის უფროსმა ურჩია, პარიზში არც კი გამოჩენილიყო. ცარიელ ჩარჩოს ვიღაც ოხუნჯმა ფურცელი მიაკრა წარწერით: „უყურეთ დეფიციტს!" სიტყვათა თამაში ემყარებოდა დედოფლის მეტსახელის მნიშვნელობას.

სიტუაცია სულ უფრო იძაბებოდა. ილუზორული ყოვლისშემძლეობა ვერ შველოდა ახალგაზრდა ქალს თავის სათანადოდ დაცვაში. იმდენად მოდაში იყო პოპულარობის მოხვეჭა მისთვის სახელის კიდევ უფრო გატეხით, რომ ამ ისტერიას ვეღარაფერი აკავებდა. ყველანაირ მცდელობას უარესი შედეგი მოჰქონდა. როცა საზღვარგარეთის პრესამაც დაიწყო ბინძური გამონაგონის ფაქტებად გასაღება, სკანდალმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო. „გერმა-

ნიიდან გამოვარდნილ ურჩხულს“ უკვე ამორალურობით საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ სახელებს უკავშირებდნენ: ადარებდნენ კლეოპატრას, მესალინას, აგრიპინას. უფიცი მასისთვის უფრო გასაგები რომ ყოფილიყო, მარია-ანტუანეტას ეკატერინე მედიჩიზე ბოროტ სულად სახავდნენ.

როგორც ისტორიული ქრონიკების ანალიზი ცხადყოფს, უცხოელი დედოფლებისადმი მტრულ დამოკიდებულებას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს საფრანგეთში. მაშინაც კი, როდესაც უშუალოდ მირონცხებულის უუნარობისა თუ სისუსტის გამო იღუპებოდა ქვეყანა, საზოგადოებრივი აზრის სამსჯავრო დანაშაულის მთელ სიმძიმეს მეფის თანამეცხედრეს აკისრებდა.

ასე იყო XV საუკუნის დასაწყისში შარლ VI-ის ბავარიელი მეუღლის შემთხვევაში. დედოფალ იზაბელას, პირადი ტრაგედიის (შარლის შეშლილობა აშკარად გამოკვეთილი შიზოფრენიის ნიშნებით) ფონზე, აქტიური პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა მოუწია. ამ დროს მეფის ძმა და ბიძაშვილი ძალაუფლების მოპოვებისთვის ებრძოდნენ ერთმანეთს, ინგლისს კი ლამის მთელი ჩრდილოეთ საფრანგეთი ჰქონდა ოკუპირებული. წინდაწინვე მტრულად განწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამო იზაბელას ორმაგად ცუდი პოზიცია გააჩნდა: იგი უცხო იყო, თანაც – ქალი. ტრუას ხელშეკრულებით განპირობებულმა მშვიდობამაც ვერ აიძულა ხალხი არაფრანგი დედოფლისადმი კეთილგანწყობა ეგრძნო. საუკუნეების განმავლობაში მძაფრი კრიტიკის ქარტეხილი ერგო იზაბელას ისტორიკოსების მხრიდანაც. იმ ფაქტს, რომ ტრუას ხელშეკრულებას არა იზაბელამ, არამედ შარლ VI-მ მოაწერა ხელი, მკვლევრები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მათი ლოგიკით, მთავარი დამნაშავე ნებისმიერ შემთხვევაში ბავარიელია, რომელიც მირონცხებულს მის ძმასთან ღალატობდა, საფრანგეთს – ინგლისთან. თუ მიუკერძოებლობის დაცვას გადაწყვეტს რომელიმე ისტორიკოსი, მაშინ იზაბელას არ ადანაშაულებს, მაგრამ შარლის საქციელს გულმოწყალე თვალით აფასებს და პოლიტიკურ შეცდომებს გონების დაბინდვის გამო პატიობს.

იზაბელას სიცოცხლის ბოლო პერიოდში ხალხში პოპულარობით სარგებლობდა გამონათქვამი – საფრანგეთი ქალმა დააქცია და გოგონა აღადგენსო. ბევრმა ეს წინასწარმეტყველურ განცხადე-

ბად ჩათვალა, რომელიც ორლეანელი ქალწულის გამოჩენაზე მიუთითებდა.

XVI საუკუნეში მედიჩების გვარის წარმომადგენელი ეკატერინე და მარია ასაზრდოებდნენ საფრანგეთის მოსახლეობის მოთხოვნილებას – უცხოელ დედოფალზე დაეხარჯა მთელი გულისწყრომა. პოლიტიკურ ინტრიგებში თავითფეხებამდე გაბლანდული იტალიელი ქალბატონები, გარკვეული აზრით, სამართლიანად იმსახურებდნენ ხალხის უკმაყოფილებას და ისტორიკოსთა მკაცრ შეფასებებს. მათი მეუღლეები ანტიდოტებივით მოქმედებდნენ მასაზე. თუ ანრი II-ს რაინდთა ტურნირზე ვაჟკაცურად დაღუპვა მოსავს გაუხუნარი შარავანდედით, ანრი IV-ის სიკვდილი ფანატიკოსი რავალიაკის ხელიდან აათმაგებს მართლაც გონიერი და პროგრესული ხელმწიფის დამსახურებებს. ორივე ანრის ისტორიულად ჩამოყალიბებული იმიჯიც იმდენად ძლიერია, რომ თანამედროვე თვალითაც დადებით პიროვნებებად მოჩანან.

მარია მედიჩის გარდაცვალების შემდეგ ახალგაზრდა ესპანელ ინფანტას გადაეცა საფრანგეთის დედოფლის რეალური სტატუსი. XVII საუკუნის მეორე ნახევარში ანა ავსტრიელის სილამაზის ხიბლის ტყვეობასა და უცხოელი კონსორტისადმი სიძულვილის სტერეოტიპულ მოთხოვნილებას შორის დიდხანს მერყეობდა ფრანგი ხალხი.

დედა-დედოფლის სიცოცხლეში, ანა ფრანგული კულტურის მდინარებისგან შორს რჩებოდა. პოლიტიკაშიც, ცხადია, არ ერეოდა. დიდგვაროვანი ესპანელი ფრეილინების გარემოცვის წყალობით, ლუვრში მინი-ესპანეთი მოიწყო მისთვის გამოყოფილ აპარტამენტებში. წლობით შეინარჩუნა ესპანური ეტიკეტი შიდა წრეში და ვერ შეძლო ცუდი ფრანგულის გაუმჯობესება. როცა მოზარდი გოგონა ქალიშვილობის ასაკში გადავიდა, ნელ-ნელა ცვლილებები განახორციელა საკუთარ ჩაცმულობასა და ქცევაში. მედიჩის პოლიტიკური სცენიდან განდევნას თავისთავად მოჰყვა სიახლეები სამეფო ოჯახში, რამაც გავლენა იქონია ანაზე. თუკი საზოგადოების უკმაყოფილება დროდადრო თავს წამოყოფდა, ისიც მინელდა დოფინის დაბადებისთანავე. დედოფალი არასოდეს გამხდარა არც თანამედროვეთა, მით უმეტეს, შემდგომი თაობების გასაკიცხი. თითქოს, დაივიწყეს მისი მტრული წარმოშობა. შესაძლოა, წინამორბე-

დი დედოფლებისგან განსხვავებით, შედარებითი აპოლიტიკურობა (თუ არ ჩავთვლით სხვათა ზეგავლენის შედეგად გამოვლენილ დროებით აქტიურობას) და თვალისმომჭრელი პიროვნული სილამაზე იცავდა ანა ავსტრიელს. თუმცა, მაინც საეჭვოდ მეჩვენება, რომ მხოლოდ არაორდინალური გარეგნობა ყოფილიყო უცხოს საქულველი ხატებისადმი ლოიალურობის გამოვლინების მიზეზი. ვფიქრობ, ისტორიული რეალობაც დიდად განსაზღვრავდა ფრანგი ხალხის უჩვეულო მიმტევებლობას.

საფრანგეთის რევოლუციური XVIII საუკუნე მარია-ანტუანეტას წინააღმდეგ პირველი წუთებიდანვე იმდენად ანტიპათიურად განეწყო, რომ ინერტული ლუდოვიკო XVI-ის იმიჯიც ძალაუნებურად დააზიანა. როგორც ვოლტერმა იუმორით აღნიშნა: „საფრანგეთისა და ავსტრიის კავშირი არაბუნებრივად შესაზარი ჩანდა, მაგრამ აუცილებელობის გამო განხორციელებული, პრაქტიკაში საკმაოდ ბუნებრივიც გამოდგა“. მოზარდები, რომლებიც პოლიტიკური მოსაზრებებით დააქორწინეს მშობლებმა, თავიდან ეტიკეტის შესაფერისი თავაზიანობით არიდებდნენ თავს ერთმანეთთან აქტიურ ურთიერთობას. დროთა განმავლობაში ლუდოვიკოს ავსტრიელებისადმი ბავშვობიდან ჩანერგილი უნდობლობა გაუქრა საკუთარ დედოფალთან მიმართებაში. თანდათან დაახლოვდნენ და ბოლოს სამაგალითო, მოყვარული მეუღლეების თანაცხოვრებას შეუდგნენ. პარადოქსია, მაგრამ რაც უფრო მწვავდებოდა საზოგადოებრივი აზრის უსამართლო თავდასხმები მარია-ანტუანეტაზე, მით უფრო უძლიერდებოდა მისდამი სიყვარული და ერთგულება მეფეს. როდესაც ქმარი სიკვდილით დასაჯეს, დარდით განადგურებულმა ცოლმა იმდენად განიცადა, რომ საკვების მიღებაზე თქვა უარი.

ბუდასეული ცხოვრების გზაზე ბევრი რამ ისწავლა მარია-ანტუანეტამ და გაზაფხულის ფერიასავით უზრუნველი მოზარდი პრინცესა დაბრძენებული დედოფლის გონიერებით მიუახლოვდა ქრისტეს ასაკს. მისი პიროვნული მონაცემებით დღეს, შესაძლოა, წარმატებული ფემინისტი პოლიტიკოსი გამოსულიყო, ან — დიდი ოჯახის ტრადიციების დამცველი დედა. ჯალათის ხელით დაასრულა სიცოცხლე მარია სტიუარტმაც, მაგრამ მარია-ანტუანეტასგან განსხვავებით, შოტლანდიის დედოფალს არ განუცდია შინაგანი

სულიერი ტრანსფორმაციით გამოწვეული არაჩვეულებრივი ზეამაღლება ადამიანურ ყოფით დეტალებზე.

მარია-ანტუანეტა ერთ-ერთია მათ შორის, ვინც დაამტკიცა ისტორიული კანონზომიერება: პიროვნებებად იბადებიან და ამას კრიტიკულ სიტუაციაში წარმოაჩენენ. ერთი მხრივ, დასანანია, რომ თითოეული ადამიანის ბედით თამაშობს და საკუთარს ქმნის ათასობით სხვა. მეორე მხრივ, მარადისობაში გადასულ არაორდინარულ ადამიანთათვის ამქვეყნიურ ამაოებას ფასი აქვს დაკარგული: თუ სიცოცხლეში ცილისწამება, თავსმოხვეული ცრუ იმიჯი ანდა არაზუსტი სტერეოტიპის ტყვეობა სტანჯავდა, გარდაცვალებით მთავრდება მათი პოლიტიკური ვნებათაღელვა.

სარკაზმით სავსეა „ნელი თამაში“: რუსეთის ფედერაციაში ამოტივტივდა დაჯგუფება, რომელიც სტალინის წმინდანად შერაცხვას მოითხოვს. ჯოკონდასეული ორაზროვანი ირონიით ჩაიღიმილებდა დიდი ბელადი, ეს რომ იცოდეს. მხოლოდ ნახევარი საუკუნე დასჭირდა პოლიტიკოსის იმიჯის რადიკალურად განსხვავებული ვარიანტების შექმნას. შესაძლოა ფრანგებსაც გაუჩნდეთ მსგავსი იდეა მარია-ანტუანეტასთან დაკავშირებით. „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო“. ხალხი უუფლებო მასაა, ინდივიდები – სანახაობის გულისთვის გაწირული ზვარაკები, ხოლო ბიბლია – ერთადერთი ყავლგაუსვლელი სიბრძნის წყარო, რომელშიც ყველა კითხვაზე მოიპოვება პასუხი.

დასავლური ინდივიდუალიზმი: დღე ხვალის შემდეგ

ღმერთი მოკვდა – მართლმადიდებლური, ერთადერთი და ჭეშმარიტი.

ნიცშე მოკვდა.

დასავლური ცივილიზაციაც თავს კარგად ვერ გრძნობს...

მარკ ტვენის იუმორისტული გამონათქვამის პერიფრაზით მხოლოდ ოპტიმისტური განწყობის შენარჩუნებას თუ შევძლებთ, თორემ პრობლემა სახუმარო ნამდვილად არ არის. პილატეს ცნობილი კითხვა – „რა არის ჭეშმარიტება?“ დღეს ისე აქტუალურია, როგორც არასდროს. იგი განსაკუთრებით აწუხებს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა იმ კატეგორიას, ვინც გზას ურმის გადაბრუნებამდე აკვირდება, თან რომ არ გადაჰყვეს. თუკი იქ, სადაც მზე ჩადის, აფიქრებთ „დასავლეთის აღსასრულის“ სახელით მონათლული პროცესი, „მაშასადამე ევროპელებსაც“ გვემუქრება იგივე საფრთხე, რადგან პრობლემები საერთო გვაქვს.

ამერიკის კულტურულმა რევოლუციამ კარგა ხანია შემობიჯა საქართველოშიც, სადაც ნამდვილი პროფესიული ბაბილონია: იურისტი ჟურნალისტობს, სპორტსმენი პარლამენტარობს, რეჟისორი პოლიტიკოსობს, მომღერლობს ნებისმიერი მიკროფონიანი დილეტანტი, მწერლობს ყველა, ვისაც არ ეზარება და ასე დაუსრულებლად. სამწუხაროდ, პროფესიული ბაბილონის ტენდენცია კარგა ხანს გაგრძელდება.

დასავლურ საზოგადოებას თავპირისმტვრევით მივდევთ ყველა სფეროში, მაგრამ რატომღაც სწორედ იმ მიმართულებით, უკვე თავადაც რომ აკრიტიკებენ და კამათობენ ამერიკელები.

ჯერ კიდევ 1983 წელს ჟურნალ „ჰუმანისტში“ ჯონ დანფი წერდა, კაცობრიობის მომავლისთვის ბრძოლა საკლასო ოთახებში გაიმართებაო. ამის მიზეზი ის ე.წ. ახალი რწმენაა, რომელიც სრულიად უარყოფს მორალსა და მორალურ ავტორიტეტს. იგი ქადაგებს, რომ ღმერთი არ არსებობს, სამყაროში აბსოლუტური ღირებულებები არ მოიპოვება, ხოლო ზებუნებრივისადმი რწმენა,

უბრალოდ, ცრურწმენაა. ცხოვრების ერთადერთი მიზანი ამქვეყნიური სიამოვნების მიღებაა. ახალი რწმენა კრძალავს სკოლებში ბავშვების ქრისტიანულად აღზრდას, თუმცა „დიდსულოვნად" რთავს ნებას, რომ ვისაც სურს, შეუძლია ბიბლიური ზღაპრების სჯეროდეს, ოღონდ – შინ. საქართველოს „სამარცხვინოდ დააგვიანდა" დასავლური სამყაროს სიახლეებთან ზიარება, თუმცა სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

„კულტურული რევოლუცია" სულაც არ ისახავს მიზნად ყველა რწმენისა და რელიგიისთვის თანაბარი პირობების შექმნას. მას ახალი ეთიკური ჰეგემონიისკენ მივყავართ. სკოლებიდან ბიბლიის, წმინდა მამათა წიგნების, რელიგიური სიმბოლოებისა და შესაბამისი შინაარსის ნახატების გაძევების, საეკლესიო დღესასწაულების „გაუქმების" შემდეგ, რევოლუციონერთა ჩანაფიქრით, ეს სკოლები უნდა გადაკეთდეს ახალი რწმენის შემსწავლელ ცენტრებად", – განაცხადა პატრიკ ბიუქენენმა – რიჩარდ ნიქსონის, ჯერალდ ფორდისა და რონალდ რეიგანის ყოფილმა მრჩეველმა, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა კანდიდატმა 1992 და 1996 წლების საპრეზიდენტო არჩევნებში. აღსანიშნავია, რომ დემოკრატებისადმი კრიტიკულად განწყობილი ბიუქენენი პრობლემაზე მსჯელობს იმ დროს, როდესაც თეთრ სახლში უკვე რესპუბლიკელი ჯორჯ ბუში უმცროსი მოღვაწეობს. ეს დეტალი საკითხის აქტუალობას გახაზავს.

ახალი რწმენა პოლიტიკაში გლობალიზაციისა და პატრიოტიზმისადმი არაადეკვატური დამოკიდებულების სახით ვლინდება. „ამერიკული" პრობლემა საქართველოსთვის მხოლოდ იმიტომ კი არ არის სახიფათო, რომ პატარა ქვეყანა და მცირერიცხოვანი ერი ვართ, არამედ იმიტომაც, რომ ხშირად მომავლისკენ ამერიკული შეცდომებით მივდივართ. რატომღაც ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ პერუელი ესპანელის რაფაელ ანტონიო გალუეს გარსიას მსგავსი უცხოელების აზრს: „მერწმუნეთ, იქ, თქვენგან შორს, შინაარსი არაფერში დევს, ყველაფერი ზედაპირულად ეფექტურია. მიუხედავად იმისა, რომ აქაც არის შემოსული დასავლური კულტურა, ცხოვრების ამერიკული სტილი, საბედნიეროდ, ბევრს ჯერ კიდევ არ ავიწყდება, ვინ არიან, საიდან მოდიან, რისი პატრონები არიან... იმათ კი, ვინც ახლადა გაიტაცა უცხოურმა ყოფამ, ვურჩევ შეინარჩუნოს ის უდიდესი განძი, რაც ჯერ კიდევ გაგაჩნიათ. ეს ენა, ეს სიმღერა, ცეკვა, ფრესკები თქვენია, ამერიკაში კი ამ ყველა-

ფერს იგონებენ. ერს ხელოვნურად ქმნიან, ანუ იქით მიდიან, რაც თქვენ ათასწლეულების მანძილზე შექმენით. მე ვფიქრობ ასე და თქვენ, ქართველები უფრო მძაფრად უნდა გრძნობდეთ და განიცდიდეთ იმას, რისი პატრონებიც ხართ...“. ვერავინ დამარწმუნებს, რომ გარსიას მსგავსად მოაზროვნე უცხოელებს არ სურთ საქართველოს განვითარება და ამ მიზნით გვიქებენ ჩვენს თვითმყოფადობას, ჩვენს ისტორიასა და კულტურას. სინამდვილეში, ჩვენც და მათაც, ცოტა უფრო დასავლეთით რომ არიან, ორივეს გვაქვს ჭეშმარიტად ღირებული, რისი გათვალისწინება ზოგადად მსოფლიოს წაადგება. იმედი მაქვს, სადღეგრძელოს დონეზე არ დარჩება ის, რასაც გულშემატკივარი უცხოელი მეგობრები გვეუბნებიან.

მართლმადიდებლობის საკითხი და არაპროფესიონალიზმი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთადერთი დაბრკოლება არაა. მაირონ მაგნეტის „სიზმარი და კოშმარი“ საქართველოსთვის დღეს ცხადად ქცეულა: „უნივერსიტეტები ერთი მეორის მიყოლებით უარს ამბობენ დასავლურ ცივილიზაციაში ტრადიციულად, ღირებულად მიჩნეული წიგნების შესწავლაზე და უკუაგდებენ უწინ ჭეშმარიტ იდეებს“. თერთმეტი წლის წინათ აშშ-ში უკვე პრობლემა ერქვა მოვლენას, რომ ბობ დილანის ლირიკა პლატონისა და მონტენის ნაშრომების ალტერნატივად გადაიქცა. დღეს რომ ამერიკელ ან ბრიტანელ მოზარდს საყვარელი მწერალი ჰკითხოთ, რამდენიმე მათგანი აუცილებლად დაასახელებს ცნობილი როკ-მუსიკოსის ან რეპერის გვარს. ეს იმ შემთხვევაში, საერთოდ არ ვკითხულობო, თუ არ გიპასუხათ. როგორც ჩანს, ეს პრობლემა პროგრესირებს.

გაცილებით ადრე, ლამის სამი ათეული წლის წინათ წუხდნენ მელორ სტურუას პუბლიცისტურ შედევრში — „მიწისძვრა ჰარვარდში“ იქაური პროფესორები, რომ: „დღევანდელი ჰარვარდი ნაკლებად მოგვაგონებს სოფიზმებით გატაცებულ, აბელარის ეპოქის სორბონას.

ბრძოლის ლოგიკამ დათრგუნა არისტოტელეს ლოგიკა“.

მართალია, ჩვენ დროებით ჩამოვრჩით დასავლურ ფასეულობათა ტრანსფორმაციას, მაგრამ დრომოჭმული საბჭოური ლოზუნგით „დავეწიოთ და გავასწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს“ უკვე წინ მივისწრაფვით. ეჭვქვეშ ვაყენებთ „შუშანიკის წამების“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ და სხვა საგანძურის შესწავლის აუცილებლობას. როგორც ჩანს, „წაიკითხე წიგნები, იურის-

ტი იქნები“ ძველ ქართულ ლიტერატურას არ გულისხმობს. შელიმ პოეტებს „მსოფლიოს აუღიარებელი კანონმდებლები“ უწოდა. საით მიექანება საქართველო დღეს, თუკი გალაკტიონის, ანა კალანდაძის, ლადო ასათიანის, მურმან ლებანიძისა და სხვათა სამშობლოში პოეტი ჰქვია ზემოთ მოხმობილი სტრიქონების ავტორსაც? თუმცა, იქნებ არც ღირდეს აღშფოთება, რადგან მან თავად გამოუძებნა სათანადო ადგილი საკუთარ შემოქმედებას.

ამერიკელი ხალხისადმი თავისი გამოსათხოვარი მიმართვისას რონალდ რეიგანმა თქვა: „თუკი დავივიწყებთ, რა გაგვიკეთებია, მაშინ არ გვეცოდინება ვინ ვართ. გაფრთხილებთ, არ დაივიწყოთ ჩვენი ღირსეული წარსული, თორემ საბოლოოდ, ეს მიგვიყვანს ამერიკული სულის გაქრობამდე“. მეხსიერების წმენდა თანამედროვეობის სახიფათო ტენდენციაა. დასავლური სამყარო ამ პრობლემას, როგორც ჩანს, ახლახან შეეჯახა. ჩვენ წინაპრების სიყვარულსა და პატივისცემაზე გაზრდილი ერი ვართ. დღემდე ვზრუნავდით საკუთარი წარმომავლობის, გვარის, წინაპართა სახელების შენახვასა და შთამომავლობისთვის გადაცემაზე. დოდო აბაშიძის პერსონაჟის სიტყვები – ხის სიმაღლე ფესვებიდან იზომებაო, მხოლოდ ლამაზი ფრაზა არასდროს ყოფილა ქართველისთვის. თუმცა ისტორიულად ამის დავიწყების საფრთხის წინაშე მრავალჯერ ვმდგარვართ.

როგორც გასულ საუკუნეში „მოდური“ (რომ არ ვთქვათ, ნომენკლატურულად აუცილებელი) იყო მარქსის, ლენინის, სტალინის და სხვათა გამონათქვამების დამოწმება, დღეს ამერიკული ციტატებისა და ტერმინების მოზღვავების ტენდენციაა. შორს წასვლა საჭირო არ არის მსგავსი ნიმუშის მოსახმობად. თავად გამოვიყენე რეიგანის სიტყვები; მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო აშკარა გამეხადა ქართველთა მეგობარი გარსიას მოსაზრების მართებულობა – იქ, დასავლეთში იქითკენ მიდიან, ჩვენ რომ უკვე კარგა ხნის წინ გამოვიარეთ. 1888 წელს პუბლიცისტურ წერილში „დავით აღმაშენებელი“ ილია წერს: „არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“. მეამაყება ამ ფესვებზე დგომა. ამიტომაც არ მეშინია ამერიკანიზაციის საფრთხის და რეიგანის, კენედის, ლინკოლნის თუ სხვათა გავლენის ქვეშ მოქცევის. ბედნიერი ვარ, რომ ეროვნულ ნიადაგზე გავიზარდე, რომელიც უზრუნველმყოფს სიძ-

ლიერითა და თავისუფლებით; მაგრამ რას იტყვის შემდგომი თაობა თუ თანამედროვე ტრიადიდან ქართულ სულს გამოვაკლებთ და ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნის ანაბარა დავტოვებთ? მადლობას – ნამდვილად არა.

თავის წიგნში „ამერიკული გონების დაბინდვა“ ალან ბლუმი საუბრობს თუ როგორ მეთოდურად ხდება აშშ-ში წარსულის გმირების ღირსებათა, დამსახურებათა დაკნინება, დამფუძნებელი მამების გაკრიტიკება. ერთი მხრივ, შეცდომათა გაანალიზება უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით უკეთესი მომავლის შექმნის შანსი ჩნდება. მეორე მხრივ, ზღვარგადასულობა კარგს ვერაფერს მოიტანს თუკი ყალბი „ზეთავისუფლებით“ განადგურდება იდეალები, რაც ყოველ ახალ თაობას ჰაერივით ესაჭიროება ჩამოყალიბებისთვის, საკუთარი ფასეულობების გარკვევისა და მრწამსის გამოკვეთისათვის. კოლეჯის პროგრამათა რადიკალური ცვლილება ამიტომ აღელვებს ამერიკული საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილს. ფასეული სწორედ ის ფაქტია, რომ აშშ-ში პრობლემას თავის სახელს არქმევენ, მსჯელობენ, გამოსავალს ეძებენ.

საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა ნამდვილად კარგი ტენდენციაა. თუმცა ბრძოლის მეთოდებსაც სჭირდება შემუშავება, რომ არსებულ სიტუაციაზე უარესი შედეგი არ მივიღოთ. ეთიკური ნორმების დაცვა აუცილებელია, თორემ ცხრათავიანი დევის არ იყოს, ერთ მოჭრილ თავზე სამი თუ ამოვიდა, უნებურად ბოროტების ხელშემწყობნი გავხდებით. წარსულის შეცდომებზე დაფიქრება პროგრესული ნაბიჯია. სხვა საკითხია, რომ ყალბი პოპულიზმი დადებით შედეგს ვერ მოიტანს. აკაკის „გამზრდელში“ ჰაჯი-უსუპის თვითმკვლელობა გულწრფელი სინანულისა და გულისტკივილის შედეგია და არა – თეატრალიზებული შოუ.

დასავლური ცივილიზაციის განადგურების შემთხვევაში, სავალალო მხოლოდ ის კი არ იქნება, რომ ევროპული ერები გაქრებიან, არამედ ის, რომ დასავლური მენტალიტეტი, აზროვნება, მორალი დაიკარგება. თუ ამ კუთხით შევხედავთ, დასავლეთი უკვე სულს ლაფავს და სულ ტყუილად ბრალდება მისი აგონია დემოგრაფიულ პრობლემას. ალაგ-ალაგ შემორჩენილ ინდივიდებს თუ არ ჩავთვლით, იქ, დასავლეთში, სულიერება გაქრა, გონი დაიკარგა, საზოგადოება გათითოკაცდა და საკუთარ მეობას გაუუცხოვდა. ასეთი შედეგი გა-

მოილო დასავლურმა ინდივიდუალიზმმა. იქნებ ღირდეს, გადავახტეთ ამერიკული შეცდომების იმ პერიოდს, რომელსაც ჩამოვრჩით და დასავლურ პროგრესს მივყვეთ, თუნდაც ჩვეული დაგვიანებებით?

ვიცით რანი ვართ, რანი ვიყავით, მაგრამ ბუნდოვანია საით მივდივართ და რანი ვიქნებით. იქ, დასავლეთში ნეტავ მართლა იციან, რომ ჩვენ ვარსებობთ თუ აუცილებლად რაღაც არეულობა უნდა მოვაწყოთ საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოსახვედრად? ინტერნეტის ზოგ საიტზე საქართველო ევროპულ ქვეყნებში წერია, ზოგზე – აზიურებში. ვინმემ ტელეფონზე რომ დაგვირეკოს უცხოეთიდან, „აზიური" კოდის +995 აკრეფა მოუწევს. ჩვენს მეზობლად სომხეთში გადარეკვისას „ევროპული" კოდი +374 დასჭირდება. ბევრ რამეს შეუძლია უნებურად დაგაფიქროს ქართველების ევროპელობაზე, თუმცა ჩვეული ოპტიმიზმის შენარჩუნებით.

ჯერ კიდევ 2004 წლის 25 სექტემბერს „ევრონიუსის" ამინდის პროგნოზი საქართველოს დასავლურობას აიგნორებდა, მაგრამ სამი დღის შემდეგ ვლადივოსტოკის პატარა ჩარჩო მოულოდნელად მაღლა აიწია და მის ქვემოთ, ბიბლიური სასწაულივით, Tbilisi გაჩნდა. იქნებ ბევრს არც დამახსოვრებია ეს დღე. ყველა „მოცლილი" ხომ არ არის, ამინდის პროგნოზს მხოლოდ იმ მიზნით უყუროს, რომ ერთ მშვენიერ დღეს თავისი ქალაქი დაინახოს ევროპის რუკაზე... როცა საერთაშორისო ნიუსებში საქართველო აღარ ფიგურირებს, „ევრონიუსის" ამინდის პროგნოზით ვამოწმებ – იქ, დასავლეთში იციან, რომ ჩვენ ვარსებობთ, „ორ ზღვას შუა, ძველისძველი, საომარი..."

საკითხის დასმა პრობლემის გადაწყვეტისკენ გადადგმული პირველი, ეფექტური ნაბიჯია. რადგან აშშ-ში არსებობენ პიროვნებები, რომლებიც სიმართლის დანახვასა და გაანალიზებას ცდილობენ, დასავლური ცივილიზაციის, რომლის ნაწილი საქართველო ნამდვილად არის (თორემ სხვაგვარად კიდევ დიდხანს მოგვიწევდა ჰაერში გამოკიდებულის მდგომარეობა), მომავალი ნაკლებად პესიმისტურად მოჩანს. თუნდაც იმიტომ, რომ როცა ყველა მიდის, ღმერთი მაინც რჩება. ამიტომ მჯერა, რომ ხვალინდელ დღეს ზეგინდელიც მოჰყვება.

პალმა რომ მაღალი გაიზარდოს

ქარის წისქვილებს თუ არ ეომა, დონ კიხოტი თავის მეობას დაკარგავს. აშშ-საც მუდმივად სჭირდება საკუთარ „ქარის წისქვილებთან“ შერკინება. ადრე მიზანში საბჭოთა კავშირი ჰყავდა ამოღებული, მერე აღმოსავლეთში გაიჭრა. ესპანელი იდალგოს მსგავსად, დევიზიც ეფექტური შეარჩია: მსოფლიო წესრიგის დამყარება. და სკდებოდა ერაყის უდანაშაულო (?) თავზე სამი ათას დოლარიანი ჭურვები დემოკრატიის სახელით. „მწვანე ზონა“ თუ მხოლოდ მხატვრული გამონაგონია, მაშინ, დრომოჭმული ანეკდოტის მსგავსად რატომ მოქმედებდნენ: ბინ ლადენს იქ ეძებდნენ „სადაც სინათლე იყო“, აბა, სადაც ნომერ პირველი ტერორისტი ცხოვრობდა, „იქ ხომ ბნელოდა“. მერე დასჭირდათ და მის ზუსტ მისამართს უცებვე მიაგნეს.

ისტორიის გაკვეთილებს ხელისუფალნი, უმეტესწილად, უფრო მეტი ძალაუფლებისა და ქონების მოსახვეჭად იყენებენ. წარსულის შეცდომებზე დაფიქრებით თავს არ იწუხებენ. ალბათ, ამიტომაც ვპროგრესირებთ სპირალის პრინციპით — მსგავსი შეცდომების გავლა ლამის ყოველ შემდგომ თაობას უწევს ისტორიული რიმეიქების სახით. ამის საილუსტრაციოდ ძალზე მარტივ, თუმცა მეტყველ ფაქტებს მოვიყვან: მე და ჩემი ძმა „განიარაღობანას“ ვთამაშობდით ბავშვობაში — ნაძვებიდან ჩამოცვენილ გირჩებზე დავხტოდით, ვითომ ბომბებს ვანადგურებდით, როცა მარგარეტ ტეტჩერსა და მიხეილ გორბაჩოვს ვბაძავდით.

უმცროსი დეიდაშვილის პირველი სიტყვა „ჯოს“ იმიტომ გახდა, რომ თავისუფლების დროშები ზუსტად მისი ფანჯრების წინ ფრიალებდა რუსთაველის გამზირზე, როდესაც „საქართველოს გაუმარ-ჯოს-ჯოს-ჯოს“ სკანდირებდა ეგზალტირებული მასა.

წლის არ იყო ჩემი შვილი, სიტყვა „ამერიკა“ რომ თავისით ისწავლა ტელევიზორიდან. საახალწლოდ კიდევ ერთი სიურპრიზი მოგვიწყო, როცა ისევ ტელეეკრანიდან ათვისებული „შალახო“ შეასრულა შესაფერისი მუსიკის გაგონებისას.

ეს სამი თაობაა, არცთუ დიდი ასაკობრივი განსხვავებით და

მხოლოდ ორი ათეული წელია გასული პირველი ეპიზოდიდან მესამემდე.

მსგავსი მოგონებები, ალბათ, ბევრს ექნება. ხშირად უფროსებს დაკვირვებისთვის არ სცალიათ, თორემ ბავშვები საკმაოდ ეფექტურად ისრუტავენ ყველაზე აქტუალურ თემებს და თავისებურად რეაგირებენ. მედიაც ნაკლებად ცდილობს მცირეწლოვანთა სერიოზულ მაყურებლად აღქმას, ზოგ ქვეყანაში მხოლოდ მანიპულირებს მიმნდობი პატარებით. ფაქტია, პოლიტიკური წრებრუნვა აისახება როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე ცალკეული ოჯახისა თუ თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე.

1979 წლის ირანის რევოლუციამ ტახტიდან ჩამოაგდო პროგრესულად მოაზროვნე შაჰი მუჰამედ რეზა ფაჰლავი, რომელსაც ე.წ. თეთრი რევოლუციის შემდეგ ნელ-ნელა დემოკრატიული მომავლისკენ მიჰყავდა ქვეყანა. მალე აიათოლა ხომეინმა რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური ცვლილებები განახორციელა, რამაც ირანი შუასაუკუნეების რელიგიური ფანატიზმისკენ მიაბრუნა.

ერაყის ყოფილმა დიქტატორმა სადამ ჰუსეინმა ცხოვრების კრედოდ გაიხადა გამოთქმა: „პალმა რომ მაღალი გაიზარდოს, ქვედა ტოტები უნდა შეაჭრა“. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პოლიტიკური „წმენდა“ ჩაატარა. საკუთარი ხალხის რეპრესირების გამო ჰუსეინი სინდისის ქენჯნას არასდროს შეუწუხებია. ბევრს დღემდე ახსოვს 2003 წლის დეკემბერში საინფორმაციო არხებით გავრცელებული კადრები, რომლებშიც ქალაქ ტიკრიტის მახლობლად სამალავში ნაპოვნი ერაყის დიქტატორის გაოგნებული თვალები იყო მოქცეული ფოკუსში. მას, თითქოს, ბოლომდე არ სჯეროდა, რომ ამქვეყნად მისი მომრევი ძალა არსებობდა. დიდებისა და ხელისუფლების მწვერვალზე ასულმა დიქტატორმა ვერ გაითვალისწინა, რომ ტოტებდასხეპილი პალმის წვერი მისი ამბიციების სიმძიმეს ვერ გაუძლებდა. სასამართლოს წინაშეც არ ცნო თავი ბრალეულად, ვერ შეეგუა იმ რეალობას, რომ მისი უკიდეგანო თავისუფლება დამთავრდა.

თავის მომხრეებს ჰუსეინმა საკმაოდ ვრცელი წერილი დაუტოვა. შთამბეჭდავია ტექსტის პათოსი: „მოგიწოდებთ, არ შეიძულოთ მოსახლეობა იმ ქვეყნებისა, ვინც თავს დაგვესხა. განასხვავეთ გადაწყვეტილების მიმღები ადამიანები და უბრალო ხალხი. ერაყში თუ საზღვარგარეთ ვინც მოინანიებს, მათ მიუტევეთ... გაუ-

მარჯოს ერაყს! გაუმარჯოს პალესტინას! გაუმარჯოს ჯიჰადს და მუჯაჰედინებს!“ ჰუსეინმა თავის პოლიტიკურ ანდერძს ხელი მოაწერა როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა და ერაყის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა.

სიმბოლური იყო 30 დეკემბერს მისი სიკვდილით დასჯა — დასრულდა წელი, დასრულდა მთელი ეპოქა არა მარტო ერაყის, არამედ მსოფლიოს მასშტაბითაც. არცერთ საინფორმაციო წყაროს გაუმახვილებია ყურადღება ჩვეულებრივ ადამიანებზე, რომლებმაც მთელი ცხოვრება თუ არა, ნახევარი მაინც ჰუსეინის დიქტატურის პერიოდში გალიეს. მსოფლიოთი მობურთალი პოლიტიკოსებიდან ნაკლებ სავარაუდოა, რომ ვინმე თუნდაც წუთით დაფიქრდა ამ ხალხისთვის რა დასრულდა ან რა დაიწყო ყოფილი დიქტატორის სიკვდილით.

ერაყში ამერიკელების მიერ წარმოებულ კამპანიაზე სადამ ჰუსეინის რეაქცია რეალობის ადეკვატურია. სადამმა კარგად იცოდა თანამედროვე პოლიტიკური ვითარება, რომელიც მის თვალწინ თამაშდებოდა. მოწმე იყო, თუ როგორ დაუსჯელად ახერხებდნენ სახელმწიფოთა უზურპაციას სხვა დიქტატორები და კუთვნილი სასჯელის არიდებაც მშვენივრად გამოსდიოდათ დასავლეთის ლიდერთა მდუმარე თანხმობის, აქტიური თანადგომისა თუ მათი პირადი ინტერესების არარსებობის წყალობით. ალბათ ამიტომ, ჰუსეინს უკანასკნელ მომენტამდე გაუჭირდა იმის აღიარება, რომ მას არ გამოუვიდა თავის დაძვრენა და ჩაუშესკუს ბედი გაიზიარა.

ერაყის ლომისგან განსხვავებით, მშვიდად განისვენა პინოჩეტიმ. ახალ 2006 წელს ვერც იგი მოესწრო. თუმცა, ღრმა მოხუცებულობისა და შერყეული ჯანმრთელობის გამო, მისი გასამართლება და სათანადოდ დასჯა ველარ მოხერხდა. პირსისხლიანი გენერლის სიკვდილით ჩილეშიც დასრულდა ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი. მედიას არც ამ შემთხვევაში შეუწუხებია დიდად თავი იმ ხალხის ბედზე დაფიქრებით, ვინც ჩვიდმეტი წელი იტანდა აუგუსტოს დიქტატურას და საბოლოოდ, იმედგაცრუებული დარჩა მსოფლიო პოლიტიკოსთა მიერ მთავარი დამნაშავის მიმართ გამოჩენილი გულმოწყალებით. პინოჩეტის რეჟიმმა მასობრივი მკვლელობები, ადამიანთა გატაცების, წამებისა და უკანონოდ დაპატიმრების უწყვეტი ნაკადი, პრესის მკაცრი ცენზურა ჩილელების ყოველდღიურობის ნორმად აქცია ათწლეულების განმავლობაში.

ჩილეს კოშმარის „რეჟისორი“ ირონიულად აღნიშნავდა: „ამ ქვეყანაში ერთი ფოთოლიც ვერ შეირხევა ისე, მე არ ვიცოდე“. სამაგიეროდ, ხალხს ეკრძალებოდა რაიმეს ცოდნა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობა (შესაძლოა, მათ შორის – სადამ ჰუსეინიც) თვალყურს ადევნებდა პინოჩეტის დაკითხვებს. როდესაც მოსამართლეებმა დანაშაულთა გრძელ ჩამონათვალზე გაამახვილეს ყურადღება, შინაპატიმრობაში მყოფი 90 წელს მიტანებული მოხუცის პასუხი აშკარად ცინიკური იყო: „არ მახსოვს, მაგრამ ეგ სიმართლე არ არის. სიმართლეც რომ იყოს, არ მახსოვს“. ერთი წლის თავზე პინოჩეტიმ ოფიციალური წერილობითი განცხადება გააკეთა: „ჩემს თავზე ვიღებ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც მოხდა“. დაუსჯელობის სინდრომით განპირობებული შესაშური ლაკონიურობაა. ორი კვირის შემდეგ იგი ოჯახის წევრების გარემოცვაში გარდაიცვალა ბრალდების ოფიციალურად წაყენების გარეშე. როგორც თავად მოითხოვა, გვამს კრემაცია გაუკეთდა „მომავალში მისი საფლავის ვანდალიზმისგან დაცვის მიზნით“.

ორი დიქტატორის საქმეთა გამოძიების მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ჰუსეინზე ბევრად მრავალრიცხოვანი მსხვერპლი ჩილეს ყოფილი ლიდერის სინდისზეა. რატომ ხდება, რომ მსოფლიო კანონმდებლები, ერთი შეხედვით, მსგავსი დანაშაულისთვის განსხვავებულად ასამართლებენ? მედია დუმილს ამჯობინებს ასეთ ორმაგ სტანდარტებზე პოლიტიკაში.

ხელისუფლების შეცდომა ისაა, რომ ვერ ხვდება: გაჩუმებულ ხალხს ფიქრისთვის მეტი დრო რჩება, ვიდრე აბობოქრებულ ბრბოს, ქუჩაში პროტესტის ნიშნად რომ გამოდის. მოსახლეობის მცირე ნაწილი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით მიწოდებულ ინფორმაციას ავტომატურად არ ითვისებს და ფაქტების ლოგიკას გონების თვალით მიჰყვება საკუთარ ბინაში განმარტოებული: ერაყელი იმიტომ ხომ არ დაისაჯა საჯაროდ, რომ ასე სჭირდებოდა მმართველობის პულტს ჩაფრენილ ვიღაცას მსოფლიო პოლიტიკის იერარქიული კიბის თავზე მაშინ, როცა ჩილელის დანაშაულებზე თვალს ზედმეტად დიდხანს ხუჭავდა განსხვავებული ინტერესის გამო? ვისაც პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით მსგავსი კითხვები უჩნდება, იმ დასკვნამდე მიდის, რომ დიქტატორების დასჯა მათზე ძლიერ უზურპატორთა სურვილის მიხედვით

ხორციელდება. გამოდის, ხალხის მოთხოვნით არც არაფერი მომხდარა. უბრალოდ, ის „ვიღაც“ ხალხის სახელს ამოეფარა.

ლოგიკური მსჯელობა ხმამაღლაც შეიძლება, ჩურჩულითაც და ფიქრშიც. ხალხური სიბრძნეა: ძაღლი, რომელიც ყეფს, არ იკბინება. პოლიტიკოსებს თანაბრად ავიწყდებათ ხოლმე ადამიანებისა და ცხოველების არსებობა: მოსახლეობას იოლად სამართავ ფარად როცა აღიქვამენ, გაცხარებული ცხვრის შესაძლებლობას აიგნორებენ.

დღევანდელობის პარადოქსია, რომ ხშირად დიქტატორებს უფრო დემოკრატიულად და ჰუმანურად ეპყრობიან, ვიდრე კანონმორჩილ მოქალაქეებს. ლამის ყოველ დღე გვიმეორებენ, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ხალხის უფლებაა იცოდეს, რა ხდება. ამ დროს, არაფერიც არ ვიცით, რადგან უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ოთხივე ხელისუფლების წარმომადგენლები თევზებზე ნაკლებს საუბრობენ. ძველ ბერძნებს სამართლიანობის თვალახვეული ქალღმერთისთვის ტყუპისცალი რომ გაეთვალისწინებინათ, ინფორმაციის ქალღმერთი აუცილებლად მუნჯი ან პირაკრული იქნებოდა.

როდესაც ჩე გევარას მხცოვანმა თანამებრძოლმა ხელისუფლება ძმას – რაულს გადაულოცა, მედიის ყურადღება ფიდელ კასტროს გარშემო ტრიალებდა, თუმცა ხანმოკლედ. კომანდანტე დღეს უკვე ნაკლებად აქტუალური თემაა და აღარც კუშტურიცა მოისურვებდა მასზე დოკუმენტური ფილმის გადაღებას, ოლივერ სტოუნის კვალდაკვალ. საინფორმაციო ნაკადი თანამედროვე მსოფლიოს გიჟურ ტემპებს არა მხოლოდ მიჰყვება, არამედ ცდილობს ერთი ნაბიჯით გადაუსწროს, თუ მოახერხებს. თანაც, წარსულში ქექვა ჟურნალისტიკის საქმე როდის ყოფილა. საარქივო მასალებსაც მხოლოდ დღევანდელი დღის რეზონანსის გამო თუ მიმართავენ რეპორტიორები. მათი დევიზია „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს“, რომელსაც, დროის სიმცირის გამო, უკვე უბოდიშოდ ამოკლებენ და მარტო „გაუმარჯოს მეფის“ გამოცხადებით კმაყოფილდებიან. არავის აინტერესებს, რომ მეფე ჯერ არც მომკვდარა. თუმცა რა აზრი აქვს ასეთ დეტალზე ყურადღების გამახვილებას. ნებისმიერი თანამედროვე „მეფე“ მორიგი პაიკია მმართველი ელიტის ხელში. მედიაც პაიკია. ხალხიც.

ოპერატიულობა და სენსაციურობა თანამედროვე ჟურნალისტური კოქტეილის ძირითადი კომპონენტებია, დანარჩენი – გემოვნებით. ვისი გემოვნებით, ეს უკვე ინდივიდუალურად წყდება. ვინც

მეტს იხდის, რეცეპტსაც ის იგონებს. მერე მიღებულ ნარევს ელექტორატს აწვდის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით. თუ ხალხმა მიიღო, გამეორებას წინ რაღა დაუდგება და ასე იძერწება პოლიტიკოსთა ახალი სტერეოტიპები. აღარავის ადარდებს „მეფე შიშველია" თუ არა. მთავარია საყოველთაო ეიფორიით ტკბობა. „მეფედ" გამოცხადებული მალე თავადაც ირწმუნებს საკუთარი იმიჯის მართებულობას. ასე გაგრძელდება, სანამ პოლიტიკური ძალების გადანაწილების შემდეგი ეტაპი დადგება. მედია დროებით ისევ მეოთხე ხელისუფლების ილუზორულობის ბანგს იგემებს და ხალხს ახალი ეიფორიისთვის მოამზადებს შემდეგი „მეფის" დასახვედრად.

აქტიურ, ცოცხლად დარჩენილ პოლიტიკოსებსაც და ხალხსაც მალე შემდეგი გზაჯვარედინი ელოდება. არა მხოლოდ აქ, საქართველოში, იქაც, ამერიკის შეერთებულ შტატებში. საით წავალთ და როგორი სამყაროსკენ, ეს არჩევანზეა დამოკიდებული. ოღონდ არა ჩვენს არჩევანზე. ხალხი ხომ მხოლოდ საშუალებაა ჭკვიანი მანიპულატორის ხელში, რომლის ვინაობას მედია გაგვიმხელს პოსტფაქტუმ. მეოთხე ხელისუფლებას მეტი არც ევალება და ნურც მოვთხოვთ. საინფორმაციო საშუალებებიც, ფართო გაგებით, მხოლოდ იარაღია იმავე მოხერხებული დუბლიორის მარჯვენაში. ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იქნება, არ შეშინდეს კაცობრიობა, უკან არ მობრუნდეს, თორემ კოჭლი ცხვარი ისევ თავში მოექცევა ფარას და ყვარყვარიზმს ჩვენი ცხოვრების წლები შეეწირება, სანამ ყორჩი კუთვნილ ადგილს დაიბრუნებს. და თუ მაინც ასე მოხდა, ჩვენდა უნებურად ან უკითხავად, ესეც იმ ჭკვიანი სტრატეგის გონივრული სვლის შედეგი იქნება, რომელსაც ნიკანდრო ქირიასავით იოლად სამართავი და მარტივად მოაზროვნე ურჩევნია ხელისუფლებაში, ნაკლები პრობლემები რომ შეუქმნას.

უშრეტი ოპტიმიზმი ადამიანურობის შენარჩუნებისა და გადარჩენის ერთადერთი საიმედო საშუალებაა. „ბებერი ჩარლის" სიტყვები იმედისთვის საჭირო ძალას გვაძლევს: „ყველაზე დიდი ბრილიანტი მზეა. ის კი, ჩვენდა საბედნიეროდ, ყველას ერთნაირად დაგვნათის" – მეც, თქვენც და მათაც, ტოტებდასხეპილი პალმის ძირას თუ წვერზე...

ბოლოთქმა

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური მედიის სერიოზულად შესწავლა 1992 წელს დავიწყე. იყო რაღაც სპონტანური და, გარკვეულწილად, ეიფორიულიც ამ პროცესში. ახლად გახსნილი საზღვრებიდან შორეული, უცნობი, მირაჟული დასავლური სამყაროს შესახებ ინფორმაციულმა ტალღამ სულ რამდენიმე თვეში აავსო და წალეკა თბილისის ქუჩები მანამდე უცნობი ან არარსებული გამოცემებით. შეუძლებელი გახდა თვალი ამერიდებინა ამ ახალი ჟურნალ-გაზეთებისთვის ცალკე ინგლისურის ცოდნის „ამბიციის“, ცალკე მეტის სწავლისა და გაგების სურვილის გამო. ასე დაიწყო და აღარ დასრულებულა ამერიკის ჩემეული „აღმოჩენის“ მრავალწლიანი სიხარული. ამიტომაც, „მედია და პოლიტიკური იმიჯი“ ქვეტექსტურად ავტობიოგრაფიულია.

იმ დღეს ჯერ კიდევ თხუთმეტის ვიყავი. ჯერაც ინგლისურში სავარჯიშოდ ვკითხულობდი „გარდიანისა“ და „მორნინგ სთარის“ ნომრებს. რუსთაველის გამზირზე, ოპერის თეატრის პირდაპირ ვიყიდე „რაღაც“ გაზეთი. მისი სახელწოდება არ მაინტერესებდა, რადგან თვალი მიიტაცა უფროსი ჯორჯ ბუშისა და მანამდე ჩემთვის უცნობი ბილ კლინთონის ფოტოპორტრეტებით უსიტყვოდ გადმოცემულმა ჟურნალისტურმა ტენდენციამ: დამარცხებისთვის განწირულობას ამჟღავნებდა საკუთარი ფეხებისკენ მზირალი შეშფოთებული ბუშის გამომეტყველება მაშინ, როცა ფართოღიმილიანი, ბევრად უფრო ახალგაზრდა და აშკარად ოპტიმისტი უილიამ ჯეფერსონი მომხიბლავი სიჯიუტით ასხივებდა მისთვის სასურველი მიზნის რეალურობას. „ახალი ცოცხის“ თვითდაჯერებულობამ ოდნავ გამაღიზიანა და გადავწყვიტე, თვალყური მედევნებინა ამ პოლიტიკოსის კარიერისთვის, ნაკლოვანი მხარეების აღმოჩენის მიზნით. კრიტიკული, საკმაოდ მძაფრი ანტიგანწყობილება თანდათან შემირბილდა და მისი მეორე ვადით არჩევისას უკვე მხურვალე კლინთონისტად ვიქეცი. ეს არ იყო ერთი პიროვნების ხიბლით გამოწვეული ცვლილება. კონკრეტული პოლიტიკოსის იმიჯთან

დაკავშირებული დეტალების შეჯერებით მისი ქვეყნის ისტორია, თანამედროვეობა და წარსული, მმართველობის სისტემა და მედია შემოვიდა ჩემს ცნობიერებაში. დღემდე დიდ გამართლებად ვთვლი იმ ფაქტს, რომ ჩემი სტუდენტობის პერიოდი ბილ ქლინთონის პრეზიდენტობის ვადებს დაემთხვა – სრულიად სხვაგვარი ამერიკა, განსხვავებული მსოფლიო, „ნებაზე მიშვებული“ ადგილობრივი მედია და აზროვნების შინაგანი თავისუფლება სასურველი ნიადაგი გამოდგა ჩემი თაობის ბევრი ახალგაზრდის ინდივიდუალიზმის ჩამოყალიბებისა და ზრდისთვის.

ვფიქრობ, სწორედ გაზეთის იმ ნომრის შეძენით დავიწყე „მეოთხე კედლიდან“ საკუთარი ვირტუალური აგურის ამოძრობის მცდელობა. მაშინ ჯერ კიდევ გაუაზრებლად, ინტუიციის კარნახით, მაგრამ მიზანმიმართულად ვმოქმედებდი, მოგვიანებით კი შინაგანი რწმენით, პიროვნული და პროფესიული ვალდებულების შეგრძნებით. ასე ხანგრძლივად და თანაც ინტენსიურად არასდროს მიმუშავია. არც ამოდენა სიამოვნება მოუნიჭებია სხვა რომელიმე ნაშრომს. ალბათ, იმიტომ, რომ დანარჩენი წიგნებისგან განსხვავებით, ეს გამოკვლევა საზოგადოების რომელიმე ნაწილისთვის არ დამიწერია. სამშობლოს წიაღში მთელი სამყაროს მასშტაბით საკუთარი ქვეყნის მომავლის განჭვრეტის სურვილი წარმართავდა ყოველ ფრაზას. მხოლოდ ახლა, უკანასკნელი გვერდების ჩამოყალიბებისას მივუახლოვდი სასურველ ჰორიზონტს – გამოიკვეთა მონოგრაფიის არსი.

სახელმწიფო, რომელშიც დავიბადე – სსრკ დღეს, ღვთის წყალობით, აღარ არსებობს. რაც უნდა მოხდეს მომავალში, ყოველთვის ვიამაყებ იმის გამო, რომ დამოუკიდებელ საქართველოში უფრო მეტი ვიცხოვრე, ვიდრე საბჭოთა რესპუბლიკაში. 1921 წლის თებერვლის შემდეგ არაერთ ქართველ პატრიოტსა და ჩემზე დიდ მამულიშვილს აუხდენელ ოცნებად დარჩა ამგვარი პრივილეგია. ურთულესია ბალანსის დაცვა, როცა ცხოვრების ბეწვის ხიდს რადიკალურად განსხვავებულ წარსულსა და მომავალს შორის მიჰყავხარ. თხუთმეტი საბჭოთა რესპუბლიკისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სწორედ იმ თაობას ვეკუთვნი, რომელმაც უემოციოდ უთხრა „მშვიდობით, ლენინს“ და მეორე დღესვე ორგანულად შეერწყა სრულიად ახალ ცხოვრებას. ნამდვილად უბედნიერესი ბავშვობის ნოსტალგიას გარკვეულწილად ახლავს ლამაზი მო-

გონებები „ავადსახსენებელი საბჭოური“ პერიოდიდან იმ უბრალო მიზეზით, რომ პოლიტიკური ეპოქისა და ცხოვრების ხანის ქრონოლოგია დაემთხვა. ანალოგიური შეგრძნება ბევრ ჩემს თანატოლს აღმოაჩნდა არა მხოლოდ საბჭოეთის საზღვრებგარღვეული, დემოკრატიზებული ქვეყნებიდან, არამედ თუნდაც უნგრეთიდან, რუმინეთიდან თუ მოლდოვადან. ამგვარი თანაგანცდა ბუნებრივია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ერთი და იმავე „ბავშვობის კუნძულიდან“ მოდიან ეროვნული მუხტით. ინტელექტუალურის პარალელურად, საზიარო პოლიტიკური ბედიც დაგვყვა უმრავლესობას: „წითელი საპყრობილედან“ დროულად თავდახსნის სიხარული ნაწილობრივ გააფერმკრთალა „მეზობლის სანუკვარი ხასხასა ბალახის“ იმიჯის რეალურმა „სიყვითლემ“. ნაოცნებარი სილაღე ვერ მოაქვს, თითქოს, უკვე მოპოვებულ თავისუფლებას. ზოგს შინაგანი ხმა კარნახობს, რომ თავისუფლების ილუზორულობას იწვევს „გარეთა ციხის“ გაბარიტები ახალ სამყაროში.

ჯონ კენედიმ თავის ცნობილ სიტყვაში „მე ვარ ბერლინელი“ ორაზროვნად აღნიშნა: „თავისუფლებას მრავალი სირთულე ახლავს და დემოკრატია სულაც არ არის სრულყოფილი, მაგრამ არასდროს გვქონია კედლის აღმართვის აუცილებლობა ჩვენი ხალხის შესაკავებლად“. აღმოსავლეთ ევროპელებიდან ბევრმა „გალაღებულ დასავლეთელებზე“ უკეთ უწყის, რომ ვირტუალური კედლის დანგრევა ათასწილ უფრო რთულია დემოკრატიულობის პირობებში, ვიდრე ქვითა და ბეტონით ნაგებისა ტოტალიტარული რეჟიმის თვითლიკვიდაციის ჟამს. ფარული ირონია და ნეიტრალური შეშფოთება თანამედროვე პოლიტიკური ელიტის მიერ მოდიფიცირებული „პური და სანახაობაა“, რომლითაც დემოსს აჩუმებს. თუმცა „წითლიდან მწვანისკენ“ გადაცოცებულებსაც ამგვარი, ნაწილობრივ რეალური იმედი ურჩევნიათ სრულ უიმედობას. ერთი გოლიათის ტორებიდან თავდახსნილებისთვის მეორის „მეგობრულ“ მკლავებში თავის ამოყოფაა პრობლემა. ყოფილ „საბჭოელებს“ გულივერივით აბურთავებს დღევანდელობა: ხან მაიმახებად ნათლავენ ტანმცირენი, ხანაც ლილიპუტებად აღიქვამენ ზორბათა თემში და ორივეგან ადგილობრივ წესზე მორგებას უპირებენ. ნაძალადევი არაფერი ამართლებს. ნაპოლეონმაც კი ვერ მოხიბლა რუსი გლეხობა თავსმოხვეული თავისუფლებით. თანამედროვე ამბიციური პო-

ლიტიკოსები ნაკლებად ჰგავნან ფრანგ იმპერატორს. ვფიქრობ, საუკეთესო თანაფარდობა იქნება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ღირებული გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება, შეჯერება, შემდეგ – თითოეული ქვეყნის მოსახლეობის სურვილისამებრ გამოყენება. ასეთ პირობებში გლობალიზაციაც ვერასოდეს მიიღებს მახინჯ, არასწორ ინტერპრეტაციას.

ამერიკის განსაკუთრებულობას მუდამ განსაზღვრავდა ის ფაქტორი, რომ იგი თავიდანვე იმედების კონვეიერად ჩამოყალიბდა. მილიონობით იმედგაცრუებულთა ფონზე ყოველთვის ოსტატურად გამოიკვეთებოდა თითო-ოროლა იღბლიანი და მათი წარმატების ამბავი მიწიერ სამოთხეში მოხვედრის შესაძლებლობის რეალურობას ბანგივით აპარებდა დანარჩენ მასას. თუმცა თანამედროვე ამერიკის ხიბლი მხოლოდ ლამაზი ოცნების და დიდი იმედების პროპაგანდა ნამდვილად არ არის. აშშ-ის სათავეებთან განსწავლული ადამიანები იდგნენ. ისინი ციდან არ ჩამოცვენილან, ევროპული ცოდნის საგანძურზე დაყრდნობილი ტრადიციული განათლება მიიღეს, რომელსაც უკომპლექსოდ და აქტიურად იყენებდნენ პოლიტიკურ პრაქტიკაში. ახლად დაარსებული რესპუბლიკის წარმომადგენლები ცდილობდნენ ანტიკური ისტორიის გათვალისწინებით ჩამოეყალიბებინათ საკუთარი ქვეყნის სიმბოლოები. მათი მისწრაფება, რომ ახალი სამყარო ბებერი ევროპის ტრადიციათა მემკვიდრე და გამგრძელებელი ყოფილიყო, თვალნათლივ ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებელი მამებისა და მათი გარემოცვის ტენდენციას – სახელმწიფოებრიობა სოლიდურ ნიადაგზე დამყნობით შეექმნათ და ცარიელი ფურცლიდან არ დაეწყოთ ქვეყნის შენება. ყოველთვის, როცა ამერიკელები რაღაცას „პირველად მსოფლიოში“ აკეთებენ, იგულისხმება განვითარების შემდეგი ეტაპის პირველობა და არა – ნულიდან დაწყება. ვფიქრობ, სწორედ ეს არის ამერიკის დიდებულებისა და სიძლიერის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი მიზეზიცა და საფუძველიც.

სკეპტიკოსებს, რომლებიც შეერთებული შტატების „მოკლევადიანობას“ გახაზავენ, მუდამ უნდა ახსოვდეთ – ამერიკის ისტორიის რეალური ხანგრძლივობაა სამ საუკუნეს დამატებული მსოფლიო ისტორია. ეს კი აშშ-ს ხშირად ანიჭებს მომგებიან ფორას „ძველი“ ევროპის სახელმწიფოებთან მიმართებაში.

კომენტარები

ამერიკული ოცნება (American Dream) – ამ სიტყვათწყობის პირველწყაროდ ითვლება ამერიკელი მწერლისა და ისტორიკოსის, პულიტსერის პრემიის ლაურეატის, ჯეიმს ადამსის (James Truslow Adams, 1878-1949) საერთაშორისო მასშტაბის ბესტსელერი „ამერიკის ეპოსი" («The Epic of America», 1931), რომელშიც ავტორი ამერიკული ოცნების თაობაზე საუბრობს: „ესაა ოცნება ქვეყანაზე, სადაც თითოეულის ცხოვრება გაცილებით უკეთესი, მდიდარი და სავსე იქნება; სადაც ყველას მიეცემა საკუთარი უნარისა და შესაძლებლობის გამოვლენის შანსი. ევროპის ზედა ფენებისთვის რთულია ასეთი ოცნების ადეკვატურად გაგება, მით უფრო, რომ მან ამერიკელების დიდი ნაწილიც დაღალა უკვე და ნდობა დაუკარგა. ეს სულაც არაა უბრალოდ ავტომობილებსა და დიდ ხელფასებზე ოცნება. ესაა ოცნება ისეთ სოციალურ წყობაზე, რომელშიც თითოეულ კაცსა და თითოეულ ქალს მისი შინაგანი ენერგიის სრულყოფილად რეალიზების უფლება ექნება და ყოველი მათგანი პიროვნული ღირსებების შესაბამისად დაფასდება, პრივილეგირებული წარმომავლობისა თუ თანამდებობის გაუთვალისწინებლად". ამერიკული ოცნება ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა ცხოვრების იდეალია, რომლის ზუსტი განმარტება არ მოიძებნება. კონტექსტის მიხედვით, ამ ტერმინის მნიშვნელობის რამდენიმე განსხვავებული ვარიანტი არსებობს. ყველაზე ხშირად იგი გამოიყენება ცხოვრების მაღალი სტანდარტის (საკუთარი სახლი, მაღალანაზღაურებადი სამსახური), სოციალური კიბის შემდეგ საფეხურზე ასვლის, სახელისა და პოპულარობის მოპოვების აღმნიშვნელად. თუმცა, ინტელექტუალურ ცხოვრებაზეც შეიძლება მიუთითებდეს. აღსანიშნავია, რომ ამერიკული ოცნება პიროვნების თავისუფლებასა და თავისუფალ მეწარმეობას ეფუძნება. ამერიკული ოცნება უშუალო კავშირშია «self-made person»-ის გაგებასთან. „ამერიკული ოცნების განსახიერებას" ისეთ ადამიანს უწოდებენ, ვინც თავდაუზოგავი შრომით, დამოუკიდებლად მიაღწია წარმატებას ცხოვრებაში. ამის პარალელურად, არსებობს რადიკალურად განსხვავებული სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც ამერიკული ოცნებაა კინოთეატრში ჯდომა, ბატიბუტისა და ჰამბურგერის დაგემოვნება, კოკა-კოლის დაყლევა. ეს, რა თქმა უნდა, ამერიკული იდეალის უკიდურესად დამახინჯებული ახსნაა. გარდა ამისა, ამერიკული ოცნება ხშირად აღიქმება ემიგრანტებთან კავშირში, რომლებიც აშშ-ში უკეთესი ცხოვრების იმედით მიდიან. ეს ტერმინი უარყოფით აზრს იძენს, როცა უცხო ფასეულობათა მიერ ჩვეული ცხოვრების ნორმისა და სტანდარტების ნაცვლად ფარულად თავ-

სმოხვეული ახალი წესის მნიშვნელობით გამოიყენება. ასეთ სიტუაციაში, ამერიკული ოცნების მნიშვნელობა მომხმარებლური საზოგადოების ბედნიერების შაბლონს გულისხმობს, რაც ამერიკულ ექსპანსიურ პოპკულტურასთან ასოცირდება. იმის გამო, რომ ამერიკული ოცნება ფართო ცნებაა, მას მომხრეც ბევრი ჰყავს და მოწინააღმდეგეც, იმის მიხედვით, ვის როგორ ესმის ეს ფენომენი. ამერიკული ოცნების კრიტიკა გვხვდება როგორც აშშ-ში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. ტერმინის იუმორისტული გამოყენება ჩვეული მოვლენაა. ამ მხრივ აღსანიშნავია 1956 წელს იტალიელი მომღერლის რენატო კაროზონეს (Renato Carosone, 1920-2001) ირონიით სავსე სიმღერა «Tu Vuò fá l'americano» („ამერიკელობას მიელტვი“). ნიკოლა სალერნოს (Nicola "Nisa" Salerno, 1910-1969) ლექსის შინაარსმა კომპოზიტორს უეჭველი წარმატების რწმენა ჩაუნერგა, რადგან მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იტალიაში არსებულ ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას აშარჟებდა. ტექსტში საუბარია იტალიელ ახალგაზრდაზე, რომელიც თანამედროვე ამერიკული ცხოვრების წესის იმიტირებით ცდილობს ტიპურ იანკის დაემსგავსოს – იგი ვისკის და გაზიან წყალს სვამს, როკ-ენ-როლს ცეკვავს, ბეისბოლს თამაშობს, „ქემელის“ სიგარეტს ეწევა, მაგრამ ფინანსურად ჯერაც მშობლების კმაყოფაზეა. კომპოზიტორს ალღომ არ უმტყუნა. სიმღერა პირველი შესრულებისთანავე ჰიტი გახდა და ბევრი ცნობილი ადამიანის რეპერტუარში დამკვიდრდა. მისი არსებობის განმავლობაში «Tu Vuò fá l'americano»-მ არაერთი ფილმი დაამშვენა, მათ შორის: „ეს ნეაპოლში დაიწყო“ («It Started in Naples», 1960) და „ნიჭიერი მისტერ რიპლი“ («The Talented Mr. Ripley», 1999). დღეს ამ სიმღერის უამრავი თარგმნილი და გარემიქსებული ვარიანტი არსებობს.

არისტოკრატია (Aristokratia, άριστεύς – საუკეთესო, რჩეული, κράτος – ძალაუფლება) – საზოგადოების პრივილეგირებული ზედაფენა გვარიშვილობის, წარმომავლობის ნიშნით. არისტოკრატია წარმოიშვა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნის შედეგად. საბერძნეთში არისტოკრატიული ელემენტის შექმნასა და გაძლიერებას საფუძვლად დაედო უხუცესთა საბჭოს წევრების შერჩევა გვარის ერთი და იმავე ოჯახიდან. თანდათან მთელი სახელმწიფო ხელისუფლება წარჩინებულმა გვარებმა მიითვისეს. პლატონმა და არისტოტელემ ტერმინი არისტოკრატია გამოიყენეს მმართველობის ისეთი ფორმის აღსანიშნავად, რომლის დროსაც ხელისუფლების სათავეში დგანან არისტოკრატიის წარმომადგენლებისგან შემდგარი არჩევითი ორგანოები. არისტოკრატიის, როგორც რჩეულთა მმართველობის, უპირატესობას ხალხის პოლიტიკური არასრულფასოვნებით ასაბუთებდნენ XVII-XVIII საუკუნეების ფილოსოფოსები: ჰობსი (Thomas Hobbes, 1588-1679), სპინოზა (Benedict Spinoza, 1632-1677), მონტესკიე (Montesquieu, 1689-1755) და კანტი (Immanuel Kant, 1724-1804). ძირითადი განსხვავება არისტოკრატიასა და ოლიგარქიას შორის ისაა,

რომ არისტოკრატია ზრუნავს მთლიანად სახელმწიფოს და არა – მხოლოდ საკუთარი პრივილეგირებული კლასის ინტერესებზე. ამის იდენტურია მონარქიასა და ტირანიას შორის არსებული განსხვავება.

არისტოტელე (ἀριστοτέλης [Aristotélēs], ძვ. წ. 384-322) – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერი, პლატონის (Plato) მოწაფე. დაიბადა ქალაქ სტაგირაში (Stageira), რომელიც თანამედროვე ქ. სალონიკის (Thessaloniki) აღმოსავლეთით, დაახლოებით, 55 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. თვრამეტი წლის ასაკში ათენში გაემგზავრა პლატონის აკადემიაში სასწავლებლად, სადაც ლამის ოცი წელი დაჰყო და მხოლოდ ძვ. წ. 347 წელს, პლატონის გარდაცვალების შემდეგ, დატოვა. მერე მცირე აზიაში იმოგზაურა ქსენოკრატესთან (Xenocrates) ერთად და თავისი მეგობრის ჰერმიასის (Hermias of Atarneus) ქალაქში დასახლდა. მოგვიანებით არისტოტელემ ცოლად შეირთო ჰერმიასის აღზრდილი პითიასი (Pythias), რომელთანაც ქალიშვილი შეეძინა. ძვ. წ. 335 წელს ათენში დააარსა ლიცეუმი (ლიკეიონი) ანუ პერიპატეტიკური სკოლა. ძვ. წ. 343 წელს მაკედონიის მეფემ ფილიპე II-მ არისტოტელე თავისი ვაჟის ალექსანდრეს აღმზრდელად მიიწვია. ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ არისტოტელე გაეცალა ანტიმაკედონიურ მოძრაობას, გადასახლდა ევბეაზე ქალაქ ქალკიდაში, სადაც მალე გარდაიცვალა. არისტოტელე, პლატონი და სოკრატე (რომელიც პლატონის მასწავლებელი იყო) აღიარებულნი არიან დასავლური ფილოსოფიის ფუძემდებლებად. 1491-1498 წლებში არისტოტელეს ნაშრომთა სრული კრებული ბერძნულად გამოსცა ალდუს მანუციუსმა ვენეციაში. არისტოტელეს ნაშრომთა ციტირება მიღებულია 1831-1870 წლების მ. ბეკერის გამოცემის მიხედვით. პირველ ფილოსოფიასთან ანუ მეტაფიზიკასთან დამოკიდებულების მიხედვით, არისტოტელეს სისტემა და მისი ნაშრომები პირობითად ასე შეიძლება დაიყოს: პირველი ფილოსოფია („მეტაფიზიკა“), ლოგიკა, ფიზიკა, ბიოლოგია, ფსიქოლოგია და შემეცნების თეორია („სულისათვის“, „მეხსიერებისა და მოგონებისათვის“, „ძილისა და სიფხიზლისათვის“, ა.შ.), ეთიკა, ხელოვნების თეორია, პოეტიკა, მოძღვრება სახელმწიფოზე და პედაგოგიკა („პოლიტიკა“, „ათენელთა სახელმწიფო წესწყობილება“). არისტოტელეს მოძღვრება მთელი მაშინდელი ცოდნის სისტემატიზაციის ცდაა. არისტოტელეს ლოგიკური თხზულებები, სავარაუდოდ, სხვადასხვა დროს, განსხვავებული გეგმით დაიწერა და ავტორის მიერ ჩასწორებული სალექციო ჩანაწერები უნდა იყოს. ლოგიკას ამ ტრაქტატებმა ჩაუყარა საფუძველი. არისტოტელეს ლოგიკური კვლევა-ძიების მთავარი შედეგის სემიოტიკის ფუძე ცნებების გამოკვეთა: ერთიანი სიმბოლოს, გამოსახულების, აღნიშვნის, მნიშვნელობის, დებულებების, ჭეშმარიტება-სიყალბის. ჭეშმარიტება და სიყალბე მიიჩნია დებულებების (და არა ნივთების) თვისებებად და დაგვიტოვა ამ ცნებების კლასიკური დეფინიცია. წამოაყენა წინააღმდეგობის შეუძლებლობის და გამორიცხული მესამის პრინციპები და განასხვავა მათი

სამნაირი ფორმულირება. შემოიღო დედუქციური მეცნიერების ცნება. აღმოაჩინა ანტინომია, რომელსაც XX საუკუნეში რასელმა ხელახლა მიაგნო, და დაამტკიცა, რომ არ არსებობს ყოვლისმომცველი გვარი (კლასი): განასხვავა ნომინალური და რეალური დეფინიციები, სხვ. „ნიკომაქეს ეთიკაში“ არისტოტელე ამბობს, რომ „ბუნებით, ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა“, „პოლიტიკაში“ კი – პოლიტიკური არსება უწოდა. მისი ვარაუდით, ადამიანი იბადება პოლიტიკურ არსებად და ინსტინქტურად ახასიათებს თანაცხოვრებისადმი მოთხოვნილება. მისი აზრით, ადამიანებს მხოლოდ საზოგადოებაში შეუძლიათ ცხოვრება, რომელიც პოლიტიკური სისტემის პირობებში არსებობს. მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ ანუ პოლიტიკა იკვლევს სახელმწიფოებრივ სტრუქტურას, წყობილების ტიპებს და საუკეთესო წყობილებისათვის აუცილებელ პირობებს. საუკეთესო იქნება ის წყობილება, რომელშიც საუკეთესო პირობებია სათნოების არსებობისათვის. მონარქია (monarchia – ერთმმართველობა) არის სახელმწიფოში ერთის ბატონობა, არისტოკრატია (aristokratia – საუკეთესოთა ხელისუფლება) – უმცირესობის, პოლიტია ანუ ზომიერი დემოკრატია კი – მოქალაქეთა უმრავლესობის. სამივე მეტ-ნაკლებად ემსახურება სახელმწიფოს საერთო ინტერესებს, მაგრამ როცა სახელმწიფოს მმართველებს პირადი ინტერესი ამოძრავებთ, მმართველობის აღნიშნულ ტიპთა გადაგვარებული ფორმები წარმოიქმნება: ტირანია, ოლიგარქია და ოლქოკრატია (ლატაკთა ბატონობა). „მონარქიიდან გადახრა გვაძლევს ტირანიას, არისტოკრატიიდან გადახრა – ოლიგარქიას, პოლიტიიდან გადახვევა – დემოკრატიას, დემოკრატიიდან გადახრა – ოლქოკრატიას“. სახელმწიფოს არასწორი ფორმებიდან ყველაზე ასატანად არისტოტელე თვლიდა დემოკრატიას. იდეალური მონარქი რომ მოიძებნებოდეს, საუკეთესო წყობილება სწორედ მონარქია იქნებოდა, მაგრამ თუ ამის რეალური საშუალება არ არის, მაშინ საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს პოლიტია, რომელიც ემყარება საშუალო კლასის, საშუალო სიმდიდრის მფლობელთა ბატონობას. ნებისმიერი სახელმწიფო წყობისთვის არსებითია შემდეგი წესის დაცვა: არცერთ მოქალაქეს არ უნდა მიეცეს საკუთარი პოლიტიკური ძალის დადგენილ ნორმაზე გადამეტების საშუალება. არისტოტელეს რჩევაა, მმართველი ინდივიდების მუდმივი კონტროლი, რომ მათ ვერ მოახერხონ სახელმწიფო თანამდებობის საკუთარი გამდიდრების წყაროდ გადაქცევა. არისტოტელემ გიგანტური მასშტაბების გამოკვლევა ჩაატარა – 158 სახელმწიფოს პოლიტიკური წყობა („კონსტიტუცია“) შეისწავლა. აქედან მხოლოდ ერთი ნაშრომი („ათენური პოლიტია“) შემორჩა. საყურადღებოა არისტოტელეს მოსაზრებანი მოქალაქის აღზრდის თაობაზე. ყოველი მოქალაქე სახელმწიფოს ნაწილია და მისი აღზრდა სახელმწიფოს საერთო მიზანს უნდა ექვემდებარებოდეს. პოლიტიკის მიზანია, მოქალაქეებს მაღალი ზნეობრივი თვისებები ჩამოუყალიბოს, სამართლიან ადამიანებად აქციოს. რადგან მორალურად სრულყოფილი ადამიანების აღზრდა მათში ბუნებრივად ჩადებული ნაკლოვანი მხარეების გამო შეუძლებელია,

პოლიტიკის მიზანია ადამიანებში მორალის ჩანერგვა. მოქალაქის მორალური მხარე მოიცავს საკუთარი სამოქალაქო ვალის აღსრულების უნარს, ხელისუფლებისა და კანონის მორჩილებას. ადამიანის ბუნების სამ განუყოფელ უნარს (მცენარეულს, ცხოველურს ანუ ნებითს და გონითს) შეესაბამება აღზრდის სამი სახე: ფიზიკური, ეთიკური და გონებრივი. ბავშვები შვიდ წლამდე შინ იზრდებიან, შვიდიდან თოთხმეტამდე – სკოლაში. სწავლაში თამაშის როლი გამორიცხულია. აღზრდის პროგრამაში შედის მუსიკა, რადგან მას შეუძლია ზნეობრივი განწყობილების გამოწვევა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას, აღზრდაში ძირითადია თავისუფალი დროისთვის (scholē) ადამიანის მომზადება. ეს არაა არც გართობის, არც დასვენების დრო, რაც პრაქტიკული მიზნებისთვის დახარჯული ენერგიის აღდგენას გულისხმობს. ესაა დრო, როცა ხდება შემეცნება შემეცნებისათვის, ფილოსოფოსობა. ესაა ადამიანის ღვთაებრივი ცხოვრება.

არლინგტონის ეროვნული სასაფლაო (Arlington National Cemetery) – აშშ-ის დედაქალაქის, ვაშინგტონის გარეუბანში, არლინგტონში (ვირჯინიის შტატი) მდებარე სამხედრო სასაფლაო, სადაც დაკრძალული არიან პირველ და მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ჯარისკაცები, აშშ-ის პრეზიდენტი ჯონ კენედი (1963), სენატორი რობერტ კენედი (1968), განთავსებულია ძეგლი – „უცნობი ჯარისკაცის საფლავი“ (1931).

არსენალის ციხე (Rock Island Arsenal) – ქ. დავენპორტსა (აიოვას შტატი) და როკ-აილენდს (ილინოისის შტატი) შორის, მდინარე მისისიპის წყლებში არსებულ არსენალის კუნძულზე (რომლის ძველი სახელწოდებაა როკ-აილენდი) განთავსებული ციხე. ოფიციალურად ილინოისის შტატს ეკუთვნის. კუნძულზე 1816 წელს ფორტ-არმსტრონგი აიგო. ახლა ეს შენობა უდიდესი სამთავრობო იარაღის მწარმოებელი არსენალია აშშ-ში. 1905 წლის 4 ივლისს მუზეუმად გადაკეთდა და, სიძველის მიხედვით, ქვეყნის ნომერ მეორე სამხედრო მუზეუმად იქცა. არსენალის ციხის მუზეუმი ორჯერ დაიხურა – პირველი და მეორე მსოფლიო ომების მსვლელობისას. თანამედროვე გამოფენა კონცენტრირებულია არსენალის კუნძულის ისტორიასა და სამოქალაქო ომის პერიოდში არსენალის ციხის სატუსაღო ფუნქციით გამოყენების დეტალებზე.

ასწლიანი ომი (ინგლ. Hundred Years' War, ფრანგ. Guerre de Cent Ans, 1337-1453) – ომი ინგლისსა და საფრანგეთს შორის, რომელიც, ფაქტობრივად, 116 წელი გაგრძელდა. ამ ომის გამომწვევი მიზეზი იყო ბრძოლა საფრანგეთის მიწებისათვის, რომლებიც ინგლისის მეფეებს ეპყრათ ჰენრი II პლანტაგენეტის დროიდან. ამ მიწებისთვის უფრო ადრე წარმოებული ბრძოლა ე.წ. „პირველი ასწლიანი ომი“ 1259 წელს დასრულდა პარიზის ზავით, რომლის მიხედვითაც ინგლისმა შეინარჩუნა

მხოლოდ აკვიტანია. დავა ამ სამფლობელოებისათვის დროდადრო (1294-1296, 1324) იწვევდა კონფლიქტებს. ამას ემატებოდა ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება შოტლანდიის (რომელსაც საფრანგეთი ეხმარებოდა ინგლისის წინააღმდეგ), ბრეტანისა და, განსაკუთრებით, ფლანდრიის გამო. ეს მიწები პოლიტიკურად დაკავშირებული იყო საფრანგეთთან, ხოლო ეკონომიკურად დამოკიდებული იყო ინგლისის მატყლის იმპორტზე. ინგლისის მეფე ედუარდ III-მ ისარგებლა ფლანდრიელი ხელოსნების ბრძოლით იაკობ ვან არტეველდეს (Jacob van Artevelde, დაახ. 1290-1345) მეთაურობით და ფლანდრია ინგლისის ძლიერ მოკავშირედ აქცია. ასწლიანი ომის დაწყების უშუალო მიზეზად იქცა საფრანგეთის ტახტის მემკვიდრეობის საკითხი. ფილიპე IV ლამაზის უმცროსი შვილის, შარლ IV-ის სიკვდილით 1328 წელს კაპეტინგების დინასტია შეწყდა. ფრანგმა დიდებულებმა უარყვეს ფილიპე IV-ის ქალიშვილის იზაბელის ვაჟის – ინგლისის მეფე ედუარდ III-ის პრეტენზია („სალიკური სამართლის ძალით ქალს ტახტზე უფლება არა აქვსო“) და გაამეფეს ფილიპე IV-ის ძმისშვილი ფილიპე VI ვალუა. ედუარდ III-მ თავდაპირველად ცნო ფილიპე საფრანგეთის მეფედ, მაგრამ აკვიტანიისა და შოტლანდიის საკითხებით გამოწვეულ კონფლიქტთან დაკავშირებით განაახლა თავისი პრეტენზია და ომი გამოუცხადა მას. ასწლიანი ომი პირობითად იყოფა სამ პერიოდად. ომის პირველი პერიოდი (1337-1360) ინგლისელების წარმატებით წარიმართა: სლეისის ბრძოლაში 1340 წლის 24 ივნისს ინგლისმა გაანადგურა საფრანგეთის სამხედრო ფლოტი; კრესის ბრძოლაში 1346 წლის 26 აგვისტოს ინგლისელებმა პირველად გამოიყენეს არტილერია, მძიმე დამარცხება მიაყენეს ფრანგებს და 1347 წელს აიღეს ქალაქი კალე; პუატიეს ბრძოლაში 1356 წლის 19 სექტემბერს ინგლისელებმა შავი პრინცის სარდლობით სასტიკად დაამარცხეს ფრანგები, ტყვედ იგდეს ჟან II კეთილი და მრავალი ფრანგი დიდებული. ამას მოჰყვა პარიზის აჯანყება (1357-1358), ჟაკერია. ბრეტინის ზავით 1360 წლის 8 მაისს ინგლისმა მიიღო დიდძალი მიწები სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში. ზავით მოპოვებული შესვენება შარლ V-მ გამოიყენა საფრანგეთში მნიშვნელოვანი გარდაქმნებისთვის. ასწლიანი ომის მეორე პერიოდი (1369-1380) წარიმართა ფრანგების წარმატებით. ინგლისს შერჩა მცირედი, განცალკევებულად მდებარე მიწები: კალე, შერბური, ბრესტი, ბორდო. საერთო შინაგანმა კრიზისმა ორივე სახელმწიფო ხანგრძლივად დააზავა 1380-1415 წლებში. XV საუკუნის დამდეგს საფრანგეთში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა: შარლ VI გაგიჟდა და სახელმწიფოს მართვა აღარ შეეძლო, დაიწყო ფეოდალთა არეულობა, 1413 წელს პარიზელები აჯანყდნენ სიმონ კაბოშის მეთაურობით, სამოქალაქო ომი ატყდა არმანიაკებსა და ბურგინიონებს შორის. სიტუაცია თავის სასარგებლოდ გამოიყენა ინგლისის მეფე ჰენრი V-მ და ომი განაახლა. ასწლიანი ომის მესამე პერიოდი (1415-1453) თავდაპირველად წარიმართა ინგლისელთა სასარგებლოდ. ჰენრი V-მ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა აზენკურის ბრძოლაში 1415 წლის 25 ოქ-

ტომბერს, სასტიკად დაამარცხა არმანიაკები. ამ დროს ბურგინიონები „ნეიტრალიტეტს" იცავდნენ, მოგვიანებით, 1419 წელს ისინი ინგლისელების აშკარა მოკავშირეები გახდნენ. ჰენრი V-მ დაიპყრო ჩრდილოეთ საფრანგეთი, აიღო პარიზი და ტრუას ხელშეკრულებით საფრანგეთის რეგენტისა და ტახტის მემკვიდრის სტატუსი შეიძინა. ჰენრი V-ისა და შარლ VI-ის სიკვდილის შემდეგ „ინგლისისა და საფრანგეთის მეფედ" აღიარეს ჰენრის მცირეწლოვანი ვაჟი ჰენრი VI. რეგენტ ჯონ ბედფორდის (John of Lancaster, 1st Duke of Bedford, also known as John Plantagenet) სარდლობით ინგლისელებმა და ბურგინიონებმა ლუარის ჩრდილოეთით მდებარე მიწების დაპყრობა დაასრულეს და ალყა შემოარტყეს ქალაქ ორლეანს. საფრანგეთში დაიწყო სახალხო-პატრიოტული მოძრაობა ჟანა დ'არკის (Jeanne d'Arc, დაახ. 1412-1431) მეთაურობით, რომელმაც ინგლისელებსა და მათ მოკავშირეებზე შესანიშნავი გამარჯვებები მოიპოვა (1428-1429 წლების ორლეანის ალყის მოხსნა 7-8 მაისს, 10-12 ივნისს ჟარჟოს ბრძოლა, 15 ივნისს მენ-სურ-ლუარის ბრძოლა, 16-17 ივნისს ბოჟანსის ბრძოლა და 18 ივნისს პატეს ბრძოლა), გაათავისუფლა რამდენიმე ქალაქი და ხელი შეუწყო შარლ VII-ის მეფედ კურთხევას რეიმსში 1429 წლის 17 ივლისს. მიუხედავად კომპიენთან ორლეანელი ქალწულის დატყვევებისა და ერთი წლის შემდეგ კოცონზე დაწვისა, გამარჯვება საფრანგეთის მხარეზე იყო, რაც კიდევ უფრო გაამყარა 1435 წლის 20 ოქტომბერს არასის ზავით ბურგუნდიის ჰერცოგთან დაზავებამ. განთავისუფლდა პარიზი (1436), შამპანი (1441), მენი და ნორმანდია (1450). 1453 წლის 17 ივლისს კასტიიონეს ბრძოლით ასწლიანი ომი, ფაქტობრივად, დამთავრდა, თუმცა საომარი მდგომარეობა გრძელდებოდა. მას ბოლო მოუღო ედუარდ IV-სა და ლუი XI-ს შორის 1475 წლის 29 აგვისტოს დადებულმა პიკინის ზავმა. ინგლისს საფრანგეთში მხოლოდ კალე შერჩა, რომელსაც 1558 წლამდე ფლობდა. ედუარდ IV-მ, დედოფალმა მარგარიტა ანჟუელმა, ინგლისის ლორდებმა ფულადი კომპენსაცია და ყოველწლიური პენსიები მიიღეს. მხოლოდ მეფის ძმამ, გლოჩესტერის ჰერცოგმა (მომავალმა რიჩარდ III-მ) განაცხადა უარი ფულის აღებაზე და არ სცნო პიკინის ზავის პირობები. ინგლისის მეფეს შეუნარჩუნდა „საფრანგეთის მეფის" ტიტული, რომელზეც იგი იძულებული გახდა უარი ეთქვა ამიენის ზავის თანახმად 1802 წლის 25 მარტს.

აღმოსავლური ოთახი (East Room) – თეთრი სახლის ყველაზე დიდი ოთახი, რომელიც შენობის სამხრეთ მხარეს იყურება. გამოიყენება გართობის, პრესკონფერენციების, ცერემონიების და განსაკუთრებული სადილების მოსაწყობად. აქ კიდია თეთრი სახლის ყველაზე ხანდაზმული ექსპონატი – 1797 წელს გილბერტ სტიუარტის მიერ შესრულებული ჯორჯ ვაშინგტონის პორტრეტი, რომელიც 1814 წლის ხანძარს გადაურჩა. მის გვერდით გამოფენილია ე.ფ.ენდრიუსის მიერ 1878 წელს დახატული მარტა ვაშინგტონის პორტრეტი. აქვეა «Steinway & Sons»

ფირმის უნიკალური როიალი, რომელიც 1938 წელს დაამზადა ერიკ გუგლერმა პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტის მითითებით. როცა ლორა ბუში პირველი ლედის სტატუსი ჰქონდა, აღმოსავლურ ოთახში ლიტერატურის საღამოებს აწყობდა.

აშშ-ის სამოქალაქო ომი, ჩრდილოეთის და სამხრეთის ომი (American Civil War, 1861-1865) – ასევე ცნობილია განსხვავებული სახელწოდებებით (War Between the States, War of the Rebellion, War for Southern Independence, War of Northern Aggression, Freedom War, War for the Union, Second American Revolution, etc.). ომი ჩრდილოეთის აბოლიციონისტურ შტატებსა და სამხრეთის თერთმეტ მონათმფლობელურ შტატს შორის. საომარი მოქმედებები დაიწყო 1861 წლის 12 აპრილს ფორტ სამტერზე თავდასხმით და დასრულდა 1865 წლის 23 ივნისს გენერალ სტენ უეიტის მეთაურობით სამხრეთელთა არმიის დარჩენილი ნაწილების კაპიტულაციით. სამოქალაქო ომის მსვლელობისას გაიმართა ორი ათასამდე შეტაკება. 1862 წლის 30 დეკემბერს პრეზიდენტმა ლინკოლნმა ხელი მოაწერა დამდეგი წლის 1 იანვრიდან „მონების გათავისუფლების მანიფესტს", რის საფუძველზეც სამხრეთის შტატის ყველა მონას მიენიჭა თავისუფლება. აღნიშნულმა ნაბიჯმა კარდინალურად შეცვალა ომის ხასიათი და დანიშნულება ევროპის თვალში: ამ მომენტიდან მოყოლებული ბრძოლა მიმდინარეობდა არა კავშირის ერთიანობისათვის, არამედ მონობის გაუქმებისთვის. ეს ძალზე ჭკვიანური გათვლა გამოდგა, რადგან ახალი კანონის ძალაში შესვლამდე ევროპის ზოგიერთი ქვეყანა უკმაყოფილო იყო ჩრდილოეთის ქმედებებით, უპირველეს ყოვლისა, სამხრეთის საპორტო ქალაქების ბლოკადით, რამაც სამხრეთის ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობების სრული პარალიზება გამოიწვია. შედეგად, ევროპელებიც ზარალდებოდნენ. მაგალითად, ინგლისში ამერიკული ბამბის იმპორტის შეწყვეტამ ტექსტილის წარმოების გაკოტრება გამოიწვია და ასი ათასობით ადამიანი სამსახურის გარეშე დარჩა. ინგლისი და საფრანგეთი კონფედერაციის დამოუკიდებლობის აღიარებას აპირებდნენ, მაგრამ მონების განთავისუფლების გამოცხადებით ლინკოლნმა ევროპის ქვეყნების წინაშე ძლიერი მოტივაცია და თავის გასამართლებელი საბუთი იშოვა.

ახალი ხიდი, პონ-ნევი (Pont Neuf, აგების წლები 1578-1607) – 238 მეტრის სიგრძის ყველაზე ცნობილი პარიზული ხიდი. არაჩვეულებრივი კონსტრუქციისა და ულამაზესი დეკორაციების გამო, ეს ხიდი მდინარე სენის გაყოლებაზე არსებული გრანდიოზული სამეფო არქიტექტურის უმთავრეს ნიმუშად ითვლება. მონარქიის ეპოქაში ახალი ხიდი ერთმანეთთან აკავშირებდა ლუვრს, სენ-ჟერმენის სააბატოსა და სენის მარცხენა სანაპიროს. ამ ხიდის დიზაინი ჯერ კიდევ 1556 წელს, მეფე ანრი II-ის მეფობის პერიოდში შეიქმნა, რადგან იმ დროს პარიზში არსებული ოთხივე ხიდი: პატარა ხიდი (Petit Pont), ნოტრ-დამის ხიდი

(Pont Noire-Dame), სენ-მიშელის ხიდი (Pont Saint-Michel), გადამცვლელთა ხიდი (Pont au Change) ძალზე გადატვირთა და საკმარისი აღარ იყო; მაგრამ ახალი ხიდის აგების წინააღმდეგ გამოვიდა სხვა ხიდებზე ფარდულების მქონე ვაჭართა და მეწვრილმანეთა გილდიის მეთაური. თანაც მშენებლობისთვის საჭირო თანხის მოძიება გაჭირდა. პონ-ნევის საძირკველში პირველი ქვა ოცი წლის შემდეგ ანრი II-ის შვილმა, ანრი III-მ ჩადო 1578 წლის 31 მაისის საღამოს დედა-დედოფლის, ეკატერინე მედიჩის თანდასწრებით. ლიგერებთან პრობლემების გამო, მშენებლობა გარკვეული დროით შეჩერდა და მხოლოდ ანრი IV-ის გამეფების შემდეგ განახლდა. 1607 წლის 20 ივნისს ხიდი თავად მონარქმა გახსნა საზეიმოდ. ოთხი წლის თავზე ანრი IV-მ მას სახელად პონ-ნევი ანუ ახალი ხიდი ოფიციალურად უწოდა. ხიდის დიზაინზე არქიტექტორთა ხუთკაციანი ჯგუფი მუშაობდა. პონ-ნევი ორნაწილიანი ხიდია. პირველ ნაწილს ხუთი თაღი და ხუთი ირიბი ბურჯი აქვს, მეორე ნაწილს კი შვიდი თაღი და ამდენივე ირიბი ხიმინჯი. ეს ორი ნაწილი ერთმანეთთან დაკავშირებულია კუნძულ სიტეს (Île de la Cité) სამხრეთ ტერიტორიით. ანრი IV-ის ბრძანებით, მეორე თაღის ზემოთ დამონტაჟებული იყო ე.წ. ტუმბო-სამარიტელი («La Samaritaine»), რომელიც სენის წყლით ამარაგებდა ლუვრის სასახლეს, ტუილრის და მათ გარშემო შენობებს. წინა ფასადს ამშვენებდა ჭასთან კეთილი სამარიტელი ქალის ამსახველი ბრინჯაოს ბარელიეფი. ხიდზე ასევე იდგა სამრეკლო და მზის საათი, რომლებსაც ასი წლის შემდეგ დემონტაჟი გაუკეთეს. პონ-ნევმა განსაკუთრებული პოპულარობა არამხოლოდ თავისი გამორჩეული სიგანის გამო მოიპოვა. ეს იყო პირველი ხიდი შენობების გარეშე. ამის გამო პარიზელებს შეეძლოთ ხიდიდან სენის ხედებით დამტკბარიყვნენ, რისი საშუალებაც მანამდე არასდროს ჰქონიათ. ამბობენ, რომ ეს იდეა პირადად ანრი IV-ს ეკუთვნოდა, რომელსაც სურდა ლუვრის ხედი თავისუფალი დარჩენილიყო. თანაც ეს იყო პირველი ტროტუარიანი ხიდი პარიზში, რაც ქვეითად მოსიარულეებს ტალახისგან და ცხენების ფლოქვებქვეშ მოხვედრისგან იცავდა. ფართო მასებში ახალი ხიდი განსაკუთრებული სიმპათიით სარგებლობდა. მთელი ორი საუკუნის განმავლობაში ეს იყო სოფისტური იდეების გადმოფრქვევისა თუ ხორციელი გართობის იოლად პოვნის ადგილი დედაქალაქში. ვის არ შეხვდებოდით პონ-ნევზე. იმ პერიოდის გამოთქმის არ იყოს, ხიდზე გავლისას უეჭველად გადაეყრებოდით „ბერსაც, თეთრ ცხენსაც და სამუშაოდ გამოსულ მეძავსაც". ინგლისელი მწერალი ავგუსტუს ჰეა (Augustus John Cuthbert Hare, 1834-1903) წერდა: „პონ-ნევი იმდენად ცენტრალური არტერიაა, რომ პარიზელი პოლიციელების თქმით, ძიებაში მყოფი ადამიანი ამ ხიდზე სამი დღის განმავლობაში თუ არ გაივლის, ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ მან პარიზი უკვე დატოვა". თუმცა სატრფიალო თავგადასავლების მაძიებელთა რიცხვი ახალ ხიდზე განსაკუთრებით დიდი იყო, ასეთებს რაოდენობით არ ჩამორჩებოდნენ ყველა ჯურის ბნელი პირები, ქურდები, ჯიბგირები, აფერისტები და ბანდიტები. თანაც, პონ-

ნევზე მცირე ბიზნესი ყვაოდა ბუკინისტების, დასტაქრებისა და მოხეტიალე მეწვრილმანეთა სახით. პონ-ნევი პამფლეტისტებისა და სატირიკოსების ცენტრსაც წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ფრონდის პერიოდში პონ-ნევზე გამოკრული იყო სატირული შინაარსის ფურცელი „ჯილდოთა ტარიფი მაზარინისგან ხალხის მხსნელს": „კამერდინერს, რომელიც მას ორ ლეიბს შორის მიახრჩობს – 100 ათასი ეკიუ; დალაქს, რომელიც მას სამართებლით გამოსჭრის ყელს – 75 ათასი ეკიუ; აფთიაქარს, რომელიც იმ ოყნის თავს მოწამლავს, მას რომ უნდა გაუკეთოს – 20 ათასი ეკიუ...". თანდათან ახალი ხიდი მუდმივი, განუწყვეტელი ბაზრობების ადგილად გადაიქცა. ამ ყოველივეს პარალელურად, ხიდი მაინც პრესტიჟულ ადგილად ითვლებოდა საჯარო გამოფენების გამო, რომელსაც რელიგიურ დღესასწაულთან („მცირე კორპუს კრისტი", რომელიც Fête Dieu-ის საეკლესიო თარიღიდან რვა დღის შემდეგ იმართებოდა) დაკავშირებით წმინდა ლუკას აკადემიის (Académie Saint Luc) მხატვრები მართავდნენ ხოლმე. 1720 წელს სწორედ ახალ ხიდზე გამართულ გამოფენაზე აღმოაჩინეს 22 წლის უცნობი მხატვარი შარდენი, რომელიც რვა წლის შემდეგ უკვე საფრანგეთის სამხატვრო აკადემიის წევრი გახდა. აღსანიშნავია თანამედროვე მხატვარი წყვილის ხრისტოსა (Christo aka Hristo Yavashev) და ჟანა-კლოდის (Jeanne-Claude) მიერ 1985 წლის 23 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით პონ-ნევის მთლიანად შეფუთვის ორკვირიანი ფაქტი, რომლის დროსაც მხოლოდ ახალი ხიდის სავალი ნაწილი დარჩა დაუფარავი. პარიზის მაშინდელმა მერმა, ჟაკ შირაკმა მხოლოდ ხანგრძლივი (ლამის ათწლიანი) თხოვნის შემდეგ დართო მათ ამის ნება. ანრი IV-ის ცხენოსანი ქანდაკება ხიდის ბაქანზე ლუდოვიკო XVIII-ის ბრძანებით 1818 წელს დაიდგა, 1792 წელს რევოლუციონერების მიერ დალეწილი ბრინჯაოს ორიგინალის (1614-1618) ნაცვლად. თანდათან პონ-ნევმა ძველი პოპულარობა დაკარგა და 1840 წელს ფრანგი მწერალი პოლ ლაკრუა (Paul Lacroix, 1806-1884) წერდა: „ოდესღაც ახალი ხიდი მუდმივი ბაზრობის სინონიმი გახლდათ. დღეს იგი უბრალოდ ხიდია, რომელსაც შეუჩერებლად გაივლი". 1862 წელს გამოიცა ედუარ ფურნიეს (Édouard Fournier) ორტომეული „ახალი ხიდის ისტორია" («Histoire du Pont-Neuf»). პონ-ნევი არაერთი ცნობილი მხატვრის (პიერ ოგიუსტ რენუარის, კლოდ მონეს, კამილ პისაროს) ტილოზეა ასახული. ფილმის „ბორნის იდენტიფიკაცია" ერთ-ერთ ეპიზოდში კარგად ჩანს პონ-ნევის ზედხედი. XIX საუკუნის შუა წლებში ხიდს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა; მისი თაღები დაადაბლეს, ამოზნექილი შუა ნაწილის გასწორების მიზნით. 1994 წელს გრანდიოზული სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო, მთლიანად განახლდა ხიდი და წყალგაყვანილობა. მშენებლობა დიდხანს გაგრძელდა და 2007 წელს, ხიდის 400 წლისთავთან დაკავშირებით დასრულდა. მისამართია: quai de la Mégisserie, quai des Grands Augustins, 75006 Paris, France.

- ბალტიმორის შეთქმულება (Baltimore Plot, 1861) – 1860 წლის 6 ნოემბერს აბრაამ ლინკოლნი ამერიკის მე-16 პრეზიდენტად აირჩიეს. იგი პირველი გამარჯვებული კანდიდატი იყო რესპუბლიკური პარტიიდან. არჩევნებიდან ძალიან მალე თერთმეტი სამხრეთული შტატის წარმომადგენლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ნათლად გამოხატა შეერთებული შტატების შემადგენლობიდან გასვლის სურვილი. ამან სიტუაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით უკიდურესად დაძაბა. 1861 წლის თებერვლის მიწურულს შეთქმულება მოეწყო პრეზიდენტად ახლად არჩეული აბრაამ ლინკოლნის ინაუგურაციამდე ლიკვიდაციის მიზნით ქალაქ ბალტიმორში (მერილენდის შტატი). გეგმის მთავარი ფიგურა იყო პინკერტონის ეროვნული საგამოძიებო სააგენტოს დამაარსებელი ალენ პინკერტონი (Allan Pinkerton), რომელსაც ევალებოდა ლინკოლნის უსაფრთხოების დაცვა ინაუგურაციის დღის განმავლობაში. მკვლევრები ჯერაც ვერ შეთანხმებულან იმის თაობაზე, რამდენად რეალური იყო საფრთხე, მაგრამ ლინკოლნსა და მის მრჩევლებს ღრმად სწამდათ შეთქმულების არსებობა. ამიტომ, პრეზიდენტის სიცოცხლის გადასარჩენად, 1861 წლის 23 თებერვლის ღამეს ლინკოლნი ბალტიმორიდან ფარულად გაემგზავრა ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი). ამ გაქცევის გამო ლინკოლნს სიკვდილამდე აკრიტიკებდნენ მისი სიმხდალისთვის და ვერ პატიობდნენ, რომ ღირსება შესწირა პირად უსაფრთხოებას.

„ბოსტონ ნიუსლეთერი“ («The Boston News-Letter») – 1690 წელს ქალაქ ბოსტონში ბენჯამინ ჰარისმა (Benjamin Harris) გამოსცა «Publick Occurrences Both Forreign and Domestick» („საზოგადოებრივი მოვლენები, საშინაოც და საგარეოც“). ეს გამოცემა ითვლება კოლონიალური ამერიკის პირველ გაზეთად, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა და შემდეგ მთავრობამ აკრძალა. 1704 წელს გუბერნატორმა „ბოსტონ ნიუსლეთერის“ დაბეჭდვის ნებართვა გასცა. ეს გაზეთი გახდა პირველი ხანგრძლივად გამომავალი პერიოდული გამოცემა კოლონიებში. ძალიან მალე ნიუ-იორკსა და ფილადელფიაშიც გაჩნდა ყოველკვირეული გაზეთები. პირველი ამერიკული გაზეთები ტრადიციულ ბრიტანულ ფორმატს იყენებდა და, ჩვეულებრივ, ოთხგვერდიანი იყო. მათში, უმთავრესად, იბეჭდებოდა დიდი ბრიტანეთის სიახლეების შესახებ და თითოეული გაზეთის შინაარსი მთლიანად გამომცემლის ინტერესებს შეესაბამებოდა. 1783 წელს გამოიცა პირველი ამერიკული ყოველდღიური გაზეთი „პენსილვანია ივნინგ პოსტი“ («The Pennsylvania Evening Post»). მოცემულ მონოგრაფიაში „ბოსტონ ნიუსლეთერი“ განსაკუთრებულად აქცენტირებულია შემდეგი მიზეზით: საკვლევი თემიდან გამომდინარე, მთავარია არა რომელიმე გაზეთის ისტორიული პირველობა, არამედ პოლიტიკური და ჟურნალისტური თვალსაზრისით შესრულებული მნიშვნელოვანი როლი ამერიკის რეალობაში. აშშ-ის პრესაში ეს საპატიო მისია სწორედ „ბოსტონ ნიუსლეთერმა“ იტვირთა. მსგავსი სიტუაციაა ფრანგული ბეჭდური მედიის შემთხვევაში: «La Gazette»

არც პირველი იყო, არც მეორე, მაგრამ ეს გაზეთი გამორჩეულია ჟურნალისტიკის ისტორიაში შესრულებული განსაკუთრებული მისიის გამო.

ბუენა-ვისტას ბრძოლა (Battle of Buena Vista, 23 თებერვალი 1847) – ამერიკა-მექსიკის ომის (1846-1848) პერიოდში გამართული ბუენა-ვისტას ბრძოლა ასევე ცნობილია სახელწოდებით – ანგოსტურას ბრძოლა (Battle of Angostura). ბუენა-ვისტა სოფელია ჩრდილოეთ მექსიკის ქ. სალტილიოდან სამხრეთისკენ 12 კმ დაშორებით. ამ ბრძოლაში მექსიკის არმია, რომელსაც მექსიკის პრეზიდენტი ანტონიო ლოპეს დე სანტა-ანა სარდლობდა, დამარცხდა და ჩრდილოეთ მექსიკაზე კონტროლი ამერიკის ჯარის ხელში გადავიდა გენერალ ზაქარი ტეილორის მეთაურობით. 1848 წელს ეს გამარჯვება ოსტატურად გამოიყენა ტეილორმა თავისი საპრეზიდენტო კამპანიის მსვლელობისას.

„გასულელებულთა დღე“ (ფრანგ. journée des dupes, ინგ. Day of the Dupes, 1630 წლის 10, 11 ან 12 ნოემბერი) – რეალურად ეს არ იყო კონკრეტულად ერთი დღის ამბავი და 1630 წლის ნოემბრის რამდენიმე დღეს მოიცავდა. „გასულელებულთა დღე“ არა მხოლოდ დროში, არამედ პოლიტიკური მოვლენების ასპექტშიც უკიდურესად გაწელილი აღმოჩნდა. იგი დაიწყო ლუქსემბურგის სასახლეში რიშელიეს გავლენიანი კათოლიკე მტრების ზეიმით, რომლებსაც ეგონათ, რომ ასრულდა მათი დიდი ხნის ნანატრი პოლიტიკური გეგმა და ლუდოვიკო XIII-მ კარდინალი მინისტრობიდან გადააყენა. სცენარის სხვაგვარად განვითარებას არავინ ელოდა მას შემდეგ, რაც 10 ნოემბერს მარია მედიჩიმ კარდინალის თანდასწრებით ულტიმატუმი წაუყენა გვირგვინოსან შვილს: ან დედა აირჩიე, ან რიშელიე. სიტუაცია იმანაც გააბუნდოვნა, რომ მეფემ პასუხისგაუცემლად დატოვა ლუქსემბურგის სასახლე და ვერსალში თავის მონადირის ქოხში განმარტოვდა. დედა-დედოფალს მეფის ძმა, გასტონ ორლეანელიც (Gaston d'Orléans) მხარს უბამდა იმ იმედით, რომ კარდინალის წასვლით პოლიტიკურ დივიდენდებს მოიმკიდა. როგორც ჩანს, რიშელიეც დარწმუნებული იყო მეფის არჩევანში. თუმცა მოვლენები ბევრისთვის მოულოდნელად განვითარდა, როცა საქმეში მინისტრის ძლევამოსილი პოლიტიკური მეგობრები ჩაერივნენ. კარდინალი ლუდოვიკოს ვერსალში გაჰყვა. იქ ისინი კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს და მონარქმა თავისი უცვლელი მხარდაჭერა აღუთქვა მინისტრს. ეს „დღე“ იმით დასრულდა, რომ გამარჯვების ნაადრევად მოზეიმეთა ნაწილი ციხეში აღმოჩნდა, ნაწილი კი შერისხული. კარდინალის ერთ-ერთმა ფავორიტმა, პოეტმა გიიომ ბოტრუმ (Guillaume Bautru, 1588-1665) აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით თქვა: „ეს გასულელებულთა დღე იყო!“ («C'est la journée des dupes!»).

La Gazette (1631-1915) – ერთ-ერთი პირველი ფრანგული ყოველკვირეული ბეჭდური გამოცემა, რომელიც დააარსა თეოფრასტ რენოდომ.

მას ფინანსურ და იდეოლოგიურ მხარდაჭერას უწევდნენ კარდინალი რიშელიე და ლუდოვიკო XIII. ეს გაზეთი ძალიან მალე გახდა ინფორმაციის მიღების უმთავრესი წყარო საფრანგეთში, რის შედეგადაც «La Gazette» ინფორმაციის გავრცელებაზე კონტროლის მძლავრ იარაღად იქცა XVII საუკუნის ცენტრალიზებული სახელმწიფოს პირობებში. გამოცემის სამეურვეო კომიტეტის პირველი წევრები იყვნენ პიერ დ'ოზიე (Pierre d'Hozier), ვენსან ვუატური (Vincent Voiture), გიიომ ბოტრუ (Guillaume Bautru) და გოტიე დე კოსტე (Gauthier de Costes). გამოცემა მკითხველს ახალ ამბებს აწვდიდა საფრანგეთის სამეფო კარისა და საზღვარგარეთ მიმდინარე მოვლენების შესახებ. სტატიები, ძირითადად, მოიცავდა პოლიტიკურ და დიპლომატიურ თემატიკას. 1640-იან წლებში შარლ დ'არტანიანის სახელი არაერთხელ აღმოჩნდა «Gazette»-ის ფურცლებზე: როცა კარდინალ მაზარინის პირადი აგენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის დაბეჭდვა მიზანშეწონილად მიაჩნდა ხელისუფლებას, გასკონელს წყაროდ ასახელებდა („ბატონი დ'არტანიანი, მისი უწმინდესობის ერთ-ერთი დიდებული, ფლანდრიიდან დაბრუნდა და იუწყება, რომ...", „ბატონმა დ'არტანიანმა გვაცნობა, რომ არსებობს უახლესი მონაცემები ბრიუსელიდან მტრის ძალების ადგილმდებარეობისა და რაოდენობის თაობაზე..."). 1762 წელს გაზეთს სახელი გადაერქვა და «Gazette de France» ეწოდა. ქვესათაური იუწყებოდა, რომ ეს იყო სამეფო მთავრობის ოფიციალური ორგანო (Organe officiel du Government royal). 1787 წელს იგი დროებით გადავიდა შარლ-ჟოზეფ პანკუკის (Charles-Joseph Panckoucke) განკარგულებაში, რომელიც ამ პერიოდისთვის უკვე ფლობდა «Mercure de France»-ს, ხოლო 1789 წლის ნოემბერში დააარსა «Moniteur Universel». «La Gazette» დუმილით შეხვდა საფრანგეთის რევოლუციას. მას სიტყვაც არ დაუსველებია 1789 წლის 14 ივლისს ბასტილიის აღების თაობაზე და მხოლოდ სამთავრობო ძალების ქმედებათა გადმოცემით შემოიფარგლა. საკუთარი მკითხველის სასიხარულოდ, პანკუკმა გამოუშვა გაზეთის დამატება «Le Gazettin» (პატარა Gazette), რომელშიც ბეჭდავდა ეროვნულ დამფუძნებელ კრებაზე გამართული დებატების ძირითად, შემაჯამებელ ასპექტებს. 1791 წელს გაზეთი კანონიერი მეპატრონის, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მფლობელობაში დაბრუნდა. რედაქტორად დაინიშნა ნიკოლა ფალე (Nicolas Fallet), ხოლო გაზეთი ჟირონდისტთა ტრიბუნად გადაიქცა. შემდეგ ფალე შეცვალა ნიკოლა შამფორმა (Nicolas Chamfort). 1792 წლის 1 მაისიდან «La Gazette» ყოველდღიური გამოცემა გახდა. 1792 წლის 21 იანვარს, ლუდოვიკო XVI-ის სიკვდილით დასჯის შემდეგ, მას «Gazette nationale de France» ეწოდა. მისი პუბლიკაციების ტონი ძველებურად კარგად გათვლილი და მიუკერძოებელი დარჩა. 1915 წელს გაზეთის გამოცემა შეწყდა. ლამის სამი საუკუნე იარსება «La Gazette»-მა მას შემდეგ, რაც 1642 წლის 4 დეკემბერს კარდინალი რიშელიე გარდაიცვალა. ასე დასრულდა მისი უწმინდესობის მიერ საკუთარი ოპოზიციის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილი მეორე ფრანგუ-

ლი გაზეთის ისტორია, თუმცა ძლევამოსილი მინისტრის პოლიტიკური მემკვიდრეობა უკვდავი გამოდგა საფრანგეთისთვის.

გეტისბერგის ბრძოლა (Battle of Gettysburg, 1-3 ივლისი 1863) – ბრძოლა კონფედერაციისა (the Confederacy) და კავშირის (the Union) სამხედრო ძალებს შორის პენსილვანიის შტატის ტერიტორიაზე. ამერიკის სამოქალაქო ომის პერიოდში ეს იყო ყველაზე სისხლისმღვრელი შეტაკება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ჩრდილოეთის არმიამ შეტევას გაუძლო და კონფედერატების ჯარს ვირჯინიისკენ უკან დახევა აიძულა. გეტისბერგის ბრძოლაში გენერალ ლის დამარცხება ჩრდილოეთისა და სამხრეთის კონფლიქტის გარდამტეხ მომენტად ითვლება.

გეტისბერგის მიმართვა (Gettysburg Address, 19 ნოემბერი 1863) – ასე უწოდებენ ლინკოლნის პირველ საინაუგურაციო მიმართვას, რომელიც აშშ-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გამოსვლის ტექსტია. გეტისბერგის მიმართვის სრული ტექსტი ამოკვეთილია ვაშინგტონში ლინკოლნის ქანდაკების კვარცხლბეკზე. პრეზიდენტმა იგი წარმოთქვა 1863 წლის 19 ნოემბერს გეტისბერგის ეროვნული სამხედრო სასაფლაოს გახსნაზე პენსილვანიის შტატში. ამ დღემდე ოთხთვენახევრით ადრე ჩრდილოეთის არმიამ გეტისბერგის ბრძოლაში დიდი მსხვერპლის ფასად გაიმარჯვა. ორატორული ხელოვნების უბადლო ნიმუში ორ წუთზე ოდნავ მეტ ხანს გრძელდებოდა. პრეზიდენტმა ისაუბრა თანასწორობის პრინციპებზე, რომელიც დამოუკიდებლობის დეკლარაციით დაკანონდა, სამოქალაქო ომს კი ახალი შეფასება მისცა: კავშირის ერთიანობისთვის ბრძოლის ნაცვლად, მას „თავისუფლების აღდგენისთვის" ბრძოლა უწოდა, რომლის მიზნადაც ყველა მოქალაქისთვის ჭეშმარიტი თანასწორუფლებიანობის მინიჭება და ერთიანი ერის შექმნა დასახა. თანამედროვე პიარის თვალსაზრისით, გეტისბერგის მიმართვა ქვეყნის გამარჯვებული ლიდერის საჯარო გამოსვლის ბრწყინვალე ნიმუშია. ისტატობის მხრივ, მას ჩრდილს ვერ აყენებს რამდენიმე, მცირე ფაქტობრივი უზუსტობა პრეზიდენტ ლინკოლნის მიერ დეკლარირებულ „ყველა მოქალაქისთვის ჭეშმარიტ თანასწორუფლებიანობასთან" დაკავშირებით. ამერიკის სამოქალაქო ომი 1861 წლის 12 აპრილს დაიწყო, ხოლო აშშ-ის კონსტიტუციის მეცამეტე შესწორება, რომელიც მონობის გაუქმებას შეეხებოდა, სენატმა მხოლოდ 1864 წლის 8 აპრილს მიიღო, ძალაში კი საბოლოოდ 1865 წლის 18 დეკემბერს შევიდა. რაც შეეხება მდედრობითი სქესის მოქალაქეებისთვის თანასწორუფლებიანობის მინიჭებისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს, ამერიკის კონსტიტუციის მეცხრამეტე შესწორება, რომელიც ქალებს არჩევნებში ხმის მიცემის უფლებას ანიჭებდა, მხოლოდ შემდეგი საუკუნის პრეროგატივა გახდა: მისი რატიფიცირება 1920 წლის 18 აგვისტოს მოხდა.

- დალი რობერტ ალან (Robert Alan Dahl, დ. 17 დეკემბერი, 1915) – თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტოლოგი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1940), იელის უნივერსიტეტის პროფესორი (Sterling Professor emeritus) პოლიტოლოგიის დარგში. რობერტ დალმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა პოლიტიკურ მეცნიერებებზე, პოლიტოლოგიის ემპირიულ გამოკვლევაზე ადგილობრივ საზოგადოებაში ძალაუფლების გადანაწილების თაობაზე და თეორიულ კონცეფციებზე, განსაკუთრებით, დემოკრატიასა და პლურალიზმთან დაკავშირებით. დალმა შემოიღო მინიმალური მოთხოვნები, რასაც დემოკრატია უნდა აკმაყოფილებდეს: 1. ეფექტური თანამონაწილეობა (რაც გულისხმობს ყოველი მოქალაქისთვის ადეკვატური და თანაბარი უფლებების მინიჭებას, რათა შეძლონ მათთვის პრიორიტეტული საკითხების ფორმირება და მათი საჯარო განხილვის საგნად ქცევა, ასევე, ერთი შედეგის უპირატესობის არგუმენტირებულად წარმოჩენა მეორესთან შედარებით); 2. ხმის მიცემის თანასწორუფლებიანობა გადაწყვეტილების მიღების დონეზე (რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული მოქალაქის ხმას ზუსტად ისეთივე წონა და ფასი უნდა ჰქონდეს, როგორც ნებისმიერი სხვა მოქალაქისას); 3. განათლებული გაგება (რაც გულისხმობს თითოეული მოქალაქის მიერ მისი ინტერესებისთვის საუკეთესო არჩევანის პოვნისა და დადასტურების ფართო და თანაბარ შესაძლებლობებს); 4. პოლიტიკური პროგრამის კონტროლი (დემოსს ანუ ხალხს უნდა ჰქონდეს როგორც უკვე წამოყენებულ პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობის, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი საკითხების საჯაროდ განსახილველად გამოტანის უფლება); 5. ყოვლისმომცველობა (რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს შიგნით ყოველ მოქალაქეზე უნდა ვრცელდებოდეს თანასწორუფლებიანობა. თითოეულს უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის კანონიერი, ლეგიტიმური შესაძლებლობა). რობერტ დალის აზრით, თანამედროვე ქვეყნებიდან დემოკრატიის სტანდარტებს ვერცერთი აკმაყოფილებს. პოლიტიკურად განვითარებულ სახელმწიფოებს იგი „პოლიარქიებს“ (polyarchies) უწოდებს: ასეთ ქვეყნებს თანამდებობებზე არჩეული პირები მართავენ, იქ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ტარდება, ხმის მიცემის კონსტიტუციური უფლება ვრცელდება ყველა ზრდასრულ მოქალაქეზე, თანამდებობაზე არჩევის შანსი ყველას ერთნაირად აქვს, აზრის გამოხატვის თავისუფლებაა, ალტერნატიული ინფორმაცია შეუზღუდავად ვრცელდება, ასოციაციური ავტონომიები ფუნქციონირებს. სახელმწიფოს მართვის მსგავსი სისტემა ქმნის პოლიტიკური ძალაუფლების მრავალრიცხოვან ცენტრებს, რის გამოც იმსახურებს ასეთი ქვეყანა „პოლიაქრიის“ სახელს. რობერტ დალის მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან გამორჩეული ინტერესით სარგებლობს „ვინ მართავს?“ («Who Governs?», 1961), „დემოკრატია და მისი კრიტიკოსები“ («Democracy and Its Critics», 1989) და „რამდენად დემოკრატიულია ამერიკის კონსტიტუცია?“ («How Democratic is the American Constitution?», 2001).

დამფუძნებელი მამები (Founding Fathers) – ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწეების ჯგუფი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამერიკული სახელმწიფოს შექმნაში, კერძოდ, დამოუკიდებლობის მოპოვებასა და ახალი პოლიტიკური სისტემის პრინციპთა ჩამოყალიბებაში. ჩვეულებრივ, ამ ჯგუფის წევრებად თვლიან კონტინენტური კონგრესის დელეგატებს, დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ან აშშ-ის კონსტიტუციაზე ხელის მომწერებს, აგრეთვე, რამდენიმე სხვა მნიშვნელოვან პიროვნებასაც. ამერიკული კონსტიტუციის სულზე მსჯელობისას (ასევე, უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას) მნიშვნელოვან არგუმენტად ითვლება დამფუძნებელი მამების მოსაზრებათა (რაც ასახულია მათ წერილებში, დოკუმენტებში, პუბლიკაციებსა და სხვ.) გამოყენება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დამფუძნებელი მამები არიან: ჯორჯ ვაშინგტონი (პირველი პრეზიდენტი და ამერიკული ჯარების მთავარსარდალი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში), თომას ჯეფერსონი (აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი და მესამე პრეზიდენტი), ჯონ ადამსი (აშშ-ის მეორე პრეზიდენტი), ჯეიმს მედისონი (აშშ-ის მეოთხე პრეზიდენტი, აშშ-ის კონსტიტუციის თანაშემქმნელი), ალექსანდრე ჰამილტონი (ფედერალისტების პარტიის ლიდერი, აშშ-ის კონსტიტუციის გამოჩენილი ამხსნელ-დამცველი და ფილოსოფოსი), ბენჯამინ ფრანკლინი (მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე, ამერიკული რევოლუციის ერთ-ერთი იდეოლოგი, „პირველი ამერიკელის" ტიტულის მფლობელი), თომას პეინი (ცნობილი პუბლიცისტი, ამერიკული რევოლუციის იდეოლოგი), ჯონ ჯეი (აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე, დიპლომატი). ამათგან სამი – ალექსანდრე ჰამილტონი, ჯეიმს მედისონი და ჯონ ჯეი სახელგანთქმული „ფედერალისტური ჩანაწერების" თანაავტორებიც არიან.

„დიახ, მინისტრო" («Yes Minister», 1980-1984, 22 ეპიზოდი) და მისი გაგრძელება **„დიახ, პრემიერ-მინისტრო"** («Yes, Prime Minister», 1986-1988, 16 ეპიზოდი) – ბრიტანული სატირული ტელესერიალები, რომელთაც არნახული პოპულარობა მოიპოვეს. სცენარისტები არიან ბრიტანელი მწერლები ჯონათან ლინი (Jonathan Lynn) და ენტონი ჯეი (Antony Jay). სერიალების გამოსვლის შემდეგ გამოიცა ამავე სახელწოდების წიგნები და შეიქმნა რადიოვერსიები. სატირაში, რომელიც ხშირად აბსურდამდე მიდის, ნაჩვენებია ადმინისტრაციულ საქმეთა გამოგონილი დეპარტამენტის მინისტრის, ჯეიმს ჰაკერის სამსახურეობრივი და პირადი ცხოვრების ეპიზოდები. სიუჟეტის და ხუმრობათა ძირითადი თემაა მინისტრის მანიპულირება მისივე მოადგილეების, თანაშემწეებისა და ცოლის მიერ. ამის პარალელურად, განვითარებულია სერიალის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი თემა: ვირტუოზული დემაგოგია და, რეალური საქმის კეთების ნაცვლად, სამთავრობო აპარატის ადმინისტრაციის მიერ ქულების დაგროვებაზე ორიენტირებულობა. მინისტრი გარკვე-

ულწილად უცნაური, დამყოლი ხასიათის, უინტელექტო და გონებაშეზღუდული ადამიანია, რომელიც სხვების გავლენის ქვეშ იოლად ექცევა. სერიალის სულისკვეთების ტიპური ნიმუშია ეპიზოდი „დიდი ძმა" («Big Brother» Season 1, Episode 4), რომელშიც ჰაკერი საჩოთირო მდგომარეობაში აღმოჩნდება. მან უნდა დაუმტკიცოს გადასახადების გადამხდელებს მათი პირადი მონაცემების ეროვნული ბაზის შექმნის აუცილებლობა, რომ გაამართლოს რამდენიმე მილიონიანი ხარჯი. ამავე დროს, მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევის ბრალდებაც უნდა აისხლიტოს. ორივე სერიალის მთავარი პერსონაჟები და შემსრულებლები არიან: ადმინისტრაციულ საქმეთა მინისტრი, შემდეგ კი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ჯეიმს ჰაკერი (James Hacker) – პოლ ედინგტონი (Paul Eddington), ადმინისტრაციულ საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე და მოგვიანებით მისი კაბინეტის მდივანი ჰემფრი ეპლბი (Sir Humphrey Appleby) – ნაიჯელ ჰოტორნი (Nigel Hawthorne), ჯეიმს ჰაკერის პირადი მდივანი ბერნარდ ვული (Bernard Woolley) – დერეკ ფოლდსი (Derek Fowlds). სერიალების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის მიხედვით სახელი დაერქვა ასევე სახელგანთქმულ კატა ჰემფრის (Humphrey), რომელიც დაუნინგ-სტრიტზე ცხოვრობდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში და თაგვების დამჭერის ოფიციალური თანამდებობა ეკავა დაახ. 1988-2006 წლებში. ამ ფისომ ბრიტანეთის სამი პრემიერ-მინისტრი გამოიცვალა: მარგარეტ ტეტჩერი, ჯონ მეიჯორი და ტონი ბლერი.

„დიდი ძმა" (Big Brother) – ისეთი სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის საზოგადო სახელი, რომელიც ცდილობს ხალხზე ტოტალური თვალთვალის ან კონტროლის დამყარებას. ტერმინი წარმოიშვა ჯორჯ ორუელის რომანის „1984" პერსონაჟის მიხედვით. ნაწარმოებში დიდი ძმა გამოგონილი ტოტალიტარული სახელმწიფოს – ოკეანიის (Oceania) იდუმალებით მოცული დიქტატორია. ოკეანიის მცხოვრებთა ბედს განაგებს სრული ძალაუფლების მპყრობელი მმართველი ელიტა, რომელიც ცნობილია „პარტიის" («the Party») სახელით. ორუელის მიერ აღწერილ საზოგადოებაში თითოეული ადამიანი ხელისუფლების მხრიდან მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრობს უთვალავ, ყველგან დამონტაჟებულ ტელეეკრანთა გამო. ხალხს განუწყვეტლივ შეახსენებენ ამას ფრაზით: „დიდი ძმა გიყურებთ" («Big Brother is watching you»), რაც ამ სახელმწიფოს პროპაგანდისტული სისტემის უმთავრესი „სიმართლეა". ორუელის რომანის გამოქვეყნების შემდეგ, ტერმინი „დიდი ძმა" დასავლურ ლექსიკაში მყარად დამკვიდრდა ნებისმიერი ზედმეტად ცნობისმოყვარე, მაკონტროლებელი ხელისუფლის ანდა მთავრობის ეპითეტად. 1998 წელს დაწესდა ყოველწლიური „დიდი ძმის პრემია" («Big Brother Awards») სახელმწიფოს ან კერძო სექტორში მოღვაწე კომპანიის მიერ მოქალაქის პირადი ცხოვრებისა და თავისუფლების ხელშეუხებლობის ყველაზე უხეშად დარღვევისთვის. ამ პრემიის სა-

ხელწოდება ორუელის იმავე რომანის პერსონაჟის – „დიდი ძმის" სახელს უკავშირდება. ამ სატირული პრემიის ადგილობრივად მინიჭება ხდება შემდეგ ქვეყნებში: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, იტალია, იაპონია, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ესპანეთი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, აშშ.

დროის სული (Zeitgeist, გერმანული კომპოზიტი zeit „დრო" + geist „სული". Geist არის spirit, და არა soul. შესაბამისად, უზუსტესი თარგმანით „გაისთ" ქართულად ნიშნავს „სულიწმინდას") – ისტორიის კონკრეტული პერიოდის განსაზღვრული სული ან განწყობა, რომელსაც გადმოსცემს იმ დროის იდეები და რწმენები. ეს არის „ეპოქისა და იმ პერიოდის საზოგადოების სული". სიტყვა «zeitgeist» აღწერს კონკრეტული ეპოქის ინტელექტუალურ, კულტურულ, ეთიკურ და პოლიტიკურ კლიმატს, გარემოსა და მორალს. ინგლისურ ენაში მსგავსი მნიშვნელობისაა სიტყვა «mainstream», თუმცა გერმანული «zeitgeist» გაცილებით მრავალფეროვანი, მრავალშრიანი და ფართო მნიშვნელობის სიტყვაა. გერმანული ტერმინის სიზუსტისათვის უნდა აღინიშნოს, რომ „დროის სული" მხოლოდ წარსულის მოვლენებთან მიმართებაში გამოიყენება. ტერმინი წარმოიშვა XIX საუკუნის შუა ხანებში. 1769 წელს იოან გოტფრიდ ჰერდერმა (Johann Gottfried Herder) კრიტიკული თხზულება დაწერა გერმანელი ფილოლოგის ქრისტიან ადოლფ კლოცის (Christian Adolph Klotz) ნაშრომის «Genius seculi» შესახებ და სწორედ ამ კრიტიკულ წერილში შესთავაზა მკითხველს ახალი სიტყვა «zeitgeist», როგორც «genius seculi»-ის თარგმანი (ლათინურად «genius» ნიშნავს „მფარველ სულს", ხოლო «saeculi» – „საუკუნის"). თუმცა დროის სულის კონცეფცია საკმაოდ ძველია, იგი ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ჰეგელის (Georg Wilhelm Friedrich Hegel) ისტორიის ფილოსოფიასთან დაკავშირებით. ერის სული ერთ-ერთი გამოხატულებაა მსოფლიო სული (Weltgeist), რომელიც ცოცხალი და აქტიურია კაცობრიობის ისტორიის მანძილზე. ეს ერის სული მსოფლიო ისტორიის, როგორც მსოფლიო სულის, შუალედური დონეა. მსოფლიო სული ბიძგს აძლევს სხვადასხვა ერების ისტორიული სულების (Volksgeister) რეალიზაციას.

ელ-ამარნის არქივი (არაბ.: العمارنة *al-'amārnah*) – თიხის ფილებზე შესრულებული, ძირითადად, დიპლომატიური შინაარსის მიმოწერა ძველი ეგვიპტის მთავრობასა და მის წარმომადგენლებს შორის ქანაანსა და ამურეში ახალი სამეფოს პერიოდში. არქივი ადგილობრივმა მოსახლეობამ იპოვა 1887 წელს და სახელწოდება ფირფიტების აღმოჩენის ადგილის მიხედვით მიიღო. ამჟამად ცნობილია 382 ფილა. ძირითადად გამოყენებულია აქადური დამწერლობა, რომელიც ახალი სამეფოს ეპო-

ქაში საერთაშორისო ურთიერთობის ენად გამოიყენებოდა ახლო აღმოსავლეთში.

ეფლი რ. უ. (R. W. Apple, Jr., November 20, 1934 – October 4, 2006) – ამერიკელი ჟურნალისტი. შიდა წრეში ცნობილი იყო სახელით „ჯონი“, მაგრამ საკუთარ პუბლიკაციებს ყოველთვის ინიციალებით აწერდა ხელს – R.W. Apple Jr. იყო გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის“ რედაქტორის მოადგილე; წერდა სხვადასხვა თემაზე, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი სტატიები პოლიტიკის, მოგზაურობისა და კულინარიის შესახებ. სიცოცხლის ბოლომდე, ყოველთვის მზად ჰქონდა პატარა შავი ჩანთა პირველი მოხმარების ნივთებით, რომ მასალის მოსაპოვებლად გავარდნილიყო, როგორც კი მისთვის საინტერესო თემა გამოჩნდებოდა. „გაზეთში მომუშავე ხალხს შეუძლებელი ოცნებები უყვარს. ალბათ, უსაშველო სენტიმენტალისტები ვართ. შეუძლებელი ოცნებები რომ არ გვყვარებოდა, არ შემოვრჩებოდით XVI-XVII საუკუნეში შექმნილ ტექნიკაზე დაფუძნებულ ინდუსტრიას“, ნათქვამი აქვს ჟურნალი „ლირისთვის“ («Lear») მიცემულ ინტერვიუში. 1991 წელს გამოცემულ მემუარებში, სახელწოდებით «Deadline», ჯეიმს რესტონი წერს, რომ მისტერ ეფლმა „არ გამოიგონა ომი, მაგრამ სწორედ მან ასწავლა მთელ თაობას, როგორ უნდა გაეშუქებინა იგი“. მიუხედავად ასეთი აზრისა კოლეგებს შორის, მიუხედავად ომის გაშუქებაში მიღებული მაღალი ჯილდოსი, ეს ჟურნალისტი, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური რეპორტიორის სტატუსითაა ცნობილი. მუდმივ კონტაქტზე იმყოფებოდა ოლქის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, გუბერნატორებთან და ქალაქის მერებთან, ყოველთვის ყველა მიმდინარე მოვლენის საქმის კურსში ყოფნას ცდილობდა და წარმატებით გამოსდიოდა კიდეც. მისი მეგობრების უმეტესობა დარწმუნებული იყო, რომ ეფლი პულიტსერს იმსახურებდა. ბევრჯერ წარადგინეს, მაგრამ უამრავი ჯილდოს მფლობელს, სწორედ პულიტსერი არ ეღირსეს. ამის მიუხედავად, 1976 წელს იგი ჟურნალმა «MORE» „ამერიკის ყველაზე ძლევამოსილ პოლიტიკური რეპორტიორად“ დაასახელა. ამ ტიტულზე ეფლმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „ეს მაშინებს, უფრო ზუსტად, მოკრძალება მიპყრობს და სულაც არ მინდა, ჩემი გრძნობები გაზეთის ფურცლებზე გადმოვაფრქვიო– უსაზღვროდ მახარებს ეს ჯილდო“.

„ვიგ“ (The Whig. 1862-1865) – ამერიკული ოთხგვერდიანი ყოველკვირეული გაზეთი. 1851 წლის 26 ნოემბერს ქ. მიდლთაუნში (ნიუ-იორკის შტატი) დააარსა ვუდსტოკელმა ჯონ უიტბეკ ჰესბრუკმა (John Whitbeck Hasbrouck). სულ მალე იგი რადიკალურად რესპუბლიკური ორიენტაციის გამოცემად იქცა. «The Whig Press» მიდლთაუნში გამომავალი რიგით მესამე გაზეთი იყო. მანამდე არსებობდა ა.ა.ბენსელის (A.A. Bensel) „მიდლთაუნ კურიერი“ («The Middletown Courien»), რომელიც 1841 წლის აპრილიდან იბეჭდებოდა და ხუთი წელი იარსება.

ბენსელმა 300 დოლარი ისესხა ამ გაზეთის გამოცემის დასაწყებად. მიდლთაუნის მეორე გაზეთი ჯონ ბრაუნის (John S. Brown) „ორინჯ ქაუნთი ნიუსი" («Orange County News») იყო. უცნაური დამთხვევის შედეგად, ბენსელიც, ბრაუნიც და ჰესბრუკიც წარმოშობით ბლუმინგბერგიდან (Bloomingburg) იყვნენ. „ვიგ პრესმა" გაცილებით დიდ წარმატებას მიაღწია, ვიდრე ვიგებმა, რომელთა პოლიტიკური პარტიაც 1856 წელს გაუქმდა. თითქმის მთელი ათწლეული დასჭირდა ჰესბრუკს ცვლილებასთან შესაგუებლად. მხოლოდ 1866 წელს გადაერქვა მის გაზეთს სახელი და ამიერიდა „პრესა" («The Press») გახდა. 1868 წელს დამაარსებელმა თავისი გაზეთი მოსე სტაივერსს (Moses D. Stivers) მიჰყიდა და, მრავალი ეტაპის გავლის შემდეგ, 1906 წელს იგი „დეილი თაიმსად" («The Daily Times») გადაიქცა. ინფორმაცია ამ პროვინციული გაზეთის თაობაზე დაცულია გაზეთ „თაიმს ჰერალდ-რეკორდის" არქივში.

„ზეიმი, რომელიც მუდამ ჩვენთან არის" – ჰემინგუეის რომანის «A Moveable Feast» (1964) სათაურის პერიფრაზი. სტატიაში „მედია სძულთ და მედია უყვართ" იგულისხმება ამერიკული არჩევნები და არანაირი კავშირი არ არის პარიზთან, არც თავად რომანთან.

თიფოთ-დოუმის სკანდალი (Teapot Dome Scandal, 1921) – პრეზიდენტ უორენ ჰარდინგის (Warren G. Harding, 1921-1923) ადმინისტრაციასთან დაკავშირებული ქრთამის აღების სკანდალი. თიფოთ-დოუმი ნავთობის საბადოა უაიომინგის შტატში, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ მიწაზე მდებარეობს. XX საუკუნის დასაწყისში პრეზიდენტმა ტაფტმა (William Howard Taft, 1909-1913) ნავთობის რეზერვები სანაოსნო სამინისტროს გადასცა. 1921 წელს პრეზიდენტ ჰარდინგის ბრძანებით, უაიომინგის თიფოთ-დოუმისა და კალიფორნიის ელკ-ჰილზის ნავთობის საზღვაო რეზერვებზე კონტროლი საზღვაო სამინისტროს ჩამოერთვა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა. უკვე 1923 წლის დასაწყისში ფართო საზოგადოებრიობის ყურს მისწვდა ხმები ჰარდინგის ადმინისტრაციის წევრთა მიერ უკანონო, მხვილი ფულადი გარიგებების წარმოების შესახებ. თუმცა უშუალოდ პრეზიდენტი არ მონაწილეობდა კორუფციაში, პასუხისმგებლობა მაინც ეკისრებოდა, რადგან, ჯერ ერთი, სწორედ მისი ოჰაიოელი მეგობრები იყვნენ გასვრილნი, მეორეც, ჰარდინგი საქმის გამოძიებასა და დამნაშავეთა გამოაშკარავებას ხელს არ უწყობდა, ჰუვერის გონივრული რჩევის მიუხედავად. უდიდესი სკანდალი მაშინ ატყდა, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ალბერტ ფოლმა (Albert Fall), დიდი ქრთამის სანაცვლოდ, ორ კერძო მეწარმეს სახელმწიფო ნავთობის საბადოს გამოყენების უფლება მისცა. ამის გამო ფოლი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა და აშშ-ის ისტორიაში შევიდა, როგორც მთავრობის პირველი დატუსაღებული წევრი. იუსტიციის მინისტრმა ჰარი დაუჰერტიმ (Harry Daugherty) ციხეს თავი მხოლოდ იმიტომ დააღწია, რომ მის წინააღ-

მდეგ საკმარისი სამხილები ვერ მოიპოვა გამოძიებამ. ნავთობის იმ ორი კომპანიის წარმომადგენლები სასამართლოს წინაშე არც კი წარმსდგარან.

იაფო, იაფა (Jaffa, ებრ. יפו, „ლამაზი“) – ანტიკური საპორტო ქალაქი ისრაელში, ხმელთაშუა ზღვის პირას. იაფო ერთ-ერთი უძველესი საპორტო ქალაქია. მისი სახელი, ზოგი ვერსიით, უკავშირდება ნოეს ერთ-ერთ ვაჟს – იაფეტს. ქალაქი აშენებულია ზღვისპირა გორაკზე, რაც მას სტრატეგიულ მნიშვნელობას სძენს. პორტი ბრინჯაოს ხანიდან უკვე აქტიურად გამოიყენებოდა. პირველი ცნობები იაფოს შესახებ ძველი ეგვიპტური წერილიდან შემორჩენილა. ქალაქი ქრისტემდე 1470 წელს ფარაონ თუტმოს III-მ დაიპყრო. ეგვიპტური წყაროების თანახმად, იაფოს ფარაონები ძვ. წ. 800 წლამდე მართავდნენ. იაფო ბიბლიაშიც არის ნახსენები: იესო ნავინელის წიგნში მასზე ნათქვამია, რომ ეს იყო დანის კლანის ტერიტორიული საზღვარი; ხოლო ახალ აღთქმაში იაფო ის ქალაქია, სადაც წმინდა პეტრემ ქვრივი მკვდრეთით აღადგინა. მეფე დავითმა დაიპყრო იაფო და ისრაელის სამეფოს მთავარ პორტად აქცია. ისრაელის სამეფოს დამხობის შემდეგ იაფო მცირე ხნით ებრაულ ქალაქად რჩებოდა. ძვ. წ. 701 წელს იგი ასირიელებმა აიღეს. მოგვიანებით იაფო სელევკიდების პორტი გახდა მანამ, სანამ იგი მაკაველებმა არ დაიბრუნეს აჯანყების შედეგად. თუმცა, მთელი ქვეყანა მალე რომის იმპერიის ოკუპაციის მსხვერპლი გახდა. იუდეის ომის შედეგად, იაფო ცესტიუს გალუსმა აიღო და გადაწვა. ამ დროს, იოსებ ფლავიუსის ცნობის მიხედვით, ქალაქის 8 ათასი მცხოვრები გაიჟლიტა. იმპერატორმა ვესპასიანემ ნაქალაქარზე ციხესიმაგრე ააგო და გარნიზონი განალაგა. 636 წელს იაფო არაბებმა დაიპყრეს და საპორტო ქალაქად იყენებდნენ. ჯვაროსნული ომების დროს იაფო ევროპელი რაინდების ხელში აღმოჩნდა; მათ იგი იერუსალიმის სამეფოს დაუმორჩილეს. 1187 წელს ქალაქი სალადინმა აიღო, ხოლო 10 სექტემბერს მას რიჩარდ ლომგულმა შემოარტყა ალყა და სალადინი განდევნა. 1268 წელს იაფო ეგვიპტელმა მამლუქებმა დაიპყრეს. XIV საუკუნეში ქალაქი დაინგრა ჯვაროსნული ომების შედეგად. მისი აღდგენა მხოლოს ორი საუკუნის შემდეგ მოხდა, ოტომანთა იმპერიის ამ რეგიონში გაბატონებისას. 1799 წლის 7 მარტს იაფო ნაპოლეონის ჯარებმა აიღეს. საპორტო ქალაქს აქტიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვისპირა ევროპულ ქვეყნებთან. შედეგად, ქალაქი სწრაფად ვითარდებოდა და იზრდებოდა. XX საუკუნის დასაწყისში იაფოში აქტიურად დაიწყეს გადმოსახლება ებრაელმა მიგრანტებმა, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობასთან კონფლიქტების გამო, 1909 წელს მათ ქალაქის დატოვება და ჩრდილოეთით საკუთარი უბნის – თელ-ავივის დაარსება მოუხდათ. პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული ოტომანთა იმპერია 1917 წელს დაიშალა და პალესტინა ბრიტანეთის მფლობელობაში გადავიდა. ამ პერიოდში ებრაელი რეპატრიანტების ნაკადი საგ-

რძნობლად გაიზარდა პალესტინაში, რასაც 1920-1921 წლებში ებრაელებსა და არაბებს შორის შეტაკებები მოჰყვა. თუ 1922 წლის ბოლოს იაფოს მოსახლეობა 32 ათასი, ხოლო თელ-ავივისა – 15 ათასი იყო, 1927 წლისთვის თელ-ავივის მოსახლეობის მაჩვენებელმა იაფოსას გადაამეტა. 1936-1939 წლების არაბულმა აჯანყებებმა დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენა იაფოს. ბრიტანელები იძულებული გახდნენ მთავარ სავაჭრო ცენტრად იაფოს ნაცვლად თელ-ავივის ახალი პორტი გამოეყენებინათ. 1948 წელს ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას, იაფო, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას არაბები შეადგენდნენ, ისრაელის საზღვრებში აღმოჩნდა. ებრაულ-არაბული ომის პერიოდში ქალაქის მოსახლეობა აქტიურად ებრძოდა ებრაელებს, მაგრამ არაბების მიერ ომის წაგების შემდეგ იაფოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ქალაქი სამუდამოდ დატოვა: 80 ათასი არაბიდან მხოლოდ 4100 დარჩა. 1950 წლიდან იაფო თელ-ავივის ნაწილი გახდა. არაბების მიერ იაფოს იძულებით მიტოვების შემდეგ ქალაქში, ძირითადად, ახალი რეპატრიანტები დასახლდნენ. 1960-იან წლებში შექმნილი ძველი იაფოს განვითარების ცენტრის მიზანია ქალაქის ისტორიული იერ-სახის შენარჩუნება და ტურისტების მოზიდვა. ქალაქში არის იაფოს მუზეუმი, სადაც ექსპონატების დათვალიერების გარდა, იაფოს ისტორიაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის ნახვაც შეიძლება. ძველ არაბულ ქუჩებში, რომელთაც ზოდიაქოს ნიშნების სახელები აქვთ, ხშირია ადგილობრივი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვები. ტურისტული ზონის მაღლობზე განთავსებული პარკიდან თელ-ავივის პანორამა მოჩანს. აქვეა „ოცნებათა ხიდი". იაფოში შემორჩენილია ოტომანური პერიოდის ციხე და მეჩეთი, წმ. პეტრეს ეკლესია, ძველი პორტი.

კადაფი მუამარ (Moammar Gaddafi, არაბ. القـــذافي معمر — *Mu'ammar al-Qaddafi*, სრული სახელია მუამარ ბენ მუჰამედ აბუ მენიარ აბდელ სალამ ბენ ხამიდ ალ-კადაფი, დ. 1940-იანი წლების 7 ივნისს) – ლიბიის ლიდერი, სახელმწიფოს დე ფაქტო მეთაური 1969 წლის 1 სექტემბრიდან დღემდე. ბრიტანული წყაროების მიერ ფართოდ გავრცელებული ინფორმაციით, იგი დაიბადა 1942 (სხვა მონაცემებით, 1938, 1940 ან 1944) წელს ბედუინის კარავში ქალაქ სირტის სამხრეთით 30 კმ-ის დაშორებით. მისი ოჯახი ალ-კადაფის თემს ეკუთვნოდა. მამამისი ბედუინისთვის ჩვეულ მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა, აქლემებსა და თხებს მწყემსავდა. დედა კადაფის სამ უფროს დასთან ერთად ოჯახის საშინაო საქმეებით იყო დაკავებული. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში ჩაერთო იატაკქვეშა პოლიტიკური ორგანიზაციის საქმიანობაში, ანტიკოლონიურ დემონსტრაციებს აწყობდა იტალიის წინააღმდეგ. 1961 წელს სამხედრო კურსანტმა კადაფიმ ჩამოაყალიბა იატაკქვეშა ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო ლიბიაში მონარქიის დამხობა მეზობელი ეგვიპტის წარმატებული მაგალითის მსგავსად. იმავე წლის ოქტომბერში ქალაქ სებხაში ახალგაზრდებმა კადაფის ხელმძღვანელო-

ბით ალჟირის რევოლუციის მხარდამჭერი დემონსტრაცია გამართეს, რომელიც მალევე გადაიზარდა მასობრივ ანტიმონარქისტულ მოძრაობაში. ამის გამო კადაფი ჯერ დააპატიმრეს, მოგვიანებით კი ქალაქიდან გაასახლეს. სწავლა მისურატის ლიცეუმში განაგრძო, რომელიც წარმატებით დაასრულა. ერთხანს კადაფი ისტორიას სწავლობდა ტრიპოლის უნივერსიტეტში. ზოგიერთი ცნობით, ამავე პერიოდში მან იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. მოგვიანებით ლიბიის სამეფო სამხედრო აკადემიაში იმ მიზნით ჩააბარა, რომ „ლიბიაში პოლიტიკური ცვლილებები მოეტანა". ამ სამხედრო აკადემიას, ფაქტობრივად, ბრიტანელი სამხედრო სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ. მათგან ფარულად და თანაც ზედ პედაგოგთა ცხვირწინ კადაფიმ ჩამოაყალიბა ორგანიზაცია – თავისუფალ ოფიცერ-იუნიონისტთა მოძრაობა. 1963 წელსვე ზღვისპირა პატარა დასახლებაში სახელად ტოლმეიტა კადაფიმ ახალგაზრდა ოფიცრების პირველი სხდომა გამართა. შეკრებილებს აერთიანებდა 1952 წლის ეგვიპტის რევოლუციის ლოზუნგი: „თავისუფლება, სოციალიზმი, ერთობა". აკადემიის წარჩინებით დასრულების ჯილდოდ, კადაფი კვალიფიკაციის ასამაღლებლად დიდ ბრიტანეთში გაგზავნეს. არაბულმა სამყარომ კადაფის სახელი 1967 წელს გაიგო ახალგაზრდა ოფიცრის თავხედობამდე თამამი პოლიტიკური ნაბიჯით: კადაფიმ თავისი ქვედანაყოფი ლიბიის მეფე იდრის I-ის სანქციის გარეშე გაგზავნა ექვსდღიან ომში ეგვიპტის პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის დასახმარებლად. 1969 წლის 1 სექტემბერს დილის 3 საათზე, განთიადის პირველი ლოცვის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ლიბიაში სამხედრო გადატრიალება დაიწყო. პუტჩისტების მომხრე ძალებმა სწრაფად დაიკავეს დედაქალაქი ტრიპოლი, ალყა შემოარტყეს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ყველა ობიექტს, მეფის სასახლეს, რადიოსადგურსა და ლიბიის საინფორმაციო სააგენტოს შენობას. ამავდროულად, ჩაკეტეს ქვეყნის საზღვრები, გააუქმეს თვითმფრინავის ყველა რეისი, დაბლოკეს ამერიკულ ბაზებთან მისასვლელი გზები. იმავე დილას ეთერში გადაიცა „კომუნიკე №1". 27 წლის პოლკოვნიკმა მუამარ კადაფიმ ჯერ თანამოქალაქეებს მიმართა, შემდეგ კი ლიბიის ტერიტორიაზე მყოფ „უცხოელ მეგობრებს", რომლებსაც ჩვეული საქმიანობის გაგრძელებისკენ მოუწოდა და შეიარაღებული ძალების მხრიდან დაცვას დაპირდა. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე მოვლენები უშუალოდ ქვეყნის შინაურ საქმეს წარმოადგენდა, არცერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული არ იყო და, შესაბამისად, არ შეეხებოდა საერთაშორისო შეთანხმებებსა და მოლაპარაკებებს. მონარქიის დამხობის შემდეგ, ლიბიის ლიდერმა ახალი წყობა „ჯამაჰირია" შემოიღო საკუთარ ქვეყანაში. მას უყვარს ინტერვიუს მიცემა, საჯარო გამოსვლები. დაწერილი აქვს არაერთი წიგნი, მათ შორის გამორჩეულია ორი პოლიტიკურ-დიდაქტიკური შინაარსის ნაშრომი: სამნაწილიანი „მწვანე წიგნი" (რომელშიც, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ჩამოყალიბებულია „მესამე მსოფლიო თეორია") და „თეთრი წიგნი" (სადაც განხილულია ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის წარმო-

შობის მიზეზები და მისი მოგვარების გზები). 1999 წლიდან მოყოლებული კადაფის ერთ-ერთი უდიდესი ოცნება — აფრიკის შეერთებული შტატების შექმნა, ვერ განხორციელდა, მიუხედავად პოლკოვნიკის არაერთი მცდელობისა. თუმცა იგი უცვლელად რჩება პანარაბიზმის მიმდევრად. თანამედროვე მედიამ ფართოდ გააშუქა კადაფის სკანდალურად ცნობილი, 75-წუთიანი გამოსვლა გაეროს 2009 წლის გენერალურ ასამბლეაზე, როდესაც ლიბიელმა ლიდერმა გაეროს უშიშროების საბჭოს „ტერორიზმის საბჭო“ უწოდა და საკუთარი მოსაზრების დასაბუთება არგუმენტირებულად სცადა. უმთავრეს ბრალდებას წარმოადგენდა ის, რომ გაეროს არსებობის მანძილზე დიდმა ქვეყნებმა 64 ომი აწარმოეს პატარა ქვეყნების წინააღმდეგ და გაერთიანებული ერების საბჭომ არაფერი მოიმოქმედა მათი ძალადობის შესაჩერებლად. კადაფიმ წინადადება წამოაყენა გაეროს შტაბ-ბინის დასავლეთ ნახევარსფეროდან აღმოსავლეთ ნახევარსფეროში გადატანის თაობაზე, მაგალითად, ლიბიაში. მოითხოვა ჯონ კენედისა და მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობათა ხელახალი გამოძიების ჩატარება, ბარაკ ობამას აშშ-ის პრეზიდენტად დატოვება სიცოცხლის ბოლომდე და მისთ. განსაკუთრებით მტკივნეულ და საკამათო თემებსაც შეეხო, როდესაც თალიბებისთვის ისლამური ემირატის შექმნის უფლებისა და სომალელი მეკობრეების ქმედებათა კანონიერების დაცვა სცადა. თავისი გამოსვლა მან ამ სიტყვებით დაასრულა: „უკვე დაიღალეთ. ყველას ჩაგეძინათ... თქვენ წარმოშვით ჰიტლერი, ჩვენ კი არა. თქვენ დევნიდით ებრაელებს. თქვენ მოაწყვეთ ჰოლოკოსტი!“ არაერთი პოლიტოლოგის აღიარებით, მუამარ კადაფიმ სამშობლოზე ზრუნვის პერიოდში მრავალ წარმატებას მიაღწია 1970-იანი წლებიდან მოყოლებული მესამე ათასწლეულის დასაწყისამდე. იყო დრო, როდესაც ლიბიელებს ბენზინი უფასოდ ჰქონდათ, იმდენად გონივრულად განკარგავდა მათი „ერის მამა“ ნავთობის მოპოვება-რეალიზების საკითხს. კადაფიმ ასევე წარმატებით გადაჭრა სასმელი წყლის პრობლემა უდაბნო-ქვეყნის პირობებში. ცხოვრების საშემოსავლო მინიმუმი საგრძნობლად ასწია რიგითი ლიბიელებისთვის. თუმცა, როგორც ურბინოს უნივერსიტეტის პროფესორმა, მასიმილიანო კრიკომ აღნიშნა წელს ლიბიაში დაწყებული არეულობის შეფასებისას, 2000-იან წლებში კადაფი, თანდათანობით, „სუვერენული ხალხის მეთაურიდან კლანის უფროსად გადაიქცა“. 2011 წლიდან ბედის „ბორბალი უკუღმა დატრიალდა“ ლიბიის ლიდერისთვის. 17 თებერვალს მასობრივი გამოსვლები დაიწყო ლიბიაში კადაფის მთავრობის წინააღმდეგ. 21 თებერვალს ეგვიპტელმა ღვთისმეტყველმა, იუსუფ ქარდავიმ ლიბიაში სამოქალაქო ომზე საუბრისას მართლმორწმუნეებს მუამარ კადაფის მოკვლისკენ მოუწოდა. 23 თებერვალს შვედური ტაბლოიდური გაზეთისთვის «Expressen» მიცემულ ინტერვიუში ლიბიის იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა, მუსტაფა მუჰამედ აბდ-ალ-ჯალილმა განაცხადა: იმის მტკიცებულებები მომეპოვება, რომ პირადად კადაფიმ გასცა ლოკერბის თავზე თვითმფრინავის ჩამოგდების ბრძანება 1988 წელსო. 2011 წლის მარტის თვეში აჯანყებუ-

ლებმა ლიბიის არაერთი ქალაქი ჩაიგდეს ხელში და ხელისუფლება ვეღარ აკონტროლებდა ქვეყნის აღმოსავლეთ ტერიტორიის ნაწილს. 12 მარტს არაბული ქვეყნების ლიგამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოუწოდა საფრენი ზონის დახურვისკენ ლიბიის თავზე. შესაბამისად, უკვე 17 მარტს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით საერთაშორისო ჩარევის სანქცირება მოხდა: ათი ხმა ხუთის (ბრაზილია, გერმანია, ინდოეთი, რუსეთი, ჩინეთი) წინააღმდეგ. მშვიდობიანი მოქალაქეების დაცვის საბაბით, 19 მარტს ლიბიის „ჰუმანიტარული ინტერვენცია" დაიწყო.

კათოლიკური ლიგა (Catholic League of France, იგივე – Holy League) – საფრანგეთის კათოლიკური პარტია, რომელიც 1576 წელს ჩამოაყალიბა ჰერცოგმა გიზმა. მას მხარს უჭერდნენ პაპი სიქსტე V, იეზუიტები და ესპანეთის მეფე ფილიპე II. ლიგის მიზანს წარმოადგენდა ჰუგენოტების წინააღმდეგ ბრძოლა და მეფის ცენტრალიზებული მმართველობის შეზღუდვა ფეოდალების მიერ. 1576 წლის ბოლოს პირველი ლიგა, რომელიც კათოლიკე სასულიერო პირებისა და თავადაზნაურობის პარტიას წარმოადგენდა, ფაქტობრივად, დაიშალა. იგი 1585 წელს აღადგინეს და 1594 წლამდე იარსება.

კასიუსი დიონ (Lucius Claudius Cassius Dio Cocceianus, 155-235) – ბერძნული წარმოშობის რომაელი კონსული (ორგზის), სენატორი, პრეტორი, ისტორიკოსი. თანამედროვე სამეცნიერო წრეებში საკმაოდ პოპულარული „რომის ისტორიის" («Historia Romana») ავტორი. მისი ნაშრომი 80 წიგნისგან შედგება და მოიცავს პერიოდს ქალაქის დაარსებიდან ალექსანდრე სევერის დრომდე. ამ ვრცელ თხზულებაზე დიონ კასიუსი 22 წელი მუშაობდა. მისი სტილი რიტორიკულია, თხრობის მანერა – ნათელი და მარტივი. მისი მონოლითური ნაშრომის მცირე ნაწილი დაკარგულია.

კეისარი გაიუს იულიუს (Gaius Julius Caesar, ძვ. წ. 100-ახ. წ. 44) – ძველი რომის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, რეფორმატორი, მწერალი, ორატორი. არისტოკრატთა (პატრიცთა) წრის წარმომადგენელი. ძვ. წ. 68 წელს გახდა კვესტორი, 65 წელს – ედილი, 62-ში – პრეტორი. ძვ. წ. 60 წელს სენატის წინააღმდეგ კავშირი შეკრა პომპეუსთან და კრასუსთან (პირველი ტრიუმვირატი). ძვ. წ. 59 წელს კონსული გახდა, ძვ. წ. 46 წელს დიქტატორად აირჩიეს. ძვ. წ. 44 წლის 15 მარტს სენატში გამოსვლისას კეისარი შეთქმულებმა მოკლეს პომპეუსის ქანდაკების მახლობლად. მისი სახელი – კეისარი ზოგადად მონარქის აღმნიშვნელ ეპითეტად იქცა. გელიუსის ცნობით, კეისარს მოსწონდა რომაელი მწერლის პუბლიუსის შემდეგი გამონათქვამები: „ცუდია გეგმა, რომელიც ცვლილებებს ვერ იტანს", „გაიტანეთ და ნუ დასტირით იმას, რასაც აღარ ეშველე-

ბა", „სიძუნწე – ნიღბიანი სიღატაკეა", „მოიგებ იმ შემთხვევაში, თუ გასცემ ღირსეულზე", „ნეპტუნს უსამართლოდ დაადანაშაულებს ის, ვინც ორჯერ ჩაიძირება", „კაცს მოთმინების ფიალა რომ აევსება, მერე გაშმაგდებაო", „მეგობარს ისე უყურე, როგორც შესაძლო მტერს". პორციუს კატონმა, რომელიც თავად ბახუსის დიდი თაყვანისმცემელი იყო, ერთხელ განაცხადა: „კეისარი ერთადერთი იყო ისტორიაში, ვინც ფხიზელი შეუდგა რესპუბლიკის დამხობას". კეისარი ოსტატი მწერალიც იყო, შემორჩენილია მისი ორივე წიგნი: „გალიის ომის კომენტარები" და „სამოქალაქო ომის კომენტარები". ისინი ლათინური მწერლობის სწორუპოვარ ნიმუშებს წარმოადგენენ, გამოირჩევიან სადა, ნატიფი თხრობის მანერით.

კონელი ჯონ (John Bowden Connally, Jr., February 27, 1917 – June 15, 1993) – გავლენიანი ამერიკელი პოლიტიკოსი, აშშ-ის 61-ე ხაზინადარი პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის ადმინისტრაციაში, საზღვაო ძალების მინისტრი ჯონ კენედის პრეზიდენტობისას, ტეხასის გუბერნატორი 1963-1969 წლებში. 1963 წლის 22 ნოემბერს ჯონ კენედის მკვლელობის მომენტში გუბერნატორი კონელი პრეზიდენტის მანქანაში იმყოფებოდა მარჯვენა წინა სავარძელზე. ოფიციალური ვერსიის თანახმად, ჯონ კონელის ზურგში რიკოშეტით მოხვდა სწორედ ის ტყვია, რომელმაც პრეზიდენტი კენედი კისრის არეში დაჭრა.

კრიშნამურტი ჯიდუ (Jiddu Krishnamurti, 1895-1986) – ცნობილი ინდოელი ორატორი, მსჯელობდა ფილოსოფიურ და სასულიერო თემებზე. იგი ხშირად საუბრობდა ცნობიერების რევოლუციის საჭიროებაზე თითოეული ადამიანისთვის ინდივიდუალურად. განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა იმაზე, რომ ამგვარი ცვლილების მიღწევა შეუძლებელი იყო გარეშე ძალების (რელიგიის, პოლიტიკის, საზოგადოების) დახმარებით. კრიშნამურტი უარყოფდა ეროვნებას, კასტურ კუთვნილებას, რელიგიას და ფილოსოფიას. მთელი ცხოვრება მოგზაურობაში გაატარა, როგორც დამოუკიდებელმა ორატორმა. თუმცა თავისი დროის უმეტესი ნაწილი სამ ქვეყანაში დაჰყო: ინდოეთში, ამერიკასა და ინგლისში. იგი ერთნაირი ენთუზიაზმით გამოდიოდა როგორც უზარმაზარი აუდიტორიის ან მსმენელთა მცირე ჯგუფის, ისე – ცალკეული, დაინტერესებული ადამიანის წინაშეც. 1970-იან წლებში კრიშნამურტი რამდენჯერმე შეხვდა ინდოეთის მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ინდირა განდის. მათი საუბრების ზუსტი შინაარსი უცნობია. კრიშნამურტიმ რამდენიმე წიგნი დაწერა, მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია „პირველი და უკანასკნელი თავისუფლება" («The First and the Last Freedom»), „ერთადერთი რევოლუცია" («The Only Revolution»), „კრიშნამურტის ბლოკნოტი" («Krishnamurti's Notebook»). ასევე წიგნის სახით გამოიცა მისი საუბრებისა და მსჯელობების არაერთი ნაკრები. კრიშნამურტის უკანასკნელი საჯარო გამოსვლა 1986 წლის იანვარში გაიმართა მის მშობლიურ ქალაქ მად-

რასში. იმავე წლის 17 თებერვალს იგი 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი მიმდევრების თაოსნობით, რამდენიმე არაკომერციული ორგანიზაციის ხელშეწყობით, ინდოეთში, ინგლისსა და აშშ-ში ფუნქციონირებს რამდენიმე დამოუკიდებელი სკოლა, სადაც ბავშვებს ასწავლიან კრიშნამურტის მეთოდების მიხედვით.

ლაბრიუიერი ჟან დე (Jean de La Bruyère, 1645-1696) – ფრანგი მწერალი, სატირიკოსი და მორალისტი. დაიბადა პარიზში, საშუალო კლასის შეძლებულ ოჯახში. თავდაპირველად ბერძნულს, ლათინურს, იტალიურს, გერმანულსა და რიტორიკას სწავლობდა, მოგვიანებით – სამართალმცოდნეობას ორლეანის უნივერსიტეტში. 1684 წელს დაინიშნა კონდეს შვილიშვილის, ჰერცოგ ლუი დე ბურბონის აღმზრდელად. 1693 წლიდან საფრანგეთის აკადემიის წევრი. იზიარებდა კლასიცისტური პოეტიკის პრინციპებს. ახალ სიმაღლეზე აიყვანა სოციალური და პოლიტიკური კრიტიკა. გაამდიდრა ფრანგული კლასიციზმის სტილისტიკა მისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი, ინტელექტუალურ-ანალიტიკური, დეტალურად ჩამოქნილი წერის მანერით. მისი ნაწარმოებები ამჟღავნებს მსგავსებას ბუალოს სატირასა და მოლიერის კომედიებთან. თუმცა მისთვის უცხოა ბლეზ პასკალისა თუ ფრანსუა დე ლაროშფუკოსეული განზოგადებები ადამიანის არსთან დაკავშირებით, ლაბრიუიერი თვითმყოფადი თვალთახედვით აგრძელებს ამ ორი ავტორის პუბლიცისტურ ხაზს. მისი ერთადერთი წიგნი „ამ საუკუნის ხასიათები და ზნე-ჩვეულებები“ («Les Caractères de Théophraste, traduits du grec, avec les caractères ou les moeurs de ce siècle», 1688) ფეოდალური არისტოკრატიისა და მსხვილი ბურჟუაზიის ცხოვრებაზე მწერლის დაკვირვების ანარეკლია. წიგნი ცხრაჯერ გამოიცა ავტორის სიცოცხლეში. ლაბრიუერმა თავის ნაწარმოებს წაუმძღვარა თეოფრასტეს „ხასიათების“ თარგმანი. თხზულება თექვსმეტი თავისგან შედგება. განსხვავებული ლიტერატურული პორტრეტები, ნოველები, მსჯელობანი და დრამატული სცენები მთლიანობაში იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების რეალისტურ სურათს ქმნის.

ლაროშფუკო ფრანსუა დე, ჰერცოგი (François VI, duc de La Rochefoucauld, le Prince de Marcillac, 1613-1680) – ფრანგი მწერალი, მორალისტი. 1650 წლამდე პრინც მარილიაკის ტიტულს ატარებდა. ადრეული ასაკიდან დაიწყო ხანმოკლე შესვენებებითა და განსაკუთრებული აქტიურობის პერიოდებით სავსე სამხედრო კარიერა, რომელსაც დაახლოებით 1653 წელს საბოლოოდ დაანება თავი. ჰერცოგინია დე შევრეზთან (duchesse de Chevreuse) მეგობრობის პერიოდში რიშელიეს წინააღმდეგ გამოდიოდა ანა ავსტრიელის მხარდასაჭერად. ზედმეტი პოლიტიკური აქტიურობის შედეგად, რიშელიეს ბრძანებით, რვა დღე გაატარა ბასტილიის ციხეში. შემდეგ ჰერცოგინია დე ლონგვილს (duchess de Longueville) დაუახლოვდა, თავგადაკლულ ფრონდერად გადაიქცა და

კარდინალ მაზარინის წინააღმდეგ იბრძოდა. მისი თანამედროვე პოლიტიკური მოვლენები ლაროშფუკომ აღწერა „მემუარებში" («Memoirs», 1662), რომლის ხელნაწერზეც იგი რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა ხანგრძლივი ავადმყოფობის პერიოდში. წიგნი მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო და ფრანგული კლასიცისტური პროზის ნიმუშია. გავრცელებული ცნობით, პირველად ჰოლანდიაში დაიბეჭდა „მემუარების" პირატული ასლი და ავტორის ხანგრძლივი პროტესტის მიუხედავად, ამ ვარიანტის უკანონო გამოცემები ლამის ოცდაათი წელი გაგრძელდა. თანაც, ნაწარმოების მხოლოდ მესამედი თუ ეკუთვნოდა პირადად ლაროშფუკოს. მხოლოდ 1817 წელს მოხერხდა ყველაზე ავტორისეული ვერსიის დაბეჭდვა, თუმცა არც ის იყო უზუსტობების გარეშე. თავად ჰერცოგი დიდხანს უარობდა „მემუარების" ავტორობას, შესაძლოა იმ მიზეზით, რომ ბევრ მის ნაცნობ-მეგობარს ატკინა გული წიგნში აღწერილი პირადული მასალის საჯაროდ გამოტანამ. ლაროშფუკოს შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უკავია თხზულებას „მსჯელობანი ანუ მორალური გამონათქვამები და მაქსიმები" («Reflexions ou sentences et maximes morales», 1665), რომელიც მიჩნეულია XVII საუკუნის ფრანგული პუბლიცისტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშად. იგი წარმოადგენს მწერლის პირად პოლიტიკურ გამოცდილებათა და ფრონდის ეპოქის გავლენით ჩამოყალიბებულ ძირითად შეხედულებათა ფილოსოფიურ შეჯამებას. წიგნში მოცემულია 500-ზე მეტი გამონათქვამი და მოსაზრება სხვადასხვა თემაზე, რომლებშიც ავტორი უმეტესწილად აკრიტიკებს ისეთ ადამიანურ ღირებულებებს, როგორიცაა სიმამაცე, მეგობრობა, ალტრუიზმი და სიყვარული. მისი მტკიცებით, ამ გრძნობათა მოტივირება ან პირადი ინტერესის გამო ხდება, ან საკუთარი თავისადმი პატივისცემის შედეგად. ლაროშფუკოს თვალსაზრისით, საყოველთაოდ ცნობილი „წმინდა სიყვარული" (amourpropre) განაპირობებს ყოველ ადამიანურ საქციელსა და აზრს. მის მიერ გაკრიტიკებული მორალური ღირებულებების სანაცვლოდ, ლაროშფუკო ერთადერთს – ინტელექტუალურ გამონათებას აღიარებს, რომლის დროსაც გამორიცხულია გონებაზე რაიმე შინაგანი ზეწოლა თუ დეფორმაცია. თუ ადამიანს არ შეუძლია სხვების დახმარება თვალთმაქცობის გარეშე, ხოლო სხვათა სიყვარული საკუთარი თავისადმი უფრო მეტი სიყვარულის გარეშე, მას იმედად ის მაინც რჩება, რომ იქნებ თავისი და სხვათა მოტივები შეიცნოს. ლაროშფუკო ერთ-ერთ ცნობილ მაქსიმაში ამბობს, რომ უზენაესი ნიჭია ნივთთა ღირებულების აღქმა, რისი მიღწევა შესაძლებელია თვალთმაქცობისა და თავის მოტყუების იქით საგანთა რეალური ბუნების დანახვის უნარის წყალობით. „მაქსიმების" გამოცემის მეორე დღესვე ლაროშფუკოსა და პირველი ფრანგული ისტორიული რომანის ავტორის, გრაფინია დე ლაფაიეტის (comtesse de La Fayette) მეგობრობა დაიწყო, რომელიც ჰერცოგის გარდაცვალებამდე გაგრძელდა.

- ლაფმა ისაკ დე (Isaac de Laffemas, დაახ. 1583-1657) – რამდენიმე მაზარინადის ავტორი. პოეზიასა და დრამატურგიაში საკუთარი ძალების ხანმოკლე მოსინჯვის შემდეგ, პარიზის პარლამენტის იურისტად დაინიშნა. 1625 წელს მეფის ფარული საბჭოს ვექილი გახდა, სადაც თხოვნების განხილვას ხელმძღვანელობდა. 1627 წელს ქალაქ ბორდოს პარლამენტის მრჩევლად გადავიდა. როცა 1632 წელს გასტონ ორლეანელის გარშემო თავმოყრილთა ჯგუფმა კარდინალ რიშელიეს წინააღმდეგ შამპანის შეთქმულება მოაწყო, დე ლაფმა მოსამართლის თანაშემწედ დანიშნეს და კარდინალი მას ყველაზე სამარცხვინო სასამართლო პროცესების მოსაგვარებლად იყენებდა. 1634 წელს შამპანის ინტენდანტი გახდა. 1637 წლის 10 მარტს თავად კარდინალმა რიშელიემ დანიშნა პარიზის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ. მას ევალებოდა პარიზის უსაფრთხოების გაუმჯობესება და კონტროლი. პარიზელებმა მეტსახელად „რიშელიეს ჯალათი“ შეარქვეს. 1642 წელს, რიშელიეს გარდაცვალებისთანავე, დე ლაფმამ თავისი ყველა უფლებამოსილება დაკარგა.

ლიპმანი უოლტერ (Walter Lippmann, 1889-1974) – ამერიკელი ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური კომენტატორი, ინტელექტუალი. ორჯერ (1958 და 1962 წლებში) მიენიჭა პულიტსერის პრემია საავტორო სვეტში „დღეს და ხვალ“ («Today and Tomorrow») გამოქვეყნებული მასალისათვის.

„მარიონ სთარი“ (The Marion Star) – ქალაქ მარიონში (ოჰაიოს შტატი) გამომავალი ყოველდღიური გაზეთი. დაარსდა 1877 წელს. გაზეთის თავდაპირველი სახელწოდება იყო „მარიონ დეილი სთარი“ (The Marion Daily Star). 1880-იან წლებში მისი გამომცემლები იყვნენ უორენ ჰარდინგი (მოგვიანებით, ამერიკის 29-ე პრეზიდენტი) და მისი მეუღლე ფლორენს კლინგ ჰარდინგი. მათ პერიოდში გაზეთი მკვეთრად გადაიხარა რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერის პოზიციისკენ, მაგრამ გარკვეული ნეიტრალურობა მაინც შეინარჩუნა იმის გამო, რომ ამ გამოცემის ძირითად დანიშნულებას მარიონის ოლქის შიდა ამბების გაშუქება წარმოადგენდა. თუმცა, ჰარდინგმა ყოველკვირეული გაზეთის „მარიონ უიქლი სთარის“ (The Marion Weekly Star) გამოცემაც დაიწყო, რომელსაც დაიჯესტის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. სინამდვილეში, ედიტორიალებში დაუფარავად ხდებოდა რესპუბლიკური პარტიის აპოლოგია. ყოველკვირეული ვარიანტი 1890-იანი წლებიდან 1910-იან წლებამდე გამოდიოდა და შემდეგ არსებობა შეწყვიტა. 1923 წლის შემდე ჰარდინგების წყვილი იყო გაზეთის ოფიციალური მფლობელი, შემდეგ მათ ეს ბიზნესი გაყიდეს და აქედან მოყოლებული „მარიონ სთარმა“ არაერთი მეპატრონე გამოიცვალა. გაზეთის ოფიციალური საიტია: www.marionstar.com

- მაჰადევა, მაგადევა (Hindu god Magadeva, Mahadeva „ძლევამოსილი ღმერთი“) – ინდუსთა სამთავიანი (ორი კაცის და ერთი – ქალის) ღმერთის შივას (Shiva) ან ვიშნუს (Vishnu) ზედწოდება, ეპითეტი. (Jordan, Michael, *Encyclopedia of Gods*, New York, Facts On File, Inc. 1993, p. 151)

მედიჩი მარია (იტალ. Maria de Medici, ფრანგ. Marie de Médicis, 1575-1642) – საფრანგეთის დედოფალი. ტოსკანიის დიდი ჰერცოგის, ფრანჩესკო I-ისა და იოანა ავსტრიელის ასული. საფრანგეთის მეფის ანრი IV-ის მეორე მეუღლე. მარია მედიჩის ბრძანებით პარიზში აიგო ულამაზესი შენობა – ლუქსემბურგის სასახლე, გაშენდა გულების დედოფლის ბულვარი (Cours la Reine), შეიქმნა წყალგაყვანილობის გამართული სისტემა, ლუვრი დამშვენდა რუბენსის ალეგორიული ნახატების კოლექციით. „გასულელებულთა დღის“ შემდეგ რიშელიესთან პოლიტიკურ ბრძოლაში საბოლოოდ დამარცხდა და 1631 ივლისს ბრიუსელში გაიქცა. რიშელიეს მოთხოვნით, 1638 წელს იქიდანაც გააძევეს და ინგლისში გადაბარგდა. მოგვიანებით ქალაქ კელნში დასახლდა, სადაც მარტოობასა და სიღატაკეში გარდაიცვალა ყვავილების შესახვევში მდებარე რუბენსის სახლში.

მეხსიერების ღრმული, მეხსიერების ხვრელი (Memory hole) – წარმოსახვითი ადგილი, სადაც უხერხული ან უსიამოვნო ინფორმაცია იდება და სწრაფად მიეცემა დავიწყებას. ტერმინის წარმოშობა და პოპულარიზაცია დაკავშირებულია ჯორჯ ორუელის რომანთან „1984“. ნაწარმოებში მეხსიერების ხვრელი ეწოდება სპეციალურ ნახვრეტს, რომელშიც ისტორიული დოკუმენტის გადაგდება შეიძლება, რაც წარსულის მოგონებათა მანიპულირების საშუალებას იძლევა. ფართო გაგებით, მეხსიერების ღრმული ნიშნავს უხერხული და სათაკილო დოკუმენტების, ფოტოების, ასლების ან სხვა სახის სამხილების ჩანაცვლებას სასურველი მონაცემებით, ან მათ სრულ გაქრობას.

მიმი (ინგლ. meme, ბერძნული სიტყვიდან μίμημα „მსგავსი, მიმსგავსებული“) – რეპლიკატორული ხასიათის მქონე, კულტურული ინფორმაციის ერთეული, რომელიც ბუნებრივი გადარჩევის წესს ემორჩილება. საკუთარი თავის კოპირების გზით, იგი ერთი გონებიდან მეორეს გადაეცემა და საზოგადოებაში ნებისმიერი საშუალებით ვრცელდება. ამავე დროს, მიმები ერთმანეთს ებრძვიან რესურსებისთვის (ადამიანთა გონებისთვის). მიმის თავის გადარჩენის ინსტინქტია მისი მოდიფიკაციის უნარი, რომელიც გენურ მუტაციას ჰგავს. მიმის კონცეფციის („ეგოისტური გენი“, „გაფართოვებული ფენოტიპი“) ავტორია რიჩარდ დოკინსი (Richard Dawkins), რომელიც მიმს „კულტურის გადაცემის ერთეულს“ უწოდებს. ტერმინი „მიმ“ დოკინსმა 1976 წელს შექმნა გენეტიკური ინფორმაციის ერთეულის – გენის (gene) ანალოგიით. მიმი ინფორმაციაა,

რომლის ფუნქციონირება ფიზიკურ ქმედებასთან არის დაკავშირებული. მისი სიცოცხლე დამოკიდებულია თუნდაც ერთი მატარებლის არსებობაზე, ხოლო აღწარმოებისთვის (კვლავწარმოებისთვის) საჭიროა მიმის არსის გამავრცელებელი სუბიექტი. კონკრეტული მიმის ინფორმაციული შინაარსი გავლენას ახდენს მისივე კოპირების ალბათობაზე. გენებისგან განსხვავებით, მიმებს აქვთ ძველი მიმების კომბინირების ან გაყოფის უნარი ახალი მიმების ფორმირების მიზნით. ამ თვისების გამო მიმების განვითარება გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე გენეტიკური განვითარების პროცესი. შესაბამისად, ადამიანი ბევრად უფრო ნელა ვითარდება ბიოლოგიურად, ვიდრე კულტურულად. მიმის კონცეფცია თვითონაც მიმია, რადგან პოპ-კულტურაში შეღწევის მაღალ ხარისხს ავლენს, მეცნიერულ თეორიებს კი ამის უნარი იშვიათად აქვთ.

მიშლე ჟიულ (Jules Michelet, 1798-1874) – ფრანგი ისტორიკოსი, პუბლიცისტი, წვრილბურჟუაზიული იდეოლოგი. ითვლება ტერმინის „რენესანსი“ („აღორძინება“) გამომგონებლად. 1821 წლიდან პედაგოგობდა. დისერტაციის თემად აირჩია პლუტარქე და ლოკის უსასრულობის იდეა. 1824 წელს დაქორწინდა. 1827 წლიდან უმაღლესი ნორმალური სკოლის, ხოლო 1838 წლიდან კოლეჟ დე ფრანსის პროფესორი. 1838 წლიდან მორალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი. ივლისის მონარქიის წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა რადიკალურად განწყობილ სტუდენტებს შორის. ახალგაზრდობაში „ლიბერალური მონარქიის“ მომხრე იყო, შემდეგ – რესპუბლიკისა. აღიარებდა საფრანგეთის რევოლუციის მნიშვნელობას, მაგრამ უარყოფითად აფასებდა იაკობინელთა მოღვაწეობას, კომუნისტურ იდეებს. ეკონომიკური უთანასწორობა ღვთიურ კანონად მიაჩნდა. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი შრომაა მრავალტომიანი „საფრანგეთის ისტორია“ და მისი გაგრძელება „საფრანგეთის რევოლუციის ისტორია“. ცნობილია, როგორც XIX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი რუსოფობი. პოლონეთში მიმდინარე მღელვარებებთან დაკავშირებით მან რუსებს უწოდა „ბარბაროსები, რომლებიც ღირსი არ არიან ევროპელ ხალხთან ურთიერთობის“. საიმპერატორო რუსეთში გიჟად შერაცხული პუბლიცისტის, პეტრე ჩაადაევის მოსაზრებას ემხრობოდა იმის თაობაზე, რომ „რუსეთს არც წარსული, არც მომავალი არ გააჩნია“.

მკს – მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები. ბევრად უფრო ფართო და ზუსტი ტერმინია თანამედროვე მედიაზე საუბრისას, რადგან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისგან განსხვავებით, გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე საზოგადოების ინფორმირებაა. ვფიქრობ, არამხოლოდ ტერმინის უზუსტობასთან გვაქვს საქმე, როცა მედიას მხოლოდ ინფორმირების ფუნქციას უტოვებენ გარკვეული პოლიტიკური ძალები. „მეოთხე ხელისუფლება“ ვალდებულია, მასობრივი კომუნიკაციის საშუალება

იყოს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად იხ. პროფ. ზურაბ გემაზაშვილის შესაბამის გამოკვლევებში.

მონტესკიე შარლ ლუი დე სეკონდა, ბარონი დე ლა ბრედი და დე მონტესკიე (Charles Louis de Secondat, Baron de La Brède et de Montesquieu, 1689-1755) – ფრანგი განმანათლებელი, სამართლისმცოდნე, ფილოსოფოსი და მწერალი. ძალაუფლების გადანაწილების თეორიის შემქმნელი. ხელი შეუწყო ტერმინების „ფეოდალიზმისა“ და „ბიზანტიის იმპერიის“ პოპულარობას. დაიბადა არისტოკრატიულ ოჯახში. სწავლობდა სამართალს ბორდოსა და პარიზში. 1716 წელს გარდაიცვალა ბიძამისი ჟან ბატისტი, რომლისგან მემკვიდრეობით ერგო ქალაქ ბორდოს პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა და ბარონ მონტესკიეს ტიტული. 1726 წლიდან პარიზში ცხოვრობდა. 1727 წლიდან საფრანგეთის ინსტიტუტის წევრი. 1729-1731 წლებში ცხოვრობდა დიდ ბრიტანეთში, სადაც სამეფო საზოგადოების წევრად აირჩიეს. მონტესკიეს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი იდეების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ინგლისის კონსტიტუციამ, სამართლისმცოდნეობამ და ფილოსოფიამ. მონტესკიეს იდეები გადმოცემულია ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომში „კანონთა სულის შესახებ“ («De l'Esprit des Lois», 1748). ეს ნაწარმოები საფრანგეთის საზოგადოებამ არ მიიღო და მტრულად განეწყვნენ როგორც არსებული რეჟიმის მომხრენი, ასევე – მოწინააღმდეგენი. რომის კათოლიკურმა ეკლესიამ „კანონთა სულის შესახებ“ აკრძალა, ისევე როგორც მონტესკიეს ნაწარმოებთა უმეტესობა. სამაგიეროდ, მაღალი შეფასება მისცა ნაშრომს ევროპის დანარჩენმა ნაწილმა, განსაკუთრებით ბრიტანეთმა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გეოგრაფიულ, განსაკუთრებით კლიმატის ფაქტორს პოზიტიური სამართლისა და სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმათა ჩამოყალიბებაში. მისი აზრით, ცხელი კლიმატი იწვევს სიზარმაცეს, ახშობს მოქალაქეობრივ სიმამაცეს და არის დესპოტიზმის მიზეზი. ასეთი თვალსაზრისის გამო მონტესკიე ითვლება სოციოლოგიაში ე.წ. გეოგრაფიული სკოლის ფუძემდებლად, თუმცა მონტესკიე უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა პოლიტიკურ ფაქტორებს. ამიტომ მისთვის მთავარი პრობლემაა გონივრული სახელმწიფოებრივი წყობილება და მისი ორგანიზაცია. მმართველობის საუკეთესო ფორმად მიაჩნდა მონარქია, ხოლო მონარქიის დესპოტიზმში გადაზრდის თავიდან აცილებისა და პოლიტიკური თავისუფლებების უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებად – ხელისუფლების განაწილება და სახელმწიფოებრივი წყობის ფედერაციული ფორმა. თუმცა მონტესკიე კონსტიტუციური მონარქიის მომხრე იყო, ის ითვალისწინებდა რიგ პროგრესულ პრინციპებს: მოქალაქეთა თანასწორობას, ფართო საარჩევნო უფლებას და სხვა. მონტესკიე უარყოფდა ისტორიული პროცესის თეოლოგიურ გაგებას და აყენებდა დებულებას ისტორიული პროცესის ობიექტური კანონზომიერების შესახებ. ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ეპისტოლარული

ფორმის რომანით „სპარსული წერილები" («Lettres persanes», 1721), რომელმაც სათავე დაუდო ფილოსოფიური რომანის ჟანრს. მასში მრავლადაა გონებამახვილობისა და სატირული ირონიის ნიმუშები. თუმცა საუბარია სპარსეთზე, რეალურად ავტორი მისი თანამედროვე ევროპული ცივილიზაციისა და მანერების კრიტიკულ თვალთახედვას გადმოსცემს. კომპოზიციურად რომანი აგებულია ევროპაში მოგზაური სამი სპარსელის წერილებისგან, რომლებსაც ისინი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს უგზავნიან. მათი წერილები დასავლეთში ნანახის კომენტარს წარმოადგენს. წიგნში გაქილიკებულია ევროპული ცხოვრების ყველა ასპექტი: ლუდოვიკო XIV „დიდი მაგია", რომის პაპი – „ძველი კერპი, რომელსაც ჩვეულების გამო სცემენ თაყვანს", დიდებულებმა თავიანთი სტატუსი სკამებზე ჯდომითა და წინაპრების, ვალებისა და პენსიების წყალობით მოიპოვეს. წიგნში საკმაოდ ბევრი ცნობაა საქართველოს მხარეების შესახებ, ნახსენებია თბილისი, თავისუფლების მოყვარე ქართველი ხალხი. როგორც ჩანს, მონტესკიე კარგად იცნობდა იმდროინდელ მოგზაურთა – ფრანსუა ბერნიეს (François Bernier, 1625-1688), ჟან-ბატისტ ტავერნიეს (Jean-Baptiste Tavernier, 1605-1689) და ჟან შარდენის (Jean Chardin, 1643-1713) ჩანაწერებს. წიგნში ასახულია იმ პერიოდის საქართველოს მძიმე პოლიტიკური ვითარება, თავდასხმებისა და შიდა ომების შედეგად გაჩანაგებული მოსახლეობის მდგომარეობა. თუმცა ხშირია ფაქტობრივი უზუსტობა, მწერლის მიზანი – განმათავისუფლებელი და ჰუმანისტური იდეების პროპაგანდა – მიღწეულია. „სპარსული წერილები" ანონიმურად დაიბეჭდა, მაგრამ მალე გაიშიფრა ავტორის ვინაობა. რომანმა მონტესკიეს საზოგადოების აღიარება და რეგენტის, კარდინალ ანდრე ფლერის (Cardinal André Fleury) უკმაყოფილება მოუტანა. სწორედ კარდინალ ფლერის გამო მონტესკიეს საფრანგეთის აკადემიაში არჩევა 1728 წლამდე გაჭიანურდა. მოგვიანებით მონტესკიემ ევროპაში იმოგზაურა. ბორდოში დაბრუნების შემდეგ რომის ისტორიის შესწავლას შეუდგა. სამი წლის თავზე თავისი ახალი ნაშრომი («Considérations sur les causes de la grandeur des Romains et de leur décadence», 1734) წარუდგინა საზოგადოებას. ავტორი შეეცადა ჩასწვდომოდა მოვლენათა გამომწვევ ზოგად მიზეზებს ისტორიის მიღმა.

„ნიუ-იორკ ტრიბუნი" (The New York Tribune) – ამერიკული გაზეთი, რომელიც 1841 წელს ჟურნალისტმა და პოლიტიკურმა ლიდერმა, ჰორას გრილიმ (Horace Greeley) დააარსა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ითვლებოდა ერთ-ერთ ლიდერ გაზეთად აშშ-ში. 1924 წელს იგი „ნიუ-იორკ ჰერალდს" (The New York Herald) შეერწყა და ახალი, გაერთიანებული გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" (The New York Herald Tribune) წარმოქმნა. ამ უკანასკნელმა 1967 წელს არსებობა შეწყვიტა. თავისი გაზეთი ჰორას გრილიმ იმ იმედით შექმნა, რომ პირდაპირი, სანდო მედიაწყარო შესთავაზებინა აუდიტორიისთვის სენსაციებზე გამდიდრებული ისეთი გამოცემების ეპოქაში, როგორიც „ნიუ-იორკ

სანი" (The New York Sun) და „ნიუ-იორკ ჰერალდი" (The New York Herald) იყო. იმ პერიოდის მოწინავე გაზეთებს შორის გამორჩეულად მიუკერძოებელი, „ნიუ-იორკ ტრიბუნი" მაინც გარკვეულწილად ასახავდა ჰორას გრილის იდეალისტური თვალთახედვის ზოგიერთ ასპექტს. 1850-იანი წლების დასაწყისში გრილის გამოცემის ევროპელი კორესპონდენტები იყვნენ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი. ამერიკული სამოქალაქო ომის პერიოდში (1861-1865) „ნიუ-იორკ ტრიბუნი" რადიკალურად რესპუბლიკურ გაზეთად გადაიქცა. როდესაც ჰორას გრილი 1872 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა, „ჰერალდის" მეპატრონემ, უაითლოუ რაიდმა (Whitelaw Reid) გაზეთზე კონტროლი საკუთარ ხელში აიღო. გრილი საცხოვრებლად სანატორიუმში გადავიდა, სადაც რამდენიმე კვირაში გარდაიცვალა.

ნოდიე შარლ (Jean Charles Emmanuel Nodier, 1780-1844) – ფრანგი მწერალი, რომანტიზმის მემარცხენე დემოკრატიული ფრთის წარმომადგენელი. 1833 წლიდან საფრანგეთის აკადემიის წევრი. ნოდიეს პირველ რომანში „დევნილნი" (1802) ინგლისელ და გერმანელ რომანტიკოსთა გავლენა იგრძნობა. 1802 წელს მან გამოაქვეყნა ნაპოლეონის წინააღმდეგ მიმართული, პოეტური ფორმით დაწერილი სატირული პამფლეტი „ნაპოლეონი". ამის მიუხედავად, მოგვიანებით ნოდიე იმპერატორის მომხრე გახდა და თანამდებობაც მიიღო მის ადმინისტრაციაში; თუმცა რესტავრაციის პერიოდში იმპერიის მსხვერპლად ასაღებდა თავს. ფრანგული რომანტიზმის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მისი რომანი „ჟან სბოგარი" («Jean Sbogar», 1818). 1813 წლიდან ნოდიეს ბინა მასპინძლობდა ფრანგი რომანტიკოსების ჯგუფს „სენაკლს". მათ საკუთარი, კათოლიკურ-მონარქისტული პერიოდული გამოცემა „ფრანგი მუზა" («La muse française») ჰქონდათ. ამ დაჯგუფებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი სკოლის ბრძოლაში კლასიციზმის წინააღმდეგ, თუმცა 1830-იანი წლების დასაწყისში დაიშალა. 1821 წელს ოდენის ფსევდონიმით ნოდიემ გამოაქვეყნა საშინელებათა ჟანრის ფანტასტიკა „სმარა ანუ ღამის დემონები" («Smarra») და მას შემდეგ, ძირითადად, ამ ჟანრის ნაწარმოებებს წერდა: „ლორდი რეტვინი ანუ ვამპირები" («Lord Rutween, ou Les vampires»), „ნამცეცების ფერია" («La Fée aux miettes»), „ტრილბი" («Trilby») და რელიგიურ თემაზე შექმნილი „ლეგენდა და ბეატრიჩეზე" («La légende de sœur Béatrix»). დაკრძალულია პერ-ლაშეზის პანთეონში.

ნოტრ-დამის უნივერსიტეტი (The University of Notre Dame du Lac) – მდებარეობს ინდიანას შტატში. მხოლოდ ვაჟთათვის განკუთვნილი უნივერსიტეტი მამა ედუარდ სორინმა 1842 წლის 26 ნოემბერს დააარსა ვენსანის ეპისკოპოსის მიერ ნაწყალობევ მიწაზე. უნივერსიტეტში სტუდენტ ქალთა მიღება 1972 წელს დაიწყო. ნოტრ-დამის უნივერსიტეტის

ბიბლიოგრაფიული საცავი ერთ-ერთია აშშ-ის 100 უდიდეს ბიბლიოთეკათა შორის.

ობერი დანიელ ფრანსუა ესპრი (Daniel-François-Esprit Auber, 1782-1871) – ფრანგი კომპოზიტორი და მუსიკოსი. 1811 წლიდან ლუიჯი კერუბინის მოწაფე. 1829 წლიდან საფრანგეთის აკადემიის წევრი. 1842 წელს მეფე ლუი-ფილიპის ბრძანებით პარიზის კონსერვატორიის დირექტორად დაინიშნა. ეს პოსტი მანამდე კერუბინის ეკავა. 1857 წელს იმპერატორმა ნაპოლეონ III-მ სამეფო კარის კაპელმაისტერად დანიშნა. ობერი ორმოცზე მეტი ოპერის ავტორია, ძირითადად, კომიკურის. ჯაკომო მეიერბერთან (Giacomo Meyerbeer) ერთად ობერი „დიდი ოპერის“ ჟანრის ერთ-ერთი შემქმნელია. მისი კომიკური ოპერებიდან პოპულარობით სარგებლობდნენ „ფრა დიავოლო“ («Fra Diavolo», 1830), „ბრინჯაოს ცხენი“ («Le cheval dc bronze», 1835), „შავი დომინო“ («Le domino noir», 1837). ობერის ოპერა „სიყვარულის ნექტარი“ («Le philtre», 1831) საფუძვლად დაედო გაეტანო დონიცეტის ამავე სახელწოდების ნაწარმოების («L'elisir d'amore») ლიბრეტოს, ხოლო ოპერის „გუსტავ III“ («Gustave III», 1933) ლიბრეტო ჯუზეპე ვერდიმ გამოიყენა „ბალ-მასკარადის“ («Un ballo in maschera») სიუჟეტისთვის. ობერი გულის შეტევით გარდაიცვალა. დღეს მისი სახელობისაა გრანდ-ოპერისკენ მიმავალი ერთ-ერთი ქუჩა და პარიზის მეტროს უახლოესი სადგური.

ო'დონელი კენეტ (Kenneth Phillip O'Donnell, March 4, 1924 – September 9, 1977) – ჯონ კენედის მარჯვენა ხელი, პრეზიდენტის უახლოესი მრჩევლების გუნდის, ე.წ. „ირლანდიური მაფიის“ წევრი. ფილიპ კენეტ ო'დონელი ქ. უორსესტში (მასაჩუსეტსის შტატი) დაიბადა. 1960-იან წლებში პირველ და მეორე სახელებს ოფიციალურად შეუცვალა ადგილები საკუთარ სახელში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აშშ-ის საჰაერო ძალებში მსახურობდა (1942-1945), რომლის დასრულების შემდეგაც ჰარვარდის კოლეჯში სწავლობდა. სწორედ იქ გაიცნო რობერტ კენედი. შემდეგ ო'დონელი ბოსტონის კოლეჯის სამართლის სკოლაში სწავლობდა. როგორც დემოკრატიული პარტიის წევრი, იგი აქტიურად ეხმარებოდა ჯონ კენედის სენატში მოსახვედრად საარჩევნო კამპანიის წარმართვაში და დიდი გამოცდილება მიიღო საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში. 1960 წელს ო'დონელი კენედის საპრეზიდენტო კამპანიის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო. შემდეგ წელს იგი კენედის პირადი თანაშემწე გახდა. პრეზიდენტის შტატის უფროსის როლი მოვალეობათა უაღრესად ფართო არეალს მოიცავდა. ო'დონელი ერთ-ერთი პირველი აკრიტიკებდა ვიეტნამის ომს და კენედის ურჩევდა, ბოლო მოეღო ამ კონფლიქტში ამერიკის მონაწილეობისთვის. დალასში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, როდესაც ჯონ კენედის გარდაცვალება ოფიციალურად გამოაცხადეს, ექიმები დაჟინებით მოითხოვდნენ ავტოფ-

სიის ტეხასში ჩატარებას. დაუზუსტებელი ინფორმაციით, კენი ო'დონელმა ექიმს პერანგზე მძლავრად მოქაჩა და უბრძანა, კენედის გვამის პრეზიდენტის თვითმფრინავით წაღების საშუალება მიეცა. ამ დროს აშშ-ის საჰაერო ძალების ნომერი პირველი ხომალდი უკვე ასაფრენ ბილიკზე იდგა. ო'დონელი თანაავტორია ჯონ კენედიზე დაწერილი წიგნის «Johnny We Hardly Knew Ye».

ოვალური კაბინეტი (Oval Office) – ამერიკის პრეზიდენტის სამუშაო ოთახი თეთრი სახლის დასავლეთ ფრთაში. სამხრეთის მხარეს იყურება სამი დიდი ფანჯარა. აქვს ოთხი კარი: აღმოსავლეთის კარი ვარდის ბაღში გადის, დასავლეთის — მომცრო პირად კაბინეტსა და სასადილოში, ჩრდილო-დასავლეთის — დასავლეთის ფრთის დერეფანში, ჩრდილო-აღმოსავლეთის — პრეზიდენტის მდივნის კაბინეტში. სახელმწიფოს მეთაურის სამუშაო მაგიდა მდებარეობს სამხრეთის ფანჯრების წინ. ჩრდილოეთით მდებარეობს ბუხარი. ოვალური კაბინეტი 1909 წელს აიგო და პირველი აქ პრეზიდენტი უილიამ ტაფტი შევიდა. მაქსიმალური დიამეტრი 10.9 მეტრია, მინიმალური – 8.8 მეტრი, ჭერის სიმაღლეა 5.6 მეტრი.

ოხლოკრატია (οχλοκρατια, ბრბოს ხელისუფლება) – დემოკრატიის გადაგვარებული ფორმა, რომელიც ეფუძნება დემაგოგების მუდმივი გავლენის ქვეშ მყოფი ბრბოს ცვალებად ახირებებს. ოხლოკრატია ნიშანდობლივია გარდამავალი და კრიზისული პერიოდებისთვის. პერიკლეს მმართველობის დროს და მის შემდეგ ათენში არსებულ წყობას არისტოტელე ოხლოკრატიას უწოდებს იმ მოსაზრებით, რომ აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფოს ბედს ბრბო განაგებდა; სისტემატურად ხდებოდა მაღალი წარმომავლობის ადამიანების სახელისუფლო საქმიანობისგან ჩამოშორება; თანამდებობაზე დანიშვნას კენჭისყრა წყვეტდა. ასეთი სისტემის უცილობელი შედეგია დესპოტიზმი მოკავშირეთა მიმართ და არეულობები მმართველობაში. არისტოტელეს მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, მკვლევართა ნაწილი ათენის ამ მმართველობას დემოკრატიად (ამ სიტყვის გვიანდელი გაგებით) მოიხსენიებს. მგონი, დაფიქრებად ღირს, არისტოტელე ცდებოდა თუ ის ხალხი, ვინც ოხლოკრატიას დემოკრატიად ასაღებდა. მეცნიერები ოხლოკრატიად აფასებენ საფრანგეთის სახელმწიფო წყობას რევოლუციის ზოგიერთ ეტაპზე და 1848 წლის რევოლუციის საწყის პერიოდში, როდესაც არაორგანიზებული ბრბო ირჩევდა კანდიდატებს ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობისთვის. თავისი არსიდან გამომდინარე, ოხლოკრატიას მხოლოდ ხანმოკლე არსებობის უნარი აქვს და, როგორც წესი, ძველი წყობის ახლით შეცვლის ეიფორიულ მომენტებში მყარდება. იგი მთავრდება როგორც კი ახალი ფეხს მოიკიდებს და სახელმწიფოს მართვა მეტ-ნაკლებად დარეგულირდება.

- პანოპტიკონი (Panopticon) – წრიული ფორმის ციხე, რომლის საკნებიც განლაგებულია ცენტრალური კედლის გარშემო, საიდანაც შესაძლებელია პატიმართა მუდმივი მეთვალყურეობა. ამ ტიპის სატუსაღოს დიზაინი 1785 წელს შექმნა ინგლისელმა ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა ჯერემი ბენტამმა (Jeremy Bentham).

პოლიტია (πολιτεία) – ორი მნიშვნელობა აქვს: 1. სახელმწიფოს მართვის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც უმრავლესობა მართავს ქვეყანას საერთო სარგებლის ინტერესების შესაბამისად. მოცემული სახელმწიფო წყობა აერთიანებს არისტოკრატიისა და დემოკრატიის საუკეთესო მხარეებს და არ ახასიათებს ამ ორისთვის ნიშანდობლივი უკიდურესობანი და ნაკლოვანებები (უფრო ვრცლად იხ. არისტოტელეს „ათენის პოლიტიაში"); 2. ეს ტერმინი ასევე გამოიყენება (ინგლისური polity-ის „პოლიტიკური არსის" ანალოგიით) ნებისმიერი დონის პოლიტიკური ერთეულის აღსანიშნად ანუ პოლიტია შეიძლება შეგვხვდეს ისეთი ტერმინების აღმნიშვნელის როლში, როგორიცაა „დამოუკიდებელი თემი", „ბელადობა", „ტომი", „სახელმწიფო". მოცემულ მონოგრაფიაში ეს ტერმინი გამოყენებულია პირველი მნიშვნელობით.

პუბლიუსი (Publius) – „ფედერალისტური ჩანაწერების" ავტორთა საერთო ფსევდონიმი, რომის რესპუბლიკის ერთ-ერთი ლეგენდარული დამაარსებლის, კონსულ პუბლიუს ვალერიუს პუბლიკოლას (Publius Valerius Publicola, გ. ჩვ. წ. აღ-მდე 503) სახელის მიხედვით, რომელიც რომის უკანასკნელი მეფის, ლუციუს ტარკვინიუს ამაყის წინააღმდეგ აჯანყებას მეთაურობდა ქრისტემდე 509 წელს.

პულიტსერის პრემია (Pulitzer Prize, 1903) – აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდო ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, მუსიკისა და თეატრის დარგში. 1911 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა უნგრული წარმოშობის ამერიკელი მედიამაგნატი ჯოზეფ პულიტსერი, რომლის ანდერძის შესაბამისად, დაფუძნდა მისი სახელობის ფონდი ამ მიზნით დატოვებული ორი მილიონი დოლარით. რადგან მისი ანდერძი 1903 წლის 17 აგვისტოს იყო შედგენილი, ეს დღე ითვლება პულიტსერის პრემიის დაწესების თარიღად. 1917 წლიდან მოყოლებული პრემიის გადაცემა ხდება ყოველწლიურად მაისის პირველ ორშაბათს კოლუმბიის უნივერსიტეტში (ქ. ნიუ-იორკი). პრემია 10 ათას აშშ დოლარს შეადგენს. თავისი არსებობის მანძილზე პულიტსერის პრემიის გამანაწილებელი კომისია არაერთხელ გაუკრიტიკებიათ უღირსისთვის პრემიის გადაცემის ან ღირსეულისთვის არმინიჭების გამო. უთანხმოებებს ადგილი ჰქონდა თვით ხმის დამთვლელ კომისიასა და შემფასებელ კოლეგიას შორისაც. დაჯილდოების პროცესის სუბიექტურობა ამგვარი წინააღმდეგობრიობების მიზეზი ხდება, მაგრამ რაც ნამდვილად დასაფასებელია, კომისიას არასოდეს მიუღია პოპულისტური გადაწყვეტილება. ამიტომაც,

პულიტსერის პრემიის ლაურეატების უმეტესობა არასოდეს გამხდარა ბესტსელერის ავტორი, ანდა – მათი პიესები არასოდეს დაუდგამთ ბროდვეიზე. ჟურნალისტიკის განხრით პულიტსერის პრემიას განსაკუთრებით ხშირად ანიჭებენ ისეთი მსხვილი გამოცემების წარმომადგენლებს, როგორიცაა „ნიუ-იორკ თაიმსი", „უოლ-სტრიტ ჯორნალი", და „ვაშინგტონ პოსტი". თუმცა კომისიას არაერთხელ დაუფასებია პატარა, ნაკლებად ცნობილი გაზეთების თანამშრომლებიც. 2006 წლიდან მოყოლებული ავტორებს და გამოცემებს, რომელთაც პულიტსერის პრემიის მიღება სურთ, შეუძლიათ ჟიურის წარუდგინონ არა მხოლოდ ნაბეჭდი, არამედ ინტერნეტსივრცეში განთავსებული ნამუშევრებიც. უნდა აღინიშნოს, რომ პულიტსერის პრემიის ადმინისტრატორთა განცხადებით, Pulitzer-ის სათანადოდ წარმოთქმა ახლოსაა ფრაზის «Pull it, sir» ჟღერადობასთან. შესაბამისად, ქართულად ეს გვარი უნდა დაიწეროს როგორც „პულიტსერი", თუმცა წარმოთქმისას დასაშვებია ჟღერდეს „პულიცერი" (ზუსტად ისე, როგორც მართლწერა მოითხოვს „სპორტსმენს", მაგრამ ზეპირმეტყველებაში ჟღერს „სპორცმენი"). რაც შეეხება ფორმას „პულიტცერი", ეს რუსული ენიდან გადმოღებული კალკია და შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

რესტონი ჯეიმს ბარეტ (James Barrett Reston, 1909-1995) – გამოჩენილი ამერიკელი ჟურნალისტი და პოლიტიკური ანალიტიკოსი. დაიბადა კლაიდბენკში (Clydebank, WC Scotland, UK). 1939 წელს მუშაობა დაიწყო გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის" ვაშინგტონის ბიუროში. 1945 და 1957 წლებში პულიტსერის პრემია მოიპოვა.

რეცესია (Recession, ლათ. Recessus – უკან დახევა) – ეკონომიკაში (კერძოდ, მაკროეკონომიკაში) ეს ტერმინი აღნიშნავს წარმოების შედარებით ზომიერ, არაკრიტიკულ ვარდნას ან ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებას. რეცესია ეკონომიკური ციკლის (კონიუნქტურის) ერთ-ერთი ფაზაა, რომელიც ბუმს მოსდევს და დეპრესიაში გადადის. ხშირად ახლავს საფონდო ბირჟებზე ინდექსთა მასიური ვარდნა. რეცესიას ახასიათებს ციკლური კრიზისისთვის ნიშანდობლივი გამოვლინებებიც, მაგალითად, უმუშევრობის ზრდა. XX საუკუნის ცნობილი ეკონომისტი მიურეი როტბარდი (Murray Rothbard, 1926-1995) ნათლად, მარტივი ენით განმარტავს თავად ტერმინის წარმოშობას: „1929 წლის კატასტროფის შემდეგ ეკონომისტები და პოლიტიკოსები შეთანხმდნენ, რომ ეს აღარასოდეს უნდა გამეორებულიყო. ამ მიზნის წარმატებით და თავის შეუწუხებლად მისაღწევად, უბრალოდ საკუთარი ლექსიკიდან ამოიღეს სიტყვა „დეპრესია". მას შემდეგ ამერიკაში აღარასოდეს ყოფილა დეპრესია. როცა 1937-1938 წლებში მორიგი დიდი დეპრესია დაიწყო, ეკონომისტებმა უბრალოდ არ გამოიყენეს ეს საშინელი ტერმინი და უფრო კეთილხმოვანი ცნება – რეცესია შემოიღეს. აქედან მოყოლებული, არაერთი რეცესია გადავიტანეთ, მაგრამ არცერთი დეპრესია". როტბარდი მიიჩნევს,

როგორც კი მომხმარებლის ყური ზედმეტად შეეჩვევა და გაუშინაურდება სიტყვას „რეცესია“, ხალხის ემოციებსა და მთავრობის კეთილდღეობაზე მზრუნველი ეკონომისტები რაიმე ახალს გამოიგონებენ მასის ყურადღების მოსადუნებლად.

რეცი, კარდინალი (Jean François Paul de Gondi, cardinal de Retz, 1613-1679) – ჟან-ფრანსუა პოლ დე გონდი, კარდინალი რეცი. ეკატერინე მედიჩის ფავორიტის, ფლორენციაში დაბადებული მარშალ გონდის, ჰერცოგი რეცის შვილიშვილი. პარიზის არქიეპისკოპოსი, ფრონდის გამორჩეული მონაწილე, ცნობილი მემუარების ავტორი. მამის მოთხოვნითა და საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, გონდიმ სასულიერო კარიერა გაიკეთა. 1643 წელს დოქტორის ხარისხი მოიპოვა და პარიზის არქიეპისკოპოსის კოადიუტერად დაინიშნა. თავისი ქადაგებებისა და გულუხვი შემოწირულობების საშუალებით მნიშვნელოვანი პოპულარობა მოიპოვა, რასაც მაზარინის წინააღმდეგ ინტრიგების სახლართავად იყენებდა. 1648 წლის აგვისტოში გონდის მიერ წაქეზებულმა, მთავრობით უკმაყოფილო პარიზულმა ბრბომ ბუნტი მოაწყო. გონდიმ მოახერხა დედადედოფლისგან გარკვეული დათმობების მიღება და ხალხის დამშვიდება. მომავალ წელს გონდიმ მაზარინისა და ფრონდერების კავშირი ჩამოაყალიბა პრინცი კონდის წინააღმდეგ, რის საფასურადაც პირველი მინისტრი მონდომებულ კარიერისტს კარდინალის ქუდს დაპირდა, მაგრამ არ შეუსრულა. მოტყუებული და გაცოფებული გონდი ჯერ თვითონ გადავიდა პრინცი კონდეს და „ახალგაზრდა ფრონდი“ მხარეზე, შემდეგ კი ძველი ფრონდის ლიდერი – ჰერცოგი ორლეანელი და ბოლოს, პარიზის პარლამენტიც მიიმხრო. ეს ახალი კავშირი მოკლევადიანი გამოდგა. გონდი პრინც კონდეს დაეტაკა და პარლამენტი დაუპირისპირა, თვითონ კი სამეფო კარის მხარეზე გადავიდა და, როგორც იქნა, ნანატრ კარდინალობასაც გამოჰკრა ხელი. როცა მაზარინიმ საბოლოოდ დაამარცხა ყველა თავისი მტერი, გონდიც რეპრესირებულთა შორის აღმოჩნდა, მიუხედავად არაერთი დამსახურებისა, რაც სამეფო კარს გაუწია ინტრიგანობის პარალელურად. პრინც კონდესთან ურთიერთობის ბრალდებით, გონდი დააპატიმრეს და ვენსანის ციხეში ჩააგდეს. მოგვიანებით იგი ნანტის ციხე-კოშკში გადაიყვანეს, საიდანაც მალევე მოახერხა გაქცევა და რამდენიმე წელი იხეტიალა მთელ ევროპაში იტალიიდან დაწყებული ინგლისით დამთავრებული. 1661 წელს საფრანგეთში დაბრუნდა, არქიეპისკოპოსის წოდებაზე უარი თქვა და სენ-დენის სააბატოში განმარტოვდა. 1670-იან წლებში დაწერა ისტორიული და ლიტერატურული თვალსაზრისით ღირებული მემუარები. ეს ნაშრომი მისი გარდაცვალების შემდეგ, 1717 წელს გამოიცა პირველად. კარდინალი რეცის მემუარების სრული ვერსია თერთმეტ ტომად 1870-1920 წლებში იბეჭდებოდა.

- რეცი ჟილ დე (სრული სახელია Gilles de Montmorency-Laval, Baron of Rais, Count of Brienne. ასევე მოიხსენიება, როგორც Gilles de Rais, Gilles de Retz ან Gilles de Rays, 1404-1440) – საფრანგეთის მარშალი, საფრანგეთსა და ინგლისს შორის მიმდინარე ასწლიანი ომის ვეტერანი, ჟანა დ'არკის თანამებრძოლი და მცველი. ისტორიას იგი შუა საუკუნეების პირსისხლიანი სერიული მკვლელის იმიჯით შემორჩა. „ლურჯწვერას" (Barbe-Bleue) პროტოტიპი.

„სამოქალაქო რელიგია" (Civil religion) – ეს ტერმინი XVIII საუკუნეში შექმნა ჟან-ჟაკ რუსომ. საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ მიღებული რელიგიური წარმოდგენების, აღმსარებლობის, სიმბოლოების, ფასეულობების, სიწმინდეების, მორალური პრინციპებისა და რიტუალური ფორმების სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ეროვნულ ისტორიასა და ერის მიერ მსოფლიოში საკუთარი როლის გაგებასთან. სამოქალაქო რელიგია ხელს უწყობს საზოგადოების ერთობას და საერთო ენის გამონახვაში ეხმარება კონფლიქტურ ჯგუფებსა თუ გაერთიანებებს კომპრომისული გადაწყვეტილების მისაღწევად. სამოქალაქო რელიგია არსებულ ხელისუფლებას ამყარებს საზოგადოებაში და, ამავე დროს, მისივე კრიტიკის პრინციპებს იძლევა. მას არ გააჩნია გამოკვეთილი ეკლესიურობა. სამოქალაქო რელიგია ლინკოლნის მკვლელობას განიხილავს როგორც ამერიკული ერის გადარჩენისთვის აუცილებელ მსხვერპლს. სამოქალაქო რელიგიის მომხრეების რწმენით, იგი ერის სულს ამაღლებს, ჰეტეროგენული საზოგადოების ცხოვრებას აზრიანს ხდის. მოწინააღმდეგები კი აკრიტიკებენ სამოქალაქო რელიგიას ერის წინაშე კერპთაყვანისმცემლობისათვის, ეროვნული ისტორიის იდეალიზირებისათვის მისი ფალსიფიცირების ხარჯზე, ღმერთის დამცრობისათვის და მისი მნიშვნელობის ერის მფარველის როლამდე დაყვანისათვის. 1776 წლის ამერიკული რევოლუციის შემდეგ, სულ უფრო ხშირად ჩაანაცვლებდა ამქვეყნიური სოციალური სტრუქტურები იმქვეყნიურ ძალებს მასების თაყვანისცემის ობიექტის რანგში. პოლიტიკოსები და ღვთისმსახურები ერთხმად აცხადებდნენ შეერთებული შტატების ღვთიურ მისიად თავისუფლებისა და სამართლიანობის გარანტად ყოფნას. გარკვეულ პერიოდებში ასეთ პრეტენზიას მთელი მსოფლიოს მასშტაბით აცხადებდნენ და ლამის პოლიტიკური რიტორიკის უმთავრეს ელემენტად ექციათ. აშშ-ში სამოქალაქო რელიგიას ახალი სუნთქვა 1960-იან წლებში გაეხსნა. ჯერაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა პურიტანულ წარმოდგენას „რჩეულ ხალხსა" და „გორაკზე აგებულ ქალაქზე", საიდანაც ნათელი ეფინება მთელ კაცობრიობას. ამ იდეების მოსმენა დღესაც შეიძლება, მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტების გამოსვლის ტექსტებში. სამოქალაქო რელიგიის მიხედვით, ამერიკული საზოგადოება ყოველთვის იყო, არის და იქნება უნიკალური, სოციალური წინააღმდეგობრიობებისგან თავისუფალი, „ღვთის კალთას ამოფარებული ერთიანი და განუყოფელი ერი", რომლის მოქალაქეებიც, სხვა თუ არაფერში,

იმასთან დაკავშირებით მაინც არიან ერთსულოვანნი, რომ მათი ქვეყნის ზეციური მფარველისადმი ქედს იხრიან. 1970-იანი წლების შუახნიდან მოყოლებული დღემდე რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთგადახლართვით უხვად შეზავებული, ეს მრავალშრიანი და წინააღმდეგობრივი იდეოლოგიური წარმონაქმნი განსაკუთრებული ინტენსივობით ცდილობს „კონსერვატიული რევოლუციისკენ" წაქეზებას. განსაკუთრებით ხმამაღლა ჟღერს აშშ-ის მფარველი ღმერთისადმი მიმართვები ამერიკელი პრეზიდენტების განცხადებებსა და საჯარო გამოსვლებში. ასეთ ტექსტებში საკმაოდ დაუფარავია მსოფლიო ლიდერობის პრეტენზია მესამე ათასწლეულშიც. თვალსაჩინოებისთვის საკმარისია თუნდაც მხოლოდ უმცროსი ჯორჯ ბუშის გამოსვლების შინაარსის გაცნობა.

სამძივარი – წარმართული პერიოდის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში, მზის ამალის წევრი. გამოირჩევა ხალისიანი, ლაღი ბუნებით, ცნობისმოყვარეობით, თვალისმომჭრელი სილამაზითა და მორთვა-მოკაზმვისადმი სიყვარულით. ოქროსთმიან ქალღმერთს ქოშებიც ოქროსი აცვია, ქათქათა კაბა მოსავს, კოხტა ყელს მოციმციმე ღილების ყელსაბამი უმშვენებს და სიარულისას ქამრის მოსართავებს აჟღარუნებს. იგი ტყის ნადირთა, მონადირეთა და მგზავრთა მფარველია. ხახმატის ხატი ითვლება სამძივარისა და მისი ძმობილი გიორგი ნალვართმშვენიერის სალოცავად. იქ მონადირეებს ირმისა და ჯიხვის რქები მიაქვთ ნადირობაში ხელის გამართვისთვის მადლობის ნიშნად, შორ გზაზე მიმავლები კი ხავიწისგულიან სამ ქადას სწირავენ და მშვიდობიან, უხიფათო მგზავრობას შესთხოვენ ხატს. არტისტული ბუნების სამძივარს არა მარტო ადამიანების დახმარება, არამედ მათი გათამაშებაც უყვარს სხვადასხვა უბოროტო ხუმრობით. რადგან უსაზღვროდ კეთილია და მუდამ მზადაა ხალხს დაეხმაროს, მასაც დიდსულოვნად პატიობენ მისი გათამაშებების მსხვერპლნი.

საფრანგეთის რევოლუცია (Révolution française, 1789-1794/1799) – საფრანგეთის სოციალური და პოლიტიკური სისტემის უდიდესი ტრანსფორმაცია, რომელიც XVIII საუკუნის მიწურულს განხორციელდა. საფრანგეთის რევოლუციამ, რომლის დევიზი იყო – „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა", დაამხო ძველი წყობა და ქვეყანა ტრადიციული მონარქიიდან „თავისუფალი და თანასწორუფლებიანი მოქალაქეების" რესპუბლიკად გადააქცია. რევოლუციის დაწყების ნიშნად ითვლება აჯანყებულების მიერ 1789 წლის 14 ივლისს ბასტილიის ციხის აღება, ხოლო მის დასრულებას სხვადასხვა ისტორიკოსი განსხვავებულ მოვლენას უკავშირებს. ერთნი ასახელებენ 1794 წლის 27 ივლისს (თერმიდორიანის გადატრიალება), მეორენი კი 1799 წლის 9 ნოემბერს (18 ბრუმერის გადატრიალება). საფრანგეთის რევოლუციამ უზარმაზარი რეზონანსი გამოიწვია მთლიანად დასავლურ სამყაროში და არაერთი ცვლილების კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა. აღსანიშნავია ტრა-

დიციულად ქუჩის მარცხენა მხარეზე მოძრაობის მიმართულების შეცვლა მარჯვენათი, რასაც ბრიტანეთის მონარქიისა და მისი გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების გარდა ყველამ მიბაძა დანარჩენ მსოფლიოში, თუმცა ამის რეალურად განხორციელებას არაერთი ათწლეული დასჭირდა.

სვეტონიუს გაიუს ტრანკვილუს (Gaius Suetonius Tranquillus, დაახ. 69/75-130-ის შემდეგ) – რომაელი მწერალი, ისტორიოგრაფი, იურისტი, წარმოშობით მხედართა წოდებიდან. იზრდებოდა რომში, მეგობრობდა პლინიუს უმცროსთან, რომლის რეკომენდაციითაც ტრაიანმა ტრიბუნის წოდება უბოძა. მდივნად (*magister epistolarum*) იყო იმპერატორ ადრიანეს კარზე (119-122), რამაც საიმპერატორო არქივებში მუშაობის საშუალება მისცა; მაგრამ იმპერატორის ცოლის, საბინასადმი უპატივცემულობის გამო იძულებული გახადეს საიმპერატორო კარი მიეტოვებინა. აქედან მოყოლებული, სვეტონიუსმა ენციკლოპედიურ-ლიტერატურულ საქმიანობას მიჰყო ხელი. ძალიან ბევრს მუშაობდა და წერდა, ძირითადად, ბერძნულ ენაზე. მრავალრიცხოვანი ისტორიული და ფილოლოგიური შრომებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ორმა – „თორმეტი კეისრის ცხოვრება" (რვა წიგნად) და „გრამატიკოსთა და რიტორთა შესახებ" (მცირე ფრაგმენტი). თანამედროვე მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სვეტონიუსმა არაქრისტიანი ავტორებიდან ერთ-ერთმა პირველმა დაწერა იესო ქრისტეს მიმდევრების გამოჩენის თაობაზე, თუმცა მის მიერ ნახსენები იუდეველთა ლიდერის იდენტურობა ბოლომდე დადგენილი არაა. შესაბამისად, იგი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც იესო, ისე სხვა პიროვნებაც.

სვეტონიუსის „თორმეტი კეისრის ცხოვრება" («De vita Caesarum» ანუ „კეისართა ცხოვრების შესახებ", დაახ. 120) – რომაელი მწერლისა და ისტორიკოსის სვეტონიუსის ისტორიულ-მხატვრული თხზულება რვა წიგნად, რომელშიც აღწერილია რომის იმპერატორთა ცხოვრება იულიუს კეისრიდან დომიციანემდე. ყველა იმპერატორი წარმოდგენილია დაწვრილებითი ბიოგრაფიით (წარმომავლობა, ყრმობა, ახალგაზრდობა, ზეობის წლები, საშინაო და საგარეო პოლიტიკური მოღვაწეობა, პირადი თვისებები, გარეგნობა, ყოფითი ჩვევები, სიკვდილის გარემოებანი და სხვ.). ავტორს არცერთი მოვლენა არ აქვს ახსნილი საისტორიო კანონზომიერებით, რეალური მიზეზებითა და ფსიქოლოგიური მოტივებით. იგი კმაყოფილდება მხოლოდ მშრალი, დაწვრილებითი ფაქტებისა და ფაქტოიდების გადმოცემით. მეცნიერულ ინტერესს იწვევს ნაშრომის ის ადგილები, სადაც წარმოდგენილია წერილები, გამოსვლის ტექსტები, რესკრიპტები და დოკუმენტური მასალა. ავტორის ტენდენციაა ცალცალკე გამოარჩიოს „კეთილი" და „ტირანი" ხელისუფალნი. იდეალურ იმპერატორებად წარმოდგენილი ჰყავს ავგუსტუსი და ტიტუს ფლავიუ-

სი. სვეტონიუსის თხზულებანი თავიდანვე პოპულარული გახდა საინტერესო, ნათელი სტილის წყალობით.

სვიმეონ მესვეტე (521-596) – სირიელი წმინდანი. სიყმაწვილეში ცხვრის ფარას მწყემსავდა. ქრისტიანობის სიყვარულს ადრეულ ასაკში ეზიარა. 18 წლისა უკვე ბერად აღიკვეცა. სვიმეონთან უამრავი ადამიანი მიდიოდა სხვადასხვა ქვეყნიდან. კურთხევის მისაღებად, ყველას წმინდანთან შეხება სურდა. ასეთმა თაყვანისცემამ დაამძიმა ნეტარი და სათავე დაუდო მანამდე არნახულ ღვაწლს: სვიმეონმა ექვსი წყრთის სიმაღლე სვეტი ააგო და ზედ მოწყობილ სენაკში დაემკვიდრა. დროს გაძლიერებულ მარხვასა და ლოცვაში ატარებდა. საზრდოდ ხილის ჩირსა და წყალს იღებდა მხოლოდ. სვეტი თანდათან მაღლდებოდა. ბოლოს, ოცდათექვსმეტ წყრთამდე გაიზარდა. ოთხმოცი წელი დაჰყო ბერულ ღვაწლში, აქედან ორმოცდაშვიდი – სვეტზე გაატარა. როცა გარდაცვალების დრომ მოაწია, თავისი სული უფალს შეავედრა და განისვენა. მისი ნეშტი ანტიოქიის პატრიარქის, სასულიერო პირთა და ხალხის ძალისხმევით სვეტის მახლობლად დაკრძალეს. მოგვიანებით იმ ადგილას სვიმეონის მოწაფემ, ანტონმა მონასტერი ააგო.

სიმართლის სამინისტრო (Ministry of Truth, or Minitrue in Newspeak) – ერთ-ერთი იმ ოთხი სამინისტროდან, რომელთა საშუალებითაც იმართება ჯორჯ ორუელის რომანში „1984" აღწერილი ქვეყანა ოკეანია (Oceania). ისევე როგორც დანარჩენი სამის – სიყვარულის სამინისტროს, მშვიდობის სამინისტროსა და სიუხვის სამინისტროს შემთხვევაში, სიმართლის სამინისტრო თავისი სახელწოდების საწინააღმდეგო, რადიკალურად განსხვავებულ მიზანს ემსახურება: ისტორიული მოვლენების ფალსიფიცირებას ახორციელებს. თუმცა, ფართო გაგებით, ამ სამინისტროს სათანადოდ, შესაფერისად ჰქვია სიმართლის, რადგან იგი ქმნის „სიმართლეს" ამ სიტყვის ახლებური (the newspeak sense) გაგებით. სწორედ სიმართლის სამინისტროში მუშაობს რომანის მთავარი პერსონაჟი უინსტონ სმიტი (Winston Smith). სიმართლის სამინისტრო მჭიდრო კავშირშია საინფორმაციო მედიასთან, გართობასთან, მხატვრულ ხელოვნებასა და საგანმანათლებლო წიგნებთან. სამინისტროს მიზანია ისტორიის გადაწერა და ფაქტების იმგვარად გადაკეთება, რომ ისინი პარტიულ დოქტრინას მოარგოს და ამგვარად პროპაგანდის ეფექტურობა გაზარდოს. მაგალითად, თუ „დიდი ძმის" მიერ გაკეთებული პროგნოზი არ გამართლდა, სიმართლის სამინისტროს რომელიმე თანამშრომელი არასასურველ ფაქტს იმგვარად გადაწერს, რომ „დიდი ძმის" ყველა წინასწარ გაკეთებული განცხადება, ამ გადაწერილი ისტორიის მიხედვით, მართებული გამოვიდეს. სიმართლის სამინისტროს მუშაობის ფარული დანიშნულება ყოველდღიურად იმის დადასტურებაა, რომ პარტია აბსოლუტურია – სამარადისოდ მართალი და ძლიერი. სიმართლის სამინისტრო შვიდი დეპარტამენტისგან შედგება: ჩანაწერების (Recdep),

გამონაგონის (Ficdep), პროპაგანდის (Propdep), ტელეგადაცემების (Teledep), კვლევითი (Resdep), მუსიკის (Musdep) და პორნოგრაფიის (Pornosec). ამ სამინისტროს შენობა ელვარე თეთრი ბეტონისგან აგებული უზარმაზარი პირამიდაა, რომელიც სამი ათასი ოთახისგან შედგება და მიწის ზედაპირიდან 300 მეტრზეა ჰაერში გამოკიდული. არქიტექტორ ჩარლზ ჰოლდენის (Charles Holden, 1875-1960) მიერ აგებული სენატის სახლი (University of London's Senate House) იმდენად წააგავს სიმართლის სამინისტროს შენობის აღწერას, რომ მკვლევართა ნაწილის ვარაუდით, სიმართლის სამინისტროს პროტოტიპად ჯორჯ ორუელმა სწორედ ლონდონის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი – სენატის სახლი გამოიყენა, რომელშიც ინფორმაციის სამინისტრო იყო განთავსებული მეორე მსოფლიო ომის დროს. სიმართლის სამინისტროს ფასადზე პარტიის სამი ლოზუნგია გამოკრული: „ომი მშვიდობაა", „თავისუფლება მონობაა", „უვიცობა ძალაა". სამინისტროს აქვს ფარული ნაწილი უზარმაზარი კრემატორიუმებით, სადაც ნადგურდება პარტიული საჭიროებისამებრ გამოყენებული და მეხსიერების ღრმულში (memory hole) გადაყრილი გადაწერილი დოკუმენტების ორიგინალები.

სიყვარულის სამინისტრო (Ministry of Love, or Miniluv in Newspeak) – ერთ-ერთი სამინისტრო ოკეანიის ოთხი სამინისტროდან. სიყვარულის სამინისტრო „დიდი ძმისადმი" ერთგულებასა და სიყვარულს აიძულებს ოკეანიის მოსახლეობას დაშინების, რეპრესიული აპარატისა და გონების დაბინდვის მეთოდთა გამოყენებით. სიყვარულის სამინისტროს უფანჯრო შენობა შემოზღუდულია ეკლიანი მავთულის ღობეებით, დატანებული აქვს ფოლადის კარები და ფარული ავტომატის სამიზნეები, ჰყავს სპეციალური ხელკეტებით შეიარაღებული დაცვა. შენობის შიდა განათება იმდენად სუსტია, რომ ნორმალური ნათელი არასდროს დგება და როგორც ბუნდოვნად არის ახსნილი, ეს არის „ადგილი, სადაც ბნელი არ არასებობს". სიყვარულის სამინისტრო ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან მისი ფუნქციაა მოსახლეობის ნების კონტროლი. ფიქრის პოლიცია სწორედ სიყვარულის სამინისტროს სისტემას ეკუთვნის. სწორედ სიყვარულის სამინისტროშია „ოთახი ნომერი 101", რომელშიც მოთავსებულია „მსოფლიოში ყველაზე საშინელი რამ". როგორც დანარჩენ სამს, სიყვარულის სამინისტროსაც სახელი ირონიულად აქვს შერქმეული, რადგან ამ დაწესებულების ჭეშმარიტი დანიშნულებაა უბედურების, შიშის, ტანჯვისა და სიძულვილის დათესვა და პრაქტიკაში განხორციელება. თუმცა შინაარსობრივად ტერმინი მაინც ზუსტია, რადგან ამ სამინისტროს უმაღლესი მიზანია „დიდი ძმისადმი" სიყვარულის შთაგონება, დანერგვა ფიქრით კრიმინალთა გონებაში. რომანში აღწერილი ახალი ენის (Newspeak) ნორმების მიხედვით, სიტყვები ხშირად შეიცავს იდეასაც და მის საწინააღმდეგო შინაარსსაც. მიუხედავად ამისა, ორთოდოქსული პარტიის წევრს ამგვარი წინააღმდეგობრივობების დაძლევის

საშუალებას აძლევს ორმაგი ფიქრის (Doublethink) მკაცრი წესით გამოყენება.

„სპილენძისთავიანები“ (Copperheads) – აბრაამ ლინკოლნის თანამედროვე, დემოკრატიული პარტიის წევრებისგან შემდგარი რადიკალური დაჯგუფება, რომელიც სამოქალაქო ომის წინააღმდეგ გამოდიოდა და კონფედერანტებთან მშვიდობის დაუყოვნებლივ დამყარებას მოითხოვდა. რესპუბლიკელებმა ომის მოწინააღმდეგე დემოკრატები „სპილენძისთავიანებად“ მონათლეს, რითიც ამ სახელწოდების მქონე შხამიან ქვეწარმავალთან გააიგივეს ისინი. მშვიდობის მსურველმა დემოკრატებმა მეტსახელზე უარი არ თქვეს, მაგრამ სრულიად განსხვავებული დატვირთვა მიანიჭეს: მათ სპილენძის მონეტების წინა მხრიდან (head) ტარება დაიწყეს, სადაც თავისუფლების სიმბოლო იყო გამოსახული. „სპილენძისთავიანები“ ამგვარად მიანიშნებდნენ თავისუფლებისადმი თავიანთ ერთგულებას.

სტენტონი ედვინ (Edwin McMasters Stanton, December 19, 1814 – December 24, 1869) – ამერიკელი იურისტი, პოლიტიკოსი, აშშ-ის იუსტიციის მინისტრი (1860-1861) პრეზიდენტ ჯეიმს ბიუქენენის ადმინისტრაციაში, სამხედრო მინისტრი აშშ-ის სამოქალაქო ომის მსვლელობისას და შემდგომ პერიოდში. თავისი პოლიტიკური კარიერა დაიწყო ოჰაიოში იურისტობითა და მონობის მოწინააღმდეგე დემოკრატის ამპლუით. 1856 წელს სტენტონი ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი) გადავიდა, სადაც დიდი კერძო პრაქტიკა შეიქმნა უზენაეს სასამართლოში მუშაობის დაწყებამდე. 1860 წელს სტენტონი პოლიტიკურ ოპოზიციაში იყო რესპუბლიკელ აბრაამ ლინკოლნთან. ლინკოლნის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, სტენტონი დათანხმდა უუნარო სამხედრო მინისტრის, საიმონ კამერონის (Simon Cameron) მრჩეველი გამხდარიყო. 1862 წლის 15 იანვარს სტენტონმა კამერონი შეცვალა მინისტრის პოსტზე. იგი ამ თანამდებობაზე მხოლოდ იმიტომ დათანხმდა, რომ „ქვეყნის გადარჩენისთვის შეეწყო ხელი“. სტენტონი ძალზე ეფექტური ადმინისტრატორი გამოდგა უზარმაზარი სამხედრო სამინისტროსთვის. ერთხელ მან გადაწყვიტა სამსახურიდან დაეთხოვა სატელეგრაფო განყოფილების უფროსი თომას ეკერტი (Thomas Eckert), მაგრამ ლინკოლნი შეეწინააღმდეგა და მანამ არ მოეშვა, სანამ მინისტრს ხელი არ აღებინდა გადაწყვეტილებაზე. პრეზიდენტის სტატუსით ლინკოლნის უკანასკნელი ქმედება აღმოჩნდა სტენტონის მიერ ჯაშუშობისთვის სიკვდილმისჯილი ჯორჯ ვონის (George S.E. Vaughan) შეწყალება, რაც უილკს ბუთის თავდასხმამდე ერთი საათით ადრე გააკეთა. მოგვიანებით სტენტონი რესპუბლიკელი გახდა და აზრი შეიცვალა ლინკოლნზე. პრეზიდენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, სამხედრო მინისტრმა აღნიშნა: „ახლა იგი საუკუნეების კუთვნილებაა. აქ წევს ყველა დროის მსოფლიოში საუკეთესო მმართველი“. სტენტონი სამხედრო მინისტრის თანამდებობა-

ზე პრეზიდენტ ენდრიუ ჯონსონის დროსაც დარჩა 1868 წლამდე, როდესაც პრეზიდენტსა და მინისტრს შორის უთანხმოება მოხდა. ჯონსონმა მის ნაცვლად ულის გრანტი დანიშნა სამხედრო მინისტრად, მაგრამ სენატმა არ დაამტკიცა. როცა ჯონსონი ახალი კანდიდატის, გენერალ ლორენცო ტომასის საშუალებით შეეცადა იგივეს, სტენტონი საკუთარ კაბინეტში ჩაიკეტა, სანამ რადიკალი რესპუბლიკელები ჯონსონის იმპიჩმენტს მოითხოვდნენ მისი სენატის სურვილის წინააღმდეგ წასვლის უკანონობის გამო. ერთადერთი ხმის უპირატესობამ გადაარჩინა პრეზიდენტი გადაყენებას, ისიც სენატორებთან დადებული ფარული გარიგების წყალობით. ამის შემდეგ სტენტონი თანამდებობიდან გადადგა და იურიდიულ პრაქტიკას დაუბრუნდა. შემდეგ წელს პრეზიდენტმა გრანტმა იგი უზენაეს სასამართლოში დანიშნა, მაგრამ სენატის მიერ მისი კანდიდატურის დამტკიცებიდან ოთხ დღეში სტენტონი გარდაიცვალა.

უაითუოთერის სკანდალი (ცნობილია სახელწოდებებით: Whitewater, the Whitewater controversy, the Whitewater scandal, Whitewatergate) – ამერიკული პოლიტიკური დავა, რომელიც ქლინთონებისა და მათი ბიზნესპარტნიორების – ჯიმ და სუზენ მაკდაგელების (Jim and Susan McDougal) მიერ „უაითუოთერ დეველოფმენტ ქორფორეიშენში" (Whitewater Development Corporation) უძრავი ქონების გადანაწილებასთან დაკავშირებით დაიწყო. რისკიანი ბიზნესი 1970-იან და 1980-იან წლებში ჩაიფუშა. პრეზიდენტ ბილ ქლინთონის წინააღმდეგ კრიმინალური მტკიცებულებების წარმდგენი დევიდ ჰეილის (David Hale) მონაცემებით, 1993 წლის ნოემბერში არკანზასის გუბერნატორმა ბილ ქლინთონმა იგი აიძულა უკანონო სესხი მიეცა 300 ათასი აშშ დოლარის ოდენობით სუზენ მაკდაგელისთვის, რომელიც ცოლ-ქმარ ქლინთონების პარტნიორი იყო უაითუოთერის მიწის გარიგებაში. ჰეილის მიერ ამის მტკიცება საკამათო იყო, რადგან მას ქლინთონი არ უხსენებია გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ 1989 წელს ჩატარებული მოკვლევისას. 1992 წლის საპრეზიდენტო კამპანიის პერიოდში გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსში" გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში ნათქვამია, რომ ქლინთონმა და მისმა ცოლმა ფული დააბანდეს და დაკარგეს „უაითუოთერ დეველოფმენთის" პროექტში. დემოკრატების აზრით, უაითუოთერი ისეთივე პოლიტიკური დევნის საბაბი იყო, როგორც 1980-იანი წლების ირანკონტრას გამოძიებები. საბოლოო ჯამში, კმაყოფილი არავინ დარჩენილა: დემოკრატები გააღიზიანა თავის მართლების აუცილებლობამ, რესპუბლიკელებმა ვერ მოიხელეს ქლინთონების წყვილის მიერ ოფიციალური პასუხისმგებლობის თავიდან არიდების ფაქტი, ხოლო მიუკერძოებელმა ხალხმა პრესის მიერ ათწლობით გაშუქებულ უაითუოთერის ფაქტებსა და ანგარიშებს ვერაფერი გაუგო მათი უთავბოლობის გამო.

უოთერგეითის სკანდალი (Watergate scandal, 1972-1974) – ამერიკული პოლიტიკური სკანდალი, რომელიც პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის გა-

დადგომით დამთავრდა. 1972 წლის 17 ივნისს, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე (სანამ ნიქსონმა მეორე ვადით გაიმარჯვა) დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატის, ჯორჯ მაკგოვერნის (George McGovern) შტაბში, რომელიც ვაშინგტონში სასტუმრო „უოთერგეითში" მდებარეობდა, შენობაში უკანონოდ შეპარული ხუთი ადამიანი დააკავეს. ისინი მოსასმენ აპარატურას ამონტაჟებდნენ მაკგოვერნის ოფისში. დღემდე არ არის დამტკიცებული უშუალოდ ამ ინციდენტის კავშირი ნიქსონის ადმინისტრაციასთან. ცნობილია, რომ ნიქსონს მართლაც ჰქონდა დემოკრატიული პარტიის წევრთა საუბრების არალეგალური გზით მოპოვებული ჩანაწერები, მაგრამ კონკრეტულად ეს კასეტები „უოთერგეითის" სასტუმროში მომხდარს არ უკავშირდებოდა. უოთერგეითის სკანდალის გაშუქებაში არსებითი როლი შეასრულეს გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტებმა – კარლ ბერნსტაინმა (Carl Bernstein) და ბობ ვუდვორდმა (Bob Woodward). სკანდალური ინფორმაცია მათ მიაწოდა ანონიმურმა სამთავრობო წყარომ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ცნობილი იყო მხოლოდ ფსევდონიმით – „ღრმა ხახა" («Deep Throat»). მხოლოდ 2005 წელს დადგინდა, რომ ამ მეტსახელის უკან გამოძიების ფედერალური ბიუროს თავმჯდომარის პატრიკ გრეის (L. Patrick Gray) ყოფილი მოადგილე მარკ ფელტი (Mark Felt) იმალებოდა. ანონიმის გამოაშკარავების შემდეგ, გრეიმ სასწრაფოდ განმარტა, რომ ფელტს მისი შურდა და უფროსისთვის საქმის გაფუჭების მიზნით დაუკავშირდა ჟურნალისტებს.

„ფედერალისტური ჩანაწერები" (The Federalist Papers) – 1787 წელს საკონსტიტუციო კონვენტმა ფილადელფიაში აშშ-ის კონსტიტუციის ტექსტი შეიმუშავა. შემდეგ ეტაპზე აუცილებელი იყო თითოეული შტატის მიერ მისი რატიფიცირება; მაგრამ ზოგიერთი შტატის კანონმდებელი კონსტიტუციის წინააღმდეგი იყო და საქმის დასრულებას აჭიანურებდა. მაშინ სამმა პატრიოტმა გადაწყვიტა პრესის გამოყენებით პროპაგანდა გაეწია კონსტიტუციის მიღების იდეისთვის. ამ მიზნით, ისინი სტატიების სერიას ბეჭდავდნენ 1787 წლის ოქტომბრიდან 1788 წლის აგვისტოს ჩათვლით ნიუ-იორკის გაზეთებში „ინდეპენდენტ ჯორნალ" (The Independent Journal) და „ნიუ-იორკ პექით" (The New York Packet). 1788 წელს სტატიები კრებულის სახით გამოიცა, საერთო სათაურით „ფედერალისტი". აღნიშნული ნაშრომი არა მხოლოდ აშშ-ის კონსტიტუციის ფასდაუდებელ განმარტებად ითვლება, არამედ – შესანიშნავ ფილოსოფიურ და პოლიტიკურ ნაწარმოებადაც. „ფედერალისტური ჩანაწერები" ავტორთა ჯგუფმა შექმნა, მაგრამ ცალკეული სტატიების სახით გაზეთებში გამოქვეყნებისას ყველანი ხელს აწერდნენ საერთო ფსევდონიმით „პუბლიუსი", რომის კონსულის პატივსაცემად. ოთხმოცდახუთი სტატიის რეალური ავტორები იყვნენ: ალექსანდრე ჰამილტონი (სტატიები № 1, 6-9, 11-13, 15-17, 21-36, 59-61, 65-85), ჯეიმს მედისონი (სტატიები № 10, 14, 18-20, 37-58, 62-63) და ჯონ ჯეი

(სტატიები № 2-5, 64). ამ სტატიებმა უდიდესი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია ნიუ-იორკში. 1788 წლის 27 ივლისს ნიუ-იორკის კონვენტმა აშშ-ის კონსტიტუცია სამი ხმის უპირატესობით მიიღო.

ფრანკენშტეინი (ფრანკენსტაინი) ვიქტორ (Victor Frankenstein) – სახელგანთქმული მონსტრის შემქმნელი, გამოგონილი პერსონაჟი, მერი შელის 1818 წელს გამოქვეყნებული რომანის „ფრანკენშტეინი ანუ თანამედროვე პრომეთე" პროტაგონისტი. მას ასევე მოიხსენიებენ, როგორც ჰენრი ფრანკენშტეინს, დოქტორ ფრანკენშტეინს ანდა ბარონ ფრანკენშტეინს. რომანის მიხედვით, ჟენეველი სტუდენტი ვიქტორ ფრანკენშტეინი ცოცხალ არსებას ქმნის არაცოცხალი მატერიისგან. ამისათვის, იგი ახალ სხეულს აწყობს გარდაცვლილთა სხეულის ნაწილების გამოყენებით და პოულობს „მეცნიერულ" მეთოდს მიღებული ფორმის გასაცოცხლებლად; მაგრამ გაცოცხლებული არსება ურჩხული აღმოჩნდება. ვიქტორი ეთიკის ნორმების დარღვევით მეცნიერულ წინსვლას მიელტვის და მხოლოდ მის მიერ შექმნილი მონსტრი აუხელს თვალს საკუთარ მცდარ პოზიციაზე. თუმცა, უკვე გვიანია, რადგან გაცოცხლებული ურჩხული თავისას მოითხოვს და საკუთარ შემქმნელს პასუხისმგებლობას აკისრებს თავის არსებობასთან დაკავშირებით. ქრისტიანული თვალსაზრისით, ეს ამბავი ალეგორიულად გადმოსცემს ადამიანის შემოქმედთან გატოლების, გაჯიბრების სურვილის სრულ უაზრობას და უსუსურობას. მოკვდავი ვერ იტვირთავს ღმერთის ფუნქციას – ასეთია მორალი. სიუჟეტის გააზრება სხვაგვარადაც შეიძლება: გონებით ღმერთის აღქმა, გაგება გამორიცხულია. განმანათლებლობის ეპოქისთვის დამახასიათებელი რაციონალურობით თუ შევხედავთ სიტუაციას, საქმე გვაქვს მეცნიერის ეთიკურ პასუხისმგებლობასთან მის მიერ გაკეთებული აღმოჩენით გამოწვეულ შედეგებზე. მასკულტურაში ხშირია ვიქტორ ფრანკენშტეინისა და მის მიერ შექმნილი ურჩხულის იდენტურობის აღრევა, როცა თავად მონსტრს უწოდებენ „ფრანკენშტეინს". ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ფრანკენშტეინის პროტოტიპი უნდა ყოფილიყო გერმანელი მეცნიერი და ალქიმიკოსი იოჰან კონრად დიპელი (Johann Konrad Dippel, 1673-1734), რომელიც ფრანკენშტეინის ციხე-კოშკში დაიბადა.

ფრონდა (ფრანგ. La fronde, „შურდული", 1648-1652) – XVII საუკუნის საფრანგეთში მომხდარი რამდენიმე ანტისახელმწიფოებრივი ამბოხის ზოგადი სახელწოდება. რეალურად, სამოქალაქო ომს წარმოადგენდა. ფრონდერები იყვნენ: მონსენიორ დე გონდი (მომავალი კარდინალი რეცი), პრინცი დე კონტი (ჰერცოგინია დე ლონგვილისა და დიდი კონდეს უმცროსი ძმა), მადმუაზელ დე მონპანსიე (დიდი მადმუაზელის მეტსახელით ცნობილი), ჰერცოგი და ჰერცოგინია დე ლონგვილები, ჰერცოგი ლაროშფუკო (ჰერცოგინია დე ლონგვილის საყვარელი), ჰერცოგი დე ბოფორი და მისი საყვარელი ჰერცოგინია დე მონბაზონი, ჰერცოგინია დე შევრეზი. ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ემხრობოდნენ დიდი

კონდე და ვიკონტი დე ტურენი. პარიზელ აჯანყებულთა ჯგუფები ხშირად იყენებდნენ შურდულებს კარდინალი მაზარინის მომხრეთა სახლებისთვის ფანჯრის მინების ჩასამსხვრევად. სწორედ აქედან უნდა მომდინარეობდეს ფრონდის სახელწოდება. თანამედროვე ენაში „ფრონდერობა“ დამკვიდრდა არსებული ხელისუფლებით უკმაყოფილო ინდივიდის მიერ რეალური ქმედებების განხორციელების გარეშე, მხოლოდ სიტყვიერი წინააღმდეგობის გაწევის, გაკრიტიკების მნიშვნელობით. ზოგიერთი ისტორიკოსი ფრონდას განიხილავს მისი თანამედროვე ინგლისის რევოლუციის კარიკატურულ კოპირებად.

ქლინთონი ჯორჯ (George Clinton, 1739-1812) – ამერიკელი პოლიტიკოსი, პატრიოტი, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. საფრანგეთისა და ინდიელების ომის ვეტერანი. ნიუ-იორკის ასამბლეის წამყვანი წევრი (1768-1775) და კონტინენტური კონგრესის დელეგატი (1775). თომას ჯეფერსონის მხარდამჭერი. ოცდაერთი წლის განმავლობაში ნიუ-იორკის შტატის ექვსჯერ არჩეული გუბერნატორი (1777-1795, 1801-1804). აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ორი ვადით (1805-1812), თომას ჯეფერსონისა და ჯეიმს მედისონის პრეზიდენტობის პერიოდში. გარდაიცვალა თანამდებობაზე ყოფნისას.

შავი გედის თეორია (The Black Swan Theory) – ნასიმ ნიკოლას ტალების (Nassim Nicholas Taleb, დ. 1960) თეორია, რომელიც აღწერა 2007 წელს გამოცემულ წიგნში „შავი გედი“. შავი გედის თეორია ხსნის ისეთი ძნელადპროგნოზირებადი და იშვიათი მოვლენების არსებობასა და მათი წარმოქმნის შესაძლებლობას, რომლებსაც მნიშვნელოვანი შედეგები მოსდევს. ტალებმა შემოიღო ტერმინი „შავი გედის მოვლენა“ (Black Swan Event), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სამ კრიტერიუმს: 1. მოვლენა მოულოდნელი უნდა იყოს (ექსპერტისთვის); 2. მოვლენას მნიშვნელოვანი შედეგი უნდა მოსდევდეს; 3. მისი დადგომის შემდეგ, რეტროსპექტივაში მოვლენას ისეთი რაციონალური ახსნა უნდა მოეძებნოს, რომ მისი მოსალოდნელობა დაამტკიცოს. ნასიმ ტალები გვთავაზობს ათ პრინციპზე აგებულ სისტემას, რომელიც „შავი გედის მოვლენებისთვის“ დამახასიათებელი კრიტერიუმებისადმი მდგრადია: 1. ჯობია მყიფე ნივთი მანამ დაიმსხვრეს, სანამ პატარაა, ვიდრე მაშინ, როცა დიდი გახდება და მისი ფასიც გაიზრდება; 2. დაუშვებელია წაგებაზე პასუხისმგებლობა ყველას დაეკისროს, მოგების შემთხვევაში კი დამსახურება მხოლოდ რჩეულებს დაუფასდეთ; 3. მას, ვისაც თვალახვეულს მიჰყავდა სკოლის ავტობუსი (და დალეწა), არ შეიძლება ახალი ავტობუსი ვანდოთ; 4. ატომური სადგურის მმართველის პროფესიული პასუხისმგებლობის გარანტი მხოლოდ ჯილდო არ უნდა იყოს. წარუმატებლობის შემთხვევაში მნიშვნელოვანი ჯარიმის მუქარაც აუცილებელია; 5. სირთულეს სიმარტივით სჭირდება გაწონასწორება; 6. წინასწარ რომც ჩაუტაროთ სათანადო ინსტრუქტაჟი, ბავშვებს დინამიტს მა-

ინც ნუ მისცემთ; 7. მხოლოდ თაღლითური ფინანსური პირამიდები აიგება მეანაბრეთა ნდობაზე. სახელმწიფოს ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში „ნდობის აღდგენა" დაუშვებელია; 8. ნარკომანს კიდევ ნუ მისცემთ ნარკოტიკს, თუნდაც ეს ტკივილგამაყუჩებელი იყოს; 9. მოქალაქეები დაცულნი უნდა იყვნენ ფინანსური აქტივების ღირებულებათა მერყეობისა და მათ საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მცდარი „პროფესიონალური" რჩევებისგან; 10. ჯერ კვერცხი გატეხეთ და ომლეტის შეწვა მერე დაიწყეთ. „შავი გედი" ლათინური გამოთქმიდან დამკვიდრებული ტერმინია. უძველესი ტექსტი, სადაც ნახსენებია ეს გამოთქმა, ძველ რომაელ პოეტ-სატირიკოსს დეციმუს იუნიუს იუვენალისს (Decimus Junius Juvenalis, დაახ. 60-127) ეკუთვნის: „კარგი ადამიანი ისეთივე იშვიათობაა, როგორც შავი გედი". 1697 წლამდე ითვლებოდა, რომ შავი ფერის გედი ბუნებაში არ არსებობდა, სანამ დასავლეთ ავსტრალიაში არ აღმოაჩინეს ისინი. იმის მიხედვით, იცოდა თუ არა იუვენალისმა შავი ფერის გედების არსებობა, მისი გამონათქვამი ორ განსხვავებულ ინტერპრეტაციას იძენს.

შამპანი ფილიპ დე (Philippe de Champaigne, 1602-1674) – ფლამანდიური წარმოშობის ფრანგი მხატვარი, ბაროკოს ეპოქის წარმომადგენელი. დაიბადა ბრიუსელში. რიშელიეს ერთ-ერთი ცნობილი პორტრეტის ავტორი, რომელიც დაახლოებით 1637 წელს შექმნა და დღეს ლონდონის ეროვნულ გალერეაში ინახება.

ჩაპლინის წერილი ჯერალდინასადმი (Charlie Chaplin's letter to his daughter Geraldine, 1965 წლის დეკემბერი) – საყოველთაოდ ცნობილი საშობაო წერილი, რომლის ავტორად ჩარლზ ჩაპლინი მიიჩნევა და ადრესატია მისი ქალიშვილი ჯერალდინა. ამავე დროს, ინტერნეტით ვრცელდება უკვდავი ეპისტოლეს წარმოშობის მეორე ვერსიაც. არაერთი სპარსულენოვანი ვებსაიტი ამ წერილის ავტორად ასახელებს ირანელ ჟურნალისტს ფარაჯოლაჰ საბას (Farajollah Saba), რომელმაც პოპულარული ირანული ჟურნალის „როშანფეკრის" („ინტელექტუალი") რედაქტორობისას 1970-იან წლებში დაწერა წარმოსახვითი საშობაო წერილი ჩარლი ჩაპლინის სახელით. ამ პუბლიკაციის საშუალებით ჟურნალისტს სურდა აუდიტორიის ინტერესის გაზრდა მისი პერიოდული გამოცემისადმი. დამკაბადონებელს გაზეთის ნომერზე მუშაობისას მასალის რუბრიკა „ფანტაზია" გამორჩა და ამგვარი კორექტურით დაბეჭდილი წერილი მკითხველმა ჩაპლინისეულად ჩათვალა. აი, ასეთია სპარსული ლეგენდა. თუმცა მრავლადაა დასაზუსტებელი და პასუხგასაცემი კითხვა, მთავარი საეჭვო მომენტი ისაა, თუ რამ აფიქრებინა თეირანელ ჟურნალისტს, რომ შობის პერიოდში ქრისტიანულ თემატიკასთან დაკავშირებული მასალა მაგნიტივით იმოქმედებდა ისლამის მიმდევარ მკითხველზე.

(იხ.: http://amoomamad.com/author-frjallh-saba-letter & www.liveinternet.ru/users/2858003/post86432998/ & www.zaranelson.wordpress.com/2010/04/17/charlie-chaplin-letter-to-his-daughter-geraldine & www.kino-teatr.ru/kino/acter/w/hollywood/48910/forum/#333372 & www.wiki.answers.com/Q/The_letter_that_Charlie_Chaplin_wrote_to_his_daughter_Geraldine & www.la-gatta-ciara.livejournal.com/30265.html და ა.შ.)

ჩომსკი ნოუმ ევრემ, ხომსკი ნოამ (Avram Noam Chomsky, დ. 7 დეკემბერი, 1928) – ამერიკელი ლინგვისტი, პოლიტიკური მიმომხილველი, პუბლიცისტი და თეორეტიკოსი. მასაჩუსეტსის ტექნიკური ინსტიტუტის (MIT) ლინგვისტიკის პროფესორი. ფორმალური ენების კლასიფიკაციის, ე.წ. ჩომსკის იერარქიის ავტორი. მისმა ნაშრომმა წარმოშობი გრამატიკის თაობაზე გარკვეული წვლილი შეიტანა ბიჰევიორიზმის დაცემასა და კოგნიტიური მეცნიერების განვითარების ხელშეწყობაში. ლინგვისტური მოღვაწეობის პარალელურად, ჩომსკი ცნობილია თავისი მემარცხენე-რადიკალური პოლიტიკური თვალთახედვებით, აშშ-ის მთავრობის საგარეო პოლიტიკის კრიტიკით. უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარ გვარ-სახელს თავად ინგლისური ენის ნორმების შესაბამისად გამოთქვამს – ნოუმ ჩომსკი, მაგრამ ყველა რუსულენოვანი წყარო სლავურ ტრანსკრიფციას იყენებს, რის გამოც საკმაოდ გავრცელებულია წაკითხვის მეორე ვარიანტიც – ნოამ ხომსკი.

„ცივი ომი“ (Cold War) – ასე ეწოდება საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არსებულ გეოპოლიტიკურ დაძაბულობას. ტერმინის შემოღების პატივს მიაწერენ ამერიკელ ფინანსისტსა და აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველს ბერნარდ ბარუხს (Bernard Baruch). 1947 წლის 16 აპრილს სამხრეთ კაროლინის შტატში სიტყვით გამოსვლისას ბარუხმა განაცხადა: „თავს ნუ მოვიტყუებთ: დღეს ჩვენ ცივი ომის შუაგულში ვართ“. მას გამოსვლის ტექსტი ჟურნალისტმა ჰერბერტ ბაიარდ სვოუპმა (Herbert Bayard Swope) დაუწერა. ტერმინის გავრცელებასა და პოპულარობას ხელი შეუწყო პუბლიცისტ უოლტ ლიპმანის 1947 წელს გამოცემულმა წიგნმა „ცივი ომი“. უფრო ადრე ეს ტერმინი გამოიყენა ჯორჯ ორუელმა (George Orwell) ესეიში „შენ და ატომური ბომბი“ («You and the Atomic Bomb»), რომელიც 1945 წლის 19 ოქტომბერს დაიბეჭდა ბრიტანულ გაზეთ „თრიბუნში“ (The Tribune). ესეიში პუბლიცისტი საუბრობს მსოფლიოში ბირთვული ომის დაწყების საშიშროებაზე, საზოგადოების ყურადღებას მიმართავს „მშვიდობისკენ, რომელიც მშვიდობა სულაც არ არის“ და ამგვარ მშვიდობას იგი უწოდებს მუდმივ, პერმანენტულ „ცივ ომს“. ორუელი ამ ომს ცალსახად მიიჩნევდა იდეოლოგიურ კონფრონტაციად საბჭოთა კავშირსა და დასავლურ ხელისუფლებებს შორის.

- ჯამაჰირია (არაბ. جماهيرية) – მონარქიისა და რესპუბლიკისგან განსხვავებული საზოგადოებრივი (ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, სახელმწიფოებრივი) წყობა, რომელიც ეფუძნება მუამარ კადაფის მესამე მსოფლიო თეორიას და აღწერილია „მწვანე წიგნის" პირველ ნაწილში. ჯამაჰირია დემოკრატიის უმაღლეს ფორმად არის წარმოდგენილი, რომლის დროსაც ხალხის ხელისუფლება პირდაპირი გზით ხორციელდება. „ჯამაჰირია" ნეოლოგიზმია, რომელიც შექმნილია სიტყვის „ჯუმჰურია" (რესპუბლიკა) ფუძეში მხოლობითი რიცხვის „ჯუმჰურ" (ხალხი) ჩანაცვლებით მრავლობითში დასმული „ჯამაჰირ"-ით (მასები). ლიბიამ ჯამაჰირია 1977 წლის 2 მარტს გამოაცხადა ქვეყნის წყობად. ჯამაჰირია ტრადიციულ სახელისუფლებო ინსტიტუციებს უარყოფს, საყოველთაოდ იქმნება სახალხო კომიტეტები და სახალხო კონგრესები. სახელმწიფო იყოფა მრავალ კომუნად. თითოეული კომუნა თვითმმართველობის მქონე მინი-სახელმწიფოს ქმნის მთლიანად სახელმწიფოს შიგნით. კომუნებს მართავს პირველადი სახალხო კონგრესები. სახალხო კონგრესებში შედის კომუნის ყველა წევრი (ანუ კომუნის ყველა მცხოვრები). თითოეულ ადამიანს საკუთარი აზრის გამოთქმის და წინადადების წამოყენების უფლება აქვს სახალხო კომიტეტის სხდომაზე. ყოველი მათგანი მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღებაში და ხელისუფლების განხორციელებაში. რეალურად, სახელმწიფო კომუნათა ფედერაციას წარმოადგენს.

ჯეჰუტი (Djehuty. ასევე ცნობილი იყო სახელებით Thuti და Thutii) – მე-18 დინასტიის ფარაონის, თუტმოს III-ის სარდალი. ჯეჰუტის ტიტულები იყო „მეფის მწერალი", „ლაშქრის სარდალი" და იმ პერიოდის ეგვიპტის „ჩრდილოეთით მდებარე უცხო ქვეყნების მეთვალყურე". ჯეჰუტის შესახებ ცნობები შემორჩენილია ორი წყაროს წყალობით. ერთია, 1824 წელს ქალაქ საქარასთან აღმოჩენილი მისი ხელუხლებელი განსასვენებელი. მეორეა, ეგვიპტური თხზულება „იოპის აღება" («The Taking of Joppa», მკვლევართა ნაწილის მტკიცებით, ეს იოპი ახლანდელი ქალაქი იაფო უნდა იყოს). პაპირუსი, რომელზეც ეს ეგვიპტური ნაწარმოებია დატანილი, ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმში ინახება (EA 10060). თხზულებიდან ვიგებთ, რომ ქალაქი იაფო თუტმოს III-ის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდა. ბუნტის ჩასახშობად და იაფოზე საკუთარი კონტროლის აღსადგენად, ფარაონმა ეგვიპტელთა ლაშქარი გაგზავნა ჯეჰუტის მეთაურობით. ფარაონის წარგზავნილმა ხერხს მიმართა. მან მოლაპარაკებების გამართვა შესთავაზა აჯანყებულთა ლიდერს და შეხვედრის ადგილად ქალაქის კედლებს გარეთ არსებული ტერიტორია შეარჩია. როგორც კი ჯეჰუტი პირისპირ მარტო დარჩა ბუნტისთავთან, მაშინვე შუბლში ჩაარტყა და დაატყვევა. შემდეგ მთლიანად ქალაქის ხელში ჩასაგდებად ფანდს მიმართა. მან ეშმაკურად გაავრცელა ცრუ ხმები: აჯანყებულებმა გაიმარჯვეს და ამიტომ, ჩემი დამარცხების აღიარების ნიშნად, იაფოს მოსახლეობას ძღვენს ვუგზავნიო.

საჩუქარს ჯეჰუტი უწოდებდა იაფოელებისთვის განკუთვნილ, ოფიციალურად, სანოვაგით სავსე 200 კალათას. სინამდვილეში, ეგვიპტელმა სარდალმა ალი-ბაბას ზღაპარში ყაჩაღების მეთაურ ჰასანის მიერ განხორციელებული მზაკვრული გეგმა გაიმეორა – კალათებში თავისი ორასი ჯარისკაცი დამალა. ჯეჰუტის ხრიკით მოტყუებულმა ქალაქისთავმა „ძღვენი" გალავანში გაატარა. ეგვიპტელმა ჯარისკაცებმა არ დააყოვნეს, მალევე ამოხტნენ კალათებიდან, მოსახლეობას დაერივნენ, ყველა დაატყვევეს და ქალაქის კონტროლი საკუთარ ხელში აიღეს. უნდა აღინიშნოს, რომ ჯეჰუტის მიერ იაფოს აღებიდან, დაახლოებით, ორი საუკუნის შემდეგ მოხდა ოდისევსის წინადადებით ბერძნების მიერ ტროაში შესაღწევად ცხენის ქანდაკების გამოყენების ცნობილი ფაქტი. გამარჯვების შესახებ სარდალმა ფარაონს ასეთი ტექსტით შეატყობინა: „გიხაროდეთ! ამონმა, თქვენმა კეთილმა მამამ, ქალაქი იაფო და მთელი მისი მოსახლეობაც თქვენ გარგუნათ. თუ ინებებთ ხალხის გამოგზავნას ტყვეების წასაყვანად. ისინი მამათქვენის, ამონ-რას, ღმერთების მეფის სახლის მონებად გამოდგებიან, რადგან საუკუნოდ თქვენს ფერხთქვეშ განრთხმულან". ამ ხატოვანი ენით დაწერილი თხზულების მთავარი პერსონაჟი არა გამოგონილი, არამედ რეალური პიროვნება აღმოჩნდა. ისტორიული რეალობა 1824 წლის ზამთარში ბერნარდინო დროვეტის (Bernardino Drovetti) მიერ ჯეჰუტის სამარხის აღმოჩენამ დაადასტურა. რადგან XIX საუკუნის დასაწყისში ეგვიპტოლოგია ახალფეხადგმული მეცნიერება იყო, მხოლოდ რამდენიმე ჩანაწერი გაკეთდა აღნიშნულ გათხრებთან დაკავშირებით. ამიტომ დღეს ძალიან მწირი ინფორმაცია არსებობს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა და როგორი ნივთები აღმოაჩინეს ჯეჰუტის სამარხში. არტეფაქტები ზერელედ, ზოგადად აღწერეს და ცალ-ცალკე მიჰყიდეს სხვადასხვა მუზეუმს მთელ მსოფლიოში. კოლექციებში მიმოფანტული ექსპონატებიდან, დღეს მხოლოდ ის ნივთები შეგვიძლია დანამდვილებით მივაკუთვნოთ ჯეჰუტის, რომლებზეც მისი სახელი აწერია. აღსანიშნავია ჯეჰუტის ოქროს თასი, რომელიც ამჟამად ლუვრში ინახება. მასზე ამოტვიფრული წარწერა იუწყება, რომ ეს ძვირფასი ნივთი თავისი სარდლისთვის ფარაონ თუტმოს III-ს უწყალობებია. არაფერია ცნობილი ჯეჰუტის სარკოფაგისა და მუმიის შესახებ, თუმცა ორივე ნახსენებია დროვეტის ჩანაწერებში. ადრე თვლიდნენ, რომ დიდებული ფარაონის სარდალი თებეში დამარხეს. თუმცა მოგვიანებით ქრისტინა ლილიკვისტმა (Christine Lilyquist) წარმოადგინა არაერთი მტკიცებულება, რომელთა მიხედვითაც, ჯეჰუტის უკანასკნელი განსასვენებელი ქალაქ საქარაში უნდა ყოფილიყო.

ლიტერატურა

1. *1984*, ჯორჯ ორუელი, ინგლისურიდან თარგმნა დათო აკრიანმა, თბილისი: გამომცემლობა „სიესტა", 2006.
2. *აგრესიული სეპარატიზმი და მისი შედეგები*, ვალერიან ბენიძე, თბილისი: გამომცემლობა „ცის ნამი", 2010.
3. ალექსიძე ლევან, *ფედერალიზმი – ეთნოსების თანაარსებობის სოციალური კონტროლის სტრატეგია* (ინტერვიუ), გაზ. „ქართული უნივერსიტეტი", 2004, 28 აპრილი-4 მაისი, გვ. 3.
4. *ამერიკის ეკონომიკა: ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა*, ვენა, ვირჯინიის შტატი: შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო, 2003.
5. *ამერიკის ისტორიის ესკიზები*, ჰოვარდ ქინოტას რედაქციით, ქართული გამოცემის რედაქტორი – არჩილ კობალაძე, ვენა, ვირჯინიის შტატი: შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო, 2003.
6. *ამერიკული დემოკრატია (აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი)*, ქ.ჯანდა, ჯ.მ.ბერი, ჯ.გოლდმენი, თბილისი: გამომცემლობა „ჯისიაი", 1995.
7. *ანარქიული საზოგადოება: წესრიგის საკითხი მსოფლიო პოლიტიკაში*, ჰედლი ბული, მთარგმნელი – გიორგი ხელაშვილი, თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე", 2003.
8. არქანია ნატა, *ამერიკული ნაციონალიზმის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, გვ. 60-65.
9. *აღმშენებლობა და განვითარება – საქართველოს გზა კეთილდღეობისაკენ*, ედუარდ შევარდნაძე, საარჩევნო პროგრამა – 2000, თბილისი: 2000.
10. *აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა*, სამეცნიერო რედაქტორი – მინდია უგრეხელიძე, თბილისი: გამომცემლობა „ჯისიაი", 1997.
11. ბაბუაძე თამარ, *ვინ ქმნის ამერიკულ პრესას* (პულიტსერის ჯილდოს ლაურეატები), გაზ. „24 საათი", 2003, 9 აპრილი, №97, გვ. B7.
12. ბარეტი ჯოის, *ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი შეერთებულ შტატებში*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002, გვ. 240-244.
13. *ბედი ქართული ენისა ათასწლეულთა მიჯნასთან*, გიორგი გოგოლაშვილი, თბილისი, 2009.
14. *ბედი ქართული უნივერსიტეტისა ათასწლეულის კარიბჭესთან*, გიორგი გოგოლაშვილი, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი", 2006.

15. *ბერძნული ლიტერატურის ისტორია* (ტომი პირველი), სიმონ ყაუხჩიშვილი, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1950, გვ. 482-483.
16. ბლოუელტი ტიმოთი, *სამართლიანი ომის თეორია და ომი ერაყში*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 44-50.
17. ბლოსი დევიდ, *ამერიკული ჟურნალისტიკა გზაჯვარედინზე*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, გვ. 86-89.
18. ბურკაძე ნოდარ, *ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტები და პრესა*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 227-229.
19. *გამარჯვებისთვის განწირულნი*, მიხო მორჩილაძე, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L", 2007.
20. *გამოხატვის თავისუფლება ევროპაში*, ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში, თბილისი: გამომცემლობა „რეფთაიმი", 2004.
21. გრიბოვსკაია ირინა, *ამერიკული ღირებულებები და ამერიკის იმიჯი ბელორუსიაში*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, გვ. 95-103.
22. *გურჯი-ხათუნი და თერთმეტი მოთხრობა*, დათო ტურაშვილი, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L", 2011.
23. *დაბადება (ბიბლია)*, ნაწილი პირველი, დაიბეჭდა საქართველო-იმერეთის უწმინდესის სინოდის კანტორის განკარგულებით, თბილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა, 1884, გვ. 497-501.
24. *დაბადება (ბიბლია)*, ნაწილი მეორე, დაიბეჭდა საქართველო-იმერეთის უწმინდესის სინოდის კანტორის განკარგულებით, თბილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა, 1884, გვ. 370-472.
25. *დათა თუთაშხია*, ჭაბუა ამირეჯიბი, მეორე გამოცემა, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1978.
26. დენისოვა ტატიანა, *მადლენ ოლბრაიტის ფენომენი*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 235-242.
27. *ენითხურობი*, გიალომაძე, თბილისი: საგამომცემლოსახლი „ბიზნეს-კურიერი", 2002.
28. *ეროვნული პოლიტიკის ისტორიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში*, ვ.მ.შამილაძე, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993.
29. *ეს ჩვენი სამშობლო იწვის*, გიორგი ყარყარაშვილი, თბილისი, 2009.

30. *ექვთიმე თაყაიშვილი*, გიორგი ლომთათიძე, წიგნი 1, თბილისი: გამომცემლობა „საოჯახო ბიბლიოთეკა“, 2011.

31. *ვაი რუსისავან!!!*, ლევან სანიკიძე, თბილისი: თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.

32. *ვაჟა-ფშაველა* და ქართველი ერი, სერგი დანელია, თბილისი: გამომცემლობა CARPE DIEM, 2008.

33. ვებერი მაქს, *ხარიზმული ბატონობა*, თარგმნეს თამარ ფანცულაიამ და დავით გეგეშიძემ, კრებული „მსოფლიო აზროვნების საგანძურიდან“, თბილისი: საქციო საზოგადოება „კავალი“, 1995.

34. *ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა*, კენ კიზი, თბილისი: ფირმა „ივერია“ და ფირმა „პოლიგრაფსერვისი“, 1992.

35. ზურიკაშვილი ფერიდე, *ფემინიზმის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 246-249.

36. თაბუკაშვილი რეზო, *ჩვენი ამერიკა*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002, გვ. 207-209.

37. *თამადა*, გოგი ხარაბაძე, თბილისი: გამომცემლობა „პეტიტი“, 2008.

38. *თანამედროვე საერთაშორისო სამართალი*, ლევან ალექსიძე, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 1994.

39. *თანამედროვის ჩანაწერები*, გერონტი ქიქოძე, თბილისი: გამომცემლობა „არეტე“, 2003.

40. *თებერვალი*, ნიკოლო მიწიშვილი, თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2006.

41. *თხზულებანი* (ტომი II), ი.ბ.სტალინი, თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1953.

42. *იდეალისტის ნაამბობი*, სანდრა ელისაბედ რულოვსი, თბილისი: გამომცემლობა "link", 2005.

43. *კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში*, როინ მეტრეველი, თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2007.

44. კაციტაძე კ., *ახალი იაკობინელები და საქართველოს მომავალი*, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 2006, 13 ოქტომბერი, №21, გვ. 4-7.

45. *კოისარიადა*, ლევან სანიკიძე, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989.

46. კოტეტიშვილი ვახუშტი, *ჩვენ საზოგადოებაც არა გვქვია...* გაზ. „კვირის პალიტრა“, 2002, 21-27 ოქტომბერი, გვ. 3.

47. კრაკაუ კნუდ, *ძალის გამოყენების გამართლების სტრატეგია ამერიკის საგარეო პოლიტიკაში*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 112-121.

48. კუპრავა გიორგი. *კონტრკულტურა და მასმედია*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული). ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002, გვ. 245-254.

49. *ლეონარდის სტრატეგია*, ნანა დეკანოზიანი, თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე", 2008.

50. მაისაშვილი თამარ, *კონდოლიზა რაისის გზა ძალაუფლებისაკენ*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 259-262.

51. *მაროკოთი მადრიდამდე*, თამაზ ნატროშვილი, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული", 1991.

52. *მე კარდინალისკაცი ჩემი ერის: წმინდა სახეს (პავლე ინგოროყვა)*, [illegible] მგელაძე, თბილისი: გამომცემლობა „მერანი", 1990.

53. *მე – იოსებ სტალინი*, ავტორ-შემდგენლები: პროფ. კარლო ცინცაძე, თინათინ ვეშაპელი, ალეკო გაბელაია, თბილისი: წიგნის მოყვარულთა საზოგადოება, 1992.

54. *მეფეები*, რიშელიე, 100 წიგნი – ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო, ტომი 6, სერია „საოჯახო ბიბლიოთეკა", თბილისი: ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2011.

55. *მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი*, ლალი მოროშკინა, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L", 2009.

56. *მეფე თამარი*, როინ მეტრეველი, თბილისი: გამომცემლობა „განათლება", 1992.

57. მეძმარიაშვილი ელენე, *ამერიკელი ქალი და არჩევნები*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 266-273.

58. *მთავარი*, ნიკოლო მაკიაველი, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1984.

59. *მილიონ მეერთე. დუდაევი* (წიგნი I), ალა დუდაევა, ისტორიული პორტრეტები 5, თბილისი: „საოჯახო ბიბლიოთეკა", 2010.

60. *მილიონ მეერთე. დუდაევი* (წიგნი II), ალა დუდაევა, ისტორიული პორტრეტები 6, თბილისი: „საოჯახო ბიბლიოთეკა", 2010.

61. *მოახლოებული ქარიშხალი*, უინსტონ ჩერჩილი, ინგლისურიდან თარგმნა რუსუდან მახათაძემ, თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი", 2006.

62. *მოგონებები შეთქმულთა რაზმზე*, ალექსანდრე ხულხანიშვილი, თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი", 2007.

63. *მსოფლიო ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია*, ზურაბ დავითაშვილი, თბილისი: გამომცემლობა „პირველი სტამბა", 2001.

64. *მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები* (წიგნი I), ავთანდილ დემეტრაშვილი, თბილისი: გამომცემლობა „იურიდიული ლიტერატურა", 1992.

65. *მუხლზე დაწერილი ბარათები*, ოტია იოსელიანი, ახალი ქართული პროზა, ტომი 15, თბილისი: გამომცემლობა „გუმბათი-2007“, 2011.
66. *ნაპოლეონი* (წიგნი I), ალექსანდრე დიუმა, ისტორიული პორტრეტები 1, თბილისი: „საოჯახო ბიბლიოთეკა“, 2010.
67. *ნაპოლეონი* (წიგნი II), ალექსანდრე დიუმა, ისტორიული პორტრეტები 2, თბილისი: „საოჯახო ბიბლიოთეკა“, 2010.
68. *ნარკვევები ამერიკის ხელისუფლების შესახებ*, რიჩარდ შრედერი, ნათან გლიკის რედაქციით, მეორე შევსებული გამოცემა, ვენა, ვირჯინიის შტატი: შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო, 1989.
69. *ნოე ჟორდანია: რჩეული ნაწერები*, შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გურამ შარაძემ, თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1990.
70. ნორდინი ვირჯინია დეივის, *უზენაესი სასამართლო განსაზღვრავს ახალ ფედერალიზმს: გადაწყვეტილება მე-11 შესწორების თაობაზე*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 284-293.
71. ნუცუბიძე სულიკო, *როგორ გაჩნდა ქალი*, გაზ. „ქალთა გაზეთი“, 1992, ნოემბერი, გვ. 12.
72. *ოცი რჩევა პრეზიდენტს*, რევაზ მიშველაძე, თბილისი: გამომცემლობა „მწერლის გაზეთი“, 2005.
73. *პოლიტიკური ჭადრაკი. სამი სხვადასხვა ქვეყნის ელჩის თვალით...* ალექსანდრე ჩიკვაიძე, თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2004.
74. *პოეზია, დრამატურგია, წერილები*, ვაჟა-ფშაველა, ხუთტომეული, ტომი 5, სერია „ჩემი რჩეული“, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2011.
75. *პრეზიდენტ კენედის მკვლელობა*, უ.მანჩესტერი, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1974.
76. *პრესმედიატორი (მედიასთან ურთიერთობის პრაქტიკა)*, თბილისი: სამართლებრივი განათლების ასოციაცია ALPE, 2003.
77. რინი კლაეს გ., *დასავლეთის დემოკრატიის კრიზისი და იაკობინიზმის წარმოშობა*, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 2006, 7 ივლისი, №14, გვ. 2-6.
78. რობაქიძე გრიგოლ, *მუსოლინი*, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 2006, 15 სექტემბერი, №19, გვ. 3-11.
79. *რონალდ რეიგანი და 1980-იანი წლების ამერიკა* (მოხსენებათა კრებული), მთავარი რედაქტორი – ვასილ კაჭარავა, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
80. რონდელი ალექსანდრე, *აშშ-ის ახალი როლი ევრაზიაში 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002, გვ. 20-23.
81. რჩეულიშვილი ვახტანგ, *„უსაფრთხოების სამკუთხედი“: თბილისი-მოსკოვი-ვაშინგტონი*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამე-

რიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, გვ. 241-246.

82. *საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი*, სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე – ირაკლი აბაშიძე, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემა, 1989.

83. *სამშობლო და მამულიშვილობა*, არჩილ ჯორჯაძე, შემდგენელ-რედაქტორი – ე.კოდუა, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990.

84. *საქართველო და რუსეთი*, ნოე რამიშვილი, თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2006.

85. *საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ძირითადი მოვლენები და ქრონოლოგიური ცხრილები*, ნუგზარ მოლაშვილი და ირინე გეგეჭკორი, თბილისი: გამომცემლობა „მერანი-3“, 2000.

86. *სომეხი ვაი-მეცნიერების ანტიქართული ისტერია*, ანზორ თოთაძე, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.

87. სტურუა მელორ, *თეთრი სახლი, აღმოსავლეთის ოთახი – პირველი ლედის ლიტერატურული სალონი*, გაზ. „24 საათი“, 2002, 16 ნოემბერი, №167, გვ. A8.

88. *სულის სიღრმეში*, მიგელ დე უნამუნო, ესპანურიდან თარგმნა მერი ტიტვინიძემ, რჩეულთა ბიბლიოთეკა 10, თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1994.

89. *ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები*, ჯანი როდარი, თარგმნა გურამ გოგიაშვილმა, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2006.

90. ტოკვილი ალექსის დე, *რა აოკებს უმრავლესობის ტირანიას შეერთებულ შტატებში*, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა, 2006, 28 აპრილი, №9, გვ. 6-7.

91. უნამუნო მიგელ დე, *პოლიტიკა და კულტურა*, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 2006, 9 ივნისი, გვ. 5-6.

92. *ფიესტა ანუ საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკული პრესის სარკეში*, მაია ნადარეიშვილი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997.

93. *ფილოსოფიის შესავალი. შემეცნების პრობლემა*, შალვა ნუცუბიძე, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

94. *ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილები*, რევაზ ბალანჩივაძე, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011.

95. *ფიქრები*, მარკუს ავრელიუსი, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1972.

96. *ფიქრები ზნეობრივ ღირებულებებზე პუბლიცისტიკაში*, დიანა ტყებუჩავა, თბილისი: გამომცემლობა „ცოდნის წყარო“, 1999.

97. *ფიქრები წარსულსა და მომავალზე. მემუარები*, ედუარდ შევარდნაძე, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2006.

98. *ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი*, ვარლამ თოფურია და ივანე გიგინეიშვილი, მეორე შევსებული გამოცემა, საქართველოს მეცნიერებათა

აკადემია, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1998.
99. *ქართველი ერის ისტორია*, ტომი II, ივანე ჯავახიშვილი, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1983.
100. *ქუჩა კოლოყაშვილი*, შემდგენელ-რედაქტორები: გურამ შარაძე და გურამ გვერდწითელი, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1989.
101. *ღვაწლისა და წამების გვირგვინით შემკული. ივანე ჯავახიშვილი – 130*, როინ მეტრეველი, თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2006.
102. *შარავანდედი*, ნანა ლვინეფაძე, თბილისი: შპს „პრესა“, 1996.
103. *შევარდნაძე*, რედაქტორ-გამომცემელი ნუგზარ ფოფხაძე, თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო ფორტე“, 1998.
104. შერმანი ჟანან, *სენატორი მარგარეტ ჩეიზ სმიტი*, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002, გვ. 187-191.
105. შნეკი სტივენ, *ქალაქი და სოფელი*, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 2006, 28 აპრილი, №9, გვ. 7-12.
106. შპენგლერი ოსვალდ, *პოლიტიკის ფილოსოფია*, თარგმნა მოსე გოგიბერიძემ, კრებული „მსოფლიო აზროვნების საგანძურიდან“, თბილისი: სააქციო საზოგადოება „კვალი“, 1995.
107. *ჩემი არჩევანი: დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად*, ედუარდ შევარდნაძე, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1992.
108. *ჩემი ცხოვრება* (წიგნი I), ლევ ტროცკი, ისტორიული პორტრეტები 3, თბილისი: „საოჯახო ბიბლიოთეკა“, 2010.
109. *ჩემი ცხოვრება* (წიგნი II), ლევ ტროცკი, ისტორიული პორტრეტები 4, თბილისი: „საოჯახო ბიბლიოთეკა“, 2010.
110. ჩხეიძე როსტომ, *პირველად საქართველოში*, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 2006, 9 ივნისი, №12, გვ. 2.
111. *ცივი ომი – წარსული თუ დღევანდელობა?* ზურაბ აბაშიძე, თბილისი, 2009.
112. *ცისფერი მთები*, რეზო ჭეიშვილი, თბილისი: გამომცემლობა „ლაშარელა“, 2006.
113. *ცხოველების ფერმა. ჯადოსნური ამბავი*, ჯორჯ ორუელი, ინგლისურიდან თარგმნა დათო აკრიანმა, თბილისი: გამომცემლობა „სიესტა“, 2006.
114. *ძველი ქართული მოთხრობა (V-XII საუკუნეები)*, შეადგინა, წინასიტყვა დაურთო და რედაქცია გაუკეთა რევაზ თვარაძემ, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979.
115. *წიგნი ოჯახში საკითხავი. დაწერილი ჩემს მიერ, ჩემი შვილების და შვილიშვილებისათვის, – სავულისხმიეროთ და სახელმძღვანელოთ*, ნოე ჟორდანია, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1989.
116. ჯიბლაძე მერაბ, *ორ ზღვას შუა სამარი იყო ლელო...*, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2008, 2 დეკემბერი, №225.

117. *Homo Militeris ადამიანი-მეომარი,* კახა კაციტაძე, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009.
118. *Age of Roosevelt: The Coming of the New Deal, 1933-1935*, Arthur M. Schlesinger, Jr., Boston, MA: Mariner Books, Houghton Mifflin Co., 2003.
119. *All About the Dollar*, R.W. "Bob" Julian, Numismatist, 2007, pp. 41.
120. *All the President's Men*, Bob Woodward and Carl Bernstein, New York, NY: Simon & Schuster, 1987.
121. *America: A Narrative History*, George Brown Tindall and David Emory Shi, Full 6th ed., New York, NY: W.W.Norton & Co., Inc., 2003.
122. *America as a World Power: A Realist Appraisal from Wilson to Reagan*, Norman A. Graebner, Lanham, MD: Scholarly Resources, Inc., 1984.
123. *America in Search of Itself: The Making of the President 1956-1980*, Theodore H. White, New York, NY: Warner Books, 1988.
124. *American Caesar: Douglas MacArthur 1880-1964*, William Manchester, New York, NY: Back Bay Books, 2008.
125. *American Carnival: Journalism under Siege in an Age of New Media*, Neil Henry, Berkeley, CA: University of California Press, 2007.
126. *American Life and Institutions*, D.K.Stevenson, Washington, DC: United States Information Agency, 1994.
127. *American Political Thought: The Philosophic Dimension of American Statesmanship*, Morton J. Frisch, ed., 2nd ed., Itasca, IL: F.E. Peacock Publishers, Inc., 1983.
128. *Animal Farm: A Fairytale Story*, George Orwell, 50th Anniversary ed., Boston, MA: Houghton Mifflin Harcourt, 1996.
129. *Assassin on Stage*, Albert Furstwangler, Chicago & Urbana, IL: The University of Illinois Press, 1991.
130. Axinte, Adrian, *Dracula: Between Myth And Reality*. Stanford University (www.stanford.edu/group/rsa/_content/_public/_htm/dracula.shtml)
131. *Barbara Bush: A Memoir*, Barbara Bush, New York, NY: Scribner, 1994.
132. *Beyond Suffrage: Women in New Deal*, Susan Ware, Cambridge, MA: Harvard University Press, 1981.
133. *The Big Change: America Transforms Itself, 1900-1950*, Frederick L. Allen, New York, NY: Harper & Row, 1986.
134. *Blitz on Britain 1939-45*, Alfred Price, Stroud, GL: Sutton Publishing, 2000.
135. *Boudica*, Vanessa Coolingridge, London: Ebury Publishing, 2004.
136. *Boudica: Iron Age Warrior Queen*, Richard Hingley and Christina Unwin, London: Hambledon Continuum, 2006.
137. *Boudica: Queen of The Iceni*, Joseph E. Roesch, London: Robert Hale Ltd., 2006.
138. *Boudica: The British Revolt against Rome AD 60*, Graham Webster, 2nd ed., London: Routledge, 2000.
139. *Building St Paul's*, James W.P. Campbell, London: Thames and Hudson, 2007.
140. *Celebrate! Holidays in the U.S.A.*, Washington, DC: United States Information Agency, 1997.

141. *Century of Struggle: The Women's Rights Movement in the United States*, Eleanor Flexner, rev. ed., Cambridge, MA: Belknap Press, 1975.
142. *The Challenge of Democracy: Government in America*, Kenneth Janda, Jeffrey M. Berry, Jerry Coldman, eds., 3rd ed., Boston, MA: Houghton Mifflin, 1992.
143. *The Clothes Have No Emperor: A Chronicle of the American '80s*, Paul Slansky, Forest City, NC: Fireside Books, 1989.
144. *Common Sense, The Rights of Man, and Other Essential Writings of Thomas Paine*, Thomas Paine, New York, NY: New American Library, 1984.
145. *The Congress of Arras, 1435: A Study in Medieval Diplomacy*, Joycelyne Gledhill Dickinson, New York, NY: Biblo and Tannen, 1972.
146. *Conspiracy Narratives In Roman History*, Victoria Emma Pagán, Austin, TX: University of Texas Press, 2004.
147. *Contemporary Voices of White Nationalism in America*, edited by Carol M. Swain and Russ Nieli, Cambridge: Cambridge University Press, 2003.
148. *Covering the Body: The Kennedy Assassination, the Media, and the Shaping of Collective Memory*, Barbie Zelizer, Chicago, IL: The University of Chicago Press, 1992.
149. *Created Equal: A Biography of Elizabeth Cady Stanton*, Alma Lutz, New York, NY: John Day Company, 1940.
150. *The Black Swan: The Impact of the Highly Improbable*, Nassim Nicholas Taleb, New York, NY: Random House, 2007.
151. *The Declaration of Independence and the Constitution of the United States of America*, Washington, DC: the Cato Institute, 2000.
152. *The Decline of Popular Politics: The American North, 1865-1928*, Michael E. McGerr, New York, NY: Oxford University Press, 1986.
153. *Democracy in America*, Alexis de Tocqueville, Thomas Bender ed., New York, NY: McGraw-Hill, Inc., 1981.
154. *The Democratic Dilemma: Can Citizens Learn What They Need to Know? (Political Economy of Institutions and Decisions)*, Arthur Lupia and Mathew D. McCubbins, Cambridge, MA: Cambridge University Press, 1998.
155. Dickens, David B. & Miller, Elizabeth, *Michel Beheim, German Meistergesang, and Dracula*, Journal of Dracula Studies, No. 5, 2003.
156. *Diplomacy*, Henry Kissinger, New York, NY: Simon & Schuster, 1994.
157. *Dracula, Prince of Many Faces: His Life And His Times*, Radu R. Florescu & Raymond T. McNally, New York, NY: Little, Brown & Co., 1989.
158. *Dracula: Sense & Nonsense*, Elizabeth Miller, Westcliff on Sea, Essex: Desert Island Books, 2000.
159. *Dream West* (The American Story), David Nevin, New York, NY: Forge Books, 2000.
160. *An Early American Reader*, edited by J.A.Leo Lemay, Washington, DC: United States Information Agency, 1993.
161. *Egypt 4000 Years of Art*, Jaromir Malek, London: Phaidon Press, 2003.
162. *Eisenhower* (2 vols), Stephen E. Ambrose, New York, NY: Simon & Schuster, 1985.

163. *Elizabeth Cady Stanton: A Radical for Woman's Rights*, Lois W. Banner, Glenview, IL: Scott Foresman & Co., 1987.
164. *The Emperor Domitian*, Brian W. Jones, London: Routledge, 1992.
165. *The Encyclopedia Americana*, Danbury, CT: Grolier Inc., 1997.
166. *Encyclopedia of Gods*, Michael Jordan, New York, NY: Facts On File, Inc. 1993.
167. *Encyclopedia of Gods: Over 2500 Deities of the World*, Michael Jordan, London: Kyle Cathie Books, 2005.
168. *The End of Laissez-Faire: American Economic Policy After the Cold War*, Robert Kuttner, New York, NY: Random House, 1991.
169. *Enterprise: The Dynamic Economy of A Free People*, Stuart Bruchey, Cambridge, MA: Harvard University Press, 1990.
170. *Faces of Revolution: Personalities and Themes in the Struggle for American Independence*, Bernard Bailyn, New York, NY: Random House, Inc., 1992.
171. *The Federalist Papers*, Alexander Hamilton, James Madison, and John Jay. Clinton Rossiter, ed., New York, NY: New American Library, 1961.
172. *The Federalist Papers*, Alexander Hamilton, James Madison, and John Jay, New York, NY: Bantam Books, 1982.
173. *The Feminine Mystique*, Betty Friedan, New York, NY: W.W.Norton & Company, Inc., 2001.
174. *Feminism and Politics (Oxford Readings in Feminism)*, Anne Phillips, New York, NY: Oxford University Press, 1998.
175. *Feminism and Suffrage: The Emergence of an Independent Women's Movement in America, 1848-1869*, Ellen C. Dubois, Ithaca, NY: Cornell University Press, 1978.
176. *The First Day of the Blitz*, Peter Stansky, New Haven, CT: Yale University Press, 2007.
177. *Forest of Symbols*, V.W.Turner, Ithaca, NY: Cornell University Press, 1967.
178. *Franklin D. Roosevelt: Rendezvous with Destiny*, Frank Freidel, New York, NY: Little, Brown & Co., 1991.
179. *From the Gracchi to Nero: A History of Rome from 133 BC to AD 68*, H.H.Scullard, London: Routledge, 2010.
180. *The Future of Money*, Benjamin J. Cohen, Princeron, NJ: Princeton University Press, 2006.
181. *George Clinton: yeoman politician of the new republic*, John P. Kaminski, Madison, WI: Madison House Publishers Inc., 1993.
182. *Georgia in the XI-XII Centuries*, Mariam Lordkipanidze, Tbilisi: Ganatleba, 1987.
183. *Gods and Myths of Ancient Egypt*, Robert Armour, Cairo: American University in Cairo Press, 2001.
184. *Government in America: People, Politics and Policy*, Robert L. Lineberry, 4th ed., Glenview, IL: Scott Foresman & Co., 1989.
185. *The Grounding of Modern Feminism*, Nancy F. Cott, New York, NY: Yale University Press, 1987.
186. Gumbel Peter, *Down by Law*, Time, 2003, November 10, p. 26-33.

187. *Harry S. Truman and the Modern American Presidency*, Robert H. Ferrell, Glenview, IL: Scott Foresman & Co., 1987.
188. *Her Way: The Hopes and Ambitions of Hillary Rodham Clinton*, Jeff Gerth and Don Van Natta, Jr., New York, NY: Little, Brown and Company, 2007.
189. *Histoire du Pont-Neuf*, Volume 1, Édouard Fournier, Paris: Imprimé chez Bonaventure et ducessois, 1862.
190. *A History of the Dollar*, Arthur Nussbaum, New York, NY: Columbia University Press, 1957.
191. *A History of the Federal Reserve: 1913-1951*, Allan H. Meltzer, Chicago, IL: The University of Chicago Press, 2004.
192. *Iconic Events: Media, Politics, and Power in Retelling History*, Patricia Leavy, Lanham, MD: Lexington Books, 2007.
193. *Infotopia: How Many Minds Produce Knowledge*, Cass R.Sunsrein, New York, NY: Oxford University Press, 2006.
194. *In Her Own Right: The Life of Elizabeth Cady Stanton*, Elizabeth Griffith, New York, NY: Oxford University Press, 1984.
195. *The International Gold Standard and U.S. monetary policy from World War I to the New Deal*, Leland Grabbe, Federal Reserve Bulletin, June 1989.
196. *Jackie, Ethel, Joan: Women of Camelot*, J. Randy Taraborrelli, New York, NY: Warner Books, Inc., 2000.
197. *John Charles Frémont: Character as Destiny*, Andrew Rolle, Norman, OK: University of Oklahoma Press, 1991.
198. *John F. Kennedy and a New Generation*, David Burner, Glenview, IL: Scott Foresman & Co., 1988.
199. *Journalism and Truth: Strange Bedfellows*, Tom Goldstein, Foreword by Howard Baker, Evanston, IL: Northwestern University Press, 2007.
200. *Justices and Presidents: A Political History of Appointments to the Supreme Court*, Henry J. Abraham, 2nd ed., New York, NY: Oxford University Press, 1985.
201. Karol, Eitan, *Naked and unashamed: Charles Holden in Bloomsbury*, Past and Future magazine, London: The Institute of Historical Research, №4, Autumn/Winter 2008, pp. 6-7.
202. *King Arthur In Legend and History*, Richard White, London: Routledge, 1998.
203. *The Knight in the Tiger Skin*, Shota Rustaveli, Translated by Marjory Scott Wardrop, M.: «Progress», 1977.
204. *Lady Godiva: A Literary History of the Legend*, Daniel Donoghue, Oxford: Wiley-Blackwell, 2003.
205. *Leadership in the Modern Presidency*, Fred Greenstein, Cambridge, MA: Harvard University Press, 1988.
206. *Legends of British History*, Andrew Godsell, London: Andrew Godsell, 2008.
207. *Lincoln*, David H. Donald, New York, NY: Simon & Schuster, 1995.
208. *Lincoln*, Gore Vidal, London: Grafton Books, 1986.
209. *Lincoln's Rise to the Presidency*, William C. Harris, Lawrence, Kansas, KS: University Press of Kansas, 2007.

210. *The Literature of Georgia: A History*, Donald Rayfield, London: Routledge, 2000.
211. *Living History*, H.R.Clinton, New York, NY: Simon & Schuster, 2003.
212. *Lyndon Johnson and the American Dream*, Doris K. Goodwin, New York, NY: St. Martin's Press, 1991.
213. *Madame Sun Yat-Sen: Soong Ching-Ling*, Jung Chang and Jon Halliday, London: Penguin Books, 1986.
214. *Making America. The Society and Culture of the United States*, edited by Luther S.Luedtke, Washington, DC: United States Information Agency, 1995.
215. *The Man Who Knew Kennedy*, Vance Bourdjaily, New York, NY: The Rial Press, 1967.
216. *Marie Antoinette: The Journey*, Antonia Fraser, London: Phoenix, 2002.
217. *The Marshall Plan: America, Britain & the Reconstruction of Western Europe, 1947-1952*. Michael J. Hogan, Cambridge: Cambridge University Press, 1989.
218. *Mass Media and American Politics*, Doris Graber, 3rd ed., Washington, DC: Congressional Quarerly, Inc., 1988.
219. McNichol, Tom, *Peeking Behind the Curtain of Secrecy*, The New York Times, 2003, November 13.
220. *Media and the American Mind: From Morse to McLuhan*, Daniel J.Czitrom, Chapel Hill, NC: University of North Carolina Press, 1983.
221. *The Media in Britain*, Alex Praill, London, England: Foreign & Commonwealth Office, 1994.
222. *Miracle at Philadelphia: The Story of the Constitutional Convention*, Catherine Drinker Bowen, New York, NY: Little, Brown & Co., 1986.
223. *My Life*, William Jefferson Clinton, New York, NY: Random House, Inc., Alfred A. Knopf, 2004.
224. *The National Daily Press of France*, Clyde Thogmartin, Birmingham, AL: Summa Publications, Inc., 1998.
225. *The Nationalization of American Politics*, William M. Lunch, Berkeley, CA: University of California Press, 1987.
226. *The Nature and Origins of Mass Opinion (Cambridge Studies in Public Opinion and Political Psychology)*, John R. Zaller, Cambridge: Cambridge University Press, 1992.
227. *Nero*, Edward Champlin, Cambridge, MA: Harvard University Press, 2003.
228. *News from the White House: The Presidential-Press Relatonship in the Progressive Era*, George Juergens, Chicago, IL: University of Chicago Press, 1981.
229. *Nightmare in Red: The McCarthy Era in Perspective*, Richard M. Fried, New York, NY: Oxford University Press, 1991.
230. *Nineteen Eighty-Four*, George Orwell, London: Penguin Books Ltd., 2003.
231. Ó Corráin, Donnchadh., *Ireland, Wales, and the Hebrides*, The Oxford Illustrated History of the Vikings by Peter Sawyer, New York, NY: Oxford University Press, 1997, pp. 105-106.
232. *Oswald's Tale*, Norman Mailer, New York, NY: Random House, Inc., 1996.

233. *Out of Our Past: The Forces that Shaped Modern America*, Carl N. Degler, 3rd ed., New York, NY: Harper & Row, 1984.
234. *The Oxford History of the French Revolution*, William Doyle, New York, NY: Oxford University Press, 1990.
235. *Passion and Principle: Jessie and John Frémont and the Shaping of America*, Sally Denton, New York, NY: Bloomsbury USA, 2007.
236. *Politics of Shared Power*, Louis Fisher, 2nd ed., Washington, DC: Congressional Quarterly, Inc., 1985.
237. *Politics of Upheaval*, Arthur Schlesinger, Jr., Boston, MA: Houghton Mifflin Co., 1988.
238. *The Power Elite*, Charles Wright Mills, New York, NY: Oxford University Press, 1956.
239. *The Power Game: How Washington Really Works*, Hedrick Smith, New York, NY: Random House, 1988.
240. *PR! A Social History of Spin*, Stuart Ewen, New York, NY: Basic Books, 1996.
241. *The Presidency and the Political System*, 3rd ed., Michael Nelson, ed., Washington, DC: CQ Press, 1990.
242. *Presidential Elections: Contemporary Strategies of American Electoral Politics*, Nelson Polsby and Aaron Wildavsky, 7th ed., New York, NY: Free Press, 1988.
243. *Presidential Power: The Politics of Leadership from FDR to Carter*, Richard E. Neustadt, New York, NY: Macmillan Publishing Co., 1980.
244. *President Reagan: The Role of a Lifetime*, Lou Cannon, New York, NY: Simon & Schuster, 1992.
245. *The President's Lady*, Irving Stone, Garden City, New York, NY: Doubleday & Co., Inc., 1951.
246. *The Press Effect: Politicians, Journalists, and the Stories that Shape the Political World*, Kathleen Hall Jamieson and Paul Waldman, New York, NY: Oxford University Press, 2004.
247. *The Progressive Presidents: Theodore Roosevelt, Woodrow Wilson, Franklin D. Roosevelt, Lyndon B. Johnson*, John Morton Blum, New York, NY: W.W.Norton & Co., Inc., 1982.
248. *The Reagan Legacy: A Nation Adrift*, Sidney Blumenthal and Thomas Edsall, New York, NY: Pantheon Books, 1988.
249. *Red Book: A Guide Book Of United States Paper Money*, Arthur L. Friedberg, Atlanta, GA: Whitman, 2005.
250. *Reporting the War: Freedom of the Press from the American Revolution to the War on Terrorism*, John Byrne Cooke, Basingstoke, Hampshire: Palgrave Macmillan, 2007.
251. *Reporting War: Journalism in Wartime*, edited by Stuart Allan and Barbie Zelizer, Abingdon, Oxford: Taylor & Francis Books, 2007.
252. *Richard Nixon: The Shaping of His Character*, Fawn M. Brodie, Cambridge, MA: Harvard University Press, 1983.

253. *A Room of One's Own* and *Three Guineas*, Virginia Woolf, New York, NY: Oxford University Press, 2008.
254. *The Search For Ancient Egypt*, Jean Vercoutter, New York, NY: Abrams, 1992.
255. *The Second Sex*, Simone de Beauvoir, New York, NY: Vintage Books, 1989.
256. *Silicon Valley: Inventing the Future*, Jean Deitz Sexton, Northridge, CA: Windsor Publications, 1992.
257. *Sleepwalking through History: America through the Reagan Years*, Haynes Johnson, New York, NY: W.W.Norton & Co., 2003.
258. *The Soong Dynasty*, Sterling Seagrave, London: Corgi Books, 1996.
259. *Speeches and Writings* (2 vols): 1832-1858 & 1859-1864, Abraham Lincoln, Don E. Fehrenbacher, ed., Library of America, 1989.
260. *Suetonius: The Flavian Emperors: A Historical Commentary*, Brian W. Jones & Robert Milns. London: Bristol Classical Press, 2002.
261. *Superclass: The Global Power Elite and The World They Are Making*, David Rothkopf, New York, NY: Farrar, Straus and Giroux, 2008.
262. *Taking on the World: Joseph and Stewart Alsop, Guardians of the American Century*, Robert W. Merry, New York, NY: Viking Adult, 1996.
263. *They Also Ran*, Irving Stone, Clochester, Essex: Signet Publishing. 1968.
264. *The Third Wave*, Alvin Toffler, New York, NY: Bantam Books, 1980.
265. *The Tomb of Tuthmosis III's Foreign Wives*, Christine Lilyquist, New York, NY: Metropolitan Museum of Art, 2004.
266. *Truman*, David McCullough, New York, NY: Simon & Schuster, 1992.
267. *The Truman Doctrine & the Origins of McCarthyism:Foreign Policy, Domestic Policy & Internal Secutiry, 1946-1948*, Richard M. Freeland, New York, NY: New York University Press, 1985.
268. *Understanding Wall Street*, Jeffrey B. Little and Lucien Rhodes, 3rd ed., New York, NY: TAB Books, 1991.
269. *Under the Red Robe*, Stanley J. Weyman, London: Tutis Digital Publishing Pvt. Ltd, 2008.
270. *An Unfinished Life: John F. Kennedy, 1917-1963*, Robert Dallek, Boston, MA: Little Brown Co., 2003.
271. *Unlimited Partners: Our American Story*, Elizabeth Dole and Bob Dole, New York, NY: Simon & Schuster, 1996.
272. *A Very Thin Line: The Iran-Contra Affairs*, Theodore Draper, rev. ed., New York, NY: Simon & Schuster, 1992.
273. *Vlad the Impaler (Dracula)*, Stefan Andreescu, Bucharest: The Romanian Cultural Foundation Publishing House, 1999.
274. *V Was for Victory: Politics and American Culture During World War II*, John Morton Blum, New York, NY: Harcourt Brace Jovanovich, Inc., 1977.
275. *The Warrior and the Priest: Woodrow Wilson and Theodore Roosevelt*, John Milton Cooper, Jr., Cambridge, MA: Harvard University Press, 1983.
276. *The Wars of Watergate: The Last Crisis of Richard Nixon*, Stanley I. Kutler, New York, NY: W.W.Norton & Co., Inc., 1992.

277. *Washington: The Indispensable Man*, James T. Flexner, New York, NY: New American Library, 1984.
278. *We're All Journalists Now: The Transformation of the Press and Reshaping of the Law in the Internet Age*, Scott E. Grant, New York, NY: Free Press, A Division of Simon & Schuster, Inc., 2007.
279. *What Good Is Journalism?: How Reporters and Editors Are Saving America's Way of Life*, Edited with an introduction by George Kennedy and Daryl Moen, Columbia, MO: University of Missouri Press, 2007.
280. *Who Governs: Democracy and Power in an American City*, Robert A. Dahl, New Haven, CT: Yale University Press, 1961.
281. *Woman in World History: The Life and Times of Soong Ching-ling*, Israel Epstein, Beijing: China Intercontinental press, 1993.
282. *Women Who Run with the Wolves. Myths and Stories of the Wild Woman Archetype*, Clarissa Pinkola Estes, New York, NY: Ballantine Books, 1996.
283. *Адольф Гитлер*, перевод с французского Т.Куницыной, Москва: изд-во «АСТ-Пресс», 1999.
284. *Америка*, Жан Бодрийяр, Перевод с французского Д. Калугина, Санкт-Петербург: Владимир Даль, 2000.
285. *Американские президенты*, под редакцией Юргена Хайдекинга, Ростов-на-Дону: изд-во «Феникс», 1997.
286. Белый А., *Символизм как миропонимание*, Луг зеленый (Книга статей), Москва: «Республика», 1994, с. 334-338.
287. *Белый дом: президенты и политика*, Э.А.Иванян, Москва: Политиздат, 1979.
288. *Бенито Муссолини*, перевод с французского В.Ильина, Москва: изд-во «АСТ-Пресс», 1999.
289. *Брожение*, М.Г.Стуруа, Москва: изд-во «Молодая гвардия», 1971.
290. *Во времена фараонов*, А.Морэ, Москва: изд-во «Алетейа», 2001.
291. *Возобновление истории: Человечество в XXI веке и будущее России*, Ю.М.Лужков, Москва: изд-во МГУ, 2002.
292. *Вторая мировая война*, (в 3-х книгах), У. Черчилль, Москва: изд-во «Воениздат», 1991.
293. *Все монархи мира. Западная Европа*, К.Рыжов, Москва: изд-во «Вече», 1999.
294. Гройс Борис, *Ленин и Линкольн – образы современной смерти*, Утопия и обмен, Москва, 1993, с. 353-356.
295. *Грузия вблизи и на расстоянии*, Мераб Мамардашвили, Тбилиси: изд-во «Гелиос – XXI век», 1995.
296. *Десять из тридцати*, М.Г.Стуруа, Тбилиси: изд-во «Мерани», 1978.
297. *Дживс и феодальная верность*, Пэлем Грэнвил Вудхауз, Москва: изд-во «Эксмо», 2003.
298. *Джон Кеннеди*, перевод с французского, научное редактирование и составление именного указателя Ю.Зуева, Москва: изд-во «АСТ-Пресс», 1999.
299. *Дневник Адама*, Марк Твен, Перевод Татьяны Тарковской, Москва, 1904.

300. *Дневник Евы*, Марк Твен, Перевод Татьяны Тарковской, Москва, 1906.
301. *Еврейский вопрос глазами американца*, Д. Дюк, Москва: Свобода слова, 2001.
302. *Журналистика в мире политики (Исследовательские подходы и практика участия)*, под редакцией доктора политических наук, профессора С.Г.Корконосенко, Санкт-Петербург: изд-во Михайлова В.А., 2004.
303. *Журналистика и демократия*, Е.П.Прохоров, Москва: изд-во «Аспект пресс», 2004.
304. *Законодательство Английской революции 1640-1660 гг.*, Отв. ред. Е.А.Косминский, Пер. Ф.Ф.Кокошкина, М.-Л.: изд-во «АН СССР», 1946.
305. Констебл Джайлз, *Бороды в истории. Символы, моды, восприятие*, Одиссей. Человек в истории. Москва, 1994, с. 165-181.
306. *Краткие сообщения Института народов Азии. Иранская филология*. Т. 67, М.А. Дандамаев, Москва, 1963.
307. *Лики демократии*, Б.Майроф, Москва: изд-во «Весь мир», 2000.
308. *Логика для журналистов*, А.А.Ивин, Москва: изд-во «Аспект пресс», 2002.
309. *Мемуары*, Дж. Гарибальди, Москва: изд-во «Наука», 1966.
310. *Мемуары*. Кардинал де Рец. Серия «Литературные памятники», Москва: изд-во «Наука», 1997.
311. *Монстр власти*, ЭлиасКанетти, Серж Московичи, Москва: изд-во «Алгоритм», 2009.
312. *Очерк государственного устройства Соединенных Штатов Америки*. Вашингтон: издание правительства США, 1990.
313. *Первые леди Америки*, Л.Пастусиак, Ростов-на-Дону: изд-во «Феникс», 1998.
314. *Политика и символы*, Д.А.Мисюров, Москва: изд-во «РИП-холдинг», 1999.
315. *Политический менеджмент*, *Г.Пушкарева*, Москва: изд-во «Дело», 2002.
316. *Прозрачность зла*, Жан Бодрийяр, Перевод с французского Л.Любарской и Е.Марковской, Москва: «Добросвет», 2000.
317. *Психические вирусы*. Ричард Броди, Москва: ИВЦ Маркетинг, 2002.
318. *Ришелье*, Р.Кнехт. Ростов-на-Дону: изд-во «Феникс», 1997.
319. *Символ и сознание*, М. К. Мамардашвили и А.М. Пятигорский, Москва: Школа «Языки русской культуры», 1997.
320. *Смерть запада*, П.Дж.Бьюкенен, Москва: изд-во «АСТ-Пресс», 2004.
321. *Сто великих диктаторов*, И.Мусский, Москва: изд-во «Вече», 2002.
322. *Тайны политических убийств*, составитель и автор вступительной статьи В.Т.Вольский, Ростов-на-Дону: изд-во «Феникс», 1997.
323. *Уинстон Черчилль*, перевод с французского и научное редактирование К.Зуевой, Москва: изд-во «АСТ-Пресс», 1999.
324. *Фридрих Ницше, Сочинения в 2-х томах*, Перевод С. Л. Франка, Москва: изд-во «Мысль», 1990.

325. *Фрэнсис Бэкон, Сочинения в 2 томах*, общ. ред. А.Л. Субботина, Москва: изд-во «Мысль», 1977.
326. *Хрестоматия по истории средних веков* (Том 2), Под редакцией С.Д.Сказкина, Москва: Издательство социально-экономической литературы, 1963, с. 428-437 (Протоколы обвинительного процесса Жанны д'Арк).
327. *Эгоистичный ген*, Ричард Докинз, Перевод Н. Фомина, Москва: изд-во «Мир», 1993.
328. *Эпизоды революционной войны*, Э. Гевара, Москва: изд-во «Воениздат», 1973.
329. *Эпоха диктатур*, П.Тибо, Москва: изд-во «Крон-Пресс», 1998.
330. *Эйзенхауэр. Солдат и президент*, С.Амброз, Москва: изд-во «Книга, лтд.», 1993.
331. გაზ. „ახალი 7 დღე", 2005.
332. გაზ. „ახალი ეპოქა", 2000.
333. გაზ. „დილის გაზეთი", 1997-2004.
334. გაზ. „კავკასიონი", 1993-1994.
335. გაზ. „კვირის პალიტრა", 1998-2011.
336. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1993-2011.
337. გაზ. „ჯორჯიან ტაიმსი", 2004-2005.
338. გაზ. „24 საათი", 2002-2005.
339. ჟურნ. „არილი", 2000-2005.
340. ჟურნ. „გზა", 2005-2011.
341. ჟურნ. „თავისუფლება", 2003-2005.
342. ჟურნ. „თბილისელები", 2003-2011.
343. ჟურნ. „რეიტინგი", 2004-2005.
344. ჟურნ. „ჩვენი მწერლობა", 2006-2011.
345. The Daily Mirror, 2008-2011.
346. The Daily Telegraph, 2006-2008.
347. The Financial Times, 2006-2011.
348. The Guardian, 1994-2011.
349. Harper's Weekly, April 29, 1865.
350. Newsweek, 1995-2011.
351. The New York Times, 1996-2011.
352. The Sun, 2003-2011.
353. The Sydney Morning Herald, 2008.
354. Time, 1995-2011.
355. The Times, 2004-2011.
356. The USA Today, 1997-2011.
357. The Washington Post, 1997-2011.
358. газ. «Аргументы и факты», 1998-2006.
359. газ. «Комсомолская правда», 2002-2008.
360. газ. «Московские новости», 1999-2006.
361. www.abc.net.au (Australian Broadcasting Corporation)

362. www.aboutromania.com/dracula (Vlad Tepes Dracula Pictures)
363. www.amoomamad.com/author-frjallh-saba-letter (Farajollah Saba and the famous letter of Chaplin)
364. www.bbc.co.uk (British Broadcasting Corporation)
365. www.betlemi.ge (მართლმადიდებელ ქრისტიანთა საქველმოქმედო ასოციაცია „ბეთლემი“)
366. www.blooferland.com (Transylvanian Society of Dracula)
367. www.brainyquote.com (BrainyQuote)
368. www.cbsnews.com (CBS News)
369. www.ccel.org/ccel/josephus/works/files/works.html (The Works of Flavius Josephus)
370. www.cnn.com (Cable News Network)
371. www.donlinke.com/drakula/vlad.htm (Vlad Tepes. Vlad the Impaler, the historical Dracula)
372. www.englishmonarchs.co.uk (English Monarchs – A complete history of the Kings and Queens of England)
373. www.federalreserve.gov (Board of Governors of the Federal Reserve System)
374. www.fordham.edu/halsall/source/b8-clericos.html (Medieval Sourcebook: Boniface VIII, *Clericis Laicos*, 1296)
375. www.fordham.edu/halsall/source/b8-unam.html (Medieval Sourcebook: Boniface VIII, *Unam Sanctam*, 1302)
376. www.forum.msk.ru/material/politic/529613.html (*Самый демократный демократ*. Владимир Акименков, 14.09.2008)
377. www.foxnews.com (Fox News Channel)
378. www.georgiainflames.com («Georgia In Flames» is a 15-minute documentary about August 2008)
379. www.globalpolitician.com (Global Politician online magazine)
380. www.guardian.co.uk (The online newspaper owned by the Guardian Media Group, editor – Janine Gibson)
381. www.hadisgeorgia.tr.gg (ქართველი ბლოგები)
382. www.hillaryclinton.com (Friends of Hillary)
383. www.hrw.org (Human Rights Watch)
384. www.huffingtonpost.com (The Huffington Post)
385. www.imdb.com (The Internet Movie Database)
386. www.journalism.wisc.edu (School of Journalism & Mass Communication, University of Wisconsin-Madison)
387. www.juliette.benzoni.free.fr (Juliette Benzoni)
388. www.kvirispalitra.ge (გაზ. „კვირის პალიტრა“)
389. www.livius.org/ap-ark/apollonius/life/va_00.html (*The life of apollonius*, Flavius Philostratus)
390. www.loosechange911.com (Loose Change 9/11: An American Coup – A film by Dylan Avery)
391. www.mcadams.posc.mu.edu (Kennedy Assassination Home Page)
392. www.mercurefrancois.ehess.fr (Mercure François: Accueil)

393. www.mgz.ru (მოსკოვის ქართული სათვისტომო)
394. www.milov.info (Владимир Милов)
395. www.moneyfactory.gov (U.S. Bureau of Engraving and Printing)
396. www.msnbc.msn.com (NBC News)
397. www.muslimgeorgia.org (Muslim Georgia)
398. www.nbc.com (National Broadcasting Company)
399. www.nbp-info.ru/new/lib/kad_gb/ (*მწვანე წიგნი*, მუამარ კადაფი)
400. www.newsu.org (Poynter's News University)
401. www.nndb.com (Notable Names Database)
402. www.nplg.gov.ge (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)
403. www.npr.org (National Public Radio)
404. www.orthodoxy.ge/tsmindanebi.htm (წმინდანთა ცხოვრება)
405. www.penelope.uchicago.edu/Thayer/E/Roman/Texts/Suetonius/12Caesars/Nero*.html (*The Life of Nero*, Suetonius)
406. www.people.pwf.cam.ac.uk/~jrh11/DracParNEW.doc (*The Tale of Dracula*, Russian manuscript circa 1490, with English translation)
407. www.politnauka.org/library/classic/aristotel-recenz.php (*Политика*, Аристотель, М.: «Мысль», 1983, с. 376-644)
408. www.poynter.org (Poynter – Standing for journalism, strengthening democracy)
409. www.pulitzer.org (The Pulitzer Prizes)
410. www.qim.ge (ქართველი ისტორიული მოღვაწენი)
411. www.rai.it (Radiotelevisione Italiana)
412. www.rothkopf.foreignpolicy.com (David J. Rothkopf – How the World Is Really Run. Foreign Policy)
413. www.rouvroy.medusis.com (Mémoires de Saint-Simon)
414. www.sacred-destinations.com/england/london-st-pauls-cathedral-photos (Photo Gallery: St Paul's Cathedral, London)
415. www.sallydenton.com (Sally Denton – Investigative Reporter and Author)
416. www.stanford.edu (Stanford University)
417. www.theyrule.net (They Rule)
418. www.timesonline.co.uk (The Times)
419. http://users.polisci.wisc.edu/sapiro (Virginia Sapiro Dean of Arts and Sciences and Professor of Political Science, Boston University)
420. www.usinfo.state.gov.com (U.S. Government Information)
421. www.usmint.gov (The United States Mint)
422. www.vernadsky.lib.ru (Электронный Архив В. И. Вернадского)
423. www.v-milov.livejournal.com (All that you can't leave behind – ЖЖ Владимира Милова)
424. www.womeninworldhistory.com/heroine1.html (Women In World History Curriculum)
425. www.wyoming.gov (State of Wyoming)

ფილმოგრაფია

1. ადამიანთა სვლა (1987, რეჟისორი – გოდერძი ჩოხელი)
2. ბესამე (1989, რეჟისორი – ნინო ახვლედიანი)
3. ბრავო, ალბერ ლოლიშ! (1987, რეჟისორი – მერაბ თავაძე)
4. გიორგი სააკაძე (1942, რეჟისორი – მიხეილ ჭიაურელი)
5. გურჯი-ხათუნი (2007, რეჟისორები – დათო ტურაშვილი, გოჩა აბაშიძე)
6. დათა თუთაშხია (1977, რეჟისორები – გიგა ლორთქიფანიძე, გიზო გაბესკირია)
7. ექსპრეს-ინფორმაცია (1993, რეჟისორი – ელდარ შენგელაია)
8. თეთრი ბაირაღები (1990, რეჟისორი – გიგა ლორთქიფანიძე)
9. კონფლიქტის ზონა (2009, რეჟისორი – ვანო ბურდული)
10. ლაზარეს თავგადასავალი (1973, რეჟისორი – რეზო ხოტივარი, მახტიკოტე – ჯემალ ღაღანიძე)
11. მიდიოდა მატარებელი (2005, რეჟისორი – გიორგი შენგელაია)
12. მონანიება (1984, რეჟისორი – თენგიზ აბულაძე)
13. მშობლიურო ჩემო მიწავ! (რაიკომის მდივანი) (1980, რეჟისორი – რეზო ჩხეიძე)
14. ნატვრის ხე (1976, რეჟისორი – თენგიზ აბულაძე)
15. რეკორდი (1973, რეჟისორი – გურამ პატარაია)
16. სამოთხის გვრიტები (1997, რეჟისორი – გოდერძი ჩოხელი)
17. უძინართა მზე (1992, რეჟისორი – თემურ ბაბლუანი)
18. ფესვები (1987, რეჟისორი – გუგული მგელაძე)
19. ყვარყვარე (1979, რეჟისორი – დევი აბაშიძე, ყვარყვარე – დოდო აბაშიძე)
20. ყველაფერი კარგად იქნება (2009, რეჟისორი – ავთანდილ ვარსიმაშვილი)
21. შერეკილები (1973, რეჟისორი – ელდარ შენგელაია)
22. ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი (1983, რეჟისორი – ელდარ შენგელაია)
23. ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩო პანსასი (1988, რეჟისორი – რეზო ჩხეიძე)
24. ჯაყოს ხიზნები (1980, რეჟისორი – თემურ ჩხეიძე)
25. 5 Days of August (2011, director – Renny Harlin)

26. 9/11: The Day the World Changed (9/11: The Twin Towers) (2006, director – Richard Dale)
27. 9/11: Press for Truth (2006, director – Ray Nowosielski)
28. 15 Minutes (2001, director – John Herzfeld)
29. 21 (2008, director – Robert Luketic)
30. 1814 (2007, director – Andres Puustusmaa)
31. 911: The Road to Tyranny (2002, director – Alex Jones)
32. 911 in Plane Site (2004, director – William Lewis)
33. Absence of Malice (1981, director – Sydney Pollack)
34. Ace In the Hole (The Big Carnival) (1951, director – Billy Wilder)
35. Agatha Christie's Poirot: The Incredible Theft (1989, director – Edward Bennett, #1.8 at 00:20:37)
36. The Age of Innocence (1993, director – Martin Scorsese)
37. Agora (2009, director – Alejandro Amenábar)
38. All My Lenins (Minu Leninid, 1997, director – Hardi Volmer)
39. All the King's Men (1949, director – Robert Rossen)
40. All the President's Men (1976, director – Alan J. Pakula)
41. Amazing Grace (2006, director – Michael Apted)
42. America: Freedom to Fascism (2006, director – Aaron Russo)
43. American Dictators (2004, directors – Kevin Booth, Alex Jones)
44. American Passport (1999, director – Reed Paget)
45. Ancient Rome: The Rise and Fall of an Empire (BBC TV series 2006)
46. Angel (2007, director – François Ozon)
47. Battlefield Britain (TV series 2004, director – Mary Cranitch)
48. The Barber of Siberia (1998, director – Nikita Mikhalkov)
49. Bathory (2008, director – Juraj Jakubisko)
50. Becket (1964, director – Peter Glenville)
51. Behind the Frontline (TV series 1994-1997, Australia)
52. The Belgrade Phantom (2009, director – Jovan B. Todorovic)
53. Big Bucks: The Press Your Luck Scandal (2003, director – J.V. Martin)
54. Blackbeard: Terror at Sea (2006, directors – Richard Dale, Tilman Remme)
55. The Black Press: Soldiers Without Swords (1999, director – Stanley Nelson)
56. Bobby (2006, director – Emilio Estevez)
57. Born on the Fourth of July (1989, director – Oliver Stone)
58. The Bourne Identity (2002, director – Doug Liman)
59. The Bourne Ultimatum (2007, director – Paul Greengrass)
60. Bowling for Columbine (2002, director – Michael Moore)
61. Braveheart (1995, director – Mel Gibson)

62. Breaking the Da Vinci Code (2005, director – David Priest)
63. Breaking the Silence: Truth and Lies in the War on Terror (2003, directors – Steve Connelly, John Pilger)
64. Bush Family Fortunes: The Best Democracy Money Can Buy (2004, directors – Steven Grandison, Greg Palast)
65. Bush's Brain (2004, directors – Joseph Mealey, Michael Shoob)
66. Camille Claudel (1988, director – Bruno Nuytten)
67. Capitalism: A Love Story (2009, director – Michael Moore)
68. Catfish (2010, directors – Henry Joost, Ariel Schulman)
69. Century of the Self (TV series 2002, director – Adam Curtis)
70. Chaplin (1992, director – Richard Attenborough)
71. Charlie Wilson's War (2007, director – Mike Nickols)
72. Chavez: Inside the Coup (2003, directors – Kim Bartley, Donnacha O'Briain)
73. Che: Part One (2008, director – Steven Soderbergh)
74. Che: Part Two (2008, director – Steven Soderbergh)
75. Che Guevara. Hasta la victoria siempre (2002, director – Ferruccio Valerio)
76. Children of the Revolution (1996, director – Peter Duncan)
77. Chisholm '72: Unbought & Unbossed (2004, director – Shola Lynch)
78. Christina: A Medieval Life (2008, director – David Wallace)
79. Christmas with the Kranks (2004, director – Joe Roth)
80. Citizen Berlusconi (2003, directors – Andrea Cairola, Susan Gray)
81. City of Women (La città delle donne, 1980, director – Federico Fellini)
82. Cold Case (TV series, 2003-2010, creator – Meredith Stiehm)
83. Colosseum: Rome's Arena of Death (2003, director – Tilman Remme)
84. Comandante (2003, director – Oliver Stone)
85. Control Room (2004, director – Jehane Noujaim)
86. The Countess (2009, director – Julie Delpy)
87. Cromwell (1970, director – Ken Hughes)
88. A Cursed Monarchy (Les rois maudits, TV mini-series 2005, director – Josée Dayan)
89. Dances with Wolves (1990, director – Kevin Costner)
90. Dark Prince: The True Story of Dracula (2000, director – Joe Chappelle)
91. Da Vinci Code Decoded (2004, director – Richard Metzger)
92. The Day After Tomorrow (2004, director – Roland Emmerich)
93. The Day Reagan Was Shot (2001, director – Cyrus Nowrasteh)
94. Dead Poets Society (1989, director – Peter Weir)
95. Death of a Nation: The Timor Conspiracy (1994, director – David Munro)

96. Death of a President (2006, director – Gabriel Range)
97. Decisive Battles (TV series documentary 2004)
98. Diana: Last Days of a Princess (2007, director – Richard Dale)
99. Disbelief (2004, director – Andrei Nekrasov)
100. The Diving Bell and the Butterfly (Le scaphandre et le papillon, 2007, director – Julian Schnabel)
101. Il Divo (2008, director – Paolo Sorrentino)
102. Dog Day Afternoon (1975, director – Sidney Lumet)
103. Downfall (Der Untergang, 2004, director – Oliver Hirschbiegel)
104. The Duchess (2008, director – Saul Dibb)
105. Easy A (2010, director – Will Gluck)
106. Elizabeth (1998, director – Shekhar Kapur)
107. Elizabeth: The Golden Age (2007, director – Shekhar Kapur)
108. Empire (Aftokratoria, TV mini-series 2005)
109. Endgame: Blueprint for Global Enslavement (2007, director – Alex Jones)
110. Enemy of the State (1998, director – Tony Scott)
111. The Enigma of Kaspar Hauser (Jeder für sich und Gott gegen alle, 1974, director – Werner Herzog)
112. Eraser (1996, director – Chuck Russell)
113. Eva Perón (Eva Perón: The True Story) (1996, director – Juan Carlos Desanzo)
114. Fact or Fiction: Boudica (2002, director – Sally George)
115. Fahrenheit 9/11 (2004, director – Michael Moore)
116. The Fall of the Roman Empire (1964, director – Anthony Mann)
117. Fanfan (1993, director – Alexandre Jardin)
118. Farinelli (1994, director – Gérard Corbiau)
119. The Fisher King (1991, director – Terry Gilliam)
120. Flight 93 (2006, director – Peter Markle)
121. Frost/Nixon (2008, director – Ron Howard)
122. Funny Face (1957, director – Stanley Donen)
123. Gaza Strip (2002, director – James Longley)
124. Generation Kill (TV mini-series 2008, directors – Susanna White, Simon Cellan Jones)
125. Georgia In Flames (2008, director – Zviad Mezvrishvili)
126. Geronimo. An American Legend (1993, director – Walter Hill)
127. Gladiator (2000, director – Ridley Scott)
128. Gonzo: The Life and Work of Dr. Hunter S. Thompson (2008, director – Alex Gibney)
129. Good Bye Lenin! (2003, director – Wolfgang Becker)

130. Good Night, and Good Luck (2005, director – George Clooney)
131. Greek Gods and Goddesses: Jason and the Argonauts (2004, director – Jean Claude Bragard)
132. Greek Gods and Goddesses: The Odyssey (2004, director – Jean Claude Bragard)
133. Green Street Hooligans (2005, director – Lexi Alexander)
134. Green Zone (2010, director – Paul Greengrass)
135. Guilty by Suspicion (1991, director – Irwin Winkler)
136. Hitch (2005, director – Andy Tennant)
137. Hotel Rwanda (2004, director – Terry George)
138. Hua Mulan (2009, directors – Jingle Ma, Wei Dong)
139. The Hunting of the President (2004, directors – Nickolas Perry, Harry Thomason)
140. An Ideal Husband (1999, director – Oliver Parker)
141. Imperium: Augustus (2003, director – Roger Young)
142. Inception (2010, director –Christopher Nolan)
143. An Inconvenient Truth (2006, director – Davis Guggenheim)
144. Independence Day (1996, director – Roland Emmerich)
145. In Search of Athelstan (1981, director – Michael Wood)
146. In Search of Boadicea (1980, director – Michael Wood)
147. In Search of Dracula (Vem var Dracula? 1975, director – Calvin Floyd)
148. The Insider (1999, director – Michael Mann)
149. Inside the Da Vinci Code (2006, director – Geof Petch)
150. Inside Job (2010, director – Charles Ferguson)
151. JFK (1991, director – Oliver Stone)
152. Joan of Arc (1999, director – Christian Duguay)
153. Julius Caesar (2002, director – Uli Edel)
154. Justin Bieber: Never Say Never (2011, director – Jon M. Chu)
155. Kabul Express (2006, director – Kabir Khan)
156. Kuhle Wampe: To Whom Does the World Belong? (Kuhle Wampe oder: Wem gehört die Welt? 1932, director – Slatan Dudow)
157. Lady by the Sea: The Statue of Liberty (2004, directors – Kent Jones, Martin Scorsese)
158. Lady Jane (1986, director – Trevor Nunn)
159. La Femme Nikita (TV series 1997-2001, writers – Luc besson, Michael Loceff)
160. Lake of Fire (2006, director – Tony Kaye)
161. The Last Days of Kennedy and King (1998, directors – Vince DiPersio, Bill Guttentag)
162. Life in a Day (2011, director – Kevin Macdonald)

163. Life Is Beautiful (La vita è bella, 1997, director – Roberto Benigni)
164. Life Is a Miracle (Zivot je cudo, 2004, director – Emir Kusturica)
165. Lions for Lambs (2007, director – Robert Redford)
166. The Living Dead (TV mini-series 1995, director – Adam Curtis)
167. Loose Change: Second Edition (2006, director – Dylan Avery)
168. Loose Change 9/11: An American Coup (2009, director – Dylan Avery)
169. The Lost City (2005, director – Andy Garcia)
170. Love in the Time of Cholera (2007, director – Mike Newell)
171. The Machine That Made Us (2008, director – Patrick McGrady)
172. Mad City (1997, director – Costa-Gavras)
173. Mad Love (Juana la Loca, 2001, director – Vicente Aranda)
174. Manufacturing Consent: Noam Chomsky and the Media (1992, directors – Mark Achbar, Peter Wintonick)
175. The Matrix (1999, directors – Andy Wachowski, Lana Wachowski)
176. The Mayfair Set (TV series 1999, director – Adam Curtis)
177. The Messenger: The Story of Joan of Arc (1999, director – Luc Besson)
178. A Mighty Heart (2007, director – Michael Winterbottom)
179. Missing (1982, director – Costa-Gavras)
180. Mona Lisa Smile (2003, director – Mike Newell)
181. Mrs Brown (1997, director – John Madden)
182. Muhammad: Legacy of a Prophet (2002, directors – Omar Al-Qattan, Michael Schwarz)
183. My Best Friend (Mein liebster Feind – Klaus Kinski, 1999, director – Werner Herzog)
184. My Fair Lady (1964, director – George Cukor)
185. Na Deribasovskoy khoroshaya pogoda, ili na Bryton Bich opyat idut dozhdi (There's Good Weather in Deribasovskaya, It's Raining Again in Brighton Beach, 1992, director – Leonid Gaidai)
186. Natural Born Killers (1994, director – Oliver Stone)
187. Network (1976, director – Sidney Lumet)
188. The New Rulers of the World (2001, director – John Pilger)
189. The New World (2005, director – Terrence Malick)
190. Nixon (1995, director – Oliver Stone)
191. Noam Chomsky: Distorted Morality (2003, director – John Junkerman)
192. Nothing But the Truth (2008, director – Rod Lurie)
193. Occupation 101 (2006, directors – Abdallah Omeish, Sufyan Omeish)
194. The Octopus (La piovra, TV mini-series1984, director – Damiano Damiani)
195. The Octopus 2 (La piovra 2, TV mini-series 1985, director – Florestano Vancini)

196. The Octopus 3 (La piovra 3, TV mini-series 1987, director – Luigi Perelli)
197. The Octopus 4 (La piovra 4, TV mini-series 1989, director – Luigi Perelli)
198. One Flew Over the Cuckoo's Nest (1975, director – Milos Forman)
199. Origins of the Da Vinci Code (2005, director – Michael Bott)
200. Orwell Rolls in His Grave (2003, director – Robert Kane Pappas)
201. Outfoxed: Rupert Murdoch's War on Journalism (2004, director – Robert Greenwald)
202. Palestine Is Still the Issue (2002, director – Tony Stark)
203. Pandora's Box (TV mini-series 1992, director – Adam Curtis)
204. Pasport (1991, director – Georgi Danelia)
205. The Patriot (2000, director – Roland Emmerich)
206. The People vs. Larry Flynt (1996, director – Milos Forman)
207. Perfect Stranger (2007, director – James Foley)
208. Poisoned by Polonium: The Litvinenko Files (2007, director – Andrei Nekrasov)
209. Pope Joan (Die Päpstin, 2009, director – Sönke Wortmann)
210. The Postman (1997, director – Kevin Costner)
211. Potseluy ne dlya pressy (2008, director – Olga Zhulina)
212. Power and Terror: Noam Chomsky in Our Times (2002, director – John Junkerman)
213. The Power of Nightmares: The Rise of the Politics of Fear (2004, director – Adam Curtis)
214. La Pródiga („მფლანგველი ქალი“, 1945, director – Mario Soffici)
215. Le professionnel („პროფესიონალი“, 1981, director – Georges Lautner)
216. Professione: reporter („პროფესია – რეპორტიორი“, 1975, director – Michelangelo Antonioni)
217. Pulse (2006, director – Jim Sonzero)
218. The Queen (2006, director – Stephen Frears)
219. The Quiet American (2002, director – Phillip Noyce)
220. The Real Da Vinci Code (2005, director – Kashaf Chaudhry)
221. Reds (1981, director – Warren Beatty)
222. Rendition (2007, director – Gavin Hood)
223. Resurrecting the Champ (2007, director – Rod Lurie)
224. Robin Hood: Prince of Thieves (1991, director – Kevin Reynolds)
225. Roman Holiday (1953, director – William Wyler)
226. Rome (TV series 2005-2007, creators – Bruno Heller, William J. MacDonald, John Milius)

227. Run Lola Run (Lola Rennt, 1998, director – Tom Tykwer)
228. Salvador (1986, director – Oliver Stone)
229. The Secret (2006, directors – Drew Heriot, Sean Byrne, Marc Goldenfein, Damian McLindon)
230. Shadowless Sword (Muyeong geom, 2005, director – Young-jun Kim)
231. Shattered Glass (2003, director – Billy Ray)
232. Sicko (2007, director – Michael Moore)
233. The Silence of the Lambs (1991, director – Jonathan Demme)
234. The Soong Sisters (1997, director – Mabel Cheung)
235. Sneakers (1992, director – Phil Alden Robinson)
236. The Social Network (2010, director – David Fincher)
237. Speechless (1994, director – Ron Underwood)
238. Spin (1995, director – Brian Springer)
239. Spy Game (2001, director – Tony Scott)
240. Stalin (1992, director – Ivan Passer)
241. Stealing a Nation (2004, directors – John Pilger, Sean Crotty)
242. The Stoning of Soraya M. (2008, director – Cyrus Nowrasteh)
243. Swing Vote (2008, director – Joshua Michael Stern)
244. Tabor ukhodit v nebo (1975, director – Emil Loteanu)
245. Talk Radio (1998, director – Oliver Stone)
246. Taxi (1998, director – Gérard Pirès)
247. Tell the Truth and Run: George Seldes and the American Press (1996, director – Rick Goldsmith)
248. TerrorStorm: A History of Government-Sponsored Terrorism (2006, director – Alex Jones)
249. Time Machine: Beyond the Da Vinci Code (2005, director – Will Ehbrecht)
250. To Die For (1995, director – Gus Van Sant)
251. Top Gun (1986, director – Tony Scott)
252. The Tournament (2009, director – Scott Mann)
253. The Trap: What Happened to Our Dream of Freedom (2007, director – Adam Curtis)
254. The Trials of Hentry Kissinger (2002, director – Eugene Jarecki)
255. Trollywood (2004, director – Madeleine Farley)
256. The Truman Show (1998, director – Peter Weir)
257. The Tudors (TV Series 2007-2010, director – Michael Hirst)
258. TV Nation: Volume One (1997, director – Michael Moore)
259. TV Nation: Volume Two (1997, director – Michael Moore)
260. Unconstitutional (2004, director – Nonny de la Peña)

261. Unprecedented: The 2000 Presidential Election (2002, directors – Richard Ray Perez, Joan Sekler)
262. V for Vendetta (2005, director – James McTeigue, screenplay writers – Any Wachowski, Lana Wachowski)
263. Vincere (2009, director – Marco Bellocchio)
264. W. (2008, director – Oliver Stone)
265. Wag the Dog (1997, director – Barry Levinson)
266. Wall Street (1987, director – Oliver Stone)
267. Warm Springs (2005, director – Joseph Sargent)
268. The War on Democracy (2007, directors – Christopher Martin, John Pilger, Sean Crotty)
269. Warrior Queen (TV series 1978, directors – Michael Custance, Neville Green)
270. Warrior Queen (2003, director – Bill Anderson)
271. Warrior Queen Boudica (2006, directors – Patrick Taulère, Kim Hawkins, Boudica – Charlotte Comer)
272. Who Killed the Electric Car? (2006, director – Chris Paine)
273. Why We Fight (2005, director – Eugene Jarecki)
274. The World According to Monsanto (Le monde selon Monsanto, 2008, director – Marie-Monique Robin)
275. Ya sluzhil v apparate Stalina, ili Pesni oligarkhov (1990, director – Semyon Aranovich)
276. Ya sluzhil v okhrane Stalina, ili Opyt dokumentalnoy mifologii (1989, director – Semyon Aranovich)
277. Year Zero: The Silent Death of Cambodia (1979, director – David Munro)
278. The Yes Men (2003, directors – Dan Ollman, Sarah Price, Chris Smith)
279. Yes Minister (TV series 1980-1984, directors – Sydney Lotterby in 1980, Peter Whitmore in 1981-1984)
280. Yes, Prime Minister (TV Series 1986-1988, director – Peter Whitmore)
281. Zeitgeist (2007, director – Peter Joseph)
282. Zeitgeist: Addendum (2008, director – Peter Joseph)
283. Zhena Stalina (2006, directors – Oleg Massarygin, Mira Todorovskaya)
284. Zulu (1964, director – Cy Endfield)

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი აგრძელებს „ჟურნალისტის ბიბლიოთეკის“ სერიის გამოცემას.

უახლოეს მომავალში დღის სინათლეს იხილავს პროფესორების: რევაზ ბალანჩივაძის, ნოდარ ტაბიძის, გივი კაპანაძის, დიანა ტყებუჩავას, მანანა დათუკიშვილის, მაია ნადარეიშვილის, ხათუნა კაჭარავას, ნანა ტალახაძის, ლაშა დოლიძის, ვახტანგ (გოჩა) ხუნდაძის, ნუგზარ ნაცვლიშვილისა და სხვათა გამოკვლევები ცალკეული მონოგრაფიების, სალექციო კურსების, დამხმარე ბროშურებისა და მისთ. სახით.

*„ჟურნალისტის ბიბლიოთეკის“ სარედაქციო კოლეგია დიდ მადლობას უხდის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დამფუძნებლებს, ბატონებს: **ვახტანგ წივწივაძეს, ვასილ ჩიგოგიძეს, ვაგიფ სადიხ ზადესა და ახმად ვალიევს** პროექტის ფინანსური მხარდაჭერისათვის.*

Редакционная колегия «Библиотеки журналиста» выражает большую благодарность основателям Кавказского Международного Университета, господам: **Вахтангу Цивцивадзе, Василию Чигогидзе, Вагифу Садих Заде и Ахмаду Валиеву** за финансовую поддержку проекта.

CIU

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ჩარგლის ქ. 73, თბილისი, 0193, საქართველო

ვებგვერდი: http://ciu.edu.ge

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge